14
1976/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

2

1976

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 51-ე. № 2 თებერვალი, 1976 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შ ი ნ ა ა რ ს ი


კარლო კალაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . . 3
რამაზ კობიძე — გვიმრის ფოთლები. რომანი. წიგნი პირველი. გაგრძელება . 10
ხუტა ბერულავა — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . . 40
ნიკოლოზ გაბაონი — აივნიანი ქალაქი. რომანი გაგრძელება . . . . . . 42
ზურაბ ლორთქიფანიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 69
გიორგი ავალიანი — საქარგყმო . . . . . . . . . . . . . 75
ფრიდრიჰ დიურენმატი — მოსამართლე და მისი ჯალათი. რომანი. დასასრული.
თარგმანი გერმანულიდან ნ ო დ ა რ რ უ ხ ა ძ ი ს ა . . . . . . . . 96

*სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად*

გიორგი სანადირაძე — რეპორტაჟი საუწუნის მაგისტრალიდან. დასასრული . 112

*ცხოვრებისეულ პრობლემებზე*

გიორგი ნატროშვილი — რას იტყოდა აკაკი . . . . . . . . . 139
ლევან ფრუიძე — თანამედროვე ქართული სოფელი ეთნოგრაფის თვალთა-
ხედვით . . . . . . . . . . . . . . . . . 144
მირონ ხერგიანი — მხოლოდ პირადი მაგალითით . . . . . . . . 154

*კრიტიკა და პუბლიცისტიკა*

რამაზ პატარიძე — ქართული წარმართული კალენდარი . . . . . . . 159
თინა ჩხაიძე — დემნა შენგელაიას ნოველათა ხალხური წყაროები . . . . 172



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## წიგნების მიმოხილვა

ოთარ კასრაძე — ერთი უმართებულო რეცენზიის გამო . . . . 178

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელენე ახვლედიანის ხსოვნას

ირაკლი აბაშიძე — დიდი გამოფენა გრძელდება . . . . . . . . . 189
ვახტანგ ბერიძე — გამოსათხოვარი . . . . . . . . . . . 190
შალვა ალხაზიშვილი — ქართული ეროვნული პეიზაჟის დიდოსტატი . . 191

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ქლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ხ. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 6/I-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/II-76 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღ-საგამომცემლო თაბახი 16,8.

უე 00010. ტირაჟი 13.000. შეკვ. № 26.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

# ჩემი დღისა და ღამის წიგნი

## სოფლის დილა

არა, ეს დილაც არაა წყნარი:
თვითმფრინავები მოსწყდნენ „კოპიტნარს",
წიფიდან „თბილის-ბათუმის" ჩქარი
მოჰქრის, ახალი რაა, რომ მითხრას!
ქარსაც აქ უნდა ფრთა მოიქნიოს
და აჯამეთის ტყეს გაჰკრა ბრჭყალი,
სადღაც აქ, ტალღებ-გადაღლილ რიონს
ერთვის ყვირილა და გუბისწყალი.
შევდგეთ აქ, მყუდრო ყურეც ჩვენია
ისე, ვით მწვანედ გაშლილი მდელო,
ჩვენც დავწყნარდებით, უეჭველია,
აშრიალებავ, ამდილინდელო!
შევდგეთ... და აჰა, როგორ მიდის დრო,
ო, როგორ მიდის დრო დილ-დილობით!
აქ, არ იფიქრო ჩრდილმა მიმიმხრო
თავისი ცაცხვის — ხით და ჭილოფით...
არა! დროს აქაც გაუმარჯვნია,
ცაში კი თითქოს წილისყრა მიდის:
დგას კვამლის ბური და ბურს აჩნია
წვეტები წითელ-წითელ კრამიტის.
აჩნია ბრუნვა მზისა და მთვარის —
ფოლადის მდნობელს ჰბაძავს ბუნება,
ცაში მზიური ბურუსი არის
და არა ძალთა დაძაბუნება!
ამბავიც მიაქვს ღრუბლებთან ღრუბელს
მთებივით აღდგნენ ლამის დევები.
აღგზნებით, როგორც ღუმელი — ღუმელს —
ბნელს აჩაღებენ ღამისთევები!
და შენ კი დილავ, სიმშვიდის გჯერა,
მეგზურო ჩემო, ჩემო მთამსვლელო!
როგორ გამოვრთო მე გულის ძგერა,
როგორ დავტუქსო და დავასვენო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, წუთს ასეთს ამაოდ ელი
და გულში ჩუმად რასაც გავივლებ —
დავწერ — ხნულივით მიიღებს ველი,
დავწერ და სოფელს ავაყვავილებ!
აიანეთია ხომ ახლო-მახლო,
მეც არ დავტოვებ ეწერს ეწერად,
ო, ჩემო ეზოვ, ო, ჩემო სახლო
თქვენ ეს თავიდან მკერდზე გეწერათ...
რომ დავაკვირდი — ბერმუხის კვირტიც
ისევ ფრთასავით ცად გაშლის ცდაა!
და აი ზვირთი, მდინარის ზვირთი,
ისიც ხომ თეთრი შევარდნის ფრთაა!
და როგორც ზვირთი აწყდება კამხალს,
მეც მომკლას ღელვამ, ან გამახაროს, —
ვეტრფი მთადამთა სარკმელთა კაშკაშს
და თვალწარბივით შავ-შავ მაღაროს!
ცა და ქვეყანა მეც მომივლია,
კაცურად ვიტყვი, სწორედ კაცურად:
ცა ასაფრენად მოგონილია,
მოგონილია ზღვა გასაცურად!
დამშვიდებული ძილით მძინარე
ჟამიც არაა, დაუნდობელი, —
არათუ მთა და ბარი, მდინარე,
არათუ ცა და გზა და სოფელი!
მაშ, ჩემი ალალ-ბედის ცდა რაა,
სილაღევ ჩემო, ჯაჭვდაწყვეტილო, —
ცივი, საფლავის ბელტიც არაა —
მით უფრო კაცის გული, კეთილო!
ო, დილავ, დილავ, აღმართზე მრავალ —
წერტილით კვალის გამომსახავო,
მე კიდევ მრავალ აღმართზე ავალ,
დილავ, მე კიდევ არ ვარ საღამო!

## ჩ ქ ა რ ა

ეჯახება წყალი მთას:
ცდა რაა და მთა რა!
ტალღა ერთი წამითაც
მთას არ გადამცდარა!
მკერდშიშველი მთა მიყვარს,
მისი მკაცრი „არა“
ისე დახვდა ხმალით ხმალს —
ფარიც არ იფარა...
და ფიც-ვერცხლით შეკრულმა
ღამეც გაახარა:
ვარსკვლავებთან ენგურმა
წილი უკვე ჰყარა.

მთა ჯერ აგრე, მკერდამდე
წყალში არა მდგარა!
— მთაო, ბრალი მე დამდე,
მეც აქ არ ვარ განა!?
ჩქარა! თორემ აშკარად
ჩვენზე უფრო ჩქარა
იქცა მაღალ კამხალად
თეთნულდი და შხარა!
წყალმა ჭრელი კენჭებიც
აანარკვერჩხალა...
ბნელში გავიკენწლებით
ჩქარა. ჩქარა. ჩქარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერის—წყალი და ბერ-მუხა

(სიმღერა)

,,ახ, რა ჰარალოს ვამბობდი,
რა დილა იყო, რა დილა!“
ასე იწყება ყოველთვის
აქ ჩემი ,,დილა-ვადილა“
რა დილა იყო, რა დილა
და რა ბრწყინვალე შუადღე,
ზღვაში მზე როდის ჩავიდა
ვერც გრილ სიჩუმეს შევატყე.
და უცებ ჩქეფმა შემაკრთო,
შევძახე უმალ: — ვინ არის!?
ხმა მუხის ჩრდილქვეშ ისმოდა
ტალღის, მთით ჩამომდინარის:
— ერთი უბრალო ტალღა ვარ,
თუმც მოვხვდი ერის-წყალშიაც,
ხაიშის მაღლა ვტრიალებ
წისქვილის ყოველ ღარშიაც.
ყური დამიგდე ბერ-მუხავ,
კვლავაც თუ გამიერთგულდი,
შენს ტოტებდაბლა ზღვა არის,
მაღლა უშბა და თეთნულდი.
ცისკრის ზარია ბერ-მუხავ,
შენც ახალ კვირტებს გაიშლი,—
ხის ტოტი ხის ტოტს კი არა —
მთა მთას შეხვდება ხაიშში!
კაცი ხარ დარეჯანის-ძე,
ნამეხარი და ნასეტყვი,
ცამ და ქვეყანამ რომ გკითხოს,
რას უპასუხებ, რას ეტყვი? —
წევს გველეშაპი ზღვისპირად
თორემ ულრუბლო ცა რაა —
ამოსახსნელად მაცდური
იმისი გამოცანაა!..
— არა! და ,,არა“ ბერმუხის
ნათქვამად მინდა ჩათვალო,
შენც ნუ იფიქრებ — ჩავივლი
უსიტყვოდ, რადგან გზად ვარო...
კვლავაც რამდენი მთა არი,
რამდენი ათასწლეული —
ხან ღრუბელი ხარ, ხან წვიმა,
ხან თოვლი ტალღადქცეული,
ხან კი ბნელ ღამეს, გზადაგზა
გაჰკენწლავ ცხენის ნალივით —
და ესხურება ნათელი
ერს უკვე ერის-წყალივით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახ, რა ჰარალოს ვამბობდი
რა დილა იყო, რა დილა,
ასე იწყება ყოველთვის
აქ ჩემი დილა-ვადილა!

## ჰეი, ენგურო და ერისწყალო!

გასულს, ქალაქის თუ სოფლის შუქით,
მავთულ-ბადეში მომწყვდეულ შუქით —
თავს როცა ისევ დამათენდება

მინათებს ჩუმი ღიმილი სახეს
და ძველ-კაცივით შევყურებ ზაჰესს —
ზემო-ავჭალის დღე მახსენდება!

დღესაც, იმ ღამით ნაკვერჩხლიანით,
და იმ პირველი ტალღის ჩქრიალით
მომავალს ჩემსას ვეკამათები! —

დღესაც, რომ ელავს — ეს ცინცხალია,
ელვად ქცეული ერისწყალია
და ერისწყალის შენაკადები...

მაშ, სიჭაბუკის ჩემო ნათელო
და შენც ჭაღარავ ამეღამდელო —
იყავ ბრწყინვალე, იყავ დიადი.

ჰეი, ენგურო და ერისწყალო,
ბნელი არასდროს არ შეიწყნარო —
მისწვდი მომავალს ვით განთიადი!

## მზე და ველ-მინდვრის ყვავილები

* * *

გულივით სანდო, გულივით წრფელი,
მინდვრის ყვავილთა კრთომა და ფერი,
როგორც ეს ლექსი ახლა იგონებს:

მეტად უბრალო ამბად მეჩვენა,
თორემ ჩვენს მინდორ-ველს უეჭველად
არ წავუშლიდი კალმით სტრიქონებს!

ვიფიქრე: ეს რა დამიწერია,
რომ ფურცელ-ფურცელ, სამი წელია
ჩემს უარს გვერდი ვერ აუარა...

დავბეჭდავ! დაე, რაც იყო — იყოს
და ერთხელ ჩრდილმაც ხმა ამოიღოს,
სიმართლე უნდა ითქვას, თუ — არა!?

ისევ და ისევ მინდა ვიხილო
მწვანე-ყვავილა, ბაო, ღიღილო,
თეთრი გვირილა და გულისაბა! —

იყოს, რომელი დღეც გსურთ, რომელ თვის,
რომელი კმოდე, ოღონდ ყოველთვის
დაჰფრიალებდეს ფრთა-ლურჯი კაბა!

იღელვოს მდელომ და იბიბინოს,
ყაყაჩოს წითელ-წითელ ბიბილოს
მეც ვუღიმოდე.. ხმა გაკმედილი!

. . . . . . . . . .

რა ბედის ცდაა, და რა კეთილი!

* * *

მაგრამ ვის ვანდოთ წუთი ასეთი,
აბა, რომელი ჟურნალ-გაზეთი,
რომელი წიგნი დაბეჭდავს ამას!

ვინ დაშლის კურსივს, ვინ დაშლის პეტიტს
და ვინააწყობს ამ ჩვენთვის ბედითს
ბაოს, გვირილას და გულისაბას!?

ნაკადულივით, ქალის კისკისიც
ქვებს რომ გადარბის, ისიც კი, ისიც
ინტიმურია, და ამიტომაც

ქარხანამ სადაც დაბერტყა კალთა —
ეძებდე ყვავილს, ცთუნების გარდა
არის უბრალო მეამიტობაც.

გზად შევაჩერე ტვირთ-ამწევები,
გიზგიზით რკინის მწრთობი მზეები —
ქვასა და რკინას რომ განაგებენ

და ვეკითხები ჩვენს დამმკვიდრებელთ,
კოშკების ციდან გადმომკიდებელთ —
სიყვარულისთვის სად რას აგებენ...

სად მიუჩინეს კიდე ყვავილებს
მზის ნაქარგივით ამოყვანილებს...
იმედი ჩემი სად ამისრულდა!

. . . . . . . . .

მეც ხომ აქ სულის ამოთქმა მსურდა!

* * *

თავისი მზე და თავისი ჩრდილი
მიწაზე ყოველ დღით აღბეჭდილი
თუ არ შერჩებათ ხეთა მხარ-მკლავებს —

ფიქრთგასართველად ცაში რა გვინდა,
რამ აღიტაცოს სუნთქვა ყვავილთა,
რა მივაგებოთ ცისკრის ვარსკვლავებს!

მთას ქვა და რკინა რომ დააშენდა, —
სიახლევ ჩემო, დიდება შენდა!
მაგრამ მითხარი რაა საჭირო,

ის, ორიოდე პწკარი ლირიკის,
მწვანე მინდორი, მზე და ჩრდილი ხის
მე რომ მიყვარდა — გადავარჩინო!

გულს ენატრება ფერი ლამაზი
ისევ და ისევ გულისაბასი
და სილამაზე ხელთა ლამაზთა...

სიცოცხლეს ქვეყნად ვინ შეჰღიღინოს —
ბაოს და ფოთლებშემკრთალ ღიღილოს
ეჟვნები თუ არ შეუთამაშდა!

და აი მართლაც საკვირველება:
გამიღეს ქარხნის კარი ველებმა
და რკინის მესრის იქით ყვავილი

ყველა, რომელიც კი მინატრია —
ჩემს მოსვლას დახვდა დილა-ადრიან!

## მხარზე ხელს დავკრავ მერაბს!

— კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი...
და აი, მათი კვარცხლბეკიც
იმავ ალგეთის ქვის არი!
ძეგლი დგას. ძეგლი კი არა —
ეგებ თამამი ნდობაა,
ეგებ ჯავრის და იმედის
ბრინჯაოდ გადადნობაა!..
შესჭიდებიხარ, მერაბო,
მეტყველ ჭირსა და ვაებას,
დრო-ჟამით უკვე გაბზარულ
ზარს გინდა ენა აებას.
შენი ბაჯბაჯა ბიჭები
მოდიან, მძიმედ მოდიან —
მამა-პაპათა ლახვარი
ძირს დასაგდები როდია!

დაუძაბიათ კუნთები
ბიჭებს კი არა — იმედებს!
და დედა, დედა მშობელი
მათ როცა აგრე იმეტებს
გულგატეხილი არაა,
გული მეტადრე მრთელია
თუმცა-ღა სიტყვა ჩაუქრობ
ცეცხლივით აღმოხდენია!
რა ხელ-მართალი კაცი ხარ,
ქება შენს მედგარ ძალ-ღონეს! —
აქ ერთხელ უკვე სიობლე
ახეთი ძალით ჩაჰქროლეს.
მხარზე ხელდაკვრად მიიღე
ეს ჩემი სჯა და მსჯელობა:
ყველთვის დარდი იმარჯვებს
და არა უდარდელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბო, შუბლის ღარებიც
გინათდებოდეს დიდებით,
მეც იმ სიცოცხლეს ვენდობი
შენ რომ ძერწავდი თითებით!

შენ რომ ააგე სამრეკლო
ასი ცისა და წლის არი...
კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი!

## ლიკანი. დასვენების და ფიქრის დღე

ამ ცაცხვის-ხეთა სიმწვანეს
რაღა დავსძინო ამბად, —
ედემში გადაგვიცვალეს
მემკვიდრეებმა, ალბათ!
მოსაგონებლად ეყოფა
ძველსა და ახალ ომებს,
ნაკრძალად შემოგვიღობა
დრომ ბებერ-ბებერ ლომებს.
ვინც კი გადავრჩით — აქა ვართ,
დამსვენებლები გვქვიან.
დავდივართ დასანახავად
ბაღდაბაღ, გვიან-გვიან...
ნახეთ! ეს არი, რაც არი,
შეავლეთ ლომებს თვალი,
აქაა მათი ნაკრძალი,
მათი თათების კვალი.
აქ ერთი ახალგაზრდაა —
გვიზის ვარსკვლავად ცაზე.
არც ვიცი ახლა სადაა,
გუშინ კი უთქვამს ასე:
„ლომებს თავისი დარდი აქვთ,
ლომებს ეტყობათ დაღლა. —
თავიც ვერ აუმართიათ
ისე გვიღრენენ ახლა...“
არა, ახ! არასდიდებით
არ ვუდასტურებ ზღაპარს,
კვლავაც მღელვარე თითებით
გადავისწორებ ფაფარს.
საათზე უკეთ მაღვიძებს
უბრალო გულის ძგერა.
წუთი საითაც გაიწევს —
მიჰყვება ჩემი ცქერა.
რას არ ვერჩოდი ამ ქვეყნად,
რას არ გავკარი ბწკალი!
თვალთმაქცებს შერჩათ საკვეხნად
მხოლოდ ვერლიბრის პწკარი.
ძილს როცა ბრძანებს საათი
და საწოლს ეძებს ყველა,
გზას ადგას ტაატ-ტაატით
ყრუ სულის თქმა და ხველა —
თვლემით არ მიმელულება
მაშინ მეც თვალის ჩინი —
და ძილს გამიტეხს გუნება
ჟინს კი — სიცოცხლის ჟინი!
ჯავრს უმალ შემიმსუბუქებს
ღამე ღრუბლებით სავსე, —
ყვიბისში ვუსმენ დუდუკებს
ბონდით გასული მტკვარზე.
არც ღვინო მინდა, არც გული,
არც ქედმაღლური ქება,
ჭინკა-ბიჭივით წარსული
ჩემს თვალწინ ფეხზე დგება.
დე, ჩემი წუთიც მთა და მთა
გაჰკიდოს ბონდის ხიდმა, —
ნაპირით ნაპირს გადასწვდა
მარჯვედ ნასროლი რითმა!
როგორც ყვიბისი — ლიკანიც
არის იმ ცის და მიწის
აქ ჩემი ნაბილიკარი
ყველა ვარსკვლავმა იცის!
დროს — ისე როგორც წინა დრო —
ძველს იჭერს კავთით ძველი, -
რომელი ერთი ვინატრო,
რომელი ასი წელი!
რა ვთქვა, რა უნდა ვიფიქრო
ნაპირზე აგრე მდგომმა...
ვარსკვლავიც მინდა მივიმხრო
თათ-შემართულმა ლომმა!
ღმერთო, გუმანი გამიგე,
ბეჭებზე დამკარ ხელი.
შენი ხალიჩა დამიგე —
სიმღერას ითხოვს ყელი!..
...არა, და აბა, რა სიახლეა
კაცს უქმად მუხლი მოაკეცინო.
წუთს, არცერთს, გული არ გადაღლია,
ჩემო ქვეყანავ, ჩემო კეთილო, ·
გიხსენებ. გისმენ. გიმღერი. გიმზერ.
ჩემი კერაა, ჩემი სახლია!
მოვკვდები — ვისმე შევატყო ღიმზე
რომ: ამ სიყვარულს ცეცხლი
აკლია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმღერა

* * *

არა! მე ჩემი ღირსებაც ვიცი,
ჩემი ფიც-ვერცხლი და საფიცარი.
ამქვეყნად ჩემი დამმკვიდრებელი,
ვიცი მე თვითონ, რა წამიც არი...

— ჩემიანებო, მარტო რომ დარჩით,
დარჩით! აწ უკვე რას გემართლებით,
მაგრამ ერთმანეთს რომ გადახვდავთ —
თქვით, მაშინ მაინც არ გენატრებით!?

* * *

აქ მივატოვე, ამ დიდ ეზოში
ჩემი ბავშვობა და მშვილდ-ისარი.
სწორედ აქ იყო, აქ მიხარებდა
გულს, ჩითის კაბით ჩემი ციცარი...

— ჩემიანებო, მზე მწვანე მოლზე
თქვენც გადიჩრდილეთ აგრე ჭადრებით.
მაგრამ ხანდახან ფრიალ-ფრიალით
სუფრას რომ გაშლით — არ გენატრებით!?

* * *

მაშ, ჩემო ცისკრის-ვარსკვლავო, ცაზე,
შენ ასე ადრე რად ამისწყარი!?
ჩვენი ახალი სახლის ხარაჩოს
არ აძრობია ჯერაც ფიცარი...

ჩემიანებო, ხვალ ცისკრის შუქით
პარმაღზე კვლავ რომ აფერადდებით, —
მეც რომ ოცნების კაცი ვიყავი,
არ გახსოვართ? კვლავაც არ გენატრებით!?

* * *

შუბლ-გახსნილსა და კეთილს ბუნებით,
ხინჯიც არ დამრჩა არავითარი,
რა ბედნიერი ვიყავი თქვენით,
რა თავგასული და რა მდიდარი!..

ზოგჯერ ლაღ სიტყვით აღტაცებული,
ზოგჯერ თეატრით, ზოგჯერ მხატვრებით —
მოგენატრებით, დრო რომ გაივლის,
ჰაი, ჰაი, რომ მოგენატრებით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ კობიძე

# გვიმრის ფოთლები

რომანი

წიგნი პირველი

ნაწილი მეორე

## თავი IX

ირინე ქარცივაძეს თუ ვინმე ჰყავდა ამ ქვეყანაზე, — რა თქმა უნდა, ჯიბრაილისა და გოგუტუნას გარდა, — ვინც მთელი სულითა და გულით უყვარდა და ყველაფერში ენდობოდა, ისევ მისი მოხუცი გამზრდელები — დარეჯან და ქაიხოსრო ქარცივაძეები იყვნენ. ისევო — ეს სიტყვა იმიტომ ვიხმარეთ, რომ, როგორც ეს თითქმის ყოველთვის ხდება, უკვე წამოჩიტულ და სიმწიფეში შესულ ირინეს ვიღაც უკუღმართმა და არდასაცალებელმა ჩააწვეთა, დარეჯანი და ქაიხოსრო შენი დედა და მამა სულაც არ არიან, შენ დედ-მამა ადრე დაგეხოცა, ამათ კი, ბიძა-ბიცოლაშენმა, სამადლოდ გაგზარდესო. როგორც ყველას, ვინც კი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე, ირინესაც ამის გაგონებაზე თავზარი დაეცა, მთელი ქვეყნიერება დაუბნელდა, ქაიხოსრო და დარეჯანი თვალის დასანახავად შეიძულა და... სასწრაფოდ რუსეთში გამგზავრების თადარიგს შეუდგა. ისე, რაკი რუსეთი დიდია და ჩრდილოეთის ოლქებში დიდი სიცივეები იცის ხოლმე, ირინე უფრო სამხრეთ რაიონებს, დაახლოებით როსტოვს, ან ხარკოვსა თუ ოდესას უმიზნებდა და დარწმუნებული იყო, ამ ადგილებში თავს როგორმე გავიტანო.

ირინე მაშინ მეთექვსმეტე წელიწადში გადადგა. სკოლაში მშვენივრად სწავლობდა, უამრავი ამხანაგი, მეგობარი, გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი ჰყავდა და... თუ ირინემ ბოლოსდაბოლოს „რუსეთში წასვლაზე“ მაინც ხელი აიღო და აღარც სკოლა მიუტოვებია. ეს სწორედ იმიტომ, რომ ყველასა და ყველაფრისთვის ზურგის შექცევა, ყველა კავშირურთიერთობის გაწყვეტა და სულ ახალი ცხოვრების დაწყება ნებიერად გაზრდილმა, ცხოვრებაში

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 1.

სრულიად გამოუცდელმა ქალიშვილმა ვერ შეძლო.

ცოტა ხანი, სულ ორი თუ სამი კვირა გავიდა და — ირინეს თავის გამზრდელებზეც გული მოუბრუნდა. ან ისინი რაში იყვნენ დამნაშავენი? რა დანაშაულია, რომ უშვილძირო ცოლ-ქმარმა ობოლი ძმისშვილი აიყვანა და გაზარდა? მოვლით კი დარეჯანი და ქაიხოსრო ირინეს ისე უვლიდნენ, რომ ბევრ დედმამიან ბავშვსაც შეშურდებოდა. ქაიხოსრო მთელი სიცოცხლე სატყეო მეურნეობაში მუშაობდა, შემოსავალი, რაღა დასამალავია, მუდამ თავზე საყრელი ჰქონდა და ორი ქალის შენახვა მისთვის იგივე იყო, სპილოს ჭიანჭველის ტვირთი რომ აჰკიდო. მით უმეტეს, რომ ამ ორი ქალიდან ერთი — დარეჯანი, ოჯახისა და წყნარი ცხოვრების მოყვარული ქალი წლითი წლამდე თითო ჩითის კაბას კმარობდა და ხანდახან თუ ქაიხოსრო ძალისძალათი რაიმე ძვირფას საკაბეს უყიდდა, იმასაც ირინეს გადაულოცავდა ხოლმე. და ქარცივაძეების უშფოთველი, მყუდრო ოჯახში თუ როდესმე კამათი და შელაპარაკება ამტყდარა, მხოლოდ ამისთანა ამბების გამო.

— რა უყავი ქალო, ამასწინათ რომ ლილისფერი საკაბე მოგიტანე? — მთქნარებით იკითხავდა ნასადილევს ტახტზე წამოწოლილი ქაიხოსრო.

— ოჰ, ნეტავი შენ, ჩემო ქაიხოსრო! რაღა დროის ჩემი ლილისფერი, ვარდისფერი და ამისთანებია!

— როცა მოგიტანე, ძალიან გაგეხარდა?!

— ქალის გული — ხომ იცი? მოულოდნელი და ლამაზი საჩუქარი ქალს — მუდამ უხარია.

— ერთხელ ქმრის გულიც გაახარე, ადამიანო, ეს ჩემი მოტანილი შეიკერე, მოირგე, ჩაიცვი და — მესიამოვნება.

— აკი შევიჟერე, ადამიანო! მაგრამ ნამეტანი უხეიროდ გამომიყვანა. მკლავებსა და იდაყვებში ხომ საძრაობა არ მქონდა და არა. სახელოები თავის ადგილზე არ იყო მიკერებული, საყელო ხომ — ნუღარ იტყვი. რაღას ვიზამდი? ისევე ირინეს გადაიმა[illegible]

— ირინეს კაბები აკლია?

— ვინ თქვა, აკლიაო?!

— სიტყვით არა, არ გითქვამს, საქმით კი...

— რანაირად ახლა ეგ?

— რანაირად და კარგად. ის ერთი თინაია ჩიყვიანი გიკერავთ შენც და ირინესაც. ჰოდა, რამდენჯერაც შენ გამოგიჭრის, იმდენი გადასაგდებია და რამდენჯერაც ირინეს, იმდენი გადასარევი და უნახავია.

— ირინე ლერწამივით გოგოა. ბეჩა! მე და ირინეს ერთმანეთს გვადრი?

— ა!

— ირინეს ტანზე კაბის გამოყვანას რა უნდა. ერთი შემოლამბე და — მორჩა. მე შენ გეტყვი, სადმე ზედმეტი ან ნაკლები არ მოგივიდეს.

— იჰ, კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! გეყურება, ბავშვს არ აფიქრებინო, ქაიხოსროს ჩემთვის საკაბის ყიდვა ენანება და ისევ დარეჯანი თუ მიწყალობებსო. მეტი არაფერი მინდა შენგან. და ერთი ეს მითხარი: ამ საღამოს ვინმეს მოველით?

— ბავშვს მე არაფერს გლახას არ ვაფიქრებინებ, მაგისი ნუ გეშინია. ამ საღამოს კი, რა ვიცი, დაპატიჟებით არავინ დამიპატიჟებია და... ისე თუ ვინმე შემოივლის...

— აბა, მე პატარა თვალს მივლულავ და თუ ვინმე გამოჩნდეს, მაშინვე გამაღვიძე.

— ბატონი ბრძანდები.

თვითონ ქაიხოსროს ირინე დარეჯანზე ნაკლებად კი არა, მეტადაც კი უყვარდა. იტყოდა ხოლმე, ღმერთო, შევცოდე და — საკუთარი შვილი რომ მყოლებოდა, შეიძლება, ის არ ყოფილიყო ასე ჩემი გუნების და ასეთნაირად ჩემთვის საყვარელიო. ერთხელ თითისტოლა ირინემ თავისი ირიბი თვალები მრისხანედ გააელვა და ქაიხოსროს ჭაღარა მეგობარს შუა პურის ჭამაში დაურიდებლად მიახალა: „შენ, ბიძია ალმასხან, მეორე დღეა, აქ ქეიფობ, სახლში

კი ავადმყოფი ბიცოლა ანუსი გელოდება, წამლები როდის-ღა უნდა მიუტანოო“. ქაიხოსრომ გულით გაიხარა, შეხედეთ, რა გულითადი და სიმართლის მოყვარულიაო, შემცბარ და წამოწითლებულ ალმასხანის აღარ მოერიდა, ირინე გულში ჩაიკრა და ჩაკოცნა. ასეთი ტკბილი გასახსენებელი კი ქაიხოსროს, ვინ მოთვლის, რამდენი ჰქონდა.

საშუალოს დამთავრების შემდეგ ირინემ სამთო ფაკულტეტზე შესვლა რომ გადაწყვიტა, ეს ქაიხოსრომ სწორედ გაიგო, — ამაყი და თავმოყვარეა ჩემი ირინე, რაც ჩვენ ვანებივრეთ, უნდა, რომ ის შრომით გამოისყიდოს და მერე ვეღარავინ წამოსძახოს, ცხოვრება უქმად გაქვს გატარებულიო. და აწრიალებულ, შეშფოთებულ დარეჯანს ქაიხოსრომ შეუტია კიდეც, ქალო, რას კრიახობ, არ გეყოფა, რასაც მე წავიმამაძაღლებ ხანდახან, მიუშვი ეგ ბავშვი თავის ნებაზე, თავისი შრომით იცხოვროს, მე და შენ რომ ვიცით, იმდენი ცოდნა მაგას ფრჩხილებში აქვსო; შახტებში ქალებს მძიმე და სახიფათო საქმეებზე არც კი აკარებენო. დარეჯანს ქმრის დიდი ხათრი ჰქონდა და ამის შემდეგ ერთხელაც არ წამოსცდენია, ამ ბავშვმა რა შეუფერებელი საქმიანობა აირჩიაო.

ქვანახშირის ქალაქში ერთთვიან პრაქტიკაზე წასული ირინე ქუთაისში რომ შეცვლილი და ღრმად შეფიქრიანებული დაბრუნდა, ეს ქაიხოსროსა და დარეჯანს არ გამოპარვიათ, არა, ირინესთვის არაფერი უკადრებიათ. ღამ-ღამობით კი ჩუმად ოხრავდნენ და საეგებიოსა და მისახვედრელს ერთმანეთსაც კი არ უზიარებდნენ. თითქოს, დროს თავისი უნდა მოეტანა, მაგრამ... ღმერთო, კარგი თვალით გადმოგვხედე და ამ უცოდველ ბავშვს ცუდსა და ავს ნურაფერს შეახვედრებ.

შემოდგომაზე კი ირინემ გამზრდელებს თავისი ქმარი, ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი ჩაუყვანა. ამ მოხდენილი. ერთთავად გულღიად მომღიმარე ვაჟკაცის დანახვაზე ქაიხოსრო სიხარულით ცას ეწია. სიძე მას ერთი შეხედვისთანავე შეუყვარდა. ასეთი ახალგაზრდა. ვაჟკაცური შესახედავი, სახელიანი, მოჰმავლიანი... ქაიხოსრო დადიოდა და ყველასთან თავს იწონებდა. — მე კაცის შეფასებაში არ შევცდები, მოდით და ნახეთ, ჩემმა გიშრისთვალამ რა ვაჟკაცი მომიყვანა სახლშიო. დიდებული ქორწილი გადაუხადეს და ნახევარი ქუთაისი დაუპატიჟეს.

გოგუტუნას დაბადებაზე ხომ ქაიხოსროცა და დარეჯანიც ცას ეწივნენ სიხარულით. არც კი სჯეროდათ, ასე ყოველ მხრივ ბედნიერები რატომ და რა დამსახურებისათვის ვართ, ღმერთო, არ გაგვირისხდე და ცხოვრება უკუღმა არ შეგვიტრიალოო...

რა უცნაურია ადამიანი! სწორედ ახლა, როცა ყველაფერი ასე ნანატრად მოეწყო, როცა ირინე ასე ბედნიერი და წელგამართული მიაბიჯებდა ცხოვრების გზაზე, ქაიხოსრო ზოგჯერ სწორედ ახლა ამოიოხრებდა ხოლმე, — რა იქნებოდა, ეს გოგო მართლაც ჩემი ნამდვილი სისხლი და ხორცი ყოფილიყო, მტრებსა და მოშურნეებს სულ აღარაფერი ექნებოდათ სალაპარაკო და მეც უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი ქვეყანაზეო. ამაზე დარეჯანი შეუწყრებოდა ხოლმე, მტერი, მოშურნე და ავის მსურველი ვის დალევია, ღმერთს ნ[...] სცოდავ, ჩვენზე ბედნიერი დედ-მამა [...] ქვეყნად სხვა არ მეგულებაო. ქაიხ[...]რო თავის სიტყვებს მყისვე უკან [...]ღებდა და ქარცივაძეების ოჯახში [...] ერთმანეთს წაეწყობოდნენ მშვიდ[...] აუმღვრეველი დღეები.

ამიტომაც იყო, რომ ირინესაგან მოულოდნელად ბარათის მიღებამ მოხუცები ძალიან შეაშფოთა. ჯერ ერთი, ირინეს წერილების წერა საერთოდ არ უყვარდა. თუ რამე დასჭირდებოდა, ქვანახშირის ქალაქში მატარებელში ჩაჯდებოდა ხოლმე და რამდენიმე საათის შემდეგ ქუთაისში იყო. წერილის დაწერა მუდამ სიკვდილივით ეზარებოდა. ეს ერთი. და მეორეც... მეორეც ის, რომ

წერილი ირინე მოულოდნელ და, ცოტა არ იყოს, უსიამო ამბებს იტყობინებოდა:

გამარჯობათ, დედა და მამა!

როგორა ხართ? ჩვენ სამივენი კარგად ვართ, გოგუტუნა ისე გასუქდა და გამოიცვალა, რომ ვეღარ იცნობთ. სულ დარბის, ერთ ადგილზე ვეღარ ვაჩერებთ. სახლშიც ასეა და საბავშვო ბაღშიც. ბაღის გამგემ მითხრა, ძალიან საყვარელი ბავშვია, მინდა ხოლმე, რომ ჩავკბიჩო, ეგ მამაძაღლი, მაგრამ არც მაგისთანა ცელქი და მოუსვენარი მინახავს რამეო. საშინელი ჯიუტი და თავისნათქვამია. არავის ეპუება. ამასწინათ აღმზრდელს უთხოვნია, გოგუტუნა ერთხელ შენი ადგილი ფანჯარასთან ამხანაგს დაუთმეო, ფანჯარასთან სულ შენ ხომ არ უნდა იჯდეო და სხვა ბავშვი დაუსვამს. გოგუტუნამ წამოაგდო თურმე ის ბავშვი და ისევ თვითონ დასკუპდა. აი, ასეთი ჯიუტია. ისე ჭამით კარგად ჭამს.

ჩემი სამსახურის საქმეც კარგად მიდის. ისევ სამმართველოში ვარ და ოთხი შახტი მაბარია. ახლა ასე ვამჯობინეთ. განყოფილებაში სამი კაცი ვართ და ყოველმა ჩვენგანმა იცის, რაც გვევალება.

კარგადაა ჯიბრაილის საქმეებიც. მისი უბანი გეგმებს ისევ დიდი გადაჭარბებით ასრულებს და ყველას სალაპარაკოა. როგორც ამბობენ, და ეს ნამდვილად ასეცაა, ასეთი აწყობილი უბანი საერთოდ იშვიათია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჯიბრაილის მუშაობით ყველა ძალიან კმაყოფილია, ამხანაგებიც და უფროსებიც. ჯიბრაილმა რომ აქედან წასვლა მოინდომოს, ვინ იცის, რა ამბავი დატრიალდება.

ახლა ერთი ჩემი სადარდებელიც უნდა გაგიმხილოთ. იქნება, ეს აქამდეც უნდა მეთქვა, მაგრამ თქვენც ხედავდით, ჩვენი ცხოვრება როგორ კარგად აეწყო. ამიტომ არ მინდოდა, რომ თქვენ უმიზეზოდ შეწუხებულიყავით. მაგრამ ახლა კი უნდა გამოგიტყდეთ.

საქმე იმაშია, რომ ჯიბრაილს თავის დროზე არ უსურვებია საშუალოს დამთავრება. ვფიქრობ, რომ ეს უფრო ოჯახური პირობების გამოისობით მოხდა. ჯიბრაილმა შრომა ისე დაიწყო და ცხოვრებაში ისე გამოვიდა, რომ საშუალოს ატესტატი არ ჰქონია. და მით უფრო გასაკვირველია, თუ ამ კაცმა რამდენს მიაღწია, აქ ყველანი ამბობენ, ჯიბრაილს რომ შესაფერი განათლება მისცა, უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, ტრესტის მმართველად ისე დააყენებენო.

მაგრამ საქმე ხომ ტრესტის მმართველობაში და საერთოდ თანამდებობაში არ არის. მშრომელი ადამიანი ყველგან კარგია — მმართველი იქნება, მინისტრი, თუ უბრალო მეშახტე. მე და ჯიბრაილს ეს სულაც არ გვაწუხებს. მაგრამ ამ ბოლო ხანებში საქმე ისე წავიდა, რომ უდიპლომო და სათანადო განათლების უქონელ ხალხს თანამდებობებზე აღარ აჩერებენ. არა, რა თქმა უნდა, ჯიბრაილის თანამდებობიდან მოხსნა, ან განთავისუფლება ფიქრადაც არავის მოუვა. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ რაიმე უხერხულობა რომ არ შეიქნას და სალაპარაკონი და ვილაცეების ხელწამოსაკრავები არ გავხდეთ, უკეთესი იქნება, თუ ჯიბრაილი სათანადო დიპლომს აიღებს. მაგრამ ამისათვის საჭიროა ჯერ საშუალო სკოლის ატესტატი, რომელიც ჯიბრაილს ოჯახური მდგომარეობის გამო არ გააჩნია.

დედა და მამა! ვიცი, რომ თქვენ ჩემი გულისთვის თავს არ დაიზოგავთ, რაც არ უნდა გთხოვოთ. სწორედ ამიტომაც მაწუხებს, რომ ასეთი თხოვნით მოგმართავთ: ვიცი, რომ კლდეს გაარღვევთ და გულისნადებს მაინც აამსრულებთ. ამიტომ მე ახლა ძალიან ცუდად ვიქცევი. მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, და თქვენს გარდა არც ვინმე გამაჩნია დედამიწის ზურგზე, რომ ჩემი სატკივარი გავუმხილო. საქმე ისეა, რომ ჯიბრაილმა უმოკლეს ხანში უნდა აიღოს საშუალოს ატესტატი, დანარჩენი კი მერე მალე მოწესრიგდება. ამას კი თხოულობს მარტო ჩემი და ჩემი ოჯახის

კი არა, არამედ მთელი შახტის კოლექტივის ინტერესები.

დედა და მამა! მე ეს ვიცი, ამ საქმეს როგორ მოევლება. იქნება, ლომკაცია ბიძიამ გვისაშველოს რამე. არ ვიცი. მაგრამ ეს კი იცოდეთ: ეს იქნება ჩემი უკანასკნელი თხოვნა თქვენდამი. ასი წელიწადიც რომ ვიცოცხლო, ამის მეტად მე თქვენ აღარ შეგაწუხებთ. ველი თქვენს პასუხს.

თ ქ ვ ე ნ ი ი რ ი ნ ე“.

— რაიო ,ქალო?! — წერილს დარეჯანი კითხულობდა, მაგრამ ქაიხოსროს სათვალეები მაინც ეკეთა. როგორც კი დარეჯანმა კითხვა ჩაათავა, ქაიხოსრომ სათვალეები აცახცახებული ხელებით მოიგლიჯა. — რაიო? ჯიბრაილს საშუალოს ატესტატიც კი არა აქვსო?! შენ გეკითხები ქალო! დარეჯან!

მაგრამ დარეჯანს პასუხის მიცემის თავი აღარ ჰქონდა. მას წერილი გაუვარდა აკანკალებული, გაცრეცილი ხელებიდან. თითქოს წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო. ერთი კი ამოიკვნესა და თითქმის გულწასული გადაესვენა ბალიშებზე.

— დარეჯან! რა გემართება, დარეჯან! მიშველეთ, ხალხო!

რამდენიმე წუთში სახლი მეზობლებით აივსო. ფერმილეული დარეჯანი მოასულიერეს, ლოგინში გადაიყვანეს და ფეხები ჩაუთბილეს. თან ყველა გაოცებული და დაბნეული კითხულობდა, რა დაემართაო. ამ ორომტრიალში ქაიხოსრომ ის მაინც მოახერხა, რომ წერილი გადაემალა, — ოჯახს უსიამოვნო საიდუმლო გაუჩნდა და მისი გამჟღავნება საჭირო არ იყო. დარეჯანი კი ხმაამოუღებლად იწვა მაღალ ბალიშებზე და სადღაც, ოთახის კუთხეში გაუნძრევლად იყურებოდა. მეზობლებს ისევ ქაიხოსრომ მიუკიბ-მოუკიბა, წუხელისვე შეუძლოდ იყო, დილას აქეთ პირში ლუკმა არ ჩაუდვიაო, და როგორც იყო, აქოთქოთებულ-აკრიახებული მეზობლები დაამშვიდა. ამათაც სხვა რაღა დარჩენოდათ, გაჭირვებული მეზობლის სახლში იმდენ ხანს დარჩნენ, რამდენსაც წესი მოითხოვდა და მერე, რაკი დაინახეს, დარეჯანს აღარაფერი უჭირსო, თანდათან გაიკრიფნენ. წასვლისას ყოველი მათგანი იბარებდა, თუ რამეში დაგჭირდეთ, რა დროც არ უნდა იყოს, არ მოგერიდოთო, და კარებს ფრთხილად იხურავდნენ. მადლობა ღმერთს, ყოველი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ რაც კი ადამიანს გაეწყობოდა, ქაიხოსრო დარეჯანს არაფერს გაუჭირვებდა.

— დარეჯან, რა იქნა, შე ქალო, ასეთ უბრალო საქმეზე ასე უნდა შეწუხდე? — ქაიხოსრო ცოლს სასთუმალთან დაუჯდა და ხელი შუბლზე გადაუსვა.

— ეს უბრალო საქმეა?

— აბა? მე აგერ რომელი ატესტატიანი და პროფესორი გყავარ, მაგრამ რა გვაკლია, ქონება, საზოგადოება თუ პატივისცემა? ატესტატი და ამისთანაობა რა სადარდებელია!

— კარგი ერთი! ჯერ ქვეყანა გავაყრუეთ, ასეთი სიძე შეგვხვდა და ისეთი სიძე შეგვხვდაო და ახლა...

— ახლა ვითომ ისეთი რა მოხდა?

— კარგი ერთი... ირინე... ვინ იცის, ირინე რა დღეშია.

— აჰ! არაფერ დღეში არ იქნება, შენ ნუ მომიკვდები! თუ სიმართლე გინდა, მე ის უფრო მწყინს, რომ... ეს ამბავი ჩვენთვის აქამდე არ უნდა გაემხილა?!..

— იცოდა კი?

— კარგი ერთი, თუ ქალი ხარ! ამდენი წელიწადი კაცთან ცხოვრობს და რა ცოდნა-განათლების პატრონი ჰყავდა, ის ვეღარ შეატყო? ან ჯიბეში რა საბუთები ეწყო, ის ვეღარ დაინახა?

— თანამდებობა დიდი ჰქონდა და...

— ოჰ! თანამდებობა მე რომ მაქვს, იმისთანა უნდა, მაგრამ... კარგი. ეხლა რაღა სალაპარაკოა. მაგრამ... ლომკაციაო, რომ გვწერს. ვითომ, ლომკაცია ამ საქმის გამკეთებელია?

— ეგ შენ ჩემზე უკეთ გეცოდინება.

— ეგეც მართალია. კარგი, შე ქალო, დარეჯან! ოღონდ შენ ნუ შემიწუხდები

და მაგ მამაძაღლის არ იყოს, მართლაც კლდეებს გავარღვევ. ქუთაისში ისეთი რა საქმე იქნება, მე რომ არ გავაკეთო. ჯერ ერთი მართლაც ლომკაციას მივაკითხო. მერე ვნახოთ. ოღონდ შენ ჯანმრთელად და კარგად იყავი.

ლომკაცია ჯიშიაშვილი, ქაიხოსროს მოკეთე და შორეული ნათესავი, ქუთაისში საკმაოდ ცნობილი კაცი იყო. დიდი თანამდებობა არასოდეს სჭერია, მაგრამ ძველი ქუთაისელი იყო, პურ-მარილიანი ოჯახი ჰქონდა, უამრავი ნაცნობობა ჰყავდა და მართლაც ბევრი რამ შეეძლო. მართალია, მის ნაცნობებსა და მეგობრებში ერივნენ ისეთებიც, რომელნიც, თუ შემთხვევა მიეცემოდათ, გაცხარებულნი ამტკიცებდნენ, არავისთვის კაპიკის საღირალის დამკლებელი ეგ კაცი არაა, დაშაქრული ენის პატრონია და მეტი არაფერი, და არც რამის გაკეთებას მოინდომებს, თუ თავისთვის სარგებელს ვერა ჰხედავსო. მაგრამ ასეთები შედარებით ცოტანი იყვნენ და მათ არავინ უჯერებდა. უმეტესობა კი იმ აზრისა იყო, რომ ლომკაცია ჯიშიაშვილის სახით ქუთაისს ღირსეული მოქალაქე, მოღვაწე და მამულიშვილი ჰყავდა. მართლაც და — ლომკაცია მარტო თანამდებობაზე მუშაობას არ კმარობდა. ქალაქის თეატრისთვის რეპერტუარის შერჩევა იყო, თუ ვინმე ღვაწლმოსილი იუბილარისათვის ბანკეტის გამართვა, ხელმძღვანელ ორგანოებში კოლექტიური განცხადების შეტანა მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის ასიგნობათა გაზრდის თაობაზე, თუ ადგილობრივ გაზეთში მრისხანე, სარკასტული ფრაზებით აღსავსე წერილის გამოქვეყნება, გელათის ტაძარს კურსების გრანიტის კარიერის მესვეურები ანგრევენ და გამკითხავი კი არავინააო, — ასეთ საქმეებში ლომკაცია ჯიშიაშვილის ხელს მუდამ წააწყდებოდით.

— და ასეთ ადამიანზე ზოგიერთები ვინ იცის, რას არ ლაპარაკობენ — მრისხანებდნენ ლომკაციას თაყვანისმცემლები.

— მოიცათ, მოიცათ. — არ ეპუებოდნენ ამათ ლომკაციას მქირდავები. — მამულიშვილი და უანგარო მოღვაწეა, ხომ? კარგი. აბა, ახლა ეს გვიბრძანეთ, თვიურად რვათუმნიანი ჯამაგირის პატრონმა ლიძავაში ბიძის სახელზე სპილოს ძვლისფერი აგარაკი როგორ და რანაირად აიშენა?

— ჯერ ერთი, ის აგარაკი სპილოს ძვლისფერი კი არა, ჩვეულებრივი თეთრი გახლავთ. თქვენ, ახლანდელმა ახალგაზრდებმა ყველაფერი უნდა გაატრიზავოთ. და მეორეც: ქვეყანამ იცის, რომ ლომკაციას ბიცოლამისმა ლადოსია ხეთერელმა მუჭისსიმსხო ბრილიანტის ბეჭედი დაუტოვა. იმ ბეჭედით, ჩემო კარგო, სამი იმისთანა აგარაკის აშენება შეიძლება.

— ჰო-ჰო-ჰო-ჰო! მართლა რა იყო ის ბეჭედი ამისთანა? თავის ვაჟიშვილს „ვოლგაც“ იმ ბეჭდით უყიდა?

— აბა! აბა როგორ? თქვენ, ახლანდელმა ახალგაზრდებმა ბრილიანტის ფასი არც კი იცით.

— ვიცით, ჩვენ ყველაფერი ვიცით.

— სათქმელი აღარაფერი დაგრჩათ? ჰოო! სხვისი ლანძღვა, ბიძიკოებო, ადვილია. ჯერ საქმე გააკეთეთ და სხვაზე მერე ილაპარაკეთ.

წარმოშობით ლომკაცია ჯიშიაშვილი ცნობილი და პატივცემული ქუთათური ინტელიგენტების ოჯახიდან იყო. ეგრეთწოდებული „კეთილი საქმეები“, განსაკუთრებით მთელი ქვეყნის დასანახავად, ლომკაციას არაერთი გაუკეთებია. ამიტომ მის მტრებს ქუთაისის საზოგადოებრიობაში გამარჯვების არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდათ. და კაცმა რომ თქვას, ლომკაციას დიდი თავგამოდებით და ჩაჯინებით არც ვინმე ებრძოდა. ის თითო-ოროლა კაცი, ვისაც ლომკაცია არ უყვარდა, ბოლოსდაბოლოს ხელს ჩაიქნევდნენ ხოლმე და ცოტა არ იყოს, გაზვიადებულ დასკვნას აკეთებდნენ, სადაც ლომკაციასთანა ქვემძრომი ადამიანად და მამულიშვილად ითვლება, იმ ქვეყანას არაფერი ეშველებაო.

ცოდვა გატეხილი სჯობია, ამ პიროვ-

ნებით დიდად აღტაცებული როდესმე არც ქაიხოსრო ქარცივაძე ყოფილა. ერთხელ თუ ორჯერ კი წამოცდა დარეჯანთან, მართლაც ცოდვა არ არის, მაგისთანა კაცი ასეთი სახელითა და პატივისცემით სარგებლობდესო; ნამდვილად ვიცი, თუ დასჭირდა. თოთო ბავშვს ფეხს დააბიჯებს და დაუნდობლად გასრისავსო. მაგრამ დარეჯანის გარდა ეს ქაიხოსროს არავისთვის უთქვამს. ლომკაციასთან ურთიერთობის გაფუჭებას კი მაინც ერიდებოდა და თავს იმით იმართლებდა, ჯერ ერთი, ნათესავია და მეორეც — მე მაგას მაინც ვერ გამოვასწორებ, ხალხი კი აქეთ გამამტყუნებს, როგორი ნათესავი ვერ შეიფერაო.

ახლა, როგორც კი ქაიხოსროს ლომკაცია დასჭირდა, მაშინვე მიაკითხა.

— ქაიხოსრო ხარ შენ? დაბალი ტანის, ბურთივით ჩამრგვალებულმა, მდიდრულად და გემოვნებით ჩაცმულმა ლომკაციამ ქაიხოსროს სათვალეებს ზემოდან გამოჰხედა და თეთრ, პუტკუნა, უზადოდ მოვლილ ხელში რომ რაღაც ქაღალდი ეჭირა, მაგიდაზე დააგდო. — ქაიხოსრო ხარ? მამის სული წამიწყდეს, მე თუ შენ ახლა სალამზე გიპასუხო. არა, სულაც არ გეხუმრები. ბიჭო, მე თუ სულ აღარ გინდივართ, აღარც შენა და აღარც დარეჯანს, ტასიკოს ხაჭაპური მაინც აღარ მოგენატრათ? თუ ჩემი სახლის გზა გადაგავიწყდათ?

ქაიხოსრომ კარგა ხანს მოთმინებით ისმინა ლომკაციას დაშაქრული საყვედურები, იცოდა, ჯიშიაშვილს როგორი შეხვედრა სჩვეოდა. მერე, როგორც კი, ხმის ამოღების საშუალება მიეცა, კაბინეტის კარისაკენ გაიხედა, ხომ არავინ გვისმენსო, და ლომკაციას თავისი გასაჭირი უამბო.

— ეჰე! — ლომკაციამ სათვალეები მოიხსნა და მაგიდაზე დასდო. — შეხედე შენ! აი, ამიტომაა, ჩემო კეთილო, ამიტომაა ცუდი, ჩვენ რომ მამა-პაპეულ ადათ-ჩვევებს სულ აღარაფრად ვაგდებთ. აქაოდა, სოციალიზმი ავაშენეთო და — ყველაფერზე უარი ვთქვით, სოციალიზმი კარგია, მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, მაგრამ ხანდახან უკანაც უნდა მივიხედოთ ხოლმე. აბა, მითხარი: წინათ რომ მაჭანკლობა, დასამოყვრებელი ოჯახების გაცნობა და საცოლეს გადანახულება იცოდნენ, მაშინ ეგეთი რამე მოხდებოდა? არა, ჩემო კეთილო, მაშინ ასეთი რამე არ მოხდებოდა. ყოველგვარ მამა-პაპეულ ადათ-ჩვევაში არის რაღაც საგულისხმო. მაინც, რამდენი კლასის ცოდნა აქვსო?

— მაგაზე არაფერს იწერება.

— ჰმ!

— მოვაწერინებ, სულაც აქ ჩამოვიყვან ერთსაც და მეორესაც.

— აქ ჩამოყვანით რა გაკეთდება? ჰმ! მანდ საქმე უფრო სერიოზულად იქნება, ჩემო ქაიხოსრო. ახლანდელი ახალგაზრდები რაღაც ატესტატის გულისთვის აგრერიგად არ შეწუხდებიან, მაგის უკან რომ რამე არ იმალებოდეს. რაო, სიძე-ბატონი რა თანამდებობის კაცია?

— უბნის უფროსი უნდა იყოს.

— შემოსავალი?

— კაიძალი უნდა ჰქონდეს.

— ჰოდა, ვინმე აუხირდებოდა. შემოსავლიანი თანამდებობები ღობის ძირას კი არ ჰყრია.

— მის თანამდებობას სულაც არ დავეძებ...

— შენ შეინახავ, ხომ? კარგი ახლა. ნუ სულელობ. კეთილი კაცი ხარ, გიცნობ, მაგრამ მე და შენ ცას ხომ არ გამოვეკერებით? ახალგაზრდებმა თავისი გზა უნდა ეძიონ. ჰოდა... ისა... იმანო... ქაიხოსრო! თუ რამე შემიძლია, არ დაგზარდები. მოვსინჯავ, მივიხედ-მოვიხედავ. შენ კი მისწერე, ჩამოვიდნენ, ან დაწვრილებით მაინც შეგატყობინონ, რა გააჩნიათ, რა აკლიათ და რას ეძებენ. ჰოდა, ვნახოთ. რაც გამეწყობა, არაფერს დაგამადლი. ოღონდ, ეს იცოდე, დედის სული წამიწყდეს, თუ მართლა ნაწყენი არ ვიყო. მეცა და ტასიკოც. კაცო, სულ აღარ უნდა გამოიაროთ? ხალხს რა ვუთხრა, ის კარგი მოყვარე და ნათესავი რატომ დავკარგეო?

— შენი თავი ღმერთმა ნუ დამიკარ-

გოს, ჩემო ლომკაცია. მოვალთ, როგორ არ მოვალთ. საქმეები შეგვემთხვა.

— არა, ბატონო, საქმეებს ნუ გააფუჭებ, მაგრამ ნურც ნათესავებს დაივიწყებ. იმათ კი მისწერე და... ვნახოთ, აბა, კარგად იყავი!

წერილის წერა მაინცდამაინც არც ქაიხოსროს ემარჯვებოდა და არც დარეჯანს. იმ ნახევარი გვერდის დაწერას მთელი ნაშუადღევი და საღამო მოანდომეს, — დაწერდნენ, ჩაიკითხავდნენ, რაღაცა არ მოეწონებოდათ, დახევდნენ და ისევ თავიდან ახვნეშდებოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, დაკმაყოფილდნენ. წერილი კონვერტში ჩადეს და იმავე საღამოს შეკვეთილი ფოსტით გაგზავნეს. სიძე-ქალიშვილს ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდნენ და იმასაც სწერდნენ, ბოლოსდაბოლოს რა მოხდა, თუ რამე ფარსაგი გჭირთ, მეშურნეები გერევიან და მანდ აღარ დაგედგომებათ, ეს ქუთაისი, ეს ამდენი ნაცნობ-მეგობრები და ეს გაწყობილი სახლ-კარი აგერ არის, აქ გადმოდით და რაიმე შესაფერისი სამსახურების შოვნას ქუთაისშიც კარგად მოგიხერხებთო.

• • •

როცა თავის გამზრდელებს წერილსა სწერდა და თავის სათხოვარს უთვლიდა, ირინე ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ხელი ისეთ საქმეს მოჰკიდა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მარტო ჯიბრაილს ეხებოდა. ირინე არც იმაზე დაფიქრებულა, ბოლოსდაბოლოს, ჯიბრაილს ეს სწავლა და ატესტატები, იქნებ სულაც არ ეპიტნავებაო. ქალი ერთი წუთითაც არ შეეჭვებულა იმაში, რომ ეს საქმე მთელი მისი ოჯახის კეთილდღეობისათვის იყო საჭირო და ამიტომ ჯიბრაილი ყველაფერს უყოყმანოდ გააკეთებდა.

ირინე საგონებელში მხოლოდ მაშინ ჩავარდა, როცა გამზრდელებისაგან სწორედ ისეთი პასუხი მიიღო, როგორსაც ელოდა. ქუთაისში ყველაფერი გამზადებულია და ყველაფერი მოგვარდებაო. მაგრამ ირინემ ეს ჯიბრაილს როგორ გააგებინოს? იმ უკუღმართი დღიდან ირინე ქმარს აღარ ელაპარაკება და ახლოსაც აღარ იკარებს. ახლა როგორ გაიქცეს? მით უმეტეს, რომ ირინეს ერთი პატარა შეცდომა თუ უტაქტობა მოუვიდა და მისი ოჯახის საიდუმლო— ჯიბრაილი რომ უსწავლელია — თავის გამზრდელებს გააგებინა. რა თქმა უნდა, ჯიბრაილს ეს დიდად არ ეამება. მაგრამ მეტი რაღა გზა იყო? ვიღაცას ხომ უნდა ენდო, ვიღაც ხომ უნდა დაგეხმაროს... აქ მთელმა ქალაქმა იცის, რომ ჯიბრაილს ათწლედიც კი არ დაუმთავრებია, ჰოდა, ბარემ ირინეს ახლობლებმაც იცოდნენ, ირინეს ახლა თუ ვინმე გამოადგება, ისევ დარეჯანი და ქაიხოსრო...

ჯიბრაილის ცოლი კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა მაგიდასთან. ნიკაპი მუშტზე დაეყრდნო, მოხუცების წერილს დასცქეროდა და მეასეჯერ კითხულობდა. ბოლოს დარწმუნდა, ამ წერილში არაფერი წერია ისეთი, რომ ჯიბრაილს არ წაეკითხებოდესო. ჯიბრაილის ოთახის კარებს ალმაცერი მზერა შეავლო, წამოდგა და გოგუტუნას ოთახში შევიდა. გოგუტუნა ვეება ქაღალდზე თითით რაღაცას ხატავდა და ყველაფერი მოთხუპნული ჰქონდა — ხელებიც, ლოყებიც, შუბლიცა და ცხვირიც.

— გოგუტუნა, რას აკეთებ?

— ვხატავ.

— ოჰ, რა კარგი რაღაცეები დაგიხატავს.

— ჰი-ჰი!..

— მართლა რა ლამაზია!.. ოღონდ... იცი რა? აი, ეს ქაღალდი მამიკოს მიუტანე.

— რომელი ქაღალდი? — გოგუტუნამ დედას ინტერესით აჰხედა.

— აი, ეს.

— მამიკოს?

— მამიკოს.

— მომეცი!

გოგუტუნას მამამისი თავდავიწყებით უყვარდა. დედას ქაღალდი გამოგლიჯა და ჯიბრაილის ოთახისკენ ფეხების უსა-

შველო ტყაპა-ტყუპით გაიქცა.

— ირინე სწრაფად გატრიალდა, საძილე ოთახში შევიდა, სარკეში ჩაიხედა, თმები შეისწორა, შეფაკლულ ლოყებზე ხელისგული ჩამოისვა... სავარძელში ჩაჯდა და ლოდინს შეუდგა.

კარმა ხუთიოდე წუთის შემდეგ გაიჭრიალა. ოთახში ჯიბრაილი შევიდა. მარჯვენა ხელში წერილი ეჭირა. წერილი ტუალეტის მაგიდაზე დააგდო და ირინეს პირდაპირ მეორე სავარძელთან გაჩერდა.

ირინე გულხელდაკრეფილი იჯდა, სავარძელს ზურგით მისწოლოდა და ფანჯარაში გაუნძრევლად იცქირებოდა. ჯიბრაილმა შეამჩნია, რომ მის ცოლს ტუჩები ოდნავ შესამჩნევად უთრთოდა.

„ხომ არ ჰგონია, რომ პირველი მე დაველაპარაკები"? — ზიზღით გაიფიქრა ირინემ.

არა, ცოლის სიამაყის დამცირება ჯიბრაილს ფიქრადაც არ მოსვლია. იგი უბრალოდ დაბნეული იყო და არ იცოდა, რა ეთქვა, ლაპარაკი რითი დაეწყო. ამ წუთში იგი თავიდან ბოლომდე —ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებდა. ბოლოს განგებ, უხერულად ჩაახველა და წერილი ისევ აიღო.

— წავიკითხე. წავიკითხე მე ეს, ირინე.

— მერე? ირინემ ჯიბრაილს პირდაპირ თვალებში შეჰხედა.

— რა ვიცი... — ჯიბრაილს უაზროდ გაეღიმა. — რაღა დროის ჩემი ამისთანებია?

ჯიბრაილი დადუმდა. ირინემ ტუჩები ზიზღით შესტეხა და ისევ ფანჯარას მიაჩერდა. მერე თავი ნელა მოაბრუნა და ჯიბრაილს ისევ თვალებში მიაჩერდა. ხმის ამოღება და რამის თქმა კი ფიქრადაც არ მოსვლია.

არა, ირინე ახლა ნამდვილად არ იყო საიმისოდ განწყობილი, რომ ჯიბრაილის მდგომარეობაში შესულიყო და ქმრის რომელიმე მოსაზრებისათვის ანგარიში გაეწია. ირინემ გადაწყვიტა, ჯიბრაილს ატესტატი უნდა ავაღებინოო, და საქმესაც შეუდგა. მორჩა და გათავდა. ამის მეტი ირინეს ახლა აღარაფერი აინტერესებდა. სულ ოდნავი წინააღმდეგობა და — ცოლი ჯიბრაილს სამუდამოდ გაიმეტებდა. ეს ნათლად წერია ირინეს შავ, ცეცხლოვან თვალებში. გარდა ამისა... გარდა ამისა, ირინე იმ წუთებში ისეთი ლამაზი, ისეთი მიუწვდომელი და მოხდენილი იყო, რომ...

ჯიბრაილს უეცრად გიჟურად მოუნდა, ეს თავისი მრისხანე, უკმეხად მომზირალი, ამაყი და მიუკარებელი ცოლი ჭკერდზე მიეკრა, ჩაეკოცნა, ალერსით დაედნო... პირდაპირ თვალთ უბნელდებოდა. რაღაც არაადამიანური ძალა მოიხმო და თავი შეიკავა. წერილი ისევ ფრთხილად დასდო ტუალეტის მაგიდაზე.

. — სწავლა, რა თქმა უნდა, ყველასთვის საჭიროა. მაგრამ... მოხერხდება კი ეგ?

— ეგ ადამიანები გვწერენ, ჩამოდით და მოვილაპარაკოთო.

— ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ჯიბრაილს სათქმელი ვეღარაფერი ეპოვნა და ვეღარც ოთახიდან გადიოდა. ირინეც გაუნძრევლად, გულხელდაკრეფილი იჯდა სავარძელში და ფანჯარაში იცქირებოდა. ასე გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი... ბოლოსდაბოლოს, ჯიბრაილი ალბათ მოტრიალდებოდა და გამოვიდოდა; იქნებ, ცოლი და ქმარი ისევ უბრადაც დარჩენილიყვნენ. მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა: ირინემ რატომღაც ღრმად, გაბმით ამოისუნთქა.

ყველაფერი ამ ამოსუნთქვამ გადაწყვიტა. ჯიბრაილმა თავი ვეღარ შეიკავა, ერთი ნახტომით ირინესთან გაჩნდა და მკლავები მაგრად მოხვია.

—რას შვრები... ჯიბრაილ... ბავშვი...

— ირინე!

— ბავშვი! გამიშვი... — ირინემ იმძლავრა, აბორგებულ ქმარს მკლავებიდან გაუსხლტა და ერთი წუთის შემდეგ გოგუტუნას ოთახში გაღიმებული, თმების სწორებით შევიდა.

* * *

მთელი ეს დღეები, სანამ ირინე მასთან დაუბრებული იყო, ჯიბრაილმა მტანჯველ ფიქრებში გაატარა. არა, სულის სიღრმეში თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ირინე მას არ მიატოვებდა და ოჯახს არ დაუნგრევდა. ირინე ისეთი ქალი არ იყო, რომ ჯიბრაილს ცოლად რაღაც დიპლომების თუ თანამდებობების ხათრით გაჰყოლოდა. ესეც არ იყოს, ირინეს რომ ქმართან განშორება ეფიქრა, ხალხი სასაცილოდ აიგდებდა, ამდენი წელიწადია, კაცთან ცხოვრობ, თქვენს ოჯახში ერთი ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია და ახლა, რაღაც ფარატინა ქაღალდის გულისთვის... არა, ირინე ამაყი ქალი იყო და თავს სასაცილოდ არავის აიგდებინებდა. ამაში ჯიბრაილი ურყევად იყო დარწმუნებული. მაგრამ ყოფილ უბნის უფროსს მაინც მძიმე ფიქრები ერეოდნენ. სიყვარული, თავმოყვარეობა და ცოლქმრული ერთგულება — ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მაინც — ერთის მხრივ ნასწავლი, განათლებული და ყველგან გზახსნილი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მთელი ცხოვრება წინა აქვს და ამ ცხოვრების კიბეზე სულ მაღლა და მაღლა ივლის, ვინ იცის, რა მწვერვალებს მიაღწიოს; მეორე მხრივ კი — თვითონ ჯიბრაილი, ერთი სოფლელი, უსწავლელი, უბირი ბიჭი, რომელსაც მხოლოდ მანამდე ეფერებოდნენ და უკმევდნენ გუნდრუკს, სანამ ჰირდებოდათ. ახლა კი, როგორც კი ფეხი ოდნავ გადაუბრუნდა, უბოდიშოდ ძირს ჩამოაბრძანეს და აგერ, სადაცაა, სახლში ტელეფონსაც კი მოუხსნიან. რისი იმედი უნდა ჰქონდეს ამ ცხოვრებაში რვაკლასდამთავრებულ ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს? არაფრის.

როცა გოგუტუნამ წერილი შემოურბენინა, ჯიბრაილმა ჩაიკითხა და დაინახა, რომ მისი პატარა, უკმეხი, მისი ირიბთვალა ცოლი ისევ მასზე ზრუნავდა და თავისი ცხოვრება, თავისი მომავალი უჯიბრაილოდ ვერც კი წარმოედგინა, ჯიბრაილს უეცარი, უნაპირო სიხარულისგან თვალთ დაუბნელდა და გულიც კი აუჩვილდა. გოგუტუნა მაღლა აიტაცა და კოცნით კინაღამ დაახრჩო. არა, კაცს ცხოვრებაში არაფრის არ უნდა შეეშინდეს. თუ მხარში ერთგული მეგობარი გიდგას, ადამიანი ყველაფერს დაძლევს და მოერევა.

არასოდეს ჯიბრაილს თავისი ცოლი ისე არ ჰყვარებია, როგორც იმ წუთებში. ერთ ადგილზე ვეღარ ეტეოდა. ბორგავდა, ოთახის კუთხეებს აწყდებოდა და თან საკუთარ თავსაც ვერ უტყდებოდა, რომ ირინეს თან ერცხვინებოდა და თან მისი სიახლოვე გამოუთქმელად სწყუროდა და უიმისობა ერთი წამითაც კი აღარ შეეძლო. ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა, ის რაღაც ანაზდეული მორცხვობა თუ გაუბედაობა დასძლია და ირინესთან შევიდა. ირინე აკი გამოელაპარაკა კიდეც. მაგრამ ახლოს არ მიიკარა. არა, მოულოდნელი ამაში არაფერი იყო. ირინე გოგუტუნას სანაქებოდ ზრდიდა და არაფრის გულისათვის საყოველთაოდ მიღებულ წესებს არ დაარღვევდა.

ჯიბრაილმა გულისთქმა დროებით ჩაიხშო და ლოდინს შეუდგა.

ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ამ საღამოს ჯიბრაილს ცოლი უნდა დაბრუნებოდა. ირინემ გოგუტუნა შედარებით ადრე დააწვინა დასაძინებლად. დაძინების წინ ბავშვს რაღაც ზღაპარი ჩვეულებისამებრ ახლაც უამბო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევად. ჯიბრაილს არც ეს გამოჰპარვია. როგორც კი ბავშვის ფშვინვა გაიგონა, ირინე მაშინვე წამოდგა, სინათლე გამორთო, კარი ფეხაკრეფით გამოიხურა და საძილე ოთახში შევიდა. ჯიბრაილი თითქმის ფეხდაფეხ შეჰყვა, საწოლთან მიეწია, წელზე ხელი მოჰხვია და თავისკენ მოატრიალა. ირინეს ლოყები ბროწეულივით უღუოდა. თვალებში კი მორჩილება ეწერა — სწორედ ის, რაც იმ მოგრძო, ირიბად გაჭრილ თვალებში ასე იშვიათად იელვებდა ხოლმე.

— მოიცა... — რბილად უთხრა ირი-

ნემ ჯიბრაილს და მისი ხელი მოიშორა, — ბავშვს არ სძინავს...

—რომ არ ეძინოს, შენ აქ არ გამოხვიდოდი. — ჯიბრაილს სუნთქვა ეკვროდა და ძლივს ლაპარაკობდა. არასოდეს თავისი პატარა ცოლის სხეული, გულმკერდი, წელი, კისერი, ტუჩები, თვალები — არასოდეს ეს ქალი ისე არ ნდომებია, როგორც ახლა.

ირინემ თავი მიატრიალა და სინათლის გამომრთველს შეჰხედა. არა, ამის დრო ახლა არ იყო. ჯიბრაილმა ცოლს მაგრად მოჰხვია მკლავები და ჰაერში აიტაცა. მაგრამ ამ დროს მოულოდნელად შემოსასვლელი კარის ზარი აწკრიალდა; ირინემ ჯიბრაილს ხელი ჰკრა და კაბის სწორებით აბაზანისკენ გაიქცა. ჯიბრაილი კი მოეშვა, თმებზე ხელი მაშინალურად გადაისვა და კარის გასაღებად ტალანში გავიდა.

კარებში ბორჯომის ბოთლივით მხრებჩამოყრილი არქიფო ცალუღლიშვილი იდგა და უკბილო პირით ხათრიანად, მორიდებით იღიმებოდა. ჯიბრაილის დანახვაზე ქუდი სწრაფად მოიშვლიპა, თითქოს ჯარისკაცს გენერალი გამოეცხადაო და ყოფილ უფროსს მდაბლად თავი დაუკრა.

—გამარჯობა, ჩემო ჯიბრაილ ბატონო, გამარჯობა!..

— ოჰ, არქიფო ხარ? შემობრძანდი. რამ გაგახსენა ჩემი თავი?

— შენი თავი ვინ მამაძაღლს დაავიწყდება, ჩემო ჯიბრაილ.

არქიფოს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია, ჯიბრაილს ფეხდაფეხ შემოჰყვა, და ქუდი ტალანში კაპარჩხაზე ჩამოჰკიდა, მაგრამ ეს გააკეთა თუ არა, წეღანდელი ხათრიანი გამომეტყველება სახიდან თვალის დახამხამებაში გაუქრა. არქიფოს წვერგაუპარსავ, ნაოჭებიან სახეზე მოწყენილობამ და დარდმა დაისადგურა.

— აქეთ მობრძანდი.

ჯიბრაილი სტუმარს თავის ოთახში შეუძღვა. სავარძლებში ერთმანეთის პირისპირ ხმაამოუღებლად ჩასხდნენ. არქიფომ პაპიროსი გააბოლა და ჯიბრაილს რატომღაც ნიკაპზე მიაჩერდა. თითქოს თავისი სადარდებელის პასუხი იქ უნდა ამოიკითხოსო.

— სხვა? — ჯიბრაილმა პაპიროსი თვითონაც გააბოლა. — როგორ ცხოვრობთ? როგორ მუშაობთ?

— იჰ! — არქიფომ ხელი ანჩხლად ჩაიქნია და ჯიბრაილის ნიკაპს მზერა დიდი გაჭირვებით მოწყვიტა. — არ იცი, როგორცა ვცხოვრობთ და ვმუშაობთ? ყველაფერს გეტყვი, ოღონდ ეს პაპიროსი მომაწევინე.

ჩვეულებრივ ადამიანები პაპიროსსაც ეწევიან და იმავე დროს სხვა საქმეებსაც აკეთებენ: ამბებს ჰყვებიან, კითხულობენ, წერენ, რანდავენ, თლიან, ჭედავენ... არქიფოს კი ესენი არაფერი შეეძლო. პაპიროსს რომ მოუკიდებდა და გააბოლებდა, სანამ ბოლომდე არ ჩაჭიდოდა, სხვას ვეღარაფერს გააკეთებინებდით. ქვეყანა რომ დაქცეულიყო, აინუნშიც არ ჩააგდებდა. ახლაც ასე იყო: არქიფო იჯდა და პაპიროსს აბოლებდა, ჯიბრაილი კი იჯდა. ისიც აბოლებდა და არქიფოს ალაპარაკებას უცდიდა.

• • •

იმ საღამოს ერთი მოულოდნელი და უსიამო ამბავი მოხდა.

როგორც ყოველთვის იმ საღამოსაც მეშახტეები გერასიმესთან შეიკრიბნენ. შემოდგომობით გერასიმეს ცოლს სოფლიდან ოჯალეში ჩამოჰქონდა ხოლმე და ოჯახის მეგობრებს „ასინჯებდა“. ილაპარაკეს ამ მთის, იმ ბარის... მთავარი სალაპარაკო, კი ამჯერად უბნის ახალი უფროსი თეიმურაზ არჯევანიძე იყო. უმრავლესობა იმ აზრს გამოთქვამდა, რომ, მართალია, სარდიონმა ცოტა იჩქარა, როცა ამოდენა უბანი გამოუცდელ ინჟინერს ჩააბარა, მაგრამ თვითონ ეგ ბიჭი კი საქმიანი და დაჯერდული ჩანსო; არასოდეს ზედმეტ სიტყვას არ იტყვის, ყველაფერს გულდასმით უკვირდება, ისეთი გულისხმიერი მოსმენა იცის, რომ გაგეხარდება. თვალდათვალ ჰხედავ, რომ

ტყუილია, თვალისასახვევად კი არ გისმენს, არამედ საქმე მართლა აინტერესებს და, რომ იტყვიან, სანამ ღდინამდე არ ჩაჰყვება, არ მოეშვებაო.

— ვითომ, გამოგვადგება? — იმეღიანად იკითხა ნაყვავილარმა გლახუა ჭიაბრიშვილმა.

ყველანი გერასიმეს მიაჩერდნენ. ამ დღეებში საბოლოო სიტყვას ყველაფერზე მუდამ ეს ბერიკაცი ამბობდა.

— ღმერთმა იცის... — გერასიმემ ამოიხვნეშა და მხრები აიჩეჩა, — წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ ყველაფრით იმას ჰგავს, რომ მაგ ბიჭმა, ვითამ, უნდა ივარგოსავით. ჩვენს საქმეში, ყველამ იცით, იმას უმართლებს, ვისაც მიწისქვეშეთში ყოფნა არ ეზარება. მთავარი ეს არის. უმაღლესი მათემატიკა და ალგებრა მანდ არაფერი საჭიროა. მეშახტის გვერდით ყოფნა უნდა გიყვარდეს, იმისგანაც უნდა ისწავლო და შენც უნდა ასწავლო. ჰოდა, რატომ არ გაგიმართლებს? ბოლოსდაბოლოს, ისეთი რა არის? ჰოდა, ვაცალოთ. აგერ, ყველანი ერთად ვართ. ჩვენ ერთმანეთს ყველანი ვიცნობთ და ვენდობით. ჰოდა, მაგასაც ვაცალოთ მე ისე ვატყობ, რომ ეგ აქ დროს გასატარებლად არ უნდა იყოს ჩამოსული. საქმე უყვარს, ეტყობა. ჰოდა... — გერასიმემ აღარ დაამთავრა და ისევ მხრები აიჩეჩა. — რა ვიცი...

— ვითომ, ასე უმტკივნეულოდ ჩაივლის ეს ამხელა ამბავი? მაინც ეჭვიანად იკითხა ვილაცამ. ჯიბრაილის მოხსნა, მაგ ბიჭის დაყენება...

— მაგას ვინ ამბობს, ქრისტიანო?! ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. შეიძლება, შეცდომაც მოუვიდეს. შეიძლება, ავარიებიც მოგვიხდეს. მაგრამ ჩვენ თუ ერთად ვიქნებით და მაგ ბიჭსაც ჩვენი ნდობა ექნება, ეგება, მაინცდამაინც არც კი გაგვიჭირდეს.

— აგაშენა, გერასიმე, ღმერთმა!

— მეც აგრე ვფიქრობდი...

— უბანი რომ პირველ ხანებში ისევ ისე კარგად იმუშავებს, ამას ლაპარაკი არ უნდა. მანდ ახლა ყველაფერი აწყობილია. აი, მერე და მერე, მერე და მერე უნდა თვალყურის მიდევნება.

— ჰოდა, მერე მივადევნოთ. აგერ არა ვართ?

— ეგ ჩვენ უფრო გვინდა, ვიდრე მაგ ახალგაზრდა ინჟინერს.

— რა სალაპარაკოა!

ამ მასლაათსა და ოჯალეშის წრუპვაში არავის შეუმჩნევია, რომ კომბაინერი იულო სოფრომაძე აკლდათ. და კიდეც რომ შეემჩნიათ, შეიძლება, დიდად არც გაჰკვირვებოდათ. მართალია, იულო კარგად შეჰაღარავდა და ხანიც დაეტყო, მაგრამ მაინც ლამაზი კაცი იყო. ყოველ შემთხვევაში, ის ქალი, მისი გახმაურებული საყვარელი, აგრაფინა — ბუღალტერი მაინც არ ეშვებოდა და იულოს ცოლის მუქარასაც არაფრად აგდებდა. იულოსაც არ ეთმობოდა ეს ჩაპუტკუნებული, მუდამ ფერუმარილიანი და გამომწვევად ჩაცმული დედაკაცი. ზოგჯერ ნავახშმევს ცოლს ეტყოდა ხოლმე, აგერ, გერასიმესთან გადავალო და — აგრაფინასაკენ კი გადაუხვევდა. მეშახტეებს ამ საღამოსაც ასე ეგონათ.

მაგრამ ის იყო, მეშახტეებმა დაშლა დააპირეს, რომ ეზოში ძაღლი აყეფდა. როგორც კი გერასიმემ წამოდგომა და გახედვა დააპირა, ძაღლი ისევ მიწყნარდა. ესე იგი, ვიღაც შინაური იყო. მართლაც, კარი ჭრიალით გაიღო და იულო სოფრომაძე შემოვიდა.

— ჩვენ მივდივართ და შენ ახლა მოხვედი? — უთხრა ვიღაცამ.

— მოვედი... საქმე ისეა, რომ მოუსვლელობა აღარ შეიძლებოდა.

— რაო?! — მეშახტეებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს.

— სახლში ხომ არაფერი...

— არა! — იულომ ხელი ჩაიქნია. — თუ არ გეჩქარებათ, დაჯექით და ყველაფერს გიამბობთ.

— რა გვეჩქარება, რა...

— დასხედით, ხალხნო!

— ხვალაც ამ თვის არ არის?

გერასიმემ კარადიდან ჭიქა გამოი-

ლო, იულოს დაუდგა და ოჯალეშიანი დოქიც მოიმარჯვა.

— გმადლობთ! — იულო ჯდაჯდა და ოჯალეშიანი ჭიქა ასწია, მაგრამ არ დაულევია. ჭიქა გვერდით გადადგა, და ამხანაგებს რაღაც მოულოდნელი, ალერსიანი მზერა მოავლო, — ჰო... ერთი სიტყვით, ხალხო, ჩვენ რომ ამდენი ხნის ამხანაგები ვართ და ამდენი ჭირვარამი ერთად გადაგვიტანია, როცა რომელიმე ჩვენგანს რამე საქმე გაუჩნდება, თუ ერთმანეთს არ ვუთხარით და არ გავუზიარეთ, აბა, სხვას ვის უნდა გავუზიაროთ? ასე არ არის?

— ასეა, ასე... — აუჩქარებლად დაუდასტურეს მეშახტეებმა და ისევ ერთმანეთს გადახედეს. — მერე?

— მერე ის, ჩემო ძმებო და ამხანაგებო, რომ... ოღონდ, ახლავე გთხოვთ, სხვანაირად არ გამიგოთ და ისეთი არაფერი დამაბრალოთ, რაც მე არც მიფიქრია და არც ვიფიქრებდი. ეს ნუ იქნება. ჰო! მე მაინც თქვენი ვარ და თქვენი. ოღონდ... მიტუშა კაიმამიშვილს ხომ იცნობთ?

— ვიცნობთ, როგორ არ ვიცნობთ!

— პირველი შახტიდან? ვიცნობთ.

— მერე?

— მერე და — აგერ, წელიწადიც იქნება, აღარ მეშვება, ეგ მართლა სულთამხუთავი! მაგისი უბანი ხომ მოწინავეა, ახლა ისეთი მაჩვენებლები აქვს, რომ უკეთესი ნუ გინდა. მაგრამ რაღაც რეკორდის მოხსნა განუზრახავს, თუ რაღაც ამგვარი... ერთი სიტყვით, ასე მეუბნება, თუ შენ ჩემს უბანზე არ გადმოსულხარ და მხარში არ ამომდგომიხარ, კაცი აღარ გერქვასო. კაცო, ვეუბნები, ჩვენს უბანზე ისეთი ამბავი დატრიალდა, ახლა იქიდან წამოსვლა პირდაპირ დეზერტირობა იქნება-მეთქი. არა და არა, არაფრის გაგონება არ უნდა. არადა, მაჩვენებლები მართლაც ისეთი აქვს, რომ...

— რავა, კაიმამიშვილი აქამდე უკომბაინეროდ იყო?

— არა, უკომბაინეროდ როგორ იყო, ჰყავს ერთი, მაგრამ... ვერ იმაშობა, რაქვია... ნახშირის ფენას ვერაფერი გაუგო. იქ ხომ მესამე პლასტია. მაგისთანა აკლაკნილ-დაკლაკნილი პლასტი კი ჯერ ადამიანიშვილს არ მოსწრებია. ჰოდა, ის კომბაინერი, ის მამაცხონებული, კომბაინს ხან ჭერში შეჩხირავს და ცხვირს მიწაში ჩააყოფინებს. ერთი სიტყვით, ეწამებიან. ის კომბაინერი რომ არა, კაიმამიშვილისთანა უბანი სანთლით საძებნი იქნება.

— მერე?

— მერე და, ვეუბნები, შენ ხარ ჩემი ბატონი, ველაპარაკები ამ მიტუშას, ახლა უბნიდან წამოსვლას არავინ მომიწონებს და არც მე თვითონ მიშვება გული-მეთქი. მაგრამ ვერაფერი შევაგნებინე. ახლა არ იკითხავთ, საიდან შემომიარა? საკითხს ტრესტში დავაყენებო. ჩემისთანა მაჩვენებლები ახლაც არავისა აქვს და თუ კიდევ უფრო გავაუმჯობესებ, ეს ტრესტის სახელიც იქნებაო. ჩვენო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ყველანი ერთ სამშობლოს ვემსახურებითო. ტრესტს კი წინ ვინ დაუდგებაო.

— შენ რა უპასუხე?

— ბიჭო, კაკო... მე ახლა... რა... ტრესტს მე მოვერევი?

— გასაგებია.

— არა, ხალხო, თქვენ იმნაირად არ გამიგოთ.

— არა! — გერასიმემ ოჯალეშიანი დოქი იულოს ზედ ცხვირწინ ააცალა და გვერდზე გადადგა. — ჩვენ არც იმნაირად გავიგებთ და არც ამნაირად. თანხმობა უკვე უთხარი?

— არა, თანხმობა ჯერ არ მითქვამს, მაგრამ მე ტრესტის მომრევი ვარ?

— ჰმ! — გერასიმე იულოს შიგ თვალებში მიაჩერდა.

— პირდაპირ ასე გეთქვა. — ალაპარაკდნენ მეშახტეები.

— რა შორიდან მოგვიარე?

— იკლიკანტობს რაღაცას...

— მართლა სული არ ამოგვართვა.

— იულო, რას გეტყვი, იცი? მოიხედე, იულო! აი, მართლაც ფუი შენს კაცობას!

— ე… შეურაცხყოფის უფლება… ე… ეგ…

— მოიცათ, მოიცათ. — გერასიმემ მაგიდას თითი მაგრად დაუკაკუნა. — როდის გადადიხარ.

— ალბათ, იმ კვირაში გაფორმდება და…

— წაბრძანდი, ბატონო! წავიდეს, ხალხო. გესმით. ან კი ჩვენ რა უფლებით უნდა დავაკავოთ?

— გერასიმე, ხალხო… ისე ნუ გამიგებთ, თითქოს მე…

— არა, ბატონო! ნუ წუხდები. ჩვენ ყველაფერი კარგად გვესმის.

— გაათავეთ! — მრისხანედ დაიყვირა ჭიაბრიშვილმა.

იულო წამოდგა. თავის ქნევით ამოიოხრა და ხელები ისე გაშალა, თითქოს უნდოდა ეთქვა, სიმართლის თქმას ვაპირებდი, მაგრამ რა ვქნა, აღარ მაცლითო. გატრიალდა და დაუმშვიდობებლად წავიდა კარებისაკენ.

იულოს წასვლის შემდეგ მეშახტეებს კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ. ყველაზე უფრო დაძმარებული გერასიმე იყო. იულომ კომბაინის ასავალ-დასავალიც კარგად იცოდა, უბნის სანგრევებსაც კარგად იცნობდა და, თითქოს, ხალხთანაც შეხმატკბილებული იყო. ასაკითაც ბავშვი აღარ ეთქმოდა. თუ ასეთებიც უკვე ღალატის გზას დაადგნენ და უბნიდან გარბიან, ხვალ და ზეგ რაღა იქნება? არადა, ვინმეს არც იმისი უფლება აქვს, რომ მეშახტეს უბნიდან უბანზე, ან თუ გინდ შახტიდან შახტზე გადასვლა აუკრძალოს. ან თვითონ გერასიმეს რა ღმერთი გაუწყრა? ეგ იყო, ჯიბრაილის მოხსნის დღეს რომ წამოიძახა, მაგ უბანზე ჯვარი კი არ დამიწერიაო. აი, ის ერთი დაუფიქრებელი წამოძახილი სოფრომაძემ როგორ გამოიყენა.

მეშახტეები ისე დაიშალნენ, რომ ერთმანეთს აღარც კი გამოლაპარაკებიან.

• • •

არქიფომ პაპიროსი ბოლომდე ჩაათავა და ეს ამბავი ჯიბრაილს დაწვრილებით უამბო.

ჯიბრაილი წარბშეკრული იჯდა. აი, როგორ თვალსა და ხელს შუა იშლება და იფანტება მისი შრომითა და ოფლით შედუღაბებული, ჯერ კიდევ გუშინ საამაყო და სახელგანთქმული მესამე უბანი. მაგრამ ჯიბრაილს ახლა რაღა შეუძლია?

— მერე? — ჯიბრაილმა ახალი სიგარეტი გააბოლა.

— რა — მერე? — არქიფოს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— მერე რა შემიძლია?

— ჰმ!…

ეტყობოდა უბნის მეშახტეები ისევ დარწმუნებულნი იყვნენ, ჯიბრაილი ყოვლისშემძლე კაცია და რასაც მოინდომებს, ყველაფერს მიაღწევსო. როდის გაიგებენ, რომ ჯიბრაილი არარაობად იქცა?

— ნუ გაუშვებენ. — ჯიბრაილმა ბოლის სქელი ტალღა გამოუშვა.

— ვის?

— სოფრომაძეს.

— მაგისი უფლება ვისა აქვს. ეს ერთი და. მეორეც, თუ კაცს შენთან მუშაობა აღარ უნდა, ძალათი რა იქნება?

— ეგ მართალია.

— მერე?

— რა მერე?

— რამე გვისაშველე, ჯიბრაილ.

— ეჰ! — ჯიბრაილი თავის ქნევით წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. „რამე გვისაშველე, ჯიბრაილ“. როგორი მოსასმენია?

— სარდიონმა იცის?

— ეცოდინება.

— ღვინოს დალევ?

— რაო?!

— ღვინოს თუ დალევ-მეთქი. კარგი ქვიშხურა მაქვს.

— ჯიბრაილ, შენ ხუმრობის ხასიათზე ხარ?

— აბა, რა პატივი გცე?

— რა დროს პატივი და ჰარიარალოა! ადექი და თუ რამე შეგიძლია, უბანს მიხედე. სანამ მთლად არ დაგვიაინებულა.

— უბნის უფროსი მე რომ აღარა ვარ, არ გაგიგია?

— მერე რა, რომ აღარა ხარ"!

— ეჰ! ადამიანო...

— რა ადამიანო? შენს სიტყვას უბანზე ახლაც მეტი გასავალი აქვს, ვიდრე... ერთი სიტყვით, ჯიბრაილ...

— კარგი! — შეაწყვეტინა ჯიბრაილმა. — გავიგე. ქვიშხურა მართლა არ გინდა?

— აღარ გამაგონო!

— ჯიბრაილს გაეღიმა. მერე ხელები ფართოდ გაშალა და არქიფოს ამით აგრძნობინა, მეტი სალაპარაკო მე და შენ აღარაფერი გვაქვსო.

....

ოთახში შებრუნებულ ჯიბრაილს ირინემ მიმლოდინე, ოდნავ შეშფოთებული მზერა შეაგება. ქალმა მაშინვე შეამჩნია, რომ ჯიბრაილი უგუნებოდ შექმნილიყო.

— თავს აღარ განებებენ?

— რა ვქნათ? ეგენიც ხალხია, ირინე.

— ესე იგი?

— არაფერი. წავიდეთ. როგორც შენ გინდა, ისე გავაკეთოთ.

* * *

ირინე მეორე დღესვე ტრესტის განყოფილების გამგესთან შევიდა და შვებულება გაიფორმა. მერე ბავშვთა ბაღის გამგე გააფრთხილა, გოგუტუნა ერთი თვით მიმყავსო. საღამოს სამივენი მატარებელში ჩასხდნენ და ქუთაისს გაემგზავრნენ. ოღონდ, სიმართლე უნდა ითქვას, ჯიბრაილი ირინეს ხათრით უფრო მიდიოდა. მას ცალკე იმის დარდი აწუხებდა, ვინ იცის, ამ ერთ თვეში უბანზე რა ვაიუშველებელი დატრიალდეს და უკან დაბრუნებულს ხალხმა რა ქვა და გუნდა მომაყაროსო. ცალკე კი ცივი ოფლი ასხამდა იმის წარმოდგენისას, რომ ამოდენა ცოლშვილიანი ვაჟკაცი, კანჭებტიტველა გოგო-ბიჭებში უნდა გარეულიყო და საშუალოს ატესტატის ასაღებად ეჩალიჩა.

## თავი X

ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი ცოლიანად ქუთაისში წასულაო — ეს ამბავი სარდიონს კახაბერ გურასაშვილმა შეატყობინა. იმ დღეს მესამე უბნის ახალ უფროსს თეიმურაზ არჯევანიძეს ცვლის მეშახტეებისთვის პირველი დავალება უნდა მიეცა და სარდიონი დილიდანვე შეფიქრიანებული და წარბშეკრული იყო. არა, უბანზე ცუდი ამბის მოლოდინი სულაც არ ჰქონია. ორივე სანგრევი წინა საღამოს სარდიონმა საგულდაგულოდ შეამოწმა. მაგრამ მაინც — ვინ იცის! მიწისქვეშეთი რა ბნელეთია, ის ოხერი! ისეთ დროს დაგაღალატებს, რომ... აქ კიდევ კაბინეტში გურასაშვილი შევიდა და...

— საიდან გაიგე?

— რაღა საიდან გავიგე, მთელი ქალაქია და ეს ამბავი.

— ქალაქს სხვა საქმე გამოელია?

— ასე კია და!...

— როდის, ვისთან, რამდენი ხნით წასულან?

— ეგ არავინ იცის.

— ჰმ!

ცოდვა გატეხილი სჯობია, მთელი ეს დღეები სარდიონს გულის სიღრმეში ურყევად სჯეროდა, რომ ჯიბრაილი, ყველაფრის მიუხედავად, ხელიდან არ გამოეცლებოდა და ამხანაგებსაც არ უღალატებდა. ბოლოსდაბოლოს, ისიც კი შეიძლება, უბანზე უბრალო ამწმენ-

დად მუშაობდე და მთელი უბნის, სამივე ცვლის მუშაობას წინ მიუძღოდე. ასეთი მაგალითები სარდიონმა მრავლად იცის, და სხვებისთვის ასეთი სამსახური თვითონაც არაერთხელ გაუწევია. სარდიონი ჯიბრაილსაც ასეთ ვაჟკაცურ, სულგრძელ ადამიანად თვლიდა და ამიტომაც აფასებდა. ახლა კი... აი, თურმე, როგორ შეიძლება ადამიანში მოტყუვდე. უბანზე ახალი ცხოვრება დღეს იწყება და ჯიბრაილი ქუთაისში სწორედ დღეს წაბრძანებულა. ან იმ ქუთაისში რა ეშმაკი უნდა?

— ალბათ, ატესტატის საქმე უნდა მოაგვაროს. — თითქოს სარდიონს მიუხვდაო, ხმამაღლა ივარაუდა გურასაშვილმა.

— თმაში თეთრი ისე გამოერია, რომ ატესტატი არ გახსენებია და ცეცხლი მაინცდამაინც დღეს წაეკიდა?

— როცა თანამდებობა წაართვეს, ცეცხლიც მაშინ წაეკიდა.

— ეჰ! — სარდიონმა ხელი ჩაიქნია. — მანდ ირინე ქარცივაძის ხელი ურევია. მაგრამ — მორჩა! წავიდეს და იაროს. მაგ ერთ უბანს როგორმე ჩვენც მოვუვლით. შენ რას შვრები?

— რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე.

— სანგრევებში იყავი?

— გახლდით, ერასტოვიჩ! ღამის ორი საათი იქნებოდა, ზევით რომ ამოვედი.

— მერე? — მე მგონი, ყველაფერი რიგზეა.

— მეც ასე მგონია.

— ვიცი. ისიც ვიცი, უბანზე თქვენც რომ ბრძანებულხართ.

— როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. აბა, რაღას ვუყურებთ? ჩავიდეთ.

შახტის უფროსი და მთავარი ინჟინერი კაბინეტიდან გამოვიდნენ და მერმე უბნის სამორიგეოსკენ მიმავალ კიბეებს დაჰყვნენ.

— ერთი რამ არასდიდებით არ დაგავიწყდეს, კახაბერ, — ელაპარაკებოდა გზადაგზა სარდიონი გურასაშვილს. — წვრილმან მეურვეობას რომ ეტყვიან, აი, ის არ გამოგვივიდეს. ჩვენ თუ მაგ ბიჭის მაგიერ ვიმუშავეთ, ყველაფერზე მაგის მაგიერ ვიფიქრეთ და ყველა წვრილმან-მსხვილმანი მაგის მაგიერ გადავწყვიტეთ, მაგას მეშახტეებში ავტორიტეტი სულ დაეკარგება და ველარასოდეს მიაღწევს. ჩვენ კი ისე მოვიქცეთ, აი, ფრთხილად, გულისყურით, მოზომილად... მეშახტეები უნდა დარწმუნდნენ, რომ მაგ ბიჭს ყველაფერში ვენდობით და თუ ხანდახან ვამოწმებთ და კიდეც ვეხმარებით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახალია, ხალხსა და უბნის პირობებს არ იცნობს და... აი, ასე. ხომ სწორედ ვლაპარაკობ?

— რა თქმა უნდა, ერასტოვიჩ!

— ჰოდა, აბა, შენ იცი!

მართლაც, მესამე უბნის სამორიგეოში სარდიონი და კახაბერი ისეთი გამომეტყველებით შევიდნენ, თითქოს სადღაც სხვაგან მიდიოდნენ და აქ შემთხვევით შემოიხედესო. ოთახში შეგროვილ მეშახტეებს ჩვეულებისამებრ ხელის აწევით, მხიარული ღიმილით მიესალმნენ, თეიმურაზს, ანთიმოზ ჩახუნაშვილს, გერასიმე ცნობილაძეს ხელი ჩამოართვეს და სკამებზე სასხვათაშორისო გამომეტყველებით ჩამოსხდნენ.

— აბა, რას შვრებით, ვაჟკაცებო? — სარდიონმა ჩაფხუტი მოიხადა და მუხლებზე დაიდო. — ემზადებით?

— ვემზადებით, ბატონო! — ყველას დაასწრო ანთიმოზ ჩახუნაშვილმა.

— კარგია. ჩვენც, მე და კახაბერმა. სწორედ მაგიტომ შემოგიარეთ. ამხანაგი თეიმურაზი ახალი კაცია. ა? მაგრამ უსაქმური არც მე და კახაბერი ვართ.

გერასიმე ცნობილაძემ ჩაფხუტი მოირგო და სარდიონს თავისი ერთადერთი თვალი შუბლქვეშიდან ხანგრძლივად გაუშტერა.

— უსაქმოდ თქვენი მტერი იქნა, ბატონო სარდიონ. — თქვა მან ბოლოს. — ანთიმოზ, მოახსენე.

— მოსახსენებელი დიდი არაფერია. — ანთიმოზმა დავალებების დავ-

თარი გადაშალა. — აგერ ყველაფერი წერია. ხელი თვითონ ბატონმა თეიმურაზმა მოაწერა. კომბაინით დღეს მესამე ციკლს გავივლით და სამშობლოს ორასამდე ტონა ქვანახშირს, რასაკვირველია, შევძენთ, თუ, რა თქმა უნდა, მშვიდობა იქნა.

— მშვიდობა ვითომ რატომ არ უნდა იყოს?

— მაგას ვინ ამბობს? მშვიდობაც იქნება და ქვანახშირიც. ეს იქნება, ესე იგი, ჩვენი ახალგაზრდა ინჟინრის ნობათი სამშობლოსადმი. ჰე-ჰე-ჰე!

— კომბაინს ვინ წაიყვანს?

— ჯერჯერობით ისევ იულო სოფრომაძე.

კუთხეში ხმაამოუღებლად მჯდომი სოფრომაძე სახეზე ოდნავ წამოწითლდა და პირი ფანჯრისკენ იბრუნა.

— გადასვლა ჯერ არ გაგიფორმებია? — ჩიქურ ჰკითხა მას სარდიონმა.

— ჯერ არა.

— იჩქარე, გულისნადები კაცმა მალე უნდა აისრულოს. სხვა? — სარდიონი ისევ ანთიმოზს მიუბრუნდა.

— მეტი არაფერი.

— კეთილი და პატიოსანი.

მთელი ამ საუბრის განმავლობაში თეიმურაზი მაგიდასთან იჯდა და უხმოდ, ოდნავ შემკრთალი იღიმებოდა. ახალგაზრდა ინჟინერი ძალიან ღელავდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს სანგრევები ორჯერ მოიარა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. იგი ცდილობდა მღელვარება არ დასტყობოდა. სარდიონმა ეს შეამჩნია და ახალგაზრდა ინჟინრის საქციელი გულში მოეწონა.

— აბა! — სარდიონი წამოდგა. — ახლა პირდაპირ გვითხარით: მე და კახაბერი გჭირდებით?

— რა საკადრისია! — გაისმა აქეთიქიდან.

— ჩვენ აქ არა ვართ.

— ბოლოსდაბოლოს ისეთი რა მოხდა? ამ კაცს, ბატონო, ინსტიტუტი აქვს დამთავრებული.

— ამ საქმეს რაც უფრო ნაკლებ გააძნელებთ, მით უფრო უკეთესი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, თქვენ იცით! — სარდიონმა ჩაფხუტი დაიხურა. — მე და კახაბერს ერთი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ისე, შახტზე ვიქნებით. თუ დაგჭირდეთ, დისპეტჩერს დაურეკეთ და ის მოგვნახავს. აბა, თეიმურაზ, გერასიმე, ბიჭებო! ყოჩაღად და ბედნიერად!

თეიმურაზი წამოდგა და ღრმად ამოისუნთქა. გერასიმე ცნობილაძემ მას გულსა და მხარზე ხელი მოუთათუნა. ანთიმოზმაც გაიღიმა და სამორიგეოს კარი ფართოდ გააღო. მეშახტეები ჩაფხუტების სწორებით დაიძრნენ და ორიოდე წუთის შემდეგ სამორიგეოში სარდიონისა და კახაბერის მეტი აღარავინ დარჩენილა. ამათ ერთმანეთს შეჰხედეს და ჩაეღიმათ.

— ცოტა სპექტაკლივით გამოგვივიდა. — ჩაილაპარაკა გურასაშვილმა.

— არა უშავს, დიდი ხანია, თეატრში აღარ ვყოფილვარ. წავიდეთ.

შახტის უფროსი და მთავარი ინჟინერი წამოდგნენ და შახტის სადისპეჩეროში ავიდნენ.

• • •

სანგრევში ჩასვლა ყველა მეშახტეს იულო სოფრომაძემ მოასწრო. იმ დღეს კომბაინი საგანგებოდ გაეწმინდა, კიდეც დაეზეთა და გასაშვებად მოემზადებინა. რა თქმა უნდა, იგი ამაოდ ცდილობდა, თავისი დანაშაული გამოესყიდა და უბანზე კარგი სახელი დაეტოვებინა. ასეთ დროს გაქცევას მას არავინ აპატიებდა. მაგრამ მაინც კარგი იყო, რომ უბნის ახალი უფროსის პირველი დავალება ასე საგანგებოდ გამართული კომბაინით უნდა შესრულებულიყო.

— მთელი სანგრევი ორჯერ მოვიარე. — ლიქნით მოახსენა სოფრომაძემ გერასიმეს. — ჭერი ყველგან სარკესავითაა მოკრიალებული და ოოტისოდენა ბზარიც კი არსად ეტყობა. დღეს თუ აქ რამე მოხდა და — რა ვიცი, მაშინ მე აღარაფერი მცოდნია. ტყუილად ღე-

ლავს ჩვენი სარდიონი. ამ კომბაინს ისე ავაგრიალებ სანგრევის ბოლში, რომ ერთხელაც არსად შევჩერდები. ჩვენს ახალ უფროსს ნამდვილად ბედი ჰქონია. რაც კარგად დაიწყება, ხომ იცი, კარგადაც გათავდებაო.

— კაიმამიშვილთანაც მაგიტომ გარბიხარ, ხომ?

— გერასიმე, კაცო... მე რა ტრესტის მომრევი კაცი მნახეთ. შენ მაინც გამიგე.

— კარგი, კარგი, გაგიგე. — გერასიმე თეიმურაზს მიუბრუნდა. — სანგრევი ერთხელაც ხომ არ ჩამოგვექრა?

— როგორც თქვენ ბრძანებთ.

— წავიდეთ. ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო.

გერასიმე და თეიმურაზი დაწყვილდნენ და სანგრევის უბეს გაჰყვნენ. მალე სიბნელეში ჩაიკარგნენ კიდეც.

— ჰაი გიდი! — იულო სოფრომაძემ რატომღაც თავი გადააქნია.

— რა იყო? — აგდებით ჰკითხა იორამმა.

— არაფერი. ეს უბანი საათივით ვინ ააწყო და ახლა...

— გული შეგტკივა?

— ეგ მე ვიცი.

— მაგ კომბაინს მიხედე! — იორამმა თვალები ავად აათამაშა. იულო გაჩუმდა. კარგად იცოდა, რომ იყო შემთხვევები, როცა მეშახტეებმა ათვალისწუნებულ ამხანაგს... ერთი სიტყვით, გაჩუმება არჩია. იქნებ, ამ წუთში ცოტათი კიდეც ინანა, აქედან გაქცევა რა მეჩქარებოდა, იქნებ, საქმეები ძველებურადვე კარგად იყოსო.

დანარჩენ მეშახტეებს არ ეცალათ: ხელსაწყო-იარაღებს ამოწმებდნენ და სამუშაოდ ემზადებოდნენ.

— ეჰე-ჰე-ჰეი! — მოისმა ანაზდად სანგრევის ზედა ბოლოდან გერასიმეს ყრუ, ნესტით დახშული შეძახილი.

— ჰო-ჰოოოოუუ! — მყისვე უპასუხეს აქედან.

— სოფრომაძე მზად არი?

— მზად არი, მზააად!

— ჩართოს!

იულო სოფრომაძემ ხელისგულებზე დაიფურთხა, სანგრევის ჭერს მზერა ერთხელაც შეავლო და კომბაინის ჩამრთველ ღილაკს თითი დააჭირა. ქანგისფერი, მოუხეშავი, ნიანგივით გრძელი და ულამაზო კომბაინი ზღაპრული ურჩხულივით აძიგძიგდა, აღრიალდა და ფოლადის გრძელი, წვეტიანი კბილებით ნახშირის მბრწყინავ ფენას ჩაათრინდა. ქვევით იმავე წუთში კონვეიერი ჩართეს. ამწმენდებმაც ხელისგულებზე დაიფურთხეს, ნიჩბები მოიმარჯვეს და ქვანახშირის პირველი ვეება ბელტი ქუხილით დახვავდა კონვეიერზე.

* * *

სარდიონი და კახაბერ გურასაშვილი სადისპეტჩეროში ისხდნენ. ერთმანეთის კი არა, საკუთარ თავებსაც არ უტყდებოდნენ, თორემ ორივე ძალიან ღელავდა. მათი მღელვარება დისპეტჩერსაც გადაედო და ყველას, ვინც კი რაიმე საქმეზე დარეკავდა, პირდაპირ გაავებული ძაღლივით უყეფდა. მესამე უბანზე დარეკვას კი კარგა ხანს ვერ ბედავდა, ცუდი არაფერი შემატყობინონო. მაგრამ არც მთლად დაურეკაობა შეიძლებოდა. ხუთის ნახევარზე გაბედა, დარეკა და იმავე წუთში სარდიონს სახეგაბრწყინებულმა მოახსენა კომბაინს უკვე ექვსი მეტრი გაუვლიაო.

— ერთი-ორი მაგდენიც და — მეტი არ გინდა. დღევანდელი საქმე გაკეთებული იქნება.

— გაივლიან, ერასტოვიჩ. — კედელს უთხრა ფერდაკარგულმა კახაბერმა. — ნამდვილად გაივლიან.

— მეც ეგ მინდა.

მაგრამ სადისპეტჩეროში სარდიონს გულმა მაინც ველარ გაუძლო. იმასაც ხედავდა, რომ დისპეტჩერს ანერვიულებდა და მუშაობაში ხელს უშლიდა. წამოდგა, დისპეტჩერს დაუბარა, თუ რამე მოხდეს, კაბინეტში ვიქნებითო, და კახაბერიც თან წაიყვანა. კაბინეტში კარადიდან მეოთხე კვარტალის სავარაუდო გეგმები გამოიღო და შეეცადა, ანგარიშსა და ფიქრში კახაბერიც ჩაეთ-

რია. ამას თვითონ კახაბერიც ცდილობდა, მაგრამ ბოლოს თავს ველარ მოერია და რვა საათზე სარდიონს უთხრა, დისპეტჩერს დავურეკავთ, ხომ არაფერი მომხდარაო.

— რამე რომ მომხდარიყო, თვითონ დაგვირეკავდა. — სარდიონი წამოდგა და კარადიდან კიდევ რაღაც ქაღალდები გამოიღო.

ათ საათზე დისპეტჩერმა დარეკა და მოახსენათ, კომბაინმა მთელი სანგრევი შეუფერხებლად გაიარა, ორასი ტონა ნახშირი ამოიღეს და მეშახტეები სანგრევის გადამაგრებას ამთავრებენო.

## თავი XI

რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, ნათია ავალიშვილი მით უფრო მკაფიოდ გრძნობდა, რომ მისი ურთიერთობა ბესარიონ მაგრაქველიძესთან აღარ შეიძლებოდა, მაგრამ ველარც უკან დასახევი გზები ეპოვნა. ხანდახან, როცა ჩაფიქრდებოდა, ნათიას ბრაზიც კი წაეკიდებოდა ხოლმე, ეგ სალახანა ამდენს როგორ მიბედავს და საერთოდ რამ აფიქრებონა, რომ როდესმე ცოლად წავყვებიო.

კაცმა რომ თქვას, ბესარიონს არასოდეს ძალა არ დაუტანებია ნათიასათვის. ეს ახალგაზრდა კაცი გარეგნულად მაინც თავდაჭერილობისა და ზრდილობის განსახიერება იყო. მათი ურთიერთობა ნათიას ნება-სურვილით მოხდა, და ბესარიონს ვერც გაამტყუნებდით იმაში, რომ მიზეზების ძებნით თავს არ იწუხებდა და მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რაც ხელთ ეპყრა. მართლაც და, რა ბესარიონ მაგრაქველიძის საქმეა, თუ ნათიას სახლში გული არ უჩერდება, საკუთარ დედაზე სამუდამოდ გულაყრილია, მამინაცვალი თვალით არ დაენახება, ბესარიონთან ურთიერთობა კი რაღაც ტკბილ და სამართლიან შურისძიებად მიაჩნია? ბესარიონმა ეს ყველაფერი არც კი იცის. თუ გაიგო, ძალიან გაუკვირდება და, შეიძლება, არც კი დაიჯეროს. მან მხოლოდ ის იცის, რომ მამამისს, კალისტრატე მაგრაქველიძეს, საიდანღაც და რატომღაც უამრავი ფული აქვს, მთელს თბილისში ცნობილ, პატივცემულ და ანგარიშის გასაწევ პიროვნებად ითვლება, თვითონ ბესარიონი კი ერთადერთი მემკვიდრეა მამამისის ქონებისაც და სხვა ყველაფრისაც, რაც კი შვილს მამისაგან რჩება ხოლმე. გარდა ამისა, — და მთავარიც სწორედ ეს არის, — კალისტრატე მაგრაქველიძე სიკვდილს ჯერჯერობით სულაც არ აპირებს, თითო დაჯდომაზე ხუთი-ექვს ბოთლ „ტიბაანს“ ერევა — ყველა სხვა ღვინოს ეს ურჩევნია და სახლში გამოულევლადაც აქვს, მაშინაც კი, როცა თბილისის მაღაზიებში ამ ღვინის ჭაჭანებაც კი არ არის, — და თუ ვინმემ ყურში თუნდაც ხუმრობით ჩააწვეთა, ეგერ, ბუჭუტა მარდალეიშვილის ვაჟიშვილს მამამისმა დაბადების დღეზე მთვარის ქვის ნატეხი აჩუქა და შენი ვაჟიშვილი იმ ჭორფლიან, უნდილ რობინზონაზე ნაკლები რითი არისო, — კალისტრატე მაშინვე გაწიწმატებით „მიიხედ-მოიხედავს“, გაიგებს, ე მთვარის ნატეხის შოვნა ვისი საქმე უფრო უნდა იყოს, ისე გაუკეთებენ, თუ ხარჯი დაჭირდება, და თუ დაჭირდება, რამდენი? თუმცა არა, რამდენიო — ეს საკითხი კალისტრატეს მაინცდამაინც არასოდეს აღელვებს. რამდენიც დაჭირდება, დაჭირდეს, კალისტრატე კი იმას ვერავის ათქმევინებს, სხვაზე ნაკლები მამააო. მერე კი, საქმე რომ მოთავდება, კალისტრატე თავის ვაჟიშვილს იმ ქვის ნატეხს უსათუოდ სხვების დასანახავად, მაგრამვითომ სასხვათაშორისოდ მიუგდებს, აქაოდა, ბიჭი არ შემიწუხდეს, მამაჩემს

დიდი ჯაფა მივაყენეო, ან ის არავინ იფიქროს, კალისტრატეს ეს რაღაცა მთვარის ნატეხი დიდი რაღაცა ჰგონიაო. და მერე შეიძლება ერთხელაც აღარ იკითხოს, ის ქვა ბესარიონმა ხორცის საკეპი მანქანის მღესავს აჩუქა, თვითონ ჯიბით ატარებს, თუ კარტში წააგო (თუმცა, კაცმა რომ თქვას, კალისტრატე შვილს კარტის თამაშს მაინცდამაინც არ უწონებს ხოლმე და ისიც კარგად იცის, რომ ბესარიონს ფულის კარტში უაზროდ წაგებას და ამით გამწარებას იმავე ფულის ლამაზად, ლაზათიანად დახარჯვა და ამით სიამოვნების მიღება ურჩევნია). ერთი სიტყვით, კალისტრატე არავის ათქმევინებს, თვითონ ფულებში იხრჩობა და ერთადერთ ვაჟიშვილს კი რაღაც საწადელი არ აუსრულაო. უკაცრავად! ვინც კაცია, ყველაფერში კაცია, კალისტრატე მაგრაქველიძის კაცობაზე კი თბილისში ქვებიც კი ლაღადებენ.

— ერთი რამ დაიხსომე, შვილო! — ეს სიტყვები კალისტრატემ ბესარიონს ნათიას თანდასწრებით უთხრა, იმ დღეს, როცა ბესარიონმა მოახერხა და თავის რჩეულსა და მეგობრებს საკუთარ ჭერქვეშ დედამისის ნახელავი საჭმელები აგემა. ასეთ მდიდრულ სუფრასთან ნათია ავალიშვილი თავის სიცოცხლეში არ მჯდარა. — ეს შენი ამხანაგებიც მე შვილებად მერგებიან და თუ იკადრებენ, ყური დამიგდონ და დაიმახსოვრონ. — ერთი იცოდე: მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში არაფრამდი არ გაერიო. აჰ! მთავრობასთან გასაყოფი და საჩხუბარი მე არაფერი მაქვს, პოლიტიკა და ამისთანები — გვერდზე, დანარჩენი — რაც შენ გინდა და როგორც შენ გინდა. ეს ბებერი მამაშენი მოკვდეს, თუ მისი ერთადერთი ვაჟიშვილი ვინმეს რამეში დააჩაგვრინოს.

ეს თქვა, გული განგებ აიჩვილა და გადმოკაკლული, ქონმორეული თვალებით სუფრას ამაყად გადაჰხედა, ვითომდა აი, დღევანდელ გაძაღლებულ ცხოვრებაშიც კი რანაირი გულითადი მამები შემოვრჩით ამ ქვეყანასო.

ნათია ავალიშვილი იმასაც გრძნობდა, რომ კალისტრატე მაგრაქველიძემ კარგად იცოდა ბესარიონისა და ნათიას ურთიერთობა. ძნელი სათქმელია, თვითონ კალისტრატეს ნათია სარძლოდ მოსწონდა, თუ არა. მთელ თბილისში ცნობილი ინტელიგენტური ოჯახის ქალიშვილი რძლად ვის არ ენდომებოდა, მაგრამ მობერებული საქმოსანი ცხოვრებასაც და ადამიანებსაც კარგად იცნობდა და მშვენივრად ხედავდა, რომ ბესარიონი და ნათია სულ სხვადასხვა თარგზე მოჭრილი, სხვადასხვანაირი აღზრდისა და გემოვნების ახალგაზრდები იყვნენ. კალისტრატე იმასაც კი ხედავდა, რომ ბესარიონს ნათია, იქნებ, სულაც არ უყვარდა; უფრო პატივმოყვარეობას იყო აყოლილი და უნდოდა, მთელს თბილისში თითით საჩვენებელი, ლამაზი, მოხდენილი და გამორჩეული ქალიშვილი ხელში ჩაეგდო. მაგრამ განა ეს პატარა მიზეზია? სიყვარულითა და ამისთანაობით როდის რა გაკეთებულა? მთავარი სწორედ ისაა, რომ ქვეყანას თვალი დაუყენო. ყოჩაღ, ბესარიონ! კალისტრატემ დომინიკას სანაქებო სუფრა გააშლევინა, ცნობილი მომღერლები დები ფცქიალიძეები მოიყვანა, — მადლობა ღმერთს, დები იქვე ახლოს, მესამე სახლში ცხოვრობდნენ, — და ახალგაზრდებს სამახსოვრო დრო გაატარებინა. მოსწრებული და გრძნობიერი სადღეგრძელოებიც ბევრი ითქვა, ზღაპრული საჭმელებიც ბევრი შეიჭამა და დედის რძესავით ღვინოც ბევრი დაილია. ერთი მოზრდილი ჭიქა ოჯალეში ნათიასაც დააცლევინეს — სვენებ-სვენებით, მაგრამ მაინც ბოლომდე! აბა, როგორ? კალისტრატეს ბიჭს ეს გოგო ცოლად უნდა, ხომ? კეთილი და პატიოსანი! ბრძანონ და ხუთასკაციანი, რვაასკაციანი, ათასკაციანი სუფრა „არაგვში“ იმ საღამოსვე გაიშლება. რაო? კუკუნახი და თავისნათქვამი გოგოა? თავს იფასებს? ვითომ — რაო, რა მინდაო? არა, არა, არა, მაინც, მაინც რა მინდაო? მე პროფესორის შვილი ვარ და ბავშვობაში

პიანინოზე დაკვრას მასწავლიდნენ, კალისტრატე კი სულ ახლახან გამდიდრდა და პიანინო სახლში მაშინ შემოიტანა, როცა ბესარიონი მეთვრამეტეში გადადგა? ვთქვათ, მართლაც ასე იყო? მერე რა? ეგ რა ლაპარაკია! არა, ბესარიონისა და მაგ გოგოს საქმეში კალისტრატე არ ჩაერევა, მაგრამ ის კი ყველამ იცოდეს: ჯერ არ მომხდარა, რომ კალისტრატეს რამე მოენდომებინოს და ვერ გაეკეთებინოს. ეს ერთი ციდა გოგო რა ყოფილა? საქმე ისაა, რომ ბესარიონი გადაჭრით ჯერჯერობით არაფერს ამბობს და ამიტომ კალისტრატე იცდის, საჩქარო აქ არაფერია. ოღონდ მაგ გოგოს საქმე ისე არ წაუვიდეს, რომ მაგრაქველიძეებმა იქით არ დაიწუნონ და პირი უკანვე არ აქნევინონ. ა? ხდება, ყველაფერი ხდება. კაცმა რომ თქვას, ბესარიონი ჯერ ბავშვია. შეიძლება, ეს გოგო ხვალ სულაც გადაავიწყდეს. კალისტრატე დიდად არც მაგას იდარდებს. არა! არ გადაივიწყებს? დაიჟინებს, ცოლად უნდა მოვიყვანოო? ეგეც ძალიან კარგი. კარგზე უკეთესი. მოიყვანოს! კალისტრატე ცუდი მამაა, ამის თქმა ვერავინ უნდა გაბედოს. რაც ბესარიონს უნდა, ის უნდა კალისტრატესაც. ხომ ყველაფერში კარგი და სანაქებოა კალისტრატე მაგრაქველიძე? მამობაში, მამაშვილობაში — კიდევ უკეთესი!

ბევრს, იქნება, არც კი გაუგია და კალისტრატემ ბესარიონის გულისათვის ერთი ისეთი მსხვერპლი გაიღო, რომ, შეიძლება, ბევრმა მამამ არ გაიღოს. რაღა დასამალავია და — ხე-ხე!.. — კალისტრატეს ერთი... ერთი სიტყვით, ერთი ახალგაზრდა ქალი ჰყავდა. როგორღაც მოხდა. ხე-ხე!.. ქალების მოძულე კაცი კალისტრატე არასოდეს ყოფილა. ჰოდა, აგერ, საქმე ისე მოეწყო, რომ ამ ხანდაზმულობაში სული ერთხელ კიდევ წაიწყმინდა. ხე-ხე!.. სულ ღუტუშა მეიფარიანის ბრალი კი იყო, იმ შეჩვენებულის!.. აუხირდა, ასე ადრე რამ დაგაბერა, ჩვენ, ამ შენს ძმაკაცებს და მეგობრებს ორ-ორი და სამი გვყავს, ზოგი თბილისში და ზოგი სად, შენ რაღა ღმერთი გიწყრებაო! ლაპარაკი წავიდა, წავიდა, წავიდა და — კინაღამ ისე გამოდიოდა, თითქოს კალისტრატეს ფულის დახარჯვა ენანებოდა და მარტო დომინიკას ამარა ამიტომაც იყო დარჩენილი. ეს კი... oო, ეს კი კალისტრატემ ვეღარ მოითმინა.

— ღუტუშა, შენ მაგას მე მეუბნები?

— არა, მე მაგისი თქმა არც მიფიქრია, მაგრამ... ხანდახან მაინც გაინავარდე, შე კაცო!

— ცოტა ვინავარდე? მე ჩემს ახალგაზრდობაში ცოტა მინავარდია?

— არა, ვისზე ნაკლები ვაჟკაცი იყავი და ხარ, მაგრამ... რაღაც... ძალიან ადრე დაიმასქენი, რაქვია... ღმერთმანი, კალისტრატე, ამას შენდამი სიყვარული მალაპარაკებს, თორემ მე — ეგერ ერთი, ეგერ მეორე...

— კარგი! ჯანდაბას! შენ რომ კაცს შეუჩნდები... გყავს ვინმე? ოღონდ მე რომ შემეფერებოდეს. ამისთანებზე ხელი აღებული მქონდა, მაგრამ... ბიჭო, მე, კალისტრატე მაგრაქველიძეს, ფულის ხარჯვა მენანება?!

— მე ეგ არ მითქვამს, კალისტრატე.

— სუ! კარგი! მორჩა! მითხარი, გყავს ვინმე?

— მოინახება.

— მოიტა ეგ ბანჯგვლიანი ხელი. ოჰ, შე დათვო, შენ!

მართლაც მოინახა. მართალია, ვარდიკო ცოტა ელამი იყო, მაგრამ სხვაფრივ — ღმერთმა მოგცეს! მაღალი, შენ ხარ ჩემი ბატონი, სავსე, ეს გადიდგინებული გულმკერდი, ეს სავსე თეძოები... მიხვრა-მოხვრა, თავის დაჭერა, ლაპარაკი... სწორედ ბევრ ოჯახის ქალს შეშურდებოდა. კალისტრატემ ვარდიკოს კარგა ბლომად დაახარჯა და, ალბათ, მანამდე აღარ მოშორდებოდა, სანამ ქალი თვითონ არ ეტყოდა, ახლა კი მომეშვი, ფულიან ბებერს ისევ უფულო ახალგაზრდა მირჩევნიაო. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ საქმე სწორედ აქეთ მიდიოდა. ერთხელ ვარდიკომ ბარე ერთი საათი აცდევინა, სანამ კარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუღებდა და მერეც... ერთი სიტყვით, კალისტრატე და ვარდიკო, ალბათ, მაინც მალე დაშორდებოდნენ, მაგრამ საქმე მოულოდნელად შეტრიალდა.

ერთ საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულ კალისტრატეს ოჯახი არეული დახვდა. მისალებ ოთახში დომინიკას დიდი ჩემოდნები გამოეტანა, შიგ თავის ტანისამოსსა და თეთრეულს აწყობდა და თან შეუჩერებლივ ქაქანებდა.

— რა ამბავია, ქალო?!

— არაფერი. — დომინიკამ ვარდისფერი აბრეშუმის პერანგი და მისი ამხანაგი გულდასმით დაჰკეცა, ჩემოდანში ჩასდო და ისევ აქაქანდა: ვაი დედაო, დომინიკა ვაშაყმაძის ქალო! ეს გელოდა? ამას მოელოდი? ამისი ღირსი იყავი? ეს დაიმსახურე? ასე გადაგიხადეს? ასე დაგაფასეს? შენი ქალობა ასე დაფასდა? შენი ადამიანობა ასე დაინახეს? შენი ოჯახიშვილობა ასე დაგიმახსოვრეს? ვაი, დედაო, დომინიკა ვაშაყმაძის ქალო! ახია შენზე! რატომ უარესს არ გიშვებიან? რატომ მუშტებს არ გიშენენ? რატომ თავპირს არ გისივებენ? რატომ ტყლიპს არ ჩაგიქცევენ? რატომ თმებით არ გათრევენ?

— რა იყო მეთქი, ქალო?

— არაფერი. გითხარი — არაფერი. ან მე რას მეკითხები? წადი და იმ შენს ელამს, იმ ქუჩის ბოზს, იმ უადამიანოს ჰკითხე. მე რაღად გინდევარ? კალისტრატე მაგრაქველიძე, გყავდა ოჯახი და აღარა გყავს. გყავდა ცოლ-შვილი და აღარა გყავს. გქონდა თბილი კერია და აღარა გაქვს. მოგელოდა თეთრი ბალიშ-ლოგინი და აღარ მოგელის. გათავდა! ჩემი ქალობა გათავდა, მაგრამ შენი კაცობაც გათავებულია. ასე ვიტყვი მე ამას!

კალისტრატეს გულზე მოეშვა. ესე იგი, ვარდიკოს ამბავი გაუგია. ჯანდაბას! წელან კალისტრატეს რაღაც ფარსაგი ეგონა. ეს არაფერი. კალისტრატე კაცია და კაცს ბოლოსდაბოლოს... ეს დიდი არაფერი.

— ვინ ვარდიკოო, რას ლაპარაკობ, ქალო?

— ვინ ვარდიკოო?! შეხედეთ! ხალხო, ვინა ხართ ქრისტიანი, ამას შეხედეთ! მე მეკითხება, ვინ ვარდიკოო! ყოჩაღ, კალისტრატე მაგრაქველიძე! მოფიქრება ნამდვილად არ გაკლია. მაგრამ რომ აღარც მე ვარ სულელი? რომ აღარც მე გყავარ ლენჩი? მეც რომ ჭკუა ვისწავლე? აქ რაღას შვრები? ახლა სადღა მიდიხარ? ახლა რომელი ხის ტოტზე შეფრინდები? მითხარი! გეკითხებიან და უპასუხე! შენს ყოფილ ცოლს პასუხი გაეცი!

— ჰმ!

— კალისტრატე, შენ ოჯახი აღარა გაქვს!

— ჰმ!

— კალისტრატე, შენი კერია გაცივდა!

— ჰმ!

— კალისტრატე, შენს ჭერქვეშ ყინულეთმა დაისადგურა.

— დომინიკა!

— ბრძანე!

— დომინიკა!

— გისმენ!

— არაფერი. შენთან სალაპარაკო ახლა მე არაფერი მაქვს.

— აბა, როდის?

— მერე.

— მაინც, მაინც როდის?

— მერე! და მე შენ გელაპარაკები, ეს ჩემოდნები ახლავე აალაგე აქედან.

— ავალაგო?

— აალაგე!

— ავალაგო?

— აალაგე!

ვინ იცის, ეს ამბავი როგორ გათავდებოდა, მაგრამ მოულოდნელად სახლში ბესარიონი შემოვიდა. დომინიკა შვილს მუხლებში ჩაუვარდა და შეჰღაღადა, მამაშენი ოჯახს მინგრევს, ვიღაც ოხერ დედაკაცს გადაჰკიდებია, მთელი ქვეყნის სალაპარაკო შექმნილა და მე წყალში თუ გადავვარდები, თორემ სხვა გზა აღარ გამაჩნიაო.

— ბესარიონ! შენი დედა, შენი

ერთადერთი დედა გეუბნება და გევედრება: მასწავლე, ბიჭო, რა გზას დავადგე? აგერ, ჩემოდნები მზად არის. მითხარი, ავდგე და დავანგრიო ეს ჩემი ხელით აშენებული ოჯახი, თუ კიდევ მოვიცადო? როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიქცევი, — დომინიკამ ბესარიონის ქერა თავი გულზე მიიხუტა და ცრემლებით დაუსველა.

ბესარიონმა მოახერხა და დომინიკას ნამალევად მამას თვალი ჩაუპაჭუნა. ამის დამნახავ კალისტრატეს სიხარულისაგან გული შეუხტა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ცოტა არ იყოს, სითამამე კი მოემატა. წამოდგა, ეს გატენილი ჩემოდნები საწოლ ოთახში გაათრია და ლოგინებს ქვეშ შეჰყარა. თვითონ აბაზანაში შევიდა, ხელ-პირი დაიბანა, მერე სასადილო ოთახში მაგიდას მიუჯდა და ბრძანების კილოთი დაიძახა:

— ქალო, მასადილებ, თუ არა? თუ საღამომდე მაგ კონცერტს ვუსმინო?

— გასადილებ! კალისტრატე მაგრაქველიძე, გასადილებ, მაგრამ იცოდე: ეს უკანასკნელია. ხვალ შენ აქ სადილს აღარავინ დაგახვედრებს.

— ხვალ ღმერთი მომცემს. აბა, ჩქარა!

სადილობა ბესარიონმაც ისურვა — იმ დღეს ბიჭებთან ერთად „კრწანისში“ ესაუზმა და იმ დაწყევლილში ხეირიანი არაფერი ჰქონოდათ. კალისტრატე ხმაამოუღებლივ ჭამდა, სვამდა და შვილსაც უსხამდა. დომინიკას კერძები შემოჰქონდა და ხმასაც აღარ იღებდა. ოღონდ ეტყობოდა კი, რომ გულში რაღაცა მტკიცედ გადაეწყვიტა. ვითომ, მართლა წასვლას აპირებს? კალისტრატე, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა, არა, მართლა რა ეშმაკად უნდოდა ეს ელამი ვარდიკო? ვარდიკოსაც და ათას იმისთანასაც კალისტრატეს ახლა კარგი ქათმის ჩახოხბილი, ცივი „ტიბაანი“ და მერე სუფთა, რბილი ლოგინი ურჩევნია. რამ აატრუა? ან თავს რატომ იწვალებდა, ან იმ ვარდიკოს რატომ აწვალებდა? ქალებს ხომ საერთოდ ჭკუა არ მოეკითხებათ, ეს ოჯახქორი, დომინიკა, მართლა რომ ადგეს და სახლიდან წავიდეს, მაშინ? მაშინ მშვიდობით, ჩახოხბილო და გახამებულო ტილოს ზეწრებო!

კალისტრატე ელოდა, იქნება, ამ საქმეში ბესარიონი ჩაერიოს და მოაწესრიგოსო, მაგრამ ერთადერთი ვაჟიშვილი მხოლოდ ერთი საქმით იყო გართული: ღვინოს ისე ეწაფებოდა, როგორც მოწყურებული ხარი — წყალს; მხოლოდ ეს იყო, რომ დროგამოშვებით მამას თვალს უპაჭუნებდა. გაალმასებული დომინიკა კი ჭურჭელს სულ უფრო და უფრო გამეტებით აბათქუნებდა, იფიქრებდით, აღარც დასამტვრევად ენანებაო. არადა, ეს ინგლისური სერვიზი კალისტრატემ ენით აუწერელი გაჭირვებით იშოვნა. არა, სხვა გზა აღარ იყო, არეული საქმე ისევ თვითონ კალისტრატეს უნდა მოეწესრიგებინა. ამიტომ ადგა, ახლადმოკიდებული პაპიროსი საფერფლეზე დააგდო, ხელები უკან დაიწყო და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ქალბატონო დომინიკა! — ასე თავის ცოლს კალისტრატე ძალიან იშვიათად მიმართავდა ხოლმე — მხოლოდ მაშინ, როცა გაახსენდებოდა, რომ თავის სამსახურში ადგილკომის წევრად აირჩიეს, ორჯერ თუ სამჯერ საერთო კრებაზე სიტყვით გამოვიდა და ზოგიერთებმა პირდაპირ უთხრეს, რომ მოინდომებდე, შენისთანა ორატორი საქართველოში მეორე აღარ იქნებაო. — მე ძალიან გთხოვთ, გულისხმიერად მომისმინოთ. და აგრეთვე გთხოვთ, აქედანვე გაითვალისწინოთ, რომ მე თქვენი გულისტკივილი, ერთდაგვარად, გამეგება, და მე მას, რასაკვირველია, თავისებურად — თანავუგრძნობ კიდეც. დიახ, ეს ასეა და ეს თქვენ ნუ გაგიკვირდებათ. ჩვენ, ქალბატონო დომინიკა, მოწიფული ვაჟი გვყავს, რომელიც აქ გვესწრება. ჩვენ თვითონაც, მე და თქვენ, ბავშვები აღარ გვეთქმის. და მე ისევ გიმეორებთ, რომ მე თქვენი გულისტკივილი თავისებურად მესმის და გამეგება.

მაგრამ ერთი რამე კი არ უნდა დავივიწყოთ: ჩვენ, მეც და თქვენც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვცხოვრობთ — სად? ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში. და თუ ადამიანს რამეს გაგება სწადია, ამ ერთი სიტყვით ყველაფერია ნათქვამი. თქვენ უკვე მიხვდით, მე რისი თქმაც მინდა. ამიტომ აღარ დავწვრილმანდები. მხოლოდ ერთს გეტყვით კიდევ: ყოველთვის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საკუთარი საქციელი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ და ყოველგვარი მოსალოდნელი შედეგები უნდა გავითვალისწინოთ.

— საქციელი მარტო მე უნდა ავწონ-დავწონო?

— არა. უდავოდ მეც. ორივემ ულაპარაკოდ!

— იმ ბრუციან ბოზს ლოგინში იმიტომ შეუგორდი, რომ შენი საქციელი კარგად გაითვალისწინე, ხოლ?

— დომინიკა!

— მიპასუხე, ამ კითხვაზე მიპასუხე.

— შეიძლება, ეგრეც იყო.

— ჰმ! ბესარიონ, გესმის? სადღაც რომ დაეთრევა და ოხრობს, ეს თურმე იმიტომ, რომ დიდი ჭკუის კოლოფია და ყველაფერს კარგად ითვალისწინებს. გეყურება?

— დომინიკა! — კალისტრატეს კილოში იგრძნობოდა მეტის მოთმენა მართლაც აღარ შემიძლიაო. — მე თუ რამეს ვაკეთებ, ალბათ, ისეა საჭირო, დომინიკა.

— ვისთვის?

— შენთვის. ბესარიონისთვის. ჩემი ოჯახისთვის.

— ბესარიონ, გეყურება?

— ბავშვს ამ საქმეში ნუ გავრევთ, დომინიკა-

— შენ თვითონ ბავშვის თანდასწრებით არ ალაპარაკდი?

— მე საკითხს სხვა კუთხით ვაშუქებდი, დომინიკა!

— ისწავლე ადგილკომში ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი, ხომ?

— თავისი დანიშნულება ადგილკომსაც აქვს და ასრულებს კიდეც.

— ესე იგი, იმიტომ მძუნაობ, რომ ეგ მე და ბესარიონს გვჭირდება, ხომ?..

— გავათავოთ, დომინიკა!

— გავათავოთ. მართლაც გავათავოთ. მეც ქართველი ქალი ვარ და ოჯახის ყადრი ვიცი, თორემ... ეჰ! შენ რა უნდა გელაპარაკო?!

დომინიკამ თორმეტიოდე ჭუჭყიანი სანი ერთმანეთზე აახუხულავა და ოთახიდან გულმოკლული, უსამართლოდ დაჩაგრული ქალის გამომეტყველებით გავიდა. კალისტრატემ კი ბესარიონს თვალი ახლა თვითონ ჩაუპაჭუნა და თავის ერთადერთ ძეს წითელი თუმნიანების კარგა სქელი დასტა ესროლა. შვილმა ბურთივით ჩამრგვალებული მამა ხელში აიტაცა და მთელი ოთახი მოარბენინა. გაბადრული, ბედნიერად მომღიმარე კალისტრატე ამაოდ იძახდა, ნელა, შე გადარეულო, არ გაგივარდე, თორემ კვახივით გავსკდებიო.

და ეს ამბავი გულახდილობის ჟამს ბესარიონმა თავისი პირით უამბო ნათიას. ისეთი აღტაცებული უყვებოდა, რომ აშკარა იყო: ბესარიონს ვერც კი წარმოედგინა, თუ მის მამაზე უფრო კაცური, ვაჟკაცური, მშვერმეტყველი, გამგები და გონიერი სულიერი ამ ცისქვეშეთში მეორე აღარავინ დაიარებაო. და ამ ჭკუის ახალგაზრდა რატომღაც დარწმუნებულია, რომ ნათია ავალიშვილი მას ცოლად გაჰყვება. სად და როდის დაუშვა ნათიამ ის საბედისწერო შეცდომა, რომელმაც ბესარიონ მაგრაქველიძეს ეს სულელური, მაგრამ ურყევი რწმენა შეუქმნა? და სადაა გამოსავალი ამ სულელური, ამ პირდაპირ იდიოტური მდგომარეობიდან?

ამ უკუღმართი კითხვების პასუხს ნათია ვერასგზით ვერ პოულობდა. ერთს კი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ გრძნობდა: დრო იყო, ცხოვრებაში თავისი გზა ეძებნა. თეიმურაზ არჯევანიძე სულ უფრო და უფრო იშვიათად აგონდებოდა და ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ნათიამ საკუთარი თავი დაარწმუნა, სიყვარულისა და ოჯახისთვის არა ვარ გაჩენილიო. საკუთარ

თავს რამდენიმე დღე-ღამე ებრძოდა და ბოლოს დედას გულგრილი, მაგრამ შეუვალი კილოთი უთხრა, გინდა შენ და გინდა ბატონი ანდრო — სამსახურის მოძებნაში დამეხმარეთო.

— კი, ბატონო! — ნინო ამ თხოვნას უკვე იმდენი ხანი ელოდა, რომ აღარც კი გახარებია. — რამეს როგორ ვერ მოვახერხებთ... მაგრამ სად?

— ეგ მე არ ვიცი. საღაც ნაკლებს მამუშავებენ და ბევრ ფულს მომცემენ. — ნათიამ მხიარულად გადაიკისკისა.

— ბევრი ფული რად გინდა?

— არც ეგ ვიცი. — ნათიამ კიდევ უფრო მხიარულად გადაიკისკისა. თავისი ქალიშვილი ასე გამხიარულებული ნინოს უკვე დიდი ხანი აღარ ენახა.

— ეს სახუმარო საქმე არ არის, ნათი.

— უფ!..

— კარგი. შენ თვითონ სად გინდა?

— სულერთია.

— ჰმ! კარგი... ანდროს დღესვე მოველაპარაკები.

— აბა, შენ იცი. — ნათია წამოდგა და ნინოს ამითი აგრძნობინა ახლა შენთან მეტი სალაპარაკო აღარაფერი მაქვსო.

— სამსახურის შოვნა არც ისე ძნელი საქმეა. — უგუნებოდ უთხრა ანდრომ ნინოს, როცა ეს თხოვნა მოისმინა. — მაგრამ...

— რა მაგრამ, ანდრო?!

— არაფერი. მე იმის თქმა მინდა, რომ როცა ადამიანს ჯიბეში სამთო ინჟინრის დიპლომი უდევს, სამუშაოც შესაფერი უნდა მოძებნოს. ან, ვთქვათ, კანცელარიის გამგეობას თვითონ ნათია კი იკადრებს?

— შენ იცი, ნათია სამთო ფაკულტეტზე რატომაც შევიდა.

— ეგ მე კი ვიცი, მაგრამ ეგ არავის აინტერესებს.

— იგულისხმე, რომ ნათიას სამთო ფაკულტეტი არ დაუმთავრებია.

— „ვიგულისხმოო“?! ღმერთო დიდებულო! სადაც არ უნდა მივიყვანო, საბუთებს ხომ მოთხოვენ" და რა ვუთხრა იმ ხალხს, სამთო ინჟინერი კანცელარიის გამგედ რატომ მიდის-მეთქი?

— რას აიჩემე ეს კანცელარიის გამგეობა?

— სიტყვაზე ვამბობ.

— ანდრო, ბავშვს სამსახური უნდა.

— გავიგე.

ანდრო მთვარელიშვილს თბილისში უამრავი ნაცნობობა ჰყავდა. ბევრმა მათგანმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ანდროს თავის გერთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ამიტომ ბევრი შეეცადა, ანდროსთვის დახმარების ხელი გამოეწვდინა. პირველი რამდენიმე დღე ანდრო სამსახურიდან მხიარულ გუნებაზე ბრუნდებოდა ხოლმე და ნინოს ანუგეშებდა, საქმე კარგად მიდის, იმდენი ვინმე მპირდება, რომ არ შეიძლება, რაიმე შესაფერისი სამსახური არ გამოინახოსო. მაგრამ დღეები გადიოდნენ, ის შესაფერისი სამსახური ჯერჯერობით ვერაფერი გამოინახა და ანდროს მხიარული განწყობილებაც უკვალოდ გაჰქრა. წარბშეკრული, უგუნებოდ ჩაფიქრებული შემოდიოდა სახლში, ხმაამოუღებლად სადილობდა და თავის ოთახში გადიოდა.

— რა ჰქენი, ანდრო? — ერთ საღამოს ნინო ანდროს პირდაპირ ტახტზე ჩამოჯდა.

— ჯერჯერობით ვერაფერი.

— რატომ?

— რატომ!.. ნუთუ ეს ძნელი გასაგებია, ადამიანო? სამსახური და სამუშაო რამდენიც გინდა, იმდენია, მაგრამ ეს სამსახური ბავშვს მომავალში სირცხვილად და ბორკილად ხომ არ უნდა ექცეს? გავა დრო — ორი, სამი ან ხუთი წელიწადი, ვიღაც უკუღმართი ჰკითხავს, სამთო ინჟინერი ამ თანამდებობაზე რატომ მუშაობო და — რას უპასუხებს?

— განა ისეთი რა თანამდებობებია?

— რაც არის, მაგას არც ერთი არ შეეფერება.

— აბა რა ვქნათ?

— არ ვიცი. არა, ვიცი, მაგრამ თქმა მეშინია.

— ნუ გეშინია.

— ისევ სამთო ინსტიტუტს უნდა მიეკითხოთ.

— ნუთუ სხვა გამოსავალი არ არის?

— არა. და არც იმისი იმედი მაქვს, რომ მაგ ინსტიტუტში მიიღებენ.

— რატომ?

— სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ხუთოსნებს იღებენ.

— სამოსნეებმა თავები ჩამოიხრჩონ?

— რატომ? რაიონებში წავიდნენ და იმუშაონ.

— ანდრო!

— ბატონო!

— ნათიას შენთვის ამის მეტი არაფერი უთხოვია.

— მესმის.

მეორე დღეს ანდრო სახლში საღამოს რვა საათზე მოვიდა. დაღლილი და გატანჯული სახე ჰქონდა. ნინომ სადილი რომ უხსენა, ანდრომ ხელი ჩაიქნია და თავის ოთახში შევიდა. ნინო შეჰყვა და გუშინდელ ადგილას — ტახტზე ჩამოჯდა.

— რა ჰქენი?

— არაფერი.

— სულ არაფერი?

— სულ არაფერი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ნინომ გულხელი დაიკრიფა და გაირინდა. მერე ანდროს ისეთი გამომეტყველებით შეხედა, თითქოს ამ კაცს პირველად ჰხედავსო.

— ანდრო, რა გვეშველება?

— არ ვიცი.

ნათია სახლში ღამის თერთმეტ საათზე დაბრუნდა. არავისთვის არაფერი უკითხავს, თავის ოთახში შევიდა, გაიხადა და დაწვა. ალბათ, დარწმუნებული იყო, მალე სამსახურს მიშოვნიანო.

## თავი XII

ბესარიონ მაგრაქველიძე და მისი ამხანაგები ერთმანეთს დაახლოებით შუადღისას ხვდებოდნენ რუსთაველის გამზირზე, ლაღიძის წყლებთან და მერე ნაშუადამევამდე სულ ერთად იყვნენ ხოლმე, სანამ უკანასკნელი რესტორნის კარები დაიკეტებოდა. ასე მეორდებოდა ყოველდღე. გარეშე მაყურებელი იფიქრებდა, მართალია, ეს ახალგაზრდები დროს უქმად ჰკარგავენ, მაგრამ ერთმანეთში კი ძალიან შეთვისებულნი უნდა იყვნენო. მაგრამ სინამდვილეში ამ წრის ყოველი წევრი საკუთარი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობდა, — თუკი, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი სიტყვები შეიძლება ამ ყმაწვილების მისამართით ითქმარო. საკუთარ ფიქრებსა და გულისნადებს ერთმანეთს ისინი არც თუ დიდი ხალისით უზიარებდნენ და, გარდა ამისა, სულის სიღრმეში ყოველი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ დანარჩენებზე მთელი თავით მაღლა იდგა და თავის დროზე ამას მთელი თბილისი დაინახავდა. ოღონდ როდის უნდა დამდგარიყო ეს „თავისი დრო", და თავი მთელი თბილისის წინაშე ვის როგორ უნდა გამოეჩინა, ეს არავინ უწყოდა. ერთი სიტყვით, ესენი უსაქმური და ფულიანი ახალგაზრდები იყვნენ, რომელთაგანაც ყველაფერს უნდა ელოდე — უკიდურეს სისაძაგლესაც და, თუ პატივმოყვარეობამ და თავის გამოჩენის სურვილმა უკარნახათ — თეატრალურრაინდულ საქციელსაც. კაცმა რომ თქვას, საჭირო იყო მხოლოდ ერთი მტკიცე და გონიერი ხელი, ერთი გულისხმიერი და პრინციპული ადამიანის ჩარევა, რომ ამ ახალგაზრდებს მოლიპული გზა მიეტოვებინათ და ნორმალური ადამიანური ცხოვრება დაეწყოთ. მაგრამ სწორედ ეს გონიერი და მტკიცე ადამიანი არსად ჩანდა.

გამოუკლებლივ ყველა ეს ახალგაზ-

რდა, ამქარს ნაძალადევად მიკედლებული და ყველასგან აგდებული ანზორ კუპატაძის ჩათვლით, ისეთი ოჯახებიდან იყო, რომელთაც მხოლოდ გარეგნული ნიშნების მიხედვით თუ შეიძლება ეწოდოს ოჯახი — ადამიანების პატარა, მაგრამ ერთმანეთის მოყვარული და მეგობრული ჯგუფი. სინამდვილეში კი ამ ოჯახებს მწვავე შინაგანი უთანხმოების, დაუნდობლობის, გაუტანლობის, ჯიბრის, შურის, თვალთმაქცობის და ფარული სიძულვილის მატლები ხრავდნენ. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი კი არსად იყო. და ეს ოჯახის ყოველმა — უფროსმა თუ უმცროსმა წევრმა კარგად იცოდა.

მუდამ ცივი, აუღელვებელი, მუდამ მშვიდად და თავაზიანად მომღიმარე მირზა ჭირაქაძის მამა დოცენტი იყო და რაღაც მეტად სერიოზულ საგანსაც ჰკითხულობდა. ურიგო ადამიანის შთაბეჭდილებას არც გარეგნულად და საქციელით ტოვებდა. სინამდვილეში კი ხელიდან წასული მექრთამე იყო და უბრწყინვალეს სტუდენტსაც არ დაუწერდა ნიშანს, სანამ მაგიდაზე თუმნიანებით ან ოცდახუთმანეთიანებით აღჭურვილ მატრიკულს არ დაუდებდნენ. ასე გრძელდებოდა ხანგრძლივი წლების მანძილზე და საოცარი ის იყო, რომ ბუნებით საკმაოდ შორსმჭვრეტელ კაცს ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ უმწიკვლო და პატიოსანი ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა და მასზე ცუდს ვერავინ იტყოდა. ალბათ, ფიქრობდა, „იმ ამბებზე“ ხმამაღლა ლაპარაკი თვითონ სტუდენტებისთვისაც კი არ არის ხელსაყრელი და ამიტომ ყოველგვარი უსიამოვნებისგან დაზღვეული ვარო. ის კი არ იცოდა, რომ მის ხელმრუდობაზე მთელი ინსტიტუტი აღშფოთებით ლაპარაკობდა და ბევრ გაცეცხლებულ სტუდენტს თავისი ამხანაგების წრეში მკერდზე მუშტი აუბაგუნებია — როგორ გავწირო საკუთარი თავიც და მოხუცი დედმამაც, თორემ მაგ ქვეწარმავალს პირდაპირ კათედრაზე მოვახრჩობდიო.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იმ უკუღმართი გზებიდან ნაშოვნ უამრავ ფულს კონსტანტინე ჭირაქაძე ისე მოხერხებულად მალავდა, რომ ცოლმაც ვერასგზით კვალს ვერ მიაგნო. ამ ნიადაგზე სულმოკლე და ეჭვიანი ანასტასია პირდაპირ ნერვასტენიამ შეიპყრო. თვითონ მირზამაც მშვენივრად იცოდა, რომ მამამისს სადღაც დიდი ფული უნდა ჰქონოდა გადამალული, მაგრამ მირზამ ისიც იცოდა, რომ ამ თემაზე კრინტის დაძვრას მამამისი არავის აპატიებდა და ადვილი შესაძლებელი იყო მაგიდის უჯრიდან ის „ბრაუნინგიც“ კი ამოეღო, რომელიც ვიღაცამ ოდესღაც რაღაც დამსახურებისთვის აჩუქა. და რაკი კონსტანტინე ჭირაქაძე თვითონ უბრალოდ იცვამდა, უბრალოდ ჭამდა და არაფრის ზედმეტის უფლებას თავის თავს არ აძლევდა — მირზასაც რაღა დარჩენოდა? მშვიდად, ცივად და თავაზიანად იღიმებოდა და გულში ღრმად ინახავდა იმის იმედს, რომ როდესმე რაღაც მანქანებით თუ განგების ძალით იმ დიდი ფულის პატრონი თვითონ გახდებოდა.

ხითხითა, ჩასუქებული თენგიზ ჯაველიძის მამას კი, ცეკავშირის ძველ მუშაკს ოხრად ნაშოვნი ფული უკანასკნელ კაპიკებამდე სახლში მოჰქონდა. მაგათ ოჯახში დაკუჭულ, უპატრონოდ მიყრილ, ზოგჯერ კი გახეულ ხუთმანეთიანებს, თუმნიანებსა და ოცდახუთმანეთიანებს ყველგან ნახავდით — ლოგინქვეშაც, ტუალეტის მაგიდაზეც, ძველი პალტოების ჯიბეებშიც, ლარნაკებშიც და იატაკზეც. ოხრად ჭამდნენ, ოხრად სვამდნენ, ოხრად იცვამდნენ, ხვალინდელ დღეზე ერთხელაც არ დაფიქრდებოდნენ და არასოდეს ამ ნიადაგზე ერთმანეთში არავითარი უსიამოვნება არ მოსლვიათ, მაგრამ ამ ოჯახს სხვა უბედურება სჭირდა: ოჯახის მამას, ერმალოზ ჯაველიძეს ვიღაც სხვა ქალი უყვარდა. ფულს იმდენს შოულობდა, რომ ამ

ქალსაც ჰყოფნიდა, ოჯახისთვის არასოდეს არაფერი დაუკლია. მაგრამ გამოცხადებული ჰქონდა, ღმერთმა ცხოვრების ნამდვილ მეგობრად მე სეტა იგითხანოვა მომივლინა; აი, ბატონო, მოვიცდი, სანამ თენგიზი დავაჟკაცდება და თავის გზას მონახავდეს, მერე კი — მშვიდობით, სეტასთან გადავალ, მეც მინდა, ბოლოსდაბოლოს ნამდვილი ოჯახური და ცოლ-ქმრული ცხოვრების გემო ვნახოო.

— დღესვე წაბრძანდი, ბატონო, ვინ გიშლის?—ამოიკვნესებდა ცოლი, ჩაყვითლებული, სნეული და უხასიათო მაკრინე.

— სუ! შენ მე ჭკუას ნუ მასწავლი! როდის რას ვიზამ, ეს მე ვიცი. შენ მანამდე ჭამე, სვი, ჩაიცვი, დაიხურე. გაიარ-გამოიარე. რამეს არც მერე მოგაკლებ... მანამდე კი — სუს! კრინტი არ გავიგონო.

თვითონ თენგიზს ის სეტა იგითხანოვა რამდენჯერმე ჰყავდა ნახული. ჰოდა... არა, თვითონ თენგიზის დედას, მაკრინეს ლამაზი ქალი არასგზით არ ეთქმოდა, მაგრამ, აი, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, იმ გასიებულ, სამკეცღაბაბიან, ხითხითა, ხარბთვალებიან დედაკაცს სწორედ ნამდვილად სჯობდა. ამიტომ თენგიზს სულის სიღრმეში არც კი სჯეროდა, რომ მამამისი იმ ქალთან როდესმე მართლაც საბოლოოდ წავიდოდა. მაგრამ მაშ რაღა იყო ეს გაუთავებელი — მე და სეტა. და მე და სეტა? თენგიზს ვერასგზით ეს ვერ გაეგო. თვითონ მისი და მამამისის ურთიერთობა კი იმით ამოიწურებოდა, რომ ერმალოზი შვილს არაფერს უშლიდა, წლითი წლამდე ერთ უბრალო შენიშვნასაც კი არ მისცემდა ხოლმე, ფულს კი დაუთვლელად აძლევდა. ჰოდა, თენგიზიც ხელჩაქნეული მიჰყვებოდა ამ ცხოვრების მდინარეს. ხანდახან კი იფიქრებდა ხოლმე. ნეტავი, ეს მამაჩემი დავაჟკაცებულად როდის ჩამთვლის, რომ ერთი ჩემი თვალით ვნახო, იმ თვალებგადმოქაჩულ დედაკაცთან რა ოჯახს ააშენებსო. მაგრამ მაშინვე ხელს ჩაიქნევდა, ჯიბეებს ფულით გამოიტენიდა და რუსთაველის გამზირზე გამოდიოდა.

თაზო ბულესკირიას — მუდამ თავჩაღუნულ, შუბლქვეშიდან მომზირალ და ბოროტად მომღიმარე თაზო ბულესკირიას მამა სულაც არ ჰყავდა. საქეიფო ფულს დედის საყვარელი — ერთი ჩია, დაძარღვული, ოქროსკბილებიანი ბერიკაცი — მთელს თბილისში ცნობილი სპეკულიანტი აძლევდა ხოლმე. ამბობდნენ, თუ იმ ბერიკაცმა თაზოს ფული დაუგვიანა, ან ცოტა მისცა, თაზო ცემით სიკვდილის პირას მიიყვანს ხოლმეო. არავინ იცოდა, ეს სიმართლე იყო, თუ გამონაგონი. თვითონ თაზოს ამაზე არასოდეს არაფერი უთქვამს. საერთოდ, თავის ამხანაგებს შორის იგი ყველაზე უფრო პირქუში და დაუნდობელი იყო. ამიტომ მისთვის ხელის წამოკვრასაც ერიდებოდნენ. და ისიც ყველამ იცოდა, რომ როცა სუფრაზე მშობლების სადღეგრძელოს სვამდნენ, თაზო უხმოდ, ბოროტად იღიმებოდა და არასოდეს ეს ჭიქა არ აუწევია, მაგრამ ამას ამხანაგები თითქოს ვერ ამჩნევდნენ.

დალაგებული ოჯახი არც ანზორ კუპატაძეს ჰქონდა. მარტო ეს იყო, რომ ფული არ ჰქონდათ — ზედმეტი და საქეიფო კი არა, ზოგჯერ პურისა და ელექტრონის სამყოფიც კი. ანზორის მამა, დიმიტრი კუპატაძე ოდესღაც მატარებლის გამყოლად მუშაობდა, მაგრამ ერთ ღამეს კუპეში მარტო მყოფ ქალს შეუჩნდა და დილამდე აღარ მოასვენა. ის ქალი იძულებული გახდა, ტალანში გამოსულიყო და ღამე ფანჯარასთან ატუზულს გაეთია. დიმიტრის ეს აინუშიც არ ჩაუგდია, თავის ქალაქში ჩავა და სამუდამოდ გადამივიწყებს, ამისთანები ბევრი შემხვედრიაო. მაგრამ იმ ქალს არაფერი დავიწყებია და არც პატიება უფიქრია. რაღაც ეშმაკად, ვიღაც დიდი კაცის ცოლიც გამოდგა და დიმიტრის რკინიგზაში სამსახური სამუდამოდ დაატოვებინეს. მას აქეთ არ იქნა და რიგია-

ნად ფეხი ვერსად მოიკიდა. არა, სამუშაოს მუდამ შოულობდა, უმუშევარი ერთი დღეც კი არ ყოფილა, მაგრამ ისეთი შემოსავალი, როგორიც თითონ უნდოდა, არ იქნა და ვერ გაიჩინა. რამდენჯერმე რომელიღაც არტელებს მიეტმასნა. მაგრამ არტელები მალე გააუქმეს. ბოლოს ისე გაუჭირდა, რომ ნავთის წერტში გამგის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. თვითონვე იტყოდა ხოლმე, ნავთის წერტის გამგე რა არის და მისი თანაშემწე რაღა უნდა იყოსო. მაგრამ მომავალს იმედიანად შეჰყურებდა და ხალისიანადაც იყო. ფიქრობდა, წერტის გამგე, ღრმა სიბერეში შესული, ერთიანად გამელოტებული, გამომხმარი და კბილებჩაცვივნული არშაკა მალე პენსიაზე გადავა და წერტი მე დამრჩებაო. მართლაც, არშაკა მანეთიანებს სამმანეთიანებისგან ვეღარ არჩევდა და ამ ნიადაგზე მყიდველებთან გაუთავებელი დავიდარაბა ჰქონდა. დიმიტრი ნამალევად ხელებს იფშვნიტავდა და გულში ზეიმობდა. მალე, მალე დადგება ჩემი დრო და ამ ნავთის წერტს ოქროს მდინარედ ვაქცევო. ამოდენა ცვლილება როგორ უნდა მოეხდინა, ეს ჯერჯერობით თვითონაც არ ჰქონდა წარმოდგენილი.

რომელიღაც ზემდგომი ორგანიზაციის დადგენილებით თბილისში ნავთის წერტები გაამრავლეს. არშაკა პენსიაზე გადავიდა, ხოლო ახალი წერტის გამგე ისეთი ლოყაწითელი, თეთრკბილებიანი, შავთმიანი და თვალებბრიალა ახალგაზრდა გამოდგა, რომ დიმიტრის კინაღამ ტვინში სისხლი ჩაექცა: ეს კამეჩი თვითონ მე გამისტუმრებს პენსიაზეც და უფრო შორსაც, თვითონ კი წერტში დარჩებაო. და ასე. იცვლიდა და იცვლიდა დიმიტრი კუპატაძე სამსახურებსა და პროფესიებს. ერთხელ გულში ტაქსის შოფრობაც კი ჩაიდო, მაგრამ საშოფრო კურსებზე მხედველობა დაუწუნეს — აშკარად გამოხატული დალტონიზმი გჭირსო. ამის შემდეგ ასეთი ზნე დასჩემდა: ვინმე ცნობილ საქმოსანს და ფულიან კაცს აეტორღიალებოდა, პირდაპირ ლაქიად დაუდგებოდა ხოლმე, სახლში კი ცოლშვილს ყურებს უჭედავდა — სერგეი სერგეიჩი ნაღდი კაცური კაცია, ასე მითხრა, ოღონდ ჩემი ერთგული იყავი და შენი დასახლება ჩემს კისერზეო. მაგრამ სერგეი სერგეიჩმა დიმიტრის ორგულობა შეამჩნია, თუ სხვა რამ მიზეზი იყო, — აქედანაც არაფერი გამოვიდა. ასე მიდიოდა ეს წუთისოფელი. ივლიტე ხანდახან მეზობლებში რამე უბრალო საკერავს შოულობდა კარტოფილის ფულს გამოდიოდახოლმე. საწყალმა ქალმა ერთხელ თუ ორჯერ შვილს მანეთიანიც კი ჩაუკუჭა ჯიბეში, ახალგაზრდა კაცის ეგრე უფულობა არ შეიძლებაო. ერთი-ორჯერ ქმრის ნამალევად წაიწუწუნა, შვილო, იქნებ, კარგად გესწავლა, ეს ქვეყანა მაინც ნასწავლი ხალხისაა, ხომ ხედავ, ვინც უცბათ გამდიდრება მოინდომა, თვითონაც რა დღეშია და ცოლშვილიც როგორ დღეში ჰყავსო. ეს იყო და ეს.

ბესარიონ მაგრაქველიძის წრეში შემთხვევით მოხვედრილ ანზორას იმის ძალა არ აღმოაჩნდა, რომ აქედან თავი დაეღწია. შეურაცხყოფის მორჩილად, უდრტვინველად ატანასაც შეეჩვია და ასე ატარებდა თავის წუთისოფელს — მუდამ მორჩილი და თვინიერი, მაგრამ რატომღაც მუდამ სასიკეთო ცვლილებების მომლოდინე, ხოლო საიდან და რატომ უნდა მოსულიყო ეს სასიკეთო ცვლილებები, ამაზე ანზორი ერთხელაც კი არ დაფიქრებულა.

ჯგუფის მეთაურად ბესარიონ მაგრაქველიძე ითვლებოდა. ალბათ, იმიტომ, რომ სხვებზე უფრო ხელღონიერი იყო და ფულსაც სხვებზე უფრო ხელგაშლით ხარჯავდა. ალბათ, კიდევ იმიტომაც, რომ თბილისის ერთ ულამაზეს ქალიშვილს ეარშიყებოდა და ამ საქმის სასიკეთო დასასრულის იმედიცა ჰქონდა. მაგრამ თუ მკლავღონიერობასა და მფლანგველობაში ბესარიონს არავინ ეცილებოდა, ნათია ავალიშვილთან ურთიერთობაში თავი არც ისე უზრუნველად უნდა ეგრძნო.

ბესარიონ მაგრაქველიძე საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენისა იყო და ღირსეული მეტოქე ამ ქვეყნად არავინ ეგულებოდა. თუმცა გამჭრიახობაც აკლდა და ადამიანებს ცუდად იცნობდა, მაგრამ არც ისე სულელი იყო, რომ ზოგი რამ არ ეგრძნო და არ შეემჩნია.

იქიდან, რომ ბესარიონისა და ნათიას ამბავი მეტისმეტად გაჭიანურდა და ნათია სულაც არ ჩქარობდა ბესარიონისთვის თანხმობის ხელის გამოწოდებას მირზა ჭირაქამეძ თავისი დასკვნა გამოიტანა. იგი მშვენივრად ჰხედავდა, რომ ნათიას ბესარიონი არასოდეს ერთი წუთითაც კი არ ჰყვარებია და არც შეეძლო ჰყვარებოდა. პირიქით, ამ წრეში ყველაზე ნაკლებ ანგარიშს სწორედ ბესარიონს უწევდა. მირზამ კარგად იცოდა ისიც, რომ ლამაზი, ზრდილი და განათლებული ნათია ავალიშვილი ბევრი თბილისელი ახალგაზრდის ჩუმი თუ აშკარა ტრფობის საგანი იყო. და ვინც ამ ამაყ და მოხდენილ ქალწულს დაეუფლებოდა იგი — სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, — ერთიანად გაიზრდებოდა თბილისელი ახალგაზრდების, და, ალბათ, არა მარტო ახალგაზრდების თვალში. მერედა, რომელი ახალგაზრდა არ აჰყოლია პატივმოყვარეობის ცდუნებებს? მირზა ჭირაქაძე არამც თუ სხვებს, ჯერჯერობით საკუთარ თავსაც კი არ უტყდებოდა იმაში, რომ ნათიასგან იგივე უნდოდა, რაც ბესარიონ მაგრაქველიძეს. მაგრამ ამავე დროს სრულიად დარწმუნებული იყო იმაში, რომ ბესარიონი ვერასოდეს ვერაფერს ეღირსებოდა და ამიტომ მშვიდად, საკუთარ თავში ღრმად დარწმუნებული ელოდებოდა თავის დროს.

არ ითქმის, თითქოს ბესარიონი ბოლომდე მიხვედრილი იყო მირზა ჭირაქაძის გულისნადებს. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ბესარიონს სულ უფრო და უფრო ნაკლებ ეჭაშნიკებოდა მირზას გადამეტებული თავაზიანობაც ნათიასადმი და ის გამორჩეული ყურადღებაც, რომლითაც ნათია მირზას ექცეოდა. არა, ბესარიონს აზრადაც არ მოსვლია, რომ მირზას მისი მეტოქეობა შეეძლო. მაგრამ, მაინც... თუმცა არა, სისულელეა! მირზა ჭირაქაძემ უკვე ოცდახუთი წელიწადი იცხოვრა ამ ქვეყანაზე, ჯერ არაფერში შემცდარა და ღმერთი რაღა ახლა გაუწყრება? ოღონდ ეს კია, ნათია ნამეტანს ინაზება და ხალხს ათასნაირი ფიქრის საბაბს აძლევს. აი, ეს კი მართლაც არაფრად ვარგა.

☐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ხუტა ბერულავა

# ორი ლექსი

## უღელტეხილი

არც მიფიქრია აქ ამოღწევა!
არც მინატრია და... ამოვსულვარ!
ფიცი რად უნდა ან დამოწმება,
შემხვდა ლამაზად და ჯადოსნურად.

არა სიცოცხლე გარინდებული,
არა გალობა ხმადაშრეტილი,
დგას ჟრიამული კვლავინდებური —
გაზაფხულივით თავაწყვეტილი.

ახალგაზრდობა აქაც ყოფილა, —
ნუ შეკრთებიან თითქმის ტოლები.
ხელისგულივით მოჩანს მსოფლიო
და სარბიელი ფიქრის, ბრძოლების.

მშვენიერებას აქაც შევყურებ,
ხასხასა მოლი ამოდ ბიბინებს.
ვერც ვამჩნევ იმ გზებს და საფეხურებს,
ასე უცებ რომ ამოვირბინე.

არც მიფიქრია აქ ამოღწევა!
არც მინატრია და ამოვსულვარ!
სიტყვა რად უნდა ან დამოწმება,
მიმიღო ძმურად და ჯადოსნურად.

ელავს პირველი უღელტეხილი,
ვით ამაღლება, ვით შთაგონება.
როდი მეცემა გულზე მეხივით
ორმოცდაათი წლის გაგონება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდგავარ მწვერვალზე — კარგად მივლია,
რაც მთავარია, არ ვარ დაღლილი.
აქ შეჩერება მართლა ტკბილაა,
რომ არ მესმოდეს მთათა ძახილი.

სხვა სილამაზეს რა მომანატრებს:
მწვავს აღტაცება ჯერ არნახული.
მზეც რომ ანათებს, ისე ანათებს,
ასე მგონია, დგება ზაფხული...

## ნატალია გონჩაროვა

ზღაპარივით ქალი ჰყავდა პოეტს ხატად,
არ იცოდა დარდი, არცა დაღონება.
უფრო გალამაზდა, ეშხი მოემატა,
როცა მეოცნების გახდა შთაგონება.

იგი უფრო ტურფა, უფრო მწველი, ნაზი
მოეჩვენა ყველას, ვიდრე იყო წინათ,
გონჩაროვთა სახლის ერთ-ერთ ფერიაზე
პოეზიის მეფემ როცა იქორწინა!

არ ელოდა ღრუბელს ნევის წმინდა ცაზე,
არ აკრთობდა მზერა იჭვიანი, ხარბი.
სილამაზეს ენდო... ვაი სილამაზეს,
როცა დასდევს შური, ვით შრიალი კაბის!

ჭორმა მიატმასნა მართლაც გადამთიელს.
ფეხქვეშ ეგებოდა თუმცა ძალზე ბევრი,
ქალს არ აპატიეს, ქალს არ აპატიეს,
რომ პუშკინი იყო მისი მბრძანებელი...

მის მშვენებას ხსოვნა განა დაამიწებს,
თუნდაც შურმა თვალში მტვერი შეაყაროს.
ვინც აღმერთებს პოეტს, ხამს არ დაავიწყდეს,
რომ სიყვარულს მისას უნდა ეთაყვანოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ნიკოლოზ გაბაონი**

# აივნიანი ქალაქი

რომანი

## 2. აბანო

მათი თავმოყრის ერთადერთი საერთო ადგილი აბანოა.

**ფრიდრიხ ბოდენშტედტი, 1001 დღე.**

თბილელი მანდილოსნები აბანოში ისე მიისწრაფოდნენ, როგორც ევროპელი ქალები კონცერტზე ან ოპერაში.

სამშაბათი ქალების დღე იყო. ამ დღეს ციხის აბანოს მიდამოები თეთრჩადრიანი დედაკაცებით თეთრდებოდა. აუზებთან აშ ამოღრმავებულ კლდესთან ფეხმოკეცილნი ისხდნენ: დედები და ასულები, დედამთილები და სიდედრები, დები და რძლები, მულები და მაზლისცოლები, დეიდები და მამიდები, ნათლიდედები და ნათლულები, მსხვილფეხობა და წვრილფეხობა. აბანოში ყველანი თავიანთი ქულფათებით მოდიოდნენ, პაწაწინა ბიჭები და გოგონები ერთმანეთში იყვნეშ არეულნი. აბანოს სპარსული სტილის თაღები ზანზარებდნენ ქალების ლაპარაკით, ყაყანით, ყვირილით, სიცილით, კისკისით, სიმღერით და ჩხუბით. ზოგი ჩიბუხს წევდა და ზოგი ბურნუთს. ზოგნიც ქარვის ან გიშრის კრიალოსნებს მარცვლავდნენ. მასლაათობდნენ. ქაღალდს და ლოტოს თამაშობდნენ. დაქიმითებულივით ჭამდნენ ხმელ ხილს: ნუშს, ნუღლს, შაქარყინულს, ქიშმიშს, ფუსტუღს, ჩირს, ნიამფურს, ბატი-ბუტს, ალჯანაბადს და ქალზბადამს. ქმრები, ვაჟები, მაზლები, მძახლები, ქვისლები, ცოლისძმები და სიძეები გარედან თარფს თარფზე უგზავნიდნენ თავიანთი ოჯახების მანდილოსნებს „გული გაიხარეთო“. თუ ტიტლიკანა და დასაპნილ ქალებში ბევრი ჭიპკას ჰგავდა (პუშკინი და დიუმა მართალს ამბობდნენ), ბევრიც თავისი სილამაზით ლომს ფერხთით დაიწვენდა.

თეთრი ლიზა ყოველ სამშაბათს მიდიოდა ციხის აბანოში და მოუთმენლად მოელოდა ფერშანგოვის ცოლშვილის გამოჩენას.

— ქა, რა, ფეხზე ინა დაიდეს! რატომ საბანაოდ არ მოვლენ? — ბუტბუტებდა თავისთვის თეთრი ლიზა და ლოდინით გული ელეოდა.

ფერშანგოვის ცოლი ანუშა ქალების საზოგადოებას ერიდებოდა. გულმშიშარა, ხალხში ყოფნას ვერ იტანდა. გული უფრიალებდა და ფერი მისდიმოსდიოდა. არც ის სიამოვნებდა, როცა მობანავე დედაკაცები ერთმანეთს

---

გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 1.

ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდნენ და მისკენ ტუჩის აწევით იყურებოდნენ. ანუშას რცხვენოდა, რომ ერთადერთი შვილის და ისიც ქალის დედა იყო. მაგრამ აბანოში წაუსვლელობაც არ იქნებოდა.

აბანოში წასასვლელად ფერშანგოვის სახლობაც ისე აიყრებოდა ხოლმე, როგორც ყველა მოქალაქის ოჯახი. ბოხჩებით და კალათებით, ჩაიდნით და სამოვრით, ჭიქებით და ფინჯნებით, თეფშებით და ლამბაქებით, შემწვარით და მოხარშულით, ნაზუქით და ნუგბარით.

როცა ფერშანგოვის ცოლ-შვილი აბანოში გამოჩნდა, ნახევრად ტანგახდილი თეთრი ლიზა აუზის კიდეზე იჯდა, ხელში კრიალოსანს ათამაშებდა და თავის კანტურით თვლემდა. ჩურჩულმა და ჩოჩქოლმა, რომელიც დედიშობილა ქალებში სოვდაგარ ფერშანგოვის ოჯახის გამოჩენამ გამოიწვია, თეთრ ლიზას თავი მაღლა აალებინა, მაგრამ მათი გამოჩენით გამოწვეული სიხარული არაფრით შეიმჩნია, მთქნარებას მოუხშირა, ცალი თვალით კი მოჩიტული გოგო სწრაფად შეათვალიერა. მოეწონა და გაინაბა.

მოახლემ ტანისამოსის გახდა დაუწყო თავის ახალგაზრდა ქალბატონს. თმა ჩამოუშალა და როცა კაბის ქობა ყრუ შრიალით დაეცა ქალწულის ფერხთით, ყველამ მის შიშველ სხეულს მიაპყრო თვალი. გოგოს სირცხვილის ალმური აუვიდა სახეზე. დარცხვენა და კდემა უხდებოდა და ხალხში მიუჩვეველი, ცოტათი თრთოდა კიდეც.

თეთრმა ლიზამ ცხენის დალალის ხარბი თვალი დაადგა გაშიშვლებულ ქალწულს. გამხდარი არ იყო, მაგრამ ფერმკრთალი გამოიყურებოდა. შეიძლება იმიტომ, რომ სახლში ჩაკეტილს ჰაერი და მზე ენატრებოდა. ახლა კი სახე შეფაკლოდა, თვალგაშტერებული იდგა და შავი დალალები მხრებზე და ზურგზე უწესრიგოდ ჩამოჰყროდა.

შუშანიკა მისმა ტოლმა გოგოებმა სიცხილ-ხარხარით ჩაითრიეს აუზში. მორცხვი გოგო ცელქმა დობილებმა ცუღლუტი სიტყვით გააცინეს. ამ გაცინების დროს თეთრმა ლიზამ მისი თეთრი და სწორი კბილები დაათვალიერა. მერე ზოზინით ადგა თავის ადგილიდან, ფეხაკრებით მივიდა გოგოების აუზთან, მთქნარებით მიტრიალდ-მოტრიალდა და უეცრად მათ აუზში ჩაუხტა. გოგოები წივილ-კივილით გახტნენ განზე. შავი, დაღრეჯილი დედაკაცის მეზობლობა იუკადრისეს. შუშანიკა ღარქვეშ იდგა, თვალები დაეხუჭა და მაღლა აწეული სახე ნელთბილი წყლისთვის მიეშვირა. გოგების ყვირილზე დიდრონი თვალები განცვიფრებით გაახილა, ტკბილად მოცინარე დედაკაცს გაუღიმილა, მოკრძალებით განზე გადგა და ღარი დაუთმო. მაგრამ თეთრი ლიზა კიდევ უფრო ახლოს მივიდა მასთან, ზედ მჭიდროდ მიეკრა, ალერსით სახელი ჰკითხა. როცა გოგომ თავისი სახელი უთხრა, თეთრმა ლიზამ ძალზე ახლოს მიიტანა თავისი პირი მის პირთან და ცხვირის ნესტოებით მისი ნასუნთქი შეისუნთქა: „ამ ტურფას პირში ავი სუნი არა ჰქონდესო“. მერე გაეხუმრა, ამოზნექილი მკერდის მკვრივ ძუძუებზე სიცილით თითები მოუცაცუნა, იღლიებქვეშ ხელი შეაპარა და მის მოქნილ კისერსაც შეავლო ხელი. გოგო გაოცებული უყურებდა უცნობ დედაკაცს. უკვირდა და ვერ მიმხვდარიყო, რა უნდოდა მისგან ამ საოცრად შავ და უსახურ ხნიერ ქალს, რომელსაც შეიდიშის გახდა დაიწყებოდა და ისე იდგა აუზში. თეთრმა ლიზამ მას ყველაფერი ხუმრობაში ჩაუტარა, ტკბილი და ალერსიანი სიტყვებით გაიშინაურა და მუსაიფი გაუბა.

აუზიდან ერთად ამოვიდნენ. თეთრი ლიზა თავის ტანსაცმელს ეცა, კაბის ჯიბიდან ქიშმიშ-ლაბლაბო ამოიღო და გოგოს გაუწოდა. შუშანიკმა ესეც იუცხოვა, მაგრამ უარი არ უთხრა, მორცხვად მადლობა გადაუხადა. თეთრმა ლიზამ ალერსიანად დაუბრუნა:

— მადლობა რა საჭიროა?! მიირთვი, ღმერთმა შეგარგოს!

თეთრ ლიზას ეს იმის გამოსაკვლევად სჭირდებოდა, თუ როგორი მჭამელი იყო ფერშანგოვის ქალი.

შუშანიკას მოახლე თვალს არ აშორებდა თეთრ ლიზას. მისახვედრს მაშინვე მიხვდა. როცა ახალგაზრდა ქალბატონმა მას თავისი გრძელი თმა დასავარცხნად დაანება და თვითონ სიამოვნებით ჩაიხედა ვერცხლის მიჭვრიტინაში, მოახლემ ყურში ჩასჩურჩულა:

— შუშანიკ, მალე მაჭანკალი მოვა მამაშენთან.

— ვისგან, ვარდისმონა? — ნიაზით ჰკითხა ქალბატონმა და ბაგეზე ცბიერმა ღიმილმა გადაურბინა.

— აი, იმ შავი დედაკაცისაგან. — სიცილით უპასუხა ვარდისმონამ და მათკენ მაცქერალი თეთრი ლიზა დაანახა. გოგო მყისვე მიხვდა ყველაფერს, წარბი უკმაყოფილოდ შეიკრა და იმ დაღრეჯილ დედაკაცს ბავშვურად გულმოსულმა შეუბღვირა. თეთრმა ლიზამ აინუნში არ ჩააგდო ეს გაბუტული გამოხედვა. ისევ თავისი აუზის კიდეზე ჩამოჯდა. პირში ხან ქიშმიშს იყრიდა, ხან ლაბლაბოს. სოვდაგრის ქალს ალტაცებით უყურებდა და შორიდან უცინოდა.

შუშანიკამ მას პირი აღარ უჩვენა. მაგრამ აღარც თეთრ ლიზას ჰქონდა რამე გამოსარკვევი. იმავე საღამოს გიგას ახარა: „შენი შუშანიკას ტანიდან მზე და მთვარე ერთად ამოდისო".

მეორე დღეს მაჭანკალმა სოვდაგარ ფერშანგოვის კარზე დააკაკუნა. დინჯმა და სიტყვაძუნწმა სოვდაგარმა მაჭანკლის გაუთავებელი ყბედობა ბოლომდე მოთმინებით მოისმინა და ერთი საათის შემდეგ ძლივს გაიგო, რომ მას ქალის ხელსა სთხოვდა: „ლამაზი ყმაწვილი, კუკიელი მედუქნის ფირუზა ზანდაროვის ნათესავი, ჯერ თვითონაც მედუქნე, მაგრამ ქარვასლებში კარგად ცნობილი გიგა ზანდაროვი". სოვდაგარმა მაჭანკალს არც „ჰო" უთხრა, არც „არა". ფიქრისთვის დრო მოითხოვა. გახარებული მაჭანკალი ქალაღაიას ფრიალით მიფრინდა ზანდაროვებთან და ლოდინით გულგადალეულებს მაჭანკლურად ჩაუბულბულა: „პირველად დიდად გაიოცა და დიდ უარზეც დადგა, ღარიბიაო. სამი საათი ველაპარაკე, მაგრამ ვერაფერს გავხდი, პირჯვარი ვერ დავაწერინე. აქაოდა, სად ნე და სად ისინიო, მე მდიდარი სოვდაგარი ვარ, ის კი მედუქნის დახლში დგასო. მისი თანხმობის ძებნაში, თქვენმა მზემ, ფოსტლები დამვარდება. მაგრამ არა უშავს, ბოლო კეთილი აქვს. ჩვენი ლამაზი და იმათი კეკლუცი, ჩემი გაწოისობით მალე გვირგვინებს დაიდგამენ თავზე. თუ ეს ასე არ მოხდეს, მაშინ მოდით და პირში ჩამაფურთხეთ. ფუჰ! ფუჰ! ფუჰ!".

გიგა მას ახალ ქოშებს შეჰპირდა, ფირუზა თავშალს, თეთრი ლიზა კი „შავ ქვას და ნაცარ-ცხელს", სანამ საქმეს საქმეზე არ მიიყვანდა.

### 3. ნიშნობა

შენი ათი თუმანი და ისიც ოცდაათი, შეადგენს ორმოცსა. მაშინ, ჩემ ობედის ვარსკვლავო, ჩვენ შევძლებთ ჯვარის წერასა და შემდეგ ვაჭრობასაცა.

**გრიგოლ რჩეულიშვილი, „ანუკა ბატონიშვილი".**

მაჭანკალი ხან ფერშანგოვთან იჯდა, ხან ზანდაროვებთან, მაგრამ სოვდაგარი არა ჩქარობდა.

ფერისცვალობის დღეს მოსული მაჭანკლის ამბავი ცოლს მან მხოლოდ წყალკურთხობის დღეს შეატყობინა. ანუშა დაიბნა. არ იცოდა რა ეთქვა. ქალის გათხოვება ჯერ არ უნდოდა. შუშანიკა მხოლოდ ნეთექვსმეტე წელიწადში იყო გადამდგარი. ამას გარდა, მას არც სასიძოს ქართველობა მოსწონდა, სომხის მღვდლების ეშინოდა და ერიდებოდა. ქმარს გაუბედა და უთხრა: „შუშანიკამ რომ ქართველების ეკლესიაში ჯვარი დაიწეროს, ტერტერებს მოვიმდურებთო". „მეტი მიზეზი არა გაქვს?" ჰკითხა ქმარმა ისეთი კილოთი, რომ ცოლი მყისვე მიხვ-

და, რომ ოჯახის უფროსი სასიძოს არა სწუნობდა და ქალის გათხოვებაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

ფრთხილ, წინდახედულ და ანგარიშიან სოვდაგარს თვალში მოსდიოდა ახალგაზრდა ზანდაროვი. ქარვასლებში სოვდაგრები მას მუდამ აქებდნენ და დარწმუნებით ამბობდნენ: „კოჭებში ეტყობა, რაც არის. ეხლა უბრალო მედუქნეა და ბოლოს ნახამთ, მილიონებს დაუწყებს ლაპარაკსო“. ასეთ ხმებს ფირუზა ზანდაროვის დახლიდარზე თვითონ ფირუზა და მისი ის დამქაშები ავრცელებდნენ, რომელთაც იგი ბაზრის დახლზე თითო არაყს ალევინებდა ხოლმე. კუკიელ მედუქნეს ასეთები ბლომად ჰყავდა: ლოთი ივანე, წუნია გეო, მეტიჩარა საქულა, მშიშარა სოსანა, ფეხზემოვაჭრე ოსკანა, ცოლგაყრილი აბრამა, ბეცი ალავერდა, ცალფეხა იასონა, უკბილო წყალობა... ამ იოყსულებს, ტრაბახობდა ფირუზა გიგასთან, რასაც ეტყვი, იმას ილაპარაკებენო.

სოვდაგარ ფერშანგოვს მხოლოდ ის არ მოსწონდა, რომ ახალგაზრდა ზანდაროვი გულკეთილი და ხელგაშლილი ჩანდა. დარდიმანდობდა, ქეიფობდა, კრივი და გართობა უყვარდა. „ესეც არაფერი. რას იზამ? სალთია, გულის ბუხარი მარტო თავისთვის აუნთია,— წონიდა და ზომავდა ღრმად ჩაფიქრებული სოვდაგარი, — ბოლოს მოიტეხინებს. ოჯახი დაადინჯებს, ცოლ-შვილი ბორკილად გაუხდება. კრივისა და ართურმასთვის სადღა ეცლება?“ სოვდაგარს ისიც გაახსენდა, რომ ახალგაზრდა ზანდაროვის ნათესავი ფირუზა გასომხებული ვაჭარი იყო, თუმცა, ესეც კარგად იცოდა მან, ის არც ქართველების და არც სომხების ეკლესიაში არ დადიოდა. „ესეც ანგარიშში უნდა ჩავაგდოთ, — აღნიშნავდა თავისთვის სოვდაგარი, — შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შუშანიკამ გრიგოლ ზანდაროვზე სომხების ეკლესიაში დაიწეროს ჯვარი. ჩემი ცოლი ანუშა მართალია, ტერტერები ტყუილად რატომ უნდა მოვიმდუროთ“. ქარვასლებში ყველას გიგა ზანდაროვის ამბავს ეკითხებოდა, თავის განზრახულს კი არავის არ უმხელდა.

დიდხანს ფიქრობდა, დიდხანს წონიდა და ანგარიშობდა. ხან ყოყმანი ეტყობოდა, ხან მტკიცე გადაწყვეტილება. შუშანიკას თექვსმეტი წელი ისე შეუსრულდა, რომ ვერც მაჭანკალმა და ვერც ფირუზამ მას ვერასგზით „ჰო“ ვერ ათქმევინეს. ბოლოს, როგორც იქნა გადაწყვიტა და ზანდაროვები ქარვასლაში, თავის მთავარ მაღაზიაში დაიბარა. დიდი ვაჭრობის შემდეგ ძლივს მორიგდნენ და ქრთამზე შეთანხმდნენ. მზითვის გრძელი სია ჩამოწერეს. სოვდაგარი მელქო ფერშანგოვი თავის ქალს შუშანიკას ოქრო-ვერცხლს, თვალ-მარგალიტს, მდიდრულ ავეჯს, ხოხებს... და აქანდაზსაც და მაშასაც კი ატანდა მზითვებში.

ქალს არავინ არაფერი ჰკითხა.

ჩვეულების მიხედვით ნიშნობის ბეჭდები ქალ-ვაჟის დაუსწრებლად გაცვალეს.

გულნაღვლიანმა ანუშამ თავის ქალს ერთი კვირით ადრე შეატყობინა, რომ მას ლამაზსა და მდიდარ კაცზე ათხოვებდნენ. შუშანიკა შეკრთა, ათრთოლდა, დედას შეშინებული თვალები მიაპყრო.

— დედი, ვიცი მატყუებ! დედი! მეხუმრები არა?

ანუშამ ამოიოხრა. კაკლის პაწია ყავისფერი კოლოფი გააღო, იქიდან ოქროს ბეჭედი ამოიღო და ქალს თითზე გაუკეთა. შუშანიკამ ტირილი მორთო. დედამ ჯერ სევდიანად გაიღიმა, მერე თვითონაც ღაპა-ღუპით ჩამოსცვივდა ცრემლები თვალებიდან. შუშანიკამ საყვარელ დედას ხელები ყელზე შემოხვია, ცრემლებით დანამული ლოყები დაუკოცნა და სლუკუნით უთხრა:

— დედი, მე გათხოვება არ მინდა.

— შენი ნება არ არის, შვილო!— თანაგრძნობითა და სიბრალულით უპასუხა დედამ, რომელსაც დაუქალებელი

შვილო გასათხოვრად არ ემეტებოდა, გული ეთანაღრებოდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ადათსა და ჩვეულებას წინ ვერ დაუდგებოდა.

— ბედს ვერსად გავექცევით, შვილო. ბედის წიგნი ზეცაში იწერება, ქორწინებასაც ღმერთი ახდენს. — თქვა და ოთახიდან გავიდა.

#### 4. სიყვარულის ცხრაკლიტული

მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი,
სიხარულითა გამოჩენილი?
**ნიკოლოზ ბარათაშვილი „ჩონგურს“.**

მარტო დარჩენილმა შუშანიკმა გულამომჯდარი ტირილი მორთო. ბალიშებში ჩამხობილი იმ ბავშვივით ტიროდა, რომლისთვისაც ცელქ დობილებს სათამაშო გაეტეხათ. ზლუქუნებდა, ცრემლებით ასველებდა ბალიშებს, სხეული ნაციებსავით უთრთოდა, გაბუტულივით გულუბრყვილო სიტყვებს ჩძახდა და ვიღაცას თავს აბრალებდა. ტიროდა და ტიროდა. ტირილმა მოქანცა. თავი ძლივს ასწია სასთუმალიდან. ხმიანი ტირილი შეწყვიტა, ასლუკუნდა, მერე გაჩუმდა, გაინაბა, თვალი გაუშტერდა და ჩაფიქრდა.

[illegible] უყვარდა.

სიყვარულს ცხრაკლიტულში გზა ეპოვნა და სოვდაგრის გოგოსთვის მიეგნო.

შუშანიკისათვის სიყვარული, ისევე როგორც ყველა მისი ასაკის გოგოსთვის, საოცნებო, სასურველი, სიხარულისა და სევდის მომგვრელი რაღაც გაუგებარი, მაგრამ ამავე დროს ამაღელვებელი გრძნობა იყო. წმინდა და შეუბღალავი, თავანკარა და აუმღვრეველი. ამ გრძნობას მას ერთგული მოახლე, გულღია, მუდამ მხიარული, ხუმარა და გულკეთილი ვარდისმონა უნერგავდა თავის ჭიანურით და ზარივით წკრიალა სიმღერებით.

ვარდისმონას მშვენიერი ხმა ჰქონდა (გიგას ქუჩაში მისი დაკვრა და სიმღერა ესმოდა). გატაცებით მღეროდა ბესიკის, საიათნოვას და სტეფანე მკერვალის ლექსებს რასტის, შიქასტას, თარლიბის, საჰარის სიგაზაბულის და მუხამბაზის ხმაზე.

მუთაქებში მოკეცილი შუშანიკი სულგანაბული უგდებდა ყურს, ოცნებობდა და სივრცეში ვიღაცას უღიმოდა. იქვე, სპარსულ მრგვალ სკამზე, ვარდისმონა იჯდა ჭიანურით ხელში, ახალგაზრდა ქალბატონს სიმღერებით ართობდა და შეყვარებული ქალ-ვაჟების ამბებს უყვებოდა. მოხიბლული და მოჯადოებული შუშანიკი გულის ძგერით ისმენდა ვისისა და რამინის, ლეილასი და მეჯნუნის, ტარიელისა და ნესტანის საკვირველი სიყვარულის ამბებს და საოცარ თავგადასავლებს. ხელში მოუშორებლად ეჭირა მიჭვრიტინა, თავის სახეს, თვალ-წარბს, დალალებს და სამკაულებს ეალერსებოდა, საყურეს ეთამაშებოდა და კეკლუცობდა. ხანგამოშვებით ვარდისმონა და იმის სიმღერა აგონდებოდა, გამოფხიზლებულს პირს ღიმილი მოსდიოდა და მოახლეს უცინოდა, მაგრამ მალე ისევ ოცნებას ეძლეოდა და მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას, ვინც მისი მიჯნური უნდა გამხდარიყო.

შუშანიკს ცხოვრების არაფერი გაეგებოდა. უჰაეროდ და უმზეოდ იყო გაზრდილი. ოთხ კედელს შუა გამომწყვდეული ადამიანებს მხოლოდ სიმღერებიდან და იმ ზღაპრებიდან იცნობდა, რომელთა მიხედვით უფლისწული გლეხის ქალს ირთავდა ცოლად, მდიდარი ვაჭრის შვილი დედინაცვლის ხელში დატანჯულ ობოლს, ხოლო მოხერხებული მეღორე ან ბატების მდევნელი ჭკუით მეფის კარისკაცებს სჯობნიდა და საცოლეს მეფის ასულებში ან სეფექალებში პოულობდა.

ასეთნაირ ზღაპრებს უყვებოდა ხოლმე თავის ქალბატონს ვარდისმონა, როცა ღამ-ღამობით მის სარეცელთან იყო ჩაცუცქული და მოყოლილ ზღაპარს ძილისპირულით ამთავრებდა.

სიმღერა სიმღერას ცვლიდა, ზღაპარი ზღაპარს, არაკი არაკს.

სოვდაგრის გამოუცდელი ქალი თანდათან ისე ეხვეოდა საოცნებო ბურანში, როგორც გაუფრთხილებელი და წინდაუხედავი მწერი დედაზრდილის ქსელში ეხვევა.

ვარდისმონა ახალგაზრდა ქალბანაც წუმი შეინახა და ქალბატონსაც უშლიდა და თავისებურად მარჩიელობდა. სუფსარქისის ღამეს კი თვითონაც წუმი შეინახა და ქალბატონსაც შეანახვინა (სათითით მარილი ჭამეს და ისე დაიძინეს). მეორე დღეს, დილით, ახალგამოღვიძებულ ქალბატონს ვარდისმონამ ნიაზით ჰკითხა:

— შუშანიკ! წუხელის რა ნახე სიზმარში?

შუშანიკმა ეშმაკურად გაიღიმა, მოახლის დაინტერესება მოინდომა.

— იცი რა ვნახე?

— რა ნახე? მითხარი და გამახარე, ჩემო მზეთუნახავო!

— წუხელ სიზმარში, — დაიწყო შუშანიკმა, — ერთი მაღალი, ლამაზი, ოქროსქოჩრიანი ყმაწვილი ვნახე, ოქროს ჰურჭლიდან წყალი დამალევინა და წყურვილი მომიკლა.

— შენ გენაცვალოს ვარდისმონა! — შესძახა გახარებულმა მოახლემ, — ბედნიერი სიზმარი გინახია. ოქროს ჭურჭელი სიმდიდრესა ნიშნავს.

— მართლა, ვარდისმონა? ვერცხლისა რომ მოეტანა?

— შეძლებული ქმარი გეყოლებოდა.

— ხის რომ მოეტანა? — თქვა შუშანიკმა და მოახლეს გამომცდელი თვალებით დააცქერდა.

— უწინ დღეც გამქრობია! უბედური და ღარიბი იქნებოდი.

— სიზმარში მე ხის ჭურჭლიდან დამალევინეს წყალი.

— ნუ მცდი, გენაცვალე, ტყუილად გულს რათ მიკლავ?! — საყვედურით მიმართა შეშინებულმა მოახლემ დაფიქრებულ ქალბატონს და ნათქვამი არ დაუჯერა. „მდიდარი სოვდაგრის ქალთან საბედო უეჭველად ოქროს ან ვერცხლის ჭურჭლით მოვიდოდაო. აბა, რა სათქმელია, რაც ეხლა შუშანიკმა თქვაო". გადაიკისკისა. ქალბატონს ალერსით დაუწნა თმები და თავისი ტკბილი და მხიარული სიზმრები უამბო.

## 5. დობილები

„რა არის შენი ბედნიერება, ჩემო კოხტა გოგონავ?"
„ჩემი სახეა ჩემი ბედნიერება, ბატონო" თქვა მან.
„მაშ თუ ეგრეა, ცოლად შეგირთავთ ჩემო კოხტა გოგონა".
„თქვენ ვინა გკითხავთ, ბატონო" უპასუხა მან.

ინგლისელი ანონიმი

მაისში, ამაღლებამდე რამდენიმე დღით ადრე, ვარდისმონამ თავისი ახალგაზრდა ქალბატონი მშობლების დაუკითხავად მეზობლებთან გადაიყვანა. იმ დღეს გასათხოვარ გოგონებს ვიჭაკის წყლით თავიანთი მომავალი ბედი უნდა გამოეცნოთ.

შუშანიკს ამ მხიარულ გოგონებში ყოფნა უხაროდა. მათს სიცილ-კისკისს, ცუღლუტურ სიტყვა-პასუხს, ერთმანეთის მოსწრებულად გაკილვას და დაცინვას თვითონაც ჰყვებოდა და ცელქობდა.

ღარიბების შუბლგახსნილ ქოხში მდიდარი სოვდაგრის ქალი ტყეში გაშვებული ჩიტივით დანავარდობდა. ხან ერთ გოგოს უცინოდა ხან, მეორეს.

პაწაწინა ოთახი ათასნაირი მინდვრის ყვავილებით, ბალახებით და ბუჩქნარის ტოტებით იყო გავსებული. უწესრიგოდ ეყარა დიდფურცელა, წვრილფურცელა, გრძელფოთლიანი და დაკბილულფოთლიანი ყვავილები, ბალახის ღეროები და ტოტები. თავდაღუნული გოგონები გაფაციცებით არჩევდნენ ყველაზე პირცქვიტა, ყველაზე კოპწია, ყველაზე ფერად, ყველაზე მხიარულ ყვავილსა და ბალახს, რათა გრძელ-გრძელი ყვავილწნულები და ლამაზ-ლამაზი გვირგვინები დაეწნათ.

შუშანიკიც სხვებთან ერთად თავის ყვავილწნულს ვაინაჩრობით აკეთებდა, თან იხტიბარს არ იტეხდა და იღიმებოდა. უცებ მან ოსურნელა სველი ხელით

გასრისა, მყისვე თითები გაუსივდა და გაუწითლდა. ვარდისმონამ თვალი შეასწრო ოსურნელასაც და ქალბატონის დაღრეჯილ სახესაც. სიცილით უთხრა

— ოსურნელა მოგხვდა, შუშანიკა? ეგ უფრო ეწერში იზრდება, აქ საიდან გაჩნდა? ხედავ, რა კარგი წითელი თეთრნარევი, მტევანივით პოგრძო და ბრტყლად დაკბილული ყვავილი აქვს?

შუშანიკი თავის დასიებულ და გაწითლებულ თითებს გულზიზღიანად დაცქეროდა, ყვავილწნულს ხელს აღარ ჰკიდებდა. ვარდისმონა გაუჯავრდა.

— გოგო, ეგრე რამ შეგაშინა? ისე გააკეთე, როგორც სხვები აკეთებენ. ოსურნელასთანა ბალახი კი გადააგდე, რათ გინდა? ქა, ურო, უბრალო და კარგი ბალახი ერთმანეთისაგან ვერ უნდ გაარჩიო?

გოგონებმა ერთად გადაიკისკისეს. შუშანიკს შერცხვა, გაწითლდა, წამწამზე ცრემლი აუბრჭყვიალდა. ვარდისმონა თავის პატარა ქალბატონს მოეხვია და გადაკოცნა.

— გეხუმრები, შუშანიკჯან! აბა, შენ ეს საიდან გეცოდინება, მარტო საყდრისა და აბანოს გზაზე დადიხარ!

მართლაც, ყვავილ-ბალახებიდან და ხეებიდან შუშანიკს მარტო ეზოს ურჩხა, ბალახი, ვარდი, იასამანი, ნარგიზი, ფშატი, უნაბი და თუთა ჰქონდა ნანახი.

— ყველა ბალახს, ყველა ყვავილს, — ეუბნებოდა ვარდისმონა თავის ქალბატონს, — თავ-თავისი სახელი აქვს. ზოგი ადრე გაზაფხულზე მოდის, ზოგი შემოდგომაზე, ზოგიც ზამთარ-ზაფხულ ყვავილობს. ეს ყველა ქალაქელმა გოგომ კარგად იცის, რადგან ხან შინდის საკრეფად დადიან ტყეში, ხან პანტის დასაბერტყად. მაშ, მაშ! პუმპულა ბურბურაში არ აერევათ!

— პუმპულა რა არის, ვარდისმონავ, ბურბურა რასა ჰქვიან? — მიამიტად იკითხა შუშანიკმა.

გოგონებმა ისევ გულიანად გადაიკისკისეს. ვარდისმონამაც ჯერ თავისი მსხვილი კბილები გამოაჩინა, მერე შუშანიკს მიესიყვარულა:

— აბა როგორ გითხრა? რომელი ერთი ჩამოვთვალო? აი, მაგალითად, ზოგ ბალახს დანისკუდა ჰქვიან, ზოგსაც ბარისპირა დ გობისცხვირა!

— გობისცხვირა?! იჰ, რა სასაცილოა! ნეტავი რომელი ბალახია ეგრე სასაცილო?

— ეგ რა არის! მაგაზე სასაცილო სახელები ჰქვიათ ბალახებს და ყვავილებს. გოგოებო, მომაგონეთ, თორემ ამის ხასიათი რომ ვიცი, აღარ მომეშვება.

— ვირისგვერდა! — დაიძახა სულ უფროსმა გოგომ და ხერხივით დაყოფილი კბილები ისე დაკრიჭა, პირი გახევაზე გაუხდა.

— იჰ, შენ მომიკვდი, შენა! — სიცილით გასძახა ვარდისმონამ, — ეგ საიდან მოგაგონდა? განა არა, ფოთოლი შენსავით დაკბილული აქვს. ვირისგვერდას, შუშანიკ, ლურჯი ყვავილი აქვს, ლურჯი ფერადის საღებავად იხმარება.

— კიდევ რა სახელები იცი, ვარდისმონავ?

— კიდევ? დათვისაგებელა, დევსურა, ვაცისწვერა, თიკნისყურა. ეს მხალია, საჭმელი, როცა მოიხარშება, უფრო გამწვანდება.

— კიდევ კიდევ.

— კიდევ, ქათმისქოჩორა, ღორისქადა, ბუმბულია, ყვითელი ყვავილი აქვს, ბოლოს ბუმბულსავით გახდება. ყვავისკუდა, გრძლად, იზრდება, ერთი ღერო აქვს ბუსუსიანი; ჩიტისფეხაც ერთ ტოტზე იზრდება, თავთავს ფოჩივით იკეთებს, ჩიტის ფეხსავით დაყოფილს: ცხენისოფლა მაღალი ბალახია, ფოთოლი ტირიფისას უგავს, ყვითელი ყვავილები აქვს; ცანცარაც ნახევარ ადლზე იზრდება, ეს თავსაწვეპელა ბალახი წვრილი დ გრძელფოთლიანია.

— კიდევ რა სასაცილო სახელი იცი, ვარდისმონავ?

— კიდევ?... ცხვირსატეხელა.

შუშანიკი სიცილისაგან ჩაბჟირდა.

— კიდევ... კიდევ...

— თავცეცხლა.

— ხა, ხა, ხა, ხა!

— ეგ ვირების საყვარელი ბალახია! — დაიძახა ვარდისმონასავით აყლაყუდა, მაგრამ კოკროჭინა და კევიღეჭია გოგომ.

— კიდევ... კიდევ...

— პაპისყვერა! — წამოიძახა ლაშებიანმა. ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარმა გოგომ და ბილწურად გაიღიმა. სხვებმა მორცხვად დახარეს თავი და გაილურსნენ. ვარდისმონამ ჯერ წარბი შეჰკრა, მერე მთელ სახეზე სათნო ღიმილი გადაეფინა, შუშანიკს მიესიყვარულა და განაგრძო:

— მე უფრო, შუშანიკჯან, ზამთრის ბოლოს და გაზაფხულის ყვავილები მიყვარს, ბუჩქისძირებსა და ტყისპირებზე ლამაზად რომ ყელყელაობენ, მწვანეყვავილებიანი ხარისპარია, ლალისფერი ყოჩივარდა, შენსავით მორცხვი ცისთვალა, ამ ლაშებიან ფეფელასავით ურცხვი და ღნიოში, მაგრამ ამაზე კოხტა ცხენისკბილა, ენძელები, ლურჯთვალა იები, ჩიტისთავა, კესანე, ფერისულა, ბოლა და სხვა ნაირ-ნაირი ყვავილი და ბალახი. ნუთუ ამათი სახელები არც დედას უთქვამს, არც მამას?

— მაგან თუ ბალახის სახელები არ იცის, არც ფხალეული ეცოდინება?!. — თქვა ერთმა მოლეულმა, ძალზე გამხდარმა, თვალებმაცაცა და სახეჭორფლიანმა გოგომ.

— საიდან ეცოდინება, — შეუტია მას გაჯავრებით ვარდისმონამ, — შვილოსან, მთელი ქალაქის მტვერი კაბის ბოლოთი გაქვს მოხვეტილი და ამას ედრები?!

— შენ გული რაზე მოგდის? შენ ვინ გეკითხება? — გაჯავრებითვე შემოუტია ჭორფლიანმა გოგომ, — მაგას, ნიძლავსა ვდებ, ქვაბის ზედ-ღგარზე შედგმა არ ეცოდინება, ფხალეულის მოდუღებას ნუღარ იტყვი!

— ჩხუბისთავო, აქაც აღარ ჩერდები? — გაუწყრა ყველაზე უფროსი გოგო ჭორფლიანს და თან უკვე გაცხარებული ვარდისმონას დაშოშმინება მოინდომა, — ვარდისმონავ, შენ რაღა მოგივიდა, რა სულ მურწა ბალახს და თოვლში ამოსულ ყვავილებს უსახელებ სოვდაგრის ქალს, ფხალეული ვერ დაუსახელე, რომ სახლში ნახოს და დაიხსომოს.

— შენც ლაპარაკობ რაღა! — ხელები გაშალა ვარდისმონამ, — დიდმარხვაში რამდენჯერ მომიხარშია კორდისენა, მაგრამ აბა ჰკითხეთ, როგორია ან რანაირი ფოთოლი აქვს. მაგას ზედადგართან ვინ მიუშვებს, ან მწვანილს ვინ გაარეცხინებს, სოვდაგრის აზიზ-მაზიზი ქალია! ნაცარქათამა მაგან რა იცის!

— მაშ არც შავკაკალა ეცოდინება? — ჩაერივნენ ლაპარაკში სხვა გოგოებიც.

— არც ომბალო. — თქვა მაღალ-მაღალმა და პირხმელა გოგომ.

— არც თავყვითელა. — დასძინა მსუქანმა და ლოყებწითელა გოგომ.

— შავკაკალა რაღაა? — მიამიტად იკითხა შუშანიკმა. გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩაიფრუტუნეს.

— შავკაკალაც ბალახია, — განუმარტა ვარდისმონამ თავის გულუბრყვილო ქალბატონს, — პურში აურევენ, რომ კარგი სუნი მისცეს...

— პური რისგანღა კეთდება? — აღარ დააცალა ლაპარაკი ვარდისმონას ყველაზე უმრწემესმა და ყველაზე ცქრიალა გოგომ, თან ყელიც მოიყარყარა და ჭრელი, ხშირწამწამებიანი თვალებიც ეშმაკურად ააციმციმა.

ვარდისმონამ ახლა კი ვეღარ მოითმინა, მას თავში მაგრად ჩაუფაჩუნა და თან დაუტატანა:

— შენი მასხარად ასაგდები ვინ არის? თორემ შენ რა, ეგ არის, სამყურას ოთხყურასაგან გაარჩევ.

ტანდაბალმა გოგომ აყლაყუდა ვარდისმონას სერიოზული სახით ახედა და სერიოზულად უთხრა:

— ოთხყურა ჯავარა ბალახივითაა, ღეროზე ოთხი ფოთოლი აქვს, ყვავილი მოგრძო, მომტევნო და მოწითანო. სამყურაზეც, თუ გინდა, ეხლავე თამასუქს გამოგიწერ! — გაბრაზდა უცებ უმრწემესი გოგო და ვარდისმონას ხმა აღარ

ამოაღებინა, ზედიზედ მიაყარა, — შენ ვინ მოგცა ნება, რომ თავში ჩამარტყა? ობოლი ხომ არა გგონივარ, შე ბოსტნის საფრთხობელა, შენა! თავი რომ რამის ცასა ჰკრა, ეგ გათამამებს, განა არ იცი, რომ თავში ჭკუაც უნდა გეყაროს! ერთი ამას უყურეთ, რანაირად ითხლიშება, თავის ჭკუაში რანაირად დამცქერის. აი, მეხი კი დაგაყარე! შენ ისევ ის გირჩევნია შენს პირზე რძეშეუშრობელ ქალბატონს მოუარო. შენ ცოტა ჭკუით მოიქეცი, თორემ თუ მაგ შენს ბუწუწებს ვეცი, ხელიდან ვერავინ გამაშვებინებს!

— ერთი ამ სასიკვდილეს უყურეთ?! — გაკაპასდა ვარდისმონაც, — ჯერ მიწას არ ასცილებია და თვალებში უკვე ასი ეშმაკი უზის!

— სასიკვდილეც და დასამიწებელიც შენა ხარ. შე ვირაქლემა, შენა!

— ქა, შენ მაგას ვის უბედავ?! — გაიწია ვარდისმონამ ნორჩ გოგოსკენ.

— ხომ არ გინდა ეგ დაბებკილი ქალაღაია შემოგახიო?

გაიწია მისკენ ნორჩმა გოგომაც. ყველაზე უფროსი გოგო უმრწემეს გოგოსა და ვარდისმონას შუა ჩავარდა, ერთმანეთს ძლივს დააშორა და დააშოშმინა. მერე გოგონებს მიუბრუნდა:

— ეხლა ის დროა ვიჭაკის წყლის მომტანი დავასახელოთ.

გოგონებმა დიდი ამბით ამოირჩიეს თავიანთ შორის ვიჭაკის წყლის შემგროვებელი. მას შვიდ სხვადასხვა წყაროზე უნდა ჩაესხა წყალი საგანგებო ჭურჭელში და უკან ისე უნდა მოეტანა, რომ წვეთი არ დაექცია.

**ე. ვიჭაკური სიმღერები**[1]

**ორო კვირის მთვარეო,**
**ნათელ ბრწყინვალე არეო,**
**ანგელოზ მიწყივ ფარეო, —**
**სიცოცხლეს შენგან მოველი,**
**უკვდავება ხარ ცხოველი!**

**დიმიტრი თუმანიშვილი, „ახალ აღნაგო ხული“.**

ოთახში დარჩენილმა გოგონებმა სიცილ-ხარხარი შესწყვიტეს. გაჩუმდნენ. ყველამ პირზე კლიტე დაიდო. წყლის შემგროვებელი გოგოს დაბრუნებამდე ხმა არავის არ უნდა ამოეღო. თუ ვინმეს სიტყვა წამოცდებოდა ან გაიცინებდა, ვიჭაკის წყალი თავის ძალას დაკარგავდა და არჩეულ გოგოს ხელახლად მოუხდებოდა წყაროების დავლა.

ცოდო იყო! შვიდი წყარო ერთ ადგილზე ხომ არ გადმოსჩუხჩუხებდა!

საამო სანახავნი იყვნენ ეს ნორჩი, ახლად ტანაყრილი, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის გოგონები, თავდახრილნი და მდუმარენი, ჭრელ-ჭრული უბრალო ჩითის კაბებით ერთმანეთის გვერდით რომ ისხდნენ და გაფაციცებით არჩევდნენ და წნავდნენ ყვავილ-ბალახებს.

შუშანიკი ცქმუტავდა და დუმილს ველარ ითმენდა, რადგან ტიტინი და სიცილი სწყუროდა. ვარდისმონა მას თვალს ანიშნებდა ენისთვის კბილი დაეჭირა და არ გაეცინა.

კარი გაიღო. ოთახში წყაროებზე წასული გოგო შემოვიდა, წყლით გავსებული ჭურჭლით ხელში. მას თან ბრმა დედაკაცი შემოჰყვა. დედაკაცი პატარა, ექვსიოდე წლის გოგონას მოჰყავდა და გზას უკვლევდა.

გოგოები ვიჭაკის წყლის პირგანიერ დოქს შემოეხვივნენ და ყვავილწნულებით და გვირგვინებით მორთეს. მერე წყალში ყველამ თავისი ნიშანი ჩააგდო: ბეჭედი, საყურე, გულქანდი, მძივი, შუბლის ქინძისთავი, სამაჯური და სხვადასხვანაირი უბრალო სამკაული, ვისაც რა გააჩნდა და რისი პატრონიც იყო.

ბრმა დედაკაცმა ჭიანურზე დაამღერა:

**წყალი მოდის, მოჩუხჩუხებს,**
**ტალღას მოაქვს ორი ვაშლი,**
**გულის ხატრფო ამომიღებს,**
**გამომარჩევს ყველა ქალში.**

მომღერალი დედაკაცი გაჩუმდა. დარიგებულმა გოგონამ დოქში ხელი ჩაჰყო და იქიდან მავთულივით წვრილი სამაჯური ამოიღო. სამაჯურის პატრონი

[1] ვიჭაკური სიმღერები ორგანულად იყო დაკავშირებული თბილისურ ფოლკლორთან. აღწერილია გაზ. „კავკაზში“ XIX ს-ის 40-იანი წლების დასასრულს.

გოგო გაწითლდა. დობილებმა სიცილი დააყარეს: „ამ არდასარჩენს ბაზაზის შეგირდი მიხაკო მისცემს ვაშლსა, აბა სხვა ვინ იქნება?!“

მომღერალმა განაგრძო:

ბაღჩაშია ვარდი ჰყვავის,
ქვეშ ბალახი იზრდებაო,
გოგოვ, თვალი რაზე გრჩება?
კოხტა ვაჟი გჭირდებაო?!

გოგონამ ბეჭედი ამოიღო. ბეჭდის პატრონს ლოყები აუწითლდა და დარცხვენილმა თავი ჩაღუნა. „აი, არა ქენ! — ატეხეს სიცილი გოგოებმა, — ხედავთ, თავს როგორ იკატუნებს? თვალები ისეთნაირად უციმციმებს, რომ, დაიხსომეთ, გაისად ქურქჩ იასონას ბიჭს აგორავებს კალთაში“. გოგოები დიდხანს იცინოდნენ, ხუმრობდნენ და აჟრიამულებულნი გაჩუმებას არ აპირებდნენ.

მომღერალმა თავისი თავი მოაგონა:

ქერის პური გამოვაცხე,
მომეჩვენა ხორბლისათა,
ახ, ხადა ხარ, ხატრფოვ, ხადა,
რომელ მხარეს, რომლისათა?
დაბრუნდება, გაიხარებ,,
მოეხვევი ყელზე კოცნით,
შაქრის სიტყვას მოგახსენებს,
პირს აგივსებს ცხარე კოცნით!

გოგონამ ვიჭაკის წყლის ჭურჭლიდან ქარვის მძივი ამოიღო. მძივის პატრონმა ტირილი დაიწყო. მისი მიჯნური ქართულ მილიციაში ჩაწერილიყო და მთიელებს ებრძოდა. დობილები მისცვივდნენ: „რა გატირებს? ღმერთს ნუ სცოდავ, კარგი სიმღერა ამოგივიდა. მოგივა და პირს დაგიკოცნისო“.

მომღერალმა ახალი სიმღერა წამოიწყო:

მთის ბილიკებს ამოვყევი,
საყდარი დგას მწვანეებში,
გვირგვინი აქ დამილოცეს,
ქვევით დავყავ წვალებაში.
თვალზე მადგას მწარე ცრემლი,
დედო! შუბლზე მაწერია!
მაგ ტირილით რას მიშველი,
ბედის წიგნში ეს წერია!

მომღერალი დედაკაცი გაჩუმდა. უსინათლო წითელი თვალებიდან ცრემლის კურცხალი ჩამოეწურა. იმ გოგოებმა, რომელთა ნიშნები ჯერ ისევ დოქში ელაგა, ერთმანეთს შიშით გადახედეს. გოგონამ ხელი წყალში ჩაჰყო. გოგოები ფერწასული ისხდნენ და მღელვარებით მოელოდნენ წყლიდან ნიშნის ამოღებას. გოგონამ შუშანიკის გულქანდი ამოიღო. შუშანიკი გაფითრდა, თვალზე ცრემლი მოერია. შეწუხებული ვარდისმონა სიყვარულით მოეხვია მას და თვითონაც დადარდიანდა. ცრუმორწმუნე გოგოებმა თანაგრძნობით დაუწყეს ყურება სოვდაგრის განებივრებულ ქალს, რომელსაც ვიჭაკურმა სიმღერამ უბედურება უწინასწარმეტყველა. ვარდისმონა ამაოდ ამშვიდებდა დანაღვლიანებულ ქალბატონს.

მომღერალმა დედაკაცმა თავშალის ბოლოთი ცრემლი მოიწმინდა და კილო გამოცვალა:

დავწან, დავრთევი ყვავილი,
თავზე გვირგვინი დავიდგი,
ოქრო და ვერცხლი მაჩუქეს,
სრა-სასახლენი დავიდგი.

ამ სიმღერას შუბლის ქინძისთავი ამოჰყვა. მისმა მფლობელმა სიამით გაიღიმა. გოგოებს დობილის ბედი არ შეშურდათ, მივარდნენ, გადაეხვივნენ, ალალი გულით გადაკოცნეს, მაგრამ ხუმრობით მაინც გაჰკენწლეს: „ვერ უყურებთ, ამ ფშატიაკურთხეს როგორ ყველაფერში ბედი აქვსო“.

ბრმა დედაკაცმა კვლავ დაამღერა:

ყვავილებს ვკრეფ. კალთას ვივსებ,
რაში ვაქნევ ან რათ მინდა?
ჩემსა მიჯნურს ქორწილი აქვს,
პატარძლისთვის ხომ არ მინდა?

სიმღერას წითელი ლალის საყურე ამოჰყვა. ეს საყურე თოთხმეტი წლის ცქრიალა გოგოს ეკუთვნოდა. მას შიშით თვალები დაუდიდრონდა, წამწამებზე ცრემლები დაეკიდა და ისეთი საბრალო პირისახე გაუხდა, რომ მისი შემყურე გოგოები ატირდნენ და ის პატარა გოგო, რომლისთვისაც მიჯნურს უნდა ეღალატნა, სათითაოდ გულში ჩაიხუტეს და ცრემლიანი თვალები დაუ-

კოცნეს. ყველაზე უფრო მეტად მას გულაჩუყებული ვარდისმონა ეხვეოდა სულ თვალ-წარბს უკოცნიდა და წელანდელ თავის ავსიტყვაობას გულწრფელად ნანობდა.

სოვდაგრის ქალს იქ გულმა ველარ გაუძლო. შინ დაღონებული დაბრუნდა. შუშანიკს დრომ დაავიწყა ვიჰაკური სიმღერა.

### 7. მიჯნურის უსტარი

კარგა ხანს იჯდა იდაყვზე თავჩამოკიდებული, ფიქრებში გატაცებული.

**ლავრენტი არდაზიანი, „მორჩილი".**

შუშანიკს თავის მამის მაღაზიის ნოქარი უყვარდა.

ისინი მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს. ის დღე სამუდამოდ დაამახსოვრდა შუშანიკს.

ერთხელ სოვდაგარმა თავისი ნოქარი თავისიანებთან გაგზავნა ანჩისხატის ქუჩაზე იმ დავთრისათვის, რომელიც მას შემთხვევით მაგიდაზე დარჩენოდა. ფილიპეს სადარბაზო კარები ვარდისმონამ გაუღო, მაღლა აიყვანა და იმ ოთახში შეიყვანა, სადაც დავთარი იდო. ოთახში სამნი ისხდნენ: სოვდაგრის დედა, გამხდარ-გამხდარი ხნიერი დედაკაცი, ანუშა და შუშანიკი. სამთავენი ქარგვით იყვნენ გართულნი.

ფილიპე ყველას იმერული თავაზიანობით მიესალმა, ფერშანგოვის ქალი კი ერთი წამით ქურდულად შეათვალიერა. შუშანიკმაც წარბებს ქვემოდან ცნობისმოყვარეობით გამოხედა. ფილიპე ლამაზი, მოხდენილი გარეგნობის ქერა ყმაწვილი იყო. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სოვდაგრის ქალს იგი თავდავიწყებით შეყვარებოდა.

ანუშამ ნოქარს დავთარი გადასცა. როცა ის წავიდა, ვარდისმონას გაუწყრა:

— გოგო, ის უცხო კაცი ოთახში რომ არ შემოგეყვანა, არ იქნებოდა?

— მატაოცი, მატაოცი.[1] — წაიდუდუნა დედამთილმა.

შუშანიკი კი გულში ლოცავდა მოახლეს.

სოვდაგრის ქალმა იმ ლამაზი ნოქრის სახე დაიმახსოვრა. იმაზე ფიქრი დაიწყო. იმ ვაჟის სიყვარული გულში ჩაუვარდა და აფორიაქდა. იდუმალ ოხვრა-გოდებას სწორედ ისე მოჰყვა, როგორც ეს ვარდისმონას სიმღერებსა და ზღაპრებში სიყვარულის ალში დადაგულ კაცებს და ქალებს ემართებოდათ.

ვარდისმონა მალე მიხვდა რა გრძნობაც ტანჯავდა მის ახალგაზრდა ქალბატონს. ჩააცივდა და როცა გამოსტეხა, სახტად დარჩა. მოახლე ყურებს არ უჯერებდა. მას ამბად თუ გაეგონა მდიდარი ქალის მიერ ღატაკის შეყვარება და ქმრად შერთვა. შეწუხდა, დაიბნა, ქალბატონს არჩევანი არ მოუწონა, დაარიგა და იმ ყმაწვილის გულიდან ამორეცხა ურჩია, შუშანიკმა ტირილი მორთო: „ოჰ, ჩემო საყვარელო ვარდისმონავ, მე მხოლოდ შენი იმედი მქონდა და შენცა მღალატობო, მაშ რაც შენს სიმღერებში მოვისმინე, ყველაფერი ტყუილი იყო? მაშ სიყვარული არ ყოფილა ქვეყანაზე?"

დიდხანს იტირა და მოახლეც აატირა.

მოახლე ქალბატონზე ექვსი წლით უფროსი იყო, ოცდაორი წლის შინაბერა. სიყვარული თვითონაც გამოცდილი ჰქონდა და სხვების სიყვარულის მომსწრე და მნახველიც ბევრჯერ ყოფილა. კნეინებისა და დიდვაჭრების მოახლედ ნამყოფს, ზოგი რამ საკუთარი თვალით ენახა, ზოგიც გაგონილი და მოსმენილი ჰქონდა, ზოგსაც თვითონ ეხმარებოდა და შველოდა, თავისი მოხერხებით და გამჭრიახობით ხელს უწყობდა. ძველი რომანების და ნოველების ძიძებივით ახერხებდა შეყვარებულთა შეხვედრას და დაახლოებას, მაგრამ პირზე კლიტის დადებაც იცოდა. ბუნებით გულკეთილს სხვისი ბედნიერება, სიხარული და სიყვარულიახარებდა. ერთგულება და თავდადება მისგან ისევე განუყრელი იყო, როგორც სიცილი და სიმღერა. შუშანიკი მას საკუთარ თავზე მეტად უყვარდა. ამიტომ, თუ საქმე მოითხოვდა, მზად

1 მოშეტანწო, მეტიჩარა.

იყო მისთვის თუნდ ცეცხლში შევარდნილიყო.

ვარდისმონას ძილი გაუკრთა. ფიქრობდა და ვერაფერი მოესაზრებინა. ჭიანური ჭირივით შესძულდა, რადგან ქალბატონის უცნაური ვატაცების მიზეზად თავის სიმღერებს თვლიდა.

შუშანიკს კი თანდათან ზაფრანის ფერი ედებოდა. დარდობდა, საჭმელს პირს აღარ აკარებდა, გახდა, გაყვითლდა, მოსთქვამდა და ტიროდა.

რაკი უარით და დარიგებით ვერაფერს გახდა, ვარდისმონამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. სერიოზულად შეფიქრიანებული ქალბატონის ნებას აჰყვა.

როდესაც მან ფილიპეს პირველი ბარათი მიუტანა, ნოქარი გაოცდა, არ მოელოდა. პირველად ისიც კი იფიქრა მასხარად მიგდებენო, მაგრამ ახალმა ბარათმა ეჭვები გაუქარწყლა, გაამხნევა და ფრთები შეასხა. სატრფოსაგან ბარათი ბარათზე მოდიოდა. ნოქარი სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა.

მარტოხელა, უსახლკარო, ქალაქში იმერეთიდან გადმოხვეწილი ნაყმევი და ახლანდელი ნოქარი სიმდიდრით განთქმულ სოვდაგარ ფერშანგოვის ქალს უყვარდა. სიყვარული, რომელიც ქალის კარჩაკეტილობით, გამოუცდელობით და სატრფიალო სიმღერებით იყო გამოწვეული, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამას გოგოს ცრემლებით დანამული ბარათები ადასტურებდნენ. თვითონ ფილიპეს სულ სხვა რამ აინტერესებდა. ის სოვდაგრის ქონებაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე მის ქალზე, რომელსაც გულში დასცინოდა და სულელს უწოდებდა. მათ მხოლოდ ერთხელ ნახეს ერთმანეთი, სამაგიეროდ ხშირ-ხშირად ცვლიდნენ ბარათებს ვარდისმონას დახმარებით და შემწეობით.

ამ ბარათებში ისინი ერთმანეთს სამუდამო სიყვარულს ეფიცებოდნენ, თან საშინელ წყევლას უთვლიდნენ იმას, ვინც ამ სიყვარულს ბოლოს მოუღებდა. შუშანიკი ფილიპეს უმტკიცებდა, რომ მის გარდა სხვა კაცს ცოლად არავითარ შემთხვევაში არ გაჰყვებოდა. ამაში ვარდისმონაც არწმუნებდა ნოქარს და თავის მხრივ ეუბნებოდა: „რაკი ქალბატონი გამიგიჟე, ხათრიჯამი ბრძანდებოდე, შენთან გაჭირვების და ნაკლებობის ატანა ურჩევნია, სხვასთან ფუფუნებით და განცხრომით ცხოვრებასო“. ფილიპესაც სჯეროდა. ამას ყოველი ახალი ბარათი ამტკიცებდა. ოღონდ თავისი წარმატება თვითონვე უკვირდა და თავბრუ ეხვეოდა. კმაყოფილებით იგრეხდა კოკორა ულვაშებს და ცხვირაწეული დაბრძანდებოდა.

მაგრამ სოვდაგრის გოგოს უცნობი კაცის ბეჭედი ეკეთა თითზე.

სწორედ იმ დღეს, რა დღესაც შუშანიკს დედამ ნიშნობის ბეჭედი გაუკეთა, ვარდისმონა ფილიპესთან იყო გაგზავნილი მოკითხვისა და სიყვარულის ბარათით. შინ ფილიპეს პასუხით დაბრუნდა. შუშანიკმა ხმის კანკალით წაიკითხა მოწერილი ბარათი, ზედ ცრემლები დააწვიმა და დაალბო. მოახლე გაოცებული უყურებდა ატირებულ ქალბატონს.

— შენ შემოგევლოს ვარდისმონა! — წამოიძახა მან გრძნობით, — რა იყო? რა დაგემართა? მაგ წიგნში ისეთი რა ჩასწერა იმ... არა, წელანვე შეგატყე, ნამტირალევი სახე გქონდა. დიდედა ხომ არ წაგეჩხუბა? ვინმემ ხომ არ გაწყენინა?

— ის სიყვარულს მეფიცება... მე კი... მე კი... — სლუკუნებდა შუშანიკი და ცრემლებთან ერთად სიტყვებსაც ყლაპავდა, — ხედავ... თითზე სხვისი ბეჭედი მიკეთია.

— უი ჩემს თვალებს!

— დარდით აღარ ვიცი რა ვქნა!

— როდის დაგნიშნეს გოგო? ვისზე დაგნიშნეს? რა კაცია? ვინ არის? ახალგაზრდა არის თუ ბებერი? — ზედიზედ მიაყარა კითხვები ვარდისმონამ შუშანიკს.

— აბა რა ვიცი, ვინ არის? არც სახელი მიკითხია და არც გვარი. ვინც

უნდა ის იყოს. მე რაში მეკითხება? მე ჩემი ფილიპე მიყვარს და მეყვარება! ოჰ, ვარდისმონავ! მიშველე, გევედრები, ამ ჭირიდან დამიხსენი და სამუდამოდ შენი მონა გავხდები.

— მე რა შემიძლიან? რომ არ ვიცი რა წყალში ჩავვარდე? მე რით უნდა გიშველო?

შუშანიკი უარესად ატირდა.

— ნუ, ნუ, შენ შემოგევლე! — ამშვიდებდა და უყვავებდა ქალბატონს მოახლე და თვითონაც იმდუღრებოდა, — ნუ ტირიხარ, გენაცვალე! შენ ოღონდ მიბრძანე და, თუ გინდა, ადიდებულ წყალში გადავვარდები.

— ვარდისმონავ! ჩემო საყვარელო, ჩემო კარგო ვარდისმონავ! მე ეხლა წერილს დავწერ და შენ ფილიპეს წაუღე.

— ეხლავე? ამ წუთში?

— ჰო, ჰო. მეტს ნუღარ დავაგვიანებთ.

— ხვალისთვის რომ გადავდოთ რა მოხდება? განა ეხლა იქიდან არ მოვდივარ? არ იცი, რომ დედაკაცის წარამარა ქუჩაში სიარული არ შეიძლება? მეზობლები ეჭვს აიღებენ. ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— ჰო, ვარდისმონავ! ოღონდ ეს თხოვნა შემისრულე და... რა ვიცი... მაგ შენს სიკეთეს, სანამ პირში სული მიდგას, არასოდეს არ დავივიწყებ! თუ ეხლავე არ შევატყობინეთ ფილიპეს ჩვენი უბედურების ამბავი, მერე გვიანღა იქნება.

— ჰმ, რა გაეწყობა? ალაც რომ შემხვდეს ქუჩაში, წიგნს მაინც მივუტან ფილიპეს. საწყალს ფერი კი ეცვლება, მაგრამ რაკი დაგნიშნეს...

— გაჩუმდი! — დაუყვირა შეშინებულმა ქალბატონმა მოახლეს და სიტყვა აღარ დაამთავრებინა, — ფიცს არც მე გავტეხ და არც ფილიპე. ამ ბეჭედს რა ჭკუა აქვს? ეხლავე მოვიხსნი, აქ ეგდოს, რა მენაღვლება?!

შუშანიკი წერილის წერას შეუდგა. აღელვებული საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა, წვალობდა, ქაღალდს ქაღალდზე ხევდა, ხელში ბატის ფრთის ყალამი უთრთოდა და ცრემლებს ვერ იმაგრებდა. დიდი ხნის შემდეგ, როცა დამთავრებულ წერილზე ქვიშის დაპნევა მოათავა, შუათითი ანაზდად სამელნეს მოახვედრა და ზედ აწწლის მელანი გადააქცია.

— შენ მოგიკვდეს ვარდისმონა! — შეჰყვირა მოახლემ, — გულს რათ იბოროტებ? რათ იშფოთებ? დამშვიდებით დაწერე, გენაცვალე! ნუღარ ტირიხარ? იქნება რამე მოვახერხოთ? ქა, ცოტაჯერ მომხდარა ესეთი ამბავი, მაგრამ წინასწარ გული არავის გაუხეთქია.

შუშანიკმა ძლივს მოახერხა წერილის დაწერა, მოახლეს გადასცა და უთხრა:

— აჰა, დაიჭი! ფრთები შეისხი და გაფრინდი. ჩემს საყვარელს მიუტანე და ჩქარა პასუხი მომიტანე.

სოვდაგრის ქალი ყველაფერს, რაც კი ახალგაზრდა და ლამაზი ნოქრის სიყვარულთან იყო დაკავშირებული, დაუფიქრებლად და ანგარიშმიუცემლად აკეთებდა.

ვარდისმონამ თავისი ქალბატონის წერილი ნოქარს გადასცა, ნაღვლიანად შეხედა და ქალაღაიას ბოლო ცრემლის მოსაწმენდად მოამზადა, რადგან აქაც ოხვრასა და გოდებას მოელოდა, მაგრამ სახტად დარჩა. წყენის მაგიერ ფილიპეს სახეზე რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება გამოეხატა. შუშანიკის წერილს დიდხანს ატრიალებდა ხელში. დაფიქრებული იდგა. მერე სატრფოს მოახლე მოფარებულში დამალა, თვითონ საათის დრო გაიგო და პასუხის წერას შეუდგა. ნოქარი სოვდაგრის ქალს წერდა: „შუშანიკ, ჩემო ქალბატონო! ვინ დაგვატეხა თავზე ამისთანა უბედურება; ვინ ჩადგა ჩვენს ცოდვაში? ვისზე დაგნიშნეს? წითელ-ქარებიან ბეხრეკზე, ხომ? ვაი, შენი და ჩემი ბრალი, შუშანიკ! მეკითხები რა გზას დავადგეთო! არ იცი მამაშენის ხასიათები? არავითარ შემთხვევაში თავის ქალის ბედნიერებას არ ინდომებს, სიკეთეს არ გვიზამს. აწი ამას გევედრები

მუხლებდაჩოქილი, ჩემო სამოთხის მტრედო და ჩემო სიცოცხლევ! გეიქეცი სახლიდან, მომატაცებიე შენი თავი. ნუ შეგეშინდება. დედაშენი ანუშა, კარგად იცი, უშენობას ვერ ეიტანს, თავს მეიკლავს, ტირილით ყველას თავს მოაბეზრებს. მამაშენსაც მეტი რა გზა ექნება? ბოლოს შეგვირიგებენ და გვირგვინს დაგვილოცავენ. აწი ამას გეხვეწები: საღამოს ჩაის რომ სვამთ ხოლმე და თქვენი კედლის საათიდან გუგული რომ გამოხტება, ადექი და ჩუმად სახლიდან გამოდი. ქუჩის მოსახვევში მე ვიდგები და იმწამსვე საყდარში გევიქცევით. გუგული რვაჯერ რომ დეიძახებს, მაშინ გამოდი. შენი მონა და ბოლომდის ერთგული ფილიპე".

ფილიპემ წერილი დაკეცა, სახლის იაქთალთან დამალულ ვარდისმონას გამოუტანა და თან დაარიგა, არამც და არამც წერილი არავისთვის ცოცხალი თავით არ დაენებებინა.

— ვიცი, ვიცი, ფილიპეჯან, მამალს კუდი სად დავუმალო! — ეშმაკური თვალის ჩაკვრით და სიცილით უთხრა ვარდისმონამ ნოქარს, ქალაღაია თავზე მოიხურა, ფილიპეს ერთხელ კიდევ შესცინა, თავის დაკვრით გამოემშვიდობა და ჩქარი სიარულით გაიარა პატარა ბნელი ქუჩაბანდი.

ფილიპემ წყალჩამდგარი თვალი გააყოლა და ჩაიცინა:

— ქე სჯობიან მის ქალბატონს.

ფერშანგოვს დაეთხოვა და წმ. ბარბარეს მღვდელთან გაიქცა.

### 8. პასუხი

— არა, არა! რად მინდა ბრილიანტები!—სთქვა ქეთევანმ, — ეს კოცნა, ეს დაუბოლოებელი კოცნა — ესენი არიან უძვირფასესნი ბრილიანტინი, რომლითაც კი ქალი შვენდების.

**გრიგოლ რჩეულიშვილი, „შეშლილი".**

ფერდაკარგული შუშანიკი კარებშივე მიეგება მოახლეს, რომელსაც სირბილის გამო ოფლის ხვითქი ჩამოსდიოდა შუბლზე.

— ნახე ფილიპე? — დაუყოვნებლივ მიაძახა ქალბატონმა.

— ვნახე, მაშ რას ვიზამდი; მთელ ქალაქს გადავაბრუნებდი და იმას მაინც ვიპოვიდი. აი, შენი წიგნის პასუხი.

შუშანიკმა ძლივ-ძლივობით წაიკითხა წერილი, უარესად აღელდა და სახეზე შიში გამოესახა.

— რასა გწერს? — ნიაზით ჰკითხა ვარდისმონამ.

— მწერს სახლიდან გაიქეციო...

— ეგ რა თქვი, შუშანიკჯან! ეგ როგორ იქნება! დედ-მამის სახლი რომ დასტოვო, ვისთან უნდა წახვიდე? ფილიპეს რა აქვავია, რომ შენ შეგინახოს? შენ ის როგორ მოგივლის, თუ მამამ მხარი არ მოგცა? იმას ისევ ის ურჩევნია ალას მაჰანკალი გამოუგზავნოს, მაგრამ...

მოახლე გაჩუმდა, ქალბატონს სიბრალულით შეხედა.

— ალა არასდროს ყაბულს არ იტყვის, თანაც უკვე დანიშნული ხარ.

— მაშ რა ვქნა? როგორ ამოვიდე ამ ცეცხლიდან?

— შე საწყალო, იმის სიყვარული გულიდან უნდა ამოიღო. სხვა გზა არა გაქვს. აზიზად გაზრდილი ხარ, ყაირათსა და გაჭირვებას ვერ აიტან.

იმედწართმეული შუშანიკი ღრმად ჩაფიქრდა. დიდხანს ფიქრობდა თვალგაშტერებული. მერე ვარდისმონას ყელზე მოეხვია, თვალები დაუკოცნა და ჰკითხა:

— მითხარი, ჩემო საყვარელო ვარდისმონავ, გიყვარვარ?

— ქა, რა საკითხავია? მაშ არ მიყვარხარ?

— აბა დაიფიცე!

— ქა, რა ფიცი გინდა? განა სულ შენი ბედნიერების ნატვრაში არა ვარ? ოღონდ შენა მყვანდე კარგად, მე თუნდ სულაც ნუ ვყოფილვარ!

— მაშ თუ ეგრეა, ერთი თხოვნა ამისრულე.

— ორი იყოს, მითხარი.

— ამაღამ მე სახლიდან უნდა გავიქცე.

— უიმე!

— თუ მართლა ჩემი სიყვარული გაქვს, ხელი შემიწყე.

—რა ვქნა, შუშანიკჯან! მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ამ საქმეში ხელს ვერ შეგიწყობ, ჩემი ხელით ვერ დაგღუპავ. შენ რომ უბედური გნახო, იმ დღესვე თავს მოვიკლავ.

— მაშ ჩემი სიკვდილი გინდა?

— უწინ დღეც გამქრობია!

— მაშ, იცოდე. თუ სხვა კაცს შემრთეს, თავს ჩამოვიხრჩობ ან წყალში გადავვარდები.

— ფუჰ! ფუჰ! ფუჰ! ეშმაკს მიაფურთხე. ეგ როგორ ამოსთქვი?!

— ვარდისმონავ, მიშველე! — მუდარით შეჰღაღადა შუშანიკმა, დაუჩოქა და მუხლებზე მოეხვია.

— ადექი, ადექი. აბა, მაგას რას სჩადიხარ? — ამბობდა დაბნეული მოახლე და ქალბატონის წამოყენებას ცდილობდა, — რა ვქნა? რა ვიღონო? რა თავში ქვა ვიხალო? ახ, ნეტავი ფილიპე არასოდეს არ გენახა. ნეტავი იმ დღეს ფეხი მოსტეხოდა და ჩვენს სახლში არ შემოსულიყო.

— ფილიპეც რომ არ ყოფილიყო, იმ წითელ-ქარებიან ბებერს მაინც არ გავყვებოდი.

ვარდისმონამ თვალები დააჭყიტა.

— ქა, ეს რა ცოდვის კითხვაა! მაგისთანა ანგელოზი ბებერს როგორ უნდა მიგცენ? ვთქოთ, მამაშენს თვალები დაუბრმავდა, დედაშენი რატომ არაფერს ამბობს? რას გაჩუმებულა? ქა, ეს ტურფა გოგო ბებრის საჯიჯგნად უნდა გახდეს?

ვარდისმონა აღშფოთებული ლაპარაკობდა, იწყევლებოდა და ფერშანგოვების სახლში ყველას ქოქოლას აყრიდა.

— ყური დამიგდე, ჩემო კარგო და ერთგულო ვარდისმონავ, — ეუბნებოდა ქალბატონი, — ამაღამ უეჭველად უნდა გავიქცე. ნუ გეშინია, არ დავიღუპები. ჩემი დედა-მამა უჩემობას ვერ აიტანს, შემირიგებენ, მაპატიებენ. შენს სიკეთეს კი არასოდეს არ დავივიწყებ, გვერდიდან აღარ მოგიშორებ, შენს მოახლედ გავხდები, შენ კი ჩემს ქალბატონად დაგსვამ. სულ მუდამ შენს ალერსში და ტრფიალში ვიქნები, ოღონდ რასაცა გთხოვ, ის შემისრულე. სუ! უარს ნუ მეუბნევი. საღამოთი ჩაის დასალევად რომ დავსხდებით და ჩვენი დიდი საათიდან გუგული გამოხტება, მე ავდგები და ოთახიდან ჩუმად გავალ. შენ ეცადე ჩემმა დედ-მამამ არაფერი შეამჩნიოს. შენებურად იყბედე. ალიაქოთი რომ ატყდება, იცოდე, არაფერი წამოგცდეს.

— რას ამბობ? ხომ თოკზე ჩამომკიდეს!

— ამისრულებ რაც გითხარი?

— ძნელი საქმე არის, აშკარად გეუბნევი, მაგრამ... რაკი შენ თავს არ უფრთხილდები, მე რაღა მეთქმის? მხოლოდ ამას გირჩევ, შენზე უფროსი ვარ, ცხოვრებას უკეთესად ვიცნობ, ბოხჩა შეკარი და შიგ ოქრო-ვერცხლი ჩაყარე. კაცნი ვართ, თუ ვინცობაა...

— არა არა! — ზიზღით შეაწყვეტინა შუშანიკმა და ლოყები შეუფაკლდა — ეს ქურდობა არის!

— მამაშენი დიდი სოვდაგარია. — ცივი ხმით დაუბრუნა ვარდისმონამ და შუბლი მოეღრუბლა.

— მერე რა არის, რომ დიდი სოვდაგარია?

— დიდი სოვდაგარი დიდი ქურდიც არის! — ვარდისმონას მღელვარებისაგან ხმა ჩაეხლიჩა, გაფითრდა და სვენებ-სვენებით განაგრძო, — მამაჩემიც სოვდაგარი ყოფილა, მაგრამ იმის ამხანაგს იმისთვის ღვინოში საწამლავი ჩაუყრია და მოუწამლია. წლის თავზე დედაჩემი დარდმა ინაცვალა. მე ღვთის ამარად დავრჩი. ნათესავები ძაღლუმადურად მზრდიდნენ. ცოტა რომ წამოვიზარდე, ხან ვისთან ვეგდე მოახლედ, ხან ვისთან... მერე მამაშენმა მნახა, შენს მოსავლელად მომიყვანა თქვენს სახლში... მამაჩემს თურმე იცნობდა, ჯერ იმის მექარავნედ ყოფილა, შემდეგ ამხანაგად...

შუშანიკი განცვიფრებული უყურებ-

და ვარდისმონას. მას თავის მოახლის მუდამ მხიარული, ცხენისთავივით დაგრძელებული სახის ნაღვლიანი გამომეტყველება უფრო აოცებდა, ვიდრე მისი უწინდელი ცხოვრების და თავგადასავლის მოსმენა. პირველად ხედავდა იგი ვარდისმონას დანაღვლიანებულ სახეს, მოღრუბლულ შუბლს, თვალს არ უჯერებდა და თავის თავს გაკვირვებული ეკითხებოდა: „ნუთუ ეს ჩემი ღრეჭია მოახლე არისო“. ვარდისმონამ სევდიანად დაწყებული თავისი ამბავი სევდიანად დაასრულა:

— ასე დამაობლეს, თორემ მეც ქალბატონად გავიზრდებოდი. ჩემი ნათლობის სახელი ეკატერინეა.

ვარდისმონა ფანჯრისაკენ შეტრიალდა, რაფას დაეყრდნო და ქუჩაში გაიხედა, რათა ქალბატონს მისი ცრემლები არ დაენახა. იქ, ქუჩაში, ტანაზიდულ თელებს ვილაც ახოვანმა და ლამაზმა კაცმა ჩაუარა და მორიდებით ამოხედა სოვდაგრის სახლის ფანჯრებს. „ახალგაზრდა ზანდაროვია. მაგისთანა ერთიც არ დადის მტკვრის გაღმა-გამოღმა“ — თავისთვის თქვა ვარდისმონამ, როცა ის შნოიანი ყმაწვილი ერთ-ერთ ხეს მოეფარა. ფერშანგოვების მოახლე წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა, რომ ახალგაზრდა ზანდაროვს მისი ქალბატონის ბეჭედი ეკეთა თითზე.

უცებ მას რაღაც მოაგონდა, შეცბუნდა, მოტრიალდა, სახიდან ღრუბელი გადაიყარა, მწარე სიცილით გაიცინა და სიტყვა ბანზე ააგდო.

— მაშ, გუგული რომ საათიდან გამოხტება, შენ სახლიდან უნდა წახვიდე?

გოგომ თავი დაუქნია.

### ૭. გუგული კედლის საათში

ნახე, რომელი საათია? ჩვენ ჩქარა მოგვიხდება ეკლესიაში წასვლა.

**გრიგოლ რჩეულიშვილი, „შეშლილი“.**

ფერშანგოვის სახლობა ჩაის დასალევად საღამოს რვა საათზე სხდებოდა.

იმ საღამოსაც ჩვეულებრივ შემოუსხდნენ მრგვალ მაგიდას. მაგიდაზე ვერცხლის კოხტა სამოვარი თუხთუხებდა. სამოვართან ანუშა იჯდა და ოჯახის წევრებს ფინჯნებში ჩაის წყალს უსხამდა. გაბღენძილი ფერშანგოვი ჩუმად იჯდა, ხმას არ იღებდა, არავის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და შუბლმოღუშული შეექცეოდა თხლად დაჭრილ პურსა და ყველს. დროგამოშვებით ორივე ხელით ჩაის განიერ ლამბაქს იღებდა, პირთან მიჰქონდა, სქელი ტუჩებით უბერავდა და ნელ-ნელა ხვრეპდა დაშაქრულ ჩაის. მისი დედა შაქრის ნატეხს კვნეტდა და ყლუპ-ყლუპით სვამდა ჩაის მწვანედ გალიცლიცებულ ფინჯნიდან. ანუშა ცხელი წყლით გავსებულ ფინჯანს ხან ქმარს თავაზობდა, ხან დედამთილს.

დარცხვენილი შუშანიკი არავის არ უყურებდა.

ვარდისმონა ფეხზე იდგა და იმას უცდიდა, თუ რითი დაასაქმებდნენ ბატონი ან ქალბატონები. თან თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა კედლის საათს და იქიდან გუგულის გამოხტომას ყოველ წამს მოელოდა, რადგან საათის ცნობა არ იცოდა.

რვას ერთი ჩარექიღა უკლდა. შუშანიკს საათის ისრების ნელი, წყნარი და შეუმჩნეველი მოძრაობა გულს უწყალებდა. მოლოდინი კიდევ უფრო აღელვებდა ისედაც აღელვებულ გოგოს. მისი მოუსვენარი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა. ვარდისმონაც ჭირის ოფლში იწურებოდა. შუშანიკი ცახცახით მოელოდა ნიშანს, რომელიც მისთვის საათიდან გამომხტარ გუგულს უნდა მიეცა.

სრულ რვა საათზე კედლის საათის პაწია კარი გაიღო, იქიდან გუგული გამოხტა და მხიარულად დასძახა „კუ... კუ... კუ... კუ... კუ... კუ... კუ... კუ...“

შუშანიკი ტორტმანით წამოდგა. უკანასკნელად გადახედა თავისიანებს და ფარფატით გაემართა კარებისკენ. ვარდისმონამ მთვრალივით მოფარფატე შუშანიკი რომ დაინახა, მყისვე ფერ-

შანგოვს მიუბრუნდა და ხმამაღლა დაუყვირა:

— ალაჯან! იცი რა დიდი ჩხუბი მოხდა დღეს კუკიის უბანში? შენ ქარვასლაში იყავი და ვერ გაიგებდი.

— რაო? რა მოხდა? — იკითხა ნიაზით სოვდაგარმა, ორივე ხელით ტუჩებთან მიტანილი უშველებელი ლამბაქი უკანვე ჩამოიღო, მაგიდაზე დადგა და მოახლეს ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა. რძალ-დედამთილმა ერთმანეთს წარბის აწევით გადახედეს. ისინი მიხვედრილი იყვნენ, რასაც იტყოდა მათი ენაჭარტალა მოახლე.

— ისეთი ცუდი რამე მოხდა, ისეთი ამბავი დატრიალდა, — ამბობდა თავის ქნევით ვარდისმონა, — ისეთი ღვთის რისხვა, ისეთი...

— ვაჰ, ეგეთი რა მოხდა? ისეთი, ასეთი. აღარ იტყვი?

— ალაჯან, ამ ამბავზე ყველას დაღდაღანი გააქვს და ჯერ შენ არ იცი? მაშ ქარვასლაში შენთვის არაფერი უთქვიათ?

— რომ ეთქვათ, განა შენისთანა ტუტუცს ვკითხავდი?

— წეღანაც გეტყოდი, ალაჯან, მაგრამ ამის თქმას შუშანიკთან როგორ გავბედავდი?

— მაშ, შენც ეხლა მითხარი.

— გეტყვი, ალაჯან, რატომაც არ გეტყვი? ალაჯან, შენ შაქროს არ იცნობ?

— რომელი შაქრუა?

— აი ისა, ჩუღურეთის აღმართზე რომ ცხოვრობს.

— არ ვიცი.

— როგორ არა, ალაჯან! აი ისა, ერთხელ ქარვასლაში თავი რომ დაგიკრა.

— არ მახსოვს.

— როგორ არა, ალაჯან! ქუდი მოგიხადა და გამარჯობაც გითხრა.

— არ ვიცი.

— მაშ არ იცი, ალაჯან, ვინ არის?

— მითხარი და მეცოდინება.

— ტოჩი, ტოჩი როგორ აგიწერო? აი ისა, ბოზბარიქა ცოლი რომა ჰყავს.

— ვაჰ, მაკას ქმარს ამბობ?

— ჰო, ჰო. — თავის ქნევით და თითის ჩაკვრით მიეშველა მოახლე.

— ეგრე იტყოდი, რაღა! იმას შაქრუას არ ეძახიან, იმას მაკას ქმარს ეძახიან.

— ჰოდა, ალაჯან, რაკი იმის ცოლიცა გცნობია, ეხლავე სუყველაფერს გაგაგებინებ. იმის ცოლი, შენც კარგად გეცოდინება, ქმრის ცხვირწინ საყვარლებს იჩენს, მაგრამ ვინ რას ეტყვის? თავის აშოლტანებით და იანგნებით ყველანი შიში ჰყავს. ჰოდა, იმას ვამბობდი. რას ვამბობდი, ალაჯან?

— იმას ამბობდი, მე ძალიან დიდი ტუტუცი ვარო.

— მე, ალაჯან?

— ჰო, შენა.

— ეგ მე არ მითქვამს.

— ქა, ეს მატაოცი აღარ გაჩუმდება?! — წამოიძახა გამწყრალმა დედამთილმა.

— მაშ არ გითხრა ის ამბავი, ალაჯან?

— მითხარი, იმე ამეს კი ნულარა შვრები.

— ჰოდა, იმას ვამბობდი. მედუქნე შაქრუა ნავთლუღში წასულა, მექარავნეებს აქლემებით ნავთი მოუტანიათ და დუქნისათვის უნდა ეყიდნა თურმე. იქიდან რომ დაბრუნებულა, გზაზე ვიღაცას უთქვია: „შენს ცოლს სახლში საყვარელი ჰყავსო“. შაქრო ცეცხლივით ანთებულა, შინისკენ გაქცეულა, ბებუთი უძვრია, ოთახში შევარდნილა და ცოლისთვის საყვარელთან მიუსწრია. კურო საცვლების ამარა აკოშკიდან გადამხტარა და გაქცეულა. შაქროს ცოლზე უყრია ჯავრი, ბებუთით მისი სახე დაუჩეხია და დაუყვირია: „კახპავ, წადი, ეხლაც იბოზეო!“ მაშ! ესეთი ამბავი მომხდარა. გასისხლიანებული მაკა ტახტზე რომ ეგდო, იმის საცვლებიან კუროს თურმე მთელი უბანი, დიდი და პატარა უკან ყვირილით მისდევდა და არცხვენდა.

— გაირყვნა, გაირყვნა ქვეყანა. — აწუწუნდა დედამთილი.

— ჰმ, ეგ ამბავი ხომ მეც ვიცოდი, — თქვა ფერშანგოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცოდი, ალაჯან? აკი გითხარი, მთელ ქალაქს ეგდა აქვს სალაპარაკოდ. ის კი არა, იმ კახპასთან ლამაზი ყმაწვილი ზანდაროვიც დადენილა...

— მიჰქარავ! — დაუღრიალა ფერშანგოვმა მოახლეს. ანუშას „ვუი“ დასცდა და გადაფითრდა. დედამთილმა ნიშნისმოგებით ჩაიღიმა, ვითომ „სახელოვანი სიძე გიშოვნიათო“. პაწაწინა თუნუქის კოლოფიდან ბურნუთი ისეთნაირად მოსწია, რომ გაუთავებელი ცხვირისცემინება აუტყდა. ცრუმორწმუნე ანუშამ პირჯვარი დაიწერა. ფერშანგოვმა დედას შეუბღვირა, თვალების ბრიალით ისევ მოახლეს მიუბრუნდა, დაემუქრა და გააფრთხილა:

— მეორედ ეგ სიტყვა აღარსად წამოგცდეს. ჩემ სიძეს ცილი არ დასწამო, თუ არ გინდა ენით ჩანგალზე ჩამოგკიდო!

— სიძე? — გაკვირვებით იკითხა ვარდისმონამ და მაგიდასთან მსხდართ განცვიფრებით თვალი მოავლო, — ქა, ზანდაროვი ვისი სიძეა?

— განა დღეს შუშანიკის ხელზე ბეჭედი არა ნახე? — ძლივს გაბედა სიტყვის თქმა ანუშამ.

ვარდისმონას ფერი ეცვალა. გაშრა. დიდხანს გონება ვერ მოიკრიბა. როცა თვალებიდან ბინდი გადაეყარა, მიხვდა და გაიგო, კინაღამ თავში ხელები წაიშინა. „ჰმ, სადაური ბებერია ზანდაროვი! — ბუტბუტებდა თავისთვის, — უბნის თვალია! ლამაზი და სარისტიანი ყმაწვილია! მოტყუვდი, შუშანიკ, შენ შემოგევლოს ვარდისმონა, ბედი კარზე მოგადგა და ხელი ჰკარი, შესცდი და თავი დაიღუპე, მეც შემაცდინე და დამღუპე“. მოახლეს სინანულით გული ეკუმშებოდა, როცა ერთმანეთს ადარებდა ცუღლუტ ფილიპეს და ჩასპანდ გიგა ზანდაროვს.

სასიძოს ნამდვილი ვინაობა ადრე რომ სცოდნოდა, ყველაფერს ფიცულობდა ვარდისმონა, განზრახულს შუშანიკსაც დააშლევინებდა და თვითონაც არავითარ შემთხვევაში ხელს არ შეუწყობდა.

გვიანღა იყო.

ურვაც და თავში ცემაც.

შუშანიკს და ფილიპეს ვერავინ დაეწეოდა, ვერც ვინმე მიაგნებდა სადმე.

### 10. აფორიაქებული ოჯახი

შეუძლებელია აიწეროს იმ კაცის მწუხარება და ტანჯვა: მთელი ღამე კვნესით, ოხვრით გაათენა. ათი წლის სიცოცხლე მოაკლდა იმ ერთ ღამეს.

**ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.**

ვარდისმონა უხალისოდ შეუდგა ჩაის ჭურჭლის ალაგებას. ვერ ისვენებდა. გული ვერ დაეშოშმინებინა. საყვედურებით იკლებდა თავის თავს. თვალზე ცრემლი ადგებოდა და ნაღვლიანად ფიქრობდა: „ნეტავი მაცოდინა, რა ყოფაშია ჩემი აზიზი და ნებიერი შუშანიკიო“.

ანუშა ქალის დასახედად შევიდა მის ოთახში. ქალი იქ არ დახვდა. დერეფანში გამოვიდა და ძახილი დაუწყო: „შუშანიკ! შუშანიკ!“

ვარდისმონას ხან ახლოდან, ხან შორიდან ესმოდა მისი ძახილი, გული უკვდებოდა და ცრემლები ახრჩობდა. თავჩაქინდრული შიშით და ძრწოლით უცდიდა ალიაქოთს, რომელიც მალე ამ მუდამ წყნარსა და მდუმარე სახლში უნდა ამოვარდნილიყო.

ანუშამ ქალი რომ ვერსად იპოვნა, სასადილო ოთახში გულგახეთქილი შევარდა.

— მელქო, შუშანიკი არსადა ჩანს!

— მაშ სად არის? — გულგრილად გადმოუგდო ქმარმა. ფერშანგოვი სკამზე შემდგარიყო, ჭერზე ოთხი ჯაჭვით ჩამოკიდებული ლამპარის პატრუქი ბოლომდე ჩაეწია, ლოყები გაებერა და სულის ერთი შებერვით აპირებდა მის სრულ ჩაქრობას. ცოლის ტირილი რომ მოესმა, პატრუქი ისევ ამოსწია. ოთახი განათდა.

— მელქოჯან, ჩვენი შუშანიკი დაკარგულა.

— ვაჰ, რა გატირებს, დედაკაცო?

ალიაქოთს რაზე შვრები? მიიხედ-მოიხედე, სახლის გარეთ სად იქნება?

— გული ცუდს მეუბნევა, მელქოჯან. — ვიშვიშებდა ანუშა.

მაღალ-მაღალი და ხმელ-ხმელი, შავებში ჩაცმული დედამთილი რძლის უკან იდგა, ხელში კრიალოსანს ათამაშებდა, შეშინებულ რძალს აწეული ტუჩით დამცინავად უყურებდა და თან შვილს თვალებით ეუბნებოდა: „დასწყევლოს ღმერთმა, ეგ შენი ცოლი რას არ მოიგონებს, აბა, შენ თითონა თქვი, ამ შუაღამისას შუშანიკი სად წავიდოდა?“ ჩიტივით პატარა თვალები ძილისთვის ებლიტებოდა, მაგრამ კრიალოსანში მარცვალს მარცვალზე აგდებდა, რათა რული არ მოჰკიდებოდა და სეირისთვის ეცქირნა.

ფერშანგოვი ქალის ოთახში შევიდა. მერე ყველგან შეიხედა. ოთახები, დერეფნები, ტალანები, აივნები და კიბეები მოიარა, სახლის პარმაღზე გავიდა, ეზოს კუნჭულებიც გულდასმით მიათვალიერ-მოათვალიერა, თან უკვე შეფიქრიანებული ყვიროდა: „შუშანიკ, გოგო, შუშანიკ!“ ხმას არავინ სცემდა. სოვდაგარს თანდათან შიში იპყრობდა, შეწუხებული ფიქრობდა: „სად არის? სად წავიდოდაო?“ შუშანიკს ქალაქში ნაცნობი არავინ ჰყავდა, თუნდაც ჰყოლოდა, მშობლების დაუკითხავად ღამე კი არა, დღისითაც გარეთ არსად ფეხს არ გადადგამდა. ფერშანგოვს შორეულ ნათესავებთან მისვლა-მოსვლა არა ჰქონდა, წაჩხუბებულნი უმძრახად იყვნენ. გოგოს არც მეზობლებში უშვებდნენ, ლატაკებმა არ გარყვნანო. მიუხედავად ამისა, მოახლე მეზობლებში აფრინეს. მედიდურმა ფერშანგოვმაც იკადრა და თითო-ოროლა ნათესავს ჩამოუარა.

სოვდაგარიც და მოახლეც შინ ხელცარიელი მობრუნდნენ.

შუშანიკი ცამ ჩაყლაპა.

ანუშას გული შეუღონდა. შეშფოთებული დედამთილი რძალს მივარდა, წყალი ასხურა, ყურები დაუსრისა და ერთი-ორჯერ ლოყებზე სილაც შემოჰკრა. მოახლეს ხელში ცივი წყლით სავსე ბადია ეჭირა და ტიროდა. სოვდაგარი გამტკნარებული იდგა.

დედამთილი ვერაფერს გახდა, ანუშა ვერაგზით ვერ მოაბრუნა. ფერშანგოვს დაკარგული ქალი გადაავიწყდა, დამფრთხალმა მოახლე დალაქის დასაძახებლად გააქცია. დედამთილი მაინც თავისას ცდილობდა. ნახშირი და შავტარიანი დანა მოამზადა და შეშინებულის ლოცვა „გულო დადექ საგულესა“ ჩაუბუტბუტა გულწასულ რძალს, რომელსაც სხვა დროს ავ სიტყვას არ აკლებდა.

დალაქი წურბელების ქილით მოვიდა. ანუშას კისერზე წურბელები დაასხა. სისხლი გამოაშვებინა. თვალები ახელინა. ენა ამოადგმევინა. ანუშა მთელი ღამის განმავლობაში შფოთავდა და სარეცელის ირგვლივ შემოხვეულ მახლობლებს ევედრებოდა: „ჩემი შუშანიკი მაჩვენეთ... სად დამალეთ... რატომ არ მაჩვენებთ... ერთხელ კიდევ დამანახეთ... ნუ მტანჯავთ, აგრემც ყველას ღმერთი გიშველითო“.

ფერშანგოვებმა ღამე თეთრად გაათენეს.

მეორე დღეს მელქო ფერშანგოვმა პოლიციას შეატყობინა თავისი ქალის უგზოუკვლოდ დაკარგვის ამბავი. პოლიციაში მდიდარ სოვდაგარს დიდი თანხა მოთხოვეს, რათა დაკარგული ქალი სხვადასხვა ადგილებში ყველანაირი საშუალებით ეძებნათ. სოვდაგარმა ქისა მაშინვე არ გახსნა და მზის ჩასვლამდე მოცდა ამჯობინა.

სანამ სოვდაგარი პოლიციაში იჯდა და მზის ჩასვლას უცდიდა, მის სახლში უცნობმა კაცმა წერილი მიიტანა. არც დედამთილმა, არც რძალმა და არც მოახლემ კითხვა არ იცოდა. ატირებული ქალები წერილს დასცქეროდნენ, კოცნიდნენ და მოუთმენლად მოელოდნენ მელქოს დაბრუნებას.

— ამ წიგნმა იცის სად არის ჩემი შუშანიკი! — ტირილით იძახდა გამწარებული დედა.

— იცის, იცის! — ბანს აძლევდა მო-

ახლე და ცერისოდენა ცრემლებს აფრქვევდა.

— რატომ ანა-ბანა არ ვიცი მე თვალდამდგარმა?! — ურვით ამბობდა დედამთილი და მუხლებს ითქვიფავდა.

რამდენიმე საათის შემდეგ ერთბაშად დაბერებული, წელში მოხრილი და ძალზე დაღვრემილი ფერშანგოვი შინ დაბრუნდა. მას კარებშივე მიაგებეს წერილი. ფერშანგოვმა მყისვე იცნო ქალის ხელი და თვალები აუწყლიანდა. მერე საშინლად გაოცებულმა, გაშტერებულმა და თავზარდაცემულმა ძლივს ჩაიკითხა მოწერილი ბარათი: „ჩემო საყვარელო დედ-მამავ! პირველად თქვენგან მოვითხოვ პატიებასა და შეწყალებას. წუხელ წმ. ბარბარეს ეკლესიაში ჯვარი დავიწერე ნოქარს ფილიპეზე და ეხლა იმისი გვირგვინის ცოლი ვარ. ეს საქმე სიყვარულმა ჩამადენინა. ბედნიერი ვარ და იმედი მაქვს თქვენი გულკეთილობისა, რომ არ დამკარგოთ. თქვენი ბოლომდის მოსიყვარულე შვილი შუშანიკა მაჭრაძე“. ფერშანგოვს წერილი ხელიდან გაუვარდა. ანუშამ ცივად შეჰკივლა. დედამთილმა „ვუის“ დაძახებით მრავალგზის შემოიკრა ტუჩებზე მარჯვენა ხელის ორი თითი. შეცბუნებული ვარდისმონა თვალს ვერავის უსწორებდა..

— გაიგონეთ, ხალხო?! — წარმოთქვა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ფერშანგოვმა

ხმა არავინ ამოიღო.

ფერშანგოვი თავჩამოვარდნილი იდგა. სახეზე ისეთი ფერი ედო, რომ მოახლეს ეშინოდა: „საცაა ეს კაცი ჩვენს ფერხთით გაგორდებაო!“

ქალები თანდათან გონზე მოდიოდნენ.

— თავი მოგვეჭრა. — დაიკვნესა ანუშამ, — ზანდაროვებს რაღა პირით უნდა შევხედოთ?

— ფიე! დანიშნული ქალი სახლიდან გაგვექცა. ქა, ეს რა სირცხვილი ვჭამეთ?! — დამცინავ-გამკილავად წარმოთქვა ფერშანგოვის დედამ და გესლის დასანთხევად მოემზადა.

ამ ზარში და ზახილში ვარდისმონამ ფრთხილად სიტყვა ჩააგდო.

— აღავ!

ფერშანგოვი მოახლეს უაზროდ მიაშტერდა.

— აღავ! — განაგრძო ვარდისმონამ ბორძიკით და მორიდებით,—შუშანიკს ხომ იმ იმერლის ხელში არ დავტოვებთ? პატრონობა უნდა,

— მე ქალი აღარა მყავს. — გამყინავი ხმით გამოაცხადა ფერშანგოვმა. — შიმშილით მოკვდება.

სოვდაგარმა, თითქოს ამ სიტყვებს უცდიდაო, უცებ თავი აიწყვიტა და აყვირდა:

— ეგ რა ჩემი საქმეა? რა ჩემი სადარდებელია? არა, მე დამეკითხა, სახლიდან რომ გაიქცა? ჰა? თავი რათ მამჭრა ეგრე ფინთათ რათა ქნა? მაკა არის? — ყვიროდა ჩახლეჩილი ხმით სოვდაგარი. მისი ყვირილი ყველას უცნაურად ეჩვენებოდა, რადგან ეს იყო პირველი აღშფოთებული ყვირილი საერთოდ მშვიდი, პირშეკრული და გულჩათხრობილი ადამიანისა, რომელიც მდუმარედ და აუღელვებლად უღებდა ბოლოს თავის მეტოქეებს ქარვასლებში.

— მოკვდეს! მოკვდეს! რაღათ უნდა თავი ცოცხალი? იწვნიოს შიმშილი, მაშინ მოვაგონდები, მაშინ დამაფასებს...

— მელქო... — სუსტი ხმით დაუძახა გაბოროტებულ ქმარს ანუშამ.

— ჰამე?

— მაშ ჩემი ნანინატრად გაზრდილი შუშანიკი იმ მგლის ხელში უნდა დავტოვოთ?

— მაშ რა ვქნა, წავიდე და დავუჩოქო? გესმის თუ არა, რასაც მთხოვ, დედაკაცო? არა, მე ვუთხარი გაიქეციმეთქი? მე ჩავაგდე იმის ხელში? — ისევ აყვირდა სოვდაგარი, — მთელ ქალაქში ქუდი მომხადა, ულვაში გადამიწია და შიგ ჩამაფურთხა! მაშ!

სოვდაგარს ისედაც პირქუში სახე განცდილმა შეურაცხყოფამ და დამცირებამ კიდევ უფრო დაუბნელა, ჩამქრალი, ბურნუთისფერი თვალები რისხვის ცეცხლმა გაუნათა, მერე თავზე

ორივე ხელი წაივლო, ოთახში მოუსვენრად გაიარ-გამოიარა, თავს აქნევდა, ხელებს შლიდა და ხან გაკვირვებით და ხან გაჯავრებით მოსთქვამდა და იძახდა:

— ვაჰ! ვაჰ! ვაჰ! ეს რა მოხდა? ეს რა თავსლაფი დამესხა? ჩემი ქალი ანგელოზი მეგონა, ვამბობდი თუ ბუზს ვერ აафრენს-მეთქი და საყდარში ფოსტლების ამარა არ გაიქცა?! მერე ვისზე დაიწერა ჯვარი? იმ ბემურვათ იმერელზე. ვიცი, ვიცი რა აზრიც უდევს იმას თავში! იმ ეშმაკს უნდა ჩემი ქონება თავისი ქნას? უნდა მე, განთქმულმა და პატივცემულმა მოქალაქემ და სოვდაგარმა მელქუა ტიგრანიჩ ფერშანგოვმა ის ლაწირაკი სიძეთა ვქნა? მე შენ ძაღლს არ მოგცემდი, არათუ ქალსა!

მელქო გაჩუმდა. ბაღდადი გაშალა. პირისახიდან ოფლი მოიწმინდა. თავისიანებს მუქარით გადახედა და გააფრთხილა:

— დღეის იქით იმ უნამუსო ქალის სახელი არავინ ახსენოს.

ანუშამ მუხლები დაიჩეჩქვა. მაგრამ ვერც ხმა ამოიღო, ვერც ხმიანი ტირილი გაბედა. ქმრის მოშიშარს თვალებიდან უსიტყვოდ ჩამოსდიოდა ცრემლები. ამაოდ უყურებდა დედამთილს და ამაოდ მოელოდა მისგან თანაგრძნობას, შვილიშვილის შებრალებას და მის საშველად ხელის გაწვდენას.

დედაბერი პირმოკუმული იჯდა მაღალ იტალიურ სავარძელში, პატარა თავი სავარძლის ზურგისთვის მიეყრდნო და მტაცებელი ფრინველივით იყურებოდა. შავი მოსახვევი კიდევ უფრო პატარას ხდიდა მის დამჭკნარ სახეს; ჩიტის თვალები ნახევრად დაეხუჭა მარჯვენა მკლავის ძარღვებით დაჭმუჭნული ხმელი ხელი სავარძლის საყრდენის ჩუქურთმიან თავზე დაედო, ხოლო ერთ ადგილზე გაქვავებულ მის მარცხენა ხელში გრძელი კრიალოსანი უძრავად ეკიდა. გესლიანი ფიქრებით დაბნელებული დედაბერი ავად იმზირებოდა. რძალს მისი სიჩუმე უკვირდა, მაგრამ გალურსული ვარდისმონა მიხვდა, რომ შუშანიკის დიდედას შვილიშვილი უკვე გამოეტირებინა, უკანასკნელი ცრემლი შეემშრალებინა და ახლა მის გასაკიცხად ემზადებოდა.

— მელქო, — უთხრა მან შვილს,— შენ იცი, რო მე და შენი ცოლი ბევრჯერ წავკიდებივართ...

— რა დროს ეგ არის? — საყვედურით შეაწყვეტინა შვილმა.

— მათქმევინე. ბევრჯერ გვიჩხუბნია, მაგრამ ერთმანეთისათვის არ გვიმტრია. კარგად ვიცი და დარწმუნებულიცა ვარ, შენი ცოლი პატიოსანი დედაკაცია და უნამუსოს არ გაზრდიდა. მაგრამ შენი სახლის ქალები ყველანი დამნაშავენი ვართ, რომ ციდისმტკაველა გოგოს ვერ მოვუარეთ.

— მართალია. — დაეთანხმა შვილი და უფრო ჩაფიქრდა.

— შუშანიკი სახლიდან არ გადიოდა.

— ეგეც მართალია.

— მარტო საყდარში და აბანოში დაგვყავდა, — განაგრძო დედაბერმა,— მეზობლებში გადასვლა ჩვენს დაუკითხავად როგორ შეეძლო! ის იმერელი ნოქარი კი ერთხელის მეტად არ მოსულა ამ სახლში. მაშ, სადღა ნახულობდნენ ერთმანეთს? ვინ გააქსუა შენი ქალი? ვინ შეაცდინა? ვინ გამოგვჭრა ყელი?

დინჯად მოლაპარაკე დედამთილმა თავის ჩიტის თვალები ვარდისმონაზე გადაიტანა.

ფერშანგოვმა ჯერ ვერაფერი გაიგო, მერე, როცა დედის ნათქვამის აზრს მიხვდა, პირი სულელურად დააღო და უარესად გაშტერდა. უეცრად რისხვამ სახე მოუღრიცა. მოახლეს მუქარით მიუბრუნდა. შეშინებულ ვარდისმონას ნელ-ნელა უახლოვდებოდა. გადაფითრებული მოახლე უკან იხევდა, კარებისკენ მიიწევდა, თავს ისაწყლებდა, ჩქარ-ჩქარა პირჯვარს იწერდა, ამისმა მადლმა ამ საქმის არაფერი ვიციო, მე არაფერში ვურევივარო, „ჭირო ალალმართალოს“ ჩურჩულებდა და მუხლი ეკვეთებოდა.

— შენ იყავი იმათი მაჭანკალი? — მიახალა ფერშანგოვმა.

— არა, ალაჯან... განა მე... — ალუღლუღდა ვარდისმონა.

— სადა ხვდებოდა შუშანიკა თავის საყვარელს? სად მისცა პირობა?

— არ ვიცი, ალაჯან... ღმერთმანი, არაფერი არ ვიცი...

— მაშ, ის ბემურვათი სული წმინდა ხომ არ იყო, რომ აკოშკიდან ეარნა ჩემ ქალთან? ჰა, მე გინდა მომატყუო? ტყუილად რად ფიცულობ, სახეზედ გაწერია, რომ იმათი წიგნები შენ დაგქონდა.

— წვინტლიანო გომბიოვ! — დაუყვირა მოახლეს მელქოს დედამ. — პურმარილის გამტეხო! პირშავო, უნამუსოვ! ჰმ. რა ნამუსი უნდა მოჰკითხო მაგის მამის შვილსა?

ამ სიტყვებმა ვარდისმონა ერთბაშად გამოაფხიზლა. შიშის ნასახიც აღარ შერჩა. თვალები აენთო, სახე აელანძა. ფერშანგოვს გაბედულად შეხედა, თვალი გაუსწორა და პირში მიახალა:

—მე ვიცი ვინც არის უნამუსო! განა შენ მამაჩემს ღვინოში საწამლავი არ ჩაუყარე? ქურდო!

სოვდაგარი ისეთნაირად შეტოკდა, თითქოს სახეში ტყვია მოხვდაო. თეთრი ქაღალდის ფერი დაედო. მერე სიბრაზემ სახე ჭარხალივით გაუწითლა. ძალა მოიკრიბა, ვენეციური მაღალი სარკის მაგიდიდან მძიმე ერთსანთლიანი შანდალი აიღო, მოახლეს მოუქნია. ანუშამ ცივი ხმით შეჰკივლა: „მოჰკლავო“. დედაბერი ოდნავ შეინძრა მაღალ იტალიურ სავარძელში და რძალს ზიზღით გადახედა.

ვარდისმონა უშიშრად უყურებდა მისი მხილებით დამფრთხალ და დარეტიანებულ სოვდაგარს. თვალს არ აშორებდა მისი ბნელი სახის ნაკვთების მტკივნეულ მოძრაობას. ფერშანგოვმა მის ჩაციებულ მზერას ვერ გაუძლო, შემართული ხელი უკანვე ნელ-ნელა დაუშვა, შანდალი ხელიდან გაუვარდა და მის ფეხებთან, ხალიჩაზე ყრუდ დაეცა. გაგუდული ხმით ამოიხრიალა:

— რამდენ ოქროსაც მთხოვ, იმდენს მოგცემ... ოღონდ თვალიდან დამეკარგე...

ვარდისმონამ სიძულვილით შეხედა მას. მის წინ მისი მამის მკვლელი იდგა. ნათესავების მიერ ბავშვობაში მისთვის ჩაგონებული ეჭვი გამართლდა. ახლა მან დანამდვილებით იცოდა ის, რაზედაც წინათ ეჭვით ფიქრობდა. მას ქრთამს აძლევდნენ, რათა მისი დუმილი ეყიდათ. ამ მოულოდნელმა მხილებამ ვარდისმონას ძალ-ღონე წაართვა, მამის მკვლელის ყურებას ვეღარ გაუძლო, ოთახიდან ქვითინით გავარდა ტალანში. კედელს მიეყუდა, მუხლთ მოეკვეთა, კედელზე ხელებმიყრდნობილი ჩამოცურდა და იატაკზე დაემხო. ტიროდა, მაგრამ მისი გამკითხავი არავინ იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან ფერშანგოვის დედა გამოვიდა, ვარდისმონას გვერდით პატარა ბოხჩა დაუდო და უთხრა:

— წადი, წაეთრიე! თავისუფალი ბრძანდები! ის ტყუილი კი არსად წამოგცდეს, დაგცინებენ და გიჟად ჩაგთვლიან.

შავებში ჩაცმული დედაბერი კიბის ფოლორცზე იქამდე იდგა, სანამ ვარდისმონა ქუჩაში გავიდოდა.

### 11. ჩაშლილი ნიშნობა

მე შენ მიყვარდი, ჯერეც ეს ალი, ვგონებ,
ჩემს გულში არ არს გამქრალი.

**გრიგოლ რჩეულიშვილი, „ყვედრება“.**

დილით ფერშანგოვი ზანდაროვებს ეწვია.

მათ უკვე გაეგოთ თავიანთი სარძლოს სახლიდან გაქცევის და დაქორწინების ამბავი, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს არაფერი არ იცოდნენ.

ფირუზამ და თეთრმა ლიზამ მელქოს დედა, ანუშა და საყვარელი სარძლო შუშანიკი დიდი ამბით მოიკითხეს და პატივისცემით მიართვეს სკამი დაბნეულ სოვდაგარს. ფერშანგოვი მოწყვეტილი დაეშვა შემოთავაზებულ სკამზე, ვერცხლის ქამრიდან ბალდადი წვა-

ლებით ამოაძრო, მშრალი თვალები მოიწმინდა, თავი საბრალოდ ჩაჰკიდა და სვენებ-სვენებით ამოთქვა:

— ჩემი ქალი... შუშანიკი... გუშინწინ ღამეს... სახლიდან გაქცეულა...

— რას ამბობ? — ერთად შესძახეს ფირუზამ და თეთრმა ლიზამ.

ახალგაზრდა ზანდაროვს დანა პირს არ გაუხსნიდა. დაღვრემილი იჯდა კედლის საათის ქვეშ.

როდესაც ცოლ-ქმარი ფართოდ დაღებული პირით და ყალბი გაოცებით შესცქეროდნენ უძილობით და ჯავრით გალურჯებულ სოვდაგარს, ჩაფიქრებულ გიგას თავს ზემოთ გუგულმა მხიარულად დასძახა გაუთავებელი „კუ... კუ..."

ფერშანგოვმა საათს შეხედა.

— გუშინწინ საღამოს რვა საათზე გასულა სახლიდან.

— მერე სად გაიქცა! — ჰკითხა ფირუზამ.

— ჰმ, წმინდა ბარბარეს საყდარში. ჩემს ნოქარს ფილიპეს ცოლად გაჰყოლია.

— გვეხუმრები განა, მძახალო?! რათ გვატყუებ? ლილახანაში გამოიარე? — წარბის მხიარული აწევით ჰკითხა თეთრმა ლიზამ და შესცინა.

ფერშანგოვმა გაკვირვებით მოხედა იჭვნეულად მომცინარე დედაკაცს, საყვედურით უთხრა:

— ამისთანა რამეებით ხუმრობას არა შვრებიან!

ზანდაროვებმა დაიჯერეს. ითაკილეს. ცხვირები ჩამოუშვეს.

ლაპარაკი ისევ ფერშანგოვმა დაიწყო:

—ეჰ, რაც მოხდა, მოხდა. რაღას. ვიზამთ? ალბათ იქ, მაღლა, ბედის წიგნში ასე ჩაუწერიათ, რომა სოვდაგარ ფერშანგოვის ქალი უნდა სახლიდან გაიქცესო. შაბაშ! გათავდა. ჩემი თვალები იმას აღარ ნახავენ.

ფირუზა გაბრაზდა, ჩხუბის გუნებაზე დადგა.

— სად გაგონილა, ადამიანო! — ყვიროდა გაწიწმატებული მედუქნე, — ვინა სთქვა? ფიე! დანიშნული ქალი სახლიდან გაიქცეს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ! მაშ! — კვერს უკრავდა ქმარს თეთრი ლიზა.

ფერშანგოვი შიშით შეჰყურებდა ზანდაროვების უკმაყოფილო, გაბოროტებულ, გაჯავრებულ სახეებს.

დაღვრემილი გიგა ლაპარაკში არ ერეოდა.

ფირუზას სოვდაგარი არ ეცოდებოდა, არ ინდობდა.

— ჯერ ხელზე დაგვიხვიე და მთელი წელიწადი გვალოდინე, ეხლა ამ ამბით მოდიხარ? თითით საჩვენებელი და სასაცილო რათ გაგვხადე?

— მაშ! მაშ! — ცხარობდა თეთრი ლიზაც, — შენმა ქალმა სახეზე მური ჩამოგვისვა, შეგვარცხვინა! საკოცნელი პირი საფურთხებლად გაგვიხადა! ქა, თავი სადღა გავყოთ?

ფერშანგოვი გულწრფელად წუხდა, არ იცოდა რა ეთქვა გაჯავრებული ზანდაროვებისათვის, რით გაემართლებინა თავი. მათი გულისწყრომაც კარგად ესმოდა, მაგრამ თვითონაც ხომ შერცხვენილი და ქუდმოხდილი იყო? სოვდაგარს გული ბოღმით ევსებოდა, ბრაზი ახრჩობდა.

გაკაპასებული თეთრი ლიზა კი ცეცხლზე ნავთს უსხამდა.

— ბეჭდის დაბრუნებისთანა სირცხვილი სხვა რაღა უნდა იყოს? — კითხულობდა თერძის ქალი, — ვითომ გიგა რა მასხარად ასაგდები იყო? ქა, იმ ტურტლიან ნოქარს აღარა სჯობდა?

ფირუზამ მოკლედ მოსჭრა:

— გავათაოთ. ვიშვიში და ლაპარაკი რას გვიშველის? მელქოჯან, ქრთამი ჩვენ დაგვრჩება, შენ კი ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მშვიდობით ბრძანდებოდე!

ახალგაზრდა ზანდაროვმა თითიდან ბეჭედი წაიძრო. ამის დანახვაზე ფერშანგოვს თავიც დაავიწყდა და ქრთამიც. ბალდადიანი ხელით ლოყები გაისილაქა და ჟრუვას მოჰყვა:

— ვაიმე, ვაიმე! რა სიძე დავკარგე და ჩემი ქალი ვის ჩაუვარდა ხელში...

**ხმა** არავინ გასცა. ზანდაროვები მგლოვიარეებივით ჩუმად ისხდნენ. გაბუტულნი და უკმაყოფილონი. ფერშანგოვი ამაოდ უცდიდა მათს თანაგრძნობას, ნუგეშის სიტყვას.

გიგა ხელში ნიშნობის ბეჭედს ატრიალებდა, ხმას არ იღებდა, მაგრამ ეტყობოდა იტანჯებოდა, სატრფოს დაკარგვას ნაღვლობდა.

ფერშანგოვი წამოდგა, გიგას ბეჭედი გამოართვა, ჯიბეში ჩაიდო, ყველას თავი დაუკრა და კარებისაკენ გაემართა.

არავინ არ გააცილა.

სოვდაგრის წასვლისთანავე თეთრი ლიზა წუწუნს მოჰყვა:

— ქა, ეს რა დროება დაგვიდგა! დედ-მამის შიშით წინათ გოგო ბალკონზე როგორ გამოვიდოდა?! ეხლა არის! ფოსტლებით გარბიან საყდარში, ოღონდ ვინმემ ხელი დაუქნიოს.

ფირუზას გაეცინა.

ცოლმა ქმარს ჯერ გაკვირვებით შეხედა, მერე, როცა მისი სიცილის მიზეზს მიხვდა, შეცბუნდა, წამოწითლდა. ორთავეს ერთად გაახსენდა სასამართლოში სახტად დარჩენილი თერძი. თეთრმა ლიზამ თავი ვეღარ შეიკავა, „ფხუკუო“ დაიძახა და სიცილი წასკდა. ფირუზამ გულიანად გადაიხარხარა.

გიგამ უარესად ჩაქინდრა თავი.

კარი მეშვიდე

## I შერიგებული დოსტები

რაღაც საიდუმლო აზრმა განირბინა ანას ფიქრების სიბნელეში და რაღაც სხივმა იმედისამ განიელვა იმის გულში.

**გრიგოლ რჩეულიშვილი, „შეშლილი“.**

გამდიდრებული ფირუზა ზანდაროვი მდაბიო მეზობლებს აღარ კადრულობდა. გაყოყოჩდა, გამედიდურდა, გადიდკაცდა. გასქელებული კისერი ისე დაჰქონდა, თითქოს ქუდი ამძიმებსო. დიდვაჭრის ყურთმაჯებიანი კაბა ჩაიცვა, ყოშებიანი ახალუხი. უკეთესად მოირთო და მოიკაზმა.

გადარბაისლებულ კინტოს თავმომწონედ და ღირსეულად ეჭირა თავი. დარბაისლურად ოხუნჯობდა, მხოლოდ დარბაისლურ სუფრაზე იჯდა, დარბაისელ ადამიანებს ხვდებოდა და ელაპარაკებოდა. ქვემოურებს თავს ძლივს უკრავდა, ზემოურებთან ისევ ლაქუცობდა.

თავისი საყვარელი თარი სამუდამოდ დაკიდა კედელზე. არც თვითონ მღეროდა, აღარც თეთრ ლიზას ამღერებდა.

ერთი სიტყვით, „ლხინის პაპამ“ ხასიათები გამოიცვალა, დადინჯდა და დადარბაისლდა. წინათ თუ სხვებს აცინებდა, ახლა სხვები ცდილობდნენ მის გაცინებას.

გამოუსწორებელმა ქვაწვიამ მარტო ძუნწობა შეინარჩუნა. შურითაც ძველებურად იხეოხებოდა და წყინდა, რომ მედუქნე იყო და არა სოვდაგარი.

ვეღარც თეთრ ლიზას იცნობდით. ჩაცმა-დახურვას თერძის ქალმაც გაუგო გემო. თუ წინათ მუდამ ფეხშიშველი ჩუსტებს ეკლესიაში და ბაზარში სიარულისთვის ზოგავდა, ახლა სახლშიც მორთულ-მოკაზმული იჯდა. გარეთ თავდახურული, ჩიხტი-კოპით დადიოდა, როგორც ეს მდიდარი მედუქნის ცოლს ეკადრებოდა. ქუჩაში სეირნობა უყვარდა. არაჩვეულებრივად სიამოვნებდა, როცა ძველი ნაცნობები მოკრძალებით ჩერდებოდნენ და მოწიწებით უკრავდნენ თავს. დიდსა და პატარას თვითონაც სალამს აძლევდა. ამიტომ შინ დაბრუნებულს კისრის ძარღვები სტკიოდა ხოლმე.

სამაგიეროდ გიგა დადარდიანდა, ისევ

გულჩათხრობილი გახდა. ამხანაგებსა და დოსტებს ერიდებოდა. განმარტოვდა. შუშანიკის დაკარგვას დარდობდა. ეზოს ან ბაღის კუნჭულში მიმჯდარი მწარე ფიქრებს გონებიდან ვერ იშორებდა. თავს ამ ქვეყნად ყველაზე უბედურ ადამიანად თვლიდა. ჯერ ნათია აგონდებოდა, მერე მაკა და ბოლოს შუშანიკი.

სიყვარულში სამჯერ დამარცხებულს სამჯერვე დაკარგული ქალი ერთად უდგებოდა თვალწინ. თავის უიღბლობას, მართალია, არავის არ შესჩიოდა. მაგრამ გამოვლილი და განცდილი სახეზე ეწერა და ნაადრევად შეთეთრებულ საფეთქლებზეც ეტყობოდა.

ავი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ, ძილს უფრთხობდნენ, მთელი ღამე ჩაბნელებულ ჭერს შესცქეროდა. თვალს ვერ ხუჭავდა და მხოლოდ განთიადზე ერეოდა თვლემა უძილობით დაღლილსა და დაქანცულს.

გულმავიწყი გახდა. დახლში ხშირად გარინდებული იდგა. ქუჩაში ნაცნობებისათვის სალმის მიცემა ავიწყდებოდა.

ერთხელ მაიკომ გზა გადაუჭრა, გაუღიმა და შემოსცინა, მაგრამ გიგამ ის ვერ შეამჩნია. თუმცა რომ შეემჩნია კიდეც, მაინც ცივად აუვლიდა გვერდს, პირს მოარიდებდა. შუშანიკი ისევ უყვარდა და ამიტომ ხაბაზის ცოლს ყურადღებას ვერ მიაქცევდა.

მის საერთო განწყობილებაზე მისი თავმოყვარე ხასიათიც ახდენდა გავლენას. ამხანაგების, თავის ტოლების რცხვენოდა, რადგან შეურაცხყოფილს და დამცირებულს ასე ეგონა ყველა დასცინოდა და მასხრად იგდებდა. გარე-გარე დაიარებოდა და ყველას თავს არიდებდა.

გულდამძიმებული დუქანს აღარ შორდებოდა:

ფირუზა ისევ აბუზღუნდა, თავისებურად ილანძღებოდა:

— ლაყუა, დონდლოა! ქალისათვის ეგრე თავს ვინ იკლავს?!

— ეი, მუდრეგო! კარგი, გეყოფა! — პირში სწვდებოდა ქმარს ცოლი, — ჭერი ბიჭობა შენიც მეყოფა!

ფირუზას შინ საჩხუბრად არა სცალოდა. მედუქნე შაქროს გამო პოლიციაში და სასამართლოში დარბოდა. ცოლის დაჭრის გამო დაპატიმრებულ შაქროს მევალეებმა უფრო დაუმძიმეს მდგომარეობა. სასამართლოში მიცვივდნენ და თავიანთი ვექსილები წარადგინეს. ყველაზე მეტს ფირუზა ყვიროდა, ვექსილებს ჰაერში აფრიალებდა და სასამართლოში ვალისა და სარგებლის განაღდებას მოითხოვდა; თან იმათგან, ვისაც შაქროს დახსნის იმედი აღარა ჰქონდათ, ვექსილებს ჩალის ფასად ყიდულობდა.

დახლში გიგას მაგიერ ფირუზა უფრო ხშირად თეთრ ლიზას აყენებდა. უფროსი ზანდაროვი დარდისაგან ჩამომხმარ დახლიდარს აღარ ენდობოდა. შეფიქრიანებული თეთრი ლიზა ყოველ საღამოს ციხის აბანოში დადიოდა, რათა მობანავე გოგოებში სალთი გიგასათვის მდიდარი და მზითვიანი ქალი ამოერჩია.

აბანოს კართან ერთ სამშაბათ დღეს როგორღაც მაიკო შეეფეთა. პირის მორიდება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ერთმანეთი დიდი ამბით მოიკითხეს და ერთმანეთს პირზე ისეთი სიყვარულით აკოცეს, თითქოს ჩხუბი არასდროს არ მოსვლოდეთ.

— როგორა ხარ, ლიზაჯან? რამდენი ხანია არ მინახიხარ! — მოუქონა თავი მაიკომ.

— შენ როგორღა ხარ, მაიკოჯან? რა არის, რომ აღარსად გამოჩნდი? იმავე კილოთი მიუგურგურა თეთრმა ლიზამ.

— ქა, ჩვენ გიგას რა დაემართა? ამას წინათ შორიდან დავინახე და ვეღარ ვიცანი, — ეკითხებოდა შეწუხებული სახით თავის ძველ დოსტს მაიკო, — შენმა მზემ, იმის ყურებით თვალები მეტკინა.

თეთრი ლიზა ჩუმად იყო.

სათქმელი ისევ მაიკომ თქვა:

— მაშ არა და მაკა ხეირს დააყრი-

და. აშოლოლანებს და უბნის ლოთბაზრებს რაზე აჰყვა? მაკა რა მაგის საქმე იყო? არც სოვდაგრის ქალი გამოადგებოდა. ქა, დედამიწაზე ძლივსა ჩანს. გიგას საბანში დაეკარგებოდა.

თეთრი ლიზა ხმას არ იღებდა. ჭკვიანი დედაკაცი თავისი ოჯახის საქმეებში ცხვირს არავის აყოფინებდა.

ისევ მაიკომ განაგრძო:

— სწორედ რომ საკვირველია, გარყვნილ დედაკაცებზე და გაფუჭებულ გოგოებზე თვალი რჩება, პატიოსან დედაკაცებს კი გვწუნობს. შენ არ გეწყინოს, ლიზაჯან, გიგაზე ერთი მხრით ახიც არის, რაც დაემართა.

თეთრმა ლიზამ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ფუნჩულა მაიკო. შავი სახე რაღაც ცუღლუტურმა აზრმა გაუნათა. ნართაულად უთხრა.

— ქა, მაკა და შუშანიკა ვიღას ახსოვს! შენ ეს მითხარი, როგორა ხარ, რასა იქ? რატომ ჩვენთან არ გადმოხვალ? მართალია, მე და ფირუზა შუადღემდე შინ არა ვართ, მაგრამ სადილად ყველანი დაგხვდებით.

მაიკო გადაკრულად ნათქვამს მყისვე მიუხვდა, თაფლისფერი თვალები გაუბრწყინდა. მაგრამ თეთრმა ლიზამ მეტი არაფერი თქვა. ვალის დადება არ უყვარდა. მაიკოს თავი დაუკრა და თავის გზაზე გატრიალდა.

## 2. ᲛᲐᲘᲙᲝ

კატინა ქართველი ქალია, თეთრი და მწყაზარი:

ბაირონი, „დონ-ჟუანი".

მეორე დღეს, დილით მაიკომ ფირუზას დუქანში შეიხედა. თეთრი ლიზა ეკლესიაში იყო, ფირუზა ქარვასლაში. გიგა დახლთან იდგა. გვერდულად გადაწოლილი მარჯვენა მკლავის იდაყვით დახლს დაყრდნობოდა, დანით ჩხირს თლიდა და ამით ერთობოდა. მაიკოს დანახვაზე უსიამოვნოდ შეიშმუშნა, შეუბღვირა კიდეც, მაგრამ მისი ბღვერა ქალმა აინუნში არ ჩააგდო.

ხაბაზის ცოლი ქორივით დატრიალდა დუქანში. ჯერ ერთ კარს გაუგდო ურდული, მერე მეორეს. დუქნის ერთადერთი დარაბაც დახურა. მოტრიალდა და გიგას ყელზე ჩამოეკიდა. ყველაფერი თვალისდახამხამებაში მოხდა. გიგამ გონზე მოსვლა ვერ მოასწრო. ქალის თხელი კაბის შეხებამ ნამარხულევს ჟრუანტელად დაუარა ტანში, მისმა ცხელმა სუნთქვამ დაბნიდა და თავი დააზრევინა, ფართოდ გაღებულმა თაფლისფერმა თვალებმა დაატყვევა და მოაჯადოვა; ქალის გაპობილი ბაგეები, მის ტუჩებს გაფაციცებით რომ ეძებდნენ და წყურვილის მოსაკლავად ეძახდნენ, ანდამატივით იზიდავდნენ თავისკენ. ქალი ნელ-ნელა ეშვებოდა მარილის ტომრებზე და ვაჟსაც თან ითრევდა. დუქნის დაკეტილ კართან მუშტრები ყაყანებდნენ

როცა მაიკო კაბას ისწორებდა და იბერტყავდა, გიგა მიხვდა, რომ ამიერიდან მისთვის ყველა ქალი სულერთი იყო. უყურებდა თავისი მოულოდნელი გამარჯვებით ოდნავ დაბნეულ მაიკოს და უნებურად მას მაკას ადარებდა. მამაკაცებთან ალერსში დაუდეგარი მაკა თავის თილისმებს თანდათან აჩენდა, მამაკაცს შემპარავად აღიზიანებდა, უკანასკნელ გამოსათხოვარ კოცნას ბესავით ტოვებდა, იცოდა, რომ ეს ოდნავ დაუდევარი ამბორი მის საყვარელს ყველგან თან გაჰყვებოდა და უკან მოაბრუნებდა. მაიკო კი ყველაფერს ერთბაშად წინ ალაგებდა მამაკაცსაც ყველაფერს სწრაფად ავიწყებინებდა. ხაბაზის ცოლს ერთი უპირატესობა ჰქონდა — საყვარელს მთელი თავისი არსებით თავდავიწყებით ეძლეოდა, მაკა კი სიყვარულშიც ტყუოდა და თაღლითობდა, სამაგიეროდ საყვარელს ისეთნაირად ეტმასნებოდა, რომ ამის გახსენება გიგას ახლაც თავბრუს ჰხვევდა.

ფირუზას დახლიდარს იმანაც გაუფუჭა გუნება, რომ მხოლოდ ახლა ეცა ცხვირში ნივრისა და ხახვის სუნი, რომელიც მაიკოს ყოველთვის ასდიოდა,

რადგან მთელი დღე ბრგე საყვარლის წისქვილში იჯდა, სადილის გაკეთება ავიწყდებოდა და თათარიახნად ნაყრდებოდა.

გიგა გულგრილად დადგა დახლთან. თავისი უკმაყოფილო გამომეტყველებით ქალს დუქნიდან წასვლას აჩქარებდა.

მაიკომ გაკვირვებით აიჩეჩა მხრები. გიგას ხმა არ გასცა. კარის ურდული გაბრაზებით გამოსწია, აივანზე გავიდა, ნაცნობი ეზო გადასჭრა და ღობესთან გაუჩინარდა.

ამასობაში ფირუზამ სასამართლოში დაწყებული საქმე მოიგო. შაქროს დუქანი თვითონ იგდო ხელთ. მისი საჯაროდ ჩაქუჩით გაყიდული სახლის პატრონიც ის გახდა. გაძალიანებული მაკა პოლიციას მან სახლიდან გამოაგდებინა. შაქრო ციხეში იჯდა. დამახინჯებული ქალი არც მირზაჯანას სჭირდებოდა. მაკას არავინ მიეშველა, არავინ დაეხმარა. ყველას მიერ განკიცხული ხარფუხში დასახლდა საცხოვრებლად. სახედაჩეხილს და დამახინჯებულს მამაკაცები არ ეკარებოდნენ. მაკა იძულებული გახდა ხელში ნემსი და ძაფი აეღო. ღარიბ ქალებთან ერთად ჯარისკაცების საცვლებს კერავდა და ამით ირჩენდა თავს.

უბანმა შვებით ამოისუნთქა.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლორთქიფანიძე

# ოთხი დრო

თითქოს პირველად ვნახე გაზაფხულის მშვენება,
მისი მწვანე თვალების ტყიდან შემოჩერება.
შემაჩერა, ქვეყანას,
ფოთლად ამოეყარა.
დილას, რაც სურს გვახაროს
სჩანს ძნელი დასაწერი.
ეს სიმწვანე, — სამყაროს
ბავშვობის ტანსაცმელი.
მოშრიალებს, შრიალი
სიამის და შებინდვის
გადაირაზა კარი
სიმახინჯეებისთვის...

თითქოს პირველად ვნახე ზაფხული გამცეცხლები,
მთელ სხეულზე მეყრება მუხების ნაკვერცხლები.
სიყვარულით იტყვიან;
ისე დიდი სიცხეა,
ისე თვალებს აჭრელებს, —
ყველა თონე ქალაქში
აუნთიათ რაჭველებს.
ცხელ მკერდიდან ვერ გვთიშავს,
ვერც ყინვა და გრიგალი.
გულცივობა ასეთ ჟამს
აუტანელი არი.

დიონისეს ბარბაცით ღვინობისთვე იწყება,
გვიწვევს ბროწეულების წითელი გაცინება.
ხაოიან ატმების
ხამი თაფლი იღვრება.
და ედება გაწეპვით
დღე-ღამეებს ჭირხლებად.
ჩქეფს კახური მაჭრობა,
მაჭრობა სულს შეერთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაფერს გააფუჭებს
სამსალის ერთი წვეთიც...
თითქოს პირველად ვხედავ ბარდნას თეთრ ფანტელების
ივერცხლება სივრცე და მივალთ, მივეტანებით.
ველებს თეთრად შეღებილს
უხერხულია დაჰყვე,
ტალახიან ფეხებით
შელანძღო სისპეტაკე...
ეს რას ნიშნავს? რისთვის ვყმობ ოთხივე დროს თაკარას,
მართლა პირველს, თუ მართლა უკანასკნელ დანახვას?..

* * *

ამ ლექსს ვწერდი, ვხედავდი
ბოროტებით გაჟღენთილთ,
გულში ჩუმად ამბობდნენ:
არ ყოფილა საშველი...

## მე დავინახე: მიაბიჯებდა...

მთა, — ჩემი მამულის ჭკვიანი თავი,
ველი, — მამულის ტანი,
სამარადჟამოდ ამტანი,
სამარადჟამოდ გამტანი;
მოჩანდა მშვენიერ ჯანზე და ფერზე,
და მდინარენი გაშიშვლებული
შიშველ სატევრებივით ეკიდა წელზე.
გარეშე ყოველგვარ აღელვების;
ძელქვების ფეხებით მიაბიჯებდა,
შუბლს იწმენდავდა მუხების ხელებით.
რად არ დგებოდა,
გული მწყდებოდა.
ვფიქრობდი მოწყინდა ერთ ადგილს ყოფნა,
ერთხელაც შორეულ გზებმა აიყოლა.
ვეხვეწებოდი,
ხვეწნა ყოფილა წყეული,
ვიყავ ფეხებზე ჩაბღაუჭებული.
ფრთხილად აბიჯებდა სხვის ველში, სხვის მთაში,
მერიდიანების და განედების
ხვდებოდა ტაში.
ისე ნელა აბიჯებდა, ისე შეფარვით,
არ შეერაცხა არავის რჯული და წესი,
არც შეღებილიყო უცხო საღებავით.
მათიც და ჩვენიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ-მინდვრები, ხევები, ჩიტები
საუბრობდნენ სიყვარულის ლამაზი ენით...
მალე გაეცალა სიარულს უჩვევი
უცხო მინდვრების ყვავილებით მოქსოვილ ჭილოფს.
მსოფლიო მოვლილი მამული ჩემი;
მობრუნდა იბრძვის, შრომობს და ფიქრობს...

# რ წ მ ე ნ ა

მე ერთხელ რწმენის სავსე ძალ-ღონით
მთების სიფიცხეს მივანდე ბედი.
ღრუბლებიანმა გზამ გამიყოლა,
ღრუბლის თხელ ფთილებს ფეხს
ვაბიჯებდი.
პირში გარჭობილ ხანჯალით ჭქროდა
გრიგალი სივრცეს შენაჯიბრები.
და იზრდებოდნენ მიწის ნონოდან
კლდენი, ვით მიწის თეთრი კბილები.
ძალას მაძლევდა სიმძლავრის ჭვრეტა,
ფიქრად შექმნილი ველარ მოვეშვი.
სიამემ იწყო ნელი-ნელ ჩხვლეტა
სულში და
სულით ამევსო პეშვი.
მეტად მიმზიდველ ბუნების გზნებით.
შიმომეკარგნენ სავალი გზები.
გზებზე ვწვებოდი გარემოს ძლევით,
თავს ველარ ვწევდი უძლური ზევით.
ვხვდებოდი მკაცრი ბუნების წერა,
ბუნების წიაღს სანთელის დარი.
თვალი მოვკარი, ჰაერში ძერა
შეიძრა, ძერამ ჩამთვალა მკვდარი.
მკერდს მიკორტნიდა მჭრელი ნისკარტით
ნანისკარტალზე ხელებს ვისვამდი.
ვიტანჯებოდი ბურანში უხმოდ,
ძერამ სხვა ძერას და ნაღირს უხმო.
ინაწილებდენ ჩემს სისხლს და
ჩემს ხორცს,
უნდოდათ ჩემი სულიც გაეყოთ...
ვაი, რა ტყვილა ვამბობდი ასე:
მშობელ მიწაზე არ ვიწირები,
არც მტაცებელი ცის ფრინველებით,
არც მტაცებელი ტყის ნადირებით,
და მითქვამს ისიც:
საქართველოში იმით ვამაყობ
წყალში ჩავვარდე, ის არ დამახრჩობს...
მქონდა წამები, ვიცი, დათვლილი:
მოფრენდა... მორბოდა...
ძერა... ნადირი...
სხვა არაფერი მენანებოდა,
რწმენის სიკვდილი მენანებოდა...
სულზე მომისწრო ხმამ უწმინდესმა:
„ცეცხლს კვლავ მოგაწვდი, ცეცხლს
კვლავ მოგაწვდი“,
ამ ხმაზე მშვიდად დნებოდა დარდი.
ის, ცეცხლს მოდებულ ღრუბლებით ხელში
მთებში მეძებდა აზრით — ვეება,
გარეგნულობით — მშვენიერება.
ვიმალებოდი, შორ-შორს გავრბოდი,
მის ნაბიჯებზე იძვროდა ნისლი,
ვიუხერხულე შეხვედრა მისი,
ღრუბლების შუქზე ხევ-ხევ წვდებოდა
აჩრდილი ჩემი და გზაზე ნელა
წამოდგომაში შველოდა რწმენა.

# კარგია ვიცოდეთ...

შესაძლებელი ყოფილიყო კარგია,
კაცის სულივით ვიცოდეთ
რამდენი ყვავილის ხალიჩა აგია
დედამიწაზე სიცოცხლედ.
რამდენი ჩიტი და ბუდეა
მათს შორის შაშვი და ბულბული,
სიყვარულს რამდენი ღამე უთია
მთვარის სხივებით გადაბურული.
რამდენი ჭიანჭველა დაღოღავს ნელა,
იბრძვის და შრომობს მისით.
არა ხწამთ თავის გამოჩენა
ერთურთის ესმით.

რამდენი ფოთოლია
სხვადასხვა ფერის,
ეს ხომ მარაოს მოდელია,
ნიავებს მოდენიან.
რამდენი ფუტკარია
მამრი და მდედრი,
მუდამ დღე უხარიათ
თაფლი და ყვავილების ტევრი.

რამდენი, რამდენი
ფერია გარდამავალი
24 საათში სიამის დამდენი
და გულზე დამდნარი,
კარგია ვიცოდეთ, არ არის ზედმეტი
პირიქით, გაუხარდებათ იმათ.
თადარიგს დაიჭერდა ბუნება-ღმერთი
ადამიანის მიმართ.

## მეტამორფოზი

ო, კუზიანი სულით, სხეულით,
ხეივნებს გავყევ, ფიქრების თხოვნას.
ცაცხვები, ტანზე ჩიტებშესხმული,
მხედავდნენ, ჩუმად ირჩევდნენ ყოფნას.
ვერ შევძელ აზრით და თვალით ბეცმა.
წონასწორობა სადმე დამეცვა.

ო, გრძნობით კოჭლი და ფეხით კოჭლი
ხევ-ხევ ჩასვლისას ვიტეხდი კისერს.
ჩემი ცხოვრებით უხეშად მოჭრილს
მაშველი ხელი არსად მაღირსეს.

სანამ ამნაირ დანისლულ დღეში,
სანამ გარბიან წელიწადები.
დღისა და ღამის ცხელ საკირეში
ჩემი სხეული ჩემით ჩავდევი.

ჩამოფერფლილმა სხვა წყარო მოვსვი,
დაიწყო ჩემი მეტამორფოზი.

საარყე ქვაბში ოცნება ჩავჭერ,
გამოსახდელად ნელ ცეცხლზე სამჯერ.

ჩემში ყოველი ხორცმეტი მოვსპე,
გაღრმავდა ჩემი მეტამორფოზი.

გრძნობა და ვარდი ჯამში ჩავმყენი
გამოსულიყო ვარდის ნაყენი.

მხედავდნენ ტანზე სხვა ფერით მოსილს,
დასრულდა ჩემი მეტამორფოზი...

მე ჩავიხედე ხეივნის ტბაში,
ავშოლტილიყავ ნაძვივით დარში.

უკვე ვუყვარდი ყვავილებს, ფოთლებს,
სილამაზეში გადასულ შფოთვებს.

თითქმის ყველასთვის ცხოველი ხატი,
ადამიანებს მართლა ვუყვარდი.

მაგრამ წუხილი ვეღარ დავმალე,
ხელებს მიქნევდა უკვე სამარე...

ვსაყვედურობდი მთა-ბარს და ტატნობს,
არ დამინახეს ამდენხანს რატომ.

## ეშხით დაბურულ გულს

მე ერთის გულში ქარიშხალად შემოვიჭრები,
შეჟრიალდება ატყორცნილი თეთრი ფიჭვები.
მე ერთის გული შემიფარებს შეუცდომელი,
გულთ მგზნებარე, სპეტაკი და ბევრის მწვდომელი,
მთელ ქვეყანაზე გულით ვეძებ მე იმ გულს ეხლა,
იმ გულთან მინდა შეხვედრა და ალერსით შეხლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავებაასო სიჩუმეში გულს უახლოეს,
ნუთუ ის ერთიც?..
თუ არის და რასღა აყოვნებს!?.
არა უშავს რა, იმ გულს, ლამაზს, დაბურულს ეშხით,
მე აღმოვაჩენ;
ან ჩიტებში,
ან ყვავილებში.

## საღამო

საღამო არის ჩემი რატომღაც მოწყენილობა,
შუაღამე მტრისას, — ღია ჭრილობა.
ჩემი ხალისიც, თუ მაქვს საერთოდ, მზესავით ჩადის,
მომეხვევიან მოლანდებანი მობურვილ ჩადრით.
მაგრამ როდესაც მზე ამოდის ლამაზი კორდით,
მზე ჩემს გულიდან მართლაც ამოდის.
ეტყობა დავრჩი უმხურვალესი კერპის მლოცველი,
მე ჩემი რწმენის გამოცვლას აწ არცა მოველ

## მწუხარება და სიხარული

დრო ჩემი ტახტია,
დრო ჩემი სკამია,
არც დავწექ,
არც დავჯექ,
ჩამოვწყდი,
წამები, წამები გარბიან
უფსკრულის პირა აკორდით.

მეხვევა სიხარულის,
მეხვევა მწუხარების,
ძლიერი, ძლიერი გრიგალი.
რა მოხდა! არ გიჭრით მახვილი?!.
დღემდე რომ ვერცერთმა მომკალით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

1

ხუნთქვა შემიჩერდა,
ფოთოლი გაჩერდა,
დრო, დრო გაჩერდა,
გაჩერდა მტკვარი,
შეჩერდა მგზავრი:
შენ, როცა გამოჩნდი,
შენ, როცა გამოჩნდი...

2

ამოტყდნენ ქარები,
აჯანყდნენ ფერები ,
დრო, დრო გაგიჟდა
კლდეებს შეელეწა,
და სისხლად დაიქცა:
შენ, როცა წახველი,
შენ, როცა წახველი.

3

კორდზე შეჩერებული
ჩრდილია და სიცხე.
თრთოლვით შეწუხებულა
ვერხვი, — დღევანდელი ხე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გიორგი ავალიანი

# საქარგყმო

ქალაქ ალექსანდროპოლში,[1] ქრისტიანული ეკლესიის გასწვრივ, განცალკევებით მდგარ მოზრდილ სახლს უკვე მეორე კვირაა გაძლიერებული დაცვა ეყენა. გრენადერებისა და კარაბინერთა ფორმაში გამოწყობილი ქვეგანაყოფები ერთმანეთს სცვლიდნენ სახლის კარიბჭესთან და განუწყვეტლივ უვლიდნენ ირგვლივ შემოგარენს. საბრძოლო ფორმაში მორთული გენერლებისა და ოფიცრების მიმოსვლა არც დღე, არც ღამე არ წყდებოდა. ალექსანდროპოლის მიმართულებით მებრძოლი კორპუსის სარდლობას ამ სახლში დაედო დროებითი ბინა. ქალაქის ირგვლივ კი მთელი მინდვრები დაბანაკებულ ჯარებს დაეკავებინათ. უკვე ზომაზე მეტად აგრილებულ ტაროსში გათოშილ ჯარისკაცებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე კოცონები გაეჩაღებინათ და ცეცხლზე მორიგეობით თბებოდნენ. ქალაქში თავმოყრილ ჯარებს ყოველდღიურად ახალ-ახალი შევსება ემატებოდა. შულავერგუმრის ატალახიანებულ გზაზე ჯარების ნაწილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. გრენადერთა და კარაბინერთა მძიმე მარშით მიმავალ ბატალიონებს მალი-მალ წამოეწეოდნენ დრაგუნთა და ულანთა დივიზიონები და გზის დათმობას მოითხოვდნენ. უწყვეტ ნაკადად მიმავალი ლაშქრის მდინარეში საზიდრების ჭრიალსა და ცხენთა ფრუტუნში არეული ლანძღვა-გინებისა და შეძახილების შეუწყვეტელი გნიასი იდგა.

შუადღეს კარგა გადაცილებული იყო, როცა სარდლობის მთავარბანაკთან ჩქარი ჩორთით სამი ცხენოსანი მიიჭრა. სამივე ახალმოსული უმალვე ჩამოქვეითდა, მეწინავემ ცხენის სადავე მკვირცხლად მიუგდო მისკენ სწრაფად შემოტრიალებულ მხლებელს, რომელმაც ორკეც თასმას მარჯვენა ხელი სხარტად ჩაავლო, ხოლო მარცხენათი უფროსს ჩამოართვა გენერლის საველე მოსასხამი. გენერალი სახლის მეორე სართულზე ასავალ ქვის განიერ კიბეს შეუყვა. იგი მეტად ახალგაზრდა და მომხიბლავი ჩანდა. ტანად საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო. მის მოგრძო თეთრ სახეს მაღალი შუბლი, კეხიანი ცხვირი და გრძელი, ყალიბში ჩამოსხმულივით დაგვირისტებული ულვაშები ამშვენებდნენ, თვალებში კი რაინდული უზ-

1 ალექსანდროპოლი — დღევანდელი ლენინაკანი.

რუნველობა, მხედრის შეუპოვრობა და სარდლური სიზვიადე ერთმანეთს ერწყმოდა. კიბეზე მსუბუქად აათჯა გენერალმა. ყოველ ნაბიჯზე ორ-სამ საფეხურს ტოვებდა უკან, რაც მის ახალგაზრდულ ენერგიასა და ჯანმაგრობაზე მეტყველებდა.

მხედარმა კიბე რომ აათავა, სწრაფად გაიარა გრძელი დერეფანი და ერთერთი კარი აუჩქარებლად შეაღო. კარგა მოზრდილ ოთახში, უქუდოდ და უეპოლეტოდ, ჯვარ-ორდენების გარეშე, მაღალსაყელოიან სალაშქრო მუნდირებზე მაგრად შემოჭერილი ქამარპორტუპეებითა და საველე სამხრეებით, გრძელ მაგიდას გენერლები უსხდნენ. შუაში ტანმაღალი, შავულვაშა და შავთვალწარბა, დაკუნთული სახის პირხმელი გენერალ-ლეიტენანტი — ვასილ იოსების-ძე ბებუთაშვილი ჩაესვათ.

ალექსანდროპოლის მიმართულების მოქმედი კორპუსის მთავარსარდალი, პავლე ციციშვილის მიერ ოდესღაც პეტერბურგის კადეტთა კორპუსში გაგზავნილი, ტორმასოვისა და მარკიზ პაულიჩის ადიუტანტი, ნაპოლეონის ჯარების მდევარი, ერმოლოვისა და პასკევიჩის ნიჭიერი მოწაფე, საზრიანი და ნიჭიერი მხედართუფროსი გახლდათ ვასილ იოსების-ძე ბებუთაშვილი.

ოთახში, სარდლის მარჯვნივ და მარცხნივ, ნახავდით კორპუსის კავალერიისა და არტილერიის უფროსს, გენერალ ბოგოვუტს, კორპუსის შტაბის უფროსს გენერალ ინდრენიუსს, ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონის მეთაურს გენერალ-მაიორ იასონ ჭავჭავაძეს, გრენადერთა და კარაბინერთა ბრიგადის მეთაურს გენერალ-მაიორ ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის. მოშორებით მდგარ მომცრო მაგიდასთან იჯდა შტაბის მორიგე ოფიცერი, რომელიც სამხედრო საბჭოს მდივნის როლს ასრულებდა. ოფიცერი რაღაცას წერდა.

მოსულმა ოთახში შესვლის ნებართვა ითხოვა, შემდეგ, მხედრული უფროს-უმცროსობის სრული დაცვით, სარდალს მიუახლოვდა და მოახსენა, რომ გრენადერთა ლეგიონის მეთაური გენერალ-მაიორი ილია ორბელიანი მისი აღმატებულების დაბარებისამებრ გამოცხადდა.

ფეხზე წამომდგარი ბებუთაშვილიც წესისამებრ მიესალმა მოსულს, შემდეგ ხელი გაუწოდა და მაგრად ჩამოართვა ხელქვეით გენერალს.

— საბრძოლო დავალება უნდა მიიღოთ! — წყნარად მიმართა ორბელიანს სარდალმა და შემდეგ შტაბის მორიგე ოფიცრის მისამართით დაუმატა, — აბა, წაუკითხეთ დისპოზიცია!

ოფიცერი სხარტად წამოხტა ფეხზე და მის მიერ ახლახან დაწერილის გაბმით კითხვა დაიწყო: „თურქთა დიდი კორპუსის საზღვართან მოახლოების გამო, რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, შედგეს საგანგებო რაზმი შემდეგი შემადგენლობით: შვიდი ქვეითი ათასეული, ორი დრაგუნთა დივიზიონი, სამი საარტილერიო ბატარეა და ბორჩალოელ თათართა ცხენოსანი მილიცია. რაზმის მეთაურად ვნიშნავ გრენადერთა ლეგიონის მეთაურს, გენერალ-მაიორ თავად ილია ორბელიანს. რაზმი ქალაქიდან გავიდეს ხვალ, ორ ნოემბერს, დილით, არა უგვიანეს დღის ორი საათისა, დაიკავოს მდინარე არპაჩაის ნაპირზე მდებარე სოფელი ბაიანდური, ორბელიანმა მდინარე არპაჩაის და, როგორც მიმდებარე ადგილმდებარეობაზე საბატონო პოზიცია, გაამაგროს იგი ყოველი შემთხვევისათვის. გენერალმა ორბელიანმა მდინარე არპაჩაის ნაპირებზე ქურთთა და ბაში-ბუზუკთა თარეშის ასალაგმავად დააწესოს საგუშაგოები, სრულიად აღკვეთოს მათი თავდასხმა სომეხთა საზღვრისპირა სოფლებზე. რაზმმა განუწყვეტლივ დაზვეროს თურქთა მთავარი ძალების მოქმედება. ამ ბრძანების შესრულებისა და აგრეთვე ყველა მნიშვნელოვანი შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივ მომახსენდეს მე. ალექსანდროპოლის მოქმედი კორპუსის სარდალი გენერალ-

ლეიტენანტი თავადი ვ. ბებუთაშვილი. 1853 წლის 1 ნოემბერი. ქ. ალექსანდროპოლი".

ოფიცერმა კითხვა დაამთავრა და განკარგულების მოლოდინში უხმოდ შეაჩერდა სარდალს.

— ახლა კი, ილიკო, ჩამოჯექი და უფრო შინაურულად ავწონ-გავზომოთ ეს საქმე, — უკვე სასაუბრო, მეგობრული კილოთი მიმართა ბებუთაშვილმა ილია ორბელიანს, თანაც მაგიდასთან ადგილი შესთავაზა. — დაზვერვის უტყუარი ცნობებით, — განაგრძო სარდალმა, — სუბოტანასა. და უგუზლის ახლოს, საზღვრიდან სულ რაღაც თოთხმეტ ვერსზე, თურქთა დიდი კორპუსი მოზღვავდა. ორმოც ათასამდე მეომარს ითვლიან. ამ კორპუსს აბდი-ფაშა მეთაურობს; მუშირ აბდი-ფაშას ონავრულ ხასიათს კარგად ვიცნობ. ამჯერად რაღაც ძალიან სერიოზულად ემზადებიან. დალახვროს ეშმაკმა, შეპირებული ჯარები მაინც მოგვსვლოდა მთლიანად. ბაიანდურის მნიშვნელობა მეტად დიდია ჩვენთვის. სხვენივით გადმოსცქერის არპაჩაის მთელ შემოგარენს, თანაც ამ ქურთთა და ბაში-ბუზუკთა ყაჩაღებმა მთლად აგვიკლეს ჩვენც და ამ ადგილების მშვიდობიანი მოსახლეობაც. მათი მოთოკვაც მეტად საჭიროა. სხვა რაღა გითხრა? სამოქმედო ასპარეზი მოგეცი, ძირითადი დისპოზიცია ხელთა გაქვს, დეტალები შენ თვითონ დააზუსტე და შეავსე. შენი სიმამაცე ყველასათვის ცნობილია, მხოლოდ იყავი ფრთხილი და წინდახედულიც. გახსოვდეს, რომ მეთაურისათვის ეს ორი თვისება ერთნაირად საჭიროა. ჯარს სულ ნარჩევს გაგატან. — ივანე კონსტანტინეს-ძევ, — მიუბრუნდა ბებუთაშვილი ბაგრატიონ-მუხრანსკის, — რომელ ათასეულებს აძლევთ?

— მისივე ლეგიონის ოთხ ათასეულს და სამსაც ერევნის კარაბინერთა ლეგიონისას, — დინჯად უპასუხა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ.

— დრაგუნები? დრაგუნები ვისი დივიზიონიდან იქნებიან? — ახლა ბასონ ჭავჭავაძეს მიმართა ბებუთაშვილმა.

— პოდპოლკოვნიკ ტიხოცკის მეხუთე და მაიორ მილერის მეორედან, ორივე დივიზიონი სრულ შემადგენლობაშია და სულ ნარჩევი დრაგუნებით დაკომპლექტებული, — იყო ჭავჭავაძის პასუხი.

— თქვენ რას იტყვით, ალექსანდრე თედორეს ძევ, არტილერისტები ვისი ბატარეებიდან გავაყოლოთ? — ჰკითხა სარდალმა გენერალ ბოგოვუტს, რომელმაც პასუხი არ დააყოვნა და საარტილერიო ბატარეები მაიორ კაშინსკის დივიზიონიდან შესთავაზა. კაშინსკის მხედრული მოსაზრებულობა, სიმარჯვე, სიმამაცე და საარტილერიო საქმის ჩინებული ცოდნა მთელ კორპუსში კარგად იყო ცნობილი და თვალებში ღიმილჩამდგარი სარდალი ახლა ორბელიანს მიუბრუნდა.

— ჩინებულია. აი ხომ ხედავთ, რა ძალები მოგეცით. კარგი რაზმია, ჩემმა მზემ. ამას დაემატება მამუკა ორბელიანის ბორჩალოელ თათართა მილიცია და ამ ძალებით კაცი შეიძლება თამამად ეომო მტერს.

— გააჩნია, რა ძალის მტერს, — ორაზროვნად ჩაურთო ბაგრატიონ-მუხრანსკიმ და დაუმატა: — მეთაურის საზრიანობასაც.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — მაშინვე გაეპასუხა ბებუთაშვილი, — ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. რაც შეეხება საზრიანობას, ენდეთ ჩემს არჩევანს, ბატონებო, თავადი ილია როგორმე მოისაზრებს ისე, როგორც საჭირო იქნება. ახლა კი დროა პრაქტიკულად მივხედოთ საქმეს. ბატონო გენერლებო! გაისარჯეთ და დროულად გაუგზავნეთ ორბელიანს მისთვის გამოყოფილი ძალები.

ბებუთაშვილი წამოდგა, რითაც იქ მყოფთ ამცნო, რომ სამხედრო საბჭო დამთავრებული იყო. ერთმანეთს გულთბილად გამოემშვიდობნენ და თავ-თავისი ბანაკისაკენ გასწიეს. მთავარბანაკში კი დარჩნენ ვასილ ბებუთაშვილი,

გენერალი ინდრენიუსი, შტაბის მორიგე ოფიცერი და მთავარბანაკის დაცვა.

ილია ორბელიანი მთავარსარდლის ბანაკიდან პირდაპირ თავის ლეგიონში გაეშურა. ლეგიონის ოფიცრებს სალაშქრო სამზადისის თადარიგი გააცნო და მალე დაითხოვა. ამასობაში გრენადერთა ლეგიონის შტაბთან ერთიმეორის მიყოლებით გამოცხადდნენ პოდპოლკოვნიკი ტიხოცკი, მაიორები — მილერი და კაშინსკი; ცოტა მოგვიანებით კი მამუკა ორბელიანმაც მოაგელვა თავისი შავი ყარაბაღული. ბატალიონებისა და დივიზიონების მეთაურებთან ცალკე მოითათბირა. ყველა მოსამზადებელი საქმე რომ გაარიგა, უკვე კარგად შეღამებული იყო. ბინაზე მამუკა ორბელიანმა გამოაცილა. დენშჩიკმა სამი წერილი დაახვედრა. ნაშუადღევს მოეტანა შიკრიკს თბილისიდან. რაღაც არაჩვეულებრივი სიხარული იგრძნო გულში, სამივე კონვერტი ჯერ გარედან დაათვალიერა გულდასმით. ორი წერილი ზაქათალიდან იყო, გრიგოლისაგან, მესამე კი შინიდან — თეთრიწყაროდან. გულმა ამ მესამე ბარათის გასახსნელად გაუწია, მაგრამ მალევე ნაძალადევად გადაიფიქრა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— მაშ ასე, მშვენიერია, ვნახოთ რასა მწერს ჩემი ძმა. „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! გულისყური მანდეთკენა მაქვს; გაზეთებიც არ ამბობენ მშვიდობიანობასა, და ველი შიშითა და იმედითა პირველის ზარბაზნის დაქუხებასა არფაჩაის ნაპირზედა. არ ვიცი, რაოდენი გყავს ჯარი და მტრისას კი ბევრს ამბობენ; და რადგანაც ცხენოსანი ჯარი ბევრი ეყოლება, მგონია, ძალიან შეაწუხოს ეგ მხარე ჩაფაულობითა. მაგრამ თუკი პატარა კიდევ დაგვიანდა, და დაზამთრდა, მაშინ აღარა გვიჭირს რა. რუსეთიდამ ჯარებიც მოვლენ და მაშინ ნახე მაგათი სირბილი. ერთხელ კი კარგად შემოგვებმებიან და მასუკან მისდიე არზრუმამდის და უფრო იქითაც. მხოლოდ ამისი მეშინის, რომ ახლავ არ დაიწყონ: ოსმალო აზიაში უფრო მომზადებულია, ვიდრე ჩვენ ამ დროსა, და მერე აღარა გვიშავს რა. — ტრაპიზონზედ მინდა გავცვალო ზაქათალა“... კითხულობს ილია და თანაც ულვაშებში ეღიმება, უფროსი ძმის მზრუნველობა სიამოვნებს.

მეორე წერილი გახსნა. კვლავ მოკითხვები და მომავალ ომში ილიას საქმიანობის თაობაზე საზრუნავი: „ჯარი ძალიან ცოტა გყავს, თუმცა კარგი ბატალიონები არიან, მაგრამ სამნახევარი ბატალიონით რა უნდა გააწყო სიმრავლესთან? ცხენოსანიც არა გყავს, სამი და ოთხი სოტნა ყაზახი რა ანგარიშია? ვერც კი გამოუდგებიან, თუ გინდა დაამარცხო და მირბოდეს მტერი. ამის გამო სიფრთხილე და ვაჟკაცობა გმართებს ერთად შეაერთო, რომ უბრალოდ, მანამ არ მოგივიდეს სეკურსი, არ გაგიტყუოს ცარიელმა ვაჟკაცობამ, თორემ სიმრავლე მტრისა მაინც საშიშია. ოცი მხდალი ერთს ვაჟკაცს მოერევა“...

— ვეჟო, არ გამომიჭედეს ყურები ამდენი დარიგებებით? აქ იყო და ბებუთაშვილმა იჯერა გული მისთვის ჩვეული გაფრთხილებებით, იქედან კი უფროსი ძმა სულ იმას მეჩიჩინება წერილებში, აბა ფრთხილად, აბა ფრთხილადო. ნუთუ ისევ პატარა ვგონივარ? ნუთუ არა აქვთ ჩემი იმედი?

— შენი იმედი რომ არა ჰქონოდა, ამდენ ჯარს როგორ განდობდა ვასილ ოსიპოვიჩი? — უთხრა ილიას მამუკა ორბელიანმა. — შენი რაზმი ახლა ორ გრენადერთა ლეგიონს უდრის. ნუ გიკვირს, ძველი, გამოცდილი სარდლები არიან, მაგათ ბრძოლაში წინდახედულობისა და მოსაზრებულობის ყადრი ძალიან კარგად იციან. ბრძოლებში მათს თავზე წისქვილის დოლაბი არ დატრიალებულა, თორემ სხვა ყველაფერი გამოუცდიათ და უნახავთ.

ჯერ კიდევ კარგად გათენებამდე რაზმი ალექსანდროპოლიდან გავიდა. ჩქარი მარშით მიმავალ ბატალიონებსა და დივიზიონებს უკან ნელნელა მოზლაზუნე საზიდრების გრძელი ქარავანი მიჰყვა. ავანგარდში პოდპოლკოვნიკ ტიხო-

ცკის დრაგუნთა დივიზიონი მიდიოდა, რომელსაც, ყოველ შემთხვევისათვის, მხარს უმაგრებდა ერთი საარტილერიო ბატარეა. იმათ, ლარივით გაჭიმული მწყობრით, გრენადერთა ბატალიონები მიჰყვებოდნენ და ბოლოს რაზმის საბრძოლო ბირთვს დანარჩენი არტილერია ჰკეტავდა, მამუკა ორბელიანის რაზმი, ორად გაყოფილი, მთავარ ძალებს აქეთ-იქით, გვერდებზე, მიჰყვებოდა. მზე ახალი ამოსული იყო, როცა რაზმი სამი ვერსის მანძილზე მიუახლოვდა ბაიანდურს. უცებ, ორივე მხრიდან, დამცველ მილიციას თავს დაესხნენ ქურთთა ცხენოსნები. ფართო დოლბანდებით შეკრული ქურთი ცხენოსნების თავები გაჭენებულ ცხენებზე თეთრად ქანაობდნენ. უმრავლესობას, თოფის ნაცვლად, სირაქლემას ფრთებით შემკული გრძელტარიანი შუბი წამოეშვირა წინ. მამუკას მილიციელები შეებნენ მომხდურთ. იმათ მალე მიეშველნენ ტიხოცკის დრაგუნები და ქურთები გაფანტეს. თანდათან გამოჩნდა ბაიანდურის ზეგანი. მალე მზის სხივებზე ყავისფრად მბზინავი ტუფის ქვით ნაგები ქოხმახების სახურავებიც დაინახეს.

ილია ორბელიანი, ორი ადიუტანტითა და რამდენიმე მხლებლით, ავანგარდსა და მთავარ ძალებს შუა მიდიოდა. ქურთთა თავდასხმას სრულიადაც არ შეუშფოთებია გენერალი. ცხენზე მშვიდად იჯდა და ცდილობდა ქვეით ჯარს წინ დიდად არ გასცლოდა.

სოფლის განაპირა ქოხებამდე ნახევარ ვერსზე ოდნავ მეტი იქნებოდა დარჩენილი, როცა ზეგანზე ერთბაშად ოცამდე კვამლის ბურთი ავარდა ჰაერში. გამაყრუებელმა გრიალმა რაზმი ერთწამს ადგილზე გაჰყინა. ყუმბარები ავანგარდ დრაგუნთა დივიზიონის შუაგულში გასკდა და კავალერიის სალაშქრო მწყობრი ქარბორბალასავით დაატრიალა. მეწინავე ბატარეის ცხენებიც ყალყზე შედგნენ და უკან მიაწყდნენ, მაგრამ მარჯვე მეზარბაზნეებმა ისინი უმალვე შეაჩერეს.

— ბატარეა საცეცხლე წერტილებზე! საბრძოლოდ გაემზადეთ და საპასუხო ცეცხლი გახსენით! ცხენები ხევში ჩაიყვანეთ, უშიშარ ადგილას! დრაგუნებო, ფლანგებისაკენ! — ილიას ხმა, თითქოს თურქთა ქვემეხებს ეჯიბრებაო, გრგვინვით მოედო მოწინავე დანაყოფებს.

ადიუტანტების — აბაშიძისა და ეგაძის მეშვეობით ილიამ მთელ საბრძოლო შემადგენლობას მალე მიაწვდინა თავისი გადაწყვეტილება, რომ რაზმი არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხევდა. დანაყოფთა მეთაურებს ადგილებზევე უნდა შეერჩიათ შედარებით უშიშარი პოზიციები და მტრის იერიშის შესაგებებელი კარე მარჯვედ შეეკრათ. ერთდროულად ილიამ იუნკერი ამილახვარი სასწრაფოდ აფრინა გენერალ ბებუთაშვილთან და შექმნილი ვითარების სარდლისათვის სასწრაფოდ მოხსენება დაავალა.

— გადაეცი სარდალს, რომ რუსული იარაღისა და ჩვენი მამულიშვილური სახელის შერყვნა იქნება-თქო პირველსავე შეტაკებისას უკანდახევა და ბრძოლის თავარიდება და რაზმი მანამ იდგება დაკავებულ პოზიციაზე, ვიდრე ცოცხალია თუნდაც ერთი მისი მეომარი, რაზმის მეთაურის ჩათვლით; — ბოლო სიტყვები განსაკუთრებით მკაფიოდ ჩაუმარცვლა ადიუტანტს ილიამ.

ამასობაში მეწინავე ბატარეამ პორუჩიკ ტარნოვსკის მარჯვე თაოსნობით გზიდან გადასვლა და მახლობელ ბორცვებთან სახელდახელოდ შემობრუნება მოასწრო. ცხენები გაარიდეს, ქვემეხები შემოატრიალეს და, ის იყო, ხრიოკ მიწაში ლაფეტებს დაუწყეს დამაგრება, რომ ზეგნის მარცხენა კიდეზე თურქთა თოთხმეტი ქვემეხი აგრიალდა. ამჯერად არტილერიის ცეცხლი გრენადერებმა იგემეს, სადღაც, სალაშქრო მწყობრის სიღრმეში. გრენადერთა ბატალიონები არ დაბნეულან, ისინი ასეულებად და ოცეულებად იყოფოდნენ და, თავდაცვის მიზნით, გზის ირგვლივ მდებარე ბორცვებსა და გორაკებს ეხამებოდნენ.

საპასუხო ცეცხლი ყველაზე ადრე მოწინავე ბატარეამ გახსნა. ოთხი ქვემეხი, ტარნოვსკის შეძახილების თანახმად, თანმიმდევრობით აყრიდა ფითილიან ყუმბარებს თურქთა საცეცხლე პოზიციებს. ამ ყუმბარებმა თურქთა არტილერია კრაზანების ბუდესავით აშალა და კიდევ უფრო ცხარე სროლა დააწყებინა. უკვე ბრძოლაში ჩაბმულ ოცდათოთხმეტ ქვემეხს სოფლის მარჯვენა კუთხიდან კიდევ ათმა ქვემეხმა დაუჭირა მხარი, მაგრამ ამავე დროს რაზმის ქვეგანაყოფთა სიღრმეში მაიორ კაშინსკის დანარჩენი თორმეტი ქვემეხიც ახმაურდა. ახლა უკვე თექვსმეტი რუსული ქვემეხი ეწეოდა საარტილერიო დუელს თურქთა ორმოცდაოთხ ზარბაზანთან. გაბმული კონონადა არ წყდებოდა. ქვემეხთა ზალპის გამაყრუებელ გრიალზე მიწა კვნესოდა. ირგვლივ ყოველ ნაბიჯზე სკდებოდა ყუმბარები და აფეთქებისაგან კვამლთან ერთად ავარდნილი მტვერი სქელ ნისლად დააწვა ბრძოლის ველს. რაიმეს გარკვევით დანახვა ოციოდე ნაბიჯზეც ჭირდა. თვით მზეც, რომელიც ბრძოლის დაწყებამდე განსაკუთრებული სიცხოველით ჰფენდა შუქს იმ არემარეს, ახლა სრულიად გაქრა და მოღრუბლულ ცას დაემსგავსა კაშკაშა მზიანი დღე.

ადიუტანტებისა და შიკრიკების მეშვეობით ორბელიანი ქვეგანაყოფებში განუწყვეტლივ აგზავნიდა ახალ-ახალ განკარგულებებს და რაზმის მებრძოლ სულს აცოცხლებდა.

— იქნებ ნელ-ნელა უკან დაგვეხია, თქვენო აღმატებულებავ, — უკვე რამდენჯერმე მიმართა მას შტაბის უფროსმა.

— ბატონო პოლკოვნიკო, უმჯობესია იმაზე ვიფიქროთ, თუ როგორ შევაგებოთ კარე თურქთა მთავარი ძალების იერიშს, რაც სულ მალეა მოსალოდნელი. უკან დახევა კი ცოცხალი თავით არა და არა! — მტკიცედ პასუხობდა ორბელიანი და თან ახალ-ახალ დავალებას აძლევდა, რათა, როგორც თვითონვე ეტყოდა ხოლმე, არ მოსწყენოდა ქალდზე მუშაობის მოყვარულ „შტაბნიკს“.

ეროვნული

თურქთა მთავარი ძალები შეტევაზე არ გადმოსულან, სამაგიეროდ, მარჯვენა ფლანგიდან ბაში-ბუზუკთა დიდი ბრბო შეიჭრა რაზმის ბოლო განლაგებაში და დოვლათით სავსე საზიდრებს ქორივით დააცხრა თავს. სურსათ-სანოვაგისა და აღალის მცველებმა საარაკო სიმამაცით შეუტიეს თავდამსხმელებს.

ორომტრიალში გვიანი შემოდგომის კუდმოჭრილმა დღემ ისე სწრაფად გაიარა, ერთხელაც არავის დაუმთქნარებია. უკვე ბინდბუნდი ეპარებოდა არემარეს, როცა შორიდან სალაშქრო დოლებისა და დაფდაფების მძლავრი ხმა მოისმა. დაფ-ნაღარის ხმა სწრაფად ახლოვდებოდა. ეს გენერალი ბებუთაშვილი მოეშურებოდა განსაცდელში ჩავარდნილი ორბელიანის რაზმის მისაშველებლად დიდძალი ჯარითა და არტილერიით. ამავე დროს, თურქთა არტილერიამ ცეცხლი თანდათან შეანელა და მალე სრულებით შეწყვიტა. ირგვლივ ნანატრი მყუდროება გამეფდა. როდესაც ახალმოსულმა ჯარებმა ორბელიანის რაზმის საბრძოლო რიგები გაიარეს და მძლავრი „ურას“ ძახილით ბაიანდურის ზეგანს შეუტიეს; სოფელში არც ერთი ცოცხალი თურქი არ აღმოჩნდა. დამსხვრეული ქვემეხები, საზიდრები, მკვდარი ცხენები ირგვლივ უწესრიგოდ ეყარა. მუშირ აბდი-ფაშას დროზე ეგრძნო მაშველი ჯარის მოახლოება, პოზიციიდან მთელი ძალები მოეხსნა და არპაჩაის გაღმა გადაეყვანა ისე, რომ რაიმე გამოსადეგი არც ქონება დაუტოვებია, არც ერთი დაჭრილი და არც ერთი მოკლული თურქი მეომარიც კი. უპატრონოდ დასატოვებლად გაუმეტებიათ მხოლოდ მოხეტიალე და გზადაგზა მიტმასნილი ქურთები, რომელთა დარდი თურქთა სარდალს სრულებითაც არ აწუხებდა.

ბებუთაშვილი და ილია ორბელიანი ბაიანდურში შეხვდნენ ერთმანეთს.

— მომილოცავს გადარჩენა, ილიკო. ბაიანდურს ახლადმოსული ჯარი დაიკა-

ვებს. შენ რაზმის შეკრებას შეუდექი. დასასვენებლად გაიყვანეთ უკან. ბოგოვუტი, ბაგრატიონ-მუხრანსკი და იასონ ჭავჭავაძე დაგეხმარებიან. განკარგულება უკვე გავეცი. სათანადოდ უნდა მოვუაროთ დაჭრილებსაც და მკვდრებსაც. ხვალ დასაჯილდოებელთა სია წარმომიდგინე.

ილია ორბელიანი რაზმის შეკრებას შეუდგა. ყოველ ნაბიჯზე ისმოდა დაჭრილთა გულისამაჩუყებელი კვნესა, მაგრამ ილიას ყურში განუწყვეტლივ ისევ გამაყრუებელი საარტილერიო ზათქი უგუგუნებდა.

1853 წლის ნოემბრის თბილი დღე იდგა თბილისში. მოსახლეობა ძალიან შეშფოთებული იყო იმ ხანებში ზედიზედ მოსული საშიში ცნობებით. თბილისელებისათვის განსაკუთრებით ზარდამცემი იყო უკანასკნელი ცნობა — თვრამეტათასიანი თურქთა ლაშქარი სარდალ ფერიკა-ალი-ფაშას მეთაურობით არდაგან-ახალციხის გზით წამოსულა და ახლა ახალციხეს შემოეწყო, რათა იქ მდგარი რუსთა ჯარის გარნიზონი ძლიერი დარტყმით დალეწოს და ბორჯომის ხეობით ქართლში გადმოვიდესო. თბილისში კარგად იცოდნენ, რომ ახალციხე-აწყურს თუ თურქები მართლა გამოსცდებოდნენ, შემდეგ მათი შეჩერება ძლიერ გაძნელდებოდა თვით თბილისამდე. ყველას თავისი საფიქრალი და სატკივარი ასტეხოდა. ერთი რამ ცხადი იყო: ხეირს არავის უქადდა თურქთა ასეთი დაუპატიჟებელი გამოცხადება თბილისში. ქალაქის ჭრელჭრულ მოსახლეობაში ხომ გაუგონარი პანიკა ამტყდარიყო, რას არ იგონებდნენ და რას არავრცელებდნენ ჭორიკანა და მოლაყბე ქალაქელები, მაგრამ არც ქართლის სოფლების მოსახლეობა იყო მშვიდად. გორის მაზრისა და, საერთოდ, მტკვრის გაყოლებაზე მდებარე სოფლების მოსახლეობაში უკვე სახალხო რაზმებს აგროვებდნენ და, უნდა ითქვას, ხალხი დიდი გულითადობით შეხვდა ამ ამბავს. ყველა, ვისაც და რითაც შეეძლო, ემზადებოდა ლაშქარში წასასვლელად.

აღელვება და შეშფოთება საყოველთაო იყო. თვითონ მუდამ დინჯი მეფისნაცვალი, ჭკვიანი გენერალი და გამოცდილი დიპლომატი მიხეილ სიმონის-ძე ვორონცოვიც, თითქოს გუმანით გრძნობდა თბილისზე წამოსულ საფრთხეს და, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ცხოველ მონაწილეობას იღებდა იმ თადარიგში, რასაც ჯარების სარდალი გენერალი რეადი იჭერდა. ვორონცოვმა იცოდა, რომ ბრძოლები სომხეთის ტერიტორიაზეც იყო მოსალოდნელი, რომ იმ დღეებში სოფელ ბაიანდურთან მომხდარი ბრძოლით არ იყო საქმე გათავებული არპაჩაის მიდამოებში, მაგრამ ამაზე იმდენად არ წუხდა. აქ კი, ახალციხის თურქთა ხელში ჩავარდნა, მას შემდეგ, რაც ეს სამხრეთის მრისხანე ბასტიონი რუსთა გარნიზონს ეჭირა, აგერ უკვე ოცდახუთი წელია, ნამდვილი თავლაფის დასხმა იქნებოდა არა მარტო თვით ვორონცოვისათვის, მთელი კავკასიის რუსთ მხედრობისათვისაც. ეს ისეთი მარცხი იქნებოდა, რასაც შეეძლო მისი ყველა დამსახურება ნიკოლოზ პირველის თვალში ერთი ხელისდაკვრით გაეფანტა. ამას კარგად გრძნობდა მოვლენათა წინასწარ ჭვრეტაში კარგად გამოცდილი ვორონცოვი და საკუთარ გონებას ძალას ატანდა, რომ რაიმე აუცილებელი დეტალი არ გამორჩენოდა, სადღაც არ ეღალატა მისთვის წინასწარმეტყველურ ალღოს, ხანგრძლივ სამსახურში რომ გამოუმუშავდა. ლეგენდასავით იყო დარჩენილი რუსების მიერ ახალციხის აღების ამბავი. თურქები, როცა ახალციხეს ფლობდნენ, ამბობდნენ — უფრო ადვილია ციდან სავსე მთვარის ჩამოღება, ვიდრე ახალციხის მეჩეთის მინარეთიდან თურქული ნახევარმთვარის მოხსნაო. მაგრამ ამ ოცდახუთი წლის წინ ჩამოახსნევინა იგი პასკევიჩმა რუს-ქართველთა ძლევამოსილ მხედრობას და ახლა მისი დათმობა მეფისნაცვალს არამცდაარამც არ შეეძლო.

სწორედ ამიტომ მუდამ დინჯი და აუჩქარებელი ვორონცოვი ღრმა ფიქრს მისცემოდა; ვინც ამ დროს მის ფიქრებს ჩასწვდებოდა, დარწმუნდებოდა, რომ მეტად მნიშვნელოვანი საქმის გადასაწყვეტად მუშაობდა მისი მრავალნაცადი ჭკუა. არც ვისიმე რჩევის მოსმენა უნდოდა. ამ საკითხის გადასაწყვეტად მარტო საკუთარ რწმენასა და ალღოს უნდა დაყრდნობოდა. სხვა დროს ძალზე აფასებდა სამხედრო საბჭოს აზრს, სანდო მოხელეებისა და თანაშემწეების თათბირს. საკუთარი ჭკუა-გონების ქურაში მან უკვე რამდენიმე მისი ხელქვეითი გენერალი გამოატარა და ბოლოს მაინც ერთ-ერთზე მყარად შეჩერდა.

ვორონცოვმა თავი ასწია. მაგიდაზე კოხტად დაჭრილი ქაღალდის შეკვრას ერთი ფურცელიააცალა, იქვე ოქროთი მოვარაყებულ ლომებიანი სამელნიდან კალამი ამოიღო და რამდენიმე სიტყვა დაწერა. პაწია ოქროს ზარს თითი გაჰკრა. კაბინეტში ყმაწვილი პორუჩიკი შემოვიდა.

— ბარათი დალუქეთ და მიართვით თავად ივანე ანდრონიკაშვილს — თბილისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორს.

პორუჩიკმა მოწიწებით ჩამოართვა ბარათი მეფისნაცვალს, სხარტად შეტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა.

თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ივანე ანდრონიკაშვილი თავის სამუშაო მაგიდას უჯდა და გორის მაზრის უფროსსა და სხვა მოხელეებს ეთათბირებოდა, როცა კაბინეტში ვორონცოვის შიკრიკი შემოვიდა და ბარათი გადასცა.

ანდრონიკაშვილმა საჩქაროდ გახსნა კონვერტი და უხმოდ ჩაატარა თვალი მსხვილი, კარგად გამოყვანილი ასოების მწკრივებს: „თქვენო კეთილშობილებავ, თავადო ივანე მალხაზის ძევ! ამის მიღებისთანავე გთხოვთ ინებოთ ჩემთან მობრძანება მეტად მნიშვნელოვანი საქმის გამო. მიხეილ ვორონცოვი",

ბარათის წაკითხვისთანავე ანდრონიკაშვილმა სასწრაფოდ დაითხოვა ჯერ შიკრიკი, შემდეგ მაზრების მოხელენი და საგანგებო „ეკიპაჟით" ვორონცოვის ბინისაკენ გასწია.

— გთხოვთ მოახსენოთ მის ბრწყინვალებას, რომ, თანახმად მისი ნებისა, ვეახელი! — დარბაზში შესვლისთანავე მიმართა ანდრონიკაშვილმა მორიგე ოფიცერს. ვორონცოვის შტაბ-ბინაზე მოსამსახურე ოფიცრები კარგად იცნობდნენ ანდრონიკაშვილს და ამიტომ მორიგე ოფიცერმა მაშინვე ღრმა პატივისცემით დაუკრა თავი და მეფისნაცვლის კაბინეტის კარებში გაუჩინარდა. ოფიცერი მალევე გამობრუნდა და ანდრონიკაშვილს სთხოვა შესულიყო მეფისნაცვალთან.

მიხეილ ვორონცოვი დიდად აფასებდა ივანე ანდრონიკაშვილს, როგორც ნიჭიერ და მამაც გენერალს, ამასთან ჭკვიანსა და ავტორიტეტულ პიროვნებას. ბევრი იფიქრა მეფისნაცვალმა, თუ ვინ გაეგზავნა ახალციხესთან გარდაუვალი ბრძოლის ხელმძღვანელად და ბოლოს ყველას მაინც ანდრონიკაშვილი ამჯობინა. ახლაც, ანდრონიკაშვილს ფეხზე ადგომით შეხვდა მეფისნაცვალი. იგი ჯერ გულთბილად მიესალმა მოსულს, შემდეგ უსიტყვოდ მიუთითა გვერდზე მდგარი სავარძლისაკენ და თვითონაც თავის სავარძელს დაუბრუნდა.

— ჩვეულებრივი ვიზიტით არ მომიწვევიხართ, თავადო ივანე. არჩევანი თქვენზე შევაჩერე, ახალციხესთან ბრძოლა თქვენ უნდა მოამზადოთ და ბოლომდე უხელმძღვანელოთ. საკადრისად უნდა დაუხვდეთ თურქებს. ეს იოლი ამოცანა როდია, მდგომარეობის მთელ სირთულეს და ყოველივე კონკრეტულს ნიკოლოზ ანდრიას ძე გაცნობებთ და, თუ თქვენ ამ მისიას კისრულობთ, ახლავე ეახელით მას, რათა ხვალ უკვე ახალციხეს გაემგზავროთ. აბა, ღვთის შეწევნით, კეთილ შეხვედრამდე, — დაასრულა თავისი მეტად მოკლე საუბარი ვორონცოვმა და ამით

აგრძნობინა ანდრონიკაშვილს აუდიენციის დამთავრება.

— ვეცდები გავამართლო თქვენი ნდობა, ნახვამდის, თქვენო ბრწყინვალებავ, გავბედავ გთხოვოთ, ჩემი საუკეთესო სურვილები გადასცეთ ელისაბედ ქსავერის ასულს და ახლავე დავტოვო თქვენი ბინა, რათა დროულად შევუდგე მიღებული ბრძანების შესრულებას, — წარმოსთქვა ანდრონიკაშვილმა და დიდი პატივისცემისა და გულითადობის აშკარა გამოხატვით დაუკრა თავი მეფისნაცვალს, წელში სწრაფად გასწორდა, ორიოდე ნაბიჯი უკან გადადგა, მერე შებრუნდა და კაბინეტიდან ფეხაკრეფით გავიდა.

— მიხარია, თავადო, რომ ესოდენ სერიოზული ოპერაციის ხელმძღვანელობა მეფისნაცვალმა სწორედ თქვენ მოგანდოთ. გამოგიტყდებით და გულის სიღრმეში მთლიანად ვეთანხმები მისი ბრწყინვალების ამ არჩევანს, რადგანაც ახალციხე ყველაზე მეტად მაშინებს. გულწრფელად მინდა მოგახსენოთ, რომ ყოველთვის დიდად ვაფასებდი, პირადად მე, თქვენს მხედრულ თადარიგსა და წინდახედულებას, რაც მთავარია, თქვენს ავტორიტეტსა და უდიდეს გავლენას თანამემამულეებში. მეფისნაცვალმა შემთხვევით არ შეაჩერა თქვენზე არჩევანი. — ასეთი სიტყვებით შეეგება ნიკოლოზ რეადი მის კაბინეტში შესულ ივანე ანდრონიკაშვილს, თანაც, ამ სიტყვებს რომ ამბობდა, სავარძლიდან ახალგაზრდული მხნეობით წამოდგა, ენერგიული ნაბიჯით მიუახლოვდა ანდრონიკაშვილს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

— გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ. მერწმუნეთ, რომ მეც ყოველთვის თქვენი მხოლოდ და მხოლოდ კეთილისმყოფელი ვარ, უფალმა ინებოს ბედნიერად შემესრულებინოს ჩემი მისია, რათა კვლავაც ვაჩვენოთ ურჯულოებს რუსული იარაღის ძალა და უძლეველობა! — უპასუხა ანდრონიკაშვილმა და სარდლის მიერ მითითებულ სავარძელში ჩაჯდა, საწერი მაგიდის წინ.

— ვინაიდან დრო არ ითმენს, ჯობს ახლავე საქმეზე გადავიდეთ, — განაგრძო რეადმა, — სარწმუნო ცნობები გვაქვს, რომ თურქთა სარდლობა ახალციხეზე იერიშის მიტანას თექვსმეტ ან ჩვიდმეტ ნოემბერს აპირებს...

გენერალ-ლეიტენანტმა კედელზე ჩამოკიდებულ ოპერატიულ რუკასთან მიიწვია ანდრონიკაშვილი და განაგრძო:

— თურქებს უჭირავთ მდინარე ფოცხოვის გაღმა მაღლობები; სუფლისის, საძელისა და აბოს შემოგარენი მთლიანად გამაგრებული აქვთ. ეს სოფლები რომ დაუკავებიათ, მოსახლეობა ისე დაუშინებიათ, თურმე, კარში ვერავინ გამოდის. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯარიც და არტილერიაც დიდძალი ჰყავთ, ადვილი წარმოსადგენია ახალციხის გარნიზონის მდგომარეობა.

— გთხოვთ გამარკვიოთ, თქვენო აღმატებულებავ, ვინ და რა ძალებით იმყოფება ამჟამად ახალციხის გარნიზონში, — თქვა ანდრონიკაშვილმა.

— მოგახსენებთ, თავადო, — მიუგო რეადმა და საქაღალდე გადაშალა.— ახალციხეში ამჟამად სამი არასრული შემადგენლობის ლეგიონი ქვეითი ჯარი დგას: ვილენსკის ლეგიონი გენერალ-მაიორ კოვალევსკის მეთაურობით, ბრესტის ლეგიონი გენერალ-მაიორ ფრეიტაგის მეთაურობით, ბელოსტოცკის ლეგიონი გენერალ-მაიორ ბრუნნერის მეთაურობით. ამას მიუმატეთ ჩვიდმეტი ქვემეხი, ჭურვთა სრული საბრძოლო კომპლექტითა და ორიორ სამარქაფო ცხენთა შემადგენლობით. ამჟამად ბორჯომის ხეობით ახალციხისაკენ მიემართება მაშველი ძალა — კაზაკთა ცხრა სოტნა და ქართლის მაზრებიდან გამოსული სახალხო მილიციელების ლაშქარი — 1500 კაცამდე; ეს გახლავთ სულ ის ძალები, რომელთაც თქვენ უნდა უხელმძღვანელოთ. — აქ რეადმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ბოდიშის მოსახდელად მოემზადაო და შემდეგ განაგრძო, — დალახვროს ეშმაკმა, სრულიად მოულოდ-

ნელად მოხდა ფერიკა-ფაშას წამოსვლა არდაგანიდან, ჩვენ მთელი ძალები ალექსანდროპოლის მხარეს მივმართეთ. ახლა მათ უკან ხომ ვერ დააბრუნებ? რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ამ ძალებით უნდა გავუმკლავდეთ, თავადო ივანე, მაინც და მაინც დიდი მაშველი ძალების იმედი, გთხოვთ, არ იქონიოთ, ჩვენ კიდევ შევაგროვებთ მოხალისეებს ადგილობრივ მოსახლეობაში, მაგრამ მოხალისე მაინც მოხალისეა, რეგულარული ჯარები კი, იცოდეთ, მეტი არსაიდანაა მოსალოდნელი. მთელი ახალციხის ჯარების მეთაურად რომ თქვენ ინიშნებით, ამის რწმუნების ქაღალდი ამაღამვე ჩაბარდება გენერალ კოვალევსკის, რომელიც ახლა ახალციხის გარნიზონის ჯარების საერთო უფროსადაა დროებით დანიშნული, რათა მან წინასწარვე იცოდეს ამის თაობაზე.

— დიდად გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ, მისმა ბრწყინვალებამ დამავალა, ხვალ უკვე ვიყო ახალციხეში, ამიტომ ნება მიბოძეთ დაგემშვიდობოთ, კეთილ შეხვედრამდე! იმედი მაქვს თქვენს ყურადღებას არ მოგვაკლებთ.— ანდრონიკაშვილი გულთბილად დაემშვიდობა გენერალ რეადს და თავისი რეზიდენციისაკენ გასწია.

1853 წლის 12 ნოემბრის წყნარი დილა დგებოდა ბორჯომის ხეობაში. მთელი ღამე გზად მყოფი ანდრონიკაშვილის ეტლი აწყურის ციხეს რომ მიუახლოვდა, მზის პირველმა სხივებმა მეწამულისფრად შეღებეს ათასწლოვანი ციხის წვერი. გრძელ ფარაჯაში გახვეული გენერალი ნახევრად თვლემდა. მაგრამ როწამს ციხის კედლები დაინახა, მსწრაფლ გამოფხიზლდა. აწყურის ციხემ უკვე ხანდაზმული გენერალი ღრმა ფიქრებში ჩაითრია და წარსულის მოგონებათა ტკბილმწარე განცდებში გახვია. პირველ რიგში, ამ ციხემ ივანეს მისი დიდი წინაპარი, დიდი პაპა ერეკლე მეფე მოაგონა. მართალია, პირადად დიდი პაპა მას არ ახსოვდა, ანდა როგორ ემახსოვრებოდა, როცა ერეკლე სწორედ იმ წელს გარდაიცვალა, რა წელსაც თვითონ ივანე დაიბადა, მაგრამ რამდენი რამ გაუგონია მასზე მშობლებისაგან. მოგონებებში ღრმად წასულ გენერალს წინაპრები დაუდგა თვალწინ. მამამისი — მალხაზ ანდრონიკაშვილი, ერეკლე მეფის უსაყვარლესი სარდალი იყო. სიმამაცისა და მეფისადმი განსაკუთრებული ერთგულების წყალობით არა მარტო სახელსა და დიდებას მიაღწია, არამედ მეფის სიძეც გახდა. მას ერეკლემ თავისი შვილიშვილი მარიამი მიათხოვა. რა არ გადახდენია მალხაზ ანდრონიკაშვილს მეფისა და ქვეყნის სამსახურში...

შემდეგ კეთილი და სათნო დედა მარიამი მოელანდა; მოაგონდა, თუ როგორ უჭირდა პირველად პეტერბურგში ცხოვრება მის სათაყვანო დედას. იმ დროს ივანე უკვე თორმეტი წლისა იყო და კარგად ახსოვს პეტერბურგის პირველი წლები, შემდეგ მოგონებაში ელვისებურად ჩაიქროლეს პეტერბურგის ლეიბ-გვარდიის ლეგიონში იუნკრად გატარებულმა დღეებმა. მოაგონდა ელიზავეტპოლი 1826 წელს, ვლადიმერის ორდენი არც თუ ისე ადვილი მისაღები იყო მაშინ. მერე — აბას-აბადთან რომ ჯიქურ შეიჭრა მტრის განლაგებაში ორიოდე ჯარისკაცით, საკუთარი ხელით შებორკა სპარსი სარდალი ნაჯავხანი და პირდაპირ პასკევიჩს მიჰგვარა. აი, მაშინ კი უცბად გამოჩნდა მისი ვაჟკაცობა, მართალია, იმ შეტაკებებისას მძიმედ დაიჭრა თავში, მაგრამ ეს რა იყო იმ სიხარულთან, რაც წმინდა ანას ორდენითა და პოდპოლკოვნიკის ჩინით დაჯილდოების გამო განიცადა. ასე ემატებოდა ჩინს ჩინი, ჯილდოს ჯილდო... მოგონებებს თავი ჯერ კიდევ ვერ გაართვა. ისევ ერეკლეს ბრძოლები მოაგონდა, დაუვიწყარი და ქართველებისათვის საამაყო ასპინძის ომი, მერე მოღალატე გენერალი ტოტლებენი და მისი უღირსი საქციელი, როცა მან ღალატით მუხანათურად შეატოვა ერეკლე და მისი ჯარი თურქთა მრავალრიცხოვან

ლაშქარს. ამის მოგონებაზე ანდრონიკაშვილმა ბრაზით გადააფურთხა და თვალი მიმოავლო ირგვლივ. მზე უკვე კარგა ამაღლებულიყო ცის კაბადონზე, შემოდგომის წყნარი, უქარო დილა იდგა, ეტლი სოფელ წნისს უახლოვდებოდა.

ვილენსკის პოლკის მეთაური, გენერალი კოვალევსკი, რომელიც ახალციხის გარნიზონის მთელი ჯარების დროებით სარდლად ითვლებოდა, პატაკით შეეგება ივანე ანდრონიკაშვილს და მოახსენა, რომ, თანახმად კავკასიის ჯარების მთავარსარდლისაგან მიღებული ბრძანებისა, მთელი ახალციხის გარნიზონი მის სრულ მორჩილებაშია და ელის განკარგულებას. კოვალევსკი დიდად მოხარული ჩანდა და ამის საბაბიც ჰქონდა მებრძოლ გენერალს. იგი ანდრონიკაშვილს კარგად იცნობდა და დარწმუნებული იყო ამ სახელმოხვეჭილი, მრავალნაცადი გენერლის ავტორიტეტი ჯარების საბრძოლო უნარის გაძლიერებისათვის ბევრს ნიშნავდა, მეორეც: ახალციხის გარნიზონის წინაშე აღმართული მოსალოდნელი კატასტროფის სიმძიმე ამ წუთიდან ანდრონიკაშვილის მხრებზე გადადიოდა. პირადი სიმამაცით კოვალევსკი ცნობილი გენერალი იყო კავკასიაში, არც თავდადება აკლდა იმპერიის სამსახურში; ახლაც, როგორც წინათ, კოვალევსკი მზად იყო თავი გადაედო, ოღონდ მთელი ოპერაციის ბედიღბლისა მთლიანად თავის კისრად აღება ძალიან უმძიმდა და ამიტომ გულწრფელად გამოხატავდა ანდრონიკაშვილის მოსვლით გამოწვეულ სიხარულს. იქვე იყვნენ გენერლები — ფრეიტაგი და ბრუნერი, რომლებიც მორჩილი, რაღაც განსაკუთრებულის მომლოდინე გამომეტყველებით შესცქეროდნენ ანდრონიკაშვილს.

მთელი ღამე ნამგზავრმა ანდრონიკაშვილმა ცოტაოდენი დასვენების საჭიროება იგრძნო და მცირე საუზმის შემდეგ გენერლები დაითხოვა, კოვალევსკის კი სთხოვა სადილის ჟამის უკან პოლკების მეთაურები, არტილერიისა და კავალერიის მეთაურები მზად ჰყოლოდა ველად გასასვლელად და ადგილზე ბრძოლის ძირითადი გეგმის შესადგენ სამუშაოთა ჩასატარებლად.

სადილის შემდეგ ანდრონიკაშვილს საბრძოლო ცხენი მოართვეს, სარდლის მიერ დასახელებულმა გენერლებმა და ოფიცრებმაც მოაყვანინეს ცხენები, ყველანი ამხედრდნენ და ახალციხის ციტადელს ზემოთ ამართული ქვიანი გორის თავისაკენ მიმავალ ბილიკს გაჰყვნენ. კარგად ნაკვები ცხენები მსუბუქად მიუყვებოდნენ ციცაბო და ქვიან ბილიკს, ღონიერ ფეხებზე ძარღვები ებერებოდათ, ახლად ნაჭედ ფლოქვებს ბილიკის კაჟიან ქვებზე ხათქა-ხუთქი გაუდიოდათ, დროგამოშვებით კაჟზე ნასხლეტი ნალებიდან ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა.

მაღლობის თავიდან კარგად ჩანდნენ სოფლები: სუფლისი, საძელი, აბო, რომელთა შემოგარენიც მთლიანად თურქთა ჯარებით იყო სავსე. მწკრივად გაშლილ კარვებს შორის შეუწყვეტელი მისვლა-მოსვლა შეინიშნებოდა; აურაცხელი კოცონი ენთო ირგვლივ. ზოგი მათგანი ახლად გაჩაღებულის სიხალისით ბრიალებდა, ზოგი კი — ნახევრადჩამქრალი ძლივსღა ხრჩოლავდა.

ცხენები გორის თავამდე არ აუყვანიათ, თავადაც შეინიღბნენ. ანდრონიკაშვილმა ხელქვეითებს მტრის სადგომის ადგილმდებარეობის დაწვრილებითი შესწავლა უბრძანა და თვითონაც ჭოგრიტით გაფაციცებით დაუწყო თვალიერება ფერიკა-ფაშას მხედრიონს.

უკვე ბინდდებოდა, როცა ანდრონიკაშვილის ამალა ბასტიონში დაბრუნდა. მომავალი ბრძოლის გეგმა თავში უკვე კარგად ჰქონდა ანდრონიკაშვილს შემუშავებული. ფერიკა-ფაშა რაღაცას ელოდა, რაღაცა აკლდა მას და ამიტომ ახალციხის ასაღებად იერიშზე გადმოსვლას აყოვნებდა. ანდრონიკაშვილმა მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაესწრო და 14 ნოემბერს, დილით თურქთა ბანაკისათვის თავად

შეეტია, ბრძოლის ინიციატივა ხელთ ეგდო.

მომდევნო დღე, 13 ნოემბერი, ანდრონიკაშვილმა ჯარის ნაწილების დათვალიერებას მოანდომა. პირადად შეამოწმა სამივე ქვეითი ლეგიონი, არტილერიის დივიზიონები, კავალერისტთა ესკადრონები, საჭურვლისა და იარაღის მარაგი,ვარგისიანობა. სარდალი ყველა ნაწილსა და ცალკეულ ქვეგანაყოფში შეხვდა მეომრებს. ჯარების ძირითადი შემადგენლობა რუსები იყო. ანდრონიკაშვილმა კარგად იცოდა ვისთვის როგორ მიემართა. ის ესაუბრებოდა ჯარისკაცებს უბრალოდ, მამაშვილურად, ოღონდ ერთი, საერთო, ყველასათვის სათქმელი არსად გამოუტოვებია. ის ამბობდა, რომ რუსეთის ძლევამოსილი იმპერიის არწივი აგერ ოცდახუთი წელია, რაც ახალციხის ციტადელზე დგას და იცავს საქრისტიანოს, რომ სამშობლომ და ხელმწიფემ ისინი აქ დააყენა წმინდა რჯულისა და სახელმწიფოს ინტერესების დამცველად.

ყველა ნაწილი და ქვეგანაყოფი რომ მოიარა და თავისი თვალით ნახა ყოველივე, რაც აინტერესებდა, ანდრონიკაშვილმა ბრძანა ჯარებისათვის დასვენება მიეცათ, რათა შუაღამის ჟამს „საქმისათვის“ მზად ყოფილიყვნენ. თვითონ კი თავის რეზიდენციაში წავიდა, სადაც ლეგიონებისა და ცალკეული ქვეგანაყოფების მეთაურები იხმო და ასეთი ბრძანება გასცა: „ახალციხის მთელი ჯარებისაგან შემდგარი საბრძოლო რაზმი განთიადის წინ, დილის ხუთ საათზე დატოვებს ციხეს და, მტერზე უეცარი თავდასხმის მიზნით, თურქთა ბანაკისაკენ გასწევს. ძირითადი ძალები სამ კოლონად განლაგდებიან. პირველი კოლონა გენერალ კოვალევსკის მეთაურობით, ვილენსკის ლეგიონისა და თოთხმეტი მსუბუქი ზარბაზნით, მარცხენა ფრთა იქნება და ჩქარი მარშით გაემართება პირდაპირ სოფელ სუფლისისაკენ მიმავალი გზით, რათა მოულოდნელად ეკვეთოს სოფელში გამაგრებულ თურქთა ძალებს.

მეორე კოლონა გენერალ ფრეიტაგის მეთაურობით უნდა გაჰყვეს მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირს დასავლეთისაკენ, შემდეგ მარჯვედ აცოცდეს სუფლისის სამხრეთ ციცაბოზე, დაიკავოს მოხერხებული პოზიცია და, პირადად ჩემი ბრძანების თანახმად, ჩრდილოეთიდან შეუტიოს სოფელ სუფლისს.

მესამე კოლონა გენერალ ბრუნერის წინამძღოლობით, რომლის განკარგულებაშიცაა ბელოსტოცკის ლეგიონი და სამი სამთო ზარბაზანი, უნდა გაეშუროს ახალციხე-ვალეს გზით, დასავლეთიდან მოუაროს თურქთა განლაგებას და კოვალევსკისა და ფრეიტაგის ჯარების იერიშის შემდეგ, დაუყოვნებლივ შეუტიოს თურქებს დასავლეთიდან. გენერალმა ბრუნერმა გამოყოს ქვეგანაყოფი, რომელიც მზად უნდა ჰყავდეს და, თუ თურქები უკან დაიხევენ, მოუჭრას უკანდასახევი გზა და ხშირი, მარჯვე სროლით მუსრი გაავლოს უკანდახეულთ. ყველას საყურადღებოდ ვამბობ, ბატონებო, რომ მთავარია, თავდასხმის მოულოდნელად მოწყობა, შემდეგ კი სისწრაფე, სიმამაცე და შეუპოვრობა. ახლა კი წადით და დანიშნულ დროზე მარჯვედ შეუდექით „საქმეს“. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“. — ანდრონიკაშვილმა პირჯვარი გადაიწერა, რაც სწრაფად გაიმეორა ყველა იქ დამსწრემ.

14 ნოემბრის წყნარი დილა თენდებოდა. ღამით ფოცხოვის ხეობაში ჩაწოლილი ნისლი მსუბუქმა ნიავმა ნელნელა გაფანტა. მოწმენდილ ცაზე აქაიქ სუსტად ბჟუტავდნენ ვარსკვლავები. გენერალ ფრეიტაგის ჯარისკაცები ფოცხოვის კატაბარდებიან მარჯვენა ნაპირზე მიცოცავდნენ. დამფრთხალი შაშვები ჭახჭახით ეშვებოდნენ ბუჩქიდან ბუჩქში, მაგრამ იქაც საფრთხეს რომ ხედავდნენ, ძალას იკრეფდნენ და შორს, მდინარის გაღმა, ტევრისაკენ მიფრინავდნენ ნახევრადჩაბნელებულ ხეობაში.

გენერალ კოვალევსკის კოლონამ მტრისათვის სრულიად შეუმჩნევლად მიაღწია მისთვის დანიშნულ პოზიციას. ახლა მხოლოდ ზარბაზნების მარჯვე ად-

გილას მიგორება იყო საჭირო და, ხმაურს რომ მორიდებოდნენ, არტილერისტებმა მოშორებით გამოხსნეს ქვემეხებს ცხენები, რომლებიც უკან, მოფარებულ ხევში, დააბრუნეს. ზარბაზნებს საბოლოო პოზიციებზე ხელით აგორებდნენ ჯარისკაცები, მაშინვე სწრაფად უშლიდნენ ლაფეტებს, იქვე ჭურვთა მარაგიც მიჰქონდათ და საბრძოლო გათვლათა უფროსები ოფიცრებს მზადყოფნას უხმოდ, წინასწარ დათქმული ნიშნით ამცნობდნენ.

ანდრონიკაშვილმა წინდაწინვე მიინიშნა ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე ამაღლებული, კონუსისმაგვარი კონცხი, რომლის აღმოსავლეთი მხარე მისადგომი იყო. მართალია, ცხენი კონცხის წვერამდე ვერ ავიდოდა, მაგრამ ქვეითისათვის იქ ასვლა საძნელო არ იყო. ამ კონცხიდან როგორც თურქთა პოზიციები, ისე თავისი ჯარების იერიშისათვის მოსამზადებელი ზღუდეები კარგად ჩანდა. ასეც იყვნენ შეთანხმებული: ანდრონიკაშვილის სამეთაურო პუნქტი ამ მაღლობზე იქნებოდა და იქიდან დამბაჩის ხმის გაგონებაზე მთელი შესაძლებლობით უნდა გაეხსნა ცეცხლი კოვალევსკის კოლონის არტილერიას. დადგა საარტილერიო დუელის დაწყების წამიც. წინდაწინ თურქთა პოზიციებზე საგულდაგულოდ დამიზნებულმა ჩვიდმეტმა ქვემეხმა სარდლის მაღლობიდან წამოსულ დამბაჩის სუსტ ხმას ისეთი გრგვინვით უპასუხა, ცა ჩამოინგრაო, ეგონათ გაოგნებულ თურქებს. პირველ ზალპს მალე მეორეც მიაყოლეს და მოსალოდნელი იყო ამას თურქთა ბანაკში დიდი არევ-დარევა გამოეწვია, მაგრამ ეს მთლად ასე არ მოხდა. საარტილერიო საქმეში შესანიშნავად გაწვრთნილმა თურქებმა საოცარი სისწრაფით დაიჭირეს თადარიგი და კოვალევსკის კოლონის პოზიციას მალე საკმაოდ ძლიერი ცეცხლი გაუხსნა ათამდე თურქულმა ქვემეხმა. საარტილერიო დუელი გაცხარდა, მაგრამ ადგილმდებარეობას კარგად შეხამებულ ქვეით ჯარს მაინცდამაინც დიდ ზიანს ვერ აყენებდა. თურქებმა რა დაინახეს, რომ რუსებს არტილერია მარტო ერთ ზღუდეზე ეყენათ, და ეს ზღუდე სოფელ საძელთან მდგარი ქვემეხებისათვის ცეცხლმიუწვდომი იყო, სწრაფად გადმოიტანეს იქიდან ყველა ქვემეხი და სუფლისის მისადგომებთან განალაგეს. ახლა თურქთა არტილერიის ცეცხლი ორჯერ უფრო ძლიერი გახდა კოვალევსკის კოლონიისაზე. თურქები შეუწყვეტლივ ისროდნენ, ზალპს ზალპზე აგზავნიდნენ კოვალევსკის ლეგიონის განლაგებაში და მათი ჭურვთა მარაგიც ულევი ჩანდა. კოვალევსკის არტილერისტებს კი ჭურვები უკვე უთავდებოდათ. ამით გათამამებულმა თურქთა ასკერების ბატალიონებმა საფარიდან გამოსვლა გაბედეს და მძლავრი იერიშით კოვალევსკის ლეგიონის პოზიციებს მიაშურეს.

ასკერთა ბატალიონებს საიერიშო დისტანციის ნახევარიღა ექნებოდათ გავლილი, როცა სოფელ სუფლისის სამხრეთ მისადგომებთან მძლავრი „ურას" ხმა გაისმა და ფრეიტაგის ლეგიონი ხელჩართული ბრძოლისათვის დაცვის გარეშე მიტოვებულ საარტილერიო ბატარეებს თითქმის ზურგიდან მოექცა. თურქთა არტილერისტებმა ქვემეხებს თავი ანებეს და თოფები დაახალეს ფრეიტაგის ლეგიონის წინა რიგებს, მაგრამ მოიერიშე ლეგიონმა არტილერისტები სწრაფად გადათელა და ქვემეხებს თვითონ დაეპატრონა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდა. როგორც კი უკანიდან საშიშროებამ იჩინა თავი, ასკერების დიდძალი ჯარი უცებ ბურთივით შეიკრა და თავისი ძველი პოზიციისაკენ მეხივით წამოვიდა. თურქთა არტილერიის საცეცხლე პოზიციაზე არნახული ხოცვა-ჟლეტა გაიმართა: საქმე ხიშტზე მიდგა. თურქები ერთიოთხად მრავალრიცხოვანი იყვნენ ფრეიტაგის ჯარისკაცებზე და ძლიერი მოწოლით გადათელეს ისინი. თურქებმა მარჯვე პოზიცია დაიკავეს და ახალი იერიშისათვის მზადებას შეუდგნენ. ამასობაში იერიშზე გადმოვიდა კოვალევსკის ლეგიონიც, რომელიც, ფრეიტაგის პოლკის ნარჩე-

ნებთან ერთად, ეკვეთა თურქთა ახალ პოზიციას. ახალი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა; არტილერია უკვე ვეღარ მოქმედებდა, ბრძოლის ქარცეცხლში ავარდნილ კვამლსა და მტვერში ვერაფერს გაარჩევდა კაცის თვალი.

ანდრონიკაშვილმა თავისი ძველი სამეთაურო პუნქტი მიატოვა და ხელჩართული ბრძოლის სიახლოვეს, მომაღლო ბორცვზე გადაინაცვლა. მალე მის ახლოს განლაგდნენ კაზაკთა ასეულები და ქართველ მოხალისეთა კავალერია, რომელთაც სარდალი განსაკუთრებით საშიში და გადამწყვეტი მომენტისათვის იტოვებდა რეზერვში. ამ დროს ანდრონიკაშვილთან მიიჭრა გენერალ ფრეიტაგის ამალის შიკრიკი და მოახსენა, გენერალი მკლავში დაიჭრაო.

— გადაეცით ჩემი ბრძანება პოდპოლკოვნიკ ციმერმანს, უმეთაუროს ლეგიონს, ფრეიტაგი კი სასწრაფოდ წაიყვანონ ლაზარეთში! — გასცა განკარგულება ანდრონიკაშვილმა ისე, რომ ბრძოლის ველისაკენ მიმართული ჭოგრიტი თვალებიდან არ მოუშორებია.

თვალებგაფაციცებულ სარდალს სახე თანდათან ეჭმუხნებოდა, სულ უფრო და უფრო ნერვულად უთამაშებდა წარბები. საამისო საბაბიც ჰქონდა: თურქთა ასკერებმა კოვალევსკისა და ფრეიტაგის ლეგიონებს აშკარად სძლიეს: ხელჩართული ბრძოლა ფართო ველზე გაიშალა. თვითეულ რუს ჯარისკაცზე ორი-სამი ასკერი მოდიოდა და ცხადი იყო სულ ცოტაც და, რუსი მამაცი ჯარისკაცების რიგები გატყდებოდა. შემუშავებული გეგმით აქამდე ბრძოლაში უნდა ჩარეულიყო ბრუნერის ლეგიონი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ზურგიდან დაერტყა თურქებისათვის. ის კი არსად ჩანდა და ანდრონიკაშვილს უკვე იმედი გადაეწურა. მან კარგად იცოდა, კიდევ ოციოდე წუთი და მერე ბრუნერის ლეგიონის ბრძოლაში ჩაბმა საქმეს ვერაფერს უშველიდა. სარდალი ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა ახლავე მიეშვა კაზაკთა ასეულები და ქართველ მოხალისეთა კავალერია, თუ ერთხანს კიდევ მოეთმინა. მან ისიც იცოდა, რომ ფერიკა ალი ფაშას, გამოცდილ და თადარიგიან სარდალს, საკმაო ძალები სადღაც შეფარებულში ჯერ კიდევ ჰყავდა და საჭირო მომენტში უთუოდ მიაშველებდა ხელჩართულ ბრძოლას, სადაც ახლა თურქები აშკარად მძლავრობდნენ. ამასთან ანდრონიკაშვილს ერთი საშინელი ეჭვიც აწუხებდა. ეს ეჭვი ბრუნერის ლეგიონის დაგვიანებამ აღუძრა. წინდახედულ და გამოცდილ ფერიკა-ფაშას შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა საშიშროება, სუფლისის დასავლეთითა და ფოცხოვის გასწვრივ ვიწროებში, ყოველშემთხვევისათვის, თავისი ჯარები ჩაეყენებინა და მტრის შემოსავლელად შორიდან მხარასაქცევად გაგზავნილი ბრუნერი ფოცხოვის ვიწროებში ჩაეკეტა. თუ ეს ეჭვი ახდებოდა, მაშინ მხოლოდ სასწაულს შეეძლო გადაერჩინა რუსთა მხედრობა. ამ მტანჯველ ფიქრებში იყო ანდრონიკაშვილი, როცა სოფელ სუფლისის დასავლეთით, ბაღების მხრიდან, საბრძოლო ყიჟინა და საიერიშოდ მოახლოებული ჯარის დაფდაფთა ხმა მოისმა. ანდრონიკაშვილის მძიმე ეჭვი სწრაფად გააქრო ამ ხმაურმა. სრულ საბრძოლო მწყობრში მყოფი ლეგიონი, მამაცი ბრუნერის მეთაურობით, საომარი ყიჟინით ანთებული უახლოვდებოდა ხელჩართული ბრძოლის ორომტრიალს. ძალიან სწრაფად, თითქმის სირბილით მოდიოდა ბრუნერის ლეგიონი. ბრძოლის ადგილს რომ ასიოდე მეტრზე მოუახლოვდნენ, ასეულები საიერიშო ჯაჭვად გაიშალნენ და ხიშტებწაშვერილი ეკვეთნენ თურქ ასკერებს.

ბრუნერის ლეგიონის ბრძოლაში ჩაბმამ განცვიფრებული და ძალზე შეძრწუნებული ფერიკა-ფაშა აიძულა თავისი უკანასკნელი რეზერვი ჩაება ბრძოლაში. მან სასწრაფოდ გამოიხმო ცხენოსანი რაზმები, რომლებიც სუფლისის სამხრეთ-დასავლეთით, ხევში ჰყავდა შემალული. თურქთა კავალერია ღვთის რისხვად დაატყდა თავს ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულ ანდრონიკა-

შვილის ქვეით ლეგიონებს. მაგრამ... სარდალმა ახლა უკვე გაბედულად გასცა ბრძანება და აქამდე უქმად მდგარმა კაზაკთა ასეულებმა ქარიშხალივით დაუარეს ბრძოლის ველს. ამის შემდეგ ხელჩართული ბრძოლა როგორღაც წესრიგში მოვიდა. საქმე მთლიანად ხიშტსა და ხმალზე მიდგა. თოფ-ზარბაზნის სროლა თითქმის სრულებით შეწყდა, მხოლოდ ხანდახან დამბაჩებს თუ დაახლიდნენ ერთმანეთს ცალკეული მოწინააღმდეგენი. ასე გაგრძელდა ერთ საათზე მეტ ხანს. ანდრონიკაშვილს ჯერ ეშინოდა, კიდევ არ ჰყავდესო ფერიკა-ფაშას რეზერვი და შავი დღისათვის არ ინახავდესო. თუ ასე იქნებოდა, ჯობდა ჯერ თურქთა სარდალს შემოეყვანა ბრძოლაში დარჩენილი ძალები და შემდეგ კი მიეშვა თავისი უკანასკნელი იმედი — ქართველ მოხალისეთა კავალერია, რომლის თავგანწირვასაც მთელი გულით სჯეროდა. დრო გადიოდა. თურქთა ასკერებსა და კავალერიას სულ უფრო და უფრო ეტყობოდათ, რომ ძალა ელეოდათ, მაშინ როცა რუსთა ბატალიონები და ესკადრონები ჯერ კიდევ მხნედ იბრძოდნენ და, აშკარად ჩანდა, საბრძოლო ცეცხლი მათს შორის ჯერ კარგა ხანს არ უნდა განელებულიყო. ფერიკა-ფაშა კი ახალ ძალებს აღარ აშველებდა თავის შესუსტებულ ჯარს. ამან თანდათან დაარწმუნა ანდრონიკაშვილი, რომ მან ყოველგვარი რეზერვი უკვე გახარჯა; ცოტაც შეაყოვნა და ქართველ მოხალისეთა კავალერიის მეთაურთან შიკრიკი აფრინა, რომ ბრძოლაში ჩარეულიყო.

ქართველ მოხალისეთა კავალერია გრიგალივით გადაევლო ზეგანს და ბრძოლის ველს საგანგებოდ ატეხილი აურ-ზაურით მიაშურა. „ჰკა მაგას“, „არ გაუშვა“, გაჰკიოდნენ ხმალამოღებული ქართველები და, ვინც თურქულად გინება ან მუქარისგამომხატველი სიტყვები იცოდა, დაუზოგავად ლანძღავდა და ემუქრებოდა მტერს.

ქართული მოიერიშე კავალერიის გამოჩენამ ერთბაშად გატეხა თურქები და თითქოს წინდაწინ დათქმული ჰქონდათო, მთელმა ჯარმა პირი იბრუნა დასავლეთისაკენ. თურქების მთავარი საზრუნავი ახლა უკვე ის იყო, რომ, რაც შეიძლება, მალე გასცლოდნენ ბრძოლის ველს და. გადასულიყვნენ საზღვარზე. თვითონ ფერიკა-ალი-ფაშასაც დროულად მიეღო თადარიგი. რა დაინახა, რომ ბრძოლა წაგებული იყო, პირველს მიეტოვებია იქაურობა და მცირე ამალით არდაგანის გზას დასდგომოდა, თავისი ხელქვეითებისათვის კი ჯარის ბრძოლიდან გარიდება და სასწრაფოდ უკან წაყვანა ებრძანებინა. მაგრამ ეს არ იყო ადვილი. მთიდან მოვარდნილი ზვავივით წალეკა კავალერიამ ბრძოლის ველზე კანტი-კუნტად ჯერ კიდევ შემორჩენილი ასკერთა ჯგუფები და გაქცეულთ დაედევნა. გზა-და-გზა ისინი ულმობლად ჩეხავდნენ თურქებს, რომლებიც სოფელ პომაჩის გზაზე უწესრიგოდ გარბოდნენ. და სწორედ მაშინ, როცა გაქცეულთ თავი სამშვიდობოს ეგონათ, თავზე დაატყდათ ახალი საშიშროება: გენერალ ბრუნერის მიერ მარქაფად დაყენებულმა ზარბაზნებმა ფითიხიანი ყუმბარები დააყარეს თავზე. მხოლოდ მცირე ნაწილმა გააღწია საზღვარს და ვინ იცის საით გაიქცა. ანდრონიკაშვილის ჯარებს ხელთ ჩაუვარდათ თურქთა მთელი არტილერია, უამრავი იარაღ-საჭურველი და ტყვეები.

მრავალი ილაჯგამწყვეტი განცდითა და ჰაპანწყვეტით აღსავსე დღე ნელ-ნელა იწურებოდა. სუფლისისა და საძელის შემოგარენზე ბრძოლის დროს ავარდნილი კვამლი და მტვერი თანდათან გაიფანტა. მზემ ახლა დასავლეთიდან შემოუგზავნა რაღაც ნაღვლიანი იერის გამომხატველი მეწამული სხივები ფოცხოვის ხეობის მიდამოს, თითქოს ნაღვლობდა ადამიანების მიერ ამდენი სისხლისღვრის გამო და მალე აჭარის მთების წვერებთან ჩაიმალა. ანდრონიკაშვილმა ლეგიონებისა და ქვეგანაყოფების მეთაურებს მხურვალედ მიულოცა გამარჯვება, ჯეროვანი განკარგულება გასცა, სათანადოდ მოევლოთ დაჭრილთათვის,

საზღვრის კარგად გამაგრებაც ბრძანა და ახლა კი განსაკუთრებით მძიმედ იგრძნო საკუთარ მხრებზე თავისი ორმოცდათხუთმეტი წელი. ნელა მოაბიჯებდა ახალციხისაკენ გამარჯვებული სარდლის შავი ულაყი; დინჯად მოჰყვებოდა მას პირად დაცვაში მყოფი გორის მაზრის თავადაზნაურთაგან შემდგარი ასეული, რომელსაც თავში მხარბეჭგანიერი, ახოვანი რაინდი ალექსანდრე ერისთავი ედგა. ყველა საკუთარ ფიქრებს დაეპყრო, ფოცხოვის ნაპირზე გამეფებულ მყუდროებას, მდინარის მონოტონურ ჩხრიალთან ერთად, ცხენების ფლოქვების ხმა და აქა-იქ, გზისპირა ბუჩქებიდან აფრენილი შაშვის ჭახჭახილა არღვევდა.

თავის რეზიდენციაში მოსულმა დაოლილობას აჯობა, მაშინვე საწერი მოწყობილობა მოითხოვა და დინჯად, გულდასმით ვორონცოვისადმი პატაკის წერას შეუდგა. დიდხანს წერდა სარდალი. იგი თავის პატაკში მეფისნაცვალს დამაჯერებლად ატყობინებდა მთელ იმ ამბებს, რაც ახალციხის ბრძოლის მომზადებისა და ჩატარების დროს გადახდა, ბევრი თავდადებული მეომრის გმირული შემართებაც მოიხსენია, გმირულად დაღუპულებიც არ გამოუტოვებია. მოწინააღმდეგის შესახებ კი პატაკის ბოლოს, როცა ბრძოლის სურათის აღწერა დაამთავრა, ასეთი ცნობა დაურთო: „ნაშუადღევის ოთხი საათისათვის თურქები უკვე სავსებით იყვნენ ძლეული და ვინც კი გადარჩა და გაქცევა შესძლო, თავს გაქცევით უშველა. ბრძოლის ველზე მათ დატოვეს თერთმეტი ზარბაზანი, მათ შორის ათი საველე, ლაფეტებითა და წინა ხიდურებით. ერთი კი სამთო, თერთმეტი ყუთი საარტილერიო ჭურვით, ხუთი დიდი დროშა, თორმეტი ასეულის დროშა და ექვსი საპატიო ნიშანი დროშისა, ორი საარტილერიო პარკი, რომელიც ოთხმოცდაათი საპალნე ყუთისაგან შედგება, ორმოცდაორი ყუთი დენთი, თურქთა კორპუსის სარდლის ფერიკა-ალი-ფაშას მთელი კანცელარია, იარაღისა და სხვა ამუნიციის დიდი მარაგი, მრავალი ცხენი, საზიდარი, დიდძალი რაოდენობით ფქვილი, ქერი და სხვა პროდუქტები. ახალციხის გარნიზონის ჯარებმა თავი კარგად მოიმარაგეს ალაფით.

საზღვარს იქედან მიღებული ცნობით, რაც ჩვენმა სწრაფმავალმა მდევრებმა მომაწოდეს, თურქთა ჯარები ბრძოლის ველიდან რომ გაიქცნენ, არდაგანამდე არსად შეჩერებულან. ძალიან ეშინოდათ მდევრისა. საზღვართან მისული ჩვენი არტილერიის მრისხანე ქუხილმა კიდევ ერთხელ ამცნო თურქთა საზღვრისპირა სანჯაყებს რუსული იარაღის ძალა და უძლეველობა. მდინარე ფოცხოვის სანჯაყის მცხოვრებნი კი შეიკრიბნენ, მოთავენი აირჩიეს და ჩემთან გამოგზავნეს. ისინი გულით ითხოვენ პატიებას და სრულ მორჩილებას გვიცხადებენ.

თვით ჩვენი ჯარების სიმამაცეზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. მათ მიერ მოხდენილი გმირული საქმე ყოველივეზე კარგად ამბობს. ამრიგად, მოგახსენებთ, რომ თქვენი ბრწყინვალების ბრძანება, თურქთა ჯარების ახალციხიდან განდევნის თაობაზე შესრულებულია“.

პატაკის წერა რომ დაასრულა, ერთხელ კიდევ გადაიკითხა და შემდეგ კურიერთა უფროსი იხმო, პატაკი ამაღამევე ჩაუტანონო მეფისნაცვალს, უბრძანა და, თითქოს მეტად მძიმე ტვირთი მოიხსნაო დაღლილი მხრებიდან, სასიამოვნო სიმსუბუქე იგრძნო. სავარძლიდან ნელა წამოდგა და ფარაჯა წამოსხმული ღია აივანზე გავიდა. ბნელ, უმთვარო ღამეში ვარსკვლავები განსაკუთრებული ხალისით ციმციმებდნენ, თითქოს გამარჯვებას ულოცავენო სარდალს. აივნის მოაჯირს მიყრდნობილმა კვლავ დღევანდელი ბრძოლის აწონ-გაზომვა დაიწყო. გამარჯვება ბევრი ახსოვდა მრავალნაომარს, მაგრამ ასეთი სასიხარულო კი იშვიათად. ანდრონიკაშვილს ამ ოცდახუთი წლის წინანდელი ამბავი მოაგონდა: ინფანტერიის გენერალი და კავკასიის ჯარების სარდალი

ივანე პასკევიჩი ხვლიკისფრად შეტრუსულ გორაკზე იდგა და წინ, ორიოდე ვერსზე მდებარე ბეიბურთს ბრაზმორეული გასცქეროდა. სარდალი ხან ჭოგრიტს მოიმარჯვებდა, ხანაც უიარაღო თვალით განაგრძობდა სოფლისაკენ მზერას. ცუდ გუნებაზე იყო. იმ დილით გადატანილი ბრწყინვალე ბრძოლების შემდეგ არაფრით არ მოელოდა, თუ ამ ერთ ციდა პირქუშ სოფელში მტერი ამდენ ჯარს შეაგებებდა. სარდალთან, გვერდით, მხოლოდ ახალგაზრდა გენერალი მურავიოვი იყო, შორიახლოს კი ადიუტანტებისა და სარდლის ბანაკში უსაქმურობას დაჩვეული ოფიცრების მთელი ჯგუფი იდგა. ამჯერად პასკევიჩის უგუნებოდ ყოფნა ყველას ეგრძნო და მის თვალში მოხვედრას აშკარად ერიდებოდნენ მასთან ყველაზე შეთამამებული ოხუნჯებიც კი. სარდლისათვის თავსატეხ გამოცანას კი შეადგენდა, ახლავე დაეწყო იერიში, თუ ჯერ კიდევ გზად მიმავალი ჯარებისათვის დაეცადა.

— თქვენ რა აზრისა ხართ, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ? — მოულოდნელად მიმართა პასკევიჩმა მურავიოვს, — თუმცა წინასწარვე დარწმუნებული იყო, მურავიოვი ვერაფერ რჩევას ვერ მისცემდა, — როდის დავიწყოთ იერიში?

— მე რა უნდა გირჩიოთ, ივანე თედორეს ძევ, ამ აზიელებთან ბრძოლებში თქვენი გამოცდილების მქონეს, სწორედ გითხრათ, მიჭირს რაიმე რჩევა მოგცეთ. — დაბნეულად უპასუხა მურავიოვმა.

პასკევიჩმა ჭოგრიტში ყურება განაგრძო, მზერა ფრონტის მთელ სიგრძეზე კიდევ ერთხელ შემოატარა და ნახევრად თავისთვის, ნახევრად კი მურავიოვის გასაგონად ჩაილაპარაკა: „ყოჩაღი მეთაურია ანდრონიკოვი, ჩინებულად აბრძოლა დღეს ნიჟეგოროდელები. შეხედე, როგორ ყალყზე დგას ლეგიონი; ერთი მცირე ნიშანი ჩემგან და თავს შეაკლავენ მტერს“, ამას რომ ამბობდა პასკევიჩი, თვალს არ აშორებდა მარცხენა მხარეს, დაცემულ მინდორზე საიერიშოდ გამზადებულ დრაგუნთა ლეგიონს, რომლის წინასაბრძოლო მწყობრი შორიდან მოზიდულ მშვილდს ჰგავდა.

— მთელს კავკასიაში ასეთი ლეგიონი მეორე არა მყავს, — განაგრძო პასკევიჩმა, — სამაგალითო წესრიგი აქვთ, ბრძოლაში მისი შემართება კი ნაპოლეონის ნარჩევი კავალერიის კირასირებსაც შეშურდებოდათ.

მურავიოვი უხალისოდ უსმენდა სარდალს. იგი გრენადერთა ბრიგადას მეთაურობდა და ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონის ესეოდენ გადამეტებული ქება ჭკუაში არ უჯდებოდა.

ორივე გენერალი უხმოდ განაგრძობდა ფრონტისაკენ მზერას. ნიჟეგოროდელთა წინ, ერთი ვერსის სიშორეზე, თურქთა კავალერია ჩამწკრივებულიყო. ჯარი დიდძალი ჩანდა, ესკადრონთა მწკრივები შორს, მინდვრის ბოლოს იკარგებოდნენ. კავალერიას ორივე მხრივ არტილერია ეყენა, რომლის დაფანტულ ბატარეებს შორის ქვეითი ასკერების ასეულები ემწკრივნენ. თვით ისეთი გამოცდილი სარდალიც კი, როგორიც პასკევიჩი იყო, ვერ მიმხვდარიყო, შეტევას აწყობდნენ თურქები, თუ თავდაცვისათვის მომზადებულიყვნენ.

ნიჟეგოროდელთა მწყობრშიც გულგრილად როდი უყურებდნენ იერიშის დაყოვნებას. სხვა რომ არა იყოს რა, ბრძოლის ცეცხლით შეხურებული ცხენების მოდუნებაც საშიში იყო.

— ნამდვილად ჩაგვეშლება იერიში, ნეტავ რას უცდიან? რა გახდა ეს წირტიანი სოფელი, რისა ეშინია სარდალს? — უკმაყოფილოდ გადაულაპარაკა მარჯვენა კიდეზე მწკრივის თავში მდგომმა თეთრცხენოსანმა პოდპორუჩიკმა შავ ბედაურზე მჯდომ მაიორ მარკოვს, რომელიც ბრძოლის ველს მშვიდად გასცქეროდა და დრო-და-დრო ქერა, მეჩხერ ულვაშებზე ხელს ისვამდა.

— როგორც ჩანს ასეა საჭირო, თავადო იასონ, ხომ იცი მხედრული კანონი: მაღლიდან უკეთ ჩანს, სარდლობამ უკეთ იცის, პასკევიჩს ეს ამბავი არ შეეშლება, ძმაო, ჯობია არხეინად ვიყოთ.

— კი, მაგრამ თურქებმა რომ დაგვასწრონ იერიში? — არ ისვენებდა იასონ ჭავჭავაძე.

— სარდალი ამასაც გაითვალისწინებს, თავადო: ისე, თუ გნებავთ, შიკრიკი გავგზავნოთ ანდრონიკაშვილთან, ხომ არ გვიბრძანებს რაიმეს, თორემ ასე უქმად დგომა, სიმართლე გითხრა, მეც საშინლად მომწყინდა, იქნებ რამე საქმე მიგვიჩინოს.

ამ საუბარში იყვნენ ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონის პირველი ესკადრონის მეთაური და ამ ესკადრონის პირველი ოცეულის მეთაური, როცა, ყველასათვის მოულოდნელად, თურქთა კავალერიის რიგებს ვიღაც მხედარი გამოეყო, ყორნისფერი ცხენი შეაჯირითა, ერთიორჯერ ყალყზეც კი შეაყენა, ხოლო შემდეგ მარჯვედ ჰკრა დეზი და დაოთხილი ცხენი ნიჟეგოროდელთა მწყობრისაკენ გამოაქროლა. ამ სურათმა მაშინვე მიიპყრო პასკევიჩის ყურადღება. იგი თვალს არ აცილებდა თურქი ცხენოსნის მოძრაობას.

ნიჟეგოროდელთა მწკრივებს სათოფეზე რომ მიუახლოვდა, თურქმა სადავე მსწრაფლ მოზიდა და ბრძოლის ველს კარგად შეგუებული ცხენიც ადგილზე გაიყინა. კვლავ მოზიდა სადავე მხედარმა. ცხენი ყალყზე დგებოდა და უკანა ფეხებით წინსვლას ლამობდა. ყველაფერი ეს ისე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა, რომ ნიჟეგოროდელებმა გაკვირვებაც კი ვერ მოასწრეს.

თურქმა ცხენის სადავე კვლავ მიუშვა, მარჯვენა ხელით ქამარში გარჭობილი დამბაჩა იძრო და პირდაპირ მოწინააღმდეგის მწკრივებს დაახალა. იმავე წამში ნიჟეგოროდელთა მწკრივების მარჯვენა ფრთას ისარივით მოსწყდა თეთრცხენოსანი მხედარი და თავხედი თურქისაკენ მათრახშემართული გაექანა.

— იასონ! რას შვრები, ბიჭო, ხომ არ გაგიჟდი!, იასონ დაბრუნდი უკან! — აღშფოთებით დაადევნა თეთრცხენოსანს მისმა უფროსმა ძმამ სპირიდონმა, მაგრამ იასონს აღარაფერი ესმოდა. თავხედი თურქის მათრახით გალახვის სურვილმა ისე აიტანა იასონ ჭავჭავაძე, რომ რაღაც, მანამდე მისთვის უცნობ თავდავიწყებას მიეცა და ცხენს, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, აჩქარებდა. მისკენ შურდულივით გამოქანებული მხედარი რომ დაინახა, თურქმა მსწრაფლ მოაბრუნა ცხენი და თავისიანებისაკენ მოჰკურცხლა. იასონ ჭავჭავაძემ კიდევ უფრო აჩქარა თავისი ცხენი და თავგამოდებით გამოუდგა გაქცეულს. მშვენიერ სანახავს წარმოადგენდა გაშლილ ველზე შავი და თეთრი ცხენების დოღი. განსაკუთრებით თვალს იტაცებდა ჭავჭავაძის ცხენზე მოხერხებულად გაკრული სხეული და მაღლა აღმართული მათრახი, რომელსაც დროდადრო ცხენს გადაუჭერდა ხოლმე. მაგრამ ამ სურათით დიდხანს დატკბობა არ დასცალდა არც პასკევიჩს, არც ნიჟეგოროდელებს: — ოცეულო წინ! — მეჭექარედ შესძახა თავის ოცეულს იასონის უმცროსმა ძმამ, რომანმა, და ცხენი ადგილიდან ქარივით მოსწყვიტა. რომანის ოცეულს უკან სპირიდონის ოცეული მიჰყვა, ხოლო ამის დანახვისთანავე მწკრივებს შორის ქუხილივით გაისმა მაიორ მარკოვის შეძახილი: „ესკადრონო, იერიშზე, წინ!“

მარკოვის მძლავრი ხმა მთელ ლეგიონს გასწვდა და ზვავივით წინ დაძრულ მის ესკადრონს ხუთივე სხვა ესკადრონმაც მაშინვე მიჰბაძა.

ლეგიონის მეთაურს, პოლკოვნიკ ივანე ანდრონიკაშვილს კეთილად ენიშნა ეს ამბავი. მან არა თუ შეაჩერა ასე, თავისთავად მომართული იერიში, არამედ, პირიქით, თავის ქვიშისფერ ყარაბაღულ ულაყს დეზები ჰკრა და ორიოდე წუთში იერიშზე გასულ ლეგიონს თავში მოექცა.

მძლავრი ქარიშხალით აგორებულ ზღვის ტალღებს ჰგავდნენ ნიჟეგოროდელთა ესკადრონები, რომლებიც თურქთა რედუტისაკენ თავგამეტებით მიჰქროდნენ.

თურქთა სანგრებამდე სულ ათიოდე მეტრიღა უკლდათ, როცა ია-

სონ ჭავჭავაძე თავხედ თურქს დაეწია და მთელი ძალით მათრახი გადაუჭირა ზურგზე. მაგრამ ამისათვის თურქ მხედარს ყურადღება არც მიუქცევია, სანგრებზე ცხენი ასკუპა და თავისიანებს გაერია.

იასონს აზრადაც არ მოსვლია შეჩერება და უკან გამობრუნება; რაღაც უცნობმა ძალამ მძლავრად უბიძგა მას, კვლავაც მაღლა შემართული მათრახი ცხენს გადაუჭირა, შემდეგ მათრახი უნაგირის კეხზე დაჰკიდა, ხმალი იშიშვლა. მეორე წამში მზის სხივებზე მოლაპლაპე ხმალშემართული ჭავჭავაძე და მისი ცხენი ბრბოსავით აშლილ თურქთა კავალერიას შეერივნენ და თვალს მიეფარნენ.

იმ ადგილას, სადაც იასონ ჭავჭავაძე თურქებს გაერია, მწყობრი ქარბორბალასავით დატრიალდა, მაგრამ სანამ რაიმეს მოისაზრებდნენ, ნიჟეგოროდელთა დაწინაურებული დრაგუნები სროლით, ხმლების ქნევითა და მძლავრი საბრძოლო ყიჟინით თავს დაესხნენ თურქებს. ახლა კი მოხედეს თურქებმა ბრძოლის ველს და მათკენ მომავალი ზღვასავით აზვირთებული ლეგიონი რომ დაინახეს, პირველი რიგის მწკრივები მაშინათვე უკუიქცნენ. მაგრამ უკუქცეულ მწკრივებს მეორე რიგის მწკრივები გადაეღობნენ და იძულებული გახადეს ისევ მტრისაკენ შემობრუნებულიყვნენ.

სოფლის მისადგომებთან საშინელი ჩეხვა გაიმართა. ანდრონიკაშვილმა ჯერ კიდევ შორიდან შენიშნა თურქთა ზარბაზნები, რომლებიც კავალერიის მარცხენა ფრთასთან ბორცვებზე ედგათ. იგი ცხენდაცხენ გაუსწორდა მაიორ მარკოვს, რომელსაც უბრძანა ესკადრონი არტილერისტებისაკენ მოებრუნებინა და თვითონაც მთელი სისწრაფით იქით გასწია. თავისკენ მომავალი ესკადრონი რომ შენიშნეს, არტილერისტები კიდევ უფრო დაიბნენ. სანამ ისინი პატრუქებს მოუკიდებდნენ და ზარბაზნებს მოიერიშე დრაგუნებისაკენ მიმართავდნენ, ანდრონიკაშვილი, მარკოვი და რომან ჭავჭავაძე უკვე ხმლებშემართულნი მათს რიგებში ტრიალებდნენ. ესკადრონმა ელვის სისწრაფით აიღო თურქთა არტილერიის ბატარეა. მეზარბაზნეობაში დახელოვნებულ რომან ჭავჭავაძის თაოსნობით დრაგუნებმა სამი სასროლად გამზადებული ზარბაზანი თურქებისაკენ მოაბრუნეს და ფინთიხი სეტყვასავით დააყარეს. ამან საბოლოოდ გატეხა წელში თურქები. მათ უწესრიგოდ დაიწყეს ბრძოლის ველის მიტოვება. სოფლის მეორე მხრიდანაც მძლავრი „ურა" ისმოდა. აშკარა იყო პასკევიჩს დროულად მოეშველებინა დრაგუნებისათვის გრენადერთა ბრიგადის ლეგიონები.

ერთ საათში მთელი ბეიბურთი დრაგუნთა ხელში იყო. თურქთა არტილერია და დიდძალი აღალი ხელუხლებლად დარჩათ მოიერიშეებს. როცა ბრძოლა შეწყდა და ანდრონიკაშვილი გაქცეული მტრის დასადევნებლად სოფლის შუაგულში ლეგიონს ამზადებდა, მასთან იასონ ჭავჭავაძე მიიჭრა და საყვარელ მეთაურს გადაეხვია. იასონ ჭავჭავაძეს უვნებლად გადარჩენა სახელდახელოდ მოულოცეს სხვა ნიჟეგოროდელებმაც. შემდეგ ანდრონიკაშვილმა სალაშქრო მწყობრი ბრძანა და ესკადრონებიც უმალვე გზას გაუდგნენ.

— შენ დღეს საკმაოდ გაისარჯე, იასონ; ახლა სოფელში დარჩები, შემოივლი ყველა ეზოს, ბაღებს, ჩაიხანებს, შეკრებ გაფანტულ ჩვენ ბიჭებს და გამომყვები უკან. ეს საქმე სოფელში სარდლის შემოსვლამდე უნდა გაკეთდეს. ხომ იცი, როგორ სწყინს პასკევიჩს აღებულ სოფლებში ჯარისკაცების უპატრონოდ ხეტიალი. აბა შენ იცი. მე კი წავედი. — ანდრონიკაშვილი იასონ ჭავჭავაძეს გამოეთხოვა და მიმავალ ესკადრონებს დაედევნა.

ბეიბურთში გაფანტულ დრაგუნებს რომ თავი მოუყარა, იასონ ჭავჭავაძემ მეიდანზე ჩამწკრივა ისინი და ის იყო ლეგიონის დასაწევად უნდა დაეძრა ორმოცდაათამდე დრაგუნისაგან შემდგარი სალაშქრო მწყობრი, რომ მეიდნის მეორე მხრიდან ცხენების ფეხის ხმა მოი-

სმა და მალე ალიზით ნაგებ ქოხებს შორის, ვიწრო შუკიდან ექვსი ცხენოსანი გამოჩნდა. დრაგუნთა მწყობრის დანახვაზე ცხენოსნები მისკენ გამოეშურნენ. წინ წაბლისფერ ულაყზე მჯდომი, ზორბა ტანის წარბშეჭმუხვნილი, ქერა გენერალი მოუძღოდათ. შტაბს კაპიტანი, ორი პორუჩიკი და ორიც უნტეროფიცერი, მხედრული უფროსუმცროსობის წესის სრული დაცვით, გენერლის ესკორტს შეადგენდნენ.

— აქ რას უდგახართ, ნიჟეგოროდელო დოყლაპიებო, რატომ ჩამორჩით საერთო შეტევას? — მოურიდებლად და აშკარად გამკილავი ტონით მიმართა მათ გენერალმა.

— რატომ კადრულობთ ამ სიტყვებს, თქვენო აღმატებულებავ, რატომ ვართ დოყლაპიები? ჩვენ პირველნი შემოვედით ბეიბურთში, ლეგიონი ახლაც მტერს მისდევს, — მეტის აღელვებისაგან ბრაზნარევი ხმით შეჰკადრა გენერალს იასონ ჭავჭავაძემ!

— ენა დაიმოკლეთ, პოდპორუჩიკო! გამომყევით! მე გაგიჩენთ საქმეს! — კვლავ დამამცირებელი ტონით უბრძანა გენერალმა, მაგრამ ჭავჭავაძემ სიტყვა რიგიანად არ დაამთავრებინა, ისე უპასუხა:

— მე ნაბრძანები მაქვს დრაგუნები სასწრაფოდ დავაწიო ლეგიონს და თქვენ ვერ გამოგყვებით, თქვენო აღმატებულებავ.

— მე გენერალი მურავიოვი ვარ! გიბრძანებთ და შეასრულეთ, რაც გიბრძანეთ!

— ფრონტზე მე ვიცნობ მხოლოდ სამ მეთაურს, ვისი ბრძანებაც უნდა შევასრულო, თქვენო აღმატებულებავ. ესენი არიან: გენერალი პასკევიჩი, პოლკოვნიკი ანდრონიკაშვილი და მაიორი მარკოვი; გვაპატიეთ, მაგრამ თქვენს ბრძანებას ვერ მივიღებთ.

— ერთი ამ ძაღლის ლეკვს დამიხედეთ, რამდენს როშავს! ბატონო შტაბსკაპიტანო, დააპატიმრეთ ეს ვიგინდარა! — მთელი ხმით იყვირა მურავიოვმა და მისი თანმხლებლებიც ის-ის იყო ჭავჭავაძისაკენ იარაღის ასაყრელად დაიძრნენ, რომ ჭავჭავაძემ სიტყვასავით მიახალა:

— მე თავადი ჭავჭავაძე გახლავართ, ბატონო გენერალო, ჩემი დაპატიმრების უფლება არ გაქვთ და ნურც შეეცდებით, თორემ ცუდად დამთავრდება ეს შეხვედრა! ბატონო ოფიცრებო, თავი შეიკავეთ! — ამ სიტყვებით მან ხმალს იკრა ხელი, შუამდე ამოსწია და სადავე ისე მაგრად მოქაჩა, რომ ცხენი ყალყზე შეაყენა. სხვა დრაგუნებშიც ნერვული გაწევ-გამოწევა შეიქნა. მურავიოვმა ერთი ბრაზიანად გადააფურთხა, გულიანად შეიგინა, შემდეგ სწრაფად შეაბრუნა ცხენი და მეიდნიდან გალახული ძაღლივით გაიძურწა. მას აუჩქარებლად მიჰყვნენ მხლებლები, ხოლო დრაგუნთა მწყობრი ჭავჭავაძის მჭექარე შეძახილით, ლეგიონის დასაწევად, ჩქარი მარშით, ფრონტის გზას დაადგა.

ჯერ კიდევ კარგად გათენებული არც იყო, როცა პასკევიჩი, ადიუტანტის თანხლებით, ფეხით გაეშურა ნიჟეგოროდელებისაკენ, მათკენ მიმავალი სარდალი გუშაგებმა შორიდანვე შენიშნეს და სასწრაფოდ მოახსენეს ივანე ანდრონიკაშვილს. ნაჩქარევად ჩაცმული ანდრონიკაშვილი თავის კარვიდან სწორედ მაშინ გამოვიდა, როცა პასკევიჩი უკვე ოციოდე ნაბიჯზე იყო მოსული. ბანაკს ეძინა. პასკევიჩმა ანდრონიკაშვილს ხელით ანიშნა ხალხი არ გაეღვიძებია და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა. ანდრონიკაშვილმა სხარტად ჩაუმარცვლა პატაკი ლეგიონის მდგომარეობის თაობაზე. ოფიციალური პატაკის მიღების შემდეგ პასკევიჩი ანდრონიკაშვილს გადაეხვია და მამაშვილურად გადაკოცნა, რასაც ასეთი სიტყვიერი მადლობა დააყოლა:

— უზომოდ მადლობელი ვარ თქვენი, მამაცო ნიჟეგოროდელებო. მთელი ჩემი ოცდაათი წლის საბრძოლო გზაზე ჯერ არ მინახავს კავალერიის ისეთი ლამაზი იერიში, როგორიც თქვენ გუშინ მაჩვენეთ. აღტაცებული ვარ თქვენი გმირობით და ისევ და ისევ გმადლობთ!

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა, რაიც ისევ პასკევიჩმა დაარღვია: — აბა მაჩვენეთ ის თეთრცხენოსანი ოფიცერი, თავხედ თურქს რომ ასე ჯიუტად გამოუდგა უკან, ხომ გადარჩა?

მაშინვე მონახეს იასონ ჭავჭავაძე და პასკევიჩს წარუდგინეს. იგი თავჩაღუნული მიუახლოვდა სარდალს.

— ეს ის ჭავჭავაძე ხომ არ არის, გუშინ რომ მურავიოვისათვის უწყენინებია? — იკითხა პასკევიჩმა.

— დიახ, ის გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ, — დუნედ უპასუხა ანდრონიკაშვილმა. ჭავჭავაძე ისევ უძრავად იდგა სარდლის წინ.

— იცით თუ არა, პოდპორუჩიკო, მკაცრი, მაგრამ დამრიგებლური ტონით მიმართა მას პასკევიჩმა, — რომ ფრონტზე გენერლის ბრძანების შეუსრულებლობისათვის თქვენ დახვრეტა გემუქრებოდათ საველე სასამართლოს ძალით. გუშინ თქვენ სამგზის დაიმსახურეთ გიორგის ჯვარი, მაგრამ, ვწუხვარ, რომ იმას თქვენ ვერ მიიღებთ; წადით ახლა და შემდგომში თავს გაუფრთხილდით. გენერლებთან მეტადრე ისეთებთან, როგორიც მურავიოვია, ხუმრობა საშიშია.

ჭავჭავაძე უხმოდ შებრუნდა და გაეცალა. პასკევიჩმა კიდევ ერთხელ მოავლო კმაყოფილი თვალი მძინარე ბანაკს, შემდეგ იქვე სახელდახელოდ მორთმეულ სკამზე ჩამოჯდა და ივანე ანდრონიკაშვილს იმ დღის სამოქმედო გეგმაზე გაუმართა საუბარი.

ამ მოგონებებში ღრმად გართული ანდრონიკაშვილი უკვე გვიანი ღამის გრილმა სიომ გამოარკვია. ახლა კი ძილის დროაო, გაიფიქრა და ნელა შებრუნდა მისთვის მიჩნეულ ოთახისაკენ.

□ დასასრული შემდეგ ნომერში □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფრიდრიხ დიურენმატი

# მოსამართლე და მისი ჯალათი

რომანი

მაგრამ ბერლახი მაინც წამოდგა, შეტევის შემდეგ თავს უკეთ გრძნობდა, დიდი ხანია ტკივილი აღარ აწუხებდა. გამთბარ ღვინოს პატარა ყლუპებით ფრთხილად წრუპავდა, მეტი არაფრის სურვილი არ ჰქონდა. მან უარი მაინც არ თქვა ქალაქში ჩვეულ გასეირნებაზე და ბუნდესტერასეზე, მართალია, ნახევრად მთვარეულივით მიაბიჯებდა, მაგრამ სუფთა ჰაერზე ყოველი ნაბიჯის გადადგმა სიამეს ჰგვრიდა. ლუტცმა, ვის პირდაპირაც კაბინეტში ცოტა ხნის შემდეგ ბერლახი იჯდა, ვერაფერი ვერ შენიშნა, თუმცა სინდისი ისე ძლიერ ქენჯნიდა, არაფრის დანახვის თავი მას არ ჰქონდა. ლუტცს გადაეწყვიტა, შვენდისთან მოლაპარაკების შესახებ ბერლახისათვის დღესვე, ნაშუადღევს მოეთხრო და საღამომდე არ დაეცადა. ამიტომ მან ცივი, საქმიანი პოზა მიიღო, მის თავს ზემოთ დაკიდულ სურათზე გამოსახული გენერალივით გაიბღინძა და მოხუცს ომახიანი, დეპეშური სტილით მოახსენა. ლუტცი უსაზღვროდ გაოცდა, როცა კომისარმა საწინააღმდეგო სიტყვაც არ შეჰბედა, პირიქით, ყველაფერს ვეთანხმებით და დაუმატა, ბევრად უკეთესი იქნება, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებას თუ დავუცდით და გამოძიებას ძირითადად შმიდის პირად ცხოვრებაზე გავამახვილებთო. ლუტცი იმდენად განცვიფრებული იყო, რომ თავისი პოზა დაავიწყდა და თავაზიანი და ენაწყლიანი გახდა.

„რასაკვირველია, გასტმანის შესახებ საქმის კურსში ვარ", თქვა მან, „და საკმარისადაც ვიცი მის შესახებ, ისე რომ, დარწმუნებით შემიძლია გითხრა, შეუძლებელია იგი მკვლელი იყოს".

„რასაკვირველია", წარმოთქვა მოხუცმა.

ლუტცი, რომელსაც დღის მანძილზე ბილიდან ზოგიერთი ცნობები ჰქონდა მიღებული, ყოვლისმცოდნე კაცის როლს თამაშობდა: „დაბადებულია პოკაუში, საქსონიაში, ტყავით მოვაჭრე დიდვაჭრის შვილია, ჯერ არგენტინის ქვეშევრდომი იყო და ჩინეთში არგენტინის წარმომადგენლად ითვლებოდა, როგორც ჩანს, ახალგაზრდობაში სამხრეთ ამერიკაში გადასახლდა — შემდეგ საფრანგეთის ქვეშევრდომობა მიიღო, ძალიან ხშირად ხანგრძლივი დროით მოგზაურობდა. საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერია და ბიოლოგიურ საკითხებზე გამოქვეყნებული შრომებით არის ცნობილი. მის ხასიათს კარგად ხსნის ერთი ფაქტი, მან უარი თქვა საფრანგეთის აკადემიაში არჩევაზე. ეს გარემოება იძულებულს მხდის მის მიმართ პატივისცემით განვიმსჭვალო".

„საინტერესო ამბავია", თქვა ბერლახმა.

„გასტმანის ორი მოსამსახურის შესახებ ცნობებს კიდევ მივიღებთ. მათ საფრანგეთის პასპორტები აქვთ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ემენტალიდან წარმოშობილებს ჩამოჰგვანან. გასტმანმა მათი დახმარებით შმიდის დასაფლავებისას გულღვარძლიანი ხუმრობა გაითამაშა".

„ხუმრობა, ეტყობა გასტმანის ჩვეულებაა", ჩაურთო მოხუცმა.

„იგი მოკლული ძაღლის გულისათვის ბრაზობს. შმიდის ამბავი კი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გვგვრის ბრაზს. სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ. ჩვენ ბედნიერად უნდა ჩავთვალოთ თავი, რომ მე შვენდისთან ვმეგობრობ. გასტმანი ცნობილი კაცია და შვეიცარიელი მწა-

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 12, 1975 წ.

რმოებლების ნდობით სარგებლობს“.

„მაშინ იგი უდანაშაულო ყოფილა“, შენიშნა ბერლახმა.

„გასტმანის პიროვნებაზე რაიმე ეჭვის მიტანა შეუძლებელია“.

„უეჭველად“, თავი დაიქნია მოხუცმა.

„სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეგვიძლია შმიდის შესახებ“, დაასკვნა ლუტცმა და ფედერალურ სასამართლოში დარეკა.

ვიდრე ლუტცი ყურმილით ხელში იცდიდა, უცებ კომისარმა, რომელიც უკვე წასასვლელად ემზადებოდა, თქვა:

„მინდოდა თქვენთვის, ბატონო დოქტორო, ავადმყოფობის გამო ერთი კვირის შვებულება მეთხოვა“.

„კეთილი“, უპასუხა ლუტცმა და თან ყურმილზე ხელი დააფარა, რადგან მას უკვე დაელაპარაკნენ, „ორშაბათს შეგიძლიათ აღარ მობრძანდეთ!“

ბერლახის ოთახში ტშანცი იცდიდა, როცა მოხუცი შევიდა, ტშანცი წამოდგა. იგი თავს მშვიდად აჩვენებდა, მაგრამ კომისარი გრძნობდა, რომ პოლიციელი ნერვიულობდა.

„გასტმანთან გავემგზავროთ“, თქვა ტშანცმა, „სწორედ დროა“.

„მწერალთან“, უპასუხა მოხუცმა და პალტო ჩაიცვა.

„ირგვლივ ვუვლით, ყველაფერს ირგვლივ ვუვლით“, ილანძღებოდა ტშანცი, როცა ბერლახს კიბეებზე უკან მიჰყვებოდა, კომისარი გასასვლელში შეჩერდა:

„იქ ხომ შმიდის ლურჯი მერსედესი დგას“.

ტშანცმა უთხრა, განვადებით ვიყიდე, ვიღაცას ხომ უნდა ეკუთვნოდეს მანქანაო, და მანქანაში ჩაჯდა.

ბერლახი ტშანცის გვერდით დაჯდა, ტშანცმა ვაგზლის მოედნის გავლით ბეთლეემისაკენ გასწია. ბერლახმა ჩაიბუზღუნა:

„შენ კვლავ ინსის გავლით მიდიხარ“.

„ეს გზა მიყვარს“.

ბერლახი წვიმისაგან სუფთად გადარეცხილ მინდვრებს გასცქეროდა. ყველაფერს ნათელი, წყნარი სინათლე ელვრებოდა. თბილი, მშვიდი მზე ცის კაბადონზე ეკიდა და უკვე ჩასასვლელად გადახრილიყო. ორივენი დუმდნენ. როცა კერცერსა და მიუნტშემირს შორის მიქროდნენ, შტანცმა მხოლოდ ერთხელ იკითხა:

„ქალბატონმა შიონლერმა მითხრა, შმიდის ოთახიდან ხაქალალდე წაგიღიათ“.

„არავითარი საქმიანი ქაღალდი იქ არაა, ტშანც, მხოლოდ პირადი საბუთებია“.

ტშანცს არაფერი უპასუხია, მეტად არც არაფერი უკითხავს, მხოლოდ ბერლახმა ერთხელ დაუკაკუნა თითი სპიდომეტრს, რომელიც ასოცდახუთ კილომეტრს აჩვენებდა.



„ასე ჩქარა ნუ, ტშანც, ასე ჩქარა ნუ. იმიტომ კი არა, რომ მეშინია, არამედ კუჭი ვერ მაქვს წესრიგში. მე მოხუცი კაცი ვარ“.

ბიბლიოთეკა

მწერალმა ისინი სამუშაო ოთახში მიიღო. ეს იყო ძველი, დაბალჭერიანი შენობა და კარებში შესვლისას ორივენი იძულებული გახდნენ წელში ისე მოხრილიყვნენ, თითქოს კისერზე უღელს ადგამდნენ. ეზოში პატარა თეთრი ძაღლი ყეფდა, რომელსაც თავი შავი ჰქონდა, სადღაც სახლში ბავშვი ყვიროდა. მწერალი გოთური ფანჯრის წინ იჯდა, საშინაო ტანსაცმელი და ყავისფერი ტყავის ქურთუკი ეცვა. იგი შემოსულების მხარეს სკამზევე შემობრუნდა, ისე რომ ქაღალდებით სავსე საწერი მაგიდა არ მიუტოვებია. არც წამომდგარა, ძლივძლივობით მიესალმა და მხოლოდ ის იკითხა, პოლიციას ჩემთან რა ესაქმებაო. „უზრდელია“, გაიფიქრა ბერლახმა, „პოლიციელები არ უყვარს. მწერლებს პოლიციელები არასოდეს ჰყვარებიათ“. მოხუცმა გადაწყვიტა, ფრთხილად ყოფილიყო. შექმნილი მდგომარეობით არც ტშანცი ჩანდა კმაყოფილი. „ვერავითარ შემთხვევაში თვალი ვერ უნდა მიგვადევნოს, თორემ შეიძლება წიგნში აღმოვჩნდეთ“, ბერლახი და ტშანცი დაახლოებით ერთსა და იმავეს ფიქრობდნენ. მაგრამ, როცა ისინი მწერლის ხელის მოძრაობაზე რბილ სავარძელში მოკალათდნენ, განცვიფრებულებმა შენიშნეს, რომ პატარა ფანჯრიდან შემომავალი სინათლის სხივი სწორედ მათ ეცემოდა ვერაგულად. მაშინ როცა ამ დაბალჭერიან, მწვანე ოთახში, უამრავ წიგნებს შორის მწერლის სახე ძლივს მოჩანდა.

„ჩვენ შმიდის საქმეზე გეახელით“, დაიწყო მოხუცმა, „ტვანის ახლოს რომ მოკლეს“.

„ვიცი. დოქტორ პრანტლის საქმეზე მოხვედით, რომელიც გასტმანს ახმენდა“ უპასუხა ფანჯარასა და მათ შორის ჩამჯდარმა მოშავო ფიგურამ, „გასტმანმა მომითხრო“. წამით მწერლის სახე განათდა, მან სიგარეტს მოუკიდა. ორივემ შენიშნა, თუ როგორ დამცინავად დაემანჭა სახე მწერალს: „თქვენ ჩემი ალიბი გსურთ?“

„არა“, უთხრა ბერლახმა.

„მკვლელად ხომ არ მთვლით?“ იკითხა ჭეშმარიტად იმედგაცრუებულმა მწერალმა.

„არა“, მშრალად უპასუხა ბერლახმა, „თქვენ არა“.

მწერალმა ამოიოხრა: „აი ხედავთ, შვეიცარიაში მწერლების ფასი კაპიკი იყო და არის“.

მოხუცმა გაიცინა: „თუ თქვენ ძალიან გსურთ იცოდეთ, გეტყვით: რასაკვირველია, ჩვენ უკვე გვაქვს თქვენი ალიბი. მკვლელობის ღამეს, პირველის ნახევარზე, ლამლინგენსა და შერნელცს შორის თქვენ გზის დარაჯი შემოგხვდათ და სახლში მასთან ერთად დაბრუნდით.

ხახლისაკენ ორივეს ერთი გზა გქონიათ. თქვენ თურმე ძალიან მხიარულ ხასიათზე ბრძანდებოდით, გვითხრა გზის დარაჯმა.

„ვიცი. ტვანელმა პოლიციელმა გზის დარაჯი ჩემ გამო უკვე ორჯერ დაკითხა და სხვა აქაური მცხოვრებლებიც დაკითხეს. წარმოიდგინეთ, ჩემი სიდედრიც კი. ეხე იგი, თქვენ მაინც მკვლელად დამსახეთ“, ამაყად დაუმატა მწერალმა. „ესეც ერთგვარი მწერლური წარმატებაა“. ბერლახმა გაიფიქრა, ახლა იგი მწერლური პატივმოყვარეობითაა შეპყრობილი, სურს რომ სერიოზულ ადამიანად ჩავთვალოთ. სამივენი დუმდნენ. ტშანცმა სცადა მწერლისათვის სახეში შეეხედა. ასეთ სინათლეზე ეს შეუძლებელი იყო.

„კიდევ რა გსურთ?“ ჩაიღრინა ბოლოს მწერალმა.

„თქვენ გასტმანთან ხშირად დაიარებოდით?“

„დაკითხვას აწარმოებთ?“ იკითხა ბნელმა გამოსახულებამ და ფანჯარა უფრო დაფარა. „ახლა მე დრო არა მაქვს“.

„ნუ იქნებით ასეთი უმოწყალო“, უთხრა კომისარმა, „ჩვენ გვსურს, თქვენთან ცოტა წავისაუბროთ“.

მწერალმა ჩაიბუზღუნა.

ბერლახმა კვლავ ჩაურთო: „თქვენ გასტმანთან ხშირად დაიარებოდით?“

„საკმაოდ“.

„რატომ?“

მოხუცი კვლავ ბრაზიან პასუხს მოელოდა. მაგრამ მწერალმა მხოლოდ გაიცინა, სიგარეტის კვამლი ორივეს სახეში შეაბოლა და წარმოთქვა:

„ეს გასტმანი საინტერესო ადამიანია, კომისარო, ასეთებს მწერლები, როგორც თაფლს ბუზი ისე ეტანებიან. იცით თუ არა თქვენ, რომ იგი შესანიშნავად ამზადებს საჭმელებს!“

და მწერალი მოჰყვა თუ როგორ დიდოსტატურად ამზადებდა გასტმანი საჭმელებს. ერთი მეორის მიყოლებით აღწერდა საჭმელებს. ათი წუთი უსმენდნენ ბერლახი და ტშანცი მწერლის ლაპარაკს. ხოლო როცა მწერალმა გასტმანის მიერ საჭმელების დამზადების დიდოსტატობაზე თხუთმეტი წუთი ილაპარაკა, მხოლოდ და მხოლოდ გასტმანის მიერ საჭმელების დამზადების დიდოსტატობაზე, ტშანცი წამოდგა და მწერალს მიმართა, სამწუხაროდ, ჩვენ აქ საჭმელების დამზადების ხელოვნების სიყვარულით არ მოვსულვართო, მაგრამ ამ დროს საუბარში ბერლახი ჩაერია, და სრულიად გახალისებულმა ჩაურთო, მე ეს ძალიან მაინტერესებსო და თვითონვე დაიწყო მოყოლა. მოხუცი გამოცოცხლდა და თავის მხრივ დაუმატა, როგორ საჭმელებს ამზადებენ თურქები, რუმინელები, ბულგარელები, იუგოსლაველები, ჩეხები; ბერლახი და მწერალი საჭმელების სახელებს ბურთებივით ისროდნენ. ტშანცი ოფლად იღვრებოდა და გულში ილანძღებოდა. არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა კულინარიის თემისათვის გადაეხვია, მაგრამ ბოლოს, როცა მათ ფიქრებმა [illegible] ერთი საათი ილაპარაკეს, სრულიად [illegible]ბულები შეჩერდნენ, ისე როგორც ხანგრძლივი ჭამის შემდეგ შეჩერდებიან ხოლმე. მწერალმა სიგარას მოუკიდა. სიწყნარემ დაისადგურა. გვერდით ოთახში ბავშვმა მორთო ყვირილი. ქვევით ძაღლი აყეფდა. უცებ ოთახში ტშანცის ხმა გაისმა:

„შმიდი გასტმანმა მოკლა?“

კითხვა პრიმიტიული იყო, მოხუცმა თავი გააქნია, ხოლო მათ წინ მჯდომმა ბნელმა გამოსახულებამ წარმოთქვა: „თქვენ, ჩანს, არაფერზე უკან არ დაიხევთ“.

„მე გთხოვთ მიპასუხოთ“, გადაწყვეტილად თქვა ტშანცმა და წინ გადაიხარა, მაგრამ მწერლის სახე მაინც ვერ დაინახა.

ბერლახი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, როგორ იმოქმედებდა ყოველივე ეს მწერალზე.

მწერალი წყნარად იყო.

„პოლიციელი როდის მოკლეს?“ იკითხა მან.

შუაღამე რომ გადავიდაო, უპასუხა ტშანცმა.

მე, რასაკვირველია, არ ვიცი, ლოგიკის კანონი პოლიციისათვისაც გამოდგება თუ არა, შეეპასუხა მწერალი, მაგრამ ეჭვი კი ძალიან მეპარება, რადგან პირველის ნახევარზე უკვე გზის დარაჯს შევხვდი, რაც უკვე პოლიციამ თავისი სიბეჯითით დაადგინა, ხოლო ათი წუთით ადრე გამოვემშვიდობე გასტმანს, ამიტომ, ცხადია მე მკვლელი ვერ ვიქნებით.

ტშანცს კიდევ სურდა სცოდნოდა ამ დროისათვის გასტმანთან საზოგადოების სხვა წევრები ხომ არ იყვნენო.

მწერალმა კითხვაზე უარყოფითად უპასუხა.

„შმიდი ხხვებს გამოემშვიდობა?“

„დოქტორ პრანტლს ჩვეულებად ჰქონდა ბოლოდან მეორე წაბრძანებულიყო“, არცთუ ირონიის გარეშე უპასუხა მწერალმა.

„ბოლო ვინ მიდიოდა?“

„მე“.

ტშანცი არ ცხრებოდა: „კიდევ ორი მოხამსახურე უნდა ყოფილიყო იქ?“

„არ ვიცი“.

ტშანცმა იკითხა, უფრო ნათელი პასუხის მოცემა რატომ არ შეგიძლიათო.

ჩემი აზრით, პასუხი საკმარისად ნათელია, უყვირა მწერალმა. ამ ჯიშის მოხამსახურეებს არასოდეს ყურადღებას არ ვაქცევო.

გასტმანი კარგი ადამიანია თუ ცუდიო, იმგვარი სასოწარკვეთილებითა და თავშეუკავებლობით ჰკითხა ტშანცმა, რომ კომისარს ეგონა ნაკვერჩხლებზე დამსვესო. თუ ჩვენ მწერლის შემდგომ რომანში არ მოვხვდით, ეს წმინდა წყლის საკვირველება იქნებაო, გაიფიქრა მან.

მწერალმა ტშანცს პაპიროსის კვამლის ისეთი ღრუბელი შეაბოლა სახეში, რომ ტშანცს ხველა აუტყდა, ოთახში დიდი ხნით სიჩუმემ

დაისადგურა, აღარც ბავშვის ყვირილი ისმოდა.

„გასტმანი ცუდი ადამიანია“, თქვა ბოლოს მწერალმა.

„და მიუხედავად ამისა, თქვენ ხშირად დაიარებით მასთან, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კარგ საჭმელებს ამზადებს?“ იკითხა აღშფოთებულმა ტშანცმა, როგორც კი მორიგმა ხვეულებამ გაუარა.

„მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ“.

„არაფერი მესმის“.

მწერალმა გაიცინა. მეც ერთგვარი პოლიციელი ვარ, წარმოთქვა მან, მხოლოდ უსახელმწიფო, კანონისა და ციხის გარეშე. ესეც ჩემი მოწოდებაა, ადამიანებს თვალს არ ვაცილებდე.

თავგზააბნეული ტშანცი გაჩუმდა, ხოლო ბერლახმა თქვა: „გასაგებია“, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ფანჯარაში მზის სხივები გაქრა, მან დაუმატა:

„ჩემმა ხელქვეითმა ტშანცმა“, განაგრძო კომისარმა „თავისი გადამლაშებული სიბეჯითით ისეთ ჩიხში მომაქცია, საიდანაც ვეძებ გამოსავალი გზა ვიპოვო, ისე თუ მარცხი არ განვიცადეო. მაგრამ ახალგაზრდობაც კარგია, დავტკბეთ ამ სიკეთით, თავისი სიშმაგით ხარმა ხომ გზა გაგვიკაფა (კომისრის ამ სიტყვებზე ტშანცი სიბრაზისაგან გაწითლდა). იმავე კითხვებზე და პასუხებზე შევჩერდეთ, რომლებიც ღმერთის სახელით იყო ნაკარნახევი. ვისარგებლოთ შემთხვევით. რას ფიქრობთ, თქვენ, ბატონო ჩემო, ამ საქმეზე? შესაძლებელია თუ არა, გასტმანზე, როგორც მკვლელზე ვილაპარაკოთ?“

ოთახში ძალიან სწრაფად ჩამობნელდა, მაგრამ სინათლის ანთება მწერალს აზრადაც არ მოსდიოდა.

იგი ფანჯრის რაფაზე იმგვარად ჩამოჯდა, რომ ორივე პოლიციელი პატიმრებივით თითქოს ჯურღმულში აღმოჩნდნენ.

„მე მიმაჩნია, გასტმანს უნარი აქვს ყოველგვარი დანაშაული ჩაიდინოს“, მოისმა ფანჯრიდან უხეში, ვერაგული ხმა. „მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შმიდი მას არ მოუკლავს“.

„თქვენ იცნობთ გასტმანს“, თქვა ბერლახმა.

„მე მის სურათს ვხატავ“, წარმოთქვა მწერალმა.

„თქვენებურად ხატავთ მის სურათს“, ცივად შეუსწორა მოხუცმა ფანჯრის ჩარჩოში ჩასმულ ბნელ მასას.

„საჭმლის კეთების მისი ღირსება კი არ მხიბლავს, „ყოველთვის სუნთქვას მიკრავს ნამდვილი ლოზუნგების მოსმენა“.

„მეც ყოველთვის სუნთქვა მეკვრება, როცა მწერალს ვუსმენ“, მშრალად თქვა კომისარმა.

„შესაძლებელია, გასტმანს უფრო მეტი სიკეთე აქვს გაკეთებული, ვიდრე ჩვენ სამივეს ერთად, რომლებიც ამ უბადრუკ ოთახში ვსხედვართ“, განაგრძო მწერალმა. „თუკი მე მას ცუდ ადამიანს ვუწოდებ, მხოლოდ იმიტომ, რომ სიკეთეს, ისე როგორც ცუდს, თავისი ხასიათის, განწყობილების მიხედვით სჩადის, რაც ჩემთვის გასაგებია. იგი ბოროტებას არასოდეს ჩაიდენს, რათა რაიმეს მიაღწიოს, როგორც სხვები სჩადიან დანაშაულს, რათა ფული იშოვონ, ქალს დაეპატრონონ, ანდა ძალაუფლება ჩაიგდონ, იგი ამას არ ჩაიდენს, თუმც უაზრობაა, რადგან მას ყოველთვის ორივე საქმის გაკეთების უნარი შესწევს, ცუდისაც და კარგისაც, ამას მხოლოდ შემთხვევა გადაწყვეტს“.

„ამას ისე ამბობთ და ისეთი დასკვნები გამოგაქვთ, თითქოს მათემატიკა იყოს“, შეაგება მოხუცმა.

„ასეცაა, მათემატიკაა“, უპასუხა მწერალმა. „შეიძლებოდა გასტმანის ანტიპოდი ბოროტების სახითაც წარმოგვეხახა, ისე როგორც შესაძლებელია სარკეში არეკლილი გეომეტრიული სხეულის წარმოსახვა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ადამიანებიც არსებობენ — სადღაც — ალბათ, თქვენ ასეთებსაც შეხვდებით. შეგხვდებათ ერთნიც, შეგხვდებათ მეორენიც“.

„ეს რაღაც პროგრამასავით ჟღერს“, თქვა მოხუცმა.

„დიახ, ეს სწორედ პროგრამაა. რატომაც არა“, თქვა მწერალმა. „ასე მესახება მე გასტმანის, როგორც ადამიანის გამოხახულება, რომელიც დამნაშავეა, რადგან ბოროტება მისი მორალიდან, მისი ფილოსოფიიდან გამომდინარეობს, რომელსაც იგი ისევე ფანატიკურად მოიმოქმედებს ხოლმე, როგორც სხვები სიკეთეს სჩადიან“.

კომისარმა აზრი გამოთქვა, უკეთესია თუკი გასტმანს დავუბრუნდებით, ჩემთვის იგი უფრო მნიშვნელოვანიაო.

„როგორც თქვენ გნებავთ“, თქვა მწერალმა, „დავუბრუნდეთ გასტმანს, კომისარო, ბოროტების ამ ერთ პოლუსს. მასთან ბოროტება არ არის ფილოსოფიის ანდა ინსტინქტის გამოხატულება, ეს არის თავისუფლების გამოხატულება: არარაობის თავისუფლებისა“.

„ასეთი თავისუფლებისათვის გროშსაც არ გავიმეტებდი“, უპასუხა მოხუცმა.

არცაა საჭირო ამისთვის გროში გაიმეტოთ“, შეეპასუხა მეორე. „მაგრამ შესაძლებელია შენი ცხოვრება მიუძღვნა, რათა ეს კაცი და მისი თავისუფლება შეისწავლო“.

„მისი ცხოვრება“, თქვა მოხუცმა.

მწერალი დუმდა. ჩანდა მას უკვე აღარაფრის თქმა აღარ სწადდა.

„მე საქმე მაქვს ნამდვილ გასტმანთან“, თქვა ბოლოს მოხუცმა. „ადამიანთან, რომელიც ტეხენბერგის ვაკეზე ლამლინგენთან ცხოვრობს

და რომელიც საღამოებს მართავს. ერთ-ერთი ასეთი საღამო პოლიციის ლეიტენანტის სიცოცხლის ფასად დაჯდა. მე მინდა ვიცოდე ის სურათი, რომელიც თქვენ წარმოიდგინეთ, გასტმანის სურათია, თუ თქვენი ოცნების ნაყოფი?“

„ჩვენი ოცნების“, თქვა მწერალმა,

კომისარი დუმდა.

„არ ვიცი“, დაასრულა მწერალმა და პოლიციელებს მიუახლოვდა გამოხამშვიდობებლად, რათა მხოლოდ ბერლახისათვის გაეწოდებინა ხელი, მხოლოდ მისთვის: „მსგავს რაიმეზე არასოდეს არ დავფიქრებულვარ. ბოლოს და ბოლოს, ამ საკითხის გამორკვევა ხომ პოლიციის საქმეა“.

ორი პოლიციელი კვლავ თავიანთ მანქანას დაუბრუნდა, თეთრი ძაღლი უკან მისდევდათ, ბრაზიანად ყეფდა, ტშანცი საჭეს მიუჯდა.

ბერლახმა, ვიდრე მანქანაში ჩაჯდებოდა, პალტო გაისწორა.

ტშანცმა თქვა: „ეს მწერალი არ მომწონს“.

ძაღლი ღობეზე ამძვრალიყო და ყეფას განაგრძობდა.

„გასტმანთან წავიდეთ“, თქვა ტშანცმა და ძრავა ჩართო. მოხუცმა თავი გააქანა.

„ბერნისაკენ“.

ისინი ლიგერცისაკენ მიდიოდნენ, როცა გაივაკეს, უზარმაზარი მინდორი გამოჩნდა. ირგვლივ უხვად მიმოფანტულიყო: ქვა, მიწა, წყალი. თვითონ ისინი ჩრდილში მიდიოდნენ, მაგრამ მზე, რომელიც ტესენბერგის უკან ჩადიოდა, კიდევ ანათებდა ტბას, კუნძულს, ბორცვს, მთისწინს, ჰორიზონტზე გლეტჩერებსა და ერთმანეთზე აჩხორილ ღრუბლის ქულებს, რომლებიც ცის კაბადონის ლურჯ ზღვაში ზანტად მიიზლაზნებოდნენ. თვალმოუცილებლად შეჰყურებდა მოხუცი ზამთრის წინ ბუნების ასეთ გაუგონარ ცვლილებას. ყოველთვის ერთნაირად იცვლის სახეს ბუნება, ფიქრობდა ბერლახი, მუდამ ერთი და იგივე ცვლილებები ხდება. ხოლო, როცა ქუჩამ მკვეთრად შეუხვია და ტბა ამოზნექილი ფარივით მათ ფერხთით ვერტიკალურად გადაიშალა, ტშანცმა მანქანა შეაჩერა.

„მე თქვენთან ლაპარაკი მსურს კომისარო“, თქვა აღგზნებულმა ტშანცმა.

„რა გსურს?“ ჰკითხა ბერლახმა და თან კლდეებს შესცქეროდა.

„გასტმანი უნდა მოვინახულოთ, ეს უფრო ლოგიკურია, სხვა გზა არა გვაქვს, ასე შორს ვერ წავალთ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მოსამსახურეები უნდა დავკითხოთ“.

ბერლახი საზურგეს მიეყრდნო და იჯდა ასე, გაქვავებული, ფაქიზად ჩაცმული ბატონი და მის გვერდით მჯდომ ახალგაზრდას ცივი თვალებით მშვიდად ათვალიერებდა:

„ღმერთო ჩემო, ჩვენ ხომ ყოველთვის იმას ვერ გავაკეთებთ, რაც ლოგიკურია. ტშანც ლუტცს არ სურს, რომ გასტმანს ვესტუმროთ. ეს გასაგებიცაა, რადგან მან ეს შემთხვევა ფედერალურ პროკურორს გადასცა. დაველოდოთ მათ განკარგულებას. ჩვენ ხომ ახლა თავაზიან უცხოელებთან გვაქვს საქმე“. ბერლახის აგდებულმა ტონმა ტშანცი გააცოფა.

„ეს ხომ უაზრობაა“, იყვირა მან, „ლუტცი თავისი პოლიტიკური მრწამსისათვის ჩვენს ძიებას საბოტაჟს უწყობს. ფონ შვენდი მისი მეგობარია და გასტმანის ვექილი, ამიტომ იგი თავის აზრს ასე ადვილად არ შეელევა“.

ბერლახს სახე ერთხელაც არ შეჰმუხვნია: „კარგია, რომ მარტონი ვართ, ტშანც. ლუტცი შესაძლებელია, ცოტათი აჩქარდა, მაგრამ კეთილი განზრახვა ამოძრავებს. ძაღლის თავი შმიდთანაა დამარხული და არა გასტმანთან“.

ტშანცი თავისას არ იშლიდა: „ჩვენ სიმართლის ძიების გარდა სხვა გამოსავალი არა გვაქვს“, თითქოს მოახლოებულ ღრუბლის მთებს შეჰყვირა სასოწარკვეთილმა ტშანცმა, „მხოლოდ სიმართლე, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე, ვინ არის შმიდის მკვლელი“!

„შენ მართალი ხარ“, გაიმეორა ბერლახმა, მაგრამ არაპათეტიურად და ცივად „სიმართლე, ვინ არის შმიდის მკვლელი“.

ახალგაზრდა პოლიციელმა მოხუცს მარცხენა მხარზე ხელი დაადო და იდუმალებით მოცულ სახეში ჩახედა.

„ამიტომ ყოველ ღონეს უნდა მივმართოთ და ისიც გასტმანის წინააღმდეგ. გამოძიება უნაკლოდ უნდა ჩატარდეს. თქვენ ამბობთ, ყოველთვის ვერ გააკეთებ იმას, რაც ლოგიკურიაო. მაგრამ აქ ჩვენ უნდა შევძლოთ. ჩვენ არ შეგვიძლია გასტმანი ხელიდან გავუშვათ“.

„გასტმანი არაა მკვლელი“, მშრალად თქვა ბერლახმა.

„შესაძლებელია, რომ გასტმანმა მოაწყო მკვლელობა. ჩვენ მისი მოსამსახურეები უნდა დავაპატიმროთ!“ შეეპასუხა ტშანცი.

„ვერავითარ საფუძველს ვერ ვხედავ, რომ გასტმანს ებრძანებინოს შმიდის მოკვლა“, თქვა მოხუცმა. „ჩვენ მკვლელი იქ უნდა ვეძიოთ, სადაც ამას აზრი აქვს, ეს კი, მხოლოდ და მხოლოდ ფედერალური პროკურორის საქმეა“, განაგრძო მან.

„მწერალიც კი თვლის გასტმანს მკვლელად“, წამოიყვირა ტშანცმა.

„შენც ასე თვლი?“ გამახვილებული ყურთასმენით ჰკითხა ბერლახმა.

„მეც, კომისარო“.

„მაშინ შენ ერთი ხარ“, მტკიცედ ჩაურთო ბერლახმა, „მწერალი თვლის რომ გასტმანს უნარი აქვს ნებისმიერი დანაშაული ჩაიდინოს, ეს კი სხვაა. მწერალს გასტმანის საქმეების შესახებ არაფერი უთქვამს, მხოლოდ ის თქვა, გასტმანი პოტენციალურად რის შემძლეა“.

ტშანცმა მოთმინება დაკარგა. მან მოხუცს მხრებში ჩაავლო ხელი.

„წლების მანძილზე ჩრდილში ვდგავარ, კომისარო“, ძლივს სუნთქავდა იგი. „ყოველთვის გვერდს მივლიდნენ, არად მაგდებდნენ, როგორც უკანასკნელ არარაობას ისე მიყენებდნენ, უკეთეს შემთხვევაში, ფოსტალიონობას მავალებდნენ!“

„გეთანხმები, ტშანც“, თქვა ბერლახმა, იგი გაუნძრევლად ჩაშტერებოდა ახალგაზრდის გაწამებულ სახეს, „წლების მანძილზე იდექი იმის ჩრდილში, რომელიც ახლახანს მოკლეს“.

„მხოლოდ იმიტომ, რომ მას უკეთესი სკოლა ჰქონდა გავლილი! მხოლოდ იმიტომ, რომ ლათინური იცოდა“.

„შენ მის მიმართ არ ხარ სამართლიანი“, უპასუხა ბერლახმა, „შმიდი საუკეთესო კრიმინალისტი იყო, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი“.

„და ახლა“, იყვირა ტშანცმა, „როცა მე ერთხელ მაქვს შანსი, კვლავ ყველაფერი არარაობად უნდა იქცეს, ჩემი ერთადერთი შესაძლებლობა თავის გამოჩენისა უაზრო დიპლომატიურ თამაშს უნდა შეეწიროს! მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, კომისარო, ამის შეცვლა, მოელაპარაკეთ ლუტცს, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მისი დარწმუნება, გასტმანთან მისვლის ნება დამრთოს“.

„არა, ტშანც“, თქვა ბერლახმა“, „მე ეს არ შემიძლია“. ტშანცი სკოლის მოწაფესავით აჯანჯღარებდა ბერლახს, ხელებით ჩაჰფრენოდა და ყვიროდა:

„მოელაპარაკეთ ლუტცს, მოელაპარაკეთ!“

მაგრამ მოხუცი არ ლბებოდა: „ასე არ ვარგა, ტშანც“, თქვა მან. „ამ საქმის უკვე აღარაფერი მეკითხება. მე მოხუცი და ავადმყოფი ვარ. მყუდროებას ვსაჭიროებ. შენ თვითონ შეგიძლია შენ თავს უშველო“.

„კეთილი“, თქვა ტშანცმა, ბერლახს უცებ ხელი უშვა და კვლავ საჭეს ჩააფრინდა, თუმცა მკვდრის ფერი ედო და კანკალებდა. „მაშ კარგი. თქვენ არ შეგიძლიათ ჩემი შველა“.

ისინი კვლავ ლიგერცის მიმართულებით მიდიოდნენ.

„შვებულება შენ ხომ გრინდელვალდში გაატარე? აიგერის პანსიონში?“ შეეკითხა მოხუცი.

„დიახ, კომისარო“.

„სიწყნარეა და არც ძვირი ღირს?

„ზუსტად ასეა“.

„კეთილი, ტშანც, დასასვენებლად მაღალი ადგილი მსურს, ხვალ იქეთ მივემგზავრები, ავადმყოფობის გამო ერთკვირიანი შვებულება ავიღე“.

ტშანცს იმავე წუთს არ უპასუხია. როცა მანქანამ ბილ-ნოინბურგის ქუჩაზე შეუხვია, მხოლოდ მაშინ წარმოთქვა ჩვეული ხმით:

„მაღალმთიანი ადგილი ყოველთვის კარგად როდი მოქმედებს, კომისარო“.

ბერლახი იმავე საღამოს წავიდა ბერენპლატცზე თავის ექიმთან, დოქტორ სამუელ ჰუნგერტობელთან. გარეთ უკვე სინათლეები ენთო, წუთი წუთზე სულ უფრო და უფრო წყვდიადი ღამე ისადგურებდა და ჰუნგერტობელის ფანჯრიდან ბერლახი მოედანს დაჰყურებდა, ხალხის მირონინე ნაკადს. ექიმი იარაღებს აგროვებდა. ბერლახი და ჰუნგერტობელი უკვე დიდი ხანია ერთმანეთს იცნობდნენ, ისინი გიმნაზიაში ერთად სწავლობდნენ.

„გული კარგი გაქვს“, თქვა ჰუნგერტობელმა“, „მადლობა ღმერთს“.

„ჩემს ავადმყოფობაზე ჩანაწერები გაქვს?“ ჰკითხა ბერლახმა.

„მთელი საქაღალდე“, უპასუხა ექიმმა და საწერ მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდების გროვაზე მიუთითა. „სულ შენი ავადმყოფობებია“.

„ჩემი ავადმყოფობის შესახებ ხომ არავისთან გილაპარაკია, ჰუნგერტობელ?“ შეეკითხა მოხუცი.

„რას ამბობ, ჰანს!“ თქვა მეორე მოხუცმა კაცმა. „ეს ხომ ექიმის საიდუმლოებაა“.

ქვევით მოედანზე ლურჯმა მერსედესმა გაიარა და სხვა მანქანებს შორის გაჩერდა. ბერლახი ყურადღებით დააცქერდა. მანქანიდან ტშანცი და თეთრ საწვიმარ ლაბადაში ჩაცმული ქერა, თმებგაშლილი გოგონა გადმოვიდა.

„ერთხელ მგონი გაგქურდეს, ფრიც?“ ჰკითხა კომისარმა.

„რატომ ფიქრობ?“

„მხოლოდ ისე“.

„ერთხელ მართლაც არეული დამხვდა საწერი მაგიდა“, გამოტყდა ჰუნგერტობელი, „და შენი ავადმყოფობის ისტორია საწერ მაგიდაზე ზევით იდო. ფული არ მაკლდა, თუმცა საწერ მაგიდაში საკმარისზე მეტიც იყო“.

„მერედა პოლიციას რატომ არ აცნობე?“

ექიმმა თავი მოიფხანა. „როგორც გითხარი, ფული არ მაკლდა, მიუხედავად ამისა, მაინც მინდოდა განმეცხადებინა, მაგრამ შემდეგ გადამავიწყდა“.

„ასე“, თქვა ბერლახმა, „დაგავიწყდა. დამნაშავეებს ბედმა გაუღიმა“ და ბერლახმა თავისთვის გაიფიქრა: ესე იგი, გასტმანმა აქედან იცის. — ბერლახმა კვლავ მოედანს გადახედა. ტშანცი გოგოსთან ერთად იტალიურ რესტორანში აპირებდა შესვლას. მისი დასაფლავების დღეს, გაიფიქრა ბერლახმა და ფანჯარას ზურგი შეაქცია. მან ჰუნგერტობელს შეხედა, რომელიც საწერ მაგიდას მისჯდომოდა და რაღაცას წერდა.

„როგორაა ჩემი საქმე?“

„ტკივილები გაქვს?“

მოხუცი მოჰყვა თუ როგორ შეუტია ტკივილებმა.

„ეს ცუდია, ჰანს“, თქვა ჰუნგერტობელმა,

„სამი დღის შემდეგ ოპერაცია უნდა გაგიკეთოთ. სხვა გზა არააა“.

„ახლა ისე კარგად ვგრძნობ თავს, როგორც არასოდეს“.

„ოთხ დღეში შეტევა კვლავ განმეორდება, ჰანს, თქვა ექიმმა, მაშინ კი ველარ გადაიტან“.

„ესე იგი, ორი დღე კიდევ მაქვს დრო, ორი დღე. ხოლო მესამე დღეს დილით ოპერაციას გამიკეთებ. სამშაბათ დილით“.

„სამშაბათ დილით“, თქვა ჰუნგერტობელმა.

„ხოლო ამის შემდეგ კიდევ ერთ წელიწადს ვიცოცხლებ, ხომ ასეა, ფრიც?“ თქვა ბერლახმა და როგორც ყოველთვის ახლაც თვალი თვალში გაუყარა სკოლის მეგობარს. ექიმი წამოხტა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

„როგორ მოგივიდა თავში ასეთი სისულელე!“

„ასეთი სისულელე იმან მითხრა, ვინც ჩემი ავადმყოფობის ისტორია წაიკითხა“.

„შენ ხომ არა ხარ ქურდი?“ იყვირა აღელვებულმა ექიმმა.

ბერლახმა თავი გააქნია: „არა, მე არა. მაგრამ ეს ასეა, ფრიც, მხოლოდ ერთი წელი“.

„მხოლოდ ერთი წელი“,, უპასუხა ჰუნგერტობელმა, საორდინატორო ოთახში კედელთან მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა და ოთახის შუა ადგილას განდგომილ, მიუსაფარ მარტოობაში გაუნძრევლად და მორჩილად გაჩერებულ ბერლახს უმწეოდ შეხედა, რომლის დაბნეულ გამოხედვაზე ექიმმა თვალები დახარა.

ღამის ორ საათზე ბერლახს უცებ გამოეღვიძა. იგი დასაძინებლად ადრე დაწვა, ჰუნგერტობელის რჩევითაც რაღაც წამალი დალია, პირველად მიიღო ეს წამალი, ისე რომ, უცაბედი გამოღვიძებაც ამ უჩვეულო წამალს მიაწერა. თუმცა ისიც გაიფიქრა, რაღაც ხმაურს უნდა გავეღვიძებინეო. თვითონ — როგორც ეს ხშირად ხდება, როცა დარტყმის შედეგად გამოვიღვიძებთ — ზებუნებრივად ცხადად და ნათლად აზროვნებდა; მიუხედავად ამისა ჯერ საჭირო იყო სიტუაციაში გარკვეულიყო და მართლაც რამდენიმე წამში — რომელიც მას მარადისობად მოეჩვენა — გონს მოვიდა. იგი ჩვეულებისამებრ საძინებელ ოთახში კი არ იწვა, არამედ ბიბლიოთეკაში; რადგან ცუდი ღამისთევისათვის ემზადებოდა, როგორც ახლა იგონებდა, იფიქრა რაიმეს წავიკითხავო, მაგრამ ჩანდა ღრმა ძილს მისთვის თავი წაერთმია. ხელი ტანზე ჩააცურა, ტანსაცმლიანად იწვა: მხოლოდ შალის საბანი დაეფარებინა. ბერლახმა ყური მიუგდო. იატაკზე რაღაცამ მოადინა ბრაგვანი, ეს წიგნი იყო, რომელსაც კითხულობდა. უფანჯრო ოთახში საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ უკუნეთი არ იდგა, რადგან საძინებელი ოთახის ღია კარებიდან სუსტი სინათლე შემოდიოდა, ღია კარიდანვე შეიძლებოდა ბობოქარი ღამის ნიშნების გამოცნობა. შორიდან მოისმოდა, გარეთ ქარი ბობოქრობდა; დროთა განმავლობაში სიბნელეში მან წიგნის თარო და სკამი გაარჩია, აგრეთვე მაგიდის გამოსახულება შენიშნა, რაზედაც ჯერ კიდევ იდო რევოლვერი, ეს კი ბერლახმა დიდი გაჭირვებით გაიხსენა. უცებ იგრძნო, საიდანღაც ქარმა დაუბერა, საძინებელ ოთახში ფანჯარამ გაიჯახუნა, შემდეგ კარიც ძლიერი ხმაურით მიიხურა. მალე ამის შემდეგ მოხუცმა გაიგონა, დერეფანში კარი წყნარად ჩაიკეტა. მიხვდა, ვიღაცამ სახლის კარი გაალო და დერეფანში შემოიძურწა, მაგრამ ორპირი ქარი თუ წარმოიშვებოდა, მან ეს კი ველარ გაითვალისწინა. ბერლახი წამოდგა და ტორშერი აანთო.

მან რევოლვერს ხელი წამოავლო და დამცველი გახსნა. ამ დროს დერეფანში უცნობმაც აანთო სინათლე. ბერლახი, რომელმაც ნახევრად ღია კარებში ანთებული ნათურა დაინახა, განცვიფრებული იყო: უცნობის ამ მოქმედებაში მან ვერავითარი აზრი ვერ დაინახა. ბერლახი გონს მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა უკვე გვიან იყო. მან მკლავისა და ხელის ხილუეტი შენიშნა, უცნობი ნათურას წაეტანა, შემდეგ იქაურობა ცისფერმა ალმა გაანათა და ჩამობნელდა: უცნობმა ნათურა გამოგლიჯა და სინათლის მცველი გადაწვა. ბერლახი სრულ სიბნელეში იდგა, უცნობმა ბრძოლა გამოაცხადა და პირობები წამოაყენა: ბერლახს სიბნელეში უნდა ებრძოლა. მოხუცმა რევოლვერი ჩაბღუჯა და საძინებელი ოთახის კარი ფრთხილად გაალო. იგი ოთახში შევიდა. ფანჯრიდან უმნიშვნელო სინათლე შემოდიოდა, თავდაპირველად ძლივს შესამჩნევი, მაგრამ როცა თვალი მიეჩვია, სინათლე უფრო გაძლიერდა. ბერლახი საწოლსა და ფანჯარას შორის კედელს აეკრა, მდინარეს რომ გადაჰყურებდა, მეორე ფანჯარა მისგან მარჯვნივ იყო, მეზობელი სახლის მხარეს გადიოდა. ასე იდგა იგი თვალშეუღწევ ჩრდილში, თუმცა კარგად იცოდა უკან დახევა არ შეეძლო, მაგრამ თვითონ რომ არ ჩანდა, ეს ყველაფერად ღირდა. ბიბლიოთეკის კარზე ფანჯრის სუსტი ჩრდილი გაწოლილიყო. ბერლახი უცნობის შემოსვლას შეამჩნევდა, თუკი იგი კარს გადმოაბიჯებდა. ამ დროს ბიბლიოთეკაში ჯიბის ფანრის ხუსტი სხივი აციმციმდა, სინათლე ჯერ წიგნის ყდებს დაეცა, შემდეგ იატაკზე გადავიდა, სავარძელზე და ბოლოს საწერ მაგიდაზე. სინათლის სხივი გველის მსგავს დანას დაეცა. ბერლახმა მოპირდაპირე მხარეს ღია კარებში ხელი კვლავ შენიშნა. უცნობს ყავისფერი ტყავის თათმანები ეცვა, მაგიდაზე ხელს აფათურებდა, ეტყობოდა გველისმაგვარი დანის აღება სურდა. ბერლახმა იარაღი ასწია, დაუმიზნა. ამ დროს ჯიბის ფანარი ჩაქრა. რაღას იზამდა, მოხუცმა რევოლვერი დაუშვა, დაელოდა. იმ ადგილიდან,

სადაც იგი იდგა, ფანჯარაში გადაიხედა, წარმოიდგინა ადიდებული მდინარე შავ მასას როგორ მიაგორებდა, წარმოიდგინა მდინარის მეორე მხარეს აჩხორილი ქალაქი, კათედრალური ტაძარი, რომელიც ცას ისარივით შერჭობოდა და მათ ზევით მიმქროლავი ღრუბლები. ბერლახი გაუნძრევლად იდგა და მტერს ელოდა, რომელიც მის მოსაკლავად იყო მოსული. იგი თვალებით ხვრეტდა კარის გაურკვეველ ჰრილს. ბერლახი იცდიდა. სიჩუმე იყო, უსიცოცხლო. შემდეგ დერეფანში საათმა დარეკა: სამი საათი იყო. ბერლახმა ყური მიუგდო. საათის წიკწიკი შორიდან ისმოდა. სადღაც მანქანის სიგნალი გაისმა, შემდეგ მანქანამ სახლის წინ ჩაიარა. რომელიღაცა ლუდხანიდან ხალხი ბრუნდებოდა. ერთი პირობა ბერლახმა იფიქრა, სუნთქვა მესმისო, მაგრამ მოეჩვენა. ასე იდგა იგი და სადღაც, მის ბინაში იდგა უცნობიც, მათ შორის ღამეჩამოწოლილიყო, ეს მოთმინებით აღსავსე საშინელი ღამე, რომელიც თავის შავ მოსასხამში მომაკვდინებელ გველს მალავდა, დანას, რომელიც ბერლახის გულს ეძებდა. ბერლახი იდგა ერთ ადგილას და იარაღს უჭერდა ხელს, ძლივს გრძნობდა კეფაზე ცივი ოფლი როგორ მიედინებოდა. ბერლახი აღარაფერზე არ ფიქრობდა, არც გასტმანზე, არც ლუტცზე, აღარც ავადმყოფობაზე, რომელიც მის სხეულს საათიდან საათზე სულ უფრო ღრღნიდა, და რომელსაც განზრახული ჰქონდა მისი სიცოცხლე მოესრა, სიცოცხლე, რომელსაც იგი ახლა იცავდა აღვსილი იყო ცნობისმოყვარეობით, რომ ეცოცხლა, მხოლოდ და მხოლოდ ეცოცხლა. ბერლახი მხოლოდ ერთ თვალად ქცეულიყო, რომელიც ღამეს მიშტერებოდა, მხოლოდ ერთი ყური გამოესხა, რომელიც უმნიშვნელო ხმაურს იჭერდა, ერთი ხელი გამოება, რომლითაც იარაღის ცივი ლითონი ჩაებღუჯა. ბოლოს ბერლახი მიხვდა, მკვლელმა სხვაგვარად გაამჟღავნა თავი, ვიდრე თვითონ ფიქრობდა, ბერლახმა ლოყაზე გაურკვეველი სიცივე იგრძნო, ჰაერის უმნიშვნელო ცვლილება. ბერლახმა დიდხანს ვერ ახსნა, რას ნიშნავდა ეს, ვიდრე არ მიხვდა, რომ საძინებელი ოთახიდან სასადილო ოთახში გამავალი კარი ღია იყო. უცნობმა ბერლახს მეორეჯერ გაუმტყუნა მოლოდინი, მას შემოვლით საძინებელ ოთახში შეეღწია, შეუმჩნევლად, უხმაუროდ, შეუჩერებლივ, გველის მაგვარი დანით ხელში. ბერლახმა მხოლოდ ერთი რამ იცოდა, რომ ბრძოლა მას უნდა დაეწყო, რომ პირველი იგი უნდა ამოქმედებულიყო, იგი, მოხუცი, სასიკვდილოდ დაავადებული კაცი, დაეწყო ბრძოლა სიცოცხლისათვის, რომელიც, თუკი ყველაფერი კარგად წარიმართებოდა და თუკი ჰუნგერტობელი ანგარიშში არ შეცდა, კიდევ ერთი წელი უნდა გაგრძელებულიყო. ბერლახმა რევოლვერი ფანჯრისაკენ მიმართა, რომელიც მდინარე აარეს გადაჰყურებდა. შემდეგ მან ერთხელ გაისროლა, შემდეგ მეორეჯერ, მესამეჯერ, სწრაფად და გაბედულად, ნამსხვრევებადქცეული მინა მდინარის მხარეს ჩაცვივდა, ბერლახი იატაკზე გაწვა. მის თავზე რაღაცამ გაიშხუილა; ეს დანა იყო, რომელიც უცნობმა კედელს ჩაარჭო, მაგრამ მოხუცმა საწადელს მიაღწია: მოპირდაპირე ფანჯარაში სინათლე აინთო, ეს მეზობელი სახლის მცხოვრებლები იყვნენ, რომლებიც ღია ფანჯრებში გადმოწოლილიყვნენ, საშინლად შეშინებული და დაბნეული მეზობლები სიბნელეში თვალგაშტერებულნი იცქირებოდნენ. ბერლახი წამოდგა. მეზობელი სახლის სინათლე საძინებელ ოთახს ანათებდა, მან სასადილო ოთახში ბუნდოვნად გაარჩია გამოსახულება, შემდეგ სახლის კარი მიიხურა, ამის შემდეგ ორპირ ქარზე ჯერ ბიბლიოთეკის, შემდეგ სასადილო ოთახის კარები მიეხეთქა, ფანჯარაც ბრახუნით დაიკეტა, შემდეგ კი სიჩუმემ დაისადგურა. მეზობელი სახლის მცხოვრებლები ისევ და ისევ სიბნელეს მიშტერებოდნენ. მოხუცი კედელს არ სცილდებოდა, იარაღი კვლავ ხელში ჩაებღუჯა. იგი გაუნძრევლად იდგა ადგილზე, თითქოს დროს ველარ გრძნობდა. მეზობლები უკან შებრუნდნენ, სინათლე ჩაქრა. ბერლახი კედელთან იდგა, კვლავ სიბნელეში, პირისპირ სიბნელესთან, მარტოდმარტო სახლში.

ნახევარი საათის შემდეგ ბერლახი დერეფანში გავიდა და ჯიბის ფანარი მოძებნა. მან ტშანცს დაურეკა, ჩემთან მოდიო. შემდეგ დამსხვრეული დამცველი ახლით შეცვალა, სინათლე კვლავ ჩაირთო. ბერლახი სავარძელში ჩაჯდა, ღამეს ყური მიუგდო. სახლს მანქანა მოადგა, მკვეთრად დამუხრუჭდა. კვლავ გაიღო სახლის კარი, კვლავ გაიგონა მან ნაბიჯების ხმა. ტშანცი ოთახში შემოვიდა.

„ვიღაცამ ჩემი მოკვლა განიზრახა“, თქვა კომისარმა. ტშანცი გაფითრებული იყო. მას ქუდი არ ეხურა, აწეწილი თმები შუბლზე ეყარა, და ზამთრის პალტოს ქვეშ პიჟამა მოუჩანდა. ისინი საძინებელ ოთახში ერთად გავიდნენ. ტშანცმა კედლიდან დანა ამოაძრო, ძალიან გაუჭირდა, რადგან დანა ხეში ღრმად იყო ჩარჭობილი.

„ამითი?“ ჰკითხა ტშანცმა.

„ამითი, ტშანც“.

ახალგაზრდა პოლიციელმა დამსხვრეულ შუშას შეხედა. „თქვენ ფანჯარაში ისროლეთ, კომისარო?“ ჰკითხა განცვიფრებულმა ტშანცმა.

ბერლახი ყველაფერს მოუყვა. „ყველაზე უკეთესი, რისი გაკეთებაც თქვენ შეგეძლოთ“, ჩაიბუტბუტა ტშანცმა.

ისინი დერეფანში გავიდნენ და ტშანცმა იატაკიდან ნათურა აიღო.

„ეშმაკურადაა გაკეთებული“, არცთუ გაკვირვების გარეშე თქვა მან და ნათურა ისევ თავის ადგილას დადო. შემდეგ ისინი კვლავ ბიბლიოთეკაში დაბრუნდნენ. მოხუცი დივანზე მიწვა, საბანი დაიფარა, იწვა ასე, უმწეო, უცებ დაბერებული და გატეხილი ბერლახი. ტშანცს გველის მსგავსი დანა კვლავ ხელში ეჭირა. მან ჰკითხა: „დამნაშავის ცნობა ვერ შეძელით?“

„ვერა. ძალიან ფრთხილობდა და სწრაფად გამეცალა. მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი, ყავისფერი თათმანები ეცვა“.

„ეს ძალიან ცოტაა“.

„ეს არც არაფერია. თუმცა იგი არ დამინახავს, მისი სუნთქვაც ძლივს მესმოდა, მაგრამ ვიცი ვინ იყო. ვიცი, ვიცი“.

ყველაფერ ამას მოხუცი ძლივს გასაგონად ამბობდა. ტშანცი დანას ხელში ათამაშებდა, დასცქეროდა გაქალარავებულ, წამოწოლილ გამოსახულებას, ამ მოხუც, დაღლილ კაცს, ამ ხელებს, რომლებიც განადგურებული სხეულის გვერდით ისე ეწყო, როგორც მკვდართან აწყვია ხოლმე დამჭკნარი ყვავილები. შემდეგ ტშანცის მზერა მწოლიარეს მზერას შეხვდა. წყნარი, უტეხი და ნათელი იყო ბერლახის მზერა. ტშანცმა დანა საწერ მაგიდაზე დადო.

„ხვალ გრინდელვალდში უნდა წახვიდეთ, თქვენ ავად ხართ. ანდა, იქნებ ჯობდეს, არ წახვიდეთ? ადვილი მოსალოდნელია, ახლა მთიანეთი არც მოგიხდეთ. იქ ხომ ჯერ ზამთარია“.

„არა, მე წავალ“.

„მაშინ თქვენ ცოტა უნდა დაიძინოთ. თქვენთან დავრჩე?“

„არა, წადით, ტშანც“, თქვა კომისარმა.

„ღამე მშვიდობისა“, თქვა ტშანცმა და ოთახიდან ნელა გავიდა. მოხუცმა აღარაფერი უპასუხა, ჩანდა უკვე ეძინა. ტშანცმა სახლის კარეპი გამოაღო, გარეთ გავიდა, კარი კვლავ მიხურა. ნელა გაიარა რამდენიმე ნაბიჯი ქუჩამდე, ბაღის ღიად დატოვებული კარიც მიხურა. ცოტა ხნის შემდეგ ტშანცი ისევ სახლთან დაბრუნდა. კვლავ უკუნი ღამე იდგა. ყველა საგანი ამ სიბნელეს შთაენთქა, მეზობელი სახლებიც კი. მხოლოდ ზევით, სადღაც ქუჩის ფანარი ანათებდა, დაკარგული ვარსკვლავივით ანათებდა პირქუშ წყვდიადს, რომელიც აღსავსე იყო ნაღვლითა და მდინარის ხმაურით. ტშანცი გაუნძრევლად იდგა, ანაზადად ყრუდ შეიგინა. ბაღის კარს კვლავ წიხლი ჰკრა და მტკიცე გადაწყვეტილებით დაადგა ბაღის გზას, სახლის კარამდე მივიდა. კარის სახელურს ხელი წაატანა და დაბლა დაწია. მაგრამ სახლის კარი ამჯერად კი დაკეტილი დაუხვდა.

ბერლახი ექვს საათზე ადგა, თუმცა მთელი ღამე არ დაუძინია. კვირა დღე იყო. მოხუცმა დაიბანა და ახალი ტანსაცმელი გადაიცვა. შემდეგ ტელეფონით ტაქსი გამოიძახა, საჭმლის ჭამა ვაგონრესტორანში გადაწყვიტა. ზამთრის თბილი პალტო ჩაიცვა და სახლიდან გამოვიდა. რუხი ფერის დილა დამდგარიყო, ჩემოდანი თან არ წამოუღია. ცა ნათელი იყო. ბერლახს გვერდით მთვრალმა სტუდენტმა ბორძიკით ჩაუარა, ლუდის სუნით ყარდა, მიესალმა. „გალოთდა“, გაიფიქრა ბერლახმა, „ფიზიკაში უკვე ორჯერ ჩაიჭრა, საწყალი ბიჭი. ამ დროს ლოთობას ეძალებიან“. ტაქსი მოვიდა. გაჩერდა. ეს იყო ერთი დიდი ამერიკული მანქანა. შოფერს საყელო მაღლა აეწია. ბერლახმა თვალები ძლივს შენიშნა. შოფერმა კარი გააღო.

„ვაგზალში“, თქვა ბერლახმა და მანქანაში ჩაჯდა. მანქანა ადგილიდან დაიძრა.

„აბა“, გაისმა ბერლახის გვერდით ხმა, „როგორ ხართ? კარგად გეძინა?“

ბერლახმა თავი მოაბრუნა. მეორე კუთხეში გასტმანი იჯდა. მას ღია ფერის საწვიმარი ლაბადა ეცვა და ხელები გულზე დაეკრიფა. ყავისფერი თათმანები ეცვა. ამგვარად იგი მოხუც, დამცინავ გლეხს ჩამოჰგავდა. შოფერმა სახე ბერლახისკენ შემოაბრუნა და გაუღრიჭა. პალტოს საყელო უკვე ჩამოეშვა, ეს გასტმანის ერთ-ერთი მოსამსახურეთაგანი იყო.

ბერლახი მიხვდა, რომ მახეში გაება.

„კიდევ რა გინდა ჩემგან?“ ჰკითხა მოხუცმა.

„შენ ისევ და ისევ იძიებ საქმეს. მწერალთან ყოფილხარ“, თქვა კუთხეში მჯდომმა, ხმაში მუქარა ჟღერდა.

„ასეთია ჩემი პროფესია“.

მეორე კაცი ბერლახს თვალს არ აცილებდა: „ბერლახ, ვინც კი ჩემით იყო დაინტერესებული, ყველანი დაიხოცნენ“.

წინ მჯდომი საშინელი სიჩქარით მიაქროლებდა მანქანას.

„მე ჯერ ცოცხალი ვარ. მერედა სულ შენით ვიყავი დაკავებული“, გულგრილად უპასუხა კომისარმა.

ორივენი გაჩუმდნენ.

შოფერმა ვიქტორიას მოედანი გაშმაგებული სიჩქარით გადაჭრა, ვიღაც მოხუცი კაცი კოჭლობით გადადიოდა ქუჩას და ძლივძლივობით უშველა თავს.

„ფრთხილად“, წარმოთქვა გაღიზიანებულმა ბერლახმა.

„უფრო ჩქარა“, გამკივანად იყვირა გასტმანმა და თან მოხუცს დამცინავად ათვალიერებდა, „მიყვარს, როცა მანქანას სწრაფად მიაქროლებენ“.

კომისარს აციებდა. მას უჰაერო ოთახები არ უყვარდა. ისინი ხიდზე მიქროდნენ, ტრამვაის ჩაუქროლეს და ელვის სისწრაფით უახლოვდებოდნენ მდინარის ვერცხლისფერ ლენტს და ქალაქს, რომელიც მათ ხელგაშლილი ეგებებოდა. ქუჩები უკაცური და ცარიელი იყო, ზეცა ქალაქის თავზე შუშისებური.

„გირჩევ, თამაშს თავი დაანებო. დროა, თა-

ვი დამარცხებულად აღიარო", თქვა გასტმანმა და ჩიბუხი გატენა.

მოხუცი ხეების მუქ კენწეროებს უცქეროდა, რომელთა ახლოს ისინი მიქროდნენ, დაინახა ორი პოლიციელის ჩრდილისმსგავსი გამოსახულება, რომლებიც ლანგის წიგნის მაღაზიის წინ იდგნენ.

„თხებივით არ დაყუდებულან". გაიფიქრა ბერლახმა და შემდეგ წიგნის მაღაზიის დანახვაზე მოაგონდა: ბოლოს და ბოლოს, ფონტანეს წიგნის ფული უნდა გადავიხადო.

„ჩვენ თამაშს", როგორც იქნა უპასუხა ბერლახმა, შეუძლებელია თავი დავანებოთ. იმ ღამით თურქეთში შენ იყავი დამნაშავე, რადგან ნიძლავი დადე, გასტმან, ხოლო მე, რადგან ნიძლავი მივიღე".

ისინი ფედერალური სახლის ახლოს მიქროდნენ.

„შენ კვლავ ფიქრობ, რომ შმიდი მე მოვკალი?" ჰკითხა გასტმანმა.

„ეგ ერთი წამითაც არ მიფიქრია", უპასუხა მოხუცმა და განაგრძო, თან გულგრილად უყურებდა გასტმანს, ჩიბუხს ცეცხლს როგორ უკიდებდა:

„მე ვერ მოვახერხე დანაშაულში დამეჭირე, რომელიც შენ ჩაიდინე, ახლა კი ისეთ დანაშაულზე დაგიჭერ, რომელიც არ ჩაგიდენია".

გასტმანი გამომცდელად შესცქეროდა კომისარს.

„ეს შესაძლებლობა მე სრულებით არ გამხსენებია", თქვა მან. „საჭირო იქნება გავითვალისწინო".

კომისარი დუმდა.

„შენ მგონი უფრო საშიში ყმაწვილი ბრძანდები, ვიდრე მე მეგონა, მოხუცო", დაფიქრებულად წარმოთქვა კუთხეში მჯდომმა გასტმანმა.

მანქანა გაჩერდა. ისინი ვაგზალში იყვნენ.

„უკანასკნელად ვლაპარაკობ, მე შენთან, ბერლახ", თქვა გასტმანმა: „შემდეგ მე შენ მოგკლავ, ცხადია, თუკი ოპერაციას გადაიტან".

„შენ ცდები", უთხრა ბერლახმა, რომელიც დილის სინათლით განათებულ მოედანზე იდგა, მოხუცებული და ოდნავ შეციებული. „შენ მე ვერ მომკლავ. მე ვარ ერთადერთი ადამიანი, რომელიც შენ გიცნობს, და იმიტომაც ვარ ერთადერთი, რომ შენი გასამართლება შემიძლია. მე შენ გაგასამართლე, გასტმან, სიკვდილი მოგისაჯე. შენ დღევანდელ დღეს ველარ გააღწევ. ჯალათი, რომელიც მე ამოვირჩიე, დღეს შენთან მოვა. იგი შენ მოგკლავს, რადგან ეს, ბოლოს და ბოლოს, ღმერთის ხახელით უნდა აღსრულდეს".

გასტმანი შეკრთა და მოხუცს გაკვირვებული მიაშტერდა, მოხუცი კი ვაგზლისაკენ მიდიოდა, ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეწყო, უკან არ იხედებოდა, ბნელ შენობაში შევიდა, რომელიც ნელ-ნელა ხალხით ივსებოდა.

„სულელო!" უცებ მიაყვირა გასტმანმა კომისარს, ისე ხმამაღლა, რომ რამდენიმე გამვლელმა მოიხედა. „სულელო"! მაგრამ ბერლახი უკვე აღარ ჩანდა.

დღე, რომელიც სულ უფრო და უფრო შედიოდა ძალაში, ნათელი და ძლიერი იყო, მზე, ეს უმწიკვლო ბურთი, მკვეთრ და გრძელ ჩრდილებს ისროდა, ხოლო, რაც უფრო მაღლა იწევდა, ჩრდილები მით უფრო მოკლდებოდნენ. ქალაქი თეთრ ნიჟარასავით გაწოლილიყო, სინათლეს იწოვდა, ქუჩები ნთქავდა ამ სინათლეს, რათა ღამით კვლავ ათას სინათლედ აკიაფებულიყო, ქალაქი ურჩხულს მიაგავდა, რომელიც სულ ახალ და ახალ ადამიანებს ბადებდა, ხრწნიდა, მარხავდა. სულ უფრო და უფრო სხივნათელი დილა დგებოდა, რომელიც დადუმებული ზარების თავზე ფარივით ბრჭყვიალებდა. ტშანცი იცდიდა: კედლიდან არეკლილ სინათლეზე იგი ფერმკრთალი ჩანდა; უკვე ერთი საათია იცდიდა. კათედრალური ტაძრის ხეივანში მოუსვენრად დადიოდა წინ და უკან, ხამუშ-ხამუშ წყლის ჩუხჩუხს შესცქეროდა, უყურებდა ველურ სახეებს, რომლებიც მზის გულზე გაწოლილ ქვაფენილს დაშტერებოდნენ. ბოლოს კარიბჭე გაიღო. ადამიანების ძლიერი ნაკადი მიაწყდა, მღვდელს ქადაგება დაეწყო, მაგრამ ტშანცმა თეთრი საწვიმარი ლაბადა იმწუთსავე შენიშნა. ანა ტშანცთან მივიდა. ქალმა უთხრა, ძალიან მიხარია, რომ გნახეო და ხელი გაუწოდა. ისინი კესლერგასეს ზევით აუყვნენ, ეკლესიაში მიმავალ ხალხის ტალღაში მოექცნენ, გარშემორტყმულნი იყვნენ მოხუცებითა და ახალგაზრდებით, აქ იყო პროფესორი, აგრეთვე საკვირაოდ გამოწყობილი ხაბაზის ცოლი, იქეთ ორი სტუდენტი ერთი გოგონათი, ათეულობით მოხელეები, მასწავლებელი, ყველანი სუფთად ჩაცმულნი, დაბანილები იყვნენ, ყველანი მშივრები გახლდნენ, ყველანი უკეთესი საჭმლის მოლოდინში მხიარულობდნენ.

ტშანცმა და ანამ კაზინოს მოედანს მიაღწიეს, მოედანი გადაჭრეს და მარცილისაკენ ქვევით დაეშვნენ. ხიდზე შეჩერდნენ.

„ფროილაინ, ანა", თქვა ტშანცმა, „დღეს მე ულრიჰის მკვლელს დავიჭერ".

„მერედა იცით, ვინ არის?" შეეკითხა გაკვირვებული ანა.

ტშანცმა ქალს შეხედა. იგი იდგა მის წინ გაფითრებული და გამხდარი. „ფიქრობ, ვიცი", თქვა ტშანცმა. „თუკი მკვლელს დავიჭერ, იქნებით თქვენ ჩემთვის ისეთივე", ტშანცი ოდნავ შეუოყმანდა, „რაც, თქვენი გარდაცვლილი საქმროსათვის იყავით?".

ანამ უცებ არ უპასუხა. თითქოს შესცივ-

დაო, მან ლაბადა უფრო შემოიკრა ტანზე, მხუ-ბუქმა ქარმა შემოუბერა, ქერა თმები გაუწეწა, შემდეგ ანამ უპასუხა.

„შეგვიძლია ახე ჩავთვალოთ“.

ერთმანეთს ხელი მისცეს და ანა მდინარის მეორე ნაპირზე გადავიდა. ტშანცმა თვალი გააყოლა. ანას თეთრი ლაბადა არყის ხეებს შორის ანათებდა, მოსეირნეებში ხან დაიმალებოდა, ხან გამოჩნდებოდა, ბოლოს კი სულ გაქრა. შემდეგ ტშანცი ვაგზლისაკენ წავიდა, სადაც მან მანქანა დატოვა. ლიგერცისაკენ გასწია. როცა ადგილზე მივიდა, უკვე შუადღე იყო; მანქანა ნელა მიჰყავდა, დრო და დრო აჩერებდა კიდეც, სიგარეტს მინდორში ეწეოდა, კვლავ მანქანას უბრუნდებოდა და გზას განაგრძობდა. ლიგერცში მანქანა სადგურის ახლოს გააჩერა და ეკლესიის კიბეებს აუყვა. ტშანცი დაწყნარებულიყო. ტბა მუქი ცისფერი იყო, ვაზს ფურცელი გასცვენოდა და მათ შორის მუქი და ფხვიერი მიწა მოჩანდა. მაგრამ ტშანცი არაფერს არ ხედავდა და არც არაფერი აღარდებდა. იგი შეუჩერებლივ და თანაბარზომიერად მიიწევდა ზევით, არც უკან იხედებოდა და არც ჩერდებოდა. დაკიდული გზა ზევით მიემართებოდა, თეთრი კედლებით შემორტყმული უკან იტოვებდა ზვრებს. ტშანცი სულ უფრო და უფრო ზევით მიიწევდა, მშვიდად, ნელა, ურყევად მიდიოდა, მარჯვენა ხელი პალტოს ჯიბეში ჩაეყო. ხანდახან გზაზე ხვლიკი გადაურბენდა, კაკაჩა წამოუფრინდებოდა, მზის გულზე მიწას ისეთი ალმური ასდიოდა, თითქოს გაზაფხულიაო; ტშანცი შეუჩერებლივ მიიწევდა ზევით. შემდეგ ზვრები უკან დარჩა და ტშანცი ტყეში შევიდა. უფრო აგრილდა. ტოტებს შორის იურას თეთრი კლდეები ანათებდა. ტშანცი სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა, სულ ერთი და იგივე გამოზომილი ნაბიჯით მიდიოდა, ერთი და იგივე, უცვლელი ნაბიჯებით და მინდორს მიაღწია. ეს იყო სახნავი და საბალახო მიწა; გზა უფრო დამრეცი გახდა მან ოთხკუთხედ, რუხი ფერის კედლით შემორტყმულ, ჰიშკარღია სასაფლაოს ჩაუარა. გზაზე შავად ჩაცმული ქალები მიაბიჯებდნენ, იქვე წელში მოხრილი მამაკაცი იდგა, მიმავალს თვალს აყოლებდა, რომელიც ისევ და ისევ გზას განაგრძობდა, პალტოს ჯიბეში მარჯვენა ხელჩაყოფილი.

ტშანცმა პრელეს მიაღწია, სასტუმრო „ბერენს“ გვერდით ჩაუარა და ლამბუენისაკენ განაგრძო გზა. ჰაერი არ იძვროდა, მაგრამ არც ცხელოდა. საგნები, ისინიც კი, რომლებიც შორს იყვნენ, ძალიან ნათლად მოჩანდნენ. მხოლოდ მთის მწვერვალებზე იდო თოვლი, დანარჩენი კი ყველაფერი ღია ყავისფრად იყო აფორაჯებული, ღია ყავისფერს კი კედლების სითეთრე, სახურავების წითელი ფერი, სახნავი მიწების შავი ზოლი ერწყმოდა ტშანცი გზას გამოზომილი ნაბიჯით განაგრძობდა; მზე ზურგიდან ანათებდა და მისი ჩრდილი მისივე ფერხთით გაწოლილიყო. ქუჩა ქვემოთ დაეშვა, სახერხს ჩაუარა, ახლა მზე გვერდიდან ანათებდა. იგი გზას განაგრძობდა, არც არაფერზე ფიქრობდა, არც არაფერს ხედავდა, მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა, მხოლოდ ერთ ვნებას შეეპყრო. სადღაც ძაღლი ყეფდა, შემდეგ გამოჩნდა კიდეც, უცვლელი ნაბიჯებით მიმავალი დაყნოსა და ისევ უკან გაიქცა. ტშანცი გზას განაგრძობდა, ისევ და ისევ ქუჩის მარჯვენა მხარეს მიუყვებოდა ნაბიჯს ერთიმეორის მიყოლებით ადგამდა, არც ნელა მიდიოდა, არც ჩქარა, უახლოვდებოდა სახლს, რომელიც შემოძარცული ალვის ხეებით გარშემორტყმული, ყავისფერ მინდორზე ეულად წამოჰიმულიყო. ტშანცმა გზიდან გადაუხვია და მინდორზე გავიდა. ფეხსაცმელები დაუხნავ, რბილ მიწაში ეფლობოდა, იგი შეუჩერებლივ მიაბიჯებდა. შემდეგ მან ჭიშკარს მიაღწია. ჭიშკარი ღია იყო, ტშანცმა ეზოში შეაბიჯა. ეზოში ამერიკული მანქანა იდგა, ტშანცს მანქანისთვის ყურადღება არ მიუქცევია. იგი სახლის კარს მიადგა. სახლის კარიც ღია დახვდა. ტშანცმა წინკარში შეაბიჯა, მეორე კარი გამოაღო და დარბაზში შევიდა, რომელსაც პირველი სართული ეკავა. ტშანცი შეჩერდა. ფანჯრებიდან თვალისმომჭრელი სინათლე შემოდიოდა. მის წინ, ხუთი ნაბიჯის დაშორებით, გასტმანი იდგა, ხოლო გასტმანის გვერდით მუქარით აღსავსე ორი ყასაბი გამოჰიმულიყო. სამივეს პალტოები ეცვათ, გვერდით ჩემოდნების გროვა ეწყოთ, სამივენი გასამგზავრებლად იყვნენ გამზადებულნი. ტშანცი გაჩერდა.

„ესე იგი, ეს თქვენ ბრძანდებით“, თქვა გასტმანმა და ოდნავ გაკვირვებულმა პოლიციელის წყნარ გაფითრებულ სახესა და მის უკან ღიად დარჩენილ კარს შეხედა.

შემდეგ გასტმანმა გაიცინა: „მოხუცი ამას გულისხმობდა! არცთუ ცუდად უფიქრია, ხრულებითაც არაა ცუდი!“ გასტმანს თვალები ფართოდ გაელო და მათში რაღაცნაირი მოჩვენებითი მხიარულება ციმციმებდა.

წყნარად, ისე, რომ სიტყვაც არ უთქვამს, და თითქმის ნელა, ერთერთმა ყასაბმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და ტშანცს ესროლა. ტშანცმა მარცხენა მხარში დარტყმა იგრძნო, მარჯვენა ხელი ჯიბიდან ამოიღო და იატაკზე დავარდა. შემდეგ მან სამჯერ გაისროლა თითქმის ცარიელ, უკიდეგანო შენობაში, რომელშიც გასტმანის სიცილი მიყუჩდა.

ტშანცის მიერ ტელეფონით გამოძახებული შარნელი, ტვანიდან კლენენი, ხოლო ბილიდან ოპერატიული ჯგუფი ლამბუენისაკენ მიიჩქაროდა. სამ გვამს შორის მათ გასისხლიანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ტშანცი იპოვეს, მეორე ტყვია მას მარცხენა ხელში მოხვედროდა. ბრძოლა ჩანდა მოკლე იყო, მაგრამ თვითეულს, ამჟამად მკვდარს, მაინც მოესწრო გასროლა. რევოლვერი ყველას უპოვეს, ერთ-ერთ მოსამსახურეთაგანს რევოლვერი ჩაბღუჯული ეჭირა. შარნელის მოსვლის შემდეგ რა მოხდა, ტშანცს უკვე აღარ ახსოვდა. როცა ნევილელი ექიმი ტშანცს ჭრილობას უხვევდა, მან ორჯერ დაკარგა გრძნობა; მაგრამ ჭრილობები საშიში არ იყო.

მოგვიანებით მოვიდნენ სოფლის მცხოვრებლები, გლეხები, მუშები, ქალები. ეზო ხალხით გაიჭედა და პოლიციამ იქაურობა გადალობა; მაგრამ ერთმა გოგონამ მაინც მოახერხა დარბაზამდე მიეღწია და იქ ხმამაღალი ყვირილით გასტმანის გვამს ზედ დაემხო. ეს კელნერი იყო, შარნელის ხაცოლე. სიბრაზისაგან წამოჭარხლებული შარნელი იქვე იდგა. გლეხებმა გზა უტიეს და ტშანცი მანქანაში შეიტანეს.

„აი, აგერ წვანან სამივენი“, თქვა ლუტცმა მეორე დილით და მკვდრებზე მიუთითა, მაგრამ მისი ხმა არ ჟღერდა საზეიმოდ, უფრო ნაღვლიანი და დაღლილი ჩანდა.

შემკრთალმა ფონ შვენდიმ თავი დაუკრა. პოლკოვნიკი ბილში ლუტცთან ერთად თავისი კლიენტების დავალებით ჩამოვიდა. ისინი იმ შენობაში შევიდნენ, რომელშიც გვამები ეწყო. პატარა გისოსებიდან ფანჯრიდან სინათლის ირიბი სხივი შემოდიოდა. ორივეს პალტოები ეცვათ და იყინებოდნენ. ლუტცს თვალები დასწითლებოდა. იგი მთელი ღამე გასტმანის ძნელად საკითხავ, სტენოგრაფიულად ჩაწერილ დღიურებს კითხულობდა.

ლუტცს ჯიბეებში ღრმად ჩაეყო ხელები.

„ფონ შვენდი, ჩვენ შიშის გამო დავაყენებთ ხოლმე კბილებამდე აღჭურვილ ადამიანებს ერთმანეთის პირისპირ“, კვლავ წყნარად დაიწყო მან, „ყოველგვარი ჯურის მცველებს შემოვიყენებთ ირგვლივ, პოლიციელებს, კარისკაცებს, ხაზოლდოებრივ აზრს; მაგრამ განა ეს გვიშველის?“ ლუტცს სახე დაეღრიჯა, თვალები გადმოუცვივდა და ყრუდ გაეცინა, შენობაში ბლავილის მსგავსი ხარხარი გაისმა, რომელიც ცივად და საწყლად მოედო იქაურობას. „ცარიელი თავი ხელისუფლების სათავეში ნაციონალური საბჭოა, და აი, უკვე ჩვენ რომელიმე გასტმანი აღგვგვის პირისაგან მიწისა და ჩვენი ჯაჭვი გაწყდება და გარშემო გვექცრის დაცვა“.

ფონ შვენდი ხედავდა რომ ყველაზე უკეთესი იყო ლუტცი მიწაზე ჩამოეყვანა, მაგრამ ის კი არ იცოდა, როგორ. „ჩვენ წრეებს ყოველგვარი ჯურის ადამიანები უსირცხვილოდ იყენებს“. თქვა მან ბოლოს.

„ეს სამარცხვინოა, საერთოდ სამარცხვინოა“.

„აზრადაც არავის არ მოსვლია“, დააწყნარა ლუტცმა.

„მერედა შმიდი?“ ჰკითხა მრჩეველმა, იგი პასუხით გახარებული იყო, ეს რა მოსწრებულად მივუგეო.

„ჩვენ გასტმანთან საქაღალდე ვიპოვეთ, რომელიც შმიდს ეკუთვნის. იგი შეიცავს ცნობებს გასტმანის ცხოვრებაზე და ნავარაუდევ დანაშაულობებზე. შმიდი ცდილობდა გასტმანი დაეჭირა. იგი ამას საკუთარი ინიციატივით აკეთებდა. ეს იყო შეცდომა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც, რადგან ეხლა დამტკიცებულია, რომ გასტმანმა მოაკვლევინა შმიდი, შმიდი იმ იარაღით არის მოკლული, რომელიც ტშანცის მიერ მოკლულ ერთ-ერთ მოსამსახურეს ეჭირა ხელში, გამოკვლევამ ეს იმავე წუთს დაადასტურა. შმიდის მოკვლის საფუძველიც ნათელია. გასტმანს ეშინოდა, შმიდი მას ფარდას ახდიდა. შმიდი ჩვენ უნდა გაგვენდობოდა. მაგრამ იგი ახალგაზრდა და თავმოყვარე იყო“.

მკვდრების საკანში ბერლახი შემოვიდა. როცა ლუტცმა მოხუცი დაინახა, მელანქოლიურ ხასიათზე დადგა და ხელები კვლავ ჯიბეებში ჩაიწყო. „აბა კომისარო“, თქვა მან და ფეხი შეინაცვლა. „კარგია, რომ აქ შეგხვდით. თქვენ შვებულებიდან დროულად დაბრუნდით, მრჩეველთან ერთად არც მე მოვსულვარ დაგვიანებით. მკვდრები აგერ აწყვია. ბევრი ვიკამათეთ, ბერლახ, მე მომხრე ვარ ბრძენი პოლიციისა, რომელსაც ყველაფრის უფლებას მივცემდი. დიდი სიამოვნებით, ის კი არადა, ატომური ყუმბარითაც მოვამარაგებდი, ხოლო თქვენ, კომისარო, უფრო ადამიანური პოლიციის მომხრე ხართ, რომელიც ეგერთა ჯგუფის მსგავსი ადამიანებისაგან, პატიოსანი ბაბუებისაგან იქნება შემდგარი. თავი ვანებოთ კამათს. ჩვენ ორივე მტყუანი ვიყავით, ტშანცმა სრულიად არამეცნიერულად, შიშველი რევოლვერით დაგვიმტკიცა ეს. არ მსურს, ვიცოდე, როგორ. შესაძლებელია, ეს საჭირო თავდაცვა იყო, ჩვენ მას უნდა ვერწმუნოთ, და ვერწმუნებით კიდეც. ნადავლი ღირს, როგორც ლამაზი ანდაზა იტყვის, დახვრეტილები ათასჯერ იმსახურებენ სიკვდილს; საქმე მეცნიერულად რომ წარმართულიყო, ჩვენ უცხოელი დიპლომატების ირგვლივ ვისუქსუქებდით. ტშანცი უნდა დავაწინაურო; ხოლო ჩვენ კი ვირებივით ვდგავართ აქ, ჩვენ ორივენი. შმიდის საქმე დამთავრდა“.

ლუტცმა თავი დახარა, მოხუცის უცნაურმა დუმილმა დააბნია, აიწურა, მაგრამ უცებ ისეთ თავაზიან, გულმოდგინე მოხელედ იქცა, ჩაახველა, გაწითლდა, რადგან შეამჩნია ფონ შვენდი ისევ და ისევ შეფიქრიანებული იყო; შემდეგ იგი პოლკოვნიკის თანხლებით ჩაბნელებულ დერეფანში გამოვიდა და ბერლახი მარტო დატოვა: გვამებს საკაცეებზე შავი ნა-

ჭერი ჰქონდათ გადაფარებული. ცივ, რუხი ფერის კედლებზე ბათქაშის ნატეხები იყო ჩამოკიდებული. ბერლახი შუა საკაცესთან მივიდა და მკვდარს გადაფარებული ნაჭერი გადახადა. ეს გასტმანი იყო. ბერლახი ოდნავ წელში მოხრილი იდგა, შავი ნაჭერი ისევ ხელში ეჭირა. იგი მდუმარედ დასცქეროდა მოკლულის ცვილისფერ სახეს, რომელზედაც ჯერ კიდევ შერჩენილიყო დამცინავი ღიმილი, მაგრამ თვალები უფრო ჩასცვენოდა და ეს უფსკრული უკვე არავითარ შიშს აღარ იწვევდა. ასე შეხვდნენ ისინი ერთმანეთს, უკანასკნელად, მონადირე და გარეული ნადირი, რომელიც ახლა უკვე მის ფერხთით იწვა. ბერლახი მიხვდა, რომ სიცოცხლე უკვე დასრულებული იყო და მან ერთხელ კიდევ თვალი გადაავლო წლებს, მისმა სულმა ერთხელ კიდევ გაიარა საიდუმლოებით აღსავსე ლაბირინთების გასასვლელები, რომელიც ორივეს სიცოცხლე იყო. ახლა კი მათ შორის უკიდეგანო სიკვდილის გარდა არაფერი არ იდო, სიკვდილისა, ერთადერთი მოსამართლისა, რომლის განაჩენი დუმილია. ბერლახი კვლავ წელში მოხრილი იდგა და საკანის მკრთალი სინათლე სახეზე და ხელებზე ეცემოდა, გვამსაც ეთამაშებოდა, ორივესთვის არსებული, ორივესთვის შექმნილი, ორივესთვის შემარიგებელი. სიკვდილის დუმილი ბერლახს თავზე წამოადგა, სხეულში შეუძვრა, მაგრამ მასაც, ისე როგორც მეორეს, მოსვენებას არ აძლევდა. მკვდრები ყოველთვის მართლები არიან. ბერლახმა გასტმანს კვლავ ნელა დაახურა სახეზე. ეს იყო უკანასკნელად, რომ ბერლახი მას უყურებდა; ამ დროიდან მისი მტერი სამარის კუთვნილება იყო. ბერლახის გონება წლეების მანძილზე ერთი აზრით იყო დაკავებული: მოესპო იგი, რომელიც ახლა ამ ცივ, რუხი ფერის შენობაში მის ფერხთით იწვა, რომელსაც ჩამოცვენილი ბათქაში მსუბუქი, ნაზი თოვლივით ეფარა. და მოხუცს აღარაფერი აღარ დარჩა გადასაფარებლის გარდა, დავიწყების დამამცირებელი თხოვნის გარდა, რომელსაც გულის მოლბობა შეუძლია, გულისა, რომელიც დაუცხრომელი ცეცხლით იწვოდა.

ამის შემდეგ, იმავე დღეს, ზუსტად რვა საათზე, ტშანცმა ალტენბერგზე მოხუცის სახლში შეაბიჯა. მოხუცმა დაჟინებით სთხოვა ტშანცს, ამ საათისათვის მოდიო. ტშანცის გასაკვირად კარი ახალგაზრდა, თეთრწინსაფრიანმა მოსამსახურე გოგონამ გაუღო, ხოლო დერეფანში რომ შეაბიჯა შემწვარ-მოხრაკულის სუნი ეცა, სამზარეულოდან წყლის დუღილისა და თუხთუხის და ჭურჭლეულობის წკრიალის ხმა შემოესმა. მოსამსახურე გოგონამ ტშანცს მხრებიდან პალტო მოხადა. ტშანცს მარცხენა ხელი შეხვეული ჰქონდა; მიუხედავად ამისა, იგი მაინც მანქანით მოვიდა. მოსამსახურე გოგონამ სასადილო ოთახის კარი გაუღო და განცვიფრებული ტშანცი ადგილზე გაშეშდა: მაგიდა ორი ადამიანისათვის საზეიმოდ იყო გაწყობილი. სასანთლეში სანთელი ენთო, ხოლო მაგიდის მეორე ბოლოში, წყნარად მოფარფატე წითელი ალით განათებული ბერლახი სავარძელში სიმშვიდის შეურყეველი სურათივით ჩამჯდარიყო.

„დაჯექი, ტშანც“, შეაგება მოხუცმა სტუმარს და მაგიდასთან ახლო მიდგმულ მეორე სავარძელზე მიუთითა. გაბრუებული ტშანცი დაჯდა.

„არ ვიცოდი, რომ საჭმელზე შემოგესწრებოდით“, როგორც იქნა ამოღერღა ტშანცმა.

„შენი გამარჯვება უნდა ვიზეიმოთ“, მშვიდად უპასუხა მოხუცმა და სავარძელი გვერდით ისე მიწია, რომ ერთმანეთისთვის თვალებში ეცქირათ. შემდეგ ბერლახმა ტაში შემოჰკრა. კარი გაიღო და ლანგრით ხელში წარმოსადეგი, მსუქანი ქალი შემოვიდა; ლანგარი სავსე იყო სარდინით, კიბორჩხალებით, კიტრის, პამიდორისა და ოქროცერცვას სალათებით, ზევიდან კი მთასავით აღმართულიყო მაიონეზგადასხმული კვერცხი, აქვე ეწყო აგრეთვე ცივი საუზმე, ქათმის ხორცი და ორაგული. მოხუცმა ყველაფერს პირის გემო გაუსინჯა. ტშანცმა, რომელიც შესცქეროდა, როგორ უზარმაზარ ულუფებს ნთქავდა კუჭით ავადმყოფი, განცვიფრებულმა მხოლოდ კარტოფილის სალათი გადაიღო.

„რისი სადღეგრძელო დავლიოთ? იკითხა ბერლახმა. „ლიგერცერის?“ „კეთილი, ლიგერცერის იყოს“, მთვარეულივით უპასუხა ტშანცმა. მოსამსახურე გოგონა შემოვიდა და სასმელი დაასხა. ბერლახმა კვლავ ჭამა დაიწყო, პურიც გადმოიღო, ხარბად ნთქავდა სარდინს, წითელი კიბორჩხალას ხორცს, ცივ საუზმეს, სალათას, მაიონეზიან ცივად შემწვარ ხორცს ხამუშ-ხამუშ ხელებს შემოჰკრავდა და ისევ საჭმელს უბრუნდებოდა. ტშანცი ისე იყო განცვიფრებული, რომ ჯერ კარტოფილის ჭამაც არ დაემთავრებინა, ბერლახმა ჭიქა მესამეჯერ შეავსო.

„აბა, ახლა კი პაშტეტისა და ნოიენბურგის წითლის ჯერი დადგა“, წამოიძახა ბერლახმა. თეფშები გამოცვალეს, ბერლახმა თეფშზე სამი პაშტეტი გადმოიღო, პაშტეტი ბატის ღვიძლით, ღორის ხორცითა და ტრიუფელით იყო სავსე.

„თქვენ ხომ ავადა ხართ, კომისარო“, ბოლოს ყოყმანით წარმოთქვა ტშანცმა.

„დღეს არა, ტშანც, დღეს არა. მე ვზეიმობ, რომ ბოლოს და ბოლოს, შმიდის მკვლელი ამოვაჩინე!“

ბერლახმა მეორე ჭიქა წითელი დალია და მესამე პაშტეტის ჭამას შეუდგა, შესვენებებით ჭამდა, ამა ქვეყნის საჭმელს ხარბად აგზავნიდა სტომაქში, ყბებით ისე ფქვავდა, თითქოს

დემონი დიდი ხნის შიმშილს იოკებდა. კედელზე ბერლახის ორჯერ უფრო მეტი სიდიდის ჩრდილი იხატებოდა, ხელების ძლიერი მოძრაობაც, თავის ჩაღუნვაც, რომელიც ზანგთა ბელადის საზეიმო ცეკვას მიაგავდა. ტშანცი განცვიფრებული შესცქეროდა შემზარავ წარმოდგენას, რომელსაც სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფი თამაშობდა. ტშანცი გაუნძრევლად იჯდა, არც ჭამდა, ლუკმას არ იდებდა პირში, სასმელი პირთან ახლოს არ მიუტანია. ბერლახმა ხბოს კატლეტები, ბრინჯი, შემწვარი კართოფილი და მწვანე სალათა მოატანინა, შამპანურიც მოითხოვა. ტშანცი კანკალმა აიტანა.

„თავს იკატუნებდით“, ხრინწიანი ხმით თქვა ტშანცმა, „თქვენ ავად არა ხართ!“

ბერლახმა იმავე წუთს არ უპასუხა. თავდაპირველად გაიცინა, შემდეგ სალათის ჭამა დაიწყო, ფურცელ-ფურცელ ჭამდა. ტშანცმა ვეღარ გაბედა ამ საშინელი მოხუცისათვის მეორეჯერ ეკითხა.

„ჰო, ტშანც“, წარმოთქვა ბერლახმა ბოლოს, და თვალები უცნაურად აუკიაფდა, „თავს ვიკატუნებდი. მე ავად არასოდეს არ ვყოფილვარ“, და მან ხბოს ხორცის ნაჭერი ჩაიდო პირში, ჭამდა და ჭამდა, შეუჩერებლად, უმაძღრისად.

ამ დროს ტშანცი მიხვდა, რომ ვერაგულ მახეში გაება, რომლის კარები მის უკან ციხის კარებივით ჩაიკეტა. ცივმა ოფლმა დაასხა. საშინელება სულ უფრო და უფრო მაგრად უჭერდა ხელებს. შექმნილი მდგომარეობა მან ძალიან გვიან აღიქვა, უკვე თავის შველა აღარ შეიძლებოდა.

„თქვენ იცით, კომისარო“, წყნარად თქვა მან.

„დიახ, ტშანც, ვიცი“, თქვა ბერლახმა მტკიცედ და მშვიდად, მაგრამ ხმისთვის არ აუწევია, ისე, თითქოს სხვათა შორის ლაპარაკობსო. „შმიდის მკვლელი შენა ხარ“ შემდეგ მან შამპანურის ჭიქას ხელი წამოავლო და სულმოუთქმელად გამოსცალა.

„მე ყოველთვის ვხვდებოდი, რომ თქვენ ეს იცოდით“, ოხვრით, ძლივს გასაგონად თქვა ტშანცმა.

მოხუცს სახის გამომეტყველება არ შეცვლია. ისე თითქოს მას საჭმლის გარდა არაფერი არ აინტერესებდა, თეფში უმოწყალოდ აავსო ხელმეორედ ბრინჯით, წვენი დაისხა, ზედ ხბოს კატლეტების გროვა აღმართა. ტშანცი ერთხელ კიდევ ეცადა თავისთვის ეშველა და ამ საშინელი მჭამელისაგან თავი დაეცვა.

„ტყვია იმ რევოლვერისაა, რომელიც მოსამსახურეს უპოვეს“, ჟინიანად მტკიცედ ჩაურთო ტშანცმა. მაგრამ მისი ხმა იმედდაკარგულად ჟღერდა.

ბერლახის მოჭუტული თვალები ზიზღნარევად აკიაფდა. „სისულელეა, ტშანც. ზედმიწევნით კარგად იცი, რომ ის შენი რევოლვერია, რომელიც მოკლულ მოსამსახურეს ეჭირა ხელში. რევოლვერი მკვდარს შენ თვითონ ჩაუდე ხელში. მხოლოდ იმის აღმოჩენამ, რომ გასტმანი დამნაშავე იყო, ხელი შეუშალა შენი თამაშის ამოხსნას“.

„თქვენ მე ამას ვერასოდეს ვერ დამიმტკიცებთ“, იჭვნეულად აღიმაღლა ტშანცმა ხმა.

მოხუცი სავარძელში ისე გადაწვა, თითქოს ავადმყოფი და ჭიამკვდარი კი არ იყო, არამედ ძლიერი და აღუშფოთველი, განსახიერება ზეადამიანური უპირატესობისა, ვეფხვისა, რომელიც თავის მსხვერპლს ეთამაშებოდა; ბერლახმა შამპანურის ნარჩენი გამოცალა. შემდეგ მოსამსახურე ქალს, რომელიც განუწყვეტლივ შედიოდა და გამოდიოდა, ყველი მოატანინა; ყველს თან ბოლოკს, მჟავე კიტრსა და ხახვს აყოლებდა. სულ ახალ და ახალ საჭმელებს ნთქავდა, ისე თითქოს ერთხელ კიდევ და უკანასკნელად ტკბებოდა იმით, რასაც მიწა ადამიანებს უბოძებს.

„ტშანც, ნუთუ ჯერ კიდევ ვერა და ვერ მიხვდი“, თქვა ბერლახმა ბოლოს, „რომ შენი ნამოქმედარი შენ თითონვე დიდი ხანია გამოააშკარავე? რევოლვერი შენია, რადგან გასტმანის ძაღლს, რომელიც შენ მოკალი, მე რომ გადაგერჩინე, ამოუღეს იმ იარაღის ტყვია, რომელმაც ბოლო მოუღო შმიდს. შენ თვითონვე მომეცი არაპირდაპირი სამხილი, რომელიც მე მჭირდებოდა. შენი თავი თვითონ გაეცი, როცა მე სიკვდილს გადამარჩინე“.

„როცა მე თქვენ სიკვდილს გადაგარჩინეთ! იმიტომ იყო რომ ძაღლი ველარსად ვნახე“, დაუფიქრებლად უპასუხა ტშანცმა. „თქვენ იცოდით, რომ გასტმანს სისხლისმსმელი ძაღლი ჰყავდა?“

„ჰო, მარცხენა ხელი ნაჭრებით მქონდა შეხვეული“.

„შემდეგ თქვენ აქაც მახე დამიგეთ“, წარმოთქვა მკვლელმა ძლივს გასაგონად.

„ამითაც. მაგრამ პირველი საბუთი მაშინ მომეცი, როცა პარასკევს ინსიდან ლიგერცში წამიყვანე, რათა „ლურჯი ქარონის“ კომედია გაგეთამაშებინა. შმიდი ოთხშაბათს ცოლიკოფენის გავლით მიემგზავრებოდა, ეს მე ვიცოდი, რადგან იმ ღამით იგი ლისოს გარაჟში გაჩერდა“.

„თქვენ ეს საიდან იცით?“ შეეკითხა ტშანცი.

„სრულიად უბრალოდ, ტელეფონით დავრეკე. ვინც იმ ღამით ინსისა და ერლახის გავლით იმგზავრა, მკვლელიც ის იყო: შენ, ტშანც. შენ გრინდელვალდიდან მოდიოდი. აიგერის პანსიონატშიც ჰყავთ ცისფერი მერსედესი. შენ კვირეების მანძილზე უთვალთვალებდი შმიდს, ყოველ მის ნაბიჯს ზომავდი, გშურდა შმიდის ნიჭი, წარმატებები, განათლება, გოგონა. შენ

იცოდი, რომ იგი გასტმანით იყო დწკავებული, ისიც იცოდი, გასტმანთან იგი სტუმრად როდის დადიოდა, მაგრამ ის კი არ იცოდი, რატომ დადიოდა. ამ დროს შენ ხელთ ჩაგივარდა საქაღალდე დოკუმენტებით, რომელიც შმიდის მაგიდაზე იდო. გადაწყვიტე, საქმე შენ გეწარმოებინა და შმიდი მოგეკლა, რათა წარმატება წილად შენ გხვდომოდა. შენ სწორად ფიქრობდი, შენთვის ადვილი იქნებოდა გასტმანი მკვლელობაში გემხილებინა. როგორც კი გრინდელვალდში ცისფერი მერსედესი დაინახე, შენ უკვე იცოდი, როგორ მოქცეულიყავი. ოთხშაბათს ღამით მანქანა ითხოვე. ეს რომ დამედგინა, ამისთვის გრინდელვალდში წასვლა მომიხდა. შემდეგ რაც მოხდა, ეს უკვე უბრალო ამოსახსნელია: შენ ლიგერცის გავლით შერნელცისაკენ გაემგზავრე და მანქანა ტვანის ტყესთან გააჩერე, ხეობის გავლით ტყე გადაჭერი, რითაც შენ ტვანი-ლამბოენის გზაზე გამოსვლა მოახერხე. შმიდს კლდესთან უცდიდი, მან შენ გიცნო და განცვიფრებულმა მანქანა გააჩერა. შმიდმა კარი გააღო და შემდეგ შენ იგი მოკალი. ეს შენ თვითონ მომიყევი. და შენ შეიძინე ის, რაც გსურდა: შმიდის წარმატებები, მისი თანამდებობა, მისი მანქანა და მისი მეგობარი ქალი“.

ტშანცი ყურს უგდებდა ჭადრაკის გულქვა მოთამაშეს, რომელმაც იგი დაამამათა და ახლა საშინელ ვახშამს ამთავრებდა. სანთლები უფრო მოუსვენრად იწვოდნენ, სინათლე ორი კაცის სახეზე ფართფატებდა, ჩრდილები შესქელდა.

სამარისებური სიჩუმე სუფევდა ამ ღამისეულ ჯოჯოხეთში, მოსამსახურე ქალები უკვე აღარ შემოდიოდნენ.

მოხუცი ახლა გაუნძრევლად იჯდა, თითქოს არც სუნთქავდა, მოფართფატე სინათლე სულ უფრო და უფრო ახალ ტალღებად ეკვროდა გარს, წითელი სინათლე, რომელიც მის რკინის შუბლსა და სულზე იმსხვრეოდა.

„თქვენ ჩემთან თამაშობდით“, ნელა თქვა ტშანცმა.

„მე თქვენთან ვთამაშობდი“, საშინელი სერიოზულობით უპასუხა ბერლახმა. „სხვაგვარად არ შემეძლო. შენ მე შმიდი მომიკალი და მე შენ უნდა ამეყვანე“.

„რათა გასტმანი მომეკლა“, დაუმატა ტშანცმა, რომელიც მთელ სიმართლეს ახლაღა მიხვდა.

„სწორია. ნახევარი ცხოვრება შევალიე, გასტმანი რომ მემხილებინა, ხოლო შმიდი ჩემი უკანასკნელი იმედი იყო. მე მივუსიე იგი ადამიანის სახის ეშმაკს, კეთილშობილი ნადირი ველურ მხეცს. მაგრამ შემდეგ შენ მოხვედი, ტშანც, შენი სასაცილო, დანაშაულებრივი პატივმოყვარეობით და ჩემი ერთადერთი შანსი გაანადგურე. მაშინ მე შენ აგიყვანე, შენ, მკვლელი, და ჩემს უსაშინელეს იარაღად გაქციე, რადგან შენ ეჭვი გერეკებოდა, მკვლელს მკვლელი უნდა მიეკვლია. ჩემი მიზანი შენს მიზნად ვაქციე“.

„ეს ჩემთვის ჯოჯოხეთი იყო“, წარმოთქვა ტშანცმა.

„ეს ჩვენთვის ორივესთვის ჯოჯოხეთი იყო“, შემზარავი სიმშვიდით განაგრძო მოხუცმა. „ფონ შვენდის ჩარევამ უკიდურესობამდე მიგიყვანა, რადაც არ უნდა დაგჯდომოდა გასტმანისათვის, როგორც მკვლელისათვის ნიღაბი უნდა აგეხადა, კვალიდან ყოველ გადახვევას, რომელსაც გასტმანისკენ მივყავდით, შეეძლო შენი გამოაშკარავება. მხოლოდ შმიდის საქაღალდეს შეეძლო შენი შველა. შენ იცოდი, რომ საქაღალდე მე მქონდა, მაგრამ არ იცოდი, რომ გასტმანმა წაიღო. ამიტომ იყო რომ კვირას, გამთენიისას თავს დამესხი. შენ მოსვენება იმანაც დაგაკარგინა, რომ გრინდელვალდში წავედი“.

„თქვენ იცოდით, რომ მე დაგესხით თავს?“ უჩუმრად თქვა ტშანცმა.

„პირველივე წუთებიდან ვიცოდი. ყველაფერს, რასაც მე ვაკეთებდი, ერთი მიზანი ჰქონდა, უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიმეყვანე. და როცა სასოწარკვეთილება გაიზარდა, შენ ლამბოენში წახვედი, რათა გამოსავალი მოგეძებნა“.

„გასტმანის ერთ-ერთმა მოსამსახურემ დაიწყო სროლა“, თქვა ტშანცმა.

„კვირა დილით მე გასტმანს ვუთხარი, რომ ისეთ ვინმეს გამოგიგზავნი, რომელიც შენ მოგკლავს-მეთქი“.

ტშანცი შექანდა. რაღაცამ ყინულივით ცივად დაუარა ტანში. „მე და გასტმანი როგორც ნადირები ისე მიგვასიეთ ერთმანეთს!“

„მხეცი მხეცის წინააღმდეგ“, მოისმა მეორე სავარძლიდან.

„ესე იგი თქვენ მოსამართლე იყავით, ხოლო მე ჯალათი!“, ამოიოხრა მეორემ.

„ასეა“, უპასუხა მოხუცმა.

„და მე, რომელიც თქვენს სურვილებს ვასრულებდი, მინდოდა და თუ არა, დამნაშავე ვარ, ისეთი ადამიანი ვარ, რომელსაც დევნიან!“

ტშანცი წამოდგა, თავისუფალი მარჯვენა ხელით მაგიდას დაეყრდნო. მხოლოდ ერთი სანთელიღა ენთო, ტშანცი ანთებული თვალებით სიბნელეში მოხუცის ეამოსახულებას ეძებდა, მაგრამ მხოლოდ უჩვეულო შავ ჩრდილს ხედავდა. გაუბედავად და ხელის ფათურით წაიღო კოსტუმის ჯიბისაკენ ხელი.

„თავი დაანებე მაგას“, გაიგონა ტშანცმა, მოხუცის ნათქვამი. „აზრი არა აქვს. ლუტცმა იცის, რომ შენ ჩემთან ხარ, მერედა ქალებიც ჯერ სახლში არიან“.

„ჰო, ამას აზრი აღარა აქვს“, წყნარად უპასუხა ტშანცმა.

„შმიდის საქმე დასრულდა“, თქვა მოხუცმა ოთახის სიბნელიდან. „მე შენ არ გაგცემ. მაგრამ ახლა წადი! საითაც გინდა! მე აღარ მსურს მეტად შენი დანახვა, საკმარისია, რომ მე გასამართლებ, წადი! წადი!“

ტშანცმა თავი ჩაღუნა და ნელა გავიდა გარეთ, ღამეში გაუჩინარდა, როცა სახლის კარი ციხის კარებივით მიიკეტა და ოდნავ მოგვიანებით გარეთ მანქანა ამუშავდა, სანთელიც ჩაქრა, რომელმაც თვალებდახუჭული მოხუცი ერთხელ კიდევ მკვეთრი ალის სინათლეში ჩანთქა.

ბერლახი მთელი ღამე სავარძელში იჯდა, არ ამდგარა, არც წამოწეულა. სასწაულებრივი, ხარბი სასიცოცხლო ძალა, რომელმაც მასში ერთხელ კიდევ ძლიერად იფეთქა, ჩაიფერფლა და ხრული გაქრობით იმუქრებოდა. სულელური სიმამაცით ერთხელ კიდევ გაბედა მოხუცმა თამაში, მაგრამ ერთ საკითხში მან მოატყუა ტშანცი, ხოლო როცა ადრე დილით, ალიონზე ოთახში ლუტცი შემოიჭრა და აღელვებულმა დაიწყო, ლიგერცსა და ტვანს შორის გადაბრუნებულ მანქანაში მკვდარი ტშანცი ნახესო, მან სავარძელში სასიკვდილოდ ავადმყოფი კომისარი იპოვა. ძლივძლივობით მოახერხა მოხუცმა ეთქვა, ჰუნგერტობელს შეატყობინეთ, დღეს სამშაბათია და შეგიძლია ოპერაცია გამიკეთოთქო.

„მხოლოდ ერთი წელი“, მოესმა ლუტცს მოხუცისაგან, რომელიც ფანჯრიდან შუშისებურ დილას მიშტერებოდა. „მხოლოდ ერთი წელი“.

თარგმანი გერმანულიდან ნოდარ რუხაძისა

## სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

გიორგი სანადირაძე

# რეპორტაჟი საუკუნის მაგისტრალიდან

წერილი მეშვიდე, ოდა მდინარეს

რა საცოდავი სანახავია შემოდგომისეული ბალახი — განსაკუთრებით აქ, ამ უზარმაზარ მშენებლობაზე! იგრიხება და იწმაწნება ლითონთა მძიმე კონსტრუქციების ქვეშ. გგონია, გაისრისა, აიღლვიბა მიწასთან ერთად. მაგრამ, დახე! ისევ გამოიწვერება და ეპოტინება მზეს. მზესაც უკანასკნელი სურნელი გამოუწურავს მისგან. და ეს სურნელი დამათრობელი და მოტკბო, მოსდებია მთელ ტაფობს. მქუშე ღერებში ქარი დაჟღრიალებს. ეს ჟღრიალი ღვინობისთვის უკანასკნელი ამოგმინვა უფროა, მიწაზე გახახუნებული ხმელი პიწკებისა და გირჩების ტკაცუნით შეზავებული.

ყველაფერი დუმს, ყველაფერი გარინდულა. სინამდვილეში ატყობ — გარდაცვალების ჟამია. ულვთო, გარდუვალი.

იძარცვება ბუნება, იძარცვება რაღაც შეუცნობი ძალით.

ეს ქართველ ბამელთა პირველი შემოდგომაა, პირველი შემოდგომაა პაწია მდინარე ნიაზე!

ხომ გაგიგონია — ბევრი მდინარე ბედით ადამიანს ჩამოგავსო. ზოგი წყალუხვია, ზოგი — ტანმომცრო, ზოგს თვით ისტორიამ აკუთვნა დიდების კვერთხი, ზოგიც მოკრძალებულია, ჩრდილშია მოქცეული.

მდინარე, რომელზედაც მინდა გიამბოთ, ჯერჯერობით არც ერთ რუკაზე არაა აღნიშნული. გგონია, გამორჩათ და იმიტომ? როგორ გეკადრება! იგი იმდენად პატარაა, სტანდარტებად მიღებულ მასშტაბებს ვერ მიუსადაგებ. არადა, გავა დრო (სულ ცოტა რაღაც 7-8 წელი) და ამ მდინარის პირას ლამაზი, თანადროული კოტეჯებით, შეიძლება ცათამჯენებითაც დამშვენებული ქალაქი წარმოჩინდეს. გახსოვს, ზღაპრებისათვის დამახასიათებელი დეტალი — „ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მის წინ მოულოდნელად თვალწარმტაცი ქალაქი დაიბადა“,.. მაგრამ ის, რაც ზღაპარში ხელის ერთი გაქნევით ხერხდება ხოლმე, ჩვენს სინამდვილეში თავდადებული შრომითა და ზოგჯერ გაუგონარ სიძნელეთა გადალახვით იღებს რეალურ სახეს.

დიდხანს იწანწკარა ნიამ მოწყენით — ჯერ კლდემ მოუნდომა გასრესა, მერე ბუჩქნარმა, გვალვობისას მარტოსულს ცხენირმების ჯოგმა კინაღამ მოუღო ბოლო, მაინც დარჩა რაღაც, სხივთა ნალანდი, ნამარგალიტევი, ვერცხლის ლაპლაპა ზოლი. დარჩა და იწყო დენა. წვიმა წაეხმარა, ბინული წაეხმარა და იქ,

---

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 1.

სადაც ახლა ქართველ ბამელთა დასახლება (რამდენიმე საცხოვრებელი ვაგონი, „ბიტოვკა“, და სალებავშეუმშრალი ორიოდე სახლი) იღებს სათავეს, ნია უკვე პაწია მდინარედ ითვლება.

ახლა, მოდი, ადამიანის სიცოცხლისეული კანონით გადავსინჯოთ იგი.

გინახავს მდინარის საწყისი, ე. ი. სათავე?

**თუ** გინახავს, არ შეიძლება შენი გაოცება არ გამოეწვია ძლივს შესამჩნევ, მიწის სიღრმიდან ფეთქვით ამოსროლილ ვერცხლისფერ ზოდებს.

ერთი ამოფეთქვა — ერთი პეშვი წყალი, ორი ამოფეთქვა — ორი პეშვი წყალი, ბოწვერათი მოხავერდებულ კენჭებს შორის რომ მიწანწკარებს.

უხსოვარი დროიდან ასეა. ვულმოდგინეობს დედო-ბუნება. რუდუნებს ჩუმად, თავისთვის — უბის წიაღიდან ამოსროლილ ჩქერს სათუთად არწევს და მასწორ სავალსაც უჩენს...

ახალშობილია მართლაც!

**უბრალო** ხელშეხებისაც გერიდება — ძალზე სათუთია და მყიფე. უფრო იქით კი — ჰე, როგორ ჰგავს მისი ლიკლიკი უდარდელ ბავშვობას... მორბის, მოცქრიალებს, მოხტუნავს, ხან იცინის, ხან ქვაზე იტკენს ფეხს, ხან ეცემა და აღზევდება ისევ...

რაოდენი სიმტკიცე და ძალაა საჭირო დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად!

მაგრამ ადამიანის გარეშე არაფერია მდინარის ფასი. მხოლოდ ადამიანთან ურთიერთობაში პოულობს იგი ნამდვილ ბედნიერებას.

ფაქტი გნებავს?

**ნუ** ჩამითვლი გაზვიადებად, ამისთვის ნიაზე უნდა ჩამოხვიდე, საკუთარი თვალით ნახო მისი შემოგარენი, უმწვანეს (საოცარი სიმწვანეა სწორედ!) ტალღებში მოსრიალე ხარიუსს უდარაჯო, მერე კოცონის პირს წამოწვე, ხელები თავქვეშ შემოიწყო და ითვალო შორით მოციმციმე ვარსკვლავები...

ნიაზე მცხოვრებნი იშვიათად იცლიან კოცონთან ხანებივროდ. ტაიგის მდინარეს შრომისმოყვარე, დაუზარელი ადამიანები უყვარს. მაგრამ თუ ხდება ხოლმე, ახალგაზრდები კოცონთან მოიყრიან თავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ნიაზე რაღაც დღესასწაულია — ან მორიგ შრომით გამარჯვებას აღნიშნავენ ქართველი ბამელები, ანდა ახალ ოჯახს ეყრება საფუძველი.

ჩუმი, თავმდაბალი მდინარეა ნია, საუკუნეობით გარინდულ გარემოში იშვა და იმიტომ. მაგრამ აქაურ მდინარეთაგან იმით განსხვავდება, რომ ყინულს არ იკარებს... ჩაიკარგება თოვლის სამოსში, ჩაიფუთნება, თითქოს გაქრა, წაიშალა უკვალოდ... სინამდვილეში ისევ ტოკავს, ისევ ფეთქავს მაცოცხლებელი ძარღვი.

პირველად სწორედ ასეთი (თოვლში ჩაკარგული) ნახეს იგი ჩვენმა ბიჭებმა. მგონი, აპრილის პირველ რიცხვებში იყო ეს, წლევანდელი (ე. ი. 1975 წლის) აპრილის პირველ რიცხვებში. ქართველთა სამშენებლო მატარებელი ანზორ დვალიშვილმა ჩაიყვანა უსტ-კუტში. ჩაიყვანა და უჩვეულო სანახაობა გადაეშალა: ბაიკალისპირეთს გაზაფხული ნაადრევად სტუმრებოდა. ამას მეტეოროლოგიური სამსახურის გარდა. ჰაერში აბოყირებული თოვლიც ადასტურებდა. თოვდა მსხვილად, ხვავრიელად და უჩვეულოდ თბილოდა, ე. ი. ჰაერის ტემპერატურა ნული გახლდა. ხოლო რას ნიშნავს ბაიკალისპირეთისათვის ნული გრადუსი, ეს საკუთარ თავზე თუ არ გამოცადე, თუ ჭყაპში არ გაბოტე, ვერაფერს მიხვდები.

გაზაფხული ყველას უხარია. მაგრამ მისმა ასეთმა ვერაგულმა მოძალებამ მრავალი, მე ვიტყოდი, გაუთვალისწინებელი საზრუნავი გაუჩინა სამშენებლო მატარებლის უფროსს. უფრო მეტიც — იგი შეშფოთებული ჩანდა. მატარებლის მთელი ტვირთი ხომ ლენის მარჯვენა ნაპირზე უნდა გადაეტანათ!

იტყვი, რა დიდი ამბავი ეგ არისო. იტყვი და შეცდები.

საქმე ის არის, რომ ამ ტვირთის გადასატანად იმხანად (ახლა ხიდია!) გაყინულ ლენას იყენებდნენ. თუ ყინული შეთხელდა, მერე კარგად მეყოლე, იჯექი ნაპირზე და ელოდე, ხელმეორედ როდის შეიჭავშნება მისი ზედაპირი. ეს კი დაახლოებით დეკემბრის შუა რიცხვებში ხდება.

იდგა ანზორ დვალიშვილი ბაქანზე, უყურებდა ეშელონებით გაჭედილ სარკინიგზო კვანძს და სული აფორიაქებული ჰქონდა. არც ამწე ჩანდა სადმე და არც გადმოსატვირთი ბაქანი იყო მომზადებული. სადგურზე სამოცზე მეტი ეშელონი იყო სასწრაფოდ გადმოსაცლელი. ამ ტვირთს ტაიგა ელოდა. ტაიგაში კი მხოლოდ ლენის მეოხებით თუ მიაღწევდი.

დრო არ ითმენდა, სულ უფრო და უფრო თხელდებოდა ყინულის ჯავშანი.

„ამწე თუ არ ვიშოვეთ, დავიღუპებით“, ფიქრობდა ანზორი.

რაც თავი ახსოვდა, სულ დიდ მშენებლობაზე მუშაობდა. მაგრამ ამწის ასეთი გაჭირვება არასოდეს დასდგომია. არადა, შიშველი ხელით ვერ გადმოტვირთავდი მძიმე სამშენებლო ტექნიკას!

გრძნობდა: დაახლოებით ასეთსავე დღეში იყვნენ სამშენებლო მატარებლის სხვა წევრებიც. დიდი ფაცი-ფუცი ჰქონდათ. და სწორედ მაშინ, როცა ამწის შოვნის იმედი საბოლოოდ გადაეწურათ, ვიღაცამ დაიძახა: „არის! არის გამოსავალი!“.

ჰე, მერე რამდენჯერ გაუხსენებია ანზორს ის საშინელი, არეული ღამე, როცა ბაქანზე სახელდახელოდააწყვეს ავტოამწე და მისი მეშვეობით გადმოიტანეს მოძრავი ელექტრო-

სადგური. განათების გარეშე სხვა აზრი არ ჰქონდა მუშაობას!

ნიკუშ! მე მახსოვს, როგორ შემომჩივლე ერთხელ, როცა მშენებლობაზე (მესამე შრომითი სემესტრი არ შემოიღეს უმაღლეს სასწავლებლებში?!) მუშაობდი და მოულოდნელად მოვარდნილ თქეშში ერთიანად ამოილუმპე. მეორე დღეს შენ ექიმთანაც იყავი ცნობისათვის, გაგიჭირდა და იმიტომ.

გაუჭირდათ ჩვენს ბიჭებსაც.

აბა, წარმოიდგინე: უცხო, ციმბირული სადგური. თანაც ღამე და საშინელი თოვლ-ჭყაპი! აი, ასეთ პირობებში უხდებოდათ ბიჭებს მუშაობა. მაგრამ არც ერთს არ დასცდენია საყვედური...

გახსოვს, პავკა კორჩაგინი? რა დღეში იყო ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობაზე?! (პარალელს ვავლებ?) მაპატიე, ასე მგონია, ამ სტრიქონების წაკითხვისას ღიმილს გადაგიორბენს, სად კორჩაგინის პირობები და სად ჩვენი! მართალი ბრძანებაა. კორჩაგინის ეპოქიდან დღევანდლამდე ათეული წლების ინტერვალი გვაშორებს. პავკას თანატოლები ერთიანად გაჭაღარავებული დადიან ჩვენს შორის. ბევრიც ცოცხალი არაა. რას იზამ — ბერდება ადამიანი. მაგრამ არ ბერდება კომკავშირი. და, იცი, რატომ? იმიტომ, რომ ყველა იმ საუკეთესო თვისებით სუნთქავს, რაც განვლილ ახალგაზრდობას ჰქონია. მან ეს საუკეთესო თვისებები ყველა ჩვენთაგანს გადმოსცა პაწია, ხეშეშუდიან წიგნაკთან ერთად. იგი თითქოს უბოლოო, უსაწყისო საცავია სულიერი და მატერიალური საგანძურისა. აჰა, ღიაა შენს წინ ამ საგანძურის კარი, სწორად, უნარიანად გამოიყენე და შენზე ბედნიერი არავინ იქნება ქვეყანაზე.

აი, ასეთი აზრი დამებადა, როცა ქართველ ბამელთა პირველ ნაბიჯებზე ვფიქრობდი, ეს ნაბიჯები იმ ადამიანებს ეკუთვნოდა, რომელთაც კორჩაგინისაგან გადმოეღოთ ყველაზე მთავარი — სიცოცხლის სიყვარული. თუ კაცს შეგნებული არა აქვს თავისი ყოფის, თავისი არსებობის სილამაზე, კაპიკია მისი ფასი. ეს სილამაზე რომ არა, იქნებ, საერთოდ, არც ღირდეს სიცოცხლე?

...მაშინ, როცა დაღლილ-დაქანცული რაზმი ძლივს მიიკვლევდა გზას უხსოვარი დროიდან უვალ ტაიგაში, ბიჭები (რა დასამალია!) თბილ, მყუდრო სახლებზე ოცნებობდნენ, ფუმფულა, მზის სუნით გაჟღენთილი ლოგინი ენატრებოდათ და რა შერჩათ? სამი პატარა ვაგონი, ადრე, მაძიებელთა დაგულებულ ტაფობზე რომ განლაგებულიყო. აი, მათი გათოშილი ხელების, შიმშილისა და უძილო ღამეების კომპენსაცია! მაგრამ არ დაუწუწუნიათ. ისევ უხმოდ აკეთებდნენ თავის საქმეს: ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ, ჭრიდნენ ხეებს, გაჰყავდათ გზა... ისე იქანცებოდნენ, ლაპარაკის თავიც არ ჰქონდათ. მაგრამ განათლებოდა თუ არა, ტაიგას ჭაბუკების ხალისიანი შეძახილი გამოაცოცხლებდა.

ხუპ, ხუპ! — ხმაურობდა ხერხი.

მერე იყო ნია.

ესაა მდინარე? გული გაუტყდათ ბიჭებს.

მიმოიხედეს, გაიარ-გამოიარეს, მდინარესთან მისასვლელი გაკეთეს და უცებ:

ცოცხალი არ ყოფილა?!

ეს მდინარეზე თქვეს, ცოცხალიო. და იცი რატომ? ამ მარადიული გამყინვარების ზოლში ისევ ფეთქდა, ისევ სცემდა მისი ცისფერი ძარღვი!

უხსოვარი დროიდან ასე ყოფილა: უშენ მიწას ფეხს დაადგამს თუ არა ადამიანი, მაშინვე ღამის გასათევზე ფიქრობს. ქართული რაზმი ნიაზე დიდი ხნით მოვიდა. მას დროებითი თავშესაფარი კი არა, მყარი ჭერი სჭირდებოდა.

როგორც ვთქვი, მიმოიხედეს ბიჭებმა: მარჯვნივაც და მარცხნივაც ტყე იყო. ჩრდილოეთიდან ტანმარჩხი მდინარე მოედინებოდა. ლამაზი მდინარე, ლამაზი თოვლით დაბურული და ლამაზი სახელიც ერქვა — ნია. სწორედ მის ახლოს დაიდგა პირველი სახლი. ხოლო, სადაც სახლი დგას, იმ ადგილსაც სახელს არქმევს ადამიანი. ასეა მთელს საქართველოში. პაწია სოფელი რომ სოფელია, იმასაც იმდენი გასახელებული კუთხე-კუნჭული აქვს, პირდაპირ გაოცებს ადამიანის ფანტაზია.

ნიასაც აქვს თავისი გასახელებები. ამაზე ცოტათი ქვევით მოგახსენებთ. ჯერჯერობით კი იმ დროისკენ გავიხედოთ, როცა (ასეთი რამ პირველად მოხდა ტაიგაში) შვეულმფრენმა ბაგირით გამობმული საცხოვრებელი სახლი ჩამოიტანა. ამ სახლს მერე სხვა სახლი მიემატა, და ახალმოსულებმა კეთილმოწყობილ ქუჩაზეც დაიწყეს ფიქრი.

ახლა, როცა ტაიგაში სამუშაო დღე დამთავრდა და იგი ცხენირმებისა და სიასამურების ამარა დარჩა, ერთ-ერთი სახლიდან გავყურებ „ქუჩას" (სიგრძე — სამასი მეტრი, სიგანე — თორმეტი მეტრი. ეს ხეფენილი ჯერჯერობით უმთავრესი და ერთადერთი საშუალებაა ფეხით მოსიარულეთათვის). გარეთ გრილა. საკმაოდაც. აქ ღუმელი ღუღუნებს — მადლობა ღმერთს, შეშა თავზესაყრელია! — და ტკბილ ბურანში მხვევს.

რაზე ვფიქრობ?

ახლავე მოგახსენებ.

მე ბევრ ახალგაზრდას ვიცნობ, შინიდან გამოსვლა რომ ეზარება. გგონია, სიზარმაცით მოსდის ეს? ანდა, არაფრისაკენ არ მიუწევს გული? ნურას უკაცრავად. ყველაფერი შინა აქვს: საჭმელ-სასმელი, კომფორტი. თუ ტელევიზორში ხეირიანი გადაცემა არ არის, მაგნიტოფონით იქცევს თავს... ცუდია ვითომ ეს?

ანდა გგონია, კომფორტის წინააღმდეგ ვაპირებ ახლა გამოსვლას? არ შეშინდე, ნიკუშ. ეს არის, რომ ასეთ კომფორტულ (მაპატიე) ბუნაგებში შეყუჟული „დედიკოს შვილები“ მეცოდებიან. ნაადრევად იბერებენ თავს და იმიტომ. ერთ მშვენიერ დღეს მოყირჭდებათ ვარდისფერი ბურანი, ნაღდი საქმისაკენ გაუწევთ გული, მაგრამ გვიან იქნება — ახალგაზრდული წლები ხომ ფაფუ, გაფრენილა!

ნიკუშ, გახსოვს გეოგრაფიის მასწავლებელი?

რა კეთილი და ხათრო ქალი იყო. მთელი ცხოვრება, ალბათ, ქალაქიდან ერთხელაც არ გასულა. ჩვენ კი „პრჟევალსკი“ შევარქვით. პრჟევალსკის მოგზაურობებზე გვიყვებოდა და იმიტომ. ჰოდა, აქ, შორეულ ნიაში (არ გაგეცინოს!) მისი მრავალი ნაამბობიდან (რა თქმა უნდა, პრჟევალსკიზე!) აი, რა გამახსენდა: შინ დაბრუნებული, ხიბერეს მიტანებული პრჟევალსკი ვერ ეგუებოდა ოჯახურ სიმყუდროვეს და მთელი დღეები ტყე-ტყე დაეხეტებოდა. ხოლო რბილ, ლუღუნა საწოლს იაკების კუდებით გატენილი ტომარა ერჩივნა. აკვიატება იყო ვითომ ეს? მე მგონი, რაღაც შინაგანი წინააღმდეგობა, რითაც დიდი მოგზაური წამოპარული სიბერის მოტყუებას ცდილობდა.

მიხვდი, რის თქმა მინდოდა ამით? მიხვდი?

ახლა კი, მოდი, ნიას ნაპირას გაგასეირნებ... თორემ შეიძლება გადაიღალე ამდენი „ფილოსოფიით“.

აქ ხომ სწორედ ის ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც ყოველ წუთს, ყოველ საათს, გრძნობენ არსებობის სილამაზეს! გითხარი, რომ აქ სამასი მეტრის სიგრძის ხეფენილი ქუჩის მაგივრობას სწევს? მაგრამ ის არ მითქვამს, ალბათ, რომ ამ ქუჩას, პირველგამყვანთა უფლებით, თბილისის ქუჩა ეწოდა. ეს პირველი ქუჩაა ნიაში.

აქ შეხვდები რუსთაველის პროსპექტს, ელბაქიძის დაღმართს... ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ყველაფერი წინაა.

რაც მთავარია, მას უკვე აქვს საკუთარი აეროპორტი.

„ბიჭებო, ჰაერი!“ — დღეში ვინ უწყის, რამდენჯერ ისმის ასეთი გაფრთხილება და მთელი დაბა (ვინც თავისუფალია!) — ვერტდრომისაკენ გარბის — შვეულმფრენებს ხომ ტვირთი მოაქვთ!

დიდი ხიფრთხილე და გაწაფულობა გჭირდება შვეულმფრენის გადმოტვირთვისას. მფრინავები მუდამ ჩქარობენ. არ ახშობენ ძრავებს, და ახე — გუგუნში, ფაციფუცსა და მხიარულ შეძახილებში მკვიდრდება ნიაში სიცოცხლე!

თბილისის ქუჩა სწორედ ამ ვერტდრომიდან იღებს სათავეს. მრგვალი ბოძკინტებისაგან შეკრული, იგი მთავარი საწყობისაკენ მიემართება, იქ ერთბაშად მარცხნივ უხვევს და მთელ დაბას ტაიგასთან აკავშირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას შეხვდები ამ ქუჩაზე?

მოგშივდა? აგერ, ბატონო, სასადილო. — ჭამე, რამდენიც გინდა! მაგრამ თუ ფულის გადასახდელად გაიქაჩე, არ გეწყინოს, თუ გურამ აბულაძის განრისხებულ მზერას წააწყდე. აქ ხომ კომუნაა! მაგრამ მადლობის თქმა სავალდებულოა. იცი, რატომ? გურამი და მისი პარტნიორი ნადია კოვალენკო ისეთ გემრიელ კერძებს ამზადებენ, თითებს ჩაიკვნეტ. თანაც, არ დაგავიწყდეს, ყველა კერძს „ქართული“ არომატი დაჰკრავს! საკაზმი, ჩვენებური, ჩვენს მიწაზე მოწეული, ხომ იცი, რა ჯადოქრობას ანიჭებს შეჭამადს!?

აქ მიამბეს: შვებულებიდან დაბრუნებისას გურამს ორი ჩემოდანი ქინძი, ნიახური, ზაფრანა, რეჰანი, ქონდარი, ომბალო, და, რა ვიცი, რა არ წამოუღია შინიდან, აეროპორტის თანამშრომლებს ქორვაჭარი ჰგონებიათ და კინაღამ მილიციის განყოფილებაში უკრეს თავი. ბამელობამ და მზარეულის მოწმობამ უშველა. როცა ამ ამბავს იგონებენ, სიცილით იჭაჭებიან ბიჭები. „მაშ, ქინძის გადამყიდველად მოგვნათლეს? აბა, რა იციან, რომ ამ პაწაწკინტელა მარცვლებს ფასი არა აქვს! მოვიდნენ, ნახონ, რას ნიშნავს მისი სურნელი ჩვენთვის...“

თბილისის ქუჩის მარჯვენა მხარეზე საცხოვრებელი „კორპუსები“ განლაგებულა. ეს კარვების თავისებური კვარტალია, სახურავებში გაჩრილი აბოლებული სიგარებით (თუნუქის მილებით). ხოლო რაკი სიგარები ბოლავენ, მაშასადამე, მათ ირგვლივ სიცოცხლეც დუღს.

რა არის აქ ყველაზე სამძიმო?

ჰავა?

არა, ჰავა აქ შესანიშნავია — მშრალი, სუფთა. ზამთრობით დიდი ყინვებია. მაგრამ, თუ ქარი არ ქრის, უკეთესს რას ინატრებ! გამაჯანსაღებელი კურორტია სწორედ.

ახლა მუშაობის პირობებს არ იკითხავ?

ესეც მოწესრიგებულია. არაფერზე არ დაგაწუწუნებენ.

რაღა გრჩება?

კეთილსინდისიერი შრომა, რომელიც კარგ მატერიალურ ანაზღაურებას გაძლევს — საშუალო თვიური ხელფასი 600 მანეთია.

მაშ, რა ყოფილა ყველაზე სამძიმო?

მშობლიური კერისაგან შორს ყოფნა.

მაგრამ ბამელ კაცს შინ წასვლა რომ შეხთავაზო, შეურაცხყოფად მიიღებს, — შინაც ვერ გაძლებს.

წარმოგიდგენია? აქაურებს ერთი სული აქვთ, ვიდრე შვებულებას აიღებდნენ, ხოლო როცა შვებულებაში არიან, ერთი სული აქვთ, როდის დაბრუნდებიან უკან, ტაიგაში, იქნებ, ამ უცნაურ ურთიერთკავშირშია ის მარადი აზრი, რასაც ჩვენ არსებობის სილამაზეს ვეძახით?!

## წერილი მერვე. წინას გაგრძელება, ანუ კომუნა ტაიგაში

ამბობენ, ცხოვრება მდინარესავით მიედინებაო.

მოდი, შევაბრუნოთ ეს გამოთქმა: — განა თვით მდინარეც არ მიედინება ცხოვრებასავით? მასაც ხომ აქვს თავისი საზრუნავი, მოვალეობანი!?

ჩუმად, უხმაუროდ მოედინება ნია. ზაფხულში მუხლს ზემოთ ძლივს მოგწვდება მისი ჩქერი. მაგრამ რა გრილი და რა სასიამოვნოა ეს შეხება, რამდენ ხაოცრებასა და სილამაზეს იტევს მისი უბე, რამდენ სამეფო თევზს — ტაიმენს ინახავს დარანებში... აპურებს ირემს, დომბას, ხიახამურს... ნადირ-ფრინველი აქ იმდენია, მოსაწყენად ვერ მოიცლი!

გესმის? ბოლოქანქარამ გადაიფრინა ჭავჭავით!

ეს კი როჭოს გამყივანი ხმაა...

ეს კი...

აბა, რას გაარჩევ, როცა მბერხავებმა თავისი აგრეგატები ჩართეს და გამაყრუებელი გუგუნისაგან სივრცე კანკალებს...

ახე იქნება ზამთარშიც... მთავარი სამუშაოები ხომ წინაა!

უნდა აშენდეს კლუბი... (ნაბიჯი ცივილიზაციისაკენ! — ხუმრობს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ავთო ლომიძე. კლუბს ექნება საბილიარდო, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და, რაც მთავარია, მაყურებელთა დარბაზი...

ერთი წლის შემდეგ იცი, რა იქნება აქ?

ნამდვილი ქალაქი.

ამ ქალაქის პრეზიდენტად ნიას მცხოვრებლები ანზორს აირჩევენ... თუმცა, რა არჩევა უნდა?! ამ მშენებლობის ყველა ხადავე მას არ უჭირავს?! ანზორი ბამის ხიამაყეა. ნიკუშ, არ გეწყინოს და, სირცხვილი არ არის, შენც მშენებელი გერქვას და ანზორსაც?

იგი ნია-გრუზინსკაიას ხული და გულია.

რომელიღაც გაზეთში წავიკითხე (მომყავს სიტყვასიტყვით!): „ანზორ ვარლამის ძე განეკუთვნება ქართველ ინჟინერ-მშენებელთა საუკეთესო პლეადას“. ვერ დავეთანხმები, რადგან ამ შესანიშნავი ორგანიზატორის ნიჭი და უნარი კარგა ხანია საკავშირო და, თუ გნებავთ საერთაშორისო მასშტაბით იზომება.

რა არის მისი ეგზომ პოპულარობის საიდუმლო?

არ ვიცი, შენ მოგეწონება თუ არა ასეთი ფორმულირება, მაგრამ მე მაინც უნდა მოვიყვანო აქ. იგი, როგორც მითხრეს, ანზორის შიდაგანაწესიდან იღებს სათავეს: 1. თუ ცხოვრების ელემენტარული კანონისა გაგეგება რამე, პირად წარმატებას ნურასოდეს აღნუსხავ— შეიძლება ნაღდი არ იყოს და ამიტომ. 2) ნუ გამოიგონებ არსებულზე უფრო ცუდს, იგი ყალბ პატივმოყვარეობაზე დამყნილ თვითდამშვიდებას ნიშნავს. 3. ჩუმად, უხმაუროდ ატარე მინდობილი ტვირთი, რადგან სიმძიმის ქვეშ უფრო კარგად იგრძნობ საკუთარ წონას...

ახლა გაიგე, რა კაცია იგი?

ნიას მეურნეობა რთულია და დიდი. ანზორ დვალიშვილი კარგად ართმევს თავს „მინდობილ ტვირთს“. თავის დროზე იგი ჩვენი ქვეყნის მრავალ დიდ მშენებლობას ხელმძღვანელობდა, ჩვენმა მთავრობამ მას მეტად საპასუხისმგებლო მისიაც დააკისრა — თეირანის გრანდიოზული მასშტაბის მაცივარი ანზორის ზედამხედველობით აშენდა...

ანზორ დვალიშვილის სამშენებლო რაზმი კი (ქალიან-კაციანა!) ოთხმოცდათვრამეტი წევრისაგან შედგება.

შეუძლებელია, იტყვი, შენ.

მაგრამ, თუ არ გჯერა, ამ რაზმის მონაცემებში ჩაიხედე. უფრო მეტიც — მათზე მინდობილ საქმეს ვადაზე ადრე ამთავრებენ...

და ეს ყველაფერი ხდება პატარა, ტანმარჩხი ნიას თვალწინ, ნიას უშუალო მხარდაჭერით.

ბიჭები თვალისჩინივით უფრთხილდებიან მონაპოვარს. ისინი ხომ თითქმის მოწყვეტილნი არიან გარე სამყაროს. „დიდ მიწასთან“ (როგორც ნიაში ამბობენ) მხოლოდ საჰაერო გზა — შვეულმფრენი აკავშირებთ. შვეულმფრენს მოაქვს პური, პროდუქტები, სამშენებლო მოწყობილობა და, რაც მთავარია, ფოსტა...

გოგი თარხნიშვილმა მითხრა (იგი მბერხავთა ბრიგადის ხელმძღვანელია. ძლივს ვარჩევ მის ხმას აგრეგატების გუგუნში. უზარმაზარი მორები სამშენებლო მასალის სახეს სწორედ აქ იღებს) — როცა შინიდან წერილს ვიღებ, უცნაური აზრი მებადება. წარმოიდგინე, საიდან სად მოვიდა, ა? ინდოეთს უფრო ჩქარა ჩავაღწევ, ვიდრე სახლს... უფრო ახლოა. სახლიდან კი ორი კვირის შემდეგ, უფრო ზუსტად, თვრამეტი დღის შემდეგ აღწევს წერილი... ეს სიშორე თითქოს უფრო გაახლოვებს ძვირფას ადამიანებს. ფიქრობ. განიცდი.

„მეცა და ჩვენს შვილებსაც გმირად მიგვაჩნიხარ“... — წერს გოგის მეუღლე. „აბა, რა გმირობაა ეს, — ამბობს გოგი, ამბობს მეგობრების გასაგონად, ჩემს გასაგონად. ჩვეულებრივად არ ვშრომობთ?“ მაგრამ გულში უხარია. საოცრად უხარია, რომ ოჯახის წევრები ასე ფიქრობენ.

განშორების შემდეგ ყოველთვის ლამაზად გამოიყურება ქალაქი, სოფელი, სახლი, ადამიანი. ამას ყველაფერს წერილი ირეკლავს. ირეკლავს და მიდის წარსულისაკენ — სულ უფრო და უფრო მშვენიერდება ის, რასაც განშორდი. სწორედ ამ განშორების შემაკავშირებელ ძაფს

**ექებ სტრიქონებში... ექებ... ბოლოს... ღელავ და გიხარია.**

იხე რომ, წერილი, როგორც უბნის უფროსი მურმან ჩემია ამბობს ხოლმე, მართლაც კარგი გამოგონებაა!

ნიაში დიდი ხიფრთხილით ინახავენ წერილებს.

მათ შორისაა ერთი ოფიციალური — კეთილი ხურვილებით გაჯერებული წერილიც, გაერთიანება „ბორჯომის" კოლექტივის გენერალური დირექტორის ხელმოწერით რომ მოვიდა. ქართველ ბამელთა საარაკო საქმეებით აღტაცებული ბორჯომელები თავიანთ შრომით წარმატებებს უპატაკებენ შორეულ ციმბირში მყოფ თანამოძმეებს.

როგორ ფიქრობ, რით უპასუხეს ამ გულთბილ წერილს ბამელებმა? მათ გადაწყვიტეს, წლიური გეგმა (ე. ი. 1975 წლისა) ორი თვით ადრე შეასრულონ, სამუშაოთა თვითღირებულება ნახევარი პროცენტით შეამცირონ... რაც საკმაოდ ხოლიდური თანხის ეკონომიას მისცემთ წლის ბოლოსათვის...

ქართველ ბამელებს კი არ უყვართ „ხმელა" დაპირებების მიცემა.

მათ არა მარტო მინი-ქალაქი შექმნეს, არამედ მინი-ბამიც. სწორედ რომ ეგრე — მინი-ბამი, საკუთარი სარკინიგზო მაგისტრალით. მაგისტრალი ვიწროლიანდაგიანია და 250 მეტრს მოიცავს. მაგრამ რამდენ ტექნიკას ზოგავს იგი, როგორ ამსუბუქებს შრომას! ეს რკინიგზა ვალერი რუხაიას ბრიგადამ ააშენა. არც მაინცდამაინც რთული კონსტრუქციაა. აქვე, ნიაშივე, დააპროექტეს ჩვენმა ბიჭებმა — მურმან ჩემიამ, გოგი კიკვიძემ, ვლადიმერ ნიკოლაევმა... ნია ძირითადად მშენებარე ობიექტია. მას ხის უამრავი მასალა სჭირდება. ეს გამზადებული მასალა — მორები ამ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით შემოაქვთ სახერხ ქარხნამდე, თუ ხის გადამამუშავებელ ობიექტამდე (რაც გინდა, ის დაარქვი). შემდეგ ეს გადამუშავებული, დახერხილი, დაწმენდილი ფიცრები უკანვე გააქვთ მშენებლობებისათვის...

არავითარი ტალახი.

იდეალური ხისუფთავე.

და მერე სად, შორეულ ციმბირში, ყრუ ტაიგაში.

აი, რას ნიშნავს შრომის სწორი ორგანიზაცია, სწორი ხელმძღვანელობა!

უსტ-კუტში ღიმილით ამბობენ: (უფრო ემაყებათ!) ნია-გრუზინსკაიაში მიდიხართ? (გაპრიალებულ ფეხსაცმელზე დამხედავენ): იქ ხომ ასფალტი დაგხვდებათ!

ნიას „ასფალტი" მჭიდროდ მიჯრილი მორებია: მათ ფენილზე, როგორც ჩემმა მეგობარმა და „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას" ციმბირელმა კორესპონდენტმა ვალერი ქაჯაიამ შენიშნა, „ლაქის ფეხსაცმელებითაც შეიძლება გავლა!"

ცხადია, ასეთი „ასფალტი" არცერთი ხარჯთაღრიცხვით არ ყოფილა გათვალისწინებული. არ ყოფილა გათვალისწინებული ბევრი რამ, რაიც დღევანდელი ნიას აუცილებელი კომპონენტი გახდა. აი, მაგალითად, მიჰყევი თბილისის ქუჩას და უცებ სასადილოს შესასვლელთან ლამაზად გაფორმებულ აფიშას ხედავ. რას იუწყება იგი? კინოს? კონცერტს" ლექციას? შენ წარმოიდგინე, რომ ფეხბურთს. გითხრა გუნდების სახელწოდება? „ანტრეკოტი" ხვდება „ინტერს" ანდა „ბუნდუკი" — „ხერხს"... სტადიონის მაგივრობას ვერტდრომი ასრულებს. მართალია, იგი არც იხე ხალვათია, მაგრამ ზედ ისეთი საფეხბურთო ბატალიები იმართება ხოლმე, ყველაზე თავგადადებულ გულშემატკივარსაც კი შეშურდება... სეზონის საუკეთესო გუნდად „ანტრეკოტია" აღიარებული. იგი მთლიანად დაკომპლექტებულია ნიაში მომუშავე... ქალებით. ქალებთან კი, აბა რა კანონი გაჭრის. მათ საკუთარი „საფეხბურთო" წესები გააჩნიათ. ზოგჯერ ხელითაც კი გააქვთ კარში ბურთი. ბიჭი ხარ და შეედავე! ამასთან ცოტათი ბოროტად იყენებენ მამაკაცების ჯენტლმენობასაც და შედეგი სახეზეა — „ამტრეკოტი" ნომერ პირველი გუნდია!

როგორც ხედავ, ნიაში საკუთარი საფეხბურთო ტრადიციებით იწონებენ თავს. ამის წინათ მისმა ნაკრებმა (ცხადია, „ანტრეკოტის" გამოკლებით) საერთაშორისო შეხვედრაც კი ჩაატარა. „ტრაქტორის", „ხოხ-ის", „ხერხის", „მარწუხის", „მაჩვის", „ინტერის", „მრისხანეხა" და „ელვის" ფეხბურთელებისაგან დაკომპლექტებულმა გუნდმა (აბა, რა ეგონათ!) შვიდით ორზე მოუგო ზვიოზდნის ინტერნაციონალურ ნაკრებს.

რახან სპორტზე ჩამოვაგდე სიტყვა, უთუოდ უნდა ვახსენო კრივის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთისა და ჭადრაკის სექციები... მყავთ სპორტის ოსტატებიც! მათი რიცხვი ჯერჯერობით საოცრად მცირეა, მაგრამ მერე ნახე... მერე!.. ერთი სიტყვით, თავისუფალი დროის პრობლემა ნიაში მოხსნილია.

იქნებ, შენ სიმყუდროვე, ბუნებაში განმარტოება გინდა? ვინ გიშლის, ბატონო! გინდა სანადიროდ წადი, გინდა — სათევზაოდ. ერთხელ, დღესასწაულზე, იური ილურიძემ და სერგო ხაჭაპურიძემ იმდენი თევზი დაიჭირეს, მთელ დაბას ეყო! მართლაცდა, ნია სავსეა თევზით (ეხ, მგონი, გითხარი!). მაგრამ არც მის ახლო-მახლო მდებარე ტბებს ეთქმის ხამდურავი. კაპოეტი და ტაიმენი ულევადაა. ხოლო თუ ჭეშმარიტ ნადირობას გინდა დაესწრო, ბიქტორ ფილიასა და ანდრო აჯბას უნდა გაჰყვე ტაიგაში.

ვიცი, შენ ახლა ისეთი ილუზია შეგექმნა,

თითქოს ბამზე ქართველი ბიჭები გართობა-დასვენების მეტს არაფერს აკეთებენ (გაიხსენებ თევზაობას, ფეხბურთს, ნადირობას, კინოხეანხებს და, რა ვიცი, კიდევ რას!). ეს ყველაფერი შედის მათ „მენიუში", მაგრამ უმთავრესი ის დიდი შრომითი პათოსია, რომელიც ნიაში სუფევს. ბიჭები, როგორც იტყვიან, ცხრაპირ ტყავს იძრობენ. საქმე! საქმე, რომელმაც ისინი ხანგრძლივად მოწყვიტა მშობლიურ კერას, სხვაგვარად არ გაკეთდება. ეს ყველამ იცის.

და კიდევ ერთი: საქართველოს წარგზავნილებს აქ თითქოს თავიანთი დამოუკიდებელი, ყველასგან იზოლირებული სახელმწიფო აქვთ, რომელიც ერთგვარად მოფარებულია ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს (ა. დვალიშვილის მშენებლები ამ ორგანიზაციას ექვემდებარებიან) მკაცრ ზედამხედველობას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა როგორღაც განელებულია. რას ამბობ! მე დავიფიცებ, რომ ეს პირიქითაა. ნია (არ ვაზვიადებ) დისციპლინისა და შრომითი მაჩვენებლების მაგალითად გამოდგება.

რას ნიშნავს შრომის სწორი ორგანიზაცია? ბამზე, ნიაზე წამოწყებულ სამუშაოთა ლაბირინთებში შეიძლება ერთბაშად დაიბნე, თუ არიადნეს ძაფი არ გიჭირავს... მაგრამ ვინ უნდა მოგცეს არიადნეს ძაფი? ცხადია, ამ მშენებლობის ხელმძღვანელობამ.

ნიაზე კი ყველაფერი რკინისებურ ლოგიკას უქვემდებარდება. ჩვენში ხომ (არ ვიცი, შენს ობიექტზე როგორაა საქმე) ყველა მშენებლობაზე კვირეულ-სადღეღამისო გრაფიკია შემოღებული! ნიაშიც ასეა. ყველა ბრიგადა ამ პროგრესული მეთოდით მუშაობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობა ერთი წამით არ აშორებს თვალს მშენებლობის მაჯისცემას. მკაცრად აღნუსხულია თითოეული მექანიზმი, თითოეული სამშენებლო მასალა, მაქსიმალურად გამოყენებულია ადამიანთა შესაძლებლობანი... და აი, შედეგიც: (მარტო ორი თვის მაგალითს მოვიშველიებ). თუ მაისში გეგმა 102 პროცენტით იყო შესრულებული, კვირეულ-სადღეღამისო გრაფიკზე გადასვლამ ეს პროცენტი ოცით გაზარდა მომდევნო თვეში.

ამას ყველაფერს კი წარმართავს ნიაში შექმნილი კომუნის ხელმძღვანელი ანზორ დვალიშვილი, სასიამოვნო გარეგნობის მაღალი კაცი. სახის მსხვილ ნაკვთებზე მომნუსხველი ღიმილი უბრწყინავს. თითქოს პირველად ხედავ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, დიდიხანია იცნობ. მერე, რამდენიმე საათის მერე ხვდები ამ გულითადობის მიზეზს. თურმე ძალზე მარტივი ყოფილა ყველაფერი. ეს ხომ კლასიკური სახეა იმ ჭეშმარიტი მშრომელისა, რომელიც იყო, არის და მომავალშიაც იქნება...

ხედავ, როგორ მიაბიჯებს იგი თავის სადგომისაკენ — მხრებში ოდნავ მოხრილი. კირზის ჩექმებს ბრახა-ბრუხი გაუდით ნიას „ასფალტზე".

ღამდება.

მძიმე შრომის შემდეგ ბამელები დასასვენებლად მიემართებიან.

მოდი, ჩვენც დავისვენოთ.

## წერილი მეცხრე. ტაიგის გამგებელი

ტაიგაში ნიაღვარი არ იცის, თორემ ერთი კვირის გადაბმული წვიმა ყველაფერს ნიაში ჩაახვეტავდა. ნია ტაიურაში ჩაიტანდა, ტაიურა კი ძლევინით ხელდამშვენებული მიუყვიდოდა ციმბირის მდინარეთა დედას — ლენას. მაგრამ, მადლობა ღმერთს, წალეკვის საშიშროება გამორიცხულია ქართული დასახლებისათვის, და, საერთოდ, ყველა დასახლებისათვის, ციმბირის მდინარეთა ნაპირებზე რომ იდგამენ ფეხს...

მაშინაც წვიმდა. მსხვილი, ცერისხისმსხო წვეთები მონოტონურად უკაკუნებდნენ სახურავს. ანზორი ამ ხმაურს აყურადებდა. წამით დახუჭა თვალები და მისი სამუშაო ოთახი ხომალდად იქცა. ქარწვიმის შხუილში ღუზების ჭრიალიც ჩაესმა. ასეთი რამ არ მოგხვლია განა? როცა აკვიატებული ფიქრი არ გასვენებს, გონება უცნაური ფიქრებით წაგიტყუებს ხოლმე. განსაკუთრებით ღამით ხდება ეს, როცა თბილ, მყუდრო ოთახში ხარ შეყუჟული. მაგრამ რაღა მაინცდამაინც ზღვა ახსენდება ანზორს? იგი წლების მანძილზე ბიჭვინთას აშენებდა. იქაც, ბიჭვინთაშიც, ასეთი მყუდრო ოთახი ჰქონდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზღვის წარმოსახვა არ სჭირდებოდა, სარკმელს გააღებდა და ორი ნაბიჯის იქით ნებივრად გაწოლილი ზღვა ძლივს შესამჩნევი ჩუმი ფშვინვით ეტყოდა სალამს...

ასეთ ამინდში (თავსხმაში) ზღვამ გადარევა იცოდა. ყალყზე შემდგარი ზათქითა და გრიალით მიიწევდა ნაპირისაკენ. ანზორს თითქოს მოეყურა კიდეც ტალღის გუგუნი (სინამდვილეში ახწლოვან კედარს ჩამოტყდა ტოტი). ღუზებმა ისევ უმატეს ღრჭიალს და გესმის, როგორ უბაგუნებენ ღომინოს ქვებს კუბრიგში შეყუჟული მეზღვაურები...

დასახლებას კარგახანია ხძინავს.

ქარი მძლავრობს. სახადილოს შენობასთან ნათურა ბრწყინავს. შუქჩრდილთა შერწყმა და დანაწევრება უცნაურ ხილვებს გიღვიძებს. ასე გგონია, ეს-ესაა ლუზიდან თავს აიწყვეტს და მუქი ხივრცისაკენ გაიწევს აფრააშლილი ხომალდი.

იქნებ, სწორედ ამიტომ უყვარს ანზორს თავის არცთუ ისე ხალვათ კაბინეტში ჯდომა?

გადაუღებელი წვიმა ხომ არ უქმნის ზღვის ილუზიას?

ხძინავს ნია-გრუზინსკაიას. არ ხძინავს მის გამგებელს — ანზორ დვალიშვილს. ხტუმარი ჰყავს. ქართველი მწერალი. გავა კიდევ რამდენიმე დღე და ეს მწერალი „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნებს ვრცელ წერილს და „საუკუნის მაგისტრალს“ უწოდებს.

ანზორი საათს უყურებს. მერე — ხტუმარს.

— იქ (ე. ი. ბიჭვინთაში) ახლა განთიად დგება... იცით, რა ჯადოსნურად თენდება ზღვაზე!..

ქართველი მწერალი ახალგაზრდა კაცია.

— ვიცი, — ღიმება იგი.

ანზორს რაღაც აგონდება, ერთიანად უნათდება სახე.

— გაგიგონიათ, „ძაღლური ვახტი?“ — ამბობს ანზორი და, რაკი ხტუმრის გაკვირვებულ მზერას აწყდება, განაგრძობს. — მეზღვაურებს და მეთევზეებს აქვთ ასეთი ვახტი. — ხული დაითქვა. გაიცინა. ხულ ცოტაც და, მას „სამეფო ვახტი“ შეცვლის.

აქაც ასე არაა? ფიქრობს მწერალი. ტაიგაში ჩამოხულ ქართველ მშენებელთა პირველი პერიოდი „ძაღლურ ვახტს“ მოგაგონებდა. ახლა, როცა აქ პირველი სახლები აღიმართა, ააშენეს სახერხი, საწყობები, ელექტროსადგური, სასადილო, — „მეფური“ პერიოდი იწყება...

ანზორს თეთრ, გახამებულ პერანგზე მწვანე კურტაკი მოუხურავს და დიდრონი, ხეშეში ხელებით მაგიდის კიდეს დაურდნობია.

— ბამს უპირატესად ახალგაზრდობა აშენებს, — განაგრძობს ანზორი. — ახალგაზრდობა ადვილად იტანს ზღვაოსნების მიერ აგრერიგად ათვალწუნებულ ვახტს... თქვენ მიხვდით, ალბათ, გადატანითი მნიშვნელობით რომ ვლაპარაკობ. იქნებ, ამაში ხედავს იგი სიხარულს? ჩვენ უკაცრიელ ტაიგაში მოვედით. თითონაც ხედავთ — ტყეა გარშემო. — ვიქტორინაზე (ბამზეც პოპულარობით სარგებლობს საზრიანთა და მხიარულთა კლუბი) ნია-გრუზინსკაია მსოფლიოს ყველაზე უმცირეს სახელმწიფოდ აღიარეს...

— მგონი, სამართლიანადაც, — წამოიძახა მწერალმა.

ანზორს არაფერი უთქვამს. იგი ისევ წვიმის ხმაურს უსმენდა. რაზე ფიქრობდა იგი? მას შემდეგ, რაც ე. წ. „ზიმნიკი“ ანუ „ზამთრის გზა“ დნება, ნია სხვა სამყაროდან მოწყვეტილია... მასთან კავშირის დამყარების ერთადერთი საშუალება — შვეულმფრენია მხოლოდ. შვეულმფრენს მოაქვს ფოსტა, პროდუქტები...

— თქვენ, ალბათ, იცით, რომ ჩვენი ტერიტორია ჯერჯერობით თხუთმეტი ჰექტარია. სწორედ ამ თხუთმეტ ჰექტარზე მოქცეული ასი კაცის (უფრო ზუსტად — ოთხმოცდათვრამეტის) ცხოვრება ისე უნდა მოეწყოს, რომ მოწყენილობამ და გულგატეხილობამ არ გაიდგას ფეხი.

— ეს მართალია, რომ „მშრალი კანონი“ გაქვთ შემოღებული? — აინტერესებს მწერალს.

„იცის, რა თქმა უნდა, იცის, მაგრამ მაინც მეკითხება“, — ფიქრობს ანზორი.

— თქვენ გინდათ მკითხოთ, როგორ ეგუება ამას ქართველი კაცი?

მწერალს ეღიმება.

ანზორი განაგრძობს:

— როცა ეს აუცილებელია, ჩვენებურ კაცს ღვინოს ვინ დაუკავებს... მაგრამ აქ ტაიგაა. ცხოვრების ურთულესი პირობები ფხიზელ გონებას ითხოვს... ჩვეულებრივ პირობებში ადამიანს თავის უპირველეს საქმესთან, სამუშაოსთან ერთად სხვა საზრუნავსაც რა გამოულევს... აქ კი მხოლოდ საწარმოო საქმიანობის გარდა (მინდა სწორად გამიგოთ!), სხვა საქმეთაგან თავისუფალია...

— მაშასადამე, ადამიანს რჩება უამრავი დრო?

— თქვენ გექნებათ საშუალება დარწმუნდეთ, რომ ნიაში სიტყვა „მოწყენა“ ამოღებულია ხმარებიდან. ჩვენი მშენებელი ორგზის და, თუ გნებავთ, სამგზის მშენებელია! რატომ ვამბობ ასე? ახლავე მოგახსენებთ. ჩვენთან ვიწრო სპეციალიზაცია ხელშებორკილ კაცს მოგაგონებს, რომელსაც მხოლოდ ფეხები აქვს თავისუფალი... ჩვენთან მომუშავე კაცს ასი ხელი და ასი ფეხი უნდა ჰქონდეს... ერთი ხელი დურგლობისთვის გჭირდება, მეორე — ელექტრომონტიორობისათვის, მესამე — ხერხისათვის, მეოთხე — მოჭრილ ხეთა სათრევად, მეხუთე... მე, მგონი, ყველას ჩამოთვლა არაა საჭირო...

— არის თუ არა ეს შრომა ხიფათიანი? — იკითხა მწერალმა.

ჰოდა, ანზორ დვალიშვილი ამბობს: ამას კითხვა უნდა?

ნიას მშენებელთა გზა, უსტ-კუტიდან ამ დასახლებამდე, ხიფათით იყო სავსე.

ანზორმა გაიხსენა:

აპრილი.

ყინვიანი ღამე.

ეშელონებით გადატვირთული საკვანძო სადგური.

არ ჰქონდათ ამწე.

საერთოდ, არავითარი ტექნიკა არ ჰქონდათ ეშელონის გადმოსატვირთავად. მეზობელი სამშენებლო რაზმის წევრები, ადრე რომ ჩამოსულიყვნენ უსტ-კუტში, აფრთხილებდნენ ანზორს: „კიდევ ოთხი დღე და ლენის ყინულოვანი გზა მოიშლებაო“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გადასულიყვნენ მარჯვენა მხარეს... მაგრამ, როგორ?.. არ გინდოდა ბაქნიდან თხუთმეტტონიანი ბულდოზერის გადმოღება? მაინც გადმოიღეს... განძელები ხვიით შეკრეს და სახელდახელო ესტაკადა გააკეთეს...

მერე იყო ლენის ყინულოვანი გზა, ლენის გაღმა ნაპირი, საოცრად დამძიმებული ტვირთი, ირგვლივ გაწოლილი მდუმარე ტაიგა და გაუტეხელი ნებისყოფა. ისინი წარმოუდგენლად შორს იყვნენ მშობლიური მხარიდან. ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო. განა ეს საოცარი არ იყო, ნიკუშ? იყო. მაგრამ არავის ეხამუშა ამ გაუვალ მიწაზე. პირიქით, გამარჯვების, უდრეკელობის ნიშნად შერაცხა ყველამ. იმავე საღამოს დვალიშვილმა თბილისს უდეპეშა: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. დასრულდა დისლოკაცია ხადგურ ნიაში. სამოსახლოს მშენებლობის სამუშაოები გაჩაღებულია. პირველ ვერტმფრენს მივიღებთ თხუთმეტ აპრილს. კოლექტივი აღფრთოვანებით მუშაობს. განწყობილება კარგია“.

ახლა აქ საკმაოდ ლამაზი ქალაქის კონტურებია მოხაზული.

ამ მომავალ ქალაქს ჰყავს თავისი ადმინისტრაციული ორგანო (მამასახლისი), პარტიული ხელმძღვანელობა (მშენებლობის უფროსის მოადგილე ნუგზარ მგელაძე), კომკავშირული ორგანიზაცია (ავთო ლომაძის თავკაცობით) და საკუთარი მილიცია. მილიცია აქ ერთი საშტატო ერთეულითაა წარმოდგენილი, მაგრამ უსაქმურობის გამო მშენებელთა მხარდამხარ ილვწის...

— თქვენ გჯერათ, რომ ყველანი მოქალაქეობრივმა ვალმა, ან საზოგადოებრივმა ენთუზიაზმმა ჩამოიყვანა? — იკითხა მწერალმა.

— მჯერა? — გაკვესეს ანზორის თვალებმა. — მწამს! ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემთან ერთი ახალგაზრდა კაცი მოვიდა! (უცნაურად გაიცინა. ჰერს მიაჩერდა). ჰო, რაზე მოგახსენებთ ამას? მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობისა და პირადი მაგალითის გამო... მოვიდა ის ახალგაზრდა კაცი და რეკომენდაცია მთხოვა. პარტიის რიგებში აპირებდა შესვლას. „განა უპარტიო რომ ხარ, ასე უფრო ცუდად მუშაობ?“ — ვკითხე. „რა იცი, რა გელის კაცს, — მითხრა, — რაში დამჭირდება“... ჰე, ასეთ ადამიანს, აბა, როგორ უნდა მისცე რეკომენდაცია! რა ფიცი-მტკიცი უნდა, შენს წინ ცხოვრების მომხმარებელი დგას. იგი პარტიას რაღაც დამხმარე მეურნეობად ხედავს, ერთგვარ ქარსაცავ ზოლად, რომლის უბეში არხეინად შეიძლება ყოფნა... არა, ძმაო, პარტიაში ამისათვის კი არ შედიან, არამედ ბრძოლისათვის... და ამ ბრძოლის დროს სინდისისა და ხალხის წინაშე მარტო საკუთარი მოქმედებით კი არ აგებ პასუხს, არამედ შენი ამხანაგების, შენს გვერდით მდგომი ადამიანების სინდის-ნამუსიც გადევს მხრებზე... გამორჩენა და შეღავათი კი... მაპატიოს იმ ჩემმა გაწბილებულმა ახალგაზრდამ (იმედია, შეიგნებს!), მაპატიონ სხვებმაც, კომუნისტისათვის ასეთი რამ არ არსებობს. მისი მოვალეობა დიდზე დიდია. თუ უსაზღვროდ ერთგული არა ხარ პარტიის იდეალებისა, თუ თავდადებით არ შრომობ, თუ მუდმივად არ ზრუნავ შენი კოლექტივის წარმატებებისათვის, ჩათვალე, რომ ფუჭად ჩაუვლია შენს ცხოვრებას... თუ ამ თვისებებით შეიარაღებული არ მოხველი ბამზე, თუ ცხოვრების მომხმარებელი ხარ მხოლოდ და სხვა არაფერი, ტაიგა გაგიტანს?! ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დღევანდელი დღის უმთავრესი ზნეობრივი გადასახედია...

ნია-გრუზინსკაიაში დიდია კომუნისტთა ავანგარდული როლი.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ კოლექტივი ინდივიდუმთა ერთობლიობაა, რომ ყოველ ინდივიდუმს საკუთარი მისწრაფება, საკუთარი შრომითი მეთოდი და მიდგომა ახასიათებს. ზოგი მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავს, ზოგიც — პირიქით, სხვისი ნაშრომის, სხვისი მაჩვენებლების უკან დამალვას ცდილობს: ასეთთა „ფილოსოფია“ მუდამ მარტივია (ხომ არ გენიშნა, ნიკუშ?!). — „რაღა მაინცდამაინც მე მოვიკლა თავი? დაე, სხვები იყვნენ მოწინავენი. სხვებს, ალბათ, ეს მეტად სჭირდებათ. სახელისათვის იბრძვიან“.

— ჩვენს შორის თუ არიან ასეთები? — იკითხა ანზორმა. — ახლა, არა. ისე კი, იყვნენ. ეს თავიდან. რა დასამალია, ისინი „დიდი ფულის“ სიყვარულმა ჩამოიყვანა ტაიგაში. მაგრამ როცა გამოიხედეს, ყინვა, მუხლამდე წყალში წანწალი და კოღოების „კომპრესი“ იგემეს, მიხვდნენ, რომ ოჯახიდან, ახლობლებისაგან შორს მყოფ კაცს შედარებით მაღალი ხელფასითაც ვერ აუნაზღაურებ აქ გაკეთებულ საქმეს... ისე რომ, ჩვენთან ადამიანის პიროვნება შრომით ფასდება. შრომითვე იწონება მისი სინდისიც.

...მერე საქართველოდან ჩამოსული ამხანაგი გაეცნო ნიას ახალმშენებლობას. გაეცნო მის ადამიანებს, ჰოდა, როცა ხერგო ხაჭაპურიძის, ვალერი რუხაიას, ანზორ ლილუაშვილის, შოთა კაკუშაძისა და სხვათა საქმიანობას უყურა, მიხვდა, ტაიგა მართლაც ვერ იგუებდა მუქთახორასა და გამორჩენის სურვილით ჩამოსულ პირს... ეს დღევანდელი, თანადროულობით ნაკარნახევი სტილი იყო. ასე იყო პირველი დღიდან და ასე იქნება მუდამ, ვიდრე

მაღალი, ცასთან გატოლებული კედარის თავზე ჩვენი რესპუბლიკის დროშა იფრიალებს...

გაზაფხული შესანიშნავად დაიწყეს ნიაში.

შრომის ტემპმა კიდევ უფრო იმატა ზაფხულში, შემოდგომამ კი მანამდე არნახული მასშტაბები მოიცვა... ყველას ერთი სურვილი ამოძრავებს, რაც შეიძლება სწრაფად, ვადაზე ადრე დაამთავრონ მოსამზადებელი სამუშაოები... ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ კარგად აუბეს მხარი ამ დიდ გადაწყვეტილებებსა და ღონისძიებებს, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ახალი აყვავების პროგრამიდან რომ გამომდინარეობს. მათ კარგად აქვთ შეგნებული — თუ ყოველი კომუნისტი, ყოველი კომკავშირელი არა დგას იმ ავანგარდში, სადაც ხუთწლედის ბედი წყდება, უშუალოდ არ ტრიალებს მახების შუაგულში, არა აქვს პირადი გეგმა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იპოვის თავის ადგილს საერთო მწყობრში...

დიახ, დიდი საქმე ყოველთვის ერთიანი აზრითა და ძალით წყდება. სწორედ აქედან იღებს სათავეს დიდი პასუხისმგებლობა შენი კოლექტივისა და შენი ქვეყნის წინაშე. ანზორ დვალიშვილი ერთ-ერთი პირველი იძლევა ამის მაგალითს.

წვიმა კი როგორ ხმაურობს!

მწერალი დასაძინებლად წასულა... ძალიან გვიანია.

ანზორი სახურავზე აბრახუნებულ წვიმას უსმენს.

უცებ გონება გაუნათდა. თითქოს მოჯამული ცის კაბადონიდან მზეს გამოეჭყიტოს. სანაპიროზე, ხვინჭით მოფენილ სკვერთან იდგა პატარა გოგო. ლოყებჩაჩხვლეტილი, მოკლეკაბიანი, კიკინებიანი. დგას და იცინის. გრძელ წამწამებს სასაცილოდ აფახურებს და იცინის, ასევე სასაცილოდ აფახურებს ფრთებს მის წინ ქრიზანთემის ბუჩქზე დასკუპული პეპელაც. ძალზე ფრთამსუბუქია პეპელა, თითქმის ჰაეროვანი. მაგრამ მაინც აქანებს ყვავილს. უცებ პეპელა მძლავრად იქნევს ფრთებს, უკანასკნელად აქანავებს პაწია ყუნწით დამაგრებულ ვეება ფოთოლს და გამჭვირვალე სივრცისაკენ მიქრის... გოგონა ახლა უფრო ხმამაღლა იცინის. არა, ეს მზით დაფერილი ყვავილები ირხევიან. არა, ეს ზღვის სურნელით გაჯერებული ქარი მღერის, ეს მიწა მღერის, მზის სხივებით დაცხავებული ცა მღერის, სიცოცხლე მღერის.

...ანზორი თავის პატარა ქალიშვილის სურათს გაჰყურებს.

ძილი შეუმჩნევლად შემოდის მის ოთახში. მხოლოდ წვიმა და ტაიგა ფხიზლობს.

მე მიამბეს: ოდესღაც, ასე ორმოცი თუ ორმოცდახუთი წლის წინათ, ვიღაც გოლტოულევს გადაუწვავს ტყე. იგი ამ მხარის მეპატრონე ყოფილა და ვერ შეგუებია ახალი მთავრობის კანონებს. გოლტოულევს მთელი ამ მხარის გადაბუგვა უნდოდა.

ევენკები და ოროჩონები ლენისაკენ გარბოდნენ. ცას სწვდებოდა მათი ღაღადი: თავიანთ ღმერთს, მიკოლას, ევედრებოდნენ შველას. ზოგმა წმინდა მარიაც კი მოიშველია... არაფერმა გაჭრა. ცეცხლმოდებულ ტაიგას ვერაფერი უშველეს: დაიფერფლა კედართა კორომები, გარემო სიჩუმემ მოიცვა. ბორცვებს ნაცრისფერი დაედო.

გოლტოულევს გაქცევა არც უცდია. მას მთელი ტაიგა იცნობდა. როცა დააპატიმრეს, მხოლოდ მაშინ ინანა — ნეტა ტყესთან ერთად მეც დავმწვარიყავიო, მაგრამ მაინც ამაყად ეჭირა თავი სულ უცდიდა, სასამართლო როდის გამოუტანდა დახვრეტის განაჩენს...

ასეთი სიტყვა მას არ გაუგონია.

რვა წლით თეთრი ზღვის არხის მშენებლობაზე გაგზავნეს.

— არხი უნდა გავთხარო? — იკითხა დამნაშავემ. — ეს პატარა ღელუკასავითაა, ხომ?

— დაახლოებით. — დასცინეს გოლტოულევს.

— ღელეს არაფერი სჯობია! — თქვა გოლტოულევმა, — განსაკუთრებით სიცხეში.

აბა, რას იფიქრებდა ტუნგუსთა ღმერთის — ბუდას თაყვანისმცემელი გოლტოულევი, რომ მას სამფლობელოში სულ რაღაც ათეული წლების შემდეგ ქართული ქალაქის პირველი კარვები აღიმართებოდა?

დაბის შუაგულში, მაღალ კედარზე ჩვენი რესპუბლიკის დროშა ფრიალებს... ხის კენწერო მუდამ აფორიაქებული, მუდამ ამოძრავებულია, რადგან ამ ადგილს ქალიკონი სწყალობს.

გვიანი შემოდგომაა და როცა წვიმების ხანა თავდება, ერთბაშად დუმილის საბურველში ეხვევა გარემო. დუმს ტაიგაც. ზოგჯერ გვრიტი ან როჭო თუ წამოიფრენს, ანდა ჭკის გუნდი დაეკიდება ტატნობს, თორემ ისე არაფერი არღვევს ზამთრის მოლოდინში განაბულ მიდამოს მყუდროებას.

ამ მოჩვენებითმა სიჩუმემ, ულამაზესმა სანახებმა და შემოდგომის პირს ასე გრძნეულმა და ახლობელმა მზემ არ შეიძლება არ დაგატყვევოს, მაგრამ იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც მომავლის ქალაქის კონტურები ხელშესახები გახადეს, ეს მიწა განსაკუთრებით ახლობელი, განსაკუთრებით ძვირფასია.

ამას ყველაფერს მისი უდიდებულესობა — შრომა განაგებს.

ეს არის და ეს.

## თავი მეათე. ანკეტა

როგორ გგონია, ნიკუშ, რა არის ადამიანის ცხოვრება?

ანკეტა.

დიახ, დაგიდებენ წინ პუნქტებად დაყოფილ კითხვებს და, თუ ბიჭი ხარ, გამოტოვე რომელიმე. იგი ყოველთვის დასრულებული ფორმისაა, მაგალითად, გრაფა — „განათლების" წინ ყოველთვის მოკლედ უნდა ჩაწერო — „უმაღლესი" ან „საშუალო". მაგრამ არავინ გეკითხება, როგორ მიიღე ეს განათლება, ან, საერთოდ, გინდოდა თუ არა განათლების მიღება... ერთი სიტყვით, მე მგონია, ბევრი შეუსაბამობაა, რადგან ამ ზედაპირული მონაცემების მიღმა რჩება უმთავრესი — ნაღდი ცხოვრება და არა ამ ცხოვრებით მიღწეული შედეგი.

რა უნდა გითხრას ვანო ჯაშიაშვილის, ანდა საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსის ჯემალ ფალავას ანკეტურმა მონაცემებმა? ის, რომ მათი ცხოვრება რამდენიმე პუნქტშია მოქცეული?

არა, ძმაო, ამის თაობაზე, გინდაც გამამტყუნო, მე სხვა აზრისა ვარ...

ჰოდა, ვსხედვართ ახლა მე და ვანო ჯაშიაშვილი და თავისებურ, ჩემებურ „ანკეტას" ვავსებთ.

— რა არის შენს ცხოვრებაში უმთავრესი?
— ვეკითხები.

ვანოს დაკოჟრილი, ქარისა და წვიმისაგან გახეშეშებული ხელები მაგიდაზე დაუწყვია და იღიმება.

სტუმარი ღვთისაა...

ჯაშიაშვილების „სახლშიც" უხარიათ იგი.

ეს სახლი ჯერჯერობით შუაში გატიხრულ ვაგონისაგან შედგება.

— რა არის ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი? — ფიქრის ჩრდილი ადგება ვანოს სახეს და ცოლს უყურებს. — ალბათ, ჩემი საქმე...

— ეს მშენებლობა? — ვცდილობ დავაკონკრეტო.

— ეს მშენებლობაც... — ორჭოფულად მიპასუხებს იგი.

— რას ნიშნავს „ეს მშენებლობაც?"

ვანოს კიდევ უფრო ებადრება სახე.

— როგორ გითხრა... — ძლივს პოულობს შესაფერის სიტყვებს — აი, როცა ადამიანი პატიოსნად, გულიანად აკეთებს იმას, რაც ევალება...

ვანოს ცოლი ჩაით გვიმასპინძლდება. სიმპათიური ქალია. მოკლედ შეჭრილი თმა უხდება. იგი საქბამშენის საქმეთა მმართველია. სულ ახლახან ზვიოზდნის სადაბო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

— დიდი ქალია! — იღიმება ვანო. — შინ უშფოთველად ცხოვრობდა. ციმბირში ჩამომყვა და, დახე, დეპუტატის რწმუნებებით. არ შეხვდნენ?

ბიბლიოთეკა

— უი, შენ არ გაქრი! — სიყვარულით უყურებს ქმარს თამარი.

დასწერ ამას ანკეტაში? ვერ დასწერ...

ვანო კი ზის და იღიმება: — აქ, ჩვენთან, საღამოობით კონცერტს გადმოსცემენ რადიომსმენელთა დაკვეთით... ერთი ასეთი სიმღერაც იყო: Сто путей, сто дорог для тебя открыты»... ეს, რა თქმა უნდა, კარგია, როცა ცხოვრების ზღურბლთან მდგომს ამდენი გზა გელის... მაგრამ ხომ უნდა იცოდე, საით წახვიდე? ამ გზას ერთი-ორი წლით კი არა, სამუდამოდ ირჩევ. ამიტომ ცხოვრების გზა ერთადერთი უნდა იყოს, მხოლოდ შენი, შენი საკუთარი... მე ჯერ სკოლაში ვოცნებობდი ამ გზაზე...

თამარმა გაიცინა.

— იცი, რას ეძახიან მაგას მწერლები? მომავალს...

— აი, ბატონო! — გაბრწყინებული თვალებით მომაჩერდა ვანო. არ აირჩევდნენ ასეთ ქალს დეპუტატად?... ჰო, რაზე შევჩერდით?.. ცხოვრების გზაზე-მეთქი... როგორც ხედავთ, ამ გზამ შორეულ ციმბირში მომიყვანა...

— ძნელია, ალბათ აქ. — ვთქვი მე.

— ძნელია, აბა! — მოჭრა თამარმა.

ვანოს არაფერი უთქვამს: „ოთახის" კედელზე ჩრდილი დათამაშობდა. გარეთ ბნელოდა, წვიმა ხმაურით ეხათქუნებოდა სარკმელზე. ვანო წვიმის ხმაურს უსმენდა.

— მიყვარს წვიმა, — ვთქვი მე. — ოცნებები იცის.

— ჰეე, — რაღაც უცნაურად ამოიძახა ვანომ და თავი გადააქნია. — რას ნიშნავს, ხვალ სამუშაოზე რომ არა ხართ გასასვლელი! ნაწვიმარზე, იცით, რა არის ტაიგა? — შემხედა. გაიღიმა — დილით თავად არ ნახავთ?!

მაგრამ დილამდე მე მისი ცხოვრების ერთი მეტად საინტერესო ეპიზოდი მაინტერესებს. დიახ, სწორედ ის ეპიზოდი, რომელიც არც ერთი კითხვით არ არის გათვალისწინებული.

— მართლა იღუპებოდით ტაიგაში?

— ეს როდის? — გაოცებით მიყურებს ვასო, — ტრაქტორი რო მოგვყავდა?

— ვერ მიხვდი, კაცო?! — მიეშველა თამარი.

— ჰოო! — განგებ აგრძელებს ვანო და სადღაც, ჩემს მიღმა იყურება.

— ეს რამდენიმე თვის წინათ იყო, ზაფხულში. მაშინ ვანო ჯაშიაშვილმა და ბიჭვინთელმა ვლადიმერ კოვალენკომ უსტ-კუტში ახალთ-ახალი ხემზიდი „ტ-4" მიიღეს .მაგრამ მიღება რაღა მიღებაა, თუ დანიშნულ ადგილას არ ჩა-

იყვანე? ეს კი მეტად საპასუხისმგებლო, მე ვიტყოდი, სარისკო საქმე იყო.

კოკისპირულად წვიმდა.

გეგონებოდა, ცა ფეხად ჩამოდისო ქვევით.

მაინც არ შეშინებიათ — ზაფხულში ჩვეულებრივი ამბავია წვიმა. ჰოდა, ლენის გადასახვლელამდე, ე. ი. ბორნამდე მშვიდობიანად იარეს, მშვიდობითაც ჩააღწიეს ზვიოზდნამდეც და ღამე იქ გაათიეს. დილით ისევ თავსხმაში გააგრძელეს გზა... გაუჭირდათ. ჭაობისაგან შემბალი მიწა თითქმის ყოველ მეტრზე რაღაც სიურპრიზს უმზადებდა — ვერაგულად ხასხასებდა ხავსით მოხავერდებული ზედაპირი — მის ქვეშ ისეთი ღრმულები და ორმოები იპოვებოდა, თუ მონადირის მონიშნულ გზას არ გაჰყვებოდა, მარცხი გარდუვალი იყო. მიგუგუნებდა ტაიგაში ტრაქტორი, წმენდდა გზას, გვერდზე აწვენდა ვეება ხეებს, ზედ გადიოდა, ამოკლებდა ოღრო-ჩოღროებს... მაგრამ სიბნელემ მოატანა და ტრაქტორის სინათლემ ვერ გაარღვია ღამეული ბურუსითა და ჭაობის ორშივარით გაჟღენთილი სივრცე.

ახლა ზედმეტი იყო კითხვა: „რა ვქნათ?"

ტაიგა უხალისოდ თმობდა თითოეულ მეტრს.

ადამიანებიც დაიღალნენ.

ძილი სულ უფრო ახსენებდათ თავს. ამას გაუძლებდნენ. რა თქმა უნდა, ეს ჩვეულებრივი ამბავიც იყო. მაგრამ კუნაპეტ ღამეში გზის ძიება უაზროდ მოეჩვენათ. თითონაც გრძნობდნენ, რომ მონადირის ბილიკს, კარგა ხანია, ასცდენოდნენ და ორიენტირდაკარგულნი მიიწევდნენ წინ.

„ხომ არ შევიხვენით ჰა?" გაბზარული ხმით იკითხა კოვალენკომ.

არა, ეს არ ყოფილა შიშით გამოწვეული. შიში უფრო მოგვიანებით ეწვიათ, როცა მოტორი გამოთიშეს და წაიხემსეს... დიახ, წაიხემსეს და ტრაქტორიც შექანდა. წვიმის ხმაურში რაღაც უცნაური ბუყბუყი ჩაესმათ. სმენამ სწრაფად გამოხტაცა სიბნელეს ეს ბუყბუყი. ჭაობიანი მიწა ნელი-ნელ, ვერაგულად ისრუტავდა ტრაქტორს. აი, მაშინ გაცხრილათ ტანში — „ვიღუპებით!"

— ძრავა! ძრავა ჩართე! — იყვირა კოვალენკომ და კაბინის კარს ეცა.

მაგრამ ათუხთუხებული ტრაქტორი, ეს თითქოს ყოვლისშემძლე რკინის გიგანტი, უძლური აღმოჩნდა რბილი ხავსისა და ნეშომპალის წინაშე — ჭაობის მახე ამოქმედდა...

დასწერ ამას ანკეტაში?

შენ გეკითხები, ნიკუშ, დასწერ?

ეს არავის აინტერესებს. მთავარი შედეგია და სამუშაო ადგილისათვის განკუთვნილ გრაფაში ვერ შეიტან შორეული ტაიგის გაუვალ ჭაობთან შეჭიდებულ ადამიანთა განცდებს, ვერ შეიტან მათ საძებრად, მათ საშველად გასულ მეგობართა განცდებს... ანკეტა ვერ იტანს ემოციებს. საჭირო კია. რადგან იმ ღამეს ქაობის პირისპირ დარჩენილმა ადამიანებმა გაუგონარი გმირობა ჩაიდინეს. ხელის ცეცებით, უკუნ სიბნელეში ამოთხარეს თითქმის სამი მეტრის სიღრმის ორმო (წარმოიდგინე, როგორი გახაკეთებელია ეს ჭაობში, როცა წყალი მაშინვე ავსებს ამონათხარს!), დაუდეს მორები და ტრაქტორი სამშვიდობოზე გამოიყვანეს...

ამას მთელ ღამეს მოუნდნენ.

მათ გამოჩენას მთელი ბანაკი სიხარულის ამოძახილით შეხვდა.

ტრაქტორი გამარჯვებული გუგუნით მიიწევდა წინ და ტალახის ვეება ფთილებს ისროდა...

ტაიგაში ყოველგვარი საგმირო საქმე ჩვეულებრივ, ყოფით ამბადაა მიჩნეული. აქ ადამიანებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე უწევთ არნახული სიმამაცის გამჟღავნება... ამის გარეშე შეუძლებელია აქ შრომა. ამიტომ ყოველთვის ძუნწად გეკითხებიან ხოლმე: „გაგიჭირდა?" „ისე რა"... — აძლევ პასუხს. მაგრამ შინ, მეგობრის, ან მეუღლის გვერდით ვერასოდეს შეიკავებ თავს. რას იზამ, ასეთია ადამიანის ბუნება...

და როცა ვანოს მეუღლე ტრაქტორის გადარჩენის შესახებ მოკლედ ხვრის: „საშინელი ამბავი იყოო"... მე უკვე ვიცი, რა იმალება ამ სიტყვებში... თითქმის ექვსი საათის მანძილზე ადამიანები წელამდე წყალში იდგნენ. მართალია, ზაფხული იყო, მაგრამ ჭაობის წყალი აქ ყინულოვანია, იკბინება და ძვალ-რბილში გატანს... დამზრალი მიწა ადვილად არ ნებდებოდა. მას უკვე შეგულებული ჰქონდა საკბილო — ვეება ტრაქტორი და არ უშვებდა მარწუხებს.

სწორედ ამ შიშზე, გათოშილ ხელებზე, ტანზე მიკრულ გაშეშებულ „სპეცოვკებზე", ტრაქტორის ქვეშ, ჭაობიან წყალში ჩაყრილ მორებზე უამბო ვანომ მეუღლეს.

— იცით, რას გავდა, როცა ბანაკში შემოვიდნენ? — მომაჩერდა თამარი. — ძლივს მივხვდი, რომ ჩემი ქმარი იყო... თორე... ტალახში ამოგანგლული, იცნობოდა განა?!

ცოლ-ქმარს თბილი, ბედნიერი ღიმილი უბრწყინავთ.

და იცი, რა შევნიშნე მათ ღიმილში? რომ ცხოვრება მარადიული ჭიდილით, ბრძოლით და, თუ გნებავს, კბილით გამოტაცებული უფლებით, სიცოცხლის უფლებით არის საინტერესო.

ითვალისწინებს ასეთ პასუხს ანკეტა?

ნუთუ დაბადების თარიღისა და მშობლების საქმიანობის აღნიშვნით ყველაფერი ვიცით ადამიანებზე?

იცინი, ხომ?

იცინე.

მაგრამ მე ძალიან მაინტერესებს, ვთქვათ, სამსახურებრივი ანკეტის შედგენისა[illegible] კითხვაზე: „გაგჭირვებია თუ არა ოდესმე? [illegible], რა ვითარებაში) — რა პასუხს გასცემდი?..

## წერილი მეთერთმეტე. ხმები

დიახ, მე დავდივარ და ხმებს ვაგროვებ. შეუმჩნევლად, სხვათა მალულად. ჩამწერი კურტაკის უბეში მაქვს დამალული. მიკროფონი კი სახელოში გაჩრილი. ძალზე მარტივი კომბინაციაა, არა? შეხვდები კაცს, გამოეცნაურები. ჰკითხავ, რაც გინდა. დააჭერ ღილაკს, მიკროფონიან ხელს წინ წასწევ და...

— მოგწონთ ბამზე?

ამბობენ, ნათქვამ სიტყვას უკან ვერ დაიბრუნებო.

როგორ ვერ დაიბრუნებ, საყვარელო! აგერ, ფირი. დააბრუნე საწინააღმდეგო მხარეს და ისმინე რამდენიც გინდა!.. ფირს პასუხი სამუდამოდ აღუბეჭდავს.

— მოგწონთ ბამზე? — ვეკითხები „საქმშენ-ბამის“ მშენებლობის უფროსის მოადგილეს. ნუგზარ მგელაძე გაკვირვებით მიყურებს. მართლაც, აბა, რა კითხვა კი ეს არის! უხერხულად ვიშმუშნები. მაგრამ უკან დახევის დრო აღარაა. ნუგზარს მუდამ ეჩქარება. მუდამ რაღაცით დაკავებულია, ფიქრობს, ანგარიშობს, გრაფიკებს ადგენს.

— თქვენ როგორ ფიქრობთ? — პირაქეთ მეკითხება.

— მე მგონი, მოგწონთ! — ვცდილობ იუმორის ანარეკლი მივცე უადგილო კითხვას.

— ოჰ! (სახე მრავალმნიშვნელოვნად უნათდება ნუგზარს, რითაც მეუბნება, — ნეტა შენი საზრუნავი მომცაო), კარგი ახალგაზრდაა. ოცდათოთხმეტი წლისაც არ არის და ამოდენა მშენებლობის უფროსის მოადგილეა. მისმა სპორტულმა აღნაგობამ არ შეიძლება ცნობისმოყვარეობა არ გაგიღვიძოს. არც შევცდები. თავის დროზე მძლეოსნობის მოყვარულნი არაერთხელ გაუხარებია სპორტის ოსტატს, საქართველოს ჩემპიონს ნუგზარ მგელაძეს. ზუსტად ათი წლის წინათ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და თავისი დამოუკიდებელი შრომითი მოღვაწეობა ჯერ „თბილმშენის“ ოსტატად, მერე კი სამუშაოთა მწარმოებლად დაიწყო. იმუშავა რუსთავის მსხვილპანელიანი სახლების სამშენებლო კომბინატის წარმოების უფროსად, აშენებდა თბილისის პროფკავშირის კულტურის სასახლეს... იყო თბილმშენის მთავარი სპეციალისტი. საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროში.

— და დაუფიქრებლად [illegible] მყუდრო სამუშაო ოთახი ბამის ტრასაზე? — ვეკითხები მე და თან ვცდილობ შეუმჩნევლად დავაჭირო თითი ჩამწერის ღილაკს. რაღაც არ გამოდის.

იგი იღიმება.

— მომწონს თუ არა ბამზე? (როგორც იყო მოვძებნე ჩამრთველი) ბედნიერი ვარ.

— ბედნიერი?

— აბაა! — განგებ აგრძელებს ნუგზარი. — ხომ შეიძლება, რომ ანზორს არ გასჩენოდა ჩემი „აყვანის“ სურვილი?

— დიდი ამბავი, ტაიგას დაკარგავდით, — ვიცინი მე.

— როგორ გითხრათ, — ნათელი, დიდრონი თვალებით მიყურებს ნუგზარი, — შეიძლება ტაიგას არაფერი დაეკარგა. არც დატყობოდა ჩემი არყოფნა (გაიცინა). მაგრამ მე ნაღდად დავკარგავდი. ნია არამარტო სამუშაო ძალისა და ცოდნის სარეალიზაციო სარბიელია, არამედ პიროვნების ფორმირების სკოლაც. ამ უზარმაზარ ობიექტზე ადამიანი დგება ფიზიკური და მორალური გამოცდის წინაშე...

— ხოლო რომანტიკა? — ვცდილობ ახალი კითხვა წამოვაგო ანკესზე.

იგი სადღაც, ჩემს მიღმა იყურება.

— ეს კიდევ გასარკვევია, რას ვგულისხმობთ რომანტიკაში. — გულწრფელად მეუბნება ნუგზარი, — ხანდახან ამ სიტყვას ირონიით იხსენიებენ. რეალურისა და საღი აზროვნების ანტიპოდად ესახებათ, ბევრს, მაგალითად, ამაღლებული, აღტაცებული ცხოვრების ძახილი ჰგონია იგი. თქვენ ჩემი აზრი გაინტერესებთ? გეტყვით: რომანტიკა სისხლსავსე ცხოვრების აუცილებელ, უფრო მეტიც, ბუნებრივ მოთხოვნილებად მიმაჩნია (ჩაახველა, ისევ შემომხედა. მარჯვენა ხელი ნიკაპქვეშ შემოიდო). უფრო ზუსტად, ეს სულის ისეთი წყობაა, როცა სისხლსავსე, მჩქეფარე ცხოვრების გარეშე, არსებობა არ შეგიძლია.

— ეს თქვენი პირადი გამოცდილების შედეგია?

— ჰმ (ჩაახველა), გაიცანით ჩვენი ბიჭები, — პასუხიც მზად გექნებათ.

— თუკი ასეა, მაშინ ბამის ახალგაზრდობა შესანიშნავ თაობას უნდა მივაკუთვნოთ?

— რა თქმა უნდა.

— თანადროულ ახალგაზრდობაზე ამბო-

ბენ, თითქოს იგი ზედმეტად რაციონალურია, სწორია ვითომ ეს?

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ახალგაზრდობა მეტისმეტ წინდახედულებას იჩენს?

— მიმიხვდით. — გამიხარდა მე. — ეს ის რაციონალიზმია, როცა აზრი და მოქმედება არავითარ ზიანს არ გაყენებს...

— განა ეს ცუდია?

— მე არ მითქვამს, რომ ცუდია.

— მაშ, რად წამოიწყეთ ეს საუბარი? მე, მაგალითად, ასეთ თვისებას ღირსებადაც ვთვლი.

— ვითომ? მაგრამ კარგ ადამიანებზე, იცით, რას ამბობს ხალხი? ოქროს გული აქვსო. ხოლო დიდმა ტოლსტოიმ...

— ლევ ნიკოლოზის ძემ?

— ლევ ნიკოლოზის ძემ... თავის დღიურში ჩასწერა: «Нельзя заставить ум разбираться и уяснять, чего не хочет сердце».

— დიდებული ნათქვამია.

— მეც მანდა ვარ და ამ რაციონალიზმის დადებით-უარყოფითი მხარეები მაინტერესებს...

— იქნებ, სჯობდა სხვა კუთხიდან შეგვეხედა ამ თვისებებისათვის?

— კერძოდ?

— ვთქვათ, დავიწყოთ იმით, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა ცოდნის მხრივ, საკმაოდ მომზადებულია, ცოდნამ თავდაჯერებული გახადა იგი. და, რაც მთავარია, მან იცის, უკეთ როგორ უნდა მოაწყოს ცხოვრება... აქედან დასკვნაც: ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაქსიმუმი, მისი წარმოდგენაც ცხოვრებაზე ხშირად წინ უსწრებს არსებულ სინამდვილეს. იგი სასტიკად ვერ ურიგდება ნაკლოვანებებს. ხოლო როცა სირთულეებს აწყდება, მათ დასაძლევად საუკეთესო მეთოდს იშველიებს... აი, რაციონალიზმის მთელი არსი... და ეს ანგარიშიანობა, დამოუკიდებლობა აზროვნებასა და მოქმედებაში მე რაციონალიზმის დადებით თვისებად მიმაჩნია.

— ხოლო უარყოფით თვისებად?

— თქვენ გგონიათ, მე ამდენი დრო მაქვს?! (შეიშმუშნა. ხელი ჩამოიღო ნიკაპიდან, თვალებში რაღაც უცნაური შუქი ჩაუდგა). ამბობენ, რომ უარყოფითი თვისებები ისევ და ისევ ღირსებებიდან იღებს სათავეს. მაგრამ ეს მაშინ, როცა ზღვარს გადადიხარ... აი, ახალგაზრდას ჰგონია, რომ მას არსებულზე უკეთესის გაკეთება შეუძლია, ოღონდ მოინდომოს! ოღონდ!.. საკუთარი ძალებისადმი ასეთი წარმოდგენა ზოგჯერ არარეალურია და მალე ფრთაც ეკვეცება. სამაგიეროდ, რა მივიღეთ? ჯანსაღი კრიტიკის ნაცვლად კირკიტობანა და ნიჰილიზმი... ხშირად გვესმის — „ახლა არც ოცდაათიანი წლებია დ არც ომისშემდგომი პერიოდი. ქვეყანა მომძლავრდა". რას ნიშნავს ეს? პრესა, ტელევიზია, კინო მეცნიერებისა და ტექნიკის არნახულ მიღწევებზე მოგვითხრობენ, კეთილდღეობის დონე ხომ განუხრელად იზრდება... ის კი, არ გაგეცინოთ, ზოგჯერ ენთუზიაზმის მუხრუჭად იქცევა. იმუშავე დაწესებული საათები? მაშასადამე, გუდა-ნაბადის აკვრაც შეგიძლია. ხოლო თუ სამშენებლო მასალის მიწოდება დაგვიანდა და იგი გარკვეულ მიზეზთა გამო ცვლის ბოლოს მოიტანეს, განაჩენიც მზადაა: აჰა, ვერ შეძლო ხელმძღვანელობამ დროული უზრუნველყოფა? აწ თავისთავს დააბრალოს ყველაფერი. მაგრამ მშენებლობა მშენებლობაა და აქ ბევრი გაუთვალისწინებელი რამ ხდება. ამიტომ არსი მცნებისა „საჭიროა!" არასოდეს არ უნდა მისუსტდეს. საბედნიეროდ, ჩვენს ბიჭებს ამის განმარტება არ სჭირდებათ...

— აგაშენა ღმერთმა! — ვიცინი მე. თან ვატყობ: დიდი ხანია, გათავდა ფირი.

— რა მოხდა? — მეკითხება ნუგზარი.

— გაწვიმდება, ალბათ! — ვიხედები ცისკენ.

— შემოდგომა არ მოდის? — კვერს მიკრავს ნუგზარი და ხელებს ასავსავებს. — ე! რამდენი დრო დავკარგე, ა?

... მე დავდივარ და ხმებს ვაგროვებ.

— მოგწონთ ბამზე? — ვეკითხები ვაჟა შენგელიას.

— ბატონო? — უცებ ვერ ხვდება იგი.

— რომ არ მოსწონდეს, გაჩერდება? — იღიმება ნოდარ გუგულაშვილი. — ეგ, იცით, როდის მერეა აქ? მშენებლობის პირველი დღიდან... — ნოდარი ჟურნალს მიჩვენებს. ეს „ცისკარია", 1975 წლის მესამე ნომერი. ასმეოთხე გვერდზე ნარკვევია — ვანო ჩხიკვაძე — „შორს გავარდნილა მათი სახელი". ვკითხულობ. შენც წაიკითხე, ნიკუშ. პატარა ნარკვევია. ქართველ ბამელთა პირველ დღეებს რომ ასახავს. მაშინ ქართული ბრიგადა ზვიოზდნში (ქართულად — სავარსკვლავეთში) მუშაობდა. ყველაფერი კი იცი, როგორ დაიწყო? (მე მთავარი არ მითქვამს) საკავშირო კომკავშირის მეჩვიდმეტე ყრილობიდან, ამ ყრილობაზე ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობა კომკავშირულ-დამკვრელურ უბნებად გამოცხადდა. არის რეზოლუციაც: „ამ გზის მშენებლობა ლენინური კომკავშირის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის ღირსების საქმეა. იმ ახალგაზრდობის საქმეა, რომელიც დნეპრჰესის, მაგნიტკის პირველმშენებელთა, ყამირის, ანგარისა და ენისეის დამორჩილებელთა დიდებულ ტრადიციებს აგრძელებს. ყრილობა (ნათქვამია შემდგომ) არწმუნებს კომუნისტურ პარტიას, რომ კომკავშირელები, ჭაბუკები და ქალიშვილები, მთელ ძალებს მოახმარენ ამ საპატიო დავალების შესრულებას". სიტყვას საქმე მოჰყვა. თანაც ახალგაზრდობას ხომ არ უყვარს ვადების გადაწევა — იქვე, ყრილობაზევე, შედგა მოხალისეთა

ეშელონი და კრემლის კარიბჭეებიდან პირდაპირ ბაიკალისაკენ აიღო კურსი. მათ შორის ქართველებიც იყვნენ. მე ახლა ვიცი მათი სახელები: ვალერი რუხაია, ვაჟა შენგელია, შოთა კაკუშაძე, მერაბ დარგუაშვილი, ელგუჯა ქიტოშვილი, ნოდარ გუგულაშვილი, ზურაბ ყალიჩავა...

და აი, ჩემს წინ ბამის ერთერთი „ძველმოსახლე“ დგას.

იგი ამბობს: — მომწონს თუ არა ბამზე? რა თქმა უნდა...

ვაჟა შენგელია თბილისიდან 1974 წლის 24 აპრილს გამოფრინდა და მოსკოვის შვიდასკაციან ჯგუფს ჩაჰყვა ტაიშეთში. აქ ჯგუფი ორად გაიყო. ნაწილი შიმანოვსკაიასაკენ გაემართა, ნაწილი — უსკ-კუტში დარჩა.

— რა არის შენს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი? — ვეკითხები.

— ბამი (მიმოიხედა). ნია. ნიას ვხედავ და ვგრძნობ ყოველ დღეს. დილიდან დაღამებამდე, შებინდებიდან. ვიდრე განთიადი გაახელს თვალებს, გააჩნია, რა სამუშაოებია ნიაში! წამით ნიას გარეშე რომ წარმოვიდგინო თავი, ძალზე მოწყენილი, ძალზე გაძარცული ვიქნები. ერთი სიტყვით, ნაკლებ ბედნიერი ვიდრე ახლა ვარ... ჰოდა, გეტყვი: აქ რომანტიკაა! შრომაა! და რაკი შრომაზე ჩამოვაგდე სიტყვა, გამოგიტყდები — ნია (ე. ი. ბამი) ჩემი ცხოვრების ის დიდი გადასახედია, საიდანაც სამყარო მოჩანს. ჰო, არის ასეთი გადასახედი... ოღონდ ყველას თავთავისი აქვს იგი. საერთო კი ერთია: ნამუსიანი, გულიანი მუშაობით ამშვენებდე ამ ადგილს, ამშვენებდე მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით, პირადი მაგალითით. აი, ჩემი მეგობარი ვალერი. ვალერი რუხაია. თითქოს სულ ახლახან არც ბენზოხერხი სჭერია და არც ტაიგა უნახავს (როგორ გუგუნებს, ა?). სოხუმში მუშაობდა. ზღვა, მზე, სიმშვიდე, ექსპედიტორის უწყინარი თანამდებობა. სუბტროპიკულ სასწავლებელშიც შევიდა. ვერ მოისვენა. ხომ ხდება ასეთი რამ? არ მოგწონს, როცა დუნედ, ერთფეროვნად მიედინება შენი ცხოვრება. რამდენი წლისა იქნება? ჰა და ჰა, ოცდაორი ძლივს აასრულა. ბამში კი თავისი მოწოდება ნახა. თავისი თავი იპოვა. მართლაც, ძნელია, როცა ცხოვრების მომხმარებელი ხარ და მეტი არაფერი... დღეების უმეტეს ნაწილს ტაიგაში ვატარებთ... ოჰ, ეს ტაიგა (ჩაფიქრდა, კეფა მოიფხანა. რაღაც გაახსენდა, რადგან ერთბაშად გაუნათდა სახე). პირველად რომ ჩამოვედი, ჩვეულებრივი. გაუვალი ტაიგა დაგვხვდა. ცოტა არ იყოს. შევშინდი. ჩემთვის, საჯაროდ კი არ გამომიცხადებია. აქ რამდენიმე კარავი იდგა (მაშინ თექვსმეტკაციან რაზმს დროებითი გზა გაჰყავდა ლენადან ზვიოზდნამდე). ჩვენი, ე. ი. ქართველების უბანი ნიას ხანაპიროზე მდებარეობდა. ვერ გეტყვით, რომ უცებ შევეგუეთ გარემოს. რობინზონებივით ვიყავით — ყველაფერზე ჩვენ გვიხდებოდა ზრუნვა. ახლა კი ერთი... ზამთარი ტაიგაში გავატარეთ, გაზაფხული — ტაიგაში, ზაფხული — ტაიგაში, ამ შემოდგომასაც ტაიგაში ვატარებთ. რაღა რჩება? ერთი სიტყვით, თორმეტ თვეს ვმუშაობთ, დანარჩენ დროს კი ვისვენებთ... ეს ცხადია, ხუმრობაა, მაგრამ ძარღვიანი, თბილი. მეგობრულად ვცხოვრობთ, ღვიძლებივით. თითქმის ყველაფერი გვაქვს. ყვე-ლა-ფე-რი! ახლა არ იკითხავ, როგორი დისციპლინა გვაქვს? რკინისებური. მთელ ღაბაში ე. წ. „მშრალი“ კანონი მძვინვარებს. გაბედოს ვინმემ და გვერდი აუაროს... კანონიერი მოთხოვნილებისა და წესრიგის ყოველგვარი შესუსტება ხომ სახალხო საქმეს აყენებს ზიანს... აბა, შეხედეთ მზეს! იმას ვენაცვალე, როგორ აცხუნებს. აშრობს ტაიგას. მწიფს ბალახი, ვმუშაობთ ამ თაკარაში. ოფლი გვაწუხებს (კოღოს ნუღა ახსენებ!), მტვერი! ხანდახან ღამეებსაც გადავაბამთ. ერთმანეთს ვეჯიბრებით. ეს სტიმულს გვმატებს. დიახ... ნუ დაგავიწყდებათ უბრალო ჭეშმარიტება — რამდენი კაციცაა ჩვენს რაზმში, იმდენი ხასიათიცაა. შეჯიბრი აფხიზლებს ყველას, ერთი საერთო მიზნის გარშემო რაზმავს... ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეურნის სადი თვალი და გონება წვდება მშენებლობის ყველა უბანს, ფლობს მდგომარეობას და არის მდგომარეობის ბატონპატრონი.

— რა იყო თქვენს ცხოვრებაში (მხედველობაში მაქვს ბამზე ყოფნა) ყველაზე საინტერესო?

— რომ გითხრათ, დათვთან შეხვედრა-მეთქი, დამიჯერებთ?

— სხვა რა გზა მაქვს! — ვიცინი.

— მაშინ ლენას ნაპირზე, ოცდამეხუთე კილომეტრზე ვმუშაობდით. ათკაციან ბრიგადას ზურაბ ყალიჩავა ხელმძღვანელობდა. ხომ მაგრად ვიმუშავეთ მაშინ, მერაბ? — ეკითხება ვაჟა იქვე მდგომ მერაბ დარგუაშვილს.

— მაშ! — კვერს უკრავს კეჭრეთელი ჭაბუკი.

— კარავში არ ვცხოვრობდით?

— აბა, აბა! — წარსულისკენ იხედება მერაბი.

ვაჟა კი განაგრძობს: დღიურ გეგმებს ხუთმაგად ვასრულებდით.

— რატომ მეტით არა? — ხწყინს მერაბს.

— ზოგჯერ მეტითაც, — ილიმება ვაჟა. — ჰოდა, ერთხელ (ცოტა სული რომ მოვითქვით) ლენასაკენ გავიხედირნე. ბუნება ხომ ჯადოსნურია? განა, თვითონაც არ ხედავთ? ის დღეც სამუშაო ადგილს გავცდი, რომ წინ, რაღაც ოციოდე ნაბიჯზე, ბუჩქი შევაგულე. არ მომეწონა. დავუკვირდი და უზარმაზარი შავი დათვი არ შემრჩა? თქვენს მტერს, რა შიშიც მე ვჭამე! და იცით, საერთოდ ამის კვალობაზე რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეტყვით, მხოლოდ ბრიყვებს და დეგენერატებს არ ეშინიათ სიკვდილის! უჩუმრად გამოვბრუნდი. მუხლები მეკვეთებოდა — აი, ახლა გამომედევნება დათვი-მეთქი. მას კი სულაც არ ჰქონია ჩემი დარდი.

— მაშ, დათვი ბევრი ყოფილა აქეთ? — მაინტერესებს.

— ყოფილა?! — უკვირს ვაჟას, — ქვეყნისაა.

— არ ერჩიან ადამიანს?

— ჯერჯერობით არა... როგორც ჩანს, ადამიანს ჯერ არ მოუსწრია მისი დაფრთხობა. ფრინველიც ასეა.

— ფრინველსაც არ ეშინია?

— ცხვირწინ დაგიჯდება და გაკვირვებული გიყურებს...

— წარმოუდგენელია...

— რა არის აქ წარმოუდგენელი, — ზანზალაკები წკრიალებენ ვაჟას ხმაში. — აი, ჩვენთან სტუმარი იყო. ბორის კამენსკი, ჟურნალისტი. მთელი თვე ცხოვრობდა ჩვენთან. ერთ დღეს ჩიტი შეუფრინდა კარავში. ბორიამ იფიქრა შემთხვევით თუ შემოფრინდაო. დაიჭირა და გარეთ გასვა. თქვენც არ მომიკვდეთ, ფრთაც არ მოუნაცვლებია. კარვის წინ დაიწყო ქავქავი და საკბილოს ძებნა...

მე ვაყურადებ ტაიგას.

შუადღეა.

გარინდულა ტაიგა, გარინდულა თავისი ჩიტებით, ციყვებით, ფოცხვერებით, სიასამურებით, დათვებით... როგორ ნებიერად მიუშვერია მკერდი მზისათვის. ნიას ნაპირებზე კი გარემო სიცხით გათანგულა. მდინარე კი ხუნთქავს, მღერის, კვებავს კენკრასა და ბალახს...

მოდრა, დაიყურა ქუჩმაიას ღერი, ხოლო შორეულ ბორცვებზე მთვლემარე ბაცი ალმური ისე ჩაძირულა და შეხამებია ირგვლივ გამეფებულ მყუდროებას, გეშინია, უნებურად დამფრთხალმა კუტკალიამ არ დაარღვიოს გაფიცხული ჰაერის ქსოვილი.

მაგრამ ცოტა იქით გაიხედე, საითკენაც ნია მდინარე ტაიურასაკენ იჩქარის. მექანიზატორები უკვე შედგომიან მოჭრილი ხეების გამოტანას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოჩვენებითია ტაიგის სიმყუდროვე, მოჩვენებითია მისი გარინდება — ამიერიდან ადამიანები არიან მისი მბრძანებლები.

მე დავდივარ და ხმებს ვაგროვებ.

როცა ამ ფირს ჩართავ. შენ გაიგონებ უცნაურ ზუილს — ეს ტაიგის ძახილია. ვეებერთელა, ერთმანეთზე მიყუდებულ ხეთა წვეროკენებს ქარი არწევს და უცნაურ მუსიკას წარმოშობს.

— მოგწონთ ბამზე? — ვეკითხები ელგუჯა ქიტოშვილს.

— ძალიან! — დაუფიქრებლად მიპასუხებს იგი.

— შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იგი მთავარია შენს ცხოვრებაში?

— ცხადია...

— მიამბეთ თქვენს შესახებ...

— აბა, რა მოსაყოლი ეგ არის... დავამთავრე უმაღლესი, თბილისში, პოლიტექნიკური, სამხედრო სამსახური მომიწია. დემობილიზებულმა აქეთ გამოვწიე. უსტ-კუტში მითხრეს, ინჟინერ-ტექნიკოსები არ გვესაჭიროებაო. არ ველოდი. სახლში (უკვე საქართველოში) რომ წავედი, მაინც არ დამიდგა გული...

— რატომ?

— ზვიოზდნში ქართველი ბიჭები გავიცანი. მომეწონენ. მომეწონენ და მორჩა! რადაც უნდა დამჯდარიყო, მეც მათთან უნდა ვყოფილიყავი, დიდი საქმის შუაგულში!

— და ისევ გაემგზავრეთ?

— მაშ! ოღონდ ახლა ჩემი სკოლის მეგობარი ნოდარ გუგულაშვილი ავიყოლიე. როგორც ხედავთ, აქა ვართ...

— კარგია, როცა ჩანაფიქრი გაგიმართლებს...

— ვამბობ მე.

— მაშ, რისთვის მოვედი ამ ქვეყანაზე? რათა ვჭამო, ვსვა და ვიძინო? ასე მხოლოდ პირველადი ინსტინქტებით ცხოვრობენ. უფრო მეტიც — ლორულად ცხოვრობენ. დროა, რომ ყველა ჩვენთაგანმა ხშირ-ხშირად მიაყურადოს საკუთარ სინიდისს, ხოლო თავისი საქმიანობა ქვეყნის ინტერესების საწყაოთი გაზომოს. მახსოვს, როცა კომისარიატში გამომიძახეს და სავალდებულო სამსახურის უწყება ჩამაბარეს, მამაჩემმა ეზოს ბოლოში გამიხმო „გუჯაო, მოთხრა, საქმე მაქვსო“. გავცდით ბოსტანს, გავცდით ბოსელს. მამაჩემი ბარს მაწვდის. „დარგე“. ვხედავ: მიწაზე ნერგი დევს. კვირტზე ეტყობა — აკაკია. კარგი-მეთქი. ვუკრავ კვერს და ვთხრი ორმოს. მერე ფრთხილად ვუშვებ პაწია ნერგს და ასევე ფრთხილად (უკვე ხელით) ვაყრი მიწას, ფესვებს ვუმაგრებ, ლოქით წყალს ვუსხამ — დაე, იხაროს, გაიზარდოს. მამა კი სადღაც, ჩემს მიღმა იყურება. ახლა ხე დიდია. დგას. შრიალებს. ალბათ, მოვა ხანი, მეც გავიხმობ ჩემს შვილებს მამაჩემის მსგავსად. მაგრამ მიხვდებიან კი ნერგის დარგვის ცერემონიალში ჩაგდებულ აზრს? უნდა მიხვდნენ. უნდა მიხვდნენ, რადგან, როგორც ვთქვი, ყველამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი, თავისი მოვალეობა ცხოვრებაში, კეთილი კვალის დატოვებას ცდილობდეს. რატომაა ეს საჭირო? რათა შენმა მეგობრებმა, თანასოფლელებმა უცნობ-ნაცნობებმა უშელავათოდ თქვან, მის სიცოცხლეს ამაოდ არ ჩაუვლიაო. უფროსი თაობის მხრებს აწევს დიდი პასუხისმგებლობა იმათთვის, ვინც მხოლოდ ეს-ეს არის იწყებს ცხოვრებას. უფროსი — ეს არის ავტორიტეტი სხვებისათვის (გამიგრძელდა სიტყვა?), განსაკუ-

თრებით ახალგაზრდობისათვის, ვინც ეს-ეს არის იწყებს ცხოვრებას...

მე დავდივარ და ხმებს ვაგროვებ.

— მოგწონთ ბამზე? — ვეკითხები მურმან ჩემიას.

— რადიოსთვის გჭირდება თუ ტელევიზიისათვის? — ცნობისმოყვარედ მათვალიერებს საწარმოო უბნის უფროსი.

— ჩემთვის.

— მაშინ გამოთიშეთ მაგნიტოფონი, — იცინის მურმანი.

ნიკუშ! ხედავ, რა საშინლად გავები?

## წერილი მეთორმეტე. პირველგამყვანთა უფლებით

მთელი დაბა ნერვიულობს:

აღარ გამოჩნდება შვეულმფრენი?

ცა აჭიჭყულია. წვიმს და ქარი მთელი ძალით ხრის მაღალ ხეებს. ტაიგის შორეული გაბმული ზუილი სასიკეთოს არაფერს მოასწავებს და მაინც, ბიჭები რაღაც სასწაულს ელიან. თუ დღის ბოლომდე არ დაადგა ნიას შვეულმფრენის ჩრდილი, წასულია მათი საქმე — ხვალ დაბა ზვიოზდნიში გამოცდები იწყება. ვაჟა შენგელია და მისი ბრიგადის წევრები — სლავა ზელიშჩუკი, ზურიკო აბულაძე, ჟორა ავეტისიანი და ვაჟა სორდია ირკუტსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე აპირებენ შესვლას...

ბამის შორეულ რაიონებში მომუშავე ახალგაზრდობისათვის ყველა პირობაა შექმნილი. ისწავლე ოღონდ, მოინდომე ოღონდ...

ბიჭები მთელ გაზაფხულსა და ზაფხულს ემზადებოდნენ — ზვიოზდნიში მოხვედრა კი არ შეუძლიათ, გამოცდები ხომ იქ ტარდება!

აი, რას ნიშნავს, რომ „დიდ მიწასთან“ ნიას მხოლოდ საჰაერო გზა აკავშირებს.

ცა სულ იქუფრება — და დიდრონი მუქი ღრუბლების იქით ვერაფერს გაარჩევ.

— რა ერთი წელი გაგვიცდა! — ნაღვლიანად ამბობს ზურიკო.

— არადა, როგორ ვემზადებოდით, ა? — გულდაწყვეტილია სლავა ზელიშჩუკი.

— იქონიე ახლა შვეულმფრენის იმედი! — ადგილს ვერ პოულობს ვაჟა სორდია.

როცა წვიმს, ტაიგა ჩაშავებულია. ბინდიც თითქმის შუადღის მერე ეპარება ნიას სანახებს.

ბიჭები უბრად სხედან.

ყველაფერი დამთავრდა.

დამთავრდა ვითომ?

ვითომ გაღაიწურა იმედი?

ჰე, ნიკუშ, შენ არ იცნობ ბამელებს! მათთვის არ არსებობს შეუძლებელი.

— აბა, მოვხაზირდეთ! — ამბობს [illegible] ვაჟა შენგელია.

— რაო, ვერტმფრენი გამოჩნდა? — ცისკენ იყურებიან ბიჭები. გაჩნდა იმედის ნაპერწკალი.

— „ფეხადინი“ გამოგვიგზავნეს.

— ხუმრობის დროა? — სწყინთ ბიჭებს.

— მართალს გეუბნებით. წინ ხომ მთელი ღამე გვაქვს. ვერ ჩავაღწევთ ვითომ?

— ორმოცდაათი კილომეტრია ზვიოზდნამდე...

— მერე? ვერ გავივლით ერთ ღამეში ორმოცდაათ კილომეტრს?

... არ ვიცი, სხვაც გაივლიდა თუ არა ამ მანძილს ერთი ღამის მანძილზე, მაგრამ ამ ბიჭებმა ნაღდად გაიარეს. გაიარეს სიბნელეში, წვიმაში, ტაიგაში...

ერთი სიტყვით, საღამოხანს, როცა ყოველგვარი იმედი გაღაიწურა — ბიჭები გზას გაუდგნენ.

რაზე ფიქრობდნენ ისინი?

რა ამოძრავებდათ იმ კუნაპეტ ღამეში?

სწავლის, ცოდნის მიღების წყურვილი.

ერთმანეთის გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ. მიაბიჯებდნენ გალუმპულნი, ტალახში ამოგანგლულნი, ერთმანეთს ამხნევებდნენ, ძილის ბურანი სულ უფრო და უფრო უმძიმებდათ საფეთქლებს, დასახვენებლად უხმობდათ. მაგრამ მუხლის მოკიდვა და ამ უჩვეულო „ექსპედიციის“ დამთავრებაც ერთი იყო — მერე ველარ ასწევდნენ გაღაღლილ, მოშვებულ სხეულებს. ახლა რიტმის შენარჩუნება იყო მთავარი.

— ვინ იტყვის, რას უწოდებენ უსტ-კუტს? — დაიწყებდა რომელიმე.

— ჩრდილოეთის ჭიშკარს, — დააწევდა მეორე.

— უფრო ზუსტად?

— დაარსების დღიდან იაკუტიაში მისატანი ყველა ტვირთის მთავარი ბაზა იყო...

— ეჰ, შენ! ლენა ხომ აქედან სანაოსნოა? — ისმოდა სიბნელეში.

— როდის დაიწყო მსოფლიოში ყველაზე უდიდესი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა?

— ახლა არ დაიწყო?

— შენა ყოფილხარ, აი! — ყრუდ ჩაიცინებდა გვერდით მიმავალი. — მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულში...

— აბა, ეგ რა პასუხია.

— 1897 წელს.

— დახე, მართლა არ სცოდნია? — უხაროდა ვიღაცას.

— ამ წელს მაგისტრალმა ბაიკალს მიაღწია და სამხრეთიდან შემოუარა. — თქვა ვაჟა სორდიამ.

იგი სწორედ იმ სარკინიგზო მშენებლობაზე ფიქრობდა.

1897 წელი...

უკუნი ღამე...

წვიმა

იქნებ, მაშინაც მიაბიჯებდა ვიღაც ამ გაუვალ ტაიგაში...

იქნებ, მასაც რაღაც გადაუდებელი საქმე ამოძრავებდა?

იქნებ, ახალ, მანამდე უცნობ იდეას აემხედრებინა უკუნ ღამეში? ვინ იცის?... ვინ იცის...

ასეთი კითხვებითართობდნენ ბიჭები ერთმანეთს. სიარული უჭირდათ. უმძიმდათ სველი ტანსაცმლის ტარება, მაინც შეუპოვრად მიიწევდნენ წინ. და რაკი ეს გაუვალი, ტალახიანი გზა თანდათან მოკლდებოდა, მატულობდა გამოცდებზე მოხვედრის შანსიც.

განთიადზე, როცა ცა ოდნავ გაგალდა, ზვიოზდნის მცხოვრებნი უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ. ისინი გაოცებულნი შესცქეროდნენ ტაიგიდან გამობობღებულ ხუთ არსებას. არა მგონია, ადამიანებად მიეჩნიოთ პირველად — ტალახში ამოგანგლულებს სქელი ოხშივარი ასდიოდათ. ლაპარაკის თავი არ ჰქონდათ.

— ტყის კაცები, ტყის კაცები! — დაიძახა ვიღაცამ და მთელი ზვიოზდნი ფეხზე დააყენა.

კიდევ კარგი, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. კიდევ კარგი, დროულად ამოიცნეს ისინი... თორემ... ცოტა რამ ხდება? მაგრამ ეს მთავარი როდია. მთავარი ისაა, რომ ბიჭებმა მართლაც სულზე მიუსწრეს გამოცდებს და მათი შესახედაობით გაცბუნებული ლექტორები არანაკლებ გააოცეს... ცოდნით. ყველა კითხვას, ყველა ბილეთს დასაბუთებული, ღრმააზროვანი პასუხი გაეცა.

როგორ ფიქრობ, ნიკუშ, ამაოდ დაშვრნენ ბიჭები?

ხუთივე ჩაირიცხა.

მაგრამ ვიდრე სანუკვარ სტუდბილეთებს მიიღებდნენ, მათ ბევრ ისეთ კითხვაზე მოუწიათ პასუხის გაცემა, არცერთი პროგრამით რომ არაა გათვალისწინებული.

ჩაჭრა უნდოდათ?

რა სისულელეა.

მათი პასუხები ყველა პირველგამყვანს (მხედველობაში მაქვს ბამის მაგისტრალი) უნდა ჰქონდეს მზად.

რატომ?

ახლავე მოგახსენებ,

გახსოვს, კუნაპეტ ღამეში მიმავალმა ბიჭებმა პირველი ტრანსციმბირული მაგისტრალის მშენებლობის თარიღად 1897 წელი მიიჩნიეს. არ უნდა იცოდეს ეს დღევანდელმა მშენებელმა? უნდა იცოდეს. უნდა იცოდეს, რომ მანამდე ამ მაგისტრალის კიდევ სხვა ვარიანტიც (ჩრდილოეთის ვარიანტი) არსებობდა და ბევრი მომხრეც ჰყავდა. რომ ამ მიმართულებით ბევრი ძიებაც ჩატარდა. გრუნტის სირთულის, მუდმივი სიმზრალისა და მთაგორიანი რელიეფის გამო ამ ჩანაფიქრმა ვერ შეისხა ხორცი. მაგრამ იგი არ დაუწუნიათ. თითქმის ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, უსტ-კუტიდან აღმოსავლეთისაკენ კვლავ დაიძრა საძიებო ექსპედიციები. ხოლო კიდევ ორი წლის შემდეგ, აგვისტოში, სახკომსაბჭომ დაამტკიცა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. მერე იყო ომი... იყო ომისშემდგომი პერიოდი და ეკონომიური სიძნელეების დაძლევის წლები... მშენებლობა განახლდა. მაგრამ იგი შეეხო არა მთელ მაგისტრალს, არამედ პაწია ნაწილს — ტაიშეთლენას. ეს ხანა ციმბირის არნახული განვითარების ხანა იყო... ტიუმენი ჩვენი ქვეყნის სათბობის უდიდეს ბაზად იქცა, ენისეიმ და ანგარამ ხომ მრავალი ეკონომიური პრობლემა გადაწყვიტა: ენერგეტიკულ რუკაზე გაჩნდა მსოფლიოს უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები — ბრატსკი, უსტ-ილიმსკი, კრასნოიარსკი... ერთმანეთზე მიყოლებით აღმოცენდნენ სამრეწველო ცენტრები... ეს ყველაფერი კი ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის პრელუდია გახდა.

ახლა ბამის მთელ ტრასაზე, ტაიშეთიდან მოყოლებული კონსომოლსკამდე, ორასზე მეტი სადგური შენდება (არ არის ამის ცოდნა საჭირო?).

ყოველ სადგურს რომელიმე რესპუბლიკა ან ოლქი აშენებს...

დასავლეთ უბანზე სადგურები ასეთი რიგით ჩამწკრივდებიან: უსტ-კუტი, ზვიოზდნი, ნია-გრუზინსკაია, მაგისტრალნი, ურგალი, კუნერმა, ნიჟნეანგარსკი. ერთი სიტყვით, გასაკეთებელი ბევრია და ეს პროგრამა-მინიმუმი ყველა პირველგამყვანმა უნდა იცოდეს.

ხდება ხოლმე: ჩამოდის ვინმე, საქმეში ჩაუხედავი „ენთუზიასტი", გაიხედ-გამოიხედავს.

— ეს ბამია? — იკითხავს.

— არა, ეს ბამის ნაწილია.

— მაშ, სად არის ბამი?

— ეს და კიდევ ორასი ამდენი ჰორიზონტს იქით...

— მაგისტრალი? სადგურები? — ისევ გაიხედ-გამოიხედავს სტუმარი.

— ეს ნია-გრუზინსკაიაა. შეგიძლიათ დაელოდოთ. მატარებელი აქ ჩამოივლის.

— დიდხანს მომიწევს ცდა?

— ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული, მალე გავაკეთებთ, მალე — ჩამოივლის.

— ჰოო! აბა წარმატებას გისურვებთ. — იტყვის „ენთუზიასტი" და გაქრება.

არ ეწყინებათ ბიჭებს ასეთი კაცის სტუმრობა?

არ დარჩებათ უსიამო ნალექი?

ცხადია, დარჩებათ.

ასეთი კაცი ვერ გაიგებს ზვიოზდნიდან დავანის გადასასვლელამდე გაყვანილი გზის სირთულეს, პირველი სახლის საძირკვლის ჩაყრის სიხარულს, „ზამთრის გზაზე" გაჩხირული მანქანის კაბინაში გატარებულ ღამეს... არადა, რამდენი რამ ამაღელვებელი და გმირულია ბამზე!

შენ გგონია, ტაიგა ასე უბრძოლველად, წინააღმდეგობის გაუწევლად თმობდა თავის პოზიციებს?

შენ გახსოვს, ალბათ, ლენის საგაზაფხულო დესანტი.

ხომ წარმოიდგინე რა დიდ, თითქმის სიკვდილის რისკზე იყო დაფუძნებული ყინულშეთხელებული ლენის გადალახვა.

ხოლო ხანძარი?

ხანძარი ტაიგის დაუძინებელი მტერია. მისი ნავერაგევი ახლაც — რამდენიმე თვის შემდეგაც — კარგად ჩანს შვეულმფრენიდან. ცეცხლის ენას პირწმინდად გაულოკავს ტაიგის საკმაოდ დიდი მონაკვეთი.

რა იყო ხანძრის მიზეზი?

გაფიცხულ ბალახში დამსხლტარი მზის სხივი, თუ გამვლელის მიერ დაუდევრად გადაგდებული ჩაუმქრალი სიგარეტი?

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამას ხანძრის საბოლოო შედეგისათვის — ძირფესვიანად გადაბუგულ ტყეს აღადგენს განა მიზეზთა ძებნა?

ხანძარი კი ძლიერი იყო — საათში ოცდაათი კილომეტრის სიჩქარით მიიწევდა წინ... იგი არა მარტო ნია-გრუზინსკაიას ემუქრებოდა, არამედ ზვიოზდნისაც.

სამი დღე-ღამე ბოლავდა ცეცხლი. სამი დღე-ღამე თვალი არ მოუხუჭავს ტაიგას: განგაშმა ფეხზე დააყენა „სომხეთ-ბამის" მშენებლები, მინსკელთა რაზმი...

ცეცხლის ალი ნიას ფლატეებთან ავარდა, დაიწმაწნა, დაიგრიხა, ერთბაშად მოლოკა შემხმარი ბალახი და ხეებს გაეკიდა...

ერთბაშად იფეთქა კედართა კორომმა. კორომს იქით კი დასახლება იყო.

რამდენიმე საათი ცეცხლის პირისპირ იდგნენ.

რადისტი ამაოდ ცდილობდა დაკავშირებოდა „ ცენტრს" — უსტ-კუტს. ბულდოზერი უკვე დამცველ რკალს თხრიდა დასახლების გარშემო.

დღის სამ საათზე, როგორც იყო, გაჩნდა გარე სამყაროსთან კავშირის ნიშანი. ხოლო ორი საათის შემდეგ ერთმანეთზე მოყოლებით მოვიდნენ დესანტებიანი შვეულმფრენები.

ვერტდრომი კვამლს დაეფარა. მაინც დასხდნენ. რამდენიმე წუთში წყალმაც იმუშავა — თითქმის კილომეტრნახევარზე გაიჭიმა [illegible] ცეცხლმა პირი იბრუნა. ახლა ტაიგის სიღრმისაკენ გაიწია.

იწვოდა ტყე. გუგუნებდა.

სკდებოდნენ და კივილით ეცემოდნენ ფიჭვები, ცეცხლის ენა მისდევდა სიასამურს, ციყვებს... მუქარით მიაცილებდა ცაში აჭრილ ბატებს. კვამლში ახშობდა ჩიტების ქავქავს. აბლავლდა დათვი...

როგორც გითხარი, სამ დღეს ებრძოდა ცეცხლს ადამიანი. ვის არ ნახავდით აქ, — ანგარსკის მშენებლებს, ტაიურას ხე-ტყის მეურნეობის მეტყევეებს, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის თანამშრომლებს, ამფეთქებლებს...

სწორედ ასე, ერთიანი ძალით შეძლეს ხანძრის მოთოკვა.

და მეოთხე დილით...

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფდა. იქ, სადაც ტყის ლამაზი მასივი ჩანდა ადრე, მხოლოდ კორძები და შტამბები ჩაშავებულიყო. ნახშირად იქცა ყველაფერი — ბალახი, ყვავილები, ბუჩქები. მხოლოდ დედა-ჩიტები დასტრიალებდნენ ჩამკვდარ ტყეს. ჩხაოდნენ და უცნაური ჟრიალით უვლიდნენ იმ ადგილს, სადაც ბუდე-სამყოფელი ჰქონდათ.

მხოლოდ მდინარე იყო ცოცხალი. მოშხუოდა, მოწანწკარებდა, ქვებს ლოკავდა, დანახშირებულ ბალახს უსინჯავდა ძირს, უფრო დიდ, უფრო ხალვათ მდინარისკენ მიიჩქაროდა.

დაღლილ-ნაჯაფი ადამიანები უცნაური მოკრძალებითა და თავშეკავებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ირგვლივ უთვალავ ჰექტარზე ტაიგა გადაშლილიყო. ადამიანები ამაყად, ლაღად მიაბიჯებდნენ ამ ტაიგაში. ისინი ბედნიერნი იყვნენ. ბედნიერნი ამ მიწის გამო, თავიანთი ადგილის გამო. შენ წარმოიდგინე, ამ მოულოდნელი ხანძრის გამოც — რამეთუ ეს მიწა მშობლიურად, ყველაზე ახლობლად იქცა მათთვის. მძაფრად გრძნობდნენ მის სიყვარულს და მიწაც მადლიერებითა და სიყვარულით პასუხობდა.

როგორც ხედავ, ნიკუშ, საქმის კარგად კეთება, შვიდასი კაცისთვის საცხოვრებელი ბინების აშენება და მაგისტრალისათვის სადგურის მომზადება არ ყოფილა საკმარისი. მისი დაცვა, მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლაც სჭირდება ადამიანს.

ხოლო თუ ამ ბრძოლის შუაგულში არ გიტრიალია, თუ მისი „გემო" არ გიგრძვნია, ვერ მიხვდები, კუნაპეტ ღამეში, საშინელ თავსხმაში, უვალი ტაიგითა და ჭაობების გზით რად გაემართა ზვიოზდნისაკენ ხუთი ჭაბუკი.

და კიდევ ერთი — ცხოვრობს ნიაში კაცი,

რომელსაც მთელი დაბა „პაპას“ ეძახის. ალექსი კურტანიძე. ბორჯომელია.

რამდენი წლისაა იგი? ორმოცის? ორმოცდაათის? რას გაიგებ. ცხოვრებას ისე გამოუწვრთნია — ფოლადისაგან ჩამოსხმული გეგონება. ახლაშენებული სახლის სურნელი უყვარს. ფიჭვის ფიცრები შრება და მოტკბო, დამათრობელ სურნელს გამოყოფს. „პაპამ“ თქვა; „პაპამ“ მირჩია; „პაპასთან“ ვიყავი; „პაპამ“ გააკეთა“ — გაიგონებ ნიაში. გაიგონებ და მაშინვე უნდა მიხვდე, რომ კურტანიძეს გულისხმობენ.

რით დაიმსახურა მან ესოდენი აღიარება? თავისი გულისხმიერებით, ზრუნვით.

იყო კიდევ რაზმში ერთი ახალგაზრდა კაციც. „პაპას“ და იმ ახალგაზრდას დავა ჰქონდათ.

„პაპა“ ამბობდა — შენი საქმე ჩუმად, უხმაუროდ უნდა აკეთოო.

ახალგაზრდა კაცი კი არ მალავდა: „დე, ყველამ იცოდეს, რომ ბამზე ვმუშაობ. მე სახელისთვის, ორდენისათვის ჩამოვედი აქ... დიახ, ორდენისთვის — არა მგონია, ეს დამამცირებელი იყოს...“

მაგრამ სახელის მოპოვება არც ისე იოლი გამოდგა.

— ვთქვათ, წინა საბრძოლო ხაზზე დგახარ, — შეაპარა ერთ დღეს „პაპამ“, — წახვიდოდი შენი ბიჭებით შეტევაზე?

— მაგრამ ახლა ხომ ომი არაა?

— თავს ნუ არიდებ. თქვი, გყავს თუ არა ამხანაგები, რომლებთან ერთად შეტევაზე წახვიდოდი?

— მყავს... — და ჭაბუკმა მთელი ბრიგადიდან მხოლოდ ერთი დაასახელა.

— ბრიგადასთან ერთად კი, გამოტყდი, ვერ წახვიდოდი. შენ მას არ იცნობ.

— კარგი... ვთქვათ, არ ვიცნობ... დაშავდა რამე?.. ადამიანს სულში ხომ ვერ ჩახედავ. მუშაობს. გეგმებს ასრულებს.

— იცი, რა არის შენი შეცდომა? — განზე გაიხმო ჭაბუკი „პაპამ“ — შიშველი პროცენტით რომ ზომავ საქმეს... სხვა დანარჩენი კი უმნიშვნელოდ გეჩვენება...

მაგრამ მაინც იცვლება ადამიანი. მშენებლობა იზრდება. ფესვს იდგამს და მასთან ერთად იზრდება ადამიანიც.

— იქნებ, მე სწორედ ვერ ვთქვი, მაშინ, ა? — ჰკითხა ერთ დღეს ჭაბუკმა „პაპას“. და როცა გაკვირვებულ მზერას წააწყდა, უხერხულად შეიშმუშნა. კარგი ბიჭი იყო. მაგრამ ის იყო ცუდი, რომ ტაიგაში გამზადებულ გმირად ჩამოვიდა. სწორედ ამაზე ედავებოდა „პაპაც“.

— იქნებ, ამას სულაც არ ჰქვია დიდება? — განაგრძო ჭაბუკმა. იქნებ, მე რაღაც დადასტურება მინდა... რათა მერე... წლების შემდეგ ხალხმა თქვას ჩემზე... ყველამ... ვინც არის და ვინც იქნება. — შეისვენა. სული დაითქვა. მიხვდა არეულად რომ ლაპარაკობდა და გაიცინა, — ერთი სიტყვით, პირველ მატარებელს მინდა გავყვე უსტ-კუტიდან კომსომოლსკამდე... გავყვე ჩემი ნაშენი მაგისტრალით...

ეს კი ბამის პირველგამყვანთა ყველაზე ხაპატიო უფლებაა.

ამ უფლებას მოპოვება, დამსახურება უნდა...
მიხვდა ამას ჩვენი ნაცნობი ჭაბუკი?
მე მგონი, მიხვდა.

## წერილი მეცამეტე. ნიას ემბლემა

უზარმაზარი, ყვითელი მზე დასდგომია დაბას.

ასეთი მზე შენ არასოდეს გინახავს, ნიკუშ! არც მე მინახავს. დახატულსა ჰგავს სწორედ.

ვზივარ გადანაჭერი კედრის ქვეშ და ანზორ დვალიშვილზე ვფიქრობ. დიდებული კაცია.

აქ ასეთ ამბავს ჰყვებიან. ბამზე წამოსვლამდე იგი „ბიჭვინთმშენის“ მთავარი ინჟინერი იყო (გახსოვს, რა აღტაცებით ჰყვებოდნენ შენები ბიჭვინთის მშენებლობებზე?). შესანიშნავად გაართვა ანზორმა თავი არქიტექტურისა და მშენებლობის ამ იშვიათ კომპლექსს. მაგრამ ხომ ხდება, რომ ჭეშმარიტი ხელმძღვანელი ზოგჯერ ვერ ამჟღავნებს ჭეშმარიტი მოქალაქის თვისებებს, ხდება, რამდენიც გინდა, იმდენი ხდება, ანზორზე კი ამას ვერ იტყვი. აქ მუშაობს ანატოლი გაგარინი. ბიჭვინთელი ჭაბუკია. ანზორთან მუშაობდა, თურმე. შემთხვევით გაუგია, ქართველთა ჯგუფი ბამზე დვალიშვილის მეთაურობით მიემგზავრებაო, და კინაღამ დასნებოვნებული... 

— ჯგუფი მთლიანად დაკომპლექტებული იყო, მაგრამ მაინც ავიყვანე, — ღიმება ანზორი. — შრომასმოყვარე ბიჭია. მებულდოზერეა. და მერე როგორი! ხანძლეოს ჩამოვალ, რომ მთელს ზღვისპირეთში ვერ უპოვით ბადალს... შეხედავ მის მანქანას — აბა, რა ჰქუა უნდა მოსთხოვო — ერთი მოუქნელი მოწახაპია ციცხვია... ანატოლის ხელში კი... თუმცა, თავად ნახეთ...

როგორც შენიშნავდი, ანზორს ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. მწერლისთვის და პრესის მუშაკისათვის კი ენადგაკრეფილი კაცია საჭირო, რაღაც შტრიხი მაინც წამოცდება. აქ კი მარტო შენ ლაპარაკობ, ის გისმენს და იღიმება. მერე ერთი უბნიდან მეორე უბანზე მიდის, მიაბრახუნებს ტალახში ამოგანგლულ ჩექმებს და მოკლე, მხოლოდ მშენებლისათვის გასაგებ განკარგულებებს იძლევა. წუხელ მან წერილი მიიღო შინიდან, საერთოდ, იგი უამრავ წერილს იღებს — ახლობლებისაგან და სრულიად უცხო ადამიანებისგანაც. ამ წერილმა კი განსაკუთრებით მოათბო ოჯახს დანატრებული მამის გული. „მამიკო, როცა დიდი კოლო მოგიახლოვდება, შენ თავი დალუნე" — აფრთხილებს ანზორს პატარა ქალიშვილი. დიდხანს იცინა ამაზე ანზორმა. მთელმა დაბამაც იცინა... და როცა დილით სტუმარი დაინახეს... „კოლო ხომ არ გაწუხებთ?" — იკითხეს ამ მიამიტობით გახარებულმა ბიჭებმა.

„მაგას კითხვა უნდა?"

„გინდათ უებარი საშუალება?"

სტუმარი სმენად იქცა.

„როცა კოლო მოგიახლოვდებათ, თავი დალუნეთ", — გადაიხარხარეს ბიჭებმა. სტუმარი უხერხულად შეიშმუშნა. როცა ამ ხუმრობის საბაბი განუმარტეს, მასაც ერთიანად გაუბრწყინდა სახე.

„დახე, რა მარტივად გადაუწყვეტია ეს პრობლემა!" — ვერ დამშვიდდა დიდხანს.

ახლა უზარმაზარი, ყვითელი მზე დაჰყურებს დაბას. თვალებს ვჭუტავ. ცოცხლდება ბავშვობისდროინდელი ხილვა „საკოლმეურნეო მოედანზე, ბაზრის შესასვლელთან, ვუყურებ კალეიდოსკოპს.

ასე გგონია, დაბაში კი არა, უზარმაზარ კოცონთან იმყოფები, ისე ცხელა. ღამით კი საიმედოდ თუ არ გაეხვიე შალის საბანში, სიცივე აგიტანს... თუმცა აქაურები უკვე შეეჩვივნენ...

ყველაფერს რაღაც უცნაური, ჯადოსნური შუქი დასდგომია. ლაპლაპებს იმ კარვის სახურავიც, სადაც ზაურ ბაქლანძის ბრიგადაა განლაგებული. იქვეა ვერტდრომიც. კარვისა და ვერტდრომის ასეთი სიახლოვე აქ არავის აკვირვებს. ზაურის ბიჭებს სწორედ შვეულმფრენთა დატვირთვა-გადმოტვირთვა ევალებათ. მაგრამ, როცა ცა მოწმენდილია და მის მყუდროებას მოტორის გაბმული გუგუნი არ არღვევს, ზაურ ბაქლანძე სხვებთან ერთად მუშაობს დაბაში... უპირატესად ყველაზე საპასუხისმგებლო უბანზე. ეს ახალგაზრდა ბრიგადირი ოცდახუთი წლისაა. ბიოგრაფია კი საკმაოდ გადატვირთული აქვს: სამი წელიწადი ენგურჰესს აშენებდა. დაამთავრა სარატოვის ავტოსატრანსპორტო ტექნიკუმი, მუშაობდა ავტოკოლონის მექანიკოსად... იყო სისხლის სამართლის დანაშაულებათა გამომძიებელი...

ბევრს ამ ასაკში ოცდახუთი წიგნიც არა აქვს წაკითხული, ის კი ცოდნითა და დაკვირვების უნარით გაგაოცებს. აქაც, ბამზე, ცხოვრების წინა ხაზზე ყოფნის სურვილმა ჩამოიყვანა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტში სიამოვნებით დაუჭირეს მხარი მის კანდიდატურას.

ეკითხები (ისევ ტრაფარეტულად): რა არის შენ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი?

— ჩემი საქმე. საქმე და ამხანაგები. თუმცა ეს ერთი და იგივეა. ვცხოვრობ. ვმუშაობ. ვცდილობ (სად მივწვდები, მაგრამ მაინც!), ოდნავ მაინც ჩამოვგავდე ანზორს. დიახ, ჩვენს ხელმძღვანელზე, ანზორ დვალიშვილზე მოგახსენებთ. რაღა მაინცდამაინც მას ანდეს ასეთი საპასუხისმგებლო საქმე? განა სხვები ნაკლებ უძღვებიან საქმეს? აქ ეტყობა სხვა ფაქტორი მოქმედებს. კერძოდ, კომუნისტის, საბჭოთა ადამიანის მაღალზნეობრივი ფაქტორი. ამ ფაქტორის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპა ის გახლავთ, რომ ადამიანმა უმწიკვლოდ უნდა შეასრულოს მინდობილი საქმე. ვიმეორებ. ოღონდ ციტატით: „როცა ადამიანს ირჩევენ, როცა მას ნდობას უცხადებენ მასები, ამ მომენტიდან იგი თითქმის არ ეკუთვნის თავის თავს. მან მთლიანად უნდა მიუძღვნას თავისი თავი პარტიისა და ხალხის საქმეს"... ხომ დიდებული ნათქვამია? ახლა ის შემიძლია კიდევ უფრო განვავრცო. ჩემებურად. აი, მე, მაგალითად, ვმუშაობ მშენებლობაზე. გარკვეული მოვალეობანი მაკისრია. მე საკუთარი სინდისით ვაგებ პასუხს ჩემი საქმიანობის გამო, მაგრამ აქ რა გამოდის (დაუკვირდით), თუკი მე ცუდად ვიმუშავე, ვთქვათ, ვერ გავართვი თავი, რესპუბლიკის, ხალხის წინაშე ვინ უნდა აგოს პასუხი? დაუძახებენ ანზორს და ეტყვიან: „ამხანაგო, როგორ მოხდა, რომ ჩაგივარდათ საქმე?" ანზორი კი თავის მაგივრადაც და ჩემს მაგივრადაც უნდა გაწითლდეს, სიმწრის ოფლში გაიღვაროს... ანზორის უკან მთელი მშენებლობა დგას. მშენებლობა კი ჩვენა ვართ. ამიტომ, როცა რაიმე საქმეს ჰკიდებ ხელს, ამ საქმეს მთლიანად უნდა მიუძღვნა თავი...

ნია-გრუზინსკაია ამაყობს ზაურით. ეს დაუზარელი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა სხვა მრავალი დადებითი თვისებითაცაა დაჯილდოებული. მარტო ის რად ღირს, რომ ტრაგიკულად დაღუპული ძმის ოჯახს (რძალსა და სამ მცირეწლოვან ბავშვს) ყოველთვიურად უგზავნის ორას მანეთს...

(გახსოვს, ჩვენი მეზობელი ჰიპიკა. გვარს განგებ არ ვახსენებ. საწყალმა დედამისმა სასამართლოში უჩივლა, ამ სიბერეში სარჩელს არ იმეტებს და სახლიდანაც შიპირებს გაგდებასო).

ხოლო ზაური? ხომ ნაღდი ბიჭია, ა? იტყვი,

ძმა არის და ევალებათ. მე, მგონი, მოვალეობასთან ერთად აქ სხვა რამეცაა. კერძოდ, ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა. ამის სწავლა კი არ შეიძლება.

ეს მათი, ამ მკლავმაგარი ბიჭების მშენებლობაა. მათი უნივერსიტეტია. საღამოობით, მოცალეობის ჟამს, როცა ნიაში გაივლი, ახალგაზრდობის სიმრავლეს იგრძნობ. სასადილოსთან იყრიან თავს. მაგრამ განა ეს ამაგრებთ მათ ნიაში? დღეს ყველამ იცის, რომ ახალგაზრდობას მარტო კლუბითა და სპორტული მოედნით ვერ დაამაგრებ. ახალგაზრდობა უნდა, გრძნობდეს, რომ იგი საჭიროა. აუცილებელია აქ. გრძნობდეს თავის ადგილს. აქ მოქმედებს თანადროულობისათვის აუცილებელი კომპონენტი. შრომის მაღალმწარმოებლურობა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მორალური და მატერიალური წახალისება. ამას ისიც დაუმატე, რომ ნიაში, საერთოდ, კარგი ახალგაზრდობაა. ისინი სწორედ იმ საზომით უდგებიან საქმეს, რის შესახებაც ზაური ჰყვებოდა. აი, ეს ახალგაზრდები: ავთანდილ ლომიძე, გურამ ჩაკვეტაძე, გივი გელენიძე, გიორგი ქავქანიძე, რეზო აფციაური, გოგი ჩოქური, მიხო კიკალეიშვილი...

რა ვქნა, ნიკუშ, ჩამოთვალო ყველა? თუ შვეულმფრენის გუგუნს მივაყურადოთ? მითუმეტეს, რომ ზაურის ბიჭები უკვე შვეულმფრენთან შეკრებილან და ტვირთის მიღების მოლოდინში სიგარეტს აბოლებენ... როგორც გითხარი, მფრინავები აქ არასოდეს აქრობენ მოტორს — ყველაფერი წამებში უნდა მოთავდეს — გადმოტვირთვაც და ჩატვირთვაც...

განსაკუთრებით მძიმეა ეს ზამთარსა და ზაფხულში. ჯერ საშინელი ყინვებია, მერე — საშინელი სიცხე. მაგრამ ჯერ არ მომხდარა, რომ მფრინავებს რაიმე საპრეტენზიო ჰქონოდათ. პირიქით. მათი სასიამოვნო რეისი მუდამ ნიაგრუზინსკაიაა. აქ ხომ მთელ ბამზე ყველაზე გასაოცარი ვერტდრომია მოწყობილი. ხის სქელი ფიცრებისაგან ნაგები მოედანი. მაგრამ ნიას სიამაყე მისი ანძაა (ო, არ იფიქრო ტელევიზიის ანძაზე მოგახსენებდე, ტელევიზიის ვადაცემებს ჯერჯერობით — ვერ იღებენ. თუმცა ის დღეც შორს არაა...), წვეროკინით ცასთან გატოლებული ანძა, რომელზედაც ჩვენი რესპუბლიკის დროშა ფრიალებს. როცა შვეულმფრენისათვის დასაჯდომი ადგილი გაამზადეს, მფრინავებმა ორიენტირის დადგენა ითხოვეს. რა უნდა ექნათ? როგორ უნდა გაეადვილებინათ მფრინავისათვის გზის გაგნება? ორმოცი-ორმოცდახუთი მეტრის სიმაღლის კედარი ამოირჩიეს. გარშემო ყველაფერი გაკაფეს და ორიენტირიც მზად იყო. მაგრამ ბიჭებს რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ჰქონდათ. თითქოს რაღაც აკლდათ. და აი, ნოდარ ქველიძემ კურტაკი გაიხადა, ხეზე აბობლება სცადა... ეს თხუთმეტ აპრილს იყო, შუადღისას, როცა თოვა ცოტახნით შეწყდა — და სქელწყლიან თოვლში ფეხი ეფლობოდა.

— მომეხმარეთ, — დაიძახა ნოდარმა, როცა ვერ შემოუწვდინა ხეს ხელი. ბიჭებმა მხარი შეაშველეს, ვიღაცამ მონტიორის „კბილანები“ მოუტანა.

რაკი პირველ ტოტზე დაიგულა თავი, დანარჩენის დაძლევა საძნელო აღარ იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ხის კენწეროზე ჩვენი რესპუბლიკის დროშა ფრიალებდა. ახლა ფრთხილად, ძალზე ფრთხილად ჩამოდიოდა ნოდარი ქვევით. თან ტოტებს სხეპდა. ჩამოიჩოჩებდა ქვევით, ჩამოიყოლებდა ტოტსაც. შუაწელზე გაუჭირდა. სიმწრის ოფლმაც დაასხა. შეშინდნენ მიწაზე მყოფნიც. ხომ შეიძლება ვერ შეიმაგროს თავი? რაც უფრო გაუჭირდა, მით უფრო მატულობდა შიშიც.. მაღალმა ხემ ასე იცის ხოლმე: ჯერ თავისუფლად მიგიშვებს, კენწეროდან გადაგახედვინებს ქვეყნისათვის, ჩასვლისას კი, უკაცრავად, ყოველნაირად შეგიშლის ხელს, ფეხის მოსაკიდებლად შემპალ, არასაიმედო კორძებს შეგაჩეჩებს... ერთი პაწია შეცდომა შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს... მაგრამ აი, ნოდარმა, როგორც იქნა, მოინაცვლა ფეხი. ბიჭებმა შვებით ამოისუნთქეს.

ღირდა ასეთი რისკის გაწევა? — იკითხავ შენ. ღირდა, ნიკუშ! შენაც რომ ყოფილიყავი იმ პირველი რაზმის წევრებს შორის, განუსაზღვრელი სიხარული და სიამაყე დაგეუფლებოდა მაღალ კენწეროზე მოფრიალე დროშის დანახვისას.

ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო. განაცხადი იმ ადგილზე, იმ კუთხეზე, საქართველოს წარგზავნილებს რომ აკუთვნეს. უყურებდნენ ბიჭები ალისფერ დროშას და გაუვალ ტაიგას მათი შეძახილი აზანზარებდა. სწორედ ამ დროშის გარშემო დაიწყეს ბანაკის განლაგებაც.

ეს თითქოს გუშინ იყო... გუშინ... ექვსი, თუ შვიდი თვის წინათ... მაგრამ ბამის დასავლეთ უბნის 102-ე კილომეტრზე, შორეულ ტაიგაში უკვე აღმართულია საცხოვრებელი სახლები, მაღაზია, სასადილო, საწყობები, ელექტროსადგური... ახალგაყვანილ ქუჩებში (ფიცარნაგზე) დარბიან ბავშვები, ხოლო მოახლოებულ ბინდბუნდს რეპროდუქტორის ხმა არღვევს... ისმის ქართული მელოდია...

შენ, ალბათ, ყური ცქვიტე, როცა ბავშვები ვახსენე.

როგორ, იტყვი შენ, ნუთუ ბამზე უკვე ოჯახებიც ცხოვრობენ? აბაა?! ჩამოგითვლი: ვ. ჯაშიაშვილი, თ. ურუშაძე, ვ. კოვალენკო, რ. მერკუმოვა, ზ. მეტონიძე, ბ. გურგენიძე (ბუხუტი არ გეგონოს, ეს ბაკურია, ჩვენი სანაქებო მოჭადრაკის ძმა)... სულ ახლახან დაოჯახე-

ბულებს ბამის ყველაზე „უხუცესი“ მშენებელი ვალერი ქაჯაიაც შეემატა. მისი ბრიგადის წევრები ხუმრობენ: „კაცი გამოცდების ჩასაბარებლად გავგზავნეთ (ვალერი სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში სწავლობს) და ცოლით არ დაგვიბრუნდა?“

საოცარი ახალგაზრდაა ვალერი. დაუზარელ, ხალისიან მშრომელად მიაჩნიათ. მე მგონი, ასეცაა. მისთვის სამუშაო მოვალეობის მოხდა კი არა, სიამოვნებაა. სხვას უნდა მიუთითო, ზოგჯერ უფროსის მენტორული ტონითაც დაუცაცხანო. ვალერის კი, აბა, რა მითითება უნდა... საქმე, რისთვისაც ბამზე ჩამოვიდა, ყველაზე უმთავრესია მის ცხოვრებაში. ამას გრძნობს ყველა.

... მეუღლეს — მზიას ჯერ კიდევ სძინავს, როცა ვალერი სარკმელთან დგას და სივრცეს გაჰყურებს. ეს ჩვევა, ტაიგის მიყურადების ჩვევა მას პირველი დღიდანვე დასჩემდა. ჯერ სიასამური გაირბენს ხმელ პიწკებზე, მერე სადღაც, ტყის სიღრმეში ტოტების მსხვრევით გაიბაჯბაჯებს ტაიგის მბრძანებელი, ხოლო ხეობის ყრუ უბნებიდან უკანასკნელად ამოიკივლებს ჰოტი... ამოიკივლებს და ყველაფერი გაირინდება. განთიადისეული მდუმარება არ გრძელდება დიდხანს. შორეული ლაჟვარდებიდან მზე ამოიქნევს კუდს, გაფანტავს ღამეულ ნისლს და დასახლების ყველაზე მაღალ ანძას გაანათებს — დროშა თავის ადგილასაა. მაშასადამე, ახალმოსახლეობაშიც ყველაფერი რიგზეა.

დაიპეტელებს დაბის უსაყვარლესი და ყველაზე უფლებამოსილი წევრი — პეტკა. ეს თხარქენია უსტ-კუტიდან ჩამოყვანილია „მობილიზაციით“. აუეფდება ფინია — „რიჟუხა“. ალბათ, ტყისკენ დაძრულ ლანდებს გამოედევნა..

ნიაში ჩვეულებრივი სამუშაო დღე იწყება...

ღია სარკმლიდან სიგრილე სუნთქავს. იღვიძებს მზია, ვალერის მეუღლე. ვერასოდეს ვერ დაასწრო ქმარს ადგომა.

— რას უყურებ? — კითხულობს ჩუმად.

— გესმის? — თავს არც აბრუნებს ვალერი.

მზია თბილ ფლოსტებში უყრის ფეხს და სარკმელს უახლოვდება. ნეტა, იქ, ჩამუქულ სივრცეში, რა დაინახა ვალერიმ?

— უსმინე.... — ამბობს ვალერი.

...როცა მზია გამოერკვა, აღმოაჩინა, რომ დილის ბორიო ერთნაირად ელამუნებოდა სახეზე, უწეწდა თმას... თითქოს ციდან, ლურჯზე ულურჯესი ციდან მორბოდა მზის წვიმა, მოხტოდა ბროლის საფეხურებით, აფორიაქებდა ხეთა წვეროკინებს, ქოჩორს უწეწდა ბუჩქნარს, აღვიძებდა ღელუკას, ფსკერზე მიძინებულ თევზებს...

და მიხვდა მზია უბრალო ჭეშმარიტებას. თუ შენი საქმე არ გიყვარს, თუ შენი სამუშაო ადგილი არ გიყვარს. ვერც ამ განთიადისეული ნიავის ქროლვა დაგიამებს გულს, ვერც ცის ბროლის საფეხურებით დაშვებულ მზეს იგრძნობ და საერთოდ: უინტერესო და ჩვეულებრივი იქნება გარემო.

ეს ყველაფერი თვით შენშია. თვით ადამიანზეა დამოკიდებული. მხოლოდ ახლა მიხვდა იგი იმ მძიმე, დაძაბული დღეების რომანტიკას, რაზედაც ვალერი უამბობდა. მიხვდა, რა ძალამ იხსნა ტაიგა ერთიანად გადაბუგვისაგან. ის, რაც აქ გაკეთებულია და კეთდება, თითოეული მათგანის სიცოცხლის ნაწილია...

შორს, ცის კიდეზე კი ამის დამადასტურებლად ფრიალებს რესპუბლიკის დროშა. ნიას ემბლემა, და რახან იგი ფრიალებს, მაშასადამე, მის გარშემო ფეხადგმულ ქალაქშიც ყველაფერი რიგზეა...

## წერილი მეთოთხმეტე. ფერები შორიდან.

უნდა ნახო, როგორ ჩადის მზე ტაიგაში, დახატულსა ჰგავს. ეშვება ნელა და გარემო მეწამული ფერით დაფერილა.

ეს ის დროა, როცა წიფობელები ერთბაშად ანელებენ სხივილს და წვიმამოწყურებულ, გაფიცხულ ბალახზე უცნაური ყრუანტელით გადარბის სიო. მერე ყველაფერი ღამეული ოხშივარით ილიფება.

აქაურები იშვიათად თუ უცქერიან დღისა და ღამის გაყრას. განსაკუთრებით ზაფხულის ამ თვეებში, როცა ბამზე მშრომელი კაცის სახელი მხოლოდ და მხოლოდ გაკეთებული საქმით იზომება. ბამზე კი, ჩემო ნიკუშა, იმდენი საქმეა, რა დაგიმალო და, თავის მოსაფხანადაც ვერ მოიცლი.

— ხომ დიდებული მიმწუხრია? — ვეკითხები ანზორს.

— კი, დიდებულია! — ცას არც უყურებს, ისე მიპასუხებს. ღმერთმა უწყის, რა საფიქრალი აქვს ამ წუთს, რა აწუხებს, რით არის დაკავებული. მე კი ჩემი უცნაური კითხვებით გულს ვუწყალებ, ალბათ. ის კი ზის ჩემს წინ — ზის მშენებლობითა და ათასი საზრუნავით გართული, დაღლილი ჩანს. მაგრამ მაინც იღიმება. ლაპარაკობს დინჯად, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს შესაფერისი სიტყვის პოვნა უჭირს და, რაკი მიაგნებს, ერთბაშად უნათდება სახე.

ვთხოვ — თავის ცხოვრებაზე მიამბოს. უცნაურად იშმუშნება. აბა, რა ცხოვრება განვვლეო იმორცხვებს. მამას ახსენებს ხშირად. შეიძლება დედის გარდაცვალების შემდეგ, ორივე მშობლის სიყვარული ერთ არსებაში მოაქცია და იმიტომ? ვინ იცის...

ახალგაზრდა კაცია ანზორ ლილუაშვილი:

ზვიოზდნიში მშენებელთა პირველ ჯგუფს ჩამოჰყვა. მისი ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით (მშენებელი ინჟინერია) რამდენიმე ობიექტი აშენდა. ახლა კი ნიაში სახადო-

ლოს ვეება კორპუსს ეყრება საფუძველი. მას ავთანდილ ლომიძის ბრიგადა აბარია. ნიაში ასეა. საერთოდ, ყოველ ბრიგადას თავისი ხელმძღვანელი ჰყავს. ასე, მაგალითად, ვალერი რუხაიას ბრიგადას ინჟინერი შოთა კაკუშაძე ჰყავს დამრიგებლად. სერგო ხაჭაპურიძის ბრიგადას— თამაზ მაჭარაშვილი... ერთი სიტყვით, აქ პასუხისმგებლობის ჟაჭვური სისტემა მოქმედებს.

ზის ახლა იგი ხის მერხზე. ცას გაჰყურებს. რაზე ფიქრობს? იმერეთზე?

ლამაზი შემოდგომა იცის იმერეთში. მაგრამ ყველაზე ლამაზი მაინც მის სოფელ შუაგორაშია. ლამაზი ოდაც უდგათ — წინ გადაშლილი კიონდარითა და ხიმეს გაყოლებით ახარხარებული ბროწეულებით. შორს კი ბორცვები ჩვივიან. შეყვითლდებოდა თუ არა კორტოხები, სოფელში მაჭარი დაიწყებდა დუღილს.. ოროლოში დატრიალებული ჭაჭის სურნელი ბილიკებს გადარევდა.

ანზორის სახეს ღიმილი ადგება. რა დაინახა მან შუაგორის შემოდგომისეულ სანახებში? მამა დაინახა. მამა — ერთიანად გაჭაღარავებული და წლებით დამძიმებული. სახლის წინ, კუნძზე რომ ზის და მზეს ეფიცხება. მამას მოთენთილობა ეუფლება, ალბათ, როცა მზეს ეფიცხება ასე მოსდის მუდამ. თვალებს ჰუტავს და მიწას ჩაჰყურებს. სინამდვილეში კი მისი გონება ძილ-ღვიძილითა და უცნაური ხილვებითაა დამძიმებული.

რა დასამალია, ენატრება ანზორს მამამისი. მოგონებათა ქაოსშიც მხოლოდ ერთ სახეს ხედავს. დანაღვლიანებულსა და მოლოდინით დაღლილს. მამა ეტყოდა: „ჩემს თაობას არასოდეს უცდია უშრომლად მოეპოვა პური არსობისა. არც იოლად სავალი გზები უძებნია. ჩვენს ცხოვრებაში ხომ ყველაზე მთავარი, ყველაზე ძვირფასი და უმშვენიერესი ეს თავდადებული, მუხლჩაუხრელი შრომაა შენი ხალხის, შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ მიმართული".

ახეთი კაცია მამა.

ახეთი სულისკვეთებით გაზარდა შვილიც.

ანზორი ამბობს: —როცა ბიოგრაფიის საწერად ჯდები (გახსოვს ანკეტა?) მე მგონი, ეს საკუთარი ცხოვრების ქრონოლოგიური აღნუსხვა კი არა, საკუთარ სულში ჩახედვა უფროა. თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ რამდენი ღელვა, რამდენი უძილო ღამე და ფარული, გაუმხელელი თრთოლა იმალება მათ უკან.

და კიდევ ერთი რამ: ჩვენ ხშირად გვესმის — ესა და ეს ადამიანი ჩვენი დროის ტიპური წარმომადგენელია! ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ასეთ პიროვნებათა ცხოვრებას ერთი და იგივე ყალიბი ლაედო საფუძვლად? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ მათ ყოველ ნაბიჯს, ყოველ მოქმედებას განაპირობებს უდიადესი მიზანი — პირნათლად, წმინდად ემსახურო შენს ხალხს, იცოდე შენი ადგილი თანამედროვეთა შორის და ყველაზე ნათელი იდეალებით ხელმძღვანელობდე.

დღეს, როგორც არასდროს, ეს პრინციპი მთელი სიმძაფრით წარმოჩინდა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა წინაშე. მათ შორისაა ანზორ ლილუაშვილიც. ანზორი კი ახალგაზრდულ ბრიგადას მეთაურობს. საქმე ბევრია. სასადილო, რომელსაც ისინი აშენებენ, ასზე მეტი კაცისთვისაა გათვალისწინებული. მთავრდება ორი საცხოვრებელი სახლის, მაღაზიის, მაცივრის, საშენ მასალათა და პროდუქტების საწყობთა მშენებლობა... გადაიხურა სამასი კაცისთვის (გესმის, სამასი კაცისთვის!) განკუთვნილი კლუბი! ხოლო თუ ეს ყველაფერი შენში ეჭვს იწვევს, ციფრებით მოვხაზავ სათქმელს: წელს აქ 422 ათასი მანეთია ასათვისებელი, წლის ბოლომდე ჯერ კიდევ შორია, ათვისებულ თანხათა ჯამი კი 368 ათას მანეთს შეადგენს... მაშასადამე, ელით თუ არა ბიჭებს პრემია? ელით და მერე როგორი! (გულში ჩაიხედე, შეგშურდა ხომ?).

მაგრამ ერთი ანზორ ლილუაშვილის ადგილას წარმოიდგინე თავი (სხვათაშორის, შენც ხომ კაფეს აშენებ?) ქარში, წვიმაში, ყინვაში, პაპანაქებაში, კოღოებში... ჰი, ჰი, ჰი! ღმერთმანი, ვხედავ, როგორ შეგეცვალა სახე, როგორ გაგაჟრიალა ტანში და როგორ ჩაიყუჟე რბილ სავარძელში...

მე სხვა რამ მინდოდა მეთქვა. ჰო, ნიკუშ, სხვა რამ. ის, რომ ნიაში მომუშავე ბიჭები გაუგონარი გმირობის მაგალითებს იძლევიან. მათ იციან, რომ დღეს უკვე აღარ რგებთ გუშინდელი ტემპი. დიახ. თუ ახლის შეგრძნების უნარი არა გაქვს, ძნელი იქნება იმ რიტმის აყოლა, რითაც მთელი რესპუბლიკა სუნთქავს... დრო! საოცრად შეიცვალა. იგი წლების მანძილზე დაგროვილ სულიერ ფასეულობათა სერიოზულ გადასინჯვას ითხოვს. გაიზარდა პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა.

— ტყუილად უტრიალებთ ანზორს, — მითხრა ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა ავთანდილ ლომიძემ. — ღიმილის მეტს ვერაფერს წაიღებთ მისგან. ძმობასა და მეგობრობაში ტოლს არავის დაუდებს... ეს სისხლში აქვს, ჯიგარში. თქვენ მას პირად ცხოვრებაზე ჩამოუგდეთ სიტყვა. იგი კი იმ პრობლემებს შეეხო, დღესდღეობით ჩვენი კოლექტივის საზრუნავი რომ არის. აი, ამიტომ ვენდეთ მას. შევეცდები დაახლოებით მაინც გაგაცნოთ, როგორ ფიქრობთ, დიდი საქმის სიყვარული მარტო მასზე მინდობილი ბრიგადით შემოიხაზღვრება? არავითარ შემთხვევაში. არის ხოლმე — ითვლება კოლექტივში კომუნისტი, შრომობს, კეთილსინდისიერად ეკიდება მინდობილ უბანს. მაგრამ აი, როცა სიცხლხორცეულ პრობლემათა გადაწყვეტაზე მიდგება საქმე, გაუჩნდება: დაე,

სხვამ იმტვრიოს თავით. მაგრამ ანზორი! ანზორმა იცის ცეცხლის დანთება. ეს ერთიანად ჩუმი, თითქოს წყნარი ახალგაზრდა, თვალდახელშუა შეიცვლება, როცა კოლექტივის სატკივარზე მიდგება საქმე. მისი ინიციატივით, პრინციპულობით მრავალ კარგ საქმეს დაედო საფუძველი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი არა მარტო ბრიგადის მაჩვენებლებზე ზრუნავს, არამედ მის წევრთა კეთილდღეობაზეც. იგი უყვართ.

ზის ანზორი ჩემს წინ. როგორც ვთქვი, ბინდდება, მე კომკავშირის კომიტეტის მდივნის ნათქვამზე ვფიქრობ. მართლაც, რაოდენ საამაყოა, როცა ცხოვრების შუაგულში მიაბიჯებ. იგი ხომ თავისი მაგალითით აღაფრთოვანებს. ამხნევებს გვერდით მდგომთ. ასეთ ადამიანებზე კი ყოველთვის სიყვარულით ლაპარაკობენ გადახედავ მის ცხოვრებას — პარტიულ, ლამაზს და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს დიდი ხანია იცნობ, თითქოს პირველად კი არა, დიდი ხანია ცხოვრობ მის გვერდით. და უცებ, შეუდაუნებურად ხვდები ამ უშუალობის საიდუმლოს. თურმე ძალზე მარტივი ყოფილა ეს ყველაფერი. ეს სწორედ იმ თაობის შვილია, რომელმაც თავისი შნო და ლაზათი არ დაუკარგა ამ მიწას. იგი ყოველთვის იქნება. ყოველთვის, რადგან არ იცვლება ჭეშმარიტი მშრომელის კლასიკური სახე, ღიმილი. მისი სულის მოძრაობა, ის, რისი ახსნაც ძნელია ასე ერთი ხელისდაკვრით, ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა მემკვიდრეობით.

მან იცის, რისთვის მოვიდა დედამიწაზე. მან იცის, რომ მომავლის საქმეს აკეთებს. და აკეთებს მკვიდრად, დიდი პასუხისმგებლობით.

— ჩვენი ბიჭები კი ისევ მუშაობენ, — ისე, სხვათა შორის ამბობს ანზორი.

მე გაოცებით ვუყურებ.

— არ გესმით, განა? — მეუბნება ანზორი, —იქ, დობიროში, რუსთაველის ქუჩის გადაღმა...

„იქ, დობიროში“ — ეს ტიპიური დასავლეთელი მკვიდრისათვის გასაგები სიტყვა საოცარი ჟღერადობით ჩაწვდა ყურს შორეულ ტაიგაში. მომათბო. ეს სწორედ ის ფერი იყო, სხივის ის ჭიატი, ყველა ჩვენთაგანის გულში ზოდზოდად რომ დაჭუჭკულა და ძნელად ვიმეტებთ დასახარჯავად.

რა არის ეს, მშობლიური მხარისკენ გახედვა? უნებური ამოძახილი?

თამბაქოს ბოლი იხვევა, იკლაკნება, ნელა მიცურავს ზევით და უჩინარდება. ქარი ხეთა ტოტებს არხევს. წარმოიქმნება ჩუმი, უცნაური მუსიკა. მიმწუხრის ნაყური შუქი ძლივს ატანს ხშირ ფოთლოვანში და ანზორის მხრებს ეფრქვევა.

„დობიროში, რუსთაველის ქუჩის იქით“, — გავიმეორე ჩემთვის, გავიმეორე და ავფორიაქდი.

რატომ?

შევეცდები აგიხსნა.

გახსოვს, გწერდი, ბამს, უფრო სწორად, მის ცალკეულ უბნებს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის წარგზავნილები აშენებენ-მეთქი. სამწუხაროდ, ყველა უბნის ნახვა ვერ შევძელი. ამას დიდი დრო უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ანზორის ნათქვამმა ტინდაში გაგონილი „დუბრავუშკა“ გამახსენა. სად ნახავ მის შემოგარენში მაღნარს, ანდა ჩარკინულ, გატოტილ მუხას?

აქ მოსკოვის რაზმი აშენებს ქალაქს (საქართველოს წარგზავნილების მსგავსად, მათაც გაუვალი ტაიგა ერგოთ). საშინელ ყინვაში, წელამდე გაუკვალავ თოვლში გადაზიდეს ტექნიკა, დადგეს პირველი საცხოვრებელი სახლი— ვაგონეტი და შვებით ამოისუნთქეს, — აწი დამშვიდებით შეიძლებოდა შრომა.

დილით ვაგონეტს ვიღაცამ ცარცით მიაწერა: „დუბრავუშკა“.

თითქოს განსაკუთრებული არაფერი იყო. რა მოხდა მერე, ვიღაცამ შექალარავებული წარსულის მუხნარი გაიხსენა! მუხნარი ხომ ძველ რუსეთში წმინდათა-წმინდად იყო მიჩნეული. მუხის ძალუმ ჩრილქვეშ ვეჩე იკრიბებოდა, ხოლო მისი ტოტებისაგან დაწნული გვირგვინით გმირებს ადიდებდნენ... ტყეთა პატრიარქი, ველების გუშაგი, სიმტკიცისა და მარადიულობის სიმბოლო ოდითგან საგანგებო პატივისცემით სარგებლობდა ხალხში.

მაშ, რად გაახსენდათ იგი ამ მარადიული გამყინვარების მხარეში?

ან რამ წარმოშვა ტაიგის ახალმონიშნულ ქალაქ ურგალში „გუცულოჩკა“? როგორც მიხვდი, ამ სიტყვას მის მშობლიურ უკრაინისაგან ათასობით კილომეტრი აშორებს... არადა, რა მძლავრი ფესვი მოიკიდა მისთვის უცხო მიწაზე...

„გუცულოჩკა“ — ასე ჰქვია თანადროულ საბავშვო ბაღს, რომლის ეზოს ქარის წისქვილი, ქათმისფეხება ქოხი და არყისლატანიანი ფანჩატურები ამშვენებს...

— ყველაფერი კი თოვლით დაიწყო (როგორც ჩვენი რაზმისათვის!), ბალახფიჭვათა ტევრს თეთრი მდუმარება ხუთავდა. სადგურ ურგალში ყველაზე პირველად ბავშვებიანი ეშელონი ჩამოაყენეს. მათ ხუთი სატვირთო ეშელონი მოჰყვა... წარგზავნილებმა ყველაფერი ჩამოიტანეს თან, რაც ნორმალური ცხოვრებისათვის სჭირდებოდათ. ხოლო არქიტექტორმა საშა ლისოგორმა და „უკრაინმშენის“ ახალგაზრდა თავკაცმა ნიკოლა ლუკიანენკომ შვილებისათვის განკუთვნილ ბაღს მშობლიური მოტივი დაუდეს:

„გუცულოჩკა“. რა არის ეს? ცხოვრების მძლავრ ხეზე დამყნილი ახალი ტოტი, ლამაზი შორეთისაკენ რომ გაწეული?

ასეა მინსკელებთან, სომხებთან, ლიტველებთან...

ყველა ცდილობს თავისი მშობლიური მხარის ნაწილი დასტოვოს საუკუნის მშენებლობაზე.

დუბრავუშკა...

გუცულოჩკა...

რუსთველის ქუჩა...

კარინე...

მიაყურადე ამ ხმებს, მიაყურადე და მიხვდები მათ ჟღერადობაში ჩაქსოვილ აზრს — მარად ცოცხალს, ძარღვიანს, ნათელს. მათ მტკიცე, მოუშლელი ფუძე აქვთ. ამიტომაც არის, რომ წლების იქითაც ისმის სიყვარული, ჭვივის ხსოვნა, ბრწყინავს ოცნება. რადგან ყოველი ბგერა მშობლიური მიწის წვიმებმა, ქარებმა, ყვავილებმა და სხივებმა დაწნეს...

მე მგონი, ამ უდიდესი მშენებლობის ლეიტმოტივიც ეს არის სწორედ.

## წერილი მეთხუთმეტე. ბამის გადასახედი

კიდევ ორიოდე დღე და მორჩა, დამთავრდა ჩემი შემოქმედებითი მივლინება!

ნიკუშ! თავმომწონეობაში (შენებურად— „პაკაზუხობაში“) ნუ ჩამომართმევ, მაგრამ მე რაღაც უხერხულობის გრძნობა დამყვა.

და იცი, რატომ?

ჩემს ირგვლივ ადამიანები შრომობენ: — გაჰყავთ გზები.

აფენენ განძელებს;

ებიდებიან ყინვას;

აშენებენ დაბებს;

ქალაქებს;

აშენებენ მომავალს...

მე კი, ჩემი მივლინების წყალობით, რაღაც ზედამხედველის როლში აღმოვჩნდი. ეს მაწუხებს. მაწუხებს, რადგან ამ გმირული შემართების ასახვა არც ისე სახუმარო საქმეა.

ახლა შორს არიან ისინი...

შორს... ლენის გაღმა.

შორს არის ჩემი პირველი მასპინძელი ნიას დასახლებაში — გალილეი ნაცვალაიძე — ძვალხოშორი, ალვანელ მწყემსთა პირქუში შთამომავალი.

აბა, რა უნდა გითხრას მან თავის საქმიანობაზე! ხელებს უნდა დაჰხედო, ბებერებიანებსა და დაკორძილს — ხელები უფრო მეტს გამცნობენ.

რისთვის ჩამოვიდა იგი ბამზე?

რისთვის ჩამოვიდნენ მისი ამხანაგები?

ფულისათვის?

სახელისათვის?

არსებობს იგავი·

სამი ბერი ურიკას მიათრევს.

„რას აკეთებ?“ — ჰკითხეს პირველს.

„ვერა ხედავ, ურიკას მივათრევ“ — წაიბუზღუნა პირველმა.

„შენ რაღას აკეთებ?“ — ჰკითხეს მეორეს.

„ფულს“. — მოჰრა მეორემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენა?“ — ჰკითხეს მესამეს.

მესამემ სული დაითქვა, ძალა მოიკრიბა, ურიკას თავისი ღონიერი ხელები ჩაავლო და გაიღიმა: „ტაძარს ვაშენებ“.

მე მგონი, ჩვენი ბიჭები ციმბირის შორეულ ტაიგაში თავიანთ ტაძარს აშენებენ.

შეიძლება თავიდან ზოგ-ზოგი „ბამზე დაყრილი“ ფულის სახვეტად ჩამოვიდა, მაგრამ მუშაობის უმკაცრესმა პირობებმა, რთულმა გარემომ და დიდმა სახალხო საქმემ თავისი ქნა — გაჩნდა უჩვეულო გრძნობა, მანამდე უცნობი გრძნობა პირველაღმომჩენისა, საუკუნეებით ხელუხლებელ ტაიგაში მათ გაიყვანეს პირველი კვალი. ეს ის კვალია, რომელზედაც მომდევნო თაობებმა უნდა გაიარონ. ამიტომ ბამი არა მარტო ცოდნისა და უნარის გამოსაჩენი ობიექტი აღმოჩნდა, არამედ ზნეობრივი და სულიერი წრთობის შესანიშნავი სკოლაც.

ახლა შორს არის დასახლება. თუხთუხებს ოჯინჯალზე ჩამოკიდებული კარდალა დ პრასჩაჰრილი ლობიოს სუნი დაუფლებია გარემოს.

რას შვრება ახლა იური ილურიძე, ან კოვალენკოების ოჯახი?

ალექსანდრე ულუხანოვი, ალბათ, თავის სამუშაო მაგიდასთან ზის და მეორე დღის სამუშაოთა გრაფიკს ადგენს...

...აუქციონზე მოგებული „მუსკა“, ულუხანოვის ბინის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, კუთხეში მიყუჟულა. ქარი ზუზუნებს და ჩათბუნებული ფისუნა ზოგჯერ უცნაური ცნობისმოყვარეობით ცქვეტს ყურებს... რა გაიგონა მან? ფოცხვერის ძახილი, თუ ნიას ფლატეებთან მობაჯბაჯე დათვის ბუზღუნი?

„მუსკას“ თავისი საფიქრალი აქვს...

თავისი საფიქრალი აქვს ბატონ პეტრე-პეტიასაც — ხვალ-ზეგ ყინვა დაიჭერს. ხომ არ მოაკლდება წვერებცანცარას საკნატუნო და საცუცნავი?

ამბობენ, მკაცრი ზამთარი იცისო ბამზე.

ყინვა სამოც გრადუსსაც აღწევს ზოგჯერ...

გაძლებენ სამხრეთის მზისქვეშ დაფრთიანებული ბიჭები ციმბირულ გარემოში?

გაძლებენ...

შეიძლება, პარადოქსად მოგეჩვენოს, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ადგილის სახელწოდებასაც, სადაც ისინი მოღვაწეობენ.

ნუთუ არაფერს გეუბნება — ნია?

არ გახსოვს კიკინებიანი, ფახულაწამწამებიანი ახტაჯანა გოგო, მთელი კლასის ბიჭები რომ გააგიჟა?

მაინც, ვინ იყო ის შორსმჭვრეტელი კაცი, ვინაც აღმოაჩინა ეს იგივეობა, ეს დამთხვევა, სახელთა ეს ხმოვანება და ჩვენს ხალხს ასეთი ადგილი შეურჩია?

ასე გგონია, ყველაფერი კანონზომიერად მოხდა. თვით ეს კუთხე ბორჯომის ხეობას (ტაძრისაკენ მიმავალ გზას) მოგაგონებს... მწვანე, დამრეცი ფერდობი, ასწლოვანი, წვეროკინით ცასთან გატოლებული ნაძვები, ჯაკეზურგიანი ქედი და ქედის გაყოლებით გაწოლილი ვერცხლისფერი ზოლი — ნია...

რა არის ეს დასახლება ბაიკალ-ამურის მაგისტრალის გენერალური გეგმის ფონზე?

ერთი პაწია, ძლივს შესამჩნევი წერტილი, მაგრამ ამ წერტილის გარეშე წარმოუდგენელია ბამი.

წარმოუდგენელია იგი უსტ-კუტთან აღმართული ხიდის გარეშეც...

მე ახლა ამ ხიდზეც ვფიქრობ.

აქეთობას ხომ სწორედ მისი ფოლადის მაგისტრალით ჩამომასრიალა სატვირთო მატარებელმა!

ამ ვეება კონსტრუქციის მოხაზულობა თითქოს ჩაიბექდა მდინარესა და ცას შორის.

ახლა შეუძლებელია წარმოიდგინო ეს სანაპირო კოპწია და ამავე დროს მეტად შთამბეჭდავი ხიდის გარეშე. განსაკუთრებით მაშინ, როცა იცი. იგი მარტო ხიდი კი არა, ციმბირის ფოლადის მაგისტრალის დასაწყისია, შორს, ტაიგის სიღრმისკენ რომ გარბის.

ხიდიდან უკვე სხვა თვალით გასცქერი ახლახან ნანახ პანორამას. აქ მარცხენა ნაპირზე ხომ ბამის პირველი პლაცდარმი იყო, საუკუნის მშენებლობის ერთგვარი სასტარტო მოედანი, სადგურ ლენადან, ნულოვანი კილომეტრის აღნიშვნით რომ იღებს სათავეს.

და გარბიან, გარბიან ტრასის მთავარი არტერიისაკენ ვერცხლისფრად აპრიალებული რელსები. მიწაყრილი მწვანედ ხასხასებს, ყველაფერს მზრუნველი ხელი ატყვია. აქედან მინიატურული სათამაშო სახლებით გაწყობილი მოჩანს სოფელი იაკურიმი, რომლის გვერდით მშენებლობისათვის განკუთვნილი ტვირთის საწყობი განლაგებულა. ამ საწყობიდან საბორანო გადასასვლელის მიმართულებით განუწყვეტლივ მოჰქრიან ნარინჯისფერი, წითელი და მუქმწვანე თვითმცლელები.

გრძნობ — ბამის გზა უკვე დაიწყო.

ეს გახარებს.

გეამაყება.

ცდილობ დაიმახსოვრო ყველაფერი, საიმედოდ აღიბეჭდო, რადგან გავა წლები (ჰოი, რა სწრაფად გავა!) და ეს პირველი, ღიაპლატფორმიანი მატარებელი ისტორიის კუთვნილება გახდება.

შემოდგომის მზე კი როგორ აცხუნებს! თითქოს ისიც ინაწილებს ხიდმშენებელთა სიხარულს, იდილიური პეიზაჟია. მაგრამ მან თვალთმაქცობაც იცის — წაგიტყუებს.

უსტ-კუტთან აღმართული ხიდი ამ პეიზაჟის უმთავრესი, მომნუსხველი ნაწილია. ვერ შორდები.

განა წარმოიდგენ, რა ურთულეს პირობებში აშენდა იგი?

ახლა ყველაფერი უკანაა. ახლა თვით ხიდი დგება ბამის მშენებელთა სამსახურში.

მე კი იაკურიმის მცხოვრების, ხიდის გახსნაზე მოსულ პროკოფი ტროფიმოვის ტყვეობაში ვიმყოფები.

— როგორ, საქართველოში ისე წახვალთ, ჩვენებურ შანეგებს არ იგემებთ?!

ჰე, ახლა შორსაა ტროფიმოვის თბილი, ბალახფიჭვათი შეკრული სახლი. იგი ისეა ნაგები, ერთი ლურსმანიც არ ჩაუჭედიათ — იციან აქაურებმა ეს ხელობა და ძალაა?

ხოლო შანაგები?

ვიჯექით. ცეცხლის ტკაცუნს ვუსმენდით და ჩაის ვსვამდით. დიასახლისი უმატებდა და უმატებდა სუფრას ჩემთვის უცნაურ კერძს— მზისფერ შანეგას... იგი მაბრუებდა სურნელით, სიყვითლით, შებრაწული კიდეებით, ზოგჯერ მკრთალი ვარდისფერი სიმორცხვით.

შანეგა ერთგვარი ხაჭაპურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მის სატენად ყველის გარდა, რა ვიცი, რას არ იყენებენ...

შანეგას მეფეთა-მეფე, როგორც აქ შევიტყვე, შოთხვის შანეგაა, მაგრამ არც კარტოფილისა და არც კვერცხისსატენიანი დაიწუნება... არის კიდევ ერთგვარი სადღესასწაულო შანეგაც. მის დამზადებას იმდენი დავიდარაბა უნდა, თავბედს დაიწყევლი...

შევამჩნიე, როცა ბავშვის მოფერება უნდათ, „აჰ, ტი მოია შანეშკა“ აღმოხდებათ. ხოლო მაღალ, წოპწოპა მამაკაცს — „შანეშნი დოსტავალას“ ეძახიან...

ახლა შორს არის ტროფიმოვის თბილი სახლი.

შორს არის ბებერი ციმბირული მიწა და ტაიგაში ქშენით მიმავალი მატარებელი.

თვალებს ვხუჭავ და გონებით ვხედავ: მატარებელი შეჩერდა კოხტად მოწყობილ, ქართული ჩუქურთმებით დამშვენებულ სადგურზე.

— სადა ვართ? — იკითხავს რომელიმე მგზავრი.

— ნია-გრუზინსკაიაში... — იქნება პასუხი.

ხომ შეიძლება ის ცნობისმოყვარე მგზავრი მე ვიყო?

როგორ გგონია, ვიცნობ აქაურობას?

ვნახოთ...

ცხოვრებისეულ პრობლემებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# რას იტყოდა აკაკი

ერთმა ახლო ნაცნობმა თავისი თვალით ნანახი ასეთი ამბავი გადმომცა: საქართველოს ერთ ზღვისპირა ქალაქში იქაურ ოჯახს ზესტაფონიდან ახლო ნათესავები ესტუმრნენ — ახალგაზრდა და-ძმა. ძმა ავადმყოფი იყო და დაი მომვლელად წამოჰყოლოდა, ექიმმა თურმე ეს ქალაქი ურჩია — იქაური ჰავა მოუხდებაო. ახალგაზრდები რაღაც დღესასწაულის დღეებში ჩამოვიდნენ ზღვაზე, როცა ყველა ოჯახში სუფრა იყო გაშლილი. კარის მეზობელმა, სტუმრები რომ დაინახა, მაშინვე გადაიპატიჟა. ავადმყოფი ახალგაზრდა კაცი უარზე დადგა, ღვინოს ვერა ვსვამ, ექიმისაგან კატეგორიულად აკრძალული მაქვს და აბა რისთვის წამოვიდეო.

— შე კაცო, სმაზე ხომ არაა საქმე, — უთხრა გადამპატიჟებელმა, — ვინ დაგაძალებს, შეს[illegible]ლდი ერთი წუთით, დაგვლოცე, შენც გაიხარე, ჩვენც გაგვახარე, მეტი არაფერიო.

ამაზე უარი აღარ ითქმოდა და ნათესავთან სტუმრად ჩამოსული და-ძმა მეზობელთან გადავიდნენ. შედგეს თუ არა ოჯახში ფეხი, მასპინძელმა ავადმყოფს ვეება თასი აუვსო და გადააწოდა, სტუმარი დაილოცა და თასი მაგიდაზე დადგა. მასპინძელი შეეხვეწა — შენი ჭირიმე, ლხინს ნუ წაგვამწარებ, დალიე, ეს ანგელოზივით ბავშვები დამილოცე, წესსა და ადათს ნუ ულალატებო. სტუმარმა ისევ აიღო თასი, უსურვა ოჯახს დღეგრძელობა, ბედნიერება, და თასი ისევ დადგა მაგიდაზე.

— ეგ დალოცვა არ არისო, უნდა დალიოო, — იყვირა მასპინძელმა.

— ბატონო, ხომ ადრევე გითხარით, რომ ღვინო აკრძალული მაქვს, ვერ დავლევ-მეთქი.

— არაო, — გაჯიუტდა მასპინძელი,—ოჯახში ფეხი შემოგიდგამს და შეურაცხყოფას ნუ მოგვაყენებო.

დამ, ეს რომ დაინახა, სცადა ძმის წამოყვანა, არ დაანებეს და ავადმყოფს ისევ ღვინო შეაჩეჩეს; მან ისევ უარი თქვა.

ოჯახის დიასახლისიც, შინაურებიც უკვე ისეთი ზიზღით უყურებდნენ სტუმარს, თითქოს მას მართლაც ოჯახის წმინდათაწმინდა შეებღალოს. ყველაზე ძლიერ კი თითონ ოჯახის თავი ბობოქრობდა: „ღმერთო კი მომკალი, ამას რას ვხედავ, ან დალიე, არა და არ ვიცი რას ჩავიდენო“. სტუმარი კარისკენ გაეშურა და ამჯერად, როგორც იქნა, გამოაღწია აივანზე, დაეშვა კიბეზე და ეზოში გამოვიდა. „ვინც შენ ჩემი ოჯახის გაწბილება შეგარჩინოს, დილა არ გაუთენდესო“, იყვირა მასპინძელმა, დანას ხელი დასტაცა, ჭაბუკს ჭიშკართან დაეწია და იქვე მოკლა.

მაგრამ ასე შორს წასვლა რათ გვინდა, იმ ხანებში ზუსტად ასეთივე ამბავი განმეორდა თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე; სტუმარმა, ოჯახში, სუფრაზე, სადაც მასპინძელმა მას თამადობა სთხოვა, ასევე დანით მოჰკლა მასპინძელი — ჩემი წარმოთქმული სადღეგრძელო რატომ არ დალიეო. ჩემო კარგო და ჭკვიანო მკითხველო, დაფიქრდი და მითხარი, რას დაარქმევდი ყოველივე ამას, რა არის ეს? ეს დროსტარებაა, ლხინია? თუ ბარბაროსობაა, პირუტყვული გამოთაყვანებაა?

ოდესღაც, ათასეული წლების წინ ადამიანმა, ბევრი ძიებისა და წვალების შემდეგ გამოიყვანა ვაზის ჯიშები და დააყენა ღვინო. ეს იყო ცივილიზაციის დიდი გამარჯვება. რა მო-

ზანი ჰქონდა ამ ძიებას, ამ წვალებას? კაცს უნდოდა თავისი ცხოვრებისათვის ხალისი მიეცა, კარგ ხასიათზე დამდგარიყო, შეემკო თავისი სიცოცხლე, ღვინო უნდოდა იმისათვის, რომ ემხიარულნა, დამტკბარიყო და თავისიანიც დაეტკბო, ლხინისათვის ლაზათი მიეცა, ჭირი შეემსუბუქებინა. ჭკვიანი კაცის ხელში და სახლში ღვინო ამას აკეთებს კიდეც, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჯერ კიდევ არც ისე ცოტანი არიან ადამიანები, რომლებმაც ღვინო აქციეს მკვლელობის, ხულიგნობის, ავტოავარიების, ათასი უბედურების სათავედ, სისხლის სამართლის ათასნაირი დანაშაულის მიზეზად. რესპუბლიკის მილიციამ მარტო შემოწმებისათვის აღებულ ერთი თვის პირველ ათ დღეში აღრიცხა 500 მთვრალი კაცი, რომელიც მანქანის საჭესთან იჯდა. მიუმატეთ ამას აღურიცხველნი, შეუმჩნეველნი რომ დარჩნენ, საჭესთან კი არა, შინ ან რესტორნებში რომ ისხდნენ, — და საკმაოდ არასახარბიელო სურათი დაგიდგებათ თვალწინ. შეიძლება ითქვას, რომ ტექნიკა ჩვენში ახლა დიდად არის დასაქმებული ამ სფეროშიც და ცალკეული ადამიანების წყალობით ლოთობა კარგად არის მექანიზებული და ავტომატიზებული. ქეიფობენ და ღრეობენ „ვოლგებით". „მოსკვიჩებით", „ჟიგულებით", ტრაქტორებითაც და თუ გაზეთებიდან გახსოვთ, მგონი, შარშანწინ ექსკავატორითაც წავიდნენ საქეიფოდ სასაფლაოზე, უკან დაბრუნებისას გადაუბრუნდათ და ერთი უბედურება დაატრიალეს. ერთი სიტყვით აქ აკლია მარტო კომბაინი და კოშკური ამწე! ეს, ვთქვათ, გამონაკლისია, ექსკავატორის ფაეტონივით საქეიფოდ წაღება — ერთეული შემთხვევაა. მაგრამ რაღაც ავბედითის მაუწყებელი მაინც არის; სამაგიეროდ, მთვრალი „ვოლგები" ყოველდღე დაბარბაცობენ საქართველოს გზებზე. და ვინ მოსთვლის რამდენი უბედურება, სიკვდილი, ცრემლი და ვაება მოსდევს ამ გაუთავებელ ღრეობებს.

არც ისე დიდი ხნის წინ გზებზე რესტორნების აშენებასა და გამართვას რაღაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. თქვენ თვითონ განსაჯეთ — არის თუ არა საჭირო გზაზე, თბილისიდან მცხეთამდე, 20 კილომეტრის მანძილზე ამდენი რესტორნები და სასაუზმეები. სანაპიროზე, ჯერ გასულიც არა ხარ ქალაქიდან, მდიდრული და ფეშენებლური „არაგვი", გადაადგამ ორიოდე ნაბიჯს და დიღმის მასივთან — „უშბა", იქვე სახინკლე პროფილაქტორიუმთან, ცოტა იქით, ადრე „თეთრი დუქანი" რომ იყო, ახლა ატანილია დიღომში და ჰქვია „ნიავი" (სახელების შერჩევა კარგად იციან, რესტორნები კი არა, ლირიკული ლექსების სათაურები გეგონებათ), იქვე — სამწვადე, დიღმის მასივის ჩასახვევში, მერე, მუხათგვერდში — „საჭაშნიკე", ლობიოს ქოთნებით და ხის თასებით — მუშტარი სმის ეშხზე მოვიდესო, თითქოს ისე არა სვამდეს, მერე — მცხეთაში „არმაზი" და ცოტა იქით — „ნატახტარი"... ამავე დროს, თბილისში ბევრია ისეთი სასადილო, სადაც კაცი ისადილებს ულვინოდ და მთვრალებს არ გადააწყდება, გუნება არ წაუხდება უწმაწური სიტყვების გაგონებაზე?

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ თბილისი-მცხეთის მაგისტრალს და ვიკითხოთ: ვინ უნდა იყოს ისეთი სვავი, რომ ყოველ ორ კილომეტრზე მოშივდეს და მოსწყურდეს, ყოველი ორი წუთის შემდეგ ჩანახი და „წინანდალი" მოენატროს? ან რომელ საქმეზე მიმავალ კაცსა სცალია წამდაუწუმ რესტორნების ეზოებში შეაბრუნოს მანქანა? განა აშკარა არ არის, რომ ამ რესტორან-სახინკლე-სასაუზმე-სამწვადეების მუდმივი ბინადარნი — უსაქმურნი არიან, ისინი, ვისაც დილა რესტორანში უთენდებათ და დღეც იქვე ულამდებათ. აქ არის იმათი სამოთხეც და განსაწმენდელიც, აქ ატრიალებენ მოხატულ სურებსა და ჯამებს, რომ მერე, იქიდან გამოსულებმა, ფინური დანების ტრიალი დაიწყონ.

* * *

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" — მხურვალე მოწონებით შეხვდა მთელი ჩვენი ხალხი, მთელი საქართველო. პარტია, კომკავშირი, მოწინავე საბჭოთა საზოგადოებრიობა, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია გადაჭრით ჰგმობენ და კიცხავენ დახავსებულ წესჩვეულებებს, ამდენ უბედურებას რომ ატეხენ თავს ადამიანებს. აქ, მარტო წრეგადასული ღრეობის კულტი როდია აღსანიშნავი. ხსენებულ დადგენილებაში აღნუსხულია და მკაცრად არის დაგმობილი ყველა ის ნეგატიური მოვლენა, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს ყოფაში და რომლებიც საგრძნობ მორალურ და მატერიალურ ზიანს აყენებენ საბჭოთა საზოგადოებას.

ამ ნეგატიურ მოვლენათა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია სხვისი შრომის ხარჯზე შეძენისა და გამდიდრების მისწრაფება, მოსყიდვა ძვირფასი საჩუქრებით, ფიზიკური შრომისადმი ბატონკაცური, ქედმაღლური დამოკიდებულება, კუთხური შეზღუდულობა და კარჩაკეტილობა, პროვინციალიზმი და მომძლავრებული მეშჩანობა. „გაყალბებულია ქართული სტუმართმოყვარეობა, რომელსაც ყოვლად გაუმართლებლად, ხალხმრავალი და გაუთავებელი ღრეობის ფარგლებში აქცევენ ხოლმე, — აღნიშნულია დადგენილებაში, — გავრცელდა ეგრეთწოდებული „სუფა" 300 და მე-

ტი კაცისათვის, რომელსაც თან სდევს ფარისევლური სადღეგრძელოები ცალკეული პირების საამებლად".

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ყველა ამ ნეგატიურ მოვლენას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ქართულ მოწინავე ეროვნულ ტრადიციებთან, ჭეშმარიტ პატრიოტიზმთან, ინტერნაციონალიზმთან, ხალხის კეთილ გულსა და სტუმართმოყვარეობასთან.

ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში მოგვიწოდებს გავაჩაღოთ ფართო პროპაგანდა ამ დრომოჭმული ტრადიციების დასაძლევად და აღმოსაფხვრელად. ამ საქმეში, როგორც ყოველთვის, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა. ამასთან ერთად, ამ სფეროში, ხალხის ცხოვრების ეთიკურ-მორალური ნორმების დადგენის დარგში, ჩვენ უნდა დავიხმაროთ ჩვენი წარსული, თუნდაც, პუბლიცისტური ძემკვიდრეობა აკაკი წერეთლისა; ეს შესანიშნავი პოეტი, უმღეროდა რა ქართველი ხალხის სიმამაცესა და კეთილშობილებას, იმავე დროს, თავის ლექსებშიც და მძაფრ პუბლიცისტურ გამოსვლებშიც სასტიკად ჰგმობდა და ჰკიცხავდა ყოველივე ცუდს, ჩამორჩენილს, უარყოფითს; ეს უნაზესი ლირიკოსი — მრისხანე მამხილებელიც იყო; თავის შესანიშნავ პოემაში — „თორნიკე ერისთავი" — პოეტი საგულისხმო ცნობას იძლევა საქართველოს ისტორიული წარსულიდან. როგორც ცნობილია, ეს პოემა მეათე საუკუნის ამბებზე მოგვითხრობს, აქ, სხვა მრავალ წესჩვეულებათა შორის, აღწერილია ქართული ლხინიც. და აი პოეტი წერს: „მთვრალობა და სადღეგრძელო სათვითოო არ იცოდნენ, ჩვენი ლხინი რომ ენახათ, სირცხვილითაც დაიწვოდნენ".

უფრო საინტერესოა აკაკი წერეთლის წერილი „საუბარი „კრებულის" მკითხველებთან", რომელშიც ავტორი აღნიშნავს:

„სუფრაზე ტკბილ-ქართულის ნაცვლად უხერხული პრიშტი-პრუშტებია, გაშაირების წილ ჭორების გადაცემ-გადმოცემა, ზმისა და მოსწრებულების მაგიერ ლანძღვა-კილვა და გინება ანუ უწმაწური სიტყვების ყურში ჩაჩურჩულ-ჩამოჩურჩულება... ირჩევენ ტოლუმბაშს ერთხმად. მადლობა ღმერთს, რომ ტოლუმბაშობა უსასყიდლო მოხელეობაა, თვარა ვინ იცის, რა შეხლა-შემოხლა იქნებოდა და იქნება სისხლიც დაიღვრებოდა. უსასყიდლო ტოლუმბაში, მაინც თავმომწონეა, რომ არჩეულ იქმნა და ჯერ ნაზობს, ვითომ სათნოებასა და თავმდაბლობას იჩენს: „ბატონებო! სხვა აირჩიეთ! არ შემიძლია, თქვენ არ მომიკვდეთ... ვერ ვიკისრებო, და სხვანი... ამრჩევლებმაც და გაბედნიერებულმაც — ამორჩეულმაც, იციან, რომ ეს ასე უნდა, უცბად არ უნდა მიიღო სასუფრო მოღვაწეობის ხარისხი, თვარა გულში დიდი კმაყოფილიც არის, და ბოლოს, დათანხმდება, დაიმკლავებს და მაშინ ნახეთ, რა ბიჭიც არის და რაც შეუძლია?! „ყმაწვილებო, აბა, აივსეთ სასასმო! ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი საყვარელი, ჩვენი ყოვლად ღირსი და სასიქადულო ესა და ეს თანამდებობის პირი"... პირში ამას ეუბნება, მაგრამ იმავე დროს კი განზე ენასა ჰყოფს! ახლა კიდევ ეს: „ღმერთმა ადღეგრძელოს ესა. და ეს მშვენიერი ქალბატონი", განზე მეზობლებს თვალს უპარპალებს, ვითომდა მართალი არ გეგონოთ, მახინჯია, თქვენც ხედავთო!.. ახლა ეს, ახლა კიდევ ის და სხვანი — ჩამოყვება სათითაოდ, ყველას შეამკობს, აქებს, ადიდებს... სხვებიც, რასაკვირველია, ეთანხმებიან, არის ერთი გახურებული თავის ქიცინი, აცუნდრუკება-ჩაცუნდრუკება და გაწა-მაწია. ვითომ გულწრფელობაა, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვას ჰფიქრობენ და უხინჯოდ ბევრი არავინ არის. ამისთანა კრებაში, რაც უნდა ხლართო, გულწრფელი მოლხენა და სიამოვნება არ მოხერხდება, რასაკვირველია, და ამიტომაც ტოლუმბაში ცდილობს, რომ ყველას გრძნობა-გონება დააკარგვინოს ღვინის საშუალებით, დაავიწყოს ყოლიფერი და მიტომაც აძალებს ღვინოს. ამგვარ ნაძალადევ ლხინს, რასაკვირველია, კარგი შედეგი არ მოაქვს ხოლმე, ბევრი ილანძღება, ბევრი მტრობა და შური ითესება, სისხლი იღვრება და ბევრი კვდება. იშვიათია დღეს ჩვენში მისთანა ლხინი და დღესასწაული, უჩხუბრად გათავდეს, ვინმე არ დაიჭრას, ან და არ მოიკლას, რამდენი ახალგაზრდაა, რომ სიფხიზლეში სამაგალითო კარგი რამ ყოფილა, მაგრამ დაუძალებიათ ღვინო, ძალა დაუტანებიათ და რომ გადარეულა, დაუტრიალებია ხანჯალი და ციმბირში კი ამოუყვია თავი. არა, დღევანდელი ლხინი დიდი უბედურებაა, და ვინც ამტკიცებს, რომ ეს მამა-პაპური ჩვეულებააო, ის ცილსა სწამებს წინაპრებს და სამარეს ურცხვენს" (ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 13, გვ. 484-485).

მეორე ადგილზე აკაკი აღნიშნავს:

„ახლა მკვდრებს მივუბრუნდეთ. ნეკროლოგებმა გაგვაყრუეს, თუ არ შესანიშნავი და ქვეყნის სამგლოვიარო, ისე, უბრალო აღარავინა კვდება! ასე გვარწმუნებენ პირუთვნელი და სიმართლისმოყვარე პატიოსანი მბეჭდავები: „სოფ. სალხინოში ამ დღეებში გარდაიცვალა ერთი შესანიშნავი მოღვაწე და ქვეყნისთვის თავდადებული კაცი კიკინია ღვინიაშვილი. იმისმა სიკვდილმა ყველას გული მოუკლა. დღეის იქით ჩვენებურ ლხინს შნო დაეკარგა! განსვენებული სწორუპოვარი ტოლუმბაში იყო! ის რომ განსასვენებელ ახალმოდურ მრავალჟამიერს იტყოდა ხოლმე: „ჟამი! ჟამი! ჟამი! ჟამიერო!" რომ აუკიკინებდა ხოლმე და მერე

დააყოლებდა კრიმანჭულით „ბელი! ბელი ბელი! მადლობელიო!", იმის გაგონებასა აღარა სჯობდა რა! ძნელია ამისთანა მამულიშვილის უდროოდ დაკარგვა! საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი". ვინც ყოფილა ეს მოღვაწე, ეს თვითონ ნეკროლოგიდან ჩანს" (ა. წერეთელი, იქვე, ტ. 13, გვ. 483).

აკაკის არ მოსწონდა იმ ადამიანების საქციელი, რომლებიც საზოგადო საქმეებს სუფრაზე აჭახრაკებდნენ. ეს ჩვეულება განსაკუთრებით გავრცელებული იყო საბანკო არჩევნების დროს. თავის ერთ წერილში „ცხელ-ცხელი ამბები" სწორედ ამ არჩევნებზე წერს:

„საქმე დაწყებულია.

მოვიდა ზუთხობის დრო! გაუმარჯოს სადილობიას! ცივ ზუთხსა და ცხელ ღომს გააქვს ყლუწუნ-ყლუწუნი ყელში!

ქალებიც ერევიან ამ საქმეში. შეიქმნა ძროხების ბღავილი, გაიმართა ბეჭობია: აურევბენ ლიპა-ლიპა ბეჭებს და არის ერთი გახურებული ტვლიპინ-ტვლიპინი საწებელში! იმერულად მოთლილი ბეჭის ხორცი, ტყემალში ამოწებული! ვიშ, ვიშ! საყვარელო, როგორ მიგლინავს ყელში!

— ერთი სადილი — ერთ კენჭად! ვინ მოუმატებს?

— სადილ-ვახშამი... ვინ მოუმატებს? ზედაც ერთი თუმანი!" (აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 374).

ხოლო საკულტო დღეების შესახებ წერდა:

„...აი რა მიამბო ერთმა გლეხმა:

„მარიობა გადაიხადე? — ვკითხე მე.

— როგორ არ გადავიხდიდი, ბატონო! — მიპასუხა დალონებით, — გადავიხადე, მაგრამ ვაი იმ გადახდას! სულიან-ხორციანად კი გავტყავდი და!..

— დახარჯე განა რაც გქონდა სახლში სარჩო-საბადებელი?

— რა ბრძანებაა? ორი თუმანი ვალიც წამომედვა, მაგრამ არ შევრცხვენილვართ-კი.

— როგორ?

— რომ უნდა, სწორედ მისთანა ლხინი გადავიხადე. მტერი არ გამიხარებია და მეზობელი ველარ დამცინებს. ისე დათვრენ, შენი რისხვა ნუ მომეცემა, რომ ჭერეხივით ეყარნენ ძირს. რაც სვეს ხომ სვეს, რაც არა და ერთმანეთს სულ კისერში ასხეს, ღვინოში მონათლეს ერთმანეთი...

— ჩხუბი ხომ არ ყოფილა?

— აპა, ისე რა ლხინი იქნებოდა!

— ხომ არავინ მომკვდარა?

— სიკვდილით არა, მაგრამ თავ-პირი კი დაუსისხლიანდა.

— მამაშენმა რა სთქვა? როგორ მოსწონს ეგ ლხინები?

— მამაჩემი რას იტყოდა? ძველი კაცი გახლავთ — ახლანდელი განათლების არა გაეგება-რა? ის ისევ მამა-პაპის ძველ რჯულზე მიდის! ერთი კი ჩამოილოცა და მერე აღარც კი გაჩერებულა ჩვენს სუფრაზე.

— შენ კი, როგორც გეტყობა, კმაყოფილი ყოფილხარ.

— მაშ, რა უნდა მექნა, შენი ჭირიმე, ქვეყანაა, ჩვენც უნდა არ გამოვსხლტეთ...

— კი მაგრამ, რაც რამე გქონია, დაგიხარჯავს, ვალი წამოგდებია. ჩხუბი და უსიამობა ბევრი ყოფილა, კარგი კიდევ, რომ უმარცხოდ გათავებულა ლხინი. ნუ თუ ეს ყველაფერი მოსაწონია?

— მოსაწონი არ გახლავთ, მაგრამ რა ვქნათ, უნდა გავიჭირვოთ ჩვენც, ქვეყანაში გამოსხლეტა ძნელია. მაგის მომგონისა და შემომღების ოჯახი დაიქცეს, ჩვენს საუბედუროდ და საჭირბოროტოდ ეგ შემოუღიათ. დაღუპვაა, გლეხის დაღუპვა. მაგრამ ერთი რას გააწყობს, შენს ნებაზე ვინ დაგაყენებს? მართებლობა რომ ბრძანებდეს, ეგ დღეობა მაგრე ნუ იქნება და ისევ ისე იყოს, როგორც ძველად ყოფილაო, კარგი იქნებოდა, მაგრამ სად არის? ვინ დაგეძებს? ვინ გაგცემს ხმას?" (აკაკი წერეთელი, ტ. 13, გვ. 486-487).

1886 წელს აკაკიმ „ივერიაში" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ამას წინათ ერთი სტუმარი ჩამოვიდა ჩვენში იმ განზრახვით, რომ ჩვენი ავლა-დიდება ენახა, ჩვენი სხვადასხვა ჩვეულებები შეესწავლა. სადაც მივიდა, ყველგან მაშინვე ნადიმი გაუმართეს. დღეს ერთი იწვევდა, ხვალ მეორე, ზეგ მესამე და ამრიგად, ვის სახლშიც კი შევიდოდა, ყველგან სუფრა დახვდებოდა ხოლმე გაშლილი შუა ოთახში... გამოეთხოვა ეს კაცი სტუმართმოყვარე მასპინძლებს და გაუდგა თავის გზას. რა ნახა? რა გამოიკვლია და რა შეიტყო? არ ვიცით. ერთი თხზულება კი გამოსცა, სადაც სხვათა შორის თავის მასპინძლებსაც ურიგოდ იხსენებდა: მე იმათი ვერა გავიგე-რა, ჭამის მეტი არა იციან-რა და იმასაც ხეირიანად ვერ ახერხებენო: შემოაქვთ სუფრაზე მოხარშული ხორცი, რომელსაც „ბეჩი" (ბეჭი) ჰქვიანო, თანაც „ციციბელას" (საწებელს) მოაყოლებენო... ბევრი ამგვარი რამ გამოუთქვამს და იმან გაამწარა მასპინძლები — რა თავი აუგდიაო. ამდენი ტყუილი როგორ მოიგონაო, მაგრამ იმას ტყუილი არა დაუწერია-რა, რაც თავის ყურით გაიგონა ისა თქვა და რაც ნახა თავისი თვალით, ის აღიარა და რა მისი ბრალი იყო? რათ აძალებდნენ ღვინოს? იმიტომ აძალებდნენ, რომ ეს კარგი ეგონათ" (აკაკი წერეთელი. თხზ. სრული კრებული, ტ. 12, გვ. 314-316).

რამდენია ახლაც ასეთი შემთხვევები, როცა იკვეხიან და ბაქიობენ — ჩვენ ყველაზე მეტსა ვსვამთო. და ეს მიაჩნიათ კარგ თვისებად. უგუნური ადამიანები ხშირად ახე აცნობენ თავის

თავსა და თავის ქვეყანას უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმარს. ისინიც, აქედან წასვლის შემდეგ წერენ ხოლმე — საქართველოში ყველაზე მეტსა სვამენო. ტყუილია ეს, ქართველი კაცი არავისზე მეტს არა სვამს, და ეს არც არის მისი განმასხვავებელი ნიშანი; სმით კი მთელ მსოფლიოში სვამენ, სვამენ ისე, მშობელი დედა ველარ იცნობს, და ველარც თითონ იცნობენ დედას. მაგრამ რა არის აქ დასაკვეხი და სატრაბახო, რათ უნდა მივიჩნიოთ ღვინის სმა მარტო ჩვენს ტრადიციად?

მაგრამ ეს ჩვენი თემა არ არის. ეს მხოლოდ სიტყვამ მოიტანა. აქ მხოლოდ ერთი რამის აღნიშვნა გვინდა: ნურავინ ცდილობს ქართული კულტურის სიმბოლოდ ყანწი გაასაღოს, და ევროპიდან ჩამოსულ სტუმარს მაინცა და მაინც ეს ყანწი შეაჩეჩოს ხელში.

ამას წინათ ასეთი აზრიც კი გამოითქვა პრესაში: ქართული მუსიკა პოლიფონიურია იმიტომ, რომ ჩვენი სუფრა მრავალფეროვანია — წინანდლის გემოც ვიცით და ოჯალეშისაც, მანავის მწვანეს ხვანჭკარაში არ ავურევთ და ქინძმარაული ცოლიკაურში არ შეგვეშლებაო. როგორც ვხედავთ, ეს ღრეობის სტიქია ესთეტიკაშიც აპირებდა შეჭრას და ეს კი მაინცდამაინც დიდად მოსაწონი ამბავი არ არის. ასეთი „ესთეტიკიდან" შორს არ არის ლუარსაბ თათქარაძის „ფილოსოფიამდე": „თუ კაცი ვარ მე დღეს, აი ამ შავი ყურძნის წვენითა ვარ კაცი. ჩემი სახელი სათათრეთამდეა გავარდნილი, და თუ სადმე ლუარსაბის სახელი იხსენება, ამ ღვინის მადლობელი უნდა ვიყო". ეტყობა, საჭიროა, ცოტა უფრო ხშირ-ხშირად ჩავიხედოთ ხოლმე ილიასა და აკაკის წიგნებში, გავიხსენოთ რას ასწავლიდნენ ისინი ქართველ კაცს და რა გზას უჩვენებდნენ.

მე არ მინდა ცუდად გამიგონ: ასკეტიზმის ქადაგება ახლა სასაცილო იქნებოდა. გაუმარჯოს ძელგიანი კახური ღვინის მომყვანსაც, მარწყვივით ტკბილი იზაბელას დამყენებელსაც და ფიცხი ლალისფერი ატენურის დამწურავსაც; უიმათოდ ქართველი კაცის სუფრა მართლაც წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგრამ ყანწსაც და ჭიქასაც თავისი ადგილი აქვთ და სოციოლოგიასა და ესთეტიკურ იდეალებთან მათ არაფერი ესაქმებათ.

ქეიფისა და სმის, ღრეობის სტიქია ჩვენი ხალხისათვის გატაცებისა და ტრფიალის საგანი არასოდეს ყოფილა. პოეზია ხომ სარკეა ერის სულისა და გადახედეთ ქართულ პოეზიას, გაადევნეთ თვალი მთელის საუკუნეების მანძილზე. სიყვარულისა, სიცოცხლისა და ვაჟკაცობის გენიალურ მომღერალს რუსთაველს ღვინო არ უქცევია ხოტბის საგნად, თუმცა ტარიელიც და ავთანდილიც „ღვინოსა სვამდნენ, არ დოსა", იმიტომ, რომ ვაჟკაცები იყვნენ და სმის მერეც ფხიზლად ეჭირათ თავი — „მადლი ჰკადრა ფხიზელურად, თუმცა იყო ღვინოსმული", ამბობს პოეტი ტარიელზე. დიდმა სულხან-საბამ სპეციალური ქადაგება დაწერა ლოთობის გასაკიცხად და დასაგმობად. როცა დავით გურამიშვილმა განიზრახა დაეხატა თუ რაოდენ არარაობა იყო ირანას მბრძანებელი შაჰ-თამაზი, ასეთი სტრიქონები უძღვნა მას: „მან შექმნა ბილწად დრანჯობა, ბევრი ღვინო სვა ვაზისა". არც ბარათაშვილს, ილიასა და აკაკის უძღვნიათ ჰიმნები ღვინისათვის, როგორც ამას სჩადიოდნენ ძველი ირანისა და არაბეთის პოეტები, მარტო ლექსებს კი არა, ტრაქტატებსაც რომ წერდნენ ღვინოზე, თამადაზე და დალევის წესებზე, თუმცა ოფიციალურად, მაჰმადის რჯული უკრძალავდა მათ დალევას. ჩვენს წინაპრებს რჯული არ უკრძალავდა დალევას, სვამდნენ კიდეც, მაგრამ ჭკუას არასოდეს ჰკარგავდნენ, ჰყოფნიდათ სიბრძნე და გონიერება ყველაფრისათვის თავისი ადგილი მიეჩნიათ — საქმისათვისაც და ლხინისათვისაც. ამ სიბრძნეს მისდევს დღევანდელი საბჭოთა საქართველო, რომელმაც შრომა აქცია თავის მოწოდებად და უმაღლეს მიზნად და ასე აიგო გიგანტური ჰესები მტკვარსა და რიონზე, ენგურსა და ხრამზე, ასე წარმოიშვა ახალი ქალაქები და სოფლები, ასე დაიწერა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ბრძნული ტომები, ყალმის და ფუნჯის დიდოსტატთა ბრწყინვალე ტილოები, ასე შეიქმნა ქართული მათემატიკური სკოლა, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. საბჭოთა საქართველოს იმდენი რამ აქვს საამაყო და სასახელო ძველადაც და ახლაც, ბარე ორ ერს ეყოფა ისტორიად.

ასეთია ჩვენი ტრადიციაც და დღევანდელი დღეც.

დასკვნისათვის საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ აკაკი წერეთლის ის ნაწარმოებები რომლებზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით, ისე ცოცხლად ეხმაურებიან ჩვენს ბრძოლას ყოფის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ასე გგონია, ეს წერილები დღეს დაიწერაო. აკაკის ამ ნაწარმოებებმა შეინარჩუნეს დიდი იდეური და ემოციური ზემოქმედების ძალა, ისინი ჰგმობენ და ჰკიცხავენ ყოველ ცუდს, დახავსებულს, ჩრდილოვანს, რაც დღეს ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს ცხოვრებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ფრუიძე

# თანამედროვე ქართული სოფელი ეთნოგრაფის თვალთახედვით

ქართულმა სოფელმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდესი ცვლილებები განიცადა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველო ჩამორჩენილი, კოლონიური ქვეყანა იყო და რუსეთის იმპერიის ორ გუბერნიად გაყოფილ განაპირა მხარეს წარმოადგენდა. ქალაქები ნელა ვითარდებოდნენ, განვითარების გაცილებით დაბალი ტემპი იყო სოფლად. ადგილობრივი პროგრესული ძალებმს ცდა სასურველ ნაყოფს ვერ იღებდა, რადგან მეფის მოხელეები ენერგიულად თრგუნავდნენ ყოველ წამოწყებას. საერთოდ, რევოლუციამდელი ქართული სოფლის კულტურული დაწინაურება ქველმოქმედების მიჯნებს არ გაშორებია. სიღარიბე, უგზოობა, სასწავლო და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქრონიკული უკმარობა, ტექნიკური პროგრესის საოცრად დაბალი დონე — ასეთი მძიმე მემკვიდრეობით შეხვდა ქართული სოფელი საბჭოთა ხელისუფლებას. კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებდა ქალაქისა და სოფლის დაახლოვების ლენინურ პრინციპს, რის შედეგადაც სოფლის გარდაქმნა ინტენსიურად დაიწყო. რისთვისაც უწინ საუკუნეები იყო საჭირო, ახლა თვეები და წლები საკმარისი აღმოჩნდა. სულ მალე სოფელმა სახე იცვალა. სწორედ ამის შედეგია, რომ დღეს ჩვენი რესპუბლიკის სოფელთა უმრავლესობა თანამედროვე ცივილიზაციის ყველა სიკეთით ცხოვრობს. და ეს, უპირველეს ყოვლისა, შედეგია პარტიისა და მთავრობის ბრძნული ეროვნული პოლიტიკისა. საყოველთაო წინსვლისა და პროგრესის ფონზე უფრო თვალსაჩინო გახდა ზოგიერთი ნაკლოვანება, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საერთო-სახალხო სამსჯავროზე დაუფარავად გამოიტანა. მათ შორის აღსანიშნავია მთიანი რეგიონების პრობლემა. საქართველოს კომუნისტური პარტიის X პლენუმზე (1978 წლის 28 ივლისი) ხაზგასმით აღინიშნა: „ჩვენს რესპუბლიკას დიდი პერსპექტივები აქვს იმისა, რომ უახლოეს მომავალში იქცეს არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო ტურიზმის ბაზად. მაშინ მთაში განსაკუთრებით დაგვჭირდება ხალხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო სერიოზულად ფიქრობენ მთის რაიონების ეკონომიკის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების აღმავლობის ღონისძიებათა კომპლექსზე. ეს ჩვენი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაჭრა საქართველოს კომპარტიის ღირსების საქმეა“. რა თქმა უნდა, ამ საშვილიშვილო წამოწყებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ეთნოგრაფებმა, როგორც საქართველოს მთიანი რეგიონების მცოდნე სპეციალისტებმა. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ორიოდე მტკივნეულ საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია დღევანდელი ქართული სოფლის განვითარების ზოგიერთ ტენდენციასთან.

საქართველო მთიანი ქვეყანაა და, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, მთის ავ-კარგი მთელი ჩვენი რესპუბლიკის აწმყო და მომავალია. ახლა ჩვენში ვერ შეხვდებით მოაზროვნე კაცს, რომელსაც არ აწუხებდეს მთიანი რეგიონების ბედი. ამ საკითხზე ბევრი იწერება და იბეჭდება, მაგრამ ძალები დაქსაქსულია და წამოწყებული მოსაზრებები აქამდე კეთილ სურვილებად რჩებოდა. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რაც შეიძლება, დროულად

გადაწყდეს სადირექტივო ორგანოებთან საკოორდინაციო ცენტრის შექმნა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით, არა მარტო საზოგადოებრივ აზრს შეაჯამებს, არამედ პრაქტიკულ ნაბიჯებსაც გადადგამს.[1]

მთიდან ბარში მოსახლეობის დენადობა ან, პირიქით, ბარიდან მთაში გადასახლება ქართული ისტორიული სინამდვილისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყოველივე ამას თავისი დროის შესაფერისი სოციალ-ეკონომიური მიზეზები ჰქონდა. საერთოდ, დასახლების პრობლემა რთულია და ამ საკითხს ქართველი ეთნოგრაფები კარგა ხანია სწავლობენ. მათ დაადგინეს, რომ დასახლების ტიპს, ძირითადად, საწარმოო ურთიერთობანი განსაზღვრავენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე ბუნებრივი გარემო და მეურნეობის ხასიათი (რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე). სწორედ ამის გათვალისწინებაა საჭირო, სანამ პრაქტიკულად განვახორციელებდეთ სოფელთა გამსხვილება-გარდაქმნას. ჩვენი აზრით, მცირემოსახლეობიანი და გაფანტულად განლაგებული სოფლების კომპაქტურად დასახელებისას, რასაც ზოგიერთი მკვლევარი, დროის აუცილებელი მოთხოვნის გამო, გულწრფელად გვირჩევს, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეიძლება მთელი საქართველოს მოსახლეობა ერთ თანამედროვე ქალაქში მოთავსდეს, მაგრამ მსოფლიო ასპარეზზე ეს ქალაქი მაინც პატარა გამოჩნდება, უძველესი კულტურის მქონე, მრავალფეროვნებით განთქმული ჩვენი სამშობლო კი თავის სახეს დაკარგავს. აბა, რას ემსგავსება სვანეთისა და ხევსურეთის მთები უადამიანებოდ?! ან საქართველო განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ხევსურეთისა და სვანეთის გარეშე?!

ვფიქრობთ, რაც შეიძლება მალე, კომპლექსურად უნდა იქნეს შესწავლილი მთის თითოეული სოფელი. გამოვლინდეს ის სახსარი, რამაც მათი წარმოქმნა და დღემდე მოღწევა განაპირობა. აქ დასადგენია ისტორიულ-სოციალური და ბუნებრივ-ეკონომიური ფაქტორების მთელი სისტემა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ჯერჯერობით, ამოცნობილი არ გვაქვს. ამიტომ არის საჭირო მთიანი რეგიონების ეკონომიურ-გეოგრაფიულ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და სოციოლოგიურ ჭრილში ინტენსიური გამოკვლევა, გაკეთებულის შეჯამება და მთის თითოეული რეგიონის მომავლის მეცნიერული გააზრება. დასამალი არ არის, რომ მთიდან ბარისაკენ მცხოვრებთა ლტოლვამ ფართო ხასიათი მიიღო. მოსახლეობის ადგილობრივი თუ შორეული მიგრაციები თავისებურად ერწყმის თანამედროვე ურბანიზაციის პროცესს. საქართველო მხოლოდ ლამაზი მთები და ხეობები როდია, მათ ადამიანები ამშვენებენ. ჩადით მთათუშეთში და იგრძნობთ თუ რა არის მიტოვებული სახლები, გაბალახებული გზები, ღობე და ჭიშკარმოშლილი საცხოვრებლები. მოსახლეობისაგან იცლება ქვემო ქართლის ქართული სოფლები. ვინ არ იცის ტანძია, სულხან-საბა ორბელიანის ნაავნარი. იგი ბოლნისის რაიონში მდებარეობს. ვისაც კლდოვან ბორცვზე ჩადუღაბებული ქვეშის ციხე უნახავს, მერე ალიშანას მცირე ხეობას ალმა აჰყოლია და აქოჩრილ ქედის ძირას მწყერივით განაბული ტანძია დაუთვალიერებია, დიდხანს ვერ დაივიწყებს მის მომხიბლაობას. რა არ გადახდენია ამ სოფელს, მაგრამ დღემდე მაინც მოუღწევია და შთამომავლობისათვის გადაუცია თავისი სახელოვანი შვილის ფაქიზი სიყვარული. სოფლის თავში ორბელიანთა ნამოსახლარი, მეწამული ქვით ნაგები, ტანკენარი ეკლესია და მარმარილოში ნაკვეთი სულხან-საბა ორბელიანის ქანდაკებაა. ეს ადგილი წმინდათაწმინდაა ტანძიელთათვის. ჩასულ კაცს მაშინვე მეგზურობას გაუწევენ, დაუფარავი სიამაყით გაუძღვებიან და გზადაგზა ხალისით უამბობენ თანასოფლელი ბრძენის განუზომელ ღვაწლსა და საოცარ თავგადასავალზე, და, ბოლოს, როგორც დიდ საიდუმლოს ისე გაანდობენ: „კიდევ დაიბადებაო ჩვენ სოფელში სულხანისთანა კაცი“.

უმზერ ამ თვალწარმტაც სოფელს, ფერდობებზე დალლილივით ჩამუხლულ ისტორიულ ძეგლებს, ქარტეხილებთან ბრძოლაში დაბრძენებულ კაკლის ხეებს და, კმაყოფილებასთან ერთად, სინანული გიპყრობს — სოფელს აკლია მზრუნველი ხელი. გზა ცუდია, უამინდობის დროს თითქმის გაუვალი ხდება, ამიტომ მწარედ ხუმრობენ ტანძიელები: „ჩვენ სოფელში ამოსვლას, დარუბანდს მგზავრობა ჯობიაო“. სწორედ უგზოობაა იმის მიზეზი, რომ ტანძია რაიონის ცენტრთან ავტობუსით დაკავშირებული არ არის, სოფელს კლუბი არა აქვს, მხატვრულ თვითშემოქმედებაზე ლაპარაკი ზედმეტია, კინოსურათებს იშვიათად უჩვენებენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ტანძიელები თანამედროვე სოფლის კულტურული ცხოვრების მიღმა დარჩენილან. გარდა ამისა, ტანძიას არა აქვს სარწყავი წყალი. ძველად ეს სოფელი მდინარე შოშინეთიდან გამოყვანილი რუთი ირწყვებოდა. მოუვლელობის გამო, ჩვენი საუკუნის დამდეგს, არხი გაფუჭებულა და მისი განახლება დღემდე არავის უცდია. ყოველივე ამით არის განპირობებული, რომ დღევანდელ ტანძიაში მოხუცებს უფრო

[1]. ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილ. იხ. დისკუსიის მასალები („მთიანი რაიონების ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის“, ჟურნ. საქართველოს სახალხო მეურნეობა, № 10, 1972).

შეხვდებით, ვიდრე ახალგაზრდებს. სოფელს დაცარიელების საფრთხე ემუქრება, მხოლოდ ორმოციოდე კომლია დარჩენილი. ისინი, ვისაც მამაპაპური საძვალე ვერ დაუთმია, ყველა ჩამომსვლელს შესჩივიან შვილთა მოუსვლელობაზე, კარ-მიდამოთა გატიალებაზე...

ტანძიელები სიცოცხლისუნარიანი, გამრჯე და შრომისმოყვარე ხალხია. იქ კიდევ შეხვდებით შვიდ, რვა და ცხრაშვილიან დედებს, მაგრამ რა, პატარები წამოიჩიტებიან თუ არა, ბუდიდან აფრინდებიან და ტანძიაში მხოლოდ სტუმრად ჩავლენ, მარჯვენამოუღლელ, წლებით დამძიმებულ მხნელ-მთესველებს კი შემცვლელი სჭირდებათ.

— ჩემი ბიჭები რუსთავს ხიცხეში ირუჯებიან, მე კი მათ ნატვრაში ამომდის სული! — გაგვიზიარა თავისი დარდი 86 წლის მოხუცმა ივანე აბრამიშვილმა, — აბა, გზაკვალი და სარწყავი წყალი იყოს აქ, მაშინ თუ წავლენ სხვაგან!

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ მრავლისმომსწრე კაცს. ადამიანი ყველგან საჭიროა, მაგრამ ის კერა, სადაც შობილხარ და გაზრდილხარ, მხოლოდ დასასვენებელ ადგილად არ უნდა იქცეს. სოფლიდან ბუნებრივი ნამატი აუცილებელია წავიდეს, რათა შეიქმნას ახალი ქალაქები, ახალი სოფლები, ოღონდ საბუდარში კვერცხი არ უნდა გაცივდეს, ბუდე ბუდედ უნდა დარჩეს.

ტანძიის, ამ ისტორიული სოფლის, დაცარიელება დაუშვებელია. და განა მარტო ტანძიისა?! საქართველოს ბევრ მთიან სოფელს სჭირდება განსაკუთრებული მზრუნველობა და, პირდაპირ ვიტყვი, გადარჩენა.

პერიოდულ პრესაში არცთუ იშვიათად ქვეყნდება „სოფლის სამდურავი“, ასე, მაგალითად: „ტოლები სამტრედიის რაიონის მთაგორიანი სოფელია. 1930 წელს აქ ხუთი სოფლიდან ტოლების 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა შეიქმნა, ხოლო 1960 წელს კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გადაკეთების საკითხი დაისვა. ადგილობრივი მოსახლეობა ამას სიხარულით შეხვდა, გვეგონა ეს გააუმჯობესებდა საყოფაცხოვრებო-კულტურული მომსახურეობის დონეს, მაგრამ მოხდა პირიქით — სოფელს არა აქვს გზა, სასმელი წყალი, რადიო, კლუბი. სასოფლო საბჭოს აღმასკომი და სამკითხველო მოთავსებულია ავარიულ შენობაში, სადაც წვიმის დროს კაცი თავს ვერ შეაფარებს. ფოსტა, საბავშვო ბაღი, საექიმო უბანი მოთავსებულია უვარგის ბინაში, მოსახლეობას არა აქვს კულტურული გართობისა და დასვენების არავითარი ადგილი...“ („კომუნისტი“, 24 დეკემბერი, 1974, გვ. 3).

მეტად ნიშანდობლივია ლენხუმიდან გამოგზავნილი ერთი კორესპონდენცია: „ცაგერა, — არის ასეთი სოფელი ცაგერის რაიონში, — გვამცნობს კორესპონდენტი, — იგი, მართალია, პატარაა, 50 კომლისაგან შესდგება, მაგრამ ყველა კოლმეურნე ბეჯითი შრომისა და ნოყიერი სავარგულების წყალობით შეძლებულად ვცხოვრობთ. ამის მიუხედავად, ერთი დიდი გასაჭირი მაინც ვერ მოვიშორეთ. ეს არის გზისა და სასმელი წყლის უქონლობა. ჩვენი სოფელი ალპანის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში შედის და კოლმეურნეობის ძლიერებაში საკმაო წვლილიც მიუძღვის, მაგრამ არც კოლმეურნეობის და არც სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავკაცებს აღნიშნულ საჭიროებათა მოგვარებით თავი არ შეუწუხებიათ. სოფლისათვის გზისა და სასმელი წყლის გაყვანა არც თუ ძნელია, რადგან რელიეფი ამის საშუალებას გვაძლევს. კიდევ უფრო იოლია წყალსადენის მოწყობა, ძვირფასი წყარო სოფლიდან მხოლოდ ერთ კილომეტრზეა დაშორებული. ახლა წყალსადენი მილებიც იშოვება და ფულადი სახსრებიც, მაგრამ სოფლის თავკაცთა ხელმძღვანელობისა და დახმარების გარეშე ამ საქმის ხელში აღებას ვერავინ ბედავს“ (დ. ახვლედიანი, სოფელი ღონიერია, მაგრამ..., „სოფლის ცხოვრება“, № 8, 10 იანვარი, 1975, გვ. 3).

აქ საქმეს კიდევ არა უშავს, ყაზბეგის რაიონის მაღალმთიან სოფელ ცდოს სოფლის თავკაცები მთლად აყრას უპირებდნენ, რაზედაც იქაური მკვიდრი მიხეილ წიკლაური „სოფლის ცხოვრებაში“ გულნატკენი წერდა: „განა უფრო სწორი არ იქნება, ცდოში შევქმნათ ელემენტალური საყოფაცხოვრებო პირობები, ვიდრე სოფელი ავყაროთ, ხარჯები გავწიოთ და რისთვის, მთების დასაცარიელებლად და გაუსაკაცრიელებლად?“ (28 იანვარი, 1978).

არსახარბიელო მდგომარეობაა არაგვისპირეთშიც: „დიდი მუშაობაა გაჩაღებული ჟინვალჰესის მშენებლობაზე, — იუწყება კორესპონდენტი, — სოფლებიდანაც ბევრი ჩამოსახლდა ახლად მიზომილ ადგილებში. ჯერ ისევ დაც გარბოდა ხალხი დუშეთის რაიონის სოფლებიდან: ახალციხიდან, კენჭაკლდიდან, გურგალეველიდან და ახლა მითუმეტეს.

1967 წლის შემდეგ, როდესაც პატარ-პატარა კოლმეურნეობების ბაზაზე არაგვისპირეთის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, სამუშაოს ხალხი მხოლოდ სეზონზე თუ შოულობს, მაშინ ძალიან უჭირთ ამ ოღრო-ჩოღრო გზებზე რამდენიმე კილომეტრზე მეურნეობამდე ფეხით სიარული. პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენა ადგილზე შეუძლებელია, ასეთი რამისათვის ხეობის მაღაზიაში უნდა წავიდეთ (შესაძენად კი არა, პატარა ცნობისათვისაც, რადგან ხეობის საბჭოზე ვართ მიწერილი, როცა ტერიტორიულად ჟინვალი უფრო ახლოა ჩვენთან). გზების გაყვანასა და ძველის შეკეთებაზე არავინ ფიქრობს. ჩვენ გვიჭირს ხეობაში

წასვლა, ამიტომ იქაური მაღაზიით მხოლოდ ქუბრიანთკარისა და ბულაჩაურის მოსახლეობას შეუძლია სარგებლობა, ჩვენთვის კი მცირე ფარდულის გახსნა გაჭირდა, რომლითაც ისარგებლებდნენ ახალციხის, გურგვალის, კენჭაკლდის, საცხავატის მცხოვრებნი.

ჩვენი ქვეყნის სოფლების უმეტესობა ქალაქის ტიპის დასახლებად იქცა. მათთვის უცხო არაა კულტურული ცხოვრების სიკეთე, ჩვენ კი ბევრ რამეს მოკლებულნი ვართ. როცა სოფელში კოლმეურნეობა იყო, კლუბისათვის შენობა ავაგეთ. აკლდა ჭერი, იატაკი და შელესვა. საბჭოთა მეურნეობების შექმნის შემდეგ შენობა უპატრონოდ მიატოვეს და ახლა იგი სოფლის პირუტყვის სადგომად არის გადაქცეული. ჩვენ კი გვეგონა გველირსებოდა კლუბი და წელიწადში ერთი-ორჯერ მაინც ვნახავდით კინოს. სასწრაფო საექიმო დახმარება რომ დაგვჭირდეს, ექიმს ვერაფრით მოვიყვანთ.

ყველა ამ მიზეზების გამო ჩვენი სოფლებიდან ახალგაზრდობა მიდის ისეთ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც მუდმივი სამუშაო ექნება, არ გაიტანჯება უგზოობით, მოკლებული არ იქნება ცხოვრების ყოველგვარ სიკეთეს. ჩვენ რა ვქნათ, რომელთაც გვენანება მამა-პაპათა სამყოფელის მიტოვება. მერე და როგორი სამყოფელისა — ჯანსაღი ჰაერითა და წყლით" (თ. ხვინტრიძე, მთიელთა გულისტკივილი, „სოფლის ცხოვრება", 26 თებერვალი, 1974).

...ფაქტები დადასტურდა, ზომები მიღებული იქნა, დამნაშავენი დაისაჯნენ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა საქმე აქამდე არ მისულიყო. მითითებულ სოფელთა ხელმძღვანელები ახლო წარსულის ნეგატიური მოვლენების ტყვეობაში რომ არ ყოფილიყვნენ, დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს მეტი გულისხმიერება და პრინციპულობა გამოეჩინათ, ბუნებრივია, ზოგიერთი მტკივნეული საკითხი ადგილზევე მოგვარდებოდა. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტოოდენ სოფლის ხელმძღვანელთა უგერგილობაში არ არის საქმე. აქ უფრო ღრმა მიზეზებია, სახელდობრ დასაქმების მოუგვარებლობა, ანაზღაურების არარენტაბელურობა, კულტურულ და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა. დიახ, ახეთია რეალური ხინამდვილე სოფელთა იმ ნაწილში, რომლებიც თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით თანამედროვე ცივილიზაციის სიკეთეთა მიღმა დარჩენილან. როგორც მოტანილი მასალიდან ირკვევა, ეკონომიურად წელგამართული მცხოვრებნიც იმდენად წუხან კულტურულ და საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობას, რომ მშობლიურ ადგილებში აღარ ეცხოვრებათ. სწორედ ამის შედეგია ახალგაზრდობის განთესვა. ანდა მთელი სოფლების აყრა და ახლად შექმნილი საბჭოთა მეურნეობის ან გამსხვილებული კოლმეურნეობის ცენტრში ჩამოსახლება. მაშასადამე, ტრადიციული ქართული სოფელი თავისი კომპაქტური კარმიდამოებითა და ნაგებობებით გზას უთმობს თანამედროვე კეთილმოწყობილ დასახლებას, სადაც არის კლუბი, სკოლა, საავადმყოფო, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის, საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო და სხვა ობიექტები. მაგრამ აღარ არის ჩუქურთმებით გადაქარგული ოდასახლები, კოინდარით აბიბინებული ეზოები და, საერთოდ, ქართული სოფლის ის კოლორიტი, რომლის სრულყოფილად დახატვა ან აღწერა შეუძლებელია. ბევრი მცხოვრები ვერ თმობს ამ სილამაზეს და განა მარტო სილამაზეს — მამაპაპურ სახლკარს, ვენახს, ჯანსაღ ჰაერს, წყალს, სახნავსათესს, საძოვარს, ტყეს და სრულიად სამართლიანად მოითხოვს დახმარებას. დიახ, ეს საკითხი ძალიან სერიოზულია, იმდენად სერიოზული, რომ მის გადაწყვეტასთან დაკავშირებულია თუ როგორი იქნება ჩვენი სამშობლოს მომავლის პროფილი — შევინარჩუნებთ ჩვენი ცალკეული კუთხეებისა და სოფლების ეროვნულ სახეს ნიუანსური თავისებურებებით თუ მოხდება ყოველივეს ნიველირება ე. წ. „კეთილმოწყობილ დაბათა" სასარგებლოდ, რომელთაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, წმინდა ესთეტური თვალსაზრისით, ჯერჯერობით, მეტად საეჭვო ღირებულება აქვთ...

ამრიგად, კოლმეურნეობის გამსხვილება ანდა წვრილ, ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ბაზაზე ახალი საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბება, არა მარტო ეკონომიურ ფაქტორს უნდა ითვალისწინებდეს, არამედ ამ რეგიონის თითოეული სოფლის ბედს მთლიანობაში — მცხოვრებთა დასაქმებიდან დაწყებული, გზითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფამდე.

დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ზოგჯერ სოფლის მომავალს მისი მდებარეობა და რელიეფი წყვეტს. ძველ სოფელთა დასახლების ტიპი და განლაგება შეესაბამებოდა მაშინდელ კომუნიკაციებს, ფეხით მიმოსვლას, საპაპანო და საკიდარ ტრანსპორტს. ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა, სოფელი საავტომობილო გზისაკენ დაიძრა, რადგან ავტომანქანა გახდა მიმოსვლისა და ტვირთზიდვის უმთავრესი საშუალება. მოკლედ, სადაც ავტომანქანა დაუბრკოლებლად მიდის, იქ მოსახლეობა მეტწილად ადგილზე რჩება, ხოლო მთაგორიანი ადგილები ხალხისაგან იცლება. მიგრაციის მრავალ მიზეზთაგან, ჩვენი აზრით, ეს ერთ-ერთი არსებითია. ახლა თითქმის ყოველი გზატკეცილის ირგვლივ თვითნებურად იქმნება დასახლებანი, რომლებიც უგემოვნებითა და ქაოტურობით გამოირჩევიან. სამოსახლოს მოუხერხებლობისა და სიმცირის გამო გლეხს კარმიდამო ზოგჯერ არა აქვს და იძულებულია „ქალაქურად" იცხოვროს, ე. ი. ბაზრიდან ზიდოს

საკვები პროდუქტები, მესაქონლეობის ნაწარმი, ბოსტნეული, ხილი... ეს პროცესი ძალზე ინტენსიურად ვითარდება და ხეხილში ჩაფლულ, ვენახებითა და ბოსტნებით დამშვენებულ, საძოვრებითა და ტყით მდიდარ, თვალწარმტაც ქართულ სოფელთა ნაცვლად ვიღებთ *ნაუცბათევ, ჩამოუყალიბებელ დასახლებებს,* რომელთაც მხოლოდ ერთი უპირატესობა აქვთ — საავტომობილო გზასთან სიახლოვე.

სოფელი თავისთავად ისტორიული კატეგორიაა. მისი აღმოცენება დამყარებულია ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიურ საფუძვლებზე. საქართველოში — ბინადარი ცხოვრებისა და მიწათმოქმედების უძველეს ქვეყანაში, შემთხვევით არცერთი სოფელი არ არის გაჩენილი. თვით ყოველი უბანი გააზრებულად წარმოიშობოდა და მის ირგვლივ მდებარე ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ათვისებას უზრუნველყოფდა. ახლა გლეხობის ნაწილი მკვიდრ გარემოს შორდება და ბაზრის, გარედან შემოტანილის — შემყურე ხდება,, რის უარყოფითმა შედეგებმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიძვირის სახით კარგა ხანია იჩინა თავი. ამიტომ თითოეული სოფლის, უბნის და კომლის ბედის გადაწყვეტა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და დიდი სიფრთხილე და წინდახედულებაა საჭირო. მიუხედავად ამისა, ამ ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეში ზოგჯერ მიუტევებელ უდარდელობას იჩენენ. ახე მაგალითად, ხაშურის რაიონში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სადაც საავტომობილო ხიდია და ავტობუსი მიდის (ხცისი, წრომი, რბონა, დამჩხეულა და სხვ.), სოფლები ხალხმრავალია, მაგრამ მოსახლეობა გარბის თაგვეთ-ქაშვეთიდან, გაქრენ ლუდა და ჯვარმუხა. მძიმე სანახავია ეს ნასოფლარები, იავარქმნილი ნოყიერი ნაფუძვრები, გაპარტახებული ნავაზარ-ნავენახრები, გავერანებული კარმიდამოები... ქაშვეთიც არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის. უგზოობა, ცივილიზაციის თანამედროვე სიკეთეთა უქონლობა შეუბრალებლად სდევნის მკვიდრთ მშობლიური ადგილებიდან, რაიონული ხელმძღვანელობა კი ნაკლებად ზრუნავს. მართალია, მტკვარზე საავტომობილო ხიდის აგება ერთი რაიონის შესაძლებლობას აღემატება, მაგრამ რამდენიმე სოფლის ყოფნა-არყოფნის საკითხი ყოველგვარ ხიდზე ძვირფასია. აშკარა უყურადღებობის შედეგია ქვიშხეთს ზემოთ, სოფელ მონასტერში, ბელლითსა და სხვაგან, თვით ზაფხულის კარგ ამინდშიც რომ ვერ მიდის ავტომანქანა. იქ მაინც არაა საჭირო ხიდის გაკეთება, მიუხედავად ამისა, უგზოობის გამო, ის სოფლებიც იცლება და განმკითხავი არავინ ჩანს.

ამ ათიოდე წლის წინათ აჰყარეს და სურამის სანახებში ჩაასახლეს ულუმბა, ქიშორა და ნინისი. ლაცარიელდა ისტორიული ადგილები, დაობლდა ძეგლები, გაუქმდა დოვლათისა და სიკეთის ის წყარო, რაც ამ სოფლებს გააჩნდა. იქაურები ახლაც ვერ შელევიან ძველ ადგილებს და იძულებულნი არიან საძოვრისა და ტყისათვის იქ, საკმაოდ შორ მანძილზე წავიდნენ.

ბუნებრივია, სოფლის ადგილგადანაცვლება ერთი ხელის დაკვრით კი არ უნდა გადაწყდეს, არამედ კომპლექსური მეცნიერული შესწავლის შედეგად. მაშინ თავიდან ავიშორებთ შეცდომებს, რაც ხშირად თითო სოფლად გვიჯდება. სოფლის ბედის განსჯის დროს არა მარტო ეკონომიურ სარგებლიანობას უნდა გაეწიოს ანგარიში, არამედ ისტორიულ ასპექტსაც, საჭიროა ვიცოდეთ თუ რა წარსულის მქონეა ესა თუ ის სოფელი და ამის მიხედვით განვაგოთ მისი ბედი. მაგალითად, ცნობილი სამონასტრო სოფლის ულუმბას გაუკაცრიელება არაფრით არ არის გამართლებული.

დასახლების ტიპი და ნაგებობანი სურამის ქედის მიდამოებში შეუსწავლელია. აქ ეთნოგრაფი მხოლოდ ხაკუთარ ალღოსა და შეკრებილ მასალას უნდა დაეყრდნოს. ერთი თვალის გადავლებითაც შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ქედს გადაღმა, მთიური რელიეფის მიუხედავად, გაშლილი კარმიდამოები ხჭარბობს — მრავალპროფილიანი ეზოებით, ოდებითა და ნაირნაირი „ნამშრალებით“ (სამეურნეო ნაგებობანი), ხოლო გადმოღმა ადგილ-ადგილ ქართლის დამახასიათებელი მჭიდრო „უეზოო“ დასახლებანია, უფრო სწორად შერეული ტიპი. მაგალითად, ალში, ბრილში, ქემფერში, ფლევში და სხვ. ვიწრო „ქართლურ“ ეზოში, სახლის ირგვლივ, არცთუ მაინცდამაინც გეგმაზომიერად, თავმოყრილია მარანი, ბეღელი, საბძელი, სახლ-ბოსელი, თონე და ა. შ. იგრძნობა, რომ მოსული იმერელი ჯერ კიდევ ვერ შელევია თავის მამა-–პაპისაგან ტრადიციულად გამომუშავებულ დასახლების სისტემას, თან ხარკს უხდის თუ იძულებულია შეეგუოს „მიწაზე ჯდომის“ ადგილობრივ წესსაც.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ტერასულმა კარმიდამოებმა ქედის დახავლეთით. რთულ რელიეფს შეჭიდებული გლეხი გამარჯვებული გამოსულა და ხრიოკი ფერდობები აყვავებულ უბნებად უქცევია. სახლი და ყველა „ნამშრალი“ შესაბამის ტერასაზეა განლაგებული. ჩვეულებრივ, მარანი, ბეღელი და სათონე „ერთ ფარგალშია“, ცალკე მხარე აქვს დათმობილი საბძელ-ბოსელს, საღორეს, საქათმეს და საცხვრეს. ისიც კი არის გათვალისწინებული ნიავი საით უბერავს, რათა ცუდმა სუნმა სახლამდე არ მიაღწიოს. ყოველ ნაგებობას არა მარტო დანიშნულების მიხედვით აქვს ადგილი შერჩეული, არამედ თითოეული ოსტატურადაა შეხამებული უალრესად დანაწევრებულ რელიეფს. სწორედ ეს ქმნის

იმ განუმეორებელ სილამაზეს, რასაც იმერელი გლეხის კარმიდამო ჰქვია. მიწის ყოველი მტკაველი ეკონომიურად გამოუყენებიათ, ნაკვეთი, რომლის დამუშავება შესაძლებელია დასასახლებლად არ გაუმეტებიათ, სამაგიეროდ თავი არ დაუზოგავთ კარმიდამო, როგორც ადგილობრივ ხატოვნად ამბობენ, „კორტოხისათვის წაერთმიათ". ახლა საავტომობილო გზის უქონლობის გამო კულტურის ეს მონაპოვარი იკარგება, მოსახლეობა სოფლის მეურნეობისათვის ვარგის სავარგულებს ეუფლება (ზოგჯერ არცთუ უანგაროდ), რაც მეტად დამაფიქრებელია საბოლოო ჯამში ამ მიწების მოცლენა უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ყველა უბანში გზატკეცილის გაყვანა.

„ძველი იმერეთი" სამეურნეო ნაგებობებში უფრო იგრძნობა. ყურადღებას იპყრობს იქაური ძელური მარნები და სახლ-ბოსლები. სახლ-ბოსლები ორიგინალური შენობაა, მუხის ან წაბლის „დაწარბული" ძელებით ნაგები, მოგრძო, სწორფერდად დახურული, შუაცეცხლით, ნავათი და სამფეხ-საქვაბურათი. ზოგან შემორჩენილია ხის ფართო ტახტები. სახლ-ბოსლის დღემდე შემონახვას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მას ფუნქცია არ დაუკარგავს, იგი ბოსლად და სამზადად ახლაც გამოიყენება.

რაც შეეხება სახლს, მისი ადგილობრივი ტიპი, თითქმის გამქრალია. ეთნოგრაფის ყურადღებას აქა-იქ მხოლოდ აივან „დაპოქიალავებულ"-„მოფიგურებული" ძელური ან ფიცრული ოდები თუ მიიპყრობს. ამჟამად, ყველგან, აგურითა და „ბლოკით" ნაგები, ვეებერთელა კიბეებით დამძიმებული ე. წ. „ქალაქური" სახლები გაბატონებულა. ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ ქართველი კაცის ბუნება უაივნობას ვერ შეგუებია და ახალმოდის ყუთისებური შენობებისათვის ირგვლივ რკინაბეტონის „ვერანდები" შემოურტყამთ. ყოველივე ეს მნახველზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს, ტრაფარეტული გამოსახულებებით „შემკულ" რკინის ჰიშკარ-გალავნებიდან მოკიდებული, თუნუქის სახურავების აჟურულ სამშვენისებამდე.

ასევე დამაფიქრებელი მდგომარეობაა რაჭაში. დღეისათვის, განსაკუთრებით, რიონის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებულ სოფლებში ირღვევა ტრადიციულად დამკვიდრებული დასახლების ტიპი და შრომის ორგანიზაცია. მცხოვრებნი სტიქიურად მიისწრაფიან მთავარი გზატკეცილისაკენ და იქვე ესახლებიან. ადგილის უქონლობის გამო, ბევრ მათგანს აღარ გააჩნია კარმიდამო, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ოჯახის ეკონომიკაზე. სოფელ ხვანჭკარაში უკვე მოიშალა ნემსწვერიძეების, ლუხუტაშვილებისა და ნაწილობრივ ტყეშელაშვილების ძველი უბნები. ჩამოსახლების მიზეზად მოსახლეობა საავტომობილო გზის უქონლობას ასახელებს. **სხვა მხრივ სამოსახლო ადგილის მიმართ საყვედურს არ გამოთქვამენ.** პირიქით, ენანებათ კიდეც მამაპაპური „კარ-მიდამოს" დატოვება. „გლეხის პირობაზე იქ უკეთესად ვიყავით, — ამბობენ ისინი, — ტყე ახლოს გვქონდა და საბალახო; ჰაერიც კარგი იყო. მაგრამ ახალმა დრომ შესცვალა ჩვენი ცხოვრება, ხარ-ურემი აღარ გვყავს, ავტომანქანას ყველგან ვერ მიიყვან. ფქვილი, პური, ნავთი მაღაზიიდან მოგვაქვს, ჯობია გზასთან ახლო ესახლო, ვინემ გორეებზე". საგულისხმო სიტყვებია. მართალია, დროს თავისი გააქვს, მაგრამ, როცა სოციალისტური სოფელი სახეს იცვლის, ეს მხოლოდ და მხოლოდ გეგმაზომიერად უნდა ხდებოდეს. ასევე სტიქიურობის შედეგია სოფელ ჩორჯოსა და ღვიარას ბოლოს ქაოტურად განლაგებული ახალშენები, უგემოვნო და უეზოო სახლები. იქ ველარ ნახავთ მრავალგვარ შრამელ-ბურულებს. ერთადერთი, რაც გლეხს დარჩენია, საავტომობილო გზასთან სიახლოვეა. და ნუთუ ამისათვის ღირს საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული დასახლების ტიპის მოშლა? რაც მთავარია, „ნამოსახლის" დაშორება მის ირგვლივ მდებარე საარსებო რესურსების სრულყოფილად გამოყენებას აბრკოლებს. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ჩამოსახლებულთ ძველ ადგილებში სამუშაოდ წასვლა ეძნელებათ. მიწათმოქმედების ნაცვლად ისინი უფრო იოლ საქმიანობას ეძალებიან და ძალაუნებურად საკოლმეურნეო შრომას გაურბიან. რაჭა, იმთავითვე, მცირემიწიანი კუთხე იყო და იქ მიწის ერთი „ფეხის დადგმაც" არ რჩებოდა გამოუყენებელი, ამჟამად კი ბევრი სავარგულია გატყიანებული. სწორედ ამის მიზეზია ადგილობრივ ყურძნის, სიმინდისა და ხორბლის მოსავლის შემცირება, მომარაგების ოდნავი შეფერხებაც კი საკმარისია, რომ პურის მაღაზიის წინ რიგი გაჩნდეს. სამამულო ომის დროს ქვემო რაჭის მთიანი სოფლები მარცვლეულით ამარაგებდნენ ვენახიანი ზოლის სოფლებს. სიმინდის მოსავლით განთქმულნი იყვნენ ლაბეჭინა და გენდუში. კოლმეურნეობების გამსხვილებასთან დაკავშირებით, ამ სოფლის მცხოვრებნი ქვედა ჰყვიშსა და ქვედა ჟოშხაში ჩამოესახლნენ და დღეისათვის მათი ყანები აღარ მუშავდება. ადამიანის საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობის დარღვევას ხშირად არასასურველი შედეგი მოაქვს. კიდევ და კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ვერცერთი სოფელი დღემდე ვერ მოაღწევდა თუ მას არ ექნებოდა საარსებო საშუალებათა გარკვეული კომპლექსი. და როცა რომელიმე სოფლის არსებობის საკითხი დგება, უპირველეს ყოვლისა, მისი ყოველმხრივი შესწავლა უნდა მოხდეს ახალ სამოსახლო ადგილთან შეპირისპირებით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს გადასახლების საკითხი.

გურიაში ძალუმად შეიგრძნობა სოციალისტური სოფლის მაჯისცემა. გამონაკლისს გარდა, ყველგან დანერგილია თანამედროვე ქალაქისათვის დამახასიათებელი კულტურის მიღწევები. ჩვეულებრივია მოასფალტებული ქუჩები, ლამპიონები, ქანდაკებებითა და შადრევნებით შემკული ბაღები და სკვერები. ხუროთმოძღვრული ანსამბლით (ადმინისტრაციული შენობები სკოლები, კულტურის სახლები, კინოთეატრები, მუზეუმები, მაღაზიები, რესტორნები, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სალონები, საავადმყოფო, სამშობიარო და სხვ.) დამშვენებული ცენტრი! მოსახლეობის უმეტესობას ახალი სახლები აქვს.

დღევანდელ გურიაში ქალაქსა და სოფელს შორის ზღვარის წაშლის მეტად საინტერესო პროცესი მიმდინარეობს, რაც შემდგომ მეცნიერულ დაკვირვებასა და შესწავლას საჭიროებს. ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ აღნიშნულ კუთხეში ახალი ქალაქური ტიპის სოფელთა ფორმირების მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე. უპირველესად, რაც ეთნოგრაფს თვალში მოხვდება, ეს არის კარმიდამოებისა და საცხოვრებელ ნაგებობათა ერთგვარი სტანდარტიზაცია. გურიის სოფელი თანდათან კარგავს ტრადიციულ ელფერს. ზოგიერთს ეს ფაქტი ცხოვრებისეულ და ამდენად კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია, რასაც ვერ დავეთანხმებით. რა თქმა უნდა, ტალახიანი ორღობეებისა და საცხოვრებლად მოუხერხებელი ჯარგვალების შენარჩუნება უაზრობაა, მაგრამ წინაპართა მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული რეალიების ხელაღებით უარყოფაც დაუშვებელია. ნუთუ არ შეიძლება ჩვენი სოფელი თანამედროვე იყოს და ეროვნულიც. ჩვენს სამშობლოში ხომ სრულყოფილად იყო გამოყენებული საცხოვრებელი გარემო. ყველა კუთხეს თავისი მეურნეობის ფორმებისა, მიკროზავისა და ეკოლოგიური პირობების შესაბამისად გამომუშავებული ჰქონდა ეზოების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ტიპები. ქვეყნის სოციალისტურმა გარდაქმნამ, ბუნებრივია, აქ თავისი კორექტივი შეიტანა, მაგრამ, ძირითადად, ჩვენი სოფლებისა და ქალაქების განაშენიანება, მაინც ეროვნული, ქართული უნდა დარჩეს. უფრო მეტიც, ყველა კუთხემ უნდა შეინარჩუნოს საკუთარი ეთნოგრაფიული (კარგი გაგებით) სახე. ამრიგად, სახლის აშენება და კარმიდამოს გამართვა სრულებითაც არ არის კერძო საქმე. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით 1974 წლის იანვრიდან აკრძალულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მფლობელის შეხედულებისამებრ აშენება. „იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის ფართობი მნიშვნელოვნად აღემატება საზოგადოებრივი ნაგებობების ფართობს. დაწესებულია ფართობის მაქსიმუმი, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სათავსოებისათვის. საცხოვრებელი სახლი აიგება მხოლოდ იმ პროექტებით, რომელთაც „საქსოფლმშენპროექტის“ რეკომენდაცია მიეცემა. სოფლის ინჟინერი და რაიონის არქიტექტორი კონტროლს გაუწევენ მშენებლებს ზუსტად დაიცვან დედანი“ (ლ. ბურჯანაძე, ტრადიციულიც, თანამედროვეც, სოფ. ცხოვ., 29 იანვარი, 1974). მაგრამ ეს აკრძალვა ხალხური ხუროთმოძღვრების დაბრკოლებად არ უნდა იქცეს. უდაოა, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს კიჩის-ახალმოდური სიმახინჯის, მყვირალა, არაფრისმთქმელი აქსესუარების, ზიზილ-პიპილების ყოველგვარ გამოვლენას, ოღონდ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ, თვითმიხვედრით მოფიქრებულ პროექტს, თუგინდ არასპეციალისტისა იყოს, შეიძლება ხორცი შეესხას, ბუნებრივია, სათანადო განხილვის შემდეგ. ეს პრაქტიკულადაც აუცილებელია, რადგან არქიტექტორები ყველა მოთხოვნას ვერ აუვლენ, ხოლო ორიოდე ტიპიური პროექტის მიხედვით ინდივიდუალურ სახლთა მასობრივი მშენებლობა შაბლონურ სტანდარტიზაციას გააღრმავებს, რაც საბოლოოდ, უარეს შედეგს მოგვცემს. მითუმეტეს დღევანდელი სოფლის ახალ ნაგებობათა უმრავლესობა სხვა არაფერია თუ არა უნიჭოდ გააზრებული ე. წ. „ქალაქური სახლის“ ხელმოცარული მიბაძვა. თუმცა ამ უნებლიე ცოდვის ფესვებს თუ მივყვებით, პროფესიონალ ხუროთმოძღვართა სახელოსნოებში ამოვყოფთ თავს.

მიუხედავად იმისა, რომ გურიაში ქვის საბადოები უხვად იყო და მათი გამოყენება-დამუშავების საქმე ძველთაგანვე მაღალ დონეზე იდგა, ნესტიანი ჰავის გამო, ქვის საცხოვრებლებს ხისას ამჯობინებდნენ. დღეს კი სურათი შეიცვალა. ხის სახლი რატომღაც ათვალისწუნებულია, სოფლად ფეხმოდგმულია ცემენტისა და აგურის შენობები, რომლებიც უგემოვნო არქიტექტურით გამოირჩევიან, ფასადები ტრაფარეტულია, ძველქართული აივნები გამქრალია, ულაზათოდ დგას კიდობანივით შეკრული შენობა, რომელზედაც ბასტიონივითაა მიშენებული რკინაბეტონის უზარმაზარი კიბე. ამ კიბით ზედა სართულში რომ მოხვდე, ზოგჯერ საჭიროა მთელი ეზო მოიარო. სახლებს ჩვეულებრივ თუნუქი ხურავს და ხშირად მამლები თუ რაღაც მათი მაგვარია კუთხეებსა და წვეროებზე თუნუქითვე გამოყვანილი. ეს ძვირადღირებული, მაგრამ იაფფასიანი „ჩუქურთმები“ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს და ცხადყოფს, რომ ჩვენი ქალაქების არქიტექტურული წუნი ეპიდემიასავით მოსდებია სოფლებს. შესცქერი ამ ნაგებობებს და ძალაუნებურად გაგონდება სოფ. ზოტსა და ჩხაკაურაში (ჩოხატაურის რაიონი) შემონახული ძველქართული სახლები,

რომელთაც, ეროვნულ კოლორიტთან ერთად, შენარჩუნებული აქვთ მომხიბლავი უბრალოება, ამასთანავე, ისინი საცხოვრებლად ძალზე მოხერხებულნი არიან. პირველი სართულიდან, შიგვე დატანებული კიბით, მეორე სართულზე ახვალთ, რომელსაც მთელ სიგრძეზე „დეფანი" ჰკვეთს. ხელმარჯვნივ „სარძიე" და ბუხრიანი სამზარეულოა, საგანგებო „ფიტონ-ხარიხებზე" განლაგებული ჯამ-ჭურჭლით. სამზარეულოს გვერდით სასადილო ოთახი და საკუჭნაოა. ხელმარცხნივ ბელელია (ზოგჯერ ბელელი უშუალოდ სახურავქვეშაა ატანილი და კაკვების საყრდენი „ვაცას" მოვალეობას ასრულებს), ბელლის მიღმა ორი საძინებელი ოთახია. დერეფანი აივანზე გადის, საკუჭნაოსა და აივნის კუთხეში, შენიღბულ ადგილას, ტუალეტია. ავეჯი ძველებურია შემონახული: ფეხდაბალი ტახტები, კუთხეებში დატანებული კარადები, სკივრები, „საზურგულიანი სკამები" და სხვ. ასეთ სახლში, როგორც იტყვიან, ფეხი არ დაგისველდება, გარეთ გასვლა არ დაგჭირდება. ეს არის სახლი, რომლის ყველა კუნჭული საცხოვრებლადაა გამოყენებული, მაშინ როდესაც ახალი მოდის შენობების მეორე სართული ფაქტიურად უმოქმედოდაა, უცხოური ავეჯითაა გადატვირთული და მდარედ შესრულებულ სამუზეუმო ექსპოზიციას წააგავს.

სამწუხაროდ, ქართულ ავეჯს, რომელიც მოხერხებულობით, დახვეწილობითა და მიმზიდველობით გამოირჩევა, მხოლოდ ძველ სახლებში ან სამზადებში შეხვდებით. მას ზოგიერთი დღესაც კი ქედმაღლურად „პრიმიტიულ საოჯახო ნივთებს" უწოდებს, მაშინ როდესაც ჩვენებური საკარცხულის, სკამლოგინის, ტახტის, სუფრის, სკივრის, კიდობანის, მაქალოზის, ტაგრუცის და სხვათა აუცილებლობა დიდი ხანია იგრძნობა, როგორც პრაქტიკული საჭიროებისათვის, ისე სუვენირებად. ნუთუ დრო აღარ არის ავეჯის ფაბრიკებმა გაითვალისწინონ ხალხის მიერ შექმნილი სტანდარტები და მომხმარებელს მიაწოდონ ნამდვილი ეროვნული, სადღეისო სახმარად გარდაქმნილი ავეჯი, რომელიც, თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ქართულ ტრადიციებზე აგებულ სახლებში განლაგდება და მარტოოდენ ჩვენთვის დამახასიათებელ, თავისებურ გარემოს შექმნის.[1] მითუმეტეს, ზოგიერთი რამ, ჯერ კიდევ, ყოფიდან არ გამქრალა და თითო-ოროლა ოჯახი ეროვნულ სურნელს ისევ ინარჩუნებს. მაგალითად, სოფ. ცხემლისხიდში (მახარაძის რაიონი) გიორგი ხალუქვაძის სახლ-კარი.

ხავსმოდებულ რიყის ქვის ყორეს კოხტა მესერი მიუყვება. ხის თაღოვანი ჭიშკრით ვრცელ, მწვანედ აბიბინებულ „წინაეზოში" შეხვალთ, ხელმარჯვნივ ჭა ჩანს, ოწინარით და მთლიანი ქვის გვიმით. ღობეს თავს დასცქერის რტოებგაშლილი „სამორავი ხეები" — რცხილა და იფნა. ეზოს სიღრმეში ნაყოფით დახუნძლული ხეხილია. თავისუფალ კუთხესთან, წყავის ქვეშ, სტუმრებს დინჯად ელოდება ქვის ფაქიზად ნაკვეთი მრგვალი მაგიდა. ვეება ცაცხვის ჩრდილში ერთსართულიანი წაბლის ოდა დგას, რომელსაც ფართო აივანი ამშვენებს, თავისი ნახარატევი მოაჯირით, ნაჩუქურთმევი სვეტის თავებითა და კამარებით. აივანს თითქოს შეზრდილია მუქი, თლილი ქვის კიბე.

სასტუმრო, სასადილო, საძინებელ ოთახებს და საკუჭნაოს შესაფერისი, ძველებური ავეჯი უხდება. აგერ, „წამოსაწოლ ტახტზე" შინნაქსოვი ფარდაგი, გიშრისფერი ხავერდის მუთაქები და უცხოდ ნაქარგი ყურთბალიშებია. კედელზე სადაფით შემკული ჩონგური დაუკიდიათ. ნიგვზის ჩარჩოებიდან შთამაგონებლად იმზირებიან წინაპართა სახეები.

სახლში იმდენი სივრცე და სიხალვათეა, ლამის ფრთები შეგესხას, დგამ-ავეჯი კედლებს ისე შერწყმია, სულ არ იგრძნობა. ყველგან წესრიგი და სისუფთავე სუფევს. 85 წლის დიასახლისს, ოლღა სალუქვაძეს, მისაბაძი გემოვნება და მოუღლელი მარჯვენა ჰქონია.

სახლის უკან „სახმარი ეზოა", სადაც ისლით დახურული სამზადი და მარანია. მარნის კედლები წნელითაა მოწნული, შიგ მხართეძოზე ნებივრად წამოწოლილა გურული, მრგვალი საწნახელი. ჭურები გარედაა ჩაფლული, ბებერი წყავის გრილოში. აქვე, მესერზე წამოსკუპულა კოპე, ორკოპე, ორჩხუში, ჯანტარა, ძელბარა და სხვ. მარნის მიღმა, ღობით გამოყოფილი „საჭყინტო" სიმინდის ყანა და ბოსტანია. ძველად იქვე იყო გაშენებული სამკურნალო მცენარეები. ეზოში გახვალთ და მზის სხივები თვალს მოგჭრით, იქვე ვაზებით დაბარდნილ ხურმებს შეეფარებით და „შავ ეზოს" მოკრავთ თვალს. მაღალ ბოძებზე შემდგარი ნალია თითქოს თავს იწონებს, მოშორებით „კარია" — საქათმეა, შორს კი, ქართაში, საღორე და „კონახია" (საქონლის საზამთრო ბინა, წნული და „ალიზა" მიწით შელესილი). თუ კიდევ ბილიკს გაჰყვებით, ხეხილის ბაღს და მაღლარ ვენახს გაივლით, ნაკადულის ჩურჩულს გაიგონებთ და თხმელნარებში მოგრუტუნე ერთი ბეწო წისქვილს იხილავთ.

კარმიდამოც ესაა და ცხოვრებაც ამას ჰქვია. აღწერა, თუგინდ ეთნოგრაფიული, ხშირად უსრული და ნაკლოვანია, ყველაფერი ეს საკუთარი თვალით უნდა ნახოს კაცმა, რათა დარწმუნდეს გურული გლეხის მახვილგონიერებასა და ნიჭიერებაში.

---

1. ამ მხრივ თბილისში სათანადო ინიციატივა გამოიჩინეს და ქართული სტილით დამზადებულმა ავეჯმა სახელმწიფო „ხარისხის ნიშანიც" კი დაიმსახურა. პირველი ცდის ესოდენ დიდი წარმატება მრავლისმეტყველი ფაქტია.

ტერასული კარმიდამოს კარგი ნიმუშია ვარლამ ცეცხლაძის ეზო-გარემო (სოფ. გოგიეთი, მაკვანეთის თემი). გამრჯე ადამიანებს მთის ფერდობი დაუვაკებიათ და ვრცელ, მშვენიერ ეზოდ უქცევიათ. ეზო, მიუხედავად რთული რელიეფისა, გამოყენების თვალსაზრისით, აქაც სეგმენტურია და მის ყველა ნაწილში ბურული (ნაგებობა) დგას. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კლდეში შეჭრილი ხელოვნური გამოქვაბული, რომელიც ბუნებრივი მაცივრის მოვალეობას ასრულებს და წკანწკარა წყარო — „საცივი“.

დიახ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გურიაში ეთნოგრაფისათვის საინტერესო. „ქალაქური სახლების“ ფასადებს მიღმა, ისევ ძველებურად განაგრძობენ ცხოვრებას მამაპაპური სამზადები; მართალია, მათ გაზის ქურები შეუფარებიათ, მაგრამ კერიას მაინც ინარჩუნებენ, რადგან შუაცეცხლზე გამომცხვარი მჭადი და ხაჭაპური, გამოშუშებული ღომი და შემწვარი ქათამი სულ სხვა გემოსია. მარნებში ისევ წვანან დარბაისლურად საწნახლები და „ჩაოში“ (ჩრდილში) ჭურები ჩაბუდებულან, რადგან ვერცერთი სასმელი ვერ შეედრება ძველხალხური წესით დაყენებულ ქართულ ღვინოს. არა, ისინი შეუცვლელი არიან, განვითარების რა დონეც არ უნდა იყოს. მათი დაკარგვა შეიძლება, შეცვლა კი არა.

დასასრულს, ისლის სახურავზედაც უნდა აღინიშნოს. წინდახედული გურული მეურნე შესაფერის ნაკვეთზე ისლს საგანგებოდ აშენებდა და როგორც ყანა-ვენახს ისე უვლიდა. ეს იყო „საისრე“ — საისლე, რომელიც თავის დროზე ითიბებოდა და სახურავისათვის საჭირო მასალას „კარიყურში“ იძლეოდა. ამჟამად, გურიაში საისლე თითქმის არ გვხვდება. თვით ისლის სახურავი თითო-ოროლა სამეურნეო ნაგებობასღა თუ აქვს შენარჩუნებული, ხოლო ისლით სახლს ვინ დახურავს, ეს ხომ დიდი სირცხვილი იქნება. ისლი დღესაც კი, ჩამორჩენილობისა და სიღარიბის ასოციაციას იწვევს. წარსულის ამ მძიმე მემკვიდრეობის დაძლევის შედეგად ისლის სახურავი, როგორც სიდუხჭირის სიმბოლო, მოისპო. ხანგრძლივი ძიების შემდეგ, ერთ განაპირა სოფელში, ძლივს ვიპოვეთ ისლით დახურული კონახი. მასპინძელმა ჩვენი მეგზური — სოფლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი საყვედურებით აავსო: „დროზე არ მომეცით წესიერი სახურავი და ახლა თავი მომეჭრა, მარტო მე გავხდი საამბო და საგაზეთოო“. ჩვენმა ახსნა-განმარტებამ, რომ ისლი სახურავთა შორის ყველაზე საუკეთესოა, შესანიშნავად ინარჩუნებს ნორმალურ ტემპერატურას, საცხოვრებელში უზრუნველყოფს ჯანმრთელ მიკროკლიმატს, თუ ის კარგად გაკეთებულია და „ნაფუტვარი“, ე. ი. კვამლზე გამოყვანილი, გამძლეობა საკმაო აქვს, ევროპისა და ამერიკის ბევრ სახელმწიფოში სააგარაკო კოტეჯებს ისლით ხურავენ და სხვა, ნაყოფი არ გამოიღო. და თუ ეს ფაქტი საჯაროდ გამოგვაქვს, იმიტომ, რომ ნიშანდობლივად ააშკარავებს წარსულის მემკვიდრეობის შეუფასებლობას. ის, რაც ჩვენ ხალხს ემპირიულად, უხსოვარი დროიდან მოუპოვებია, მეცნიერული კვლევის შედეგად, ზოგიერთ ქვეყანაში ახლა აღმოაჩინეს და მის ყოფაში დანერგვას ცდილობენ. ჩვენ კი ნიჰილიზმს ვიჩენთ და წინაპართა მაღალ კულტურას ზოგჯერ ჩამორჩენილობად ვაცხადებთ. სხვათა შორის, ვაზის ქართულად სხვლის უძველესი წესი, რომელიც ადრევე გახდა ფრანგ მკვლევართათვის ცნობილი, საქართველოს დაუბრუნდა, როგორც ფრანგული. ვშიშობთ ასევე არ მოხდეს ისლის სახურავთან დაკავშირებით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხალხის ზოგიერთი ემპირიული მიგნება მეცნიერების მიღწევებს როდი ჩამორჩება, პირიქით, უფრო ხელსაყრელი, მრავალმხრივ შემოწმებული და საიმედოა. ამიტომ ღრმად უნდა შევისწავლოთ ის ცოდნა-გამოცდილება, რაც ჩვენ ერს ხანგრძლივი არსებობის მანძილზე დაუგროვებია.

დღეს, არნახული შემოქმედებითი შრომისა და მშვიდობის ხანაში, ოფლითა და სისხლით მონაპოვარს დავიწყების ფერფლით ნუ შევმოსავთ!

1973 წლის ივნისში საშუალება მომეცა, ხანმოკლე საველე-ეთნოგრაფიული მუშაობა გვეწარმოებინა კახეთში, სახელდობრ, გურჯაანის რაიონში. მართალია, იქ სულ სხვა მიზნით ვიყავით ჩასული, მაგრამ ძალაუნებურად ჩვენი ყურადღება მიიქცია დასახლების ტიპმა, უპირველეს ყოვლისა, უაღრესმა სიმჭიდროვემ. სოფელთა შორის ზღვარი თითქმის წაშლილა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს დაუგეგმარებელ დიდ ქალაქში მოვხვდი...

იშვიათია გურჯაანის რაიონში სოფელი, რომელიც დღეს თავის ძველ ადგილას იყოს დარჩენილი. თანამედროვე კომუნიკაციებმა აქაც გადამწყვეტი როლი ითამაშა და გზატკეცილის თუ რკინისგზის ირგვლივ მივიღეთ უთავბოლო განლაგების, ერთმანეთზე მიჯრილი მჭიდრო დასახლებანი, რკინაბეტონის ზღუდეებში ჩამჯდარი შეჯავშნული სახლებით, რომელთა უმრავლესობა კიჩის აყვავების მრავლისმეტყველი დადასტურებაა. ამ კონგლომერატში ამაოდ ეძებს თვალი ადგილობრივის დამახასიათებელ ბრწყინვალე ხალხური არქიტექტურის ნიმუშებს.

მოხუც მთხრობელთა მტკიცებით, სოფლები ძველად ცივ-გომბორის ქედის კალთებზე იყო შეფენილი, იქ, სადაც ხშირი ტყეები იწყებოდა. ხის მასალა, შეშა, ფიჩხი ახლოს ჰქონდათ. სოფლის ქვემოთ, „წაფენება მზვარეები“ ვენახებს ეჭირა. ვრცელი „გასატევარი“ — სახ-

ნავ-სათესი, საძოვარი, „ვაკიტყეები“ ალაზნის ჭალებში იყო. იქ დროებით „ბინებსაც“ აშენებდნენ, „ოღონდ სოფელი ადგილიდან არ იძვროდა“, რადგან ჯანსაღ ჰავას („ზაფხულ გრილი, ზამთარ თბილი“) და ცივ-ანკარა, მოჩუხჩუხე წყაროებს ვერ თმობდა. მერე მედიცინამ ციებ-ცხელება დაამარცხა, მიმოსვლის თანამედროვე საშუალებანი დამკვიდრდა და ხალხიც „გზიპირებისაკენ“ დაიძრა.

მოვინახულეთ სოფელი ზიარი, რომელიც არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის. უგზოობამ გაანადგურა მთელი ეს მიდამო. ძირფესვიანად ამოვარდა სოფლები — ფხოველი და დარბა. მოსახლეობისაგან დაიცალა სახელგანთქმული ქერემი. სამოთხისებრი ადგილები უკაცოდ დარჩა. სარეველებში გაპარულა ვაზი, აღარ ბიბინებს ჭეჭილი და ბეითალმანადქცეულ მიწას ჭრილობებივით აჩნევია ნასახლარები. აქ ხომ გადაულახავი მაღალი მთები და კლდოვანი, ღრმა ხეობები არ არის, ნუთუ არ შეიძლებოდა თავის დროზე გაეყვანათ საავტომობილო გზა, გაეხსნათ საექიმო პუნქტი, მაღაზია, კლუბი, ბიბლიოთეკა...

ასეთია იმ კუთხეთა შესახებ ჩვენი ზოგადი დაკვირვებანი, სადაც შესაძლებლობა მოგვეცა ვყოფილიყავით.

საზოგადოდ, საქართველოს დღევანდელი სოფლის დასახლების ტიპისათვის დამახასიათებელია ძირეული ცვლილებები, რაც გარეგნულად კარმიდამოთა და ნაგებობების მოდერნიზაციაში გამოიხატება. სადირექტივო ორგანოების მიერ უკვე აღინიშნა, რომ ამ სათუთ საქმეში, უკანასკნელ ხანებამდე, განუკითხაობა და სტიქიურობა სუფევდა. ანგარიში არ ეწეოდა ტრადიციულად შემუშავებულ დასახლების სისტემას, რომელიც მოცემული რეგიონისათვის ყოველმხრივ შესაფერისი იყო. მართალია, სოციალურ ცვლილებებს სერიოზული კორექტივი შეაქვს მოსახლეობის განლაგების სტრუქტურაში, მაგრამ ბუნებრივი გარემო, ძირითადად, იგივე რჩება და ამდენად წინაპართა გამოცდილებას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს. მითუმეტეს, საქართველოს ყველა კუთხეს მოეპოვება დასახლების საკუთარი, ორიგინალური სტილი, რომელიც ყოველგვარი ზედმეტობისაგან თავისუფალია. სწორედ გადაჭარბებულმა ზედმეტობამ, როგორც ვნახეთ, ბევრი ჩვენი სოფელი დაამახინჯა. ამ უცხო, ქართველი ხალხისათვის შეუფერებელ მოვლენას ნარცს უხდიან იოლი მონახვეჭით გამდიდრებული ელემენტები, რომელთაც ჩვეულებრივისაგან განსხვავების ალვირახსნილმა სურვილმა ბანალური „გემოვნება“ განუვითარა. ფრიად სასიხარულო მოვლენაა, რომ დღეს მათ სიხარბეს და მსუყე მისწრაფებას ზღვარი დაედო. ბუნებრივია, ქართული სოფელი ყოველგვარი ზედმეტობისაგან უნდა განიწმინდოს, იგი უაღრესად თანამედროვე, ამასთანავე ტრადიციული, საკუთარი სახის მქონე — ეროვნული უნდა იყოს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე ქართული ტრადიციების სიწმინდის საკითხიც დაისვა.

აქედან გამომდინარე, ეთნოგრაფიის დარგის მუშაკებს საველე მეცნიერული-კვლევითი მუშაობის შედეგად მართებთ ადგილებზე დროულად და დეტალურად გამოავლინონ მიმდინარე ყოფა-ცხოვრების ნიშანდობლივი ყველა მოვლენა და ღრმა მეცნიერული დასაბუთებით შეაფასონ, რათა სადირექტივო ორგანოებს სათანადო რეაგირების საშუალება მიეცეთ. სწორედ ასეთ მითითებას იძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის შუქზე აუცილებელია ტრადიციებისა და გადმონაშთურ მოვლენებთან დაკავშირებული რეალიების შესწავლა. სხვანაირად შეუძლებელია ყოფით მოვლენათა გენეზისის კვლევა, მისი სრული ანალიზი და კრიტიკული შეფასება, რაც ასე აუცილებელი და საჭიროა დღეს. მითუმეტეს „კომუნისტური პარტია ცნობს, რომ საჭიროა სათუთად, შერჩევით მივუდგეთ წარსულის ტრადიციებს“, გვაფრთხილებს, რომ ნიჰილისტური აჩქარება არ გამოვიჩინოთ ამ საქმეში. ამასთანავე, დასაგმობი დროულად უნდა დავგმოთ, ხოლო რაციონალური თანამედროვეობის სამსახურში ჩავაყენოთ. ეს საპატიო ამოცანა, სხვა სპეციალისტებთან ერთად, ძირითადად, ეთნოგრაფებმა უნდა გადაწყვიტონ და ამით შემოქმედებითად განახორციელონ მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# მხოლოდ პირადი მაგალითით...

ტრადიციების ცხოველმყოფელობის ძალა შეიძლება შეედაროს გენის გამძლეობას, მის მემკვიდრული თვისებების შთამომავლობისადმი შემონახვისა და გადაცემის უნარს. მაგრამ გენი თუ ცალკეული ინდივიდის თვისობრივ განვითარებას განსაზღვრავს, ტრადიციები მთელი საზოგადოების ურთიერთობის ფორმებს მოიცავენ. მათი გავლენა მოსახლეობის უფართოეს ფენებზე და საერთოდ ერის ყოფაცხოვრების ყველა სფეროზე განუზომელია. რადგანაც საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ისინი შესაბამის დეფორმაციას განიცდიან, ბუნებრივია, რომ მოწინავე ადამიანებს მუდამ აფიქრებდათ ზნე-ჩვეულებათა განვითარების ტენდენციები.

რა თქმა უნდა, ტრადიციები ერის წიაღში იბადება და უპირველესად ისინი საუკეთესო თვისებათა ერთგვარ „კრებულს" წარმოადგენენ, მაგრამ სწორედ მათი „მოძრავი" ბუნებისგამო ხდებოდა და ხდება დღესაც, რომ, ობიექტურ გარემოებათა გავლენით — ქვეყნად გამეფებული დროებითი ინერტულობის, ხელჩაქნეულობისა თუ გადაგვარებულობის წყალობით, წმიდა საბუდარში იყონება, შეუმჩნევლად ილექება და თანდათან მკვიდრდება ფორმით თითქოს იმ ძველის გარსში გახვეული, მაგრამ შინაარსით აბსოლუტურად უცხო და დამღუპველი წეს-ჩვეულებანი. და თუ ამ პროცესის არსი დროულად არ იქნა მხილებული, შესაძლოა ამ „ახალმა" გუგულის ბარტყივით გადააძევოს ჯერ კიდევ ბედად შემორჩენილი სიკეთის მარცვლები დედაბუდიდან, რაც უკვე თავისთავად ნიშნავს წინაპართა მიერ შთამომავლობისათვის გადმოცემულ საუკეთესო ადათთა და თვისებათა მთელი კომპლექსის სრულ განადგურებას. ყველასათვის ნათელია, რაოდენ ძნელი და, ალბათ, შეუძლებელიც გახდება ყველაფრის თავიდან დაწყება, აღდგენა-რესტავრაცია. სწორედ ამიტომაც, აუცილებელია ტრადიციების ევოლუციაზე ხშირ-ხშირად თვალის გადევნება და გარკვეულ ეტაპებზე დაგება ერთგვარი წყალსაწურების, რომლებიც, ლუნაჩარსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაფერს ძვირფასს, მძლავრსა და საუკეთესოს მთელი თავისი ჩვევებითა და შენაძენით გაუშვებდა, ხოლო დურდოს, ტალახსა და სიმყრალეს დააკავებდა..."

მითუმეტეს აუცილებელია ამისი გაკეთება დღეს, როცა მიშვებულობისა და უდარდელობის ავბედითმა პერიოდმა უამრავი შლამი და ტალახი მოაფრქვია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაპირებზე, როცა დაიკარგა ცუდისა და კარგის გარჩევის სურვილი და მასთან ერთად სიკეთისა და ბოროტების მიჯნები, სულიერ და ესთეტიკურ ფასეულობათა ადგილი დაიჭირა მეშჩანურმა შეხედულებებმა და მდაბალმა გემოვნებამ. ამის მაგალითები, სამწუხაროდ, მრავლად მოგვეპოვება და მათი ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა.

მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო ზოგიერთი ტრადიციის გაქრობა-ალორძინებასთან დაკავშირებულ ასპექტებს, რასაც ამჟამად ადგილი აქვს სვანეთში, საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან კუთხეში, სადაც, მისი ბუნებრივი და ეკონომიკური მდგომარეობისა გამო, ტრადიციების გავლენა მოსახლეობის ურთიერთობებზე, სხვა რაიონებთან შედარებით, ყოველთვის უფრო მძაფრად შეიგრძნობოდა.

ყველას აოცებს სვანური კოშკების სიდიადე. აკი წერდა კიდეც მწერალი კონსტანტინე სიმონოვი „პრავდის" ფურცლებზე — სვანური კოშკების გრანდიოზულობას დღევანდელი კოსმიური საოცრებანი თუ შეედრებიანო. მაგრამ წუთით წარმოვიდგინოთ სვანეთის მაშინდელი დუხჭირი მდგომარეობა, მისი დაბალი

ეკონომიკური დონე (იგულისხმება მეთორმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეები), იმ სიმწარესა და გაჭირვებაში, როცა ოჯახის მთავარ საფიქრალს წლიდან წლამდე თავის გატანა წარმოადგენდა, რანაირად მოახერხეს ჩვენმა წინაპრებმა თვალშეუვლები მურყვამების მშენებლობა? მურყვამებისა, რომელთა მხოლოდ პირველი, მასიური სართული, ყველაზე მცირე, სამას-ოთხას კუბურ მეტრ სამშენებლო ქვასა და ქერის ღერღილითა და კვერცხის გულით განმტკიცებულ პირველხარისხოვან დუღაბს შეადგენს? ხოლო ასეთი სართული არც თუ იშვიათად, ხუთი, ექვსი და შვიდიც კი გვხვდება ხოლმე. მარტოოდენ ჩვენს საგვარეულოს ასეთი რვა კოშკი აქვს. მართლაცდა, დამაფიქრებელი მათემატიკაა. ერთადერთ ამოხსნას მივყევართ ძველთაძველი, მამაპაპური ტრადიციის — ერთმანეთის მიხმარების, ნადობის, მამითადის ყოვლისშემძლეობამდე.

აღნიშნული ტრადიცია ერთობის პრინციპზე იყო აგებული, რაც თავისთავად დაფუძნებული იყო სამხედრო დემოკრატიის იმჟამად გამეფებულ ფორმაციაზე, როცა ქვეყნის მომხდურთაგან დაცვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთიანის ძალითა და მეცადინეობით. შედეგი მართლაცდა იშვიათი აღმოჩნდა. თურმე, საოცარი ქმედითი ძალა ჰქონდა შეკავშირებასა და შედუღაბებას, ერთი საერთო მიზნის აღიარებასა და საზოგადოების ყველა ფენის დარაზმვას მისი განხორციელებისათვის.

საინტერესოა, რომ ეს ერთიანობის იდეა სხვა მოვლენებშიაც აისახა სვანეთის სინამდვილეში. სვანეთის ისტორიის მასალებს თუ გავადევნებთ თვალს, ადვილად შევნიშნავთ დაქუცმაცებულობის, დაშლისა და დანაწევრების წინაალმდეგ მიმართულ გამოკვეთილ ტენდენციას, აქედან წარმოიშვა, ალბათ, „დიდი ოჯახის" კულტიც. ოჯახი, გინდაც მისი რომელიმე წევრი, თუ კი რაიმე ობიექტური მიზეზით თავის გვარს, საძმოს ჩამოსცილდებოდა, ანდა უნათესავო და მიუსაფარი დარჩებოდა. ყველანაირად ცდილობდა შედარებით ძლიერ, ჩრავალრიცხოვან ანდა, უბრალოდ, ახლობელ, შინაურ გვარს შეკედლებოდა და დაკავშირებოდა არა დანათესავების გზით, არამედ მისი ინტერესების საჯაროდ აღიარების, გულთან მიტანის, მეოხებით, რაც საბოლოოდ მაშინდელი რთული პოლიტიკური და საშინაო ვითარების პირობებში, მომგებიანი იყო როგორც შემწყალებელი გვარისათვის. ასევე მარტოსული კაცისა და მისი ოჯახის წევრებისათვის, უშიშროებისა და მშვიდობიანობის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი „დანათესავების" ანუ „მოკეთეობის" მაგალითები მრავლად გვხვდება იოსელიანების, ჯაფარიძეების, ხერგიანების, ნაკანებისა და სხვა გვარებს შორის. მსგავსი დანათესავების ტრადიცია საზოგადოების განმტკიცებას, მისი მონოლითური მდგომარეობის შენარჩუნებასა და სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების აღმავლობას ემსახურებოდა.

ჩვენი აზრით კი, აღნიშნული წეს-კანონი ძველთაგან მომდინარე ერთობის, შეკავშირების ტრადიციის ერთგვარი გამოვლინებაა, ამჟამად მეტნაკლებად შესუსტებული. მაგრამ განა ყველა ძველი ტრადიციის შესუსტება და მითუმეტეს მისი არასასურველი მიმართულებით ტრანსფორმაცია დასაშვებია ჩვენი საზოგადოებისათვის? ავიღოთ მაგალითად იგივე ნადობის ტრადიცია. ამ რამდენიმე წლის წინათ სვანეთში, უკვე გაცილებით ამაღლებული ეკონომიკური პირობების დროს, ვინმეს აზრად მოუვიდოდა ახალი კოშკების, გზების, ელსადგურების მშენებლობა ძველი ტრადიციების კვალობაზე? არავის! რადგანაც, სამწუხაროდ, ისევე, როგორც სხვაგან, გამეფებულმა ნიჰილიზმმა თავისი კვალი დაატყო მოსახლეობის დამოკიდებულებას საერთო-სახალხო პრობლემებისადმი. ხელმძღვანელების მხრიდან მიშვებულობამ, საზოგადოებრივისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ, მოჩვენებითობამ ეროვნული საქმისადმი ჭირისუფლური გულშემატკივრობის გრძნობა გაანელა ადამიანებში.

აღსანიშნავია, რომ ახალმა ძვრებმა. რასაც ადგილი აქვს დღეს საქართველოში, სულზე მოუსწრო სვანეთსაც. საბედნიეროდ, ნაცარტუტის გროვაში კვლავ გაკიაფდა ბედად გადარჩენილი იმედიანი ნაპერწკალი და ახალმა ხელმძღვანელობამ საკუთარი მაგალითის, ინიციატივისა და საქმისადმი ჭეშმარიტი მამულიშვილური დამოკიდებულების წყალობით კვლავ შესძლო ამ ნაპერწკლიდან ძველებური, მამაპაპური კოცონის გაღუზღუზება, რისი მოწმენიც ამ ბოლო ორიოდე წელში შეიქმნა მთელი ჩვენი რესპუბლიკა. მხედველობაში გვაქვს ბოლოდროინდელი მიღწევები სვანეთის ელექტროფიკაციის, ტელე და რადიოსარელეო მშენებლობათა რთულ პირობებში, მაგრამ მოკლე ვადებში განხორციელების ამაღელვებელი მოვლენა. უნდა ითქვას, რომ ისევე, როგორც ძველად, ძნელბედობის ჟამს, საშრომველად აღსდგა მთელი სვანეთი. ყველა ერთი საერთო მიზნის გარშემო დაირაზმა. და აი, შედეგმაც არ დააყოვნა — უმოკლეს ხანში მართლაც ახალი, თანამედროვე რკინის კოშკები აღიმართა მთათა მწვერვალებზე. ასიოდე მურყვამს რამდენიმე თანამოძმე შემოემატა ანძების სახით.

ერთი სიტყვით, ჩვენ მოწმენი შევიქენით იმ ძველი ტრადიციის — ნადობის, შეკავშირების, გაერთიანების აღორძინებისა. უნდა ითქვას, რომ ამ შრომაში მთავარი წვლილი ეკუთვნის მესტიელ ახალგაზრდობას. რომელმაც, ანაზღაურების გარეშე, პირადი სურვილით

თვეობით იმუშავა ტელევიზიის მშენებლობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, თავი და თავი ამ აღორძინებისა პირადი მაგალითი გახლდათ და, რა თქმა უნდა, ის განწყობილება, რაც ამჟამად სუფევს მთელს ჩვენს რესპუბლიკაში.

ამას წინათ სვანეთში ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტები. კარგა ხანს ეცნობოდნენ ისინი სვანების ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს. მათი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო დღესასწაულების შინაარსმა. წასვლის წინ ჟურნალისტი იზაბელა ტემნოვა მეუბნებოდა: უცნაურია, დღეობები, როგორც წესი, წმინდა ადგილებში იმართება — ეკლესიათა და ტაძართა ეზოებში, ღმერთსაც ახსენებენ და საკლავსაც სწირავენ მის სახელზე, მაგრამ ყოველივე ეს თითქოს მხოლოდ ერთგვარი ნიღაბია, სინამდვილეში კი ისინი ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებს წყვეტენ და იხილავენ. ამინით ლოცავენ ერისშვილებს, წყევლიან ქურდებსა და ავაზაკებს. აქაც ღმერთს იშველიებენ, რათა მათ განაჩენს მეტი ძალა მისცენ. ცრურწმენით გაჟღენთილ და მამაზეციერისადმი ფანატიკურად შეყვარებულ მრავალ ადამიანს შევხვედრივარ ქვეყანაზე, მაგრამ ასეთ პრაქტიკოსსა და სულიერად ჯანსაღ ხალხს იშვიათადო.

სტუმარს, რა თქმა უნდა, სვანები ჰყავდა მხედველობაში.

საზღვარგარეთელი კოლეგის ნათქვამი, ბუნებრივია, მესიამოვნა. მართლაც, ბავშვობისდროიდან მოყოლებული ამ ყოფაში ვიზრდებოდით მე და ჩემი ამხანაგები, არც ამგვარ დღეობებს გვაკლებდნენ მშობლები, პირიქით, ცდილობდნენ მონაწილეობა მიეღებინებინათ ჩვენთვისაც, მაგრამ მე ჯერ არ მეგულება ახალგაზრდა, რომელსაც ცრურწმენისა და ღვთისმოსაობის თუნდაც მცირეოდენი ნატამალი გამოჰყოლოდეს იმ დღეობებიდან. პირიქით, ამ დროს ყველას ტანში აჟრიალებდა ხოლმე — ცნობილი მახვში სიტყვას რომ აიღებდა და დინჯად, აზრიანად, მკაცრად, მაგრამ სამართლიანად მოჰყვებოდა ამათუ იმ მნიშვნელოვანი, გადაუდებელი საქმის განსჯას. აბა ვინ სულელი იქნებოდა, რომ ამ სახალხო სამსჯავროს მსვლელობიდან სათანადო დასკვნები არ გამოეტანა. მართლაცდა, ხილულად თუ შეუცნობლად, ამ დროს დამსწრე საზოგადოება ერთგვარ სულიერ კათარზისს განიცდიდა.

სულიერი და ფიზიკური წრთობის ერთგვარ სკოლას წარმოადგენდა აგრეთვე სვანეთში ამ ბოლო დრომდე შემორჩენილი ჯგვიბის დღესასწაული, სადაც ხდებოდა ახალგაზრდობის საუკეთესო მორალური და ფიზიკური თვისებების დემონსტრაცია. ამგვარი დღესასწაულები ღრეობებს ნამდვილად არაფრით არ წააგავდნენ, და მართლაც, გონივრულად რომ აგვეწონ-დაგვეწონა ყველაფერი, ასეთი რელიგიური არსისაგან აბსოლუტურად განთავისუფლებული და დაცლილი დღეობების შენარჩუნება მხოლოდღა სარგებლობას თუ მოუტანდა საზოგადოებრიობას. სხვათაშორის, მოწადინების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მათი ერთგვარი მოდერნიზირება, ხელოვნური, მეცნიერული ჩარევა და არსებული შინაარსის დახვეწა, უფრო გამრავალფეროვნება, გამდიდრება. როგორც ეს თიანეთის რაიონში გაკეთდა, როცა ერთერთი ასეთი დღესასწაული მწყემსის დღედ გამოცხადდა. რაიონის ხელმძღვანელობამ სათანადო კორექტივები შეიტანა მის ხასიათში და საბოლოოდ მივიღეთ თანამედროვე სულისკვეთების, სახალხო დღეობა, მშრომელთა დღესასწაული, რომელიც ძველ ადგილზე — ლაშარის ისტორიულ გორაზე იმართება და საერთოსაყოველთაო მოწონებით სარგებლობს.

დავუბრუნდეთ ისევ ჯგვიბის დღესასწაულს. მასში მონაწილეობის მისაღებად ლამის მთელი წლის მანძილზე ემზადებოდა ახალგაზრდობა. სოფელ ლალამში, სადაც იგი იმართებოდა, ხალხის ტევა აღარ იყო. ვაჟკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხეზე ცოცვაში, თოვლის იმიტირებულ კოშკზე აბლატებაში, ნათლისვეტის დასაკუთრებაში, ჭიდაობასა და გუნდების დაკუმშვასა და სროლაში. აღსანიშნავია, რომ ამ სოფელში გაატარა თავისი ბავშვობა ცნობილმა მთამსვლელმა მიხეილ ხერგიანმა და, როცა მას ეკითხებოდნენ ხოლმე — თუ საიდან მოხდევდა ფანატიკური ძალოვნება და მოქნილობა, საზრიანობა კლდესთან ბრძოლისას და გამძლეობა, სპორტული ალღო და უნარი, იგი ყოველივეს მიზეზად ჯგვიბის დღესასწაულს და სოფელ ლალამში მთელი წლის მანძილზე გაჩაღებულ სხვადასხვა ხალხურ შეჯიბრებებს ასახელებდა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა სვანურ დღეობას ახასიათებდა სპორტული ელემენტების სიუხვე, რაც, ბუნებრივია, მთიელთა სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობდა — სპორტული ფორმის შენარჩუნება მთელი წლის განმავლობაში აქ ისევე საჭირო იყო, როგორც კავკასიონის ქარაფებზე ჯიხვებს გადევნებული მონადირისათვის ყოველწამიერი სიფრთხილე. ჯგვიბის დღეობა იმდენად მასობრივი იყო, რომ ვერც ერთი დღევანდელი ორგანიზებული შეჯიბრება ამ მხრივ მას ვერ შეედრება. ჩვენ კი იგი, სხვა მრავალ ასეთ ჩვეულებასთან ერთად, მივაყოლეთ მავნე ტრადიციას და შეურიგებელი ბრძოლა გავუჩაღეთ. საბოლოოდ შეიძლება მეტად არასასურველი შედეგი მივიღოთ, დაახლოებით იმისი ანალოგიური, ამ ათეული წლების წინათ ზოგიერთი ლაუფიქრებელი ადამიანის უაზრო მოქმედებას, რომ მოჰყვა. მხედველობაში მაქვს ჩვენი უძვე-

ლესი ხუროთმოძღვრული ძეგლების ღმერთისა და ცრურწმენათა წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით განადგურება და აქედან გამომდინარე ბოროტმოქმედება. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ კომპლექსს, თავისი გრანდიოზულობითა და მასშტაბურობით ერთ-ერთ უნიკალურ არქიტექტურულ ანსამბლს ბოჭორმის ციხე-სიმაგრეს, სადაც სწორედ ასეთი „აქტივისტებისაგან" არის აფეთქებული და დანგრეული ფრესკებითა და კედლის მხატვრობით დამშვენებული ტაძრის კედლები. რამდენი თანხა გვჭირდება დღეს მათი აღდგენისა და რესტავრაციისათვის? ეს მწარე გაკვეთილები მოგვიწოდებენ დღესაც სიფხიზლისაკენ, ყოველივე ხალხურისა და ტრადიციულის ასჯერ აწონვისა და საგულდაგულოდ შესწავლისაკენ.

ერთი სიტყვით, ჯგვიბის დღესასწაულის მავნე ტრადიციად მონათლვით ახალგაზრდობას სპორტული დავაჟკაცების ხალხური სკოლა დავუნგრიეთ.

თუ ოდესმე დაისმება დღის წესრიგში ტრადიციების მეცნიერულ ასპექტში განხილვისა და შესწავლის საკითხი, როცა დურდოსა და ნალებს საბოლოოდ მიუჩენენ თავთავის ადგილს და ხელთ გვექნება რელიგიური და ცრურწმენითი გავლენებისაგან განწმენდილი ვარიანტები, ალბათ, დადგება ჟამი მათი ხელახალი, ოღონდ უკვე მოდერნიზებული, ერთგვარად გამდიდრებული სახით კვლავაღორძინებისა და განვითარებისა. მანამდე კი უნდა ვეცადოთ შესაძლებლობის ფარგლებში ვიმოქმედოთ უდიდესი სიფრთხილით, „ასჯერ გაზომეს" პრინციპით. ზემოთქმული, რა თქმა უნდა, ძირითადად ეხება, სანახაობითი და სპორტული ხასიათის ადათ-ჩვეულებებს, დღეობებსა და ხალხურ ზეიმებს.

ჯგვიბისა და სხვა მსგავსი დღესასწაულების მავნედ გამოცხადებას, ცხადია, თავისი თაოსნები ჰყავდა. ყველაფერ ამას იმიტომ ვამბობთ, რომ გაოცებას იწვევს არსებული მდგომარეობა — ის, რაც უნდა დაკარგულიყო და უარგვეყო, აღორძინდა, ან აღორძინდა ის, რაც არ უნდა აღორძინებულიყო და დავკარგეთ ის, რაც უნდა აღორძინებულიყო და განვითარებულიყო. მართლაც, რომ უცნაურია და დამაფიქრებელი ყოველივე ეს.

მაინც რას მივაწერდი არაასაღორძინებელთა რიცხვს სვ·ნეთის სინამდვილეში? ქელეხომანიით გატაცებას! არც ეს მოვლენა განვითარებულა მოთავისა და პირადი მაგალითის მომცემის გარეშე. დიახ, იგი მოდის მომხვეჭელთა მეშჩანური განწყობილებებისა და გემოვნებიდან, აგრეთვე მათი მიმბაძველებიდან. ბარის რაიონებში მეტი საშუალებებია ქელეხის მდიდრულად გადახდისა, მაგრამ არამც და არამც არ იყო იგი შემოსაშვები სვანეთის ვიწროებსა და კლდეკარებში. და, კაცმა რომ თქვას, ამ მავნე ჩვეულებას სვანეთისათვის დამპყრობლებზე ნაკლები ზიანი კი არ მიუყენებია, ადამიანთა უაზრო მსხვერპლისა თუ მატერიალურ ფასეულობათა გაჩანაგების თვალსაზრისით.

მახსოვს, ბავშვობაში ქელეხში იხმარებოდა ტრადიციული სვანური საჭმელები, სასმელიც, რა თქმა უნდა, — ეს იყო ოსპისა და ხორბლის წანდილი, კარტოფილის პიურე, ლობიო, პური. სასმელებიდან სულადის ანდა ხილეულის, იშვიათ შემთხვევაში მცენარეული (ანწლის) არაყი. ყველაფერი ეს ადგილობრივად მოწეული მოსავლიდან მზადდებოდა. ასე იყო თითქმის ამ ბოლო წლებამდე. ერთ მშვენიერ დღეს კი სვანურ მენიუში გაერია თევზეული, ბოსტნეული, მწვანილეული, ბრინჯი, არყის ნაცვლად — ღვინო და სხვ.

გაჩაღდა შეჯიბრება — ვინ უფრო მრავალფეროვან სუფრას გაშლიდა მკვდრის სახელზე. სამზარეულოს კულისებს მიღმა რომ შეგვეხედა დავრწმუნდებოდით, რაოდენ ძვირად უჯდებოდა ყოველივე ეს დაზარალებულის ოჯახს, რაოდენ უაზრო მსხვერპლს იღებდა იგი, მით უფრო თუ სიმდიდრე მაინცდამაინც თავზე არ გადასდიოდა, ანდა მთლად ღარიბი ოჯახი დარჩა.

თავი დავანებოთ ეკონომიურ მხარეს. ცნობილია, რაოდენ გართულებულია მიმოსვლა სვანეთში, მით უფრო ზამთრას პირობებში, როცა თოვლის სამოსელში ეხვევა ყოველივე და გზები და ბილიკები ზვავებითა და ნამქერებით იჩუმქრება. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სიკვდილიანობა ზამთარში გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა დროს. ტრადიცია კი წელიწადის დროებს არ ექვემდებარება, სეზონური ხასიათისა როდი გახლავთ. ჰოდა, იგზავნება ბარში ღვინისა და სხვადასხვა პროდუქტების ჩამოსატანად დელეგაციები. მათ უმოკლეს დროში უხდებათ დავალების შესრულება. დაკრძალვის ვადები დაყოვნებისა და გადადების საშუალებას არ იძლევა. სიჩქარეში იძულებულნი ხდებიან ყოველგვარ რისკზე წავიდნენ და შედეგიც არ აყოვნებს — სიკვდილს სიკვდილი მოსდევს, მსხვერპლს მსხვერპლი ემატება.

ფრიად სასიამოვნოა, როცა ერის წიაღში მოიძებნებიან ძალები, ვისაც გულთან მიაქვთ არსებული მდგომარეობა, ვისაც ჭყოფნით ვაჟკაცობა თვალი გაუსწორონ სინამდვილეს და საერთო მიძინებულობის დროსაც კი სიფხიზლის გრძნობით მოქმედებენ. მით უფრო სასიამოვნოა, როცა მამულიშვილურ მზრუნველობას საერო საქმეებისადმი ამჟღავნებს ისეთი მდგომარეობის ადამიანი, ვის სიტყვასაც ანგარიშს უწევენ არა მხოლოდ ინტელიგენციის, მუშათა და გლეხთა წრეებში, არამედ მმართველ სფეროებშიაც.

სიამოვნებით მახსენდება ამ შვიდი-რვა წლის წინათ ბაკურიანში ჩატარებული ახალგაზრდული სიმპოზიუმი, სადაც, სხვებთან ერთად, მოხსენებით გამოვიდა პროფესორი ირაკლი ციციშვილი. სწორედ მაშინ, იმ განურჩევლობის ჟამს, მან აღიმაღლა ხმა იმ მეშჩანური ჩვეულებების წინააღმდეგ, რაც გამეფებული იყო იმჟამად საქართველოში — კერძოდ, მოდადქცეულ საფლავთმშენებლობის წინააღმდეგ. ასევე სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე პირუთვნელად, მთელი გაბედულობით გამოდიოდნენ ჩვენი მწერლები — რევაზ ჯაფარიძე, აკაკი ბაქრაძე, გიორგი ციციშვილი, ელგუჯა მაღრაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი და სხვები... წარმოდგენილი მაქვს რაოდენ სარისკო იყო მაშინ ამგვარი გამოსვლები, როცა მოწონებისა და მადლობის ნაცვლად ადვილად შეგეძლო დაგემსახურებინა მაღალი ძიების, კოლეგებისა და ზოგიერთ ნათესავთა რისხვა და მუქარაც კი... მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერის სამსახური ტკბილსიტყვაობა, სამსახურის სკამზე კანკალი და მოჩვენებითი გულფიცხობა როდია, როგორც ეს არაერთს ეგონა მაშინ, და არაერთს ჰგონია დღესაც.

ქელეხომანიასთან, საფლავთმშენებლობით გატაცებასა და წრესგადასულ უაზრო ღრეობებთან ერთად, სხვა მრავალმა უკეთურმა ტრადიციამ და ჩვეულებამ გაიდგა ფესვი ამ ბოლო წლებში ნოყიერ მიწაში. ჩანასახოვან ფორმებში გამოიკვეთა ისეთი მოვლენები, როგორიცაა შემოქმედებითს სარბიელზე პირადი განდიდებისაკენ ლტოლვით გატაცება. თვითრეკლამა, კრიტიკის მოუთმენლობა და სხვა ამგვარი გამოვლინებანი.

მსგავსი ვითარება არც სხვაგან არის სასურველი, მაგრამ შემოქმედებითს სფეროში, ხელოვნებისა და მწერლობის დარგში ასეთი რამის თუნდაც ეპიზოდური გამოვლინება ყოვლად მიუტევებელი და სახიფათოა. სახიფათოა იმიტომ, რომ ყოველგვარი ჩანასახოვან მდგომარეობას ახასიათებს დაფესვიანება, მომძლავრება და შემდგომში განვითარება. ამიტომაც ამგვარი გამოვლინებები მავნე ტრადიციების გვერდით უნდა დავაყენოთ და ვებრძოლოთ კიდეც.

ამ მავნე ჩვეულების მესვეურებსა და აპოლოგეტებს უნდა შევახსენოთ ჩვენი დიდი მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის საქციელი, როცა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა უარი განაცხადა პრემიის მიღებაზე, რომელიც მას უდავოდ ეკუთვნოდა, უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ პრემია — ახალგაზრდა მეცნიერებისადმი სახელმწიფოებრივი დახმარება — მიზანშეწონილი იქნებოდა გადაეცათ უფრო გაჭირვებულებისათვის, რომელთაც მეცნიერული მუშაობის საშუალებანი არ გააჩნდათ.

სწორედ ამიტომაც საჭიროა გაძლიერდეს მავნე ტრადიციებთან ბრძოლა. აუცილებელია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა უბანზე ისეთი მტკიცე და შეუვალი წყალსაწურების დაგება, რომლებიც თავისუფლად გაატარებს ყოველივე ღირებულს, საუკეთესოს, მამა-პაპურს, ეროვნულსა, ჯანსაღს და ცხოვრების ამ მდინარებას ჩამოაშორებს მავნე მინარევებს, დურდოს, შლამსა და ტალახს...

ყველაფერი ამისათვის კი, საჭიროა პირადი მაგალითი. მოდით, ჩვენც აქედან დავიწყოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ პაპარიძე

# ქართული წარმართული კალენდარი

I

## ანბანური მწკრივი და რიცხვი

არცერთ დამწერლობას გრაფიკულ-ფონეტიკური ერთეულების თანმიმდევრობის რაიმე წესრიგს დაქვემდებარებული მწკრივი არ შეუქმნია. ასეთი მწკრივი მხოლოდამხოლოდ ანბანურმა დამწერლობამ შექმნა.

ასო-ნიშანი ანბანურ მწკრივში ენის უმცირესი ფონეტიკური ერთეულის — ბგერის აღმნიშვნელია. მაგრამ, ამავე დროს, მწკრივში ასო-ნიშნების თანამიმდევრობის შესაბამისად, ასო-ნიშანი რიცხვის აღმნიშვნელია. ერთ შემთხვევაში ასო-ნიშანი ფონეტიკური მნიშვნელობისაა. მეორე შემთხვევაში ასო-ნიშანს რიცხვის მნიშვნელობა აქვს.

ანბანური დამწერლობის მწკრივში თვლის ათობით სისტემაა განხორციელებული. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ყველა ერთეულს 1-დან 10-მდე საკუთარი გრაფიკული ნიშანი შეესაბამება: ა — 1-ია; ბ — 2-ია. გ — 3-ია და ა. შ. ათეულებს აგრეთვე საკუთარი გრაფიკული ნიშნები აქვთ: ი — 10-ია; კ — 20-ია, ლ — 30-ია და ა. შ. დაბოლოს ასეულებსაც საკუთარი გრაფიკული ნიშნები აქვთ: ჲ — 100-ია; ს — 200-ია, ტ — 300-ია და ა. შ.

ამ თვალსაზრისით უძველეს სათვალავებს შორის ანბანური სათვალავი ყველაზე მეტად სრულყოფილი სათვალავია.

ასო-ნიშნების თანმიმდევრობამ ანბანურ მწკრივში განაპირობა ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობაც. ამავე მიზეზის გამო ანბანური დამწერლობის ორი სათვალავი არსებობს: საყოველთაოდ ცნობილი ანბანური სათვალავი და ნაკლებცნობილი რიგითი სათვალავი.

განვიხილოთ ანბანური დამწერლობის ორივე სათვალავი. რიგით და ანბანურ სათვალავთა განხილვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ქართულ ასომთავრულ ანბანში, როგორც ირკვევა, დასტურდება ანბანური დამწერლობის ორივე, როგორც ანბანური ისე რიგითი, სათვალავი. ქართული ასომთავრული ანბანის ამოცნობა კი ასო-ნიშნების რიცხვით მნიშვნელობათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

ჯერ ანბანური სათვალავის შესახებ.

საერთოდ, ანბანური სათვალავი მიღებული იყო, როგორც აღმოსავლურ-სემურ ანბანურ სამყაროში, აგრეთვე ბერძნულ, დასავლურ ანბანურ სამყაროში.

როგორც ცნობილია, უძველესი სემურ-ფინიკიური ანბანური მწკრივი საფუძვლად დაედო ბერძნულ ანბანურ მწკრივს, ხოლო ბერძნული ანბანური სათვალავი ფინიკიური ანბანური სათვალავის საფუძველზე შეიქმნა.

უძველესი სემური ანბანური მწკრივი 22 ასო-ნიშნისაგან შედგებოდა. დაახლოებით ორი ათასწლეულის მანძილზე სემურ ანბანურ მწკრივს, გრაფემების რაოდენობასა და თანმიმდევრობის თვალსაზრისით, რაიმე ცვლილება არ განუცდია. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ მწკრივში გრაფემებს, თანამიმდევრობის შესაბამისად, ბგერულ მნიშვნელობათა

გარდა, რიცხვითი მნიშვნელობაც ჰქონდათ. უკვე უძველეს ფინიკიურ ანბანურ მწკრივში პირველ ცხრა გრაფემას (1-9) შესაბამისად ცხრა ერთეულის რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა, მომდევნო ცხრა გრაფემას (10-18) ცხრა ათეულის რიცხვითი მნიშვნელობა, ხოლო უკანასკნელ ოთხ გრაფემას — ოთხი ასეულის რიცხვითი მნიშვნელობა. ფინიკიური ანბანური სათვალავი ასეთი იყო იხ. ტაბულა № 1).



ტ. № 1.

ტრადიციული სემური ანბანური მწკრივი და ასო-ნიშნების ფინიკიური სათვალავი მიღებული იყო წინა-აზიის ყველა უძველეს კონსონანტურ ანბანში (არამეული, ებრაული და სხვ.). უფრო მეტიც: გრაფემის, როგორც ფონემის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნის, რიცხვითი მნიშვნელობა უფრო მყარი გამოდგა, რადგან დროთა მანძილზე ენის ფონეტიკის ცვლილებისა, ან ენათა ფონეტიკურ თავისებურებათა გამო, ერთი და იგივე გრაფემა სხვადასხვა ფონემურ მნიშვნელობას იძენდა, ან შეიძლება გადაადგილებულიყო კიდეც ანბანურ მწკრივში, მაგრამ მისი რიცხვითი მნიშვნელობა უცვლელი რჩებოდა.

ფინიკიური ანბანური სათვალავი სრულყოფილი ანბანური სათვალავი იყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნების თანამიმდევრობას, თანამიმდევრული რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ფინიკიური ანბანური მწკრივის 22 ასო-ნიშნის მეშვეობით შეიძლებოდა დაწერილიყო რიცხვითი მნიშვნელობანი 1-500-მდე (უფრო ზუსტად 1-499).

ეს რაც შეეხება ფინიკიურ ანბანურ სათვალავს.

ახლა გასარკვევია, არსებობდა თუ არა ფინიკიური რიგითი სათვალავი, ან რა პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა ასეთ სათვალავს?

ეს საკითხი მეცნიერულად ჯეროვნად შესწავლილი არ არის. ჯერ კიდევ საბოლოოდ გარკვეული არ არის, რამ განაპირობა ასო-ნიშნების თანამიმდევრობა ფინიკიურ ანბანურ მწკრივში. ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხის გამო წერდა:

„სემური ანბანის მწკრივი არსებულ რიგზე, რასაკვირველია, შემთხვევით არ არის დალაგებული, მაგრამ ეხლა დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუ რა მოსაზრებით ან გარემოებით ხელმძღვანელობდნენ ამ მწკრივის შემდგენელნი“... [1]

ბოლო დროის მეცნიერულ გამოკვლევებში სულ უფრო და უფრო მეტი დაბეჯითებით ვარაუდობენ, რომ ძველი სემური ანბანური მწკრივის რიგითი სათვალავი დროის კალენდარულ აღრიცხვასთან — მ თ ვ ა რ ი ს თ ვ ი ს დ ღ ე ე ბ ი ს ს ა თ ვ ა ლ ა ვ თ ა ნ ი ყ ო დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი. [2]

ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო მეტად სარწმუნო შეიქნა უგარიტული ანბანის აღმოჩენის შემდგომ. სემურ-უგარიტული ანბანის ძეგლები ძველი წელთაღრიცხვის 1400—1200 წლებით თარიღდება.

უგარიტულ ანბანურ მწკრივში ფინიკიური ანბანის უკლებლივ ყველა 22 ფონეტიკური ერთეული დასტურდება იმავე თანმიმდევრობით, როგორც ეს ფინიკიურ ანბანურ მწკრივშია, ოღონდ ბგერათ-მსგავსების პრინციპის გათვალისწინების საფუძველზე. ამ მწკრივში ალაგ-ალაგ კიდევ 5 ასო-ნიშანია ჩართული

---

1. ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949 წ., გვ. 262.

2 Hugh A. Moran და David H. Kelley — The alphabet and the Ancient Calendar Sign,s მე-2 გამოცემა. (Daily Press, Palo Alto, Cal. 1969 წ.

(22+5=27), ხოლო ანბანს ბოლოში სამი ასო-ნიშანი აქვს დამატებული (27+3=30). უგარიტული ანბანის 30 ასო-ნიშნიდან 29 ასო-ნიშანს საკუთარი ფონეტიკური მნიშვნელობა აქვს, უკანასკნელ 30-ე ასო-ნიშანს კი არა. ეს უკანასკნელი ასო-ნიშანი უგარიტული ანბანის მე-19 ასო-ნიშნის ფონეტიკური ორეულია. ამგვარად, ირკვევა, რომ უგარიტულ ანბანში იმდენივე ასო-ნიშანი ყოფილა (29 და 30), რამდენი დღეც არის *მთვარის კალენდარულ თვეში* (29-დღიანი და 30-დღიანი მთვარის თვეების მონაცვლეობა მთვარის წელიწადის კალენდარულ სისტემაში უძველესი დროიდანვე ცნობილია).

უნდა დავასკვნათ: სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია შეხედულება, რომ სემურ-უგარიტული ანბანური მწკრივის რიგითი სათვალავი დროის აღრიცხვის მთვარის კალენდარულ სისტემას უკავშირდებოდა.[1]

მეტიც შეიძლება ითქვას: სემური დამწერლობის ანბანური მწკრივის წარმოშობას დროის აღრიცხვის მთვარის კალენდარული მოთხოვნილების მიზეზით ხსნიან.

არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფენ, რომ უგარიტული დამწერლობის არსებობის ხანაში, არქაული ფინიკიური დამწერლობაც არსებობდა. რა ურთიერთმიმართებაა ამ ორ ანბანურ დამწერლობას შორის? ორი თვალსაზრისია გამოთქმული. ერთ შემთხვევაში პრიორიტეტი ფინიკიურ დამწერლობას ენიჭება, მეორე თვალსაზრისით გამოთქმულია ვარაუდი პროტოსემური 27-ნიშნიანი ანბანური დამწერლობის არსებობის შესახებ, რომლის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო ორივე სემური დამწერლობა — ფინიკიური და უგარიტული. ერთ შემთხვევაში (ფინიკიური მაგალითი) პროტოსემურს უნდა გამოკლებოდა 5 ასო-ნიშანი (27—5=22); მეორე შემთხვევაში (უგარიტული მაგალითი) პროტოსემურს უნდა დამატებოდა 3 ასო-ნიშანი (27+3=30).

ამ საკითხის შესახებ, კერძოდ, რუსი პალეოგრაფი ვ. ისტრინი წერს:

**«Построение угаритского алфавита наводит на мысль, что создатели его были знакомы с финикийским алфавитом, или тот и другой алфавиты являются ответвлениями какого-то более древнего и видимо 27-буквенного протосемитского алфавита.**

**Двадцатисемибуквенный состав предполагается у протосемитского алфавита исходя из того, что в тридцатибуквенном угаритском алфавите три буквы, стоящие в самом его конце, видимо, были добавлены в более позднее время»[1].**

ამავე საკითხის შესახებ ამერიკელი მეცნიერი საირუს ჰ. გორდონი წერს:

„უგარიტულ ანბანში უფრო ადრეული 27-ნიშნიანი ანბანი იგულისხმება, რომლის საფუძველზე 22-ნიშნიანი ფინიკიური ანბანი წარმოიშვა. 5 ზედმეტი ასო-ნიშანი პროტოსემური ანბანისა ჩამატებული არ უნდა იყოს, არამედ იმთავითვე უნდა არსებულიყო, რადგან ანბანურ მწკრივში მათ ისეთი ადგილები უკავიათ, ფონეტიკური და გრაფიკული თვალსაზრისით ჩამატებულ ასო-ნიშნებად ვერ ჩაითვლებიან. რაც შეეხება უგარიტული ანბანის სამ უკანასკნელ ასო-ნიშანს, უთუოდ დამატებული ასო-ნიშნებია, რათა ანბანი მთვარის თვის დღეების რაოდენობას (29 და 30-ს) გატოლებოდა“.[2]

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ 27-ნიშნიანი სემური ანბანური მწკრივი მთვარის 27-დღიან სიდერულ თვეს უკავშირდება, ხოლო 30-ნიშნიანი სემური ანბანური მწკრივი მთვარის სინოდური თვის შესაბამისია.

ზოგადი ხასიათის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: უთუოდ არსებობდა ძველი სემური ანბანური მწკრივის რიგითი სათვალავი. ეს სათვალავი დროის კალენდარულ აღრიცხვასთან — მთვარის თვის დღეების სათვალავთან იყო დაკავშირებული.

არსებობდა თუ არა, კერძოდ, ფინიკიური რიგითი სათვალავი ცნობილი არ არის. თუ ასეთი სათვალავი არსებობდა, იგი უთუოდ აგრეთვე კალენდარული ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ასეთი ვარაუდი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია.[3]

ახლა კვლავ ფინიკიურ ანბანურ სათვალავს დავუბრუნდეთ. როგორც უკვე ითქვა, ფინიკიური ანბანური სათვალავით შეიძლებოდა დაწერილიყო რიცხვები 1-დან 500-მდე (1-499). ეს სათვალავი მიღებული იყო ყველა აღმოსავლურ სემურ 22-ნიშნიან ანბანში. ანბანური სათვალავის რამდენადმე უფრო სრული სისტემა პირველად ებრაულ კვადრატულ ანბანში განხორციელდა. ებრაული ანბანური სათვალავი ძვ. წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში უნდა შემოღებულიყო.

---

[1] Cyrus H. Gordon — The accidental invention of the phonemic alphabet. Journal of Near Eastern Studies. ტომი 29. ივლისი. 1970 წ. № 3 ჩიკაგო.

[1] В. А. Истин, Возникновение и развитие письма, М., 1965 წ., გვ. 286 და სხოლიო იქვე.

[2] Cyrus H. Gordon, დასახელებული ნაშრომი, გვ. 195.

[3]. იქვე, გვ. 195, 197

კვადრატულ ებრაულში შენარჩუნებულია ძველი სემური 22-ნიშნიანი ანბანური მწკრივი და ასო-ნიშნების ძველი სემური ანბანური სათვალავი. მაგრამ ხუთ ასო-ნიშანს ებრაულ კვადრატულში ორნაირი გრაფიკული დაწერილობა აქვს. ამ ასო-ნიშნებს მრჩობლ ანუ ორკეც ასო-ნიშნებს უწოდებენ. მე-10 საუკუნის ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში ამის შესახებ თქმულია: „ოცდაორად აღირაცხებიან ანბანნი ებრაელთა შორის და ხუთნი იგი ასონი მათ შორის ორკეც არიან: ႵႠႴ მრჩობლ არს და ႫႤႫ და ႬႳႬ და ႴႤ და ႼႠႣႤ".[1]

ამ მრჩობლ ანუ ორკეც ასო-ნიშნებს, გარდა ძირითადი რიცხვითი მნიშვნელობებისა, მინიჭებული აქვთ შესაბამისად 500-ის, 600-ის, 700-ის, 800-ისა და 900-ის რიცხვითი მნიშვნელობა. ეს შესაძლებლობას ჰქმნის ებრაული კვადრატული ასო-ნიშნების შემწეობით დაიწეროს რიცხვები 1-დან 1.000-დე (1-999).

ამგვარად, კვადრატულმა ებრაულმა შეინარჩუნა ძველი სემური ანბანური მწკრივი, მაგრამ ამავე დროს რამდენადმე სრულყო ძველი სემური ანბანური სათვალავი: ებრაულ კვადრატულ ანბანში 22 ფონეტიკური ერთეულია, ანბანური სათვალავით კი 27 გრაფიკული ერთეულია.

როგორც უკვე ითქვა, ფინიკიურმა ანბანურმა მწკრივმა და შესაბამისად ფინიკიურმა ანბანურმა სათვალავმა თითქმის 2000 წელი იარსება. ტრადიციული სემური ანბანური მწკრივი პირველად არაბულ ანბანში დაირღვა, ახალი წელთაღრიცხვის VI-VII საუკუნეებში.

ძველ სემურ 22 ასო-ნიშანს არაბულ ანბანში 6 ასო-ნიშანი დაემატა. არაბებმა 28 ასო-ნიშნის ახალი ანბანური მწკრივი შექმნეს. ამის გამო ასო-ნიშნების თანამიმდევრობასა და მათ რიცხვით მნიშვნელობებს შორის სრული შეუსაბამობაა. ე. ი. არაბულ ანბანში ასო-ნიშნების რიგით სათვალავსა და ანბანურ სათვალავს შორის ურთიერთკავშირი დაირღვა (იხ. ტაბულა № 2).

როგორც ტაბულა ცხადყოფს. არაბული ანბანის ყველა 28 ასო-ნიშანს თავისი რიცხვითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არაბული ასო-ნიშნების მეშვეობით შეიძლება დაიწეროს რიცხვები 1-დან 1000-მდე (ჩათვლით). ეს საკითხი არაბულ ანბანში მოგვარებულია, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, არაბულ ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნების თანამიმდევრობასა და ანბანურ სათვალავს შორის შეუსაბამობაა. ვთქვათ, არაბული ანბანის რიგით მე-3 გრაფემას, შესაბამისად, სამის რიცხვითი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ ოთხასისა, რადგან ამ გრაფემას ძველ სემურ ანბანურ მწკრივში 22-ე ადგილი ეკავა და შესაბამისად ოთხასის მნიშვნელობა ჰქონდა. ასეა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

| | | |
|---|---|---|
| 1. | ا | 1 |
| 2. | ب | 2 |
| 3. | ت | 400 |
| 4 | ث | 500 |
| 5. | ج | 3 |
| 6 | ح | 8 |
| 7. | خ | 600 |
| 8 | د | 4 |
| 9. | ذ | 700 |
| 10 | ر | 200 |
| 11. | ز | 7 |
| 12. | س | 60 |
| 13 | ش | 300 |
| 14. | ص | 90 |
| 15. | ض | 800 |
| 16. | ط | 9 |
| 17. | ظ | 900 |
| 18. | ع | 70 |
| 19. | غ | 1000 |
| 20. | ف | 80 |
| 21. | ق | 100 |
| 22. | ك | 20 |
| 23. | ل | 30 |
| 24. | م | 40 |
| 25 | ن | 50 |
| 26 | ه | 5 |
| 27. | و | 6 |
| 28 | ي | 10 |

ტ. № 2

ამგვარად, ის შესაბამისობა რიგით და ანბანურ სათვალავებს შორის, რომელიც თავდაპირველ სემურ ანბანურ მწკრივში არსებობდა, არაბულ ანბანურ მწკრივში მოისპო.

არაბული ანბანური მწკრივი აღმოსავლურ ანბანურ სამყაროში, როგორც ცნობილია, სპარსულ და თურქულ დამწერლობებში განხორციელდა. ამის გამო ასო-ნიშნების რიგით სათვალავსა და მათ ანბანურ სათვალავს შო-

---

[1] ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. გამოსცა მზექალა შანიძემ, თბილისი, 1960 წ., გვ. 464.

რის სპარსულ და თურქულ ანბანებში ისეთივე შეუსაბამობაა, როგორც არაბულ ანბანში. გარდა ამისა, სპარსელებმა არაბულ ანბანურ მწკრივში ალაგ-ალაგ რამდენიმე საკუთარი ასო-ნიშანი ჩართეს. ამის გამო ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა თითქოს კვლავ უნდა დარღვეულიყო არაბულ მწკრივთან შედარებით. ეს ასე არ მოხდა, რადგან სპარსელებმა საკუთარ ჩამატებულ ასო-ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობა აღარ მიანიჭეს. ამის გამო სპარსულ ანბანში შენარჩუნებულია ასო-ნიშნების აღრეული არაბული რიცხვითი მნიშვნელობა. გარდა ამისა, სპარსულ ანბანში 32 ასო-ნიშანია, 28 არაბული ანბანის ასო-ნიშანს რიცხვითი მნიშვნელობა აქვს, ხოლო 4 ჩამატებულ ასო-ნიშანს კი არა.

სპარსელების მსგავსად, თურქებმა არაბულ ანბანურ მწკრივში ალაგ-ალაგ რამდენიმე საკუთარი ასო-ნიშანი ჩართეს. ამის გამო ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა თურქულ ანბანურ მწკრივში თითქოს უნდა შეცვლილიყო. ეს ასე არ მოხდა, რადგან ჩამატებულ ასო-ნიშნებს თურქებმა იგივე რიცხვითი მნიშვნელობა მიანიჭეს, რა რიცხვითი მნიშვნელობაც აქვთ მათ გრაფიკულ ორეულებს არაბულ ანბანურ მწკრივში. ამის გამო თურქულ ანბანში ასო-ნიშნების რამდენიმე წყვილს ერთიდაიგივე რიცხვითი მნიშვნელობა აქვს. მაგ.: „ბ“ და „ფ“ — ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა არის 2; „ჯ“ და „ჩ“ — ასო-ნიშნებისა — 3; „ზ“ და „ჟ“ — ასო-ნიშნებისა — 7; ხოლო „ქ“ და „გ“ — ასო-ნიშნებისა — 20.

ამგვარად, თურქულ ანბანში 32 ასო-ნიშანია; 28 ასო-ნიშანს საკუთარი რიცხვითი მნიშვნელობა აქვს, 4 ასო-ნიშანს კი არა. თურქულ ანბანში ასო-ნიშნების რიგსა და მათ ანბანურ სათვალავს შორის ისეთივე შეუსაბამობაა, როგორი შეუსაბამობაც არაბულ ანბანურ მწკრივშია.

სპარსული და თურქული ასო-ნიშნების მეშვეობით, მსგავსად არაბულისა, შეიძლება დაიწეროს რიცხვები 1-დან 1.000-მდე (ჩათვლით).

ზოგადი ხასიათის დასკვნა ასეთია:

უძველეს სემურ ანბანურ მწკრივში არსებობდა ასო-ნიშნების რიგითი სათვალავი; ძველი სემური ანბანური მწკრივის რიგითი სათვალავი დროის კალენდარულ აღრიცხვასთან — მთვარის თვის დღეების სათვალავთან იყო დაკავშირებული; ძველ სემურ ანბანურ მწკრივში არსებობდა სრული შესაბამისობა ასო-ნიშნების თანამიმდევრობასა და მათ ანბანურ რიცხვით მნიშვნელობებს შორის. ე. ი. არსებობდა ურთიერთკავშირი ძველ-სემურ რიგით და ანბანურ სათვალავებს შორის. ეს შესაბამისობა რიგით და ანბანურ სათვალავებს შორის აღმოსავლურ ანბანურ სამყაროში პირველად არაბულ ანბანურ მწკრივში დაირღვა.

ახლა ბერძნულ ანბანურ და რიგით სათვალავთა შესახებ უნდა ითქვას:

როგორც უკვე ცნობილია, ბერძნულ ანბანურ სათვალავს სემური ანბანური სათვალავი დაედო საფუძვლად, ამიტომ ბერძნულ ასო-ნიშნებს, ძირითადად იგივე რიცხვითი მნიშვნელობა აქვთ, რაც სემურ ასო-ნიშნებს სემურ ანბანურ მწკრივში. ოღონდ იმის გამო, რომ არცერთ დასავლურ და არცერთ აღმოსავლურ ბერძნულ ანბანს სემური ანბანის სამივე „სანი“ არ აუთვისებია, არამედ მხოლოდ რომელიმე ორი ამ სამთაგან, ამიტომ ბერძნული ანბანის „სემური“ ანბანური მწკრივი ერთი გრაფემით ნაკლულია.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებიდან ერთიანი არქაული ბერძნული ანბანური დამწერლობა აღარ არსებობს. ესა თუ ის ბერძნული დიალექტი ანბანური თავისებურებით ხასიათდებოდა. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია შეხედულება გაიმიჯნოს ბერძნული დამწერლობის ორი ძირითადი განშტოება — აღმოსავლურ-ბერძნული და დასავლურ-ბერძნული.

ძვ. წ. მე-5 საუკუნის დასასრულს სრულიადბერძნულ სახელმწიფო დამწერლობას საფუძვლად დაედო აღმოსავლურ-ბერძნული განშტოების იონური ანბანი, რომელიც ხმარებაში იყო მცირე აზიის ბერძნულ კოლონიებში და კერძოდ ქ. მილეტში.

ბერძნული ანბანური სათვალავი, ცნობილი მეცნიერის ვ. ლარფელდის აზრით, უკვე არსებობს ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარში ქ. მილეტის იონურ ანბანში.[1]

ივ. ჯავახიშვილი ამის შესახებ წერს:

„ბერძნული რიცხვანბანის უძველესი დამთავრებული სახე 27 ასოსაგან შედგება, რომელთა საშუალებით 1—900-მდე ერთეულის გამოსახვა შეიძლება... ლარფელდის აზრით ამგვარი რიცხვანბანი მილეტში VIII ს. დამლევს მაინცდამაინც უნდა ყოფილიყო. იგი აღმოსავლეთი საბერძნეთის შემოღებული უნდა იყოს“.[2]

ამავე საკითხის შესახებ ცნობილი სპეციალისტი ო. ნეიგებაუერი წერს:

«Алфавитная нумерация была изобретена тогда, когда из греческого алфавита не были исключены три буквы, перенятые вместе с остальным алфавитом от финикийцев. Подобные рассуждения позволяют датировать возникновение греческой алфавитной системы нумера-

---

[1] W. Larfeld. Griechische Epigraphik, 1914 წ. გვ. 240—241.

[2] ივანე ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 8.

ции примерно VIII веком до н. э. и отнести это изобретение с большой вероятностью к городу Милету в Малой Азии»[1].

ცხადია, ბერძნული ანბანური სათვალავი შემოღებულია იმ დროს, როცა მე-6 ასო-ნიშნად ამ ანბანში იჯდა სემური „ვავ“-ის შესაბამისი „ვაუ“ („დიგამა“) — ასო-ნიშანი; ხოლო სემური „კოფ“-ის ადგილზე იჯდა ბერძნული „კოპა“ — ასო-ნიშანი. რაც შეეხება სემური ანბანის მე-18 „ხსადე“ („წადე“) — ასო-ნიშანს, იგი სამ „სემურ“ „სან“-თაგან ერთ-ერთია, რომელიც აღმოსავლურ-ბერძნულ ანბანს არ აუთვისებია, ამიტომ კლასიკურ ბერძნულ ანბანში ამ ასო-ნიშანს („სან“, გვიანდელი „სამპი“) 900-ის მნიშვნელობა მიანიჭეს. ეს ასო-ნიშანი, იმთავითვე, ბერძნული ანბანური სათვალავის შემოღებისას რომ არსებულიყო, მისი რიცხვითი მნიშვნელობა 90 უნდა ყოფილიყო და არა 900.

ამის გამო, ბერძნული ანბანური სათვალავის თვალსაზრისით, ბერძნული ანბანის „სემური“ ანბანური მწკრივი (22 ასო-ნიშნის) ფარგლებში) ფაქტიურად ერთი გრაფემით ნაკლულია, რის გამოც მე-18 „სან“ („სამპი“) გრაფემიდან დაწყებული ბერძნულ და სემურ სათვალავს შორის ერთი გრაფების რიცხვითი მნიშვნელობის სხვაობა გრაფემიდან გრაფემაზე გადადის (იხ. ტაბულა № 3).

სემურ-ფინიკიურ ანბანურ სათვალავთან შედარებით, ბერძნული ანბანური სათვალავი სრულყოფილი ანბანური სათვალავი ვერ იყო ორი მიზეზის გამო:

1. კლასიკური ხანის (V ს. ძვ. წ.). ზოგად ბერძნულ ანბანში 24 ასო-ნიშანი იყო, ხოლო ანბანური სათვალავით კი 27.

2. მე-18 გრაფემას ბერძნულ ანბანურ სათვალავში ჰქონდა არა 90-ისა, არამედ 900-ის რიცხვითი მნიშვნელობა.

გარდა ბერძნული ანბანური სათვალავისა არსებობდა ბერძნული ანბანის რიგითი სათვალავიც. ეს სათვალავი, როგორც ჩანს, შემოღებულია კლასიკური ბერძნული ანბანური დამწერლობის შემოღების დროს. საიდან ვიცით ეს?

ცნობილია, რომ ზოგად-ბერძნულ, კლასიკურ ანბანურ დამწერლობაში 24 ასო-ნიშანი იყო და არა 27, როგორც ეს ბერძნული ანბანური სათვალავით გვაქვს. ბერძნული რიგითი სათვალავით ასო-ნიშნებს მინიჭებული აქვთ რიგითი რიცხვითი მნიშვნელობა ერთიდან ოცდაოთხამდე ანუ „ალფა“-დან „ომეგა“-მდე ე. ი. ბერძნული ანბანური სათვალავით ანბანში 27 ასო-ნიშანია, ხოლო ბერძნული რიგითი სათვალავით კი 24.

ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნული ანბანური სათვალავი შემოღებულია უფრო ადრე, ვიდრე ბერძნული რიგითი სათვალავი;

| | | |
|---|---|---|
| 1. | A | 1 |
| 2. | B | 2 |
| 3. | Γ | 3 |
| 4 | Δ | 4 |
| 5. | E | 5 |
| — | Ϛ | 6 |
| 6. | I | 7 |
| 7. | H | 8 |
| 8. | Θ | 9 |
| 9. | I | 10 |
| 10. | K | 20 |
| 11. | Λ | 30 |
| 12. | M | 40 |
| 13. | N | 50 |
| 14 | Ξ | 60 |
| 15 | O | 70 |
| 16 | Π | 80 |
| — | ϡ | 900 |
| — | ϙ | 90 |
| 17 | P | 100 |
| 18. | Σ | 200 |
| 19. | T | 300 |
| 20 | Y | 400 |
| 21 | Φ | 500 |
| 22 | X | 600 |
| 23 | Ψ | 700 |
| 24. | Ω | 800 |

ტ. № 3

ბერძნული ანბანური სათვალავით ასო-ნიშნებს მინიჭებული აქვთ რიცხვითი მნიშვნელობა 1-დან 900-მდე, ხოლო რიგითი სათვალავით 1-დან 24-მდე. „ვაუ“ („დიგამა“). „სან“ ანუ „სამპი“ და „კოპა“ — ასო-ნიშნებს რიგითი

[1] О. Нейгебауер. Точные науки в древности. Перевод с английского. М., 1968 წ. გვ. 25—26.

რიცხვითი მნიშვნელობა არა აქვთ, რადგან კლასიკურ ბერძნულ ანბანში ეს ასონიშნები აღარ არსებობენ.

ამგვარად, ბერძნული ანბანური და ბერძნული რიგითი სათვალავი შემოღებულია სხვადასხვა დროს: ანბანური სათვალავი უფრო ადრე, ხოლო რიგითი სათვალავი უფრო გვიან. გარდა ამისა, ბერძნულ ანბანურ სათვალავსა და ბერძნულ რიგით სათვალავს შორის შეუსაბამობაა (იხ. ტაბულა № 3). შეუსაბამობა ამ ორ სათვალავს შორის ბერძნული „ზეტა" — ასონიშნიდან იწყება (რიგითი სათვალავით „ძეტა"— ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა არის 6, ანბანური სათვალავით კი ბერძნული „ძეტა" — ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა არის 7). ეს შეუსაბამობა ბერძნულ ანბანურსა და რიგით სათვალავს შორის გრაფემიდან გრაფემამდე გადადის. გარდა ამისა, ბერძნულ ანბანურ და რიგით სათვალავს შორის სამი ასო-ნიშნის სხვაობა გროვდება, რის გამოც შეუსაბამობა ამ სათვალავებისა თანდათანობით მატულობს. მკითხველმა ბერძნულ სათვალავთა ურთიერთმიმართება უკვე მითითებულ ტაბულაზე განიხილოს, უფრო თვალსაჩინოა.

უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ ძველი სემური ანბანური მწკრივის რიგითი სათვალავი დროის კალენდარულ აღრიცხვასთან, მთვარის კალენდარულ სისტემასთან იყო დაკავშირებული. ახლა საკითხავია, რა პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა ბერძნულ რიგით სათვალავს?

როგორც ირკვევა, ბერძნული რიგითი სათვალავით ასო-ნიშნებს არა მხოლოდ რიგითი რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდათ, არამედ, სემურისა არ იყოს, ბერძნულ რიგით სათვალავს კალენდარული აღრიცხვის დანიშნულებაც ჰქონდა: მთვარის თვეების აღრიცხვა ბერძნული ანბანის რიგითი სათვალავით ხდებოდა. ამ საკითხის თაობაზე ო. ნეიგებაუერი წერს:

«На афинских монетах II в. до н. э. месяц их выпуска обозначается буквами от А до М, представляющими числа от 1 до 12 для обычного года, с добавлением N=13 для высокосного года афинского лунного календаря. Тот же принцип сохраняется и на монетах династии Птоломеев в Египте, где после исчерпания первых 24 букв от А до Ω встречаются знаки АА, ВВ, ГГ,... очевидно обозначающие числа 25, 26, 27»[1].

ბერძნული ანბანის რიგითი სათვალავი და ამ სათვალავის კალენდარული დანიშნულება დადასტურებული ფაქტია. რაც შეეხება ბერძნულ ანბანურ სათვალავს, ამ საკითხის თაობაზე იგივე ო. ნეიგებაუერი წერს:

«Значительно более интересен другой вариант алфавитной нумерации (იხ. ტაბ. 3.), широко применявшийся в греческой математике и астрономии... $\alpha=1$, $\beta=2$, $\gamma=3$, $\delta=4$ и т. д. Согласно порядку алфавита можно было ожидать дальше К=11; Л=12 и т. д. Однако на самом деле мы находим $i\alpha=11$, $i\beta=12$ и т. д., другими словами комбинированные символы 10+1, 10+2 и т. д...[2]

ამგვარად, ცნობილი სპეციალისტის ო. ნეიგებაუერის თვალსაზრისით, ბერძნულ მათემატიკურ და ასტრონომიულ გამოთვლებში ბერძნული ანბანური სათვალავი იხმარებოდა, დროის კალენდარული აღრიცხვისათვის კი, როგორც ჩანს, ბერძნულ რიგით სათვალავს იყენებდნენ.

უნდა დავასკვნათ:

1. კლასიკურ ბერძნულ ანბანში ორი სათვალავი არსებობდა: ბერძნული ანბანური სათვალავი და ბერძნული რიგითი სათვალავი.

2. კლასიკურ ბერძნულ ანბანში ამ სათვალავებს შორის შეუსაბამობაა.

ქვემოთ გაირკვევა, რომ ქართულ ანბანში განხორციელებულია ორივე, როგორც ანბანური, აგრეთვე რიგითი სათვალავი. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ქართული დამწერლობა არქაული წარმოშობისაა. ქართული ანბანური მწკრივის რიგითი და ანბანური სათვალავი შემოღებულია ერთ დროს და ერთდროულად. გარდა ამისა, ქართულ რიგით და ანბანურ სათვალავებს შორის ქართულ ანბანში სრული შესაბამისობაა. ამ თვალსაზრისით ქართული ანბანი უფრო სრულყოფილია, ვიდრე თვით ბერძნული ანბანიც კი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ რიგით სათვალავს სხვა ერთა დამწერლობაში გავრცელება არ მოუპოვებია და, როგორც ჩანს, ეს სათვალავი მხოლოდ არქაულ ხანაში იხმარებოდა და მალე დავიწყებას მიეცა, იქნებ იმიტომ, რომ დაჰკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა, ან იმიტომ, რომ უფრო სრულყოფილ ანბანურ სათვალავს შეეძლო შეესრულებინა რიგითი სათვალავის დანიშნულებაც.

ქვემოთ გაირკვევა, რომ ქართული ანბანის რიგით სათვალავს განსაკუთრებული — ასტრონომიულ-მათემატიკური მნიშვნელობა ჰქონდა. უფრო მეტიც, ქართული ანბანის რიგით სათვალავში ქართული ანბანის წარმოშობის საიდუმლოა დამარხული. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

კვლავ ბერძნულ ანბანურ სათვალავს დავუბრუნდეთ. დასავლურ ანბანურ სამყაროში,

[1] О. Нейгебауер, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[2] О. Нейгебауер, დასახ. ნაშრომი, გვ. გვ. 25, 26.

დამწერლობის ბერძნულ გრაფიკასთან ერთად, ბერძნული ანბანური სათვალავიც გავრცელდა. კერძოდ, ბერძნული ანბანური სათვალავი კოპტურ, გუთურ და სლავურ დამწერლობებში განხორციელდა (რამდენადაც ცნობილია, ლათინურ დამწერლობაში ბერძნული ანბანური სათვალავი არ განხორციელებულა, რაც შეეხება ბერძნული ანბანური სათვალავის არსებობას ეტრუსკულ ანბანში, ნაკლებ სავარაუდებელია).

უკვე ითქვა, რომ ბერძნული ანბანური სათვალავი სრულყოფილი ანბანური სათვალავი არ იყო. როგორღა განხორციელდა ეს სათვალავი, ვთქვათ, კოპტურ ანბანში?

კოპტური ანბანური სათვალავი, მსგავსად ბერძნულისა, სრულყოფილი ანბანური სათვალავი არ იყო შემდეგი მიზეზების გამო:

1. კოპტურ ანბანში 33 ასო-ნიშანი იყო; ანბანური რიცხვითი მნიშვნელობა კი, ბერძნულის მსგავსად, მხოლოდ 27 ასო-ნიშანს ჰქონდა. ე. ი. კოპტური ასო-ნიშნების მეშვეობით შეიძლებოდა დაწერილიყო რიცხვები 1-დან 1.000-მდე (1-999). ეს გარემოება ცხადყოფს, რომ კოპტურ ანბანში ზუსტად ბერძნული ანბანური სათვალავი განხორციელდა.

2. ექვს ასო-ნიშანს კოპტურ ანბანში რიცხვითი მნიშვნელობა არ ჰქონდა; ორ ასო-ნიშანს ჰქონდა რიცხვითი მნიშვნელობა, მაგრამ ფონეტიკური მნიშვნელობა კი არა. ყოველივე ამის გამო, კოპტური ანბანური სათვალავი სრულყოფილი ანბანური სათვალავი არ იყო: ასო-ნიშნების თანმიმდევრობას ანბანურ მწკრივში თანამიმდევრული რიცხვითი მნიშვნელობა არ შეესაბამებოდა.

ბერძნული ანბანური სათვალავი ახ. წ. IV საუკუნის გუთურ ანბანშიც განხორციელდა. ანბანური სათვალავით გუთურში, მსგავსად ბერძნულისა, 27 ასო-ნიშანი იყო, მაგრამ ფონეტიკური მნიშვნელობა 25 ასო-ნიშანს ჰქონდა; 27 ასო-ნიშნიდან ორ ასო-ნიშანს — მე-18-სა და უკანასკნელ 27-ს ფონეტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა. ცხადია, ამის გამო გუთური ანბანური სათვალავი, მსგავსად ბერძნულისა, სრულყოფილი ანბანური სათვალავი არ იყო. გუთურ ანბანში ზუსტად ბერძნული ანბანური სათვალავის სისტემა განხორციელდა.

ანბანური სათვალავის ბერძნული სისტემა შემოღებულ იქნა სლავურ დამწერლობაშიც.

არსებობს სლავური დამწერლობის ორი გრაფიკულინაირსახეობა — „კირილიცა" და „გლაგოლიცა". „კირილიცა"-ს ანბანში 43 ასო-ნიშანი იყო. რიცხვითი მნიშვნელობა კი 27 ასო-ნიშანს ჰქონდა. ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ვ. ა. ისტრინი ამის შესახებ წერს:

«В Кириллице цифровые значения имели, как правило, только буквы, заимствованные из греческого алфавита... Обладая полным ассортиментом букв, необходимых для старославянского языка, кирилловский алфавит включал шесть греческих букв, ненужных для славянской речи... Буквы эти использовались славянами в основном как цифровые знаки»[1].

„კირილიცა"-ს ანბანში რიცხვითი მნიშვნელობა, ძირითადად, ბერძნული ანბანიდან შეთვისებულ ასო-ნიშნებს ჰქონდათ. 16 ასო-ნიშანს „კირილიცა"-ს ანბანში რიცხვითი მნიშვნელობა არ ჰქონია. ე. ი. ამ ანბანში განხორციელებული იყო ბერძნული ანბანური სათვალავის სისტემა. 27 ასო-ნიშნის მეოხებით იწერებოდა რიცხვები 1-დან 1.000-მდე.

რამდენადმე თავისებური იყო „გლაგოლიცა"-ს ანბანური სათვალავი. „გლაგოლიცა"-ს ანბანში 40 ასო-ნიშანი იყო. რიცხვითი მნიშვნელობა მინიჭებული ჰქონდა 28 ასო-ნიშანს. 12 ასო-ნიშანს რიცხვითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. „კირილიცა"-ს ანბანისაგან განსხვავებით, „გლაგოლიცა"-ს ანბანში ასო ნიშნებს თანმიმდევრული რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდათ: პირველი ასო-ნიშნიდან 28-ე ასო-ნიშნამდე (ჩათვლით). ვ. ა. ისტრინი ამის შესახებ წერს:

«В глаголице цифровое значение получили первые 28 букв подряд независимо от того, соответствовали ли они греческим буквам или же служили для передачи особых славянских звуков. Поэтому цифровое значение большинства глаголических букв было отличным как от греческих, так и от кирилловских букв»[2].

ამგვარად, დასავლურ ანბანურ სამყაროში მიღებული იყო ბერძნული ანბანური სათვალავი, ყველა დასავლურ ანბანში ასო ნიშნების მეშვეობით იწერებოდა რიცხვები 1-დან — 1.000-მდე, ან 1-დან — 1.000-ის ჩათვლით.

თუ ახლა აღმოსავლური და დასავლური ანბანური სათვალავების შესახებ ზოგადი თვალსაზრისი გამოვთქვით, შეიძლება დასკვნის სახით აღინიშნოს:

რიგითი და ანბანური სათვალავების სრული შესაბამისობა არსებობდა მხოლოდ აღმოსავლურ ანბანურ სამყაროში უძველეს ხანაში.

ახ. წ-ის VI-VII საუკუნეებიდან ძველი სემური ანბანური მწკრივი არაბულმა ანბანურმა მწკრივმა და არაბულმა ანბანურმა სათვალავმა შეცვალა. არაბულ ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნების თანმიმდევრობასა და არაბულ ანბანურ სათვალავს შორის სრული შეუსაბამობაა.

დასავლურ ანბანურ სამყაროში მიღებული იყო ბერძნული ანბანური სათვალავი. რიგით

[1] В. И. Истрин. Возникновение и развитие письма. М., 1965, გვ. 412, 416.

[2] В. А. Истрин. დასახ. ნაშრომი, გვ.413.

და ანბანურ სათვალავებს შორის ბერძნულ ანბანში შესაბამისობა არ იყო; ბერძნული რიგითი სათვალავი დასავლურ ანბანურ სამყაროში არ განხორციელებულა; აღმოსავლურ-დასავლურ ანბანურ სამყაროში ანბანური სათვალავით ან 22 ასო-ნიშანია, ან 27 და 28. (22 ასო-ნიშანი — ფინიკიური ანბანური სათვალავი, 27 — ასო-ნიშანი — კვადრატული ებრაული, ბერძნული, კოპტური, გუთური, „კირილიცა"; 28 ასო-ნიშანი — არაბული, სპარსული, თურქული, „გლაგოლიცა").

ჩვენს დრომდე მოღწეულ დამწერლობის უძველეს ქართულ ძეგლებში 37 ასო-ნიშანია. ამ ასო-ნიშნების ტრადიციული ქართული ანბანური მწკრივი ასეთია: ა, ბ, გ, დ, ე. ვ. ზ. ჱ. თ. ი. კ. ლ. მ. ნ. ჲ, ო. პ, ჟ. რ. ს. ტ. ჳ ფ. ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჴ, ჯ, ჰ, ჵ.

ქართულ ანბანურ მწკრივში ყველა ასო-ნიშანს საკუთარი რიცხვითი მნიშვნელობა აქვს: 1-დან 10.000-მდე (ჩათვლით). ე. ი. რიცხვითი მნიშვნელობა მინიჭებული აქვს ქართული ანბანური მწკრივის ყველა 37 ასო-ნიშანს.

არცერთ ანბანში რიცხვითი მნიშვნელობის ასონიშნების რაოდენობა არ აღემატება 28-ს. ამ თვალსაზრისით ქართული ანბანი გამონაკლისია. ეს გარემოება შემთხვევით მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ის არის, რომ გარდა ანბანური სათვალავისა, ქართულ ანბანში რიგითი სათვალავიც დაცულია და, ხოლო ასო-ნიშნების რიგითსა და ანბანურ სათვალავს ქართულ ანბანში მათემატიკურ-კალენდარული მნიშვნელობა აქვს. ეს საკითხი განხილული იქნება დაწვრილებით უფრო ქვემოთ. ჯერ კი ქართული ანბანური მწკრივის რიგითი და ანბანური სათვალავი განვიხილოთ.

საქმე ის არის, რომ ქართულ ანბანში დასტურდება როგორც უძველესი ანბანური მწკრივი, ასევე ასო-ნიშნების უძველესი რიცხვითი მნიშვნელობა. რაც მთავარია, ქართულ ასომთავრულში შემონახულია არქაული წარმოშობის რიგითი სათვალავი. როგორც შემდეგ გაირკვევა, ეს სათვალავი, ხემურ-უგარიტული ანბანური მწკრივის რიგითი სათვალავის მსგავსად, დროის აღრიცხვის კალენდარულ სისტემას უკავშირდება.

გარდა ამისა, ქართული ასომთავრული ანბანის მწკრივში „ასო-ნიშნების თანმიმდევრობასა ანუ ასო-ნიშნების რიგით სათვალავსა და ანბანურ სათვალავს შორის ურთიერთკავშირია. უფრო ზუსტად, ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშნების რიგით სათვალავსა და ანბანურ სათვალავს შორის სრული შესაბამისობაა. ამ ვითარებას, ქართული ასომთავრული ანბანის ამოცნობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული ასო-ნიშნების რიგითი და ანბანური სათვალავი ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ა — 1 | 10. ი — 10 | 19. რ — 100 | 28. ჩ — 1.000 |
| 2. ბ — 2 | 11. კ — 20 | 20. ს — 200 | 29. ც — 2000 |
| 3. გ — 3 | 12. ლ — 30 | 21. ტ — 300 | 30. ძ — 3.000 |
| 4. დ — 4 | 13. მ — 40 | 22. ჳ — 100 | 31. წ — 1,000 |
| 5. ე — 5 | 14. ნ — 50 | 23. ფ — 500 | 32. ჭ — 5.000 |
| 6. ვ — 6 | 15. ჲ — 60 | 24. ქ — 6.000 | 33. ხ — 6.000 |
| 7. ზ — 7 | 16. ო — 70 | 25. ღ — 700 | 34. ჴ — 7.000 |
| 8. ჱ — 8 | 17. პ — 80 | 26. ყ — 800 | 35. ჯ — 8.000 |
| 9. თ — 9 | 18. ჟ — 90 | 27. შ — 900 | 36. ჰ — 9.000 |
| | | | 37. ჵ — 10.000 |

ამგვარად, ქართული ანბანის რიგითი და ანბანური სათვალავი ერთმანეთს შეესაბამება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა ასონიშანს თანმიმდევრულად აქვს როგორც რიგითი სათვალავი, ასევე ანბანური რიცხვითი მნიშვნელობა. როგორც უკვე ცნობილია, შედარებისათვის, ბერძნულ კლასიკურ ანბანში რიგითი და ანბანური სათვალავების შეუსაბამობაა.

ქართული რიგითი და ანბანური სათვალავების ურთიერთშესაბამისობა რამდენიმე მაგალითით შეიძლება ცხადვყოთ:

1. ერთეულებში ასო-ნიშნების რიგითი და ანბანური რიცხვითი მნიშვნელობა ერთი და იგივეა: ვთქვათ „ზენ"-ი რიგითი სათვალავით 7-ია, ხოლო ანბანური სათვალავით აგრეთვე 7-ია (შედარებისათვის: ბერძნული „ძეტა" — ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა ბერძნული რიგითი სათვალავით არის 6, ხოლო ანბანური სათვალავით კი 7).

2. ათეულებში „ინ" — ასო-ნიშანი რიგითი და ანბანური სათვალავით 10-ია; „კან" — ასო-ნიშნიდან იწყება რიგითი და ანბანური სათვალავის ურთიერთშესაბამისობა. მაგ. რადგან „ლასი" რიგითი სათვალავით 12-ია, მისი რიცხვითი მნიშვნელობა ანბანური სათვალავით უსათუოდ 30 უნდა იყოს. ქართულ ანბანში ეს მართლაც ასეა (შედარებისათვის: ბერძნულ ანბანში „ლამდა" ასო-ნიშანი რიგითი სათვალავით 11-ია, ხოლო ანბანური სათვალავით — 30).

აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: როგორც უკვე ითქვა, ბერძნული (ათენური) მთვარის კალენდარის მე-12 თვის აღმნიშვნელია ბერძ-

ნული რიგითი სათვალავის მე-12 ასო ნიშანი M, რომლის ანბანური რიცხვითი მნიშვნელობა არის 40, ე. ი. ბერძნული მთვარის კალენდარით ბერძნული M — ასო-ნიშნის რიგითი და ანბანური სათვალავი ასეთია:

12. M—40

ქართულ ანბანში კი მე-12 ასო-ნიშნის რიგითი და ანბანური სათვალავი ასეთია:

12. ლას—30

„ლას“ ასო-ნიშნის ამ ფორმულას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ასომთავრული ანბანის კალენდარული სისტემის ამოცნობისათვის. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

3. ქართული ანბანის ასეულებსა და ათასეულებში ასო-ნიშნების რიგითი და ანბანური სათვალავების იგივე შესაბამისობაა, როგორც ქართული ანბანის ათეულებში. მაგ.: „რაე“— ასო-ნიშანი რიგითი სათვალავით 19-ია, ამიტომ ანბანური სათვალავით მისი რიცხვითი მნიშვნელობა უნდა იყოს 100 და არის კიდეც (შედარებისათვის: ბერძნული „რო“ — ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა ბერძნული რიგითი სათვალავით 17-ია, ანბანური სათვალავით კი 100). ცხადია, ქართულ ასომთავრულ ანბანში რიგითი და ანბანური სათვალავების შესაბამისობაა, ბერძნულ ანბანში კი რიგითი და ანბანური სათვალავების შეუსაბამობაა.

„დან“ — ასო-ნიშანი ქართულ ანბანში რიგითი სათვალავით 25-ია, ამიტომ ანბანური სათვალავით მისი რიცხვითი მნიშვნელობა 700-ია; „წილი“ რიგითი სათვალავით 31-ია, ხოლო ანბანური სათვალავით 4.000. (თვლა ასეულებით, ხოლო შემდეგ ათასეულებით ხდება).

შეიძლება დავასკვნათ:

ქართულ ასომთავრულ ანბანში არსებობს ასო-ნიშნების ორი: რიგითი და ანბანური სათვალავი (ორი სათვალავი არსებობს კლასიკურ ბერძნულ ანბანშიც). შესაბამისად ა ს ო-ნ ი შ ნ ე ბ ს ქ ა რ თ უ ლ ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ა ნ ბ ა ნ შ ი ო რ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა რ ი ც ხ ვ ი თ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა ქ ვ თ. ერთ შემთხვევაში ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა შეიძლება იყოს 12 (ასო-ნიშანი „ლასი“ — რიგითი სათვალავით), მეორე შემთხვევაში იმავე ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა შეიძლება იყოს 30 (ასო-ნიშანი „ლასი“ — ანბანური სათვალავით); ერთ შემთხვევაში „რაე“ — ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა 19-ია, მეორე შემთხვევაში 100; „წილი“-ს რიცხვითი მნიშვნელობებია შესაბამისად 31 და 4.000, და ასე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (იხ. ტაბულა).

ქართული ასომთავრული ანბანის საიდუმლოს ამოცნობა ასო-ნიშნების რიცხვით მნიშვნელობათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

შეიძლება დავასკვნათ:

ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია რიგითი და ანბანური — სათვალავების სრულყოფილი სისტემა. ცხადია, რიგითი და ანბანური სათვალავების თვალსაზრისით, ქართულ და ბერძნულ დამწერლობათა შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა.

ქართული ასომთავრული დამწერლობის ესოდენ სრულყოფილი რიგითი და ანბანური სათვალავი იმის მომასწავებელია, რომ ამ დამწერლობის შემოღების შემდგომ ქართულ ანბანურ მწკრივს არც რაიმე ასო-ნიშანი გამოჰკლებია და არც რაიმე ასო-ნიშანი ჩამატებია.

მაგრამ, იმთავითვე, ქართული ანბანის შემოღებისას, ქართული ანბანური მწკრივი 37 ასო-ნიშანს ითვლიდა თუ არა? ქართული ანბანის კალენდარული სისტემის ამოცნობისათვის ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დროთა ვითარებაში ანბანს ბოლოში შეიძლებოდა რაიმე ასო-ნიშანი დამატებოდა და, როგორც ჩანს, დაემატა კიდეც. ამგვარად, გასარკვევია საკითხი, რამდენი ასო-ნიშანი იყო ქართულ ანბანში ამ ანბანის შექმნისას.

ქართული ასო-მთავრული ანბანის ჰ — ასო-ნიშანი, უთუოდ გვიან, ანბანის ბოლოში მიმატებული ასო-ნიშანია. უფრო საფიქრებელია, რომ ჰ — ასო-ნიშანი რიცხვის აღმნიშვნელ ასო-ნიშნად დაემატა ანბანს ბოლოში. როგორც ცნობილია მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის 10.000 ე. ი. — ასო-ნიშნის მეოხებით ანბანური სათვალავი, ასე ვთქვათ, დამრგვალდა. ცხადია, ჰ-გვიან დაუმატეს ანბანს ბოლოში, მაგრამ საკითხავია როდის?

უძველეს ქართულ ქრისტიანულ წერილობით ძეგლებში ჰ — ასო ნიშანი უკვე დასტურდება. V-VIII საუკუნის ხანმეტურ ტექსტებში ჰ ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება. მაგალითად ჰ გვხვდება V-VI საუკუნის ხანმეტურ ტექსტში — „მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ (A-737, გვ. 252)[1]; იგი გვხვდება VII საუკუნის მე-2 ნახევრის ხანმეტურ ტექსტში („ხანმეტი ლექციონარი 21, 8, 9 გამოსცა ა. შანიძემ) და VIII საუკუნის ხანმეტურ მრავალთავში 25, 11, 18).

ჰ — ასო-ნიშნის ფონეტური მნიშვნელობის შესახებ აკ. შანიძე წერს:

„ეს ასო წარმოშობით არის ႭႣႨႣႨ ანუ ႭႫႤႢႠ (მაშასადამე ხმოვანია) და გვხვდება იქ, სადაც ბერძნულში ႭႫႤႢႠ იწერება: ჰსანა (მრ. 11, 9 D), ენჰნს (ი. 3, 23 C), კლეჰპ: (ლ. 24, 18 ხანმ. ლექსთ.) და სხვა. მაგრამ იქვე იწვევს მის ხმოვნობაში ეს ფორმები: იოჰანე (ლ. 24, 10 C) და იოჰანე (ი. 1, 26 C), სადაც ჰ არა ბერძნული ომეგის ქართული შესატყვი

[1]. ცნობა მომაწოდა პალეოგრაფმა ლამარა ქაჯაიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

სი უნდა იყოს, არამედ უფრო თანხმოვანი, და ამ შემთხვევაში ალბათ იკითხებოდა როგორც ჰ!“.[1]

ე. ი. ძველ ქართულ ტექსტებში ჵ-ასო-ნიშანს ან Ⴍ-ხმოვნის მნიშვნელობა ჰქონდა ან ჰ-თანხმოვნისა. ჵ-ასო-ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობის გამო აკ. შანიძე კიდევ ერთხელ შემდეგსა წერს:

„ჵ ძველის-ძველად იყო დახურული Ⴍ დიფთონგისებური ხასიათისა (დაახლოებით ႭႳ) შემდეგში მას კითხულობდნენ ასე: Ⴍჲ (ხანაც ჰოჲ). ძველის ძველად Ⴍ შეეფერებოდა ბერძნულ ომიკრონს, მაშინ როდესაც ჵ იყო ბერძნული ომეგის ბადალი ო-0, ჵ-ჲ)“.[2]

ამასთან ერთად, ჩემი მხრით, უნდა დავუმატო, რომ გვიან -ასო-ნიშანს ჰႭ მარცვლის მნიშვნელობაც ჰქონდა.[3]

თუ ყოველივე შევაჯამეთ, ირკვევა, რომ ჵ-ასო-ნიშანს ჰქონდა როგორც ხმოვანი Ⴍ-ბგერის მნიშვნელობა, აგრეთვე ჰ-თანხმოვნის მნიშვნელობაცა და Ⴍჲ, ჰႭჲ, ჰႭ-მარცვლების მნიშვნელობაც.

ცხადია, ჵ-ასო-ნიშანი სრულიად ზედმეტია ანბანში. ქართული ფონეტიკის თვალსაზრისით მის არსებობას ანბანში გამართლება არა აქვს. როგორც ჩანს, იგი შემოღებულია გვიან, მაგრამ IV-V საუკუნეებზე უფრო ადრე, ბერძნული ანბანის გავლენით, როცა უკვე დაწყებული იყო ქართული ანბანის კალენდარული მნიშვნელობა. ჵ-ასო-ნიშნის ანბანური სახელის შესახებ აკ. შანიძე წერს:

„ქართული ანბანის უკანასკნელ ასოს ძველად Ⴍჳ ჰრქმევია.“[4]

ჵ-ასო-ნიშნის ეს სახელი დადასტურებულია თომას სახარების აპოკრიფის ქართულ ვერსიაში: „და იწყო იესუ სიტყუად წერილისა მის ყოვლისა ალფაჲთგან მიოჰამდე დიდითა გამოძიებითა“.[5]

ჵ-ასო-ნიშნის სახელი Ⴍჳ დასტურდება აგრეთვე სომხურ წყაროშიც.[6]

ჵ-ასო-ნიშნის ანბანური სახელის გამო აკ. შანიძე კიდევ ერთხელ შემდეგს წერს:

„ჵ. ძველად ერქვა Ⴍჳ, ეხლა კი ჰქვია ჰოე.; ძველად ამბობდნენ: ანი და ოჰი ( ალფა და ომეგა), ანიდან მიოჰამდე (ალფადან ომეგამდე)“.[1]

შეიძლება დავასკვნათ: „Ⴍჳ“ ანუ „ჰႭე“-ასო-ნიშანს ჰქონდა სხვადასხვა ფონეტიკური მნიშვნელობა და სხვადასხვა სახელიც კი. ეს იმის მაუწყებელია, რომ იგი ძირითადი ანბანური ასო-ნიშანი არ არის და გვიან დაურთეს ანბანს ბოლოში ბერძნული ანბანის გავლენით, ბერძნული „ომეგის“ ბადლად და რიცხვის 10.000-ის აღმნიშვნელ ასო-ნიშნად.

ახლა ქართული ანბანური მწკრივის 36-ე „ჰაე“-ასო-ნიშნის შესახებ.

ამ ასო-ნიშნის თაობაზე მე უკვე გამოვთქვი ჩემი თვალსაზრისი გამოკვლევაში „ქართული ასომთავრული“. აქ მოკლედ ვიტყვით:

როგორც უკვე აღინიშნა, რიგით და ანბანურ სათვალავებს შორის ქართულ ანბანში სრული შესაბამისობაა. ამიტომ რიგითი სათვალავით 36-ე „ჰაე“ — გრაფემას ანბანური სათვალავით 9.000-ის რიცხვითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყოველთვის კი არა. ამიტომ ქართულ რიგით და ანბანურ სათვალავში, გამონაკლისის სახით, ერთი შეუსაბამობა მაინც გვაქვს—უკანასკნელ (თუ ჵ-ასო-ნიშანს აღარ ჩავთვლით) 36-ე „ჰაე“ გრაფემა ზოგჯერ 8-ის აღმნიშვნელია და Ⴡ (ე-მერვეს) ენაცვლება ხოლმე.

რით უნდა აიხსნას ასო „ჰაე“-ს რვული რიცხვითი მნიშვნელობა?

ამ გარემოებას ერთადერთი ახსნა-განმარტება შეიძლება ჰქონდეს: უთუოდ „ჰაე“ ქართულ ანბანში თავდაპირველად მე-8 ასო-ნიშნად იჯდა და მხოლოდ შემდეგ გადაადგილდა უკანასკნელ ასო-ნიშნად ანბანურ მწკრივში. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ქართულ ანბანურ მწკრივში Ⴡ (ე-მერვეს) ჰ ბგერის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც Ⴡ (ე-მერვემ) ხმოვანი ბგერის მნიშვნელობა შეიძინა, ჰ-ბგერის აღმნიშვნელად ახალი ასო-ნიშანი შემოიღეს და ანბანს ბოლოში დაურთეს.

ამ საკითხის გამო ორი თვალსაზრისია გამოთქმული: ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძისა. კერძოდ, აკაკი შანიძე წერს:

„Ⴡ (სახელად ეი) იყო Ე-ხმოვანის მსგავსი ბგერა, რომელსაც ძველის-ძველად დიფთონგისებრი ელფერი უნდა ჰქონოდა (დაახლოებით ეჲ). იგი ხმოვანი იყო, მაგრამ ზოგჯერ (მაგ. XVII-XIII საუკ-ში) „ჰ-ში“ რევდნენ... (ხაზი ჩემია რ. პ.). ძველის-ძველად Ე იყო ბე-

---

1 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. გამოსცა აკ. შანიძემ, თბ. 1945 წ., გვ. 050.

2 აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები 1-მორფოლოგია. მეორე გამოცემა, თბილისი, 1973 წ., გვ. 18.

3 პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი ჵ-ასო-ნიშანს ჰႭ-მარცვლის მნიშვნელობითაც ხმარობს.

4 ა. შანიძე. თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები XVIII, თბილისი, 1941 წ. გვ. 33.

5 იქვე, გვ. 38.

6 ა. შანიძე, Новооткрытый алфавит кавказских албанцев... Известия ИЯИМК т. IV, 1938 г. стр. 21.

1 ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973 წ., გვ. 18.

რძნული ეფსილონის ბადალი, ჱ კი—ეტასი (ე = E, ჱ = H)".[1]

ამავე საკითხის შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერს:

„ქართულ ხათვალავშიაც; სადაც „ჱ" უნდა იჯდეს, „ჰ" ზის. ეს გარემოებაც იმის მომასწავებელია, რომ ეს ორი ასო ერთმანეთის შესატყვისობად ჰქონიათ მიჩნეული. მართალია ეს მოვლენა უფრო მერმინდელ ძეგლებშია შემჩნეული და მერმინდელ შეცდომად ითვლება, მაგრამ ამასაც გამორკვევა ეჭირვება, სწორედ შეცდომაა, თუ აქ ძველ გადმოცემასა და მოვლენასთან გვაქვს საქმე".[2]

ვფიქრობ, რომ სწორია ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი. ამის შესახებ მე უკვე ვთქვი გამოკვლევაში „ქართული ასომთავრული". ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისის სასარგებლოდ აქ დამატებით შეიძლება ითქვას შემდეგი:

„ჱ" (ე-მერვე)-სა და „ჰაე"-ასო-ნიშნების ფონეტიკური იდენტურობის თვალსაზრისით საინტერესოა ქართული კრიპტოგრაფიული მასალები. საგულისხმოა, რომ ქართულ საიდუმლო ანუ კრიპტოგრაფიულ დამწერლობებში, რომლებშიც ასო-ნიშნების ურთიერთ შენაცვლების პრინციპია განხორციელებული, ასო „ჰაე" ზოგჯერ 36-ე ადგილიდან მე-8 ადგილზეა გადმონაცვლებული, ან კი ჱ (ე-მერვე) „ჰაე"-ბგერის ფუნქციას ასრულებს.

ასო-ნიშნების შენაცვლების პრინციპზე დაფუძნებული ოთხი სხვადასხვა კრიპტოგრაფიული ანუ საიდუმლო ანბანია ცნობილი: 1. ანჰოეური, 2. ანჯანური, 3. ანჩინური, 4. ანრეული.[3]

ანჰოეური კრიპტოგრამები ძველ ქართულ ხელნაწერებში არ გვხვდება, ე. ი. არცერთი შემთხვევა ანჰოეურისა ხელნაწერებში დადასტურებული არ არის. ცნობილია მხოლოდ გასაღები ანჰოეური ანბანისა. დაცულია პარიზის ერთერთ ხელნაწერში, გამოქვეყნებული აქვს ექვთიმე თაყაიშვილს.

ჩვენი საკითხისათვის ანჰოეურის განხილვას მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა ენიჭება ანჯანურსა, ანჩინურსა და ანრეულს. ანჯანური ანბანი ასეთია:

აჯ, ბხ, გქ, დჰ, ეწ, ვძ, ზც, ჰჩ, თშ, იყ, კღ, ლქ, მფ, ნუ, ოტ, პს, რჟ.[1]

ანჯანური ანბანი, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უკუღმა მობრუნებულ ანბანს წარმოადგენს",[2] ე. ი. ა-ბგერის გადმოსაცემად ჯ-ასო-ნიშანი იწერება და პირუკუ ჯ-ბგერის სანაცვლოდ ა-ასო-ნიშანი და ა. შ.

ანჯანური ანბანი, როგორც ცნობილია, შემოღებულია ფარსადან გორგიჯანიძის მიერ (XVII-XVIII სს.).

ანჯანური ანბანის შესახებ აკ. შანიძე წერს:

„ფარსადან გორგიჯანიძის ანჯანური ანბანი ათბაშურ სისტემაზეა აგებული. აქ ქართული ანბანის უკანასკნელ ასოდ ჯ არის მიღებული, რადგანაც ფარსადანის დროს მხედრულ ანბანში ჯ იჯდა ბოლოს და არა ჰ, რომელიც მერვე ადგილზე იყო გადმონაცვლებული".[3]

ამგვარად, ანჯანურ ანბანში მნიშვნელოვანი ის არის, რომ „ჰაე" ასო-ნიშანი მე-8 ადგილზეა გადმონაცვლებული და ჱ (ე-მერვეს) ადგილას ზის.

ანჯანური ანბანის გასაღები პარიზული ქართული ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებული აქვს ექვთიმე თაყაიშვილს. ეს გასაღები რამდენადმე განსხვავდება ივ. ჯავახიშვილის მიერ „ქართულ პალეოგრაფიაში" დაბეჭდილ ანჯანური ანბანის გასაღებისაგან. აი, ეს ანჯანურიც:

აჯ, ბქ, გხ, დჰ, ეწ, ვძ, ზც, ჱჩ, თშ, იყ, კღ, ლქ, მფ, ნუ, ოტ, პს, ჟრ. ამ გასაღებით ჱ (ე-მერვე) თავის ადგილზე ზის, მაგრამ ფონეტიკურად „ჰაე"-ბგერის ფუნქციას ასრულებს.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ: ანჯანურ კრიპტოგრაფიულ დამწერლობაში ასო-ნიშანი „ჰაე" ზოგჯერ 36-ე ადგილიდან მე-8 ადგილზეა გადმონაცვლებული, ან კი ჱ (ე-მერვე) „ჰაე"-ბგერის ფუნქციას ასრულებს.

ახლა ანჩინური კრიპტოგრაფიული ანბანის შესახებ.

ანჩინურის კრიპტოგრაფიული ნიმუშები IX-X საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში უკვე დასტურდება. ამიტომ, ცხადია, რომ თუ უფრო ადრე არა, ანჩინური IX საუკუნიდან მაინც უნდა არსებულიყო.

ანჩინური კრიპტოგრაფიული დამწერლობის შესახებ აკ. შანიძე წერს:

„ანჩინურ ანბანში ჩვეულებრივი ასოებისათვის დათქმული ფონეტიკური მნიშვნელობის მინიჭების დროს მიღებულია მათი რიცხვითი

---

1 აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1 მორფოლოგია მე-2 გამოცემა—თბილისი. 1973 წ., გვ. 18.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 201.

3 ექ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 4-5.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 133.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 133.

3 აკ. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმომხილველი I, ტფილისი, 1926 წ. გვ. 237 (სქოლიო).

მნიშვნელობა; სახელდობრ ის ასოები, რომელთა რიცხვითი მნიშვნელობაც ერთეულებს წარმოადგენს, ნახმარია იმ ასოების ნაცვლად, რომელნიც შესაბამისად ათასეულებს გამოხატავენ და წინაუკმო, ხოლო ათეულების ასოები ასეულებისას ენაცვლებიან შესაბამისად. უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ ჱ-ასო გაგეგულია როგორც ჰ და ანბანის რიგში მოთავსებულია მის ალაგას, ხოლო ჰ გადმონაცვლებულია მერვე ალაგას (ხაზი ჩემია. რ. პ.). ზემორე ნათქვამი რომ გრაფიკულად გამოვხატოთ, მივიღებთ შემდეგ ცხრილს:

ერთეულები: ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ(ჰ) თ
ათასეულები: ჩ ც ძ წ ჭ ხ ჴ ჯ ჰ (ჱ)
ათეულები ი კ ლ მ ნ ჲ ო პ ჟ
ასეულები რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ

რაიცა შეეხება თან-ის ბადალ ასოს, იგი იქნება ან ჱ, ან ჰ (ერთი რომელიმე), იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი იქნება რიგის ბოლოში მოქცეული ცხრა ათასის მნიშვნელობით, მეორე კი შეენაცვლება ჯან-ს (8.000), რადგან იგი მოხვდება მერვე ადგილზე".[1]

ივანე ჯავახიშვილი ანჩინურ ანბანში ჱ (ე-მერვე) და ჰ-ასო-ნიშნების შესახებ ამბობს:

„ჱ" და „ჰ" ერთიმეორის შესატყვისობად არიან მიჩნეულნი და ერთიმეორის ალაგას არიან ნახმარნი".[2]

გარდა ამისა, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემულ ანჩინურ ანბანში „ჰაე"-ასო-ნიშანი არ არის, ჱ (ე-მერვე) კი „ჰ"-ბგერის ფუნქციას ასრულებს.

უნდა დავასკვნათ: უკვე IX საუკუნეში ანჩინურ ანბანში ჱ (ე-მერვე) და „ჰაე" ერთი ბგერის გამომხატველ ასო-ნიშნად იყო მიჩნეული, ჱ (ე-მერვე) ჰ-ბგერის მნიშვნელობით იკითხებოდა.

დაბოლოს ანრეული კრიპტოგრაფიული ანბანის შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილის თვალსაზრისით ეს კრიპტოგრაფიული ანბანი გვიანდელი შემოღებულია და მისი შემოღება ანტონ I კათალიკოსს მიეწერება.

1. აკ. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტომი I, ტფილისი, 1922 წ., გვ. 64, 65.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 134.

ანრეული კრიპტოგრაფიული ნიმუშები ქართულ ხელნაწერებში ცოტაა დადასტურებული. „ჰაე" ანრეულში არ არის, „ჰაე"-ასო-ნიშნის ფუნქციას ჱ (ე-მერვე) ასრულებს, ე. ი. ჱ (ე-მერვე) „ჰ" ბგერის მნიშვნელობით იკითხება.

ამგვარად, ქართული კრიპტოგრაფიული დამწერლობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჱ (ე-მერვე) და „ჰაე" ასო-ნიშნების მონაცვლება შემთხვევითი და გვიანდელი (XVII-XVIII საუკუნეების) მოვლენა კი არ არის მხოლოდ, არამედ ამ გარემოებას უძველესი მიზეზები აქვს.

ძალაში რჩება ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი:

„თავდაპირველად მერვე ასოს „ჱ" ქართულად „ჰ"-ს მნიშვნელობა ჰქონდა და მხოლოდ შემდეგში, როდესაც მას გამოთქმა შეეცვალა, საჭირო შეიქმნა „ჰ"-ისათვის ახალი ნიშნის შექმნა... ეს მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც ანბანი მთლად დამთავრებულად ითვლებოდა".[1]

როდის უნდა შემოღებულიყო „ჰაე"-ასო-ნიშანი 36-ე ასო-ნიშნად ქართულ ანბანში?

უძველეს ხანმეტურ ტექსტებში „ჰაე"-ასო-ნიშანი უკვე შემოღებულია. ხანმეტური ტექსტები კი თავისი წარმოშობით IV-V საუკუნეების დროისაა. ამიტომ, ცხადია, „ჰაე" ასო-ნიშანი შემოღებულია IV-V საუკუნეებზე უფრო ადრე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში.

როგორც უკვე გამორკვეულია, ქართულ ანბანს, თავდაპირველად, ჯვარის იდეოგრაფიული ნიშანი „ჯან"-ი ამთავრებდა, ხოლო მე-8 ასო-ნიშანს ქართულ ანბანურ მწკრივში ჰ-ბგერის მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ქართული ასომთავრული დამწერლობის შემოღებისას ქართულ ანბანურ მწკრივებში 35 ასო-ნიშანი იყო.

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ჱ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ჲ,
ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, ჳ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ,
ჭ, ხ, ჴ, ჯ.

ამ 35 ასო-ნიშანში განხორციელებულია ქართული წარმართული კალენდარი. ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით.

1. ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია გვ. 202.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინა ჩხაიძე

# დემნა შენგელაიას ნოველათა ხალხური წყაროები

დღევანდელ ქართულ მწერლობაში დემნა შენგელაია ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატია, რომლის შემოქმედებაც ფოლკლორსაა ნაზიარევი.

„სხვათაშორის, ჩემი პირველი მოთხრობაც ფოლკლორზე იყო დაფუძნებული“, — წერს დემნა შენგელაია (დ. შენგელაიას პირველი მოთხრობა „ნირვანა“ 1915 წელს დაიბეჭდა „თემში“).

„ნირვანა“ ნოველა-ზღაპარია, რომელიც იდეალური სურათის აღწერით იწყება. მწყემსი ტოჩი სალამურს უკრავს და თირთაია „გარეტებულ მძინარესავით“ მირონინებს მისკენ. შემთხვევითი არ არის, რომ ნოველის პერსონაჟ ქალს თირთაია ჰქვია. თირთაია კი კირკე ცირცეას ფონეტიკური სახესხვაობაა, ხოლო მითი აიელ ჯადოქარზე კარგადაა ცნობილი: კირკემ ღორებად აქცია ოდისევსის თანამგზავრები, ოდისევსისაგან კი დაბადა ვაჟი-ტელეგონისი.

თირთაიაც გრძნეულია. ტოჩი მისი გულისათვის სულს დაუთმობს კუდიან დედაბერს, ხათუნას, თირთაიას ბებიას, რომლის სახე როკაპთანაა დაკავშირებული.

თ. სახოკია გვამცნობს: როკაპის „რეზიდენცია ტაბაკონას მთაზეა... როკაპი წარმოდგენილია სახიჩარ, ბებერ დედაკაცის სახით. ჰეჰეთობა ღამეს მზაკვრები... ძღვენს მიართმევენ როკაპს. გაიხედავ, წარუდგა მზაკვარი, რომელმაც არ შეიბრალა საკუთარი ძუძუთა ბავშვი, ამოჰგლიჯა მისი პაწაწინა ნაზი გული და როკაპს ფეხებთან დაუგდო...“

დემნა შენგელაიას მიერ ნოველაში როკაპის სახის გამოყენებას თავისი მიზანდასახულება აქვს. მწერალი აჩვენებს ტოჩის მსხვერპლის სიდიადეს. მწყემსი სიყვარულის გულისათვის არ დაერიდა სულის დათმობას ამ საზარელი დედაბრისათვის.

დიდ ხანს ცხოვრობდნენ ტოჩი და თირთაია ერთად. ეს იყო განცხრომა, ნირვანა, მაგრამ მოსწყინდა ტოჩის, რადგან იგი მიხვდა, რომ „ბედნიერება — ეს უკვდავი სულის ლტოლვაძიებაა“. ტოჩი უფსკრულში გადაიჩეხება. სიკვდილის წინ კი ადრინდელ იდეალს — ღვთაება არმაზს ასე შესძახებს: „არმაზო, რამდენად უბედური ყოფილხარ შენი ყოვლად შემძლეობით და რამდენად შენზე უფრო ბედნიერი ვყოფილვარ. უბედურო! სიკვდილი მაინც შემიძლიან!“

ამ სიტყვებით იხსნება ნოველის იდეა, რომელიც გვახსენებს ცნობილ ზღაპარს — „მიწა თავისას მოითხოვს“. ზღაპრის პერსონაჟიც დიდ ხანს ცხოვრობდა მშვენიერების სამეფოში, მაგრამ ბოლოს მიწას დაუბრუნდა და მიწადვე იქცა.

ფოლკლორთან თანაზიარობის თვალსაზრისით საინტერესოა 1924 წელს დაწერილი ნოველა „კაც“.

— „მე მატლ ვარ და არა კაც“, — ფსალმუნის ამ სიტყვებს იმეორებს ყოფილი მენშევიკი — ანდრო რაშაძე, რომელსაც სძულს თანამედროვეობა. ნოველის ამ პერსონაჟის უნიადაგობაზე მწერალი ასეთი დეტალით მიგვანიშნებს: წვიმით გალუმპული ანდრო სახლში ბრუნდება და ხედავს: მის ცოლს კომისარი თაბაგარი ჰკოცნის. ლოგინის თავზე კი ჰკიდია მაუზერი, ხის ბუდით და ყვითელი გიტარა. საგნები თვალსაჩინოებას იძენენ: მაუზერი იგივე კომისარი თაბაგარია, ხოლო ყვითელი გიტარა — თვით ანდრო, და „რაშაძეს

შეებრალა ეს ჰაერში გიტარასავით ჩამოკიდებული კაცი".

ანდროს განადგურება ყველაზე უკეთ ცოლის ღალატში გაცხადდა. ცოლს ესმა ჰქვია, მაგრამ ანდრო მას რატომღაც ვენერას უწოდებს. ნიშანდობლივია ეს ფაქტი (გავიხსენოთ, რომ ნოველაში ყოველ დეტალს აზრობრივი დატვირთვა გააჩნია). ვენერა იგივე აფროდიტეა — სილამაზის, ნაყოფიერებისა და ქალურობის განსახიერება. ვენერამ აქცია ზურგი ანდრო რაშაძეს, რადგან ის უნაყოფოა, უძლური და ზედმეტი ბარგი.

„ოქროს თევზებივითა ვართ ამ წყალში და ცხოვრებაში", — ფიქრობს ანდრო და ტუჩები ირონიული ღიმილით ემანჭება. ქართული ზღაპრის (და არა მარტო ქართული) ოქროს თევზს ბედნიერება მოაქვს ბედის იღბლიანად მტყორცნელისათვის. ოქროს თევზი სიუხვის, დოვლათისა და ბარაქის მომნიჭებელია. ოქრო ღვთაებრიობის აღმნიშვნელი ლითონია, ხოლო თევზისტანიანია ნაყოფიერების ღვთაება, სამი სკნელის გამგებელი ქალღმერთი იშთარი. ოქროს თევზის შედარება ანდრო რაშაძესთან ამიტომ იწვევს ირონიულ ღიმილს. ფოლკლორიდან აღებული მხატვრული სახის სრული უკუფენაა დროისა და ეპოქის მიერ საყრდენგამოცლილი, „კაც"-ად წოდებული ანდრო;

1926 წელს აქვეყნებს დემნა შენგელაია ნოველას „ლაფშა". თენგიზ ფაცაციას, — მოგვითხრობს მწერალი, — შთამომავლობით გადმოეცა ცხენისადმი გიჟური სიყვარული. „კვიცი გვარზე ხტის და შვილმაც მამის უკუღმართი გზებით დაიწყო სიარული. ისიც მამამისივით ღვთის პირიდან გადავარდნილი, ცხენის უსაშველო ქურდი და ყომარბაზი გამოვიდა... აშბობდნენ, კი, მართალია, კაცის შვილია, მაგრამ მთავარი ძარღვი მაინც ცხენისა აქვს, სისხლიც ძარღვებში ცხენის უდგასო".

ამ პერსონაჟის ხასიათს რეალური საფუძველი ეძებნება.

ს. მაკალათია გვამცნობს, რომ ცხენოსნობის ეპიზოდები და თქმულებები, როგორც ვაჟკაცობის საზომი, დღესაც შემონახულია სამეგრელოშიო. მაგრამ, ამის გარდა, ცხენისადმი თენგიზ ფაცაციას სიყვარულში, ისევე როგორც თამშუღ დანელიასა და კოჩა ივარდავას ხასიათებში, ერთგვარი საკრალურობაა გაცხადებული. „ცხენი ქართველ ტომებში, როგორც მისი თავდაცვის უებარი, განსაკუთრებული მნიშვნელობის საშუალებაა და დიდი ძალა, იმთავითვე იმდენად საპატიო ადგილს იკავებს, რომ ისტორიულ ადრინდელ ეპოქაში საკულტო შინაარსს იძენს ცხენზე ამხედრებული მხედარი მეომარი ხალხის ფართო ფენებსაც გამოხატავდა", წერს ა. იოსელიანი.

გავიხსენოთ, რომ ცხენის დღესასწაულად უხსოვარ დროიდან „თედორობა" ითვლებოდა, რადგან ვითომ თედორემ ხმელეთზე პირველად ამოიყვანა ცხენი წყლიდან, სადაც მანამდე იგი თითქოს მუდმივად ცხოვრობდა.

როგორც ცნობილია, კოლხეთში არის ასეთი ანდაზაც: „ბედნიერი კაცი ის არის, ვისაც ჰყავს კარგი ცხენი, უკეთესი ძაღლი და საუკეთესო მიმინო".

ცხენი ისტორიულადაა დაკავშირებული ეროვნულ ყოფასთან და ნოველის პერსონაჟის ცხენით უზომო გატაცებაში ეროვნული ხასიათის ერთი თვისებათაგანია გამჟღავნებული. გარდა ამისა, ლაფშას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, იგი არ არის უბრალო ცხენი. დემნა შენგელაია ნოველის 1934 წლის გამოცემაში წერს: „ეს ის იყო, ბავშვობაში რომ ესიზმრებოდა: ცხენი — ღვთისშობელი, ცხენი — წმ. გიორგი, ცხენი — ბედისწერა." მწერლის ეს თქმა ლაფშას სიმბოლურად აკავშირებს ძველ საქართველოსთან, რომელთანაც სიღრმისეული ფესვებითაა დაკავშირებული თენგიზის პიროვნებაც. მაგრამ ცხენი აწ უკვე გარდასული ეპოქის ატრიბუტია, რომელსაც ფუნქცია გამოცლილი აქვს. პატარებლის საუკუნეში ცხენის მოურჩენელი სევდით შეპყრობილი თენგიზ ფაცაცია, რა თქმა უნდა, დასაღუპავადაა განწირული. ლაფშა „მელანივით შავია" — შავი კი ქვესკნელის ფერია და ამითაც წინასწარვეა მინიშნებული თენგიზის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული.

საინტერესოა ნოველის არქიტექტონიკა. თენგიზ ფაცაციას ბედისწერასავით ეცხადება ლაფშა და ისიც ყველაფერს ტოვებს, უკანმოუხედავად მისდევს ცხენის ნაკვალევს. ზღაპრების პერსონაჟისათვის ასევე საბედისწერო მნიშვნელობას იძენს მიმანიშნებელი ნივთი, დედაბრის თქმა და პერსონაჟიც ტოვებს მახლობლებს, სამშობლოს, ზოგჯერ ფეხითა და ზოგჯერ რაშით კვალდაკვალ მისდევს აზრით აღსავსე მიზანს; ამიტომაა, პერსონაჟიც ყველა დაბრკოლებას ძლევს და ზღაპრის ბოლოც კეთილია.

ყოველივე ამის უკუფენაა თენგიზ ფაცაციას უაზროდ დამთავრებული სიცოცხლე.

საყურადღებოა ნოველად გადამუშავებული ცნობილი ზღაპარი „ნაცარქექია". „ნაცარქექია" წარმოადგენდა ჩემივე რომანის „ბათა ქექიას" პროლოგს," — წერს დემნა შენგელაია ნოველების 1960 წლის გამოცემაში. იმთავითვე ჩანს, რომ მწერალი ქართული ზღაპრის ამ პერსონაჟს ყურადღებას საგანგებოდ აქცევს. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ნაცარქექია უაღრესად შთამბეჭდავი სახეა. გავიხსენოთ, რომ აკაკი წერეთელმა ნაცარქექია დონ-კიხოტის, სანჩოს, ფალსტაფის გვერდით დააყენა და მის ჭკუა-მოხერხებას ფარ-ხმალი უწოდა.

ფოლკლორული სახე ქართულ მწერლობა-

შიც გადავიდა და ერთგვარად მეორეული სიცოცხლე მოიპოვა ყვარყვარე თუთაბერის, გვადი ბიგვას, ბათა ქექიას სახით.

მაინც როგორია გააზრებული ნაცარქექიას ზეპირსიტყვიერი სახე, რატომ უყვარს ხალხს ეს პერსონაჟი?

1934 წელს „ლიტერატურულ გაზეთში" დაიბეჭდა თედო ბეგიაშვილის წერილი — „ბათა ქექია — ნაცარქექია". წერილის ავტორი ბათას სახეს განმარტავს, როგორც მატყუარასა და მლიქვნელის ტიპს და მას ლაზარილიო ტორმესელისა და კვაჭი კვაჭანტირაძის გვერდით აყენებს. ამ მიმართულებით ავლებს მკვლევარი პარალელს ბათასა და ნაცარქექიას შორის, იგი წერს: „ბათას პროტოტიპი ნაცარქექია ყოველ ნაბიჯზე ტყუის, ყოველ ნაბიჯზე გაიძვერულად მუხანათობს. ...იგი ზარმაცი, უსაქმო, მაგრამ კომბინატორი ადამიანის ტიპია, ...ცხოვრებაში მოქნილი და გაიძვერა, ეგოისტი და პარაზიტული ბუნების შემცველი".

როგორც ბათას, ასევე ნაცარქექიას სახის ამგვარი გაგება მცდარია; გავიხსენოთ, რა სიმპათიითაა ხალხი განწყობილი ნაცარქექიასადმი, რადგან ეს პერსონაჟი იუმორის ნიჭითაა დაჯილდოებული, რაც მას ოპტიმიზმითა და ყოველგვარი სიტუაციიდან თავის დახსნის უნარით ავსებს.

მელეტინსკი თავის წიგნში — „საგმირო ეპოსის წარმოშობა" — ხაზგასმით მიუთითებს ისეთ ფოლკლორულ მოვლენაზე, როცა ხდება მითოლოგიურ გმირთა სახეების ან პერსონაჟთა მოქმედების კომიკური გადააზრება. მელეტინსკის მრავალრიცხოვანი მაგალითები მოაქვს სხვადასხვა ხალხის ფოლკლორიდან. მითურ გმირს ადამიანებისათვის მოაქვს ცეცხლი, მარცვლეული, სასმელი წყალი და სხვ. ისინი ერკინებიან შავბნელ ძალებს; ეს გმირული საწყისია, მაგრამ ამ გმირთა გვერდით შექმნილია მათი პაროდიული ორეულები, რომელნიც ანეკდოტების პერსონაჟებივით მოქმედებენ.

ბახტინი წიგნში — „ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შუასაუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა" წერს, რომ ამ მოვლენაში (გმირულის კომიკურ შემოტრიალებაში) სამყაროს აღქმის ორმაგი ასპექტი იყო, რამაც მკვეთრი სოციალური ჟღერადობა მიიღო შუა საუკუნეებში და ყოველივე ოფიციალურს, დაკანონებულს დაუპირისპირდა აიცილის ფორმით; ტრაგიკული, ზვიადი, ამაღლებული ჩვეულებრივ ყოფას დაუახლოვდა და მიწიერი კონკრეტულობა შეიძინა.

ეს ექსკურსი ერთგვარად საშუალებას იძლევა, ვიფიქროთ, ხომ შეიძლება ნაცარქექია დევების წინააღმდეგ მებრძოლი გმირების კომიკურ ორეულად ჩავთვალოთ?

სხვათა შორის, დემნა შენგელაიას გადამუშავებულ ნოველაში დევი ეუბნება ნაცარქექიას: „შენ, ალბათ, ის ბუმბერაზი ხარ, აქამდე რომ მიჯაჭვული იყო, და ახლა აგიშვიათ."

კომიკურია, პირველ რიგში, ნაცარქექიას ყველა „საბრძოლო იარაღი" — სადგისი, ნაცარი, ჭყინტი ყველი. დავუპირისპიროთ ამირანის გორდა ხმალი, კოპალას ცხრაფუთიანი ლახტი და სხვა.

დევების დაცხიკება ჭერისაკენ ბუმბულივით ისვრის ნაცარქექიას, ამირანი ბაყბაყ დევს ერთი მოქნევით მოსტეხს მხარს.

ნაცარქექიას დევების ცარიელი კოკის თრევაც წელს სწყვეტს, იახსარი „სამოც ლიტრა რკინას" ქარს უტარებს ძირში.

და მაინც ნაცარქექია დაუმარცხებელია. ამის საფანელი კი ამ პერსონაჟის გონიერება და მოხერხებაა. დემნა შენგელაიაც სწორედ ნაცარქექიას ამ თვისებითაა მოხიბლული. ნოველაში მწერალი ზღაპრის ტრადიციულ სიუჟეტს მთლიანად იყენებს და, ამასთანავე, ისევ ქართული ლეგენდებიდან, ზღაპრებიდან, ხალხური ნოველებიდან შემოაქვს ნაცარქექიას ჭკუისა და მოხერხების დამადასტურებელი სხვა მოტივებიც. სიკვდილის მოტყუება, ღმერთისა და ეშმაკის დაჯაბნა; ნაცარქექიას ცოლის პროტოტიპი ფოლკლორიდანაა აღებული, კერძოდ კი ავი და კორიანჩხელი ქალების ტიპაჟიდან. საერთოდ, ნოველაში დომინირებს მოტივი „ქალი ეშმაკზე უარესია". გარეგნულად ჩია, მაგრამ იუმორით დაჯურსული ნაცარქექია ჯაბნის დევებს, სიკვდილს, სატანას, მხოლოდ „ეშმაკზე უარესი" ცოლის შიში ვერ დაუძლევია.

მწერალს უყვარს ეს პერსონაჟი, ნოველაში ნაცარქექიას სიზარმაცეც მოტივირებულია: „ნაცარს ქექდა და ქვეყნის საქმეებს გულს უცემდა... ...ვერ არის ეს ქვეყანა კარგად მოწყობილიო".

სხვათა შორის, მწერალმა ნაცარქექიას სახე ასე განმარტა: „მე მხიბლავს მისი ინტელექტი. გავაზვიადებ და ვიტყვი, ამ ინტელექტს რომ გასაქანი მისცე, ვინ იცის, სადამდე მივა, ქართულ ფოლკლორში არის ასეთი სახეები: ჭინჭრაქა, ხუთკუნჭულა.. დაუკვირდით, ოთხის მაგიერ ხუთი კუნჭული აქვს"...

ზეპირსიტყვიერ სახეს ეყრდნობა დ. შენგელაიას ნოველა „ოროველი".

„ქართველებს სწამდათ... მიწის, მოსავლის კეთილი ღმერთი ოროველ", — წერს მ. კელენჯერიძე.

„ოროველ,
ორმო ჩასთხარე ქვიანი,
მოგვეც ბარაქაო,
ოროველ, მოდი კალოსა,
არავინ მოგიპაროსა,
არავინ შეგსვას, შეგჭამოს,
არავინ მოგიპაროსა".

— ამ ტექსტებს იმოწმებს თამარ ოქროშიძე გამოკვლევაში „ქართული ხალხური შრომის პოეზია“ — ასე უმღერდნენ გლეხები ამ კეთილ ღმერთს.

ოროველს გარკვეულ რელიგიურ პერსონად მიიჩნევს მიხეილ ჩიქოვანი: „მას მოსავლიანობის გაზრდა და ხელისმოწყობა ევალებოდა“.

დ. შენგელაიას ნოველის პერსონაჟადქცეული ოროველიც სწორედ ამ მაგიური ძალის მფლობელია. ნოველის დასაწყისშივე მწერლის ინდივიდუალური ხედვა ფერებს ზუსტად არჩევს ოროველის სამყაროს გამოსახვისათვის: „პური დამწიფდა. ქვეყანა ხვავით, ბარაქით ავსებულა. მაღალი შუადღის გაგანიამ ლამის არის დასწვას, დახუთოს დედამიწა. ხვატში გატრუნულ ხოდაბუნებს ალმური ასდის. მზით ჩახუხრებულ შავფხას, დიკას და დოლისპურს თავთავები ძირს დაუხრიათ და შიგ ღვთის თვალი ტრიალებს“.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი — ტატე და ნენე კალოს ლეწავენ. სიცხისაგან ვაბრუებულ ნენეს ხილვაში ბარაქის ღვთაების გარეგნული ხატია წარმოდგენილი. „თავთავებით ტანგაბანჯგვლული ბერიკაცი, ძირფესვიანად მოთხრილ ზერმუხის კუნძივით, შუა კალოში რას დაუუნტულა; მარჩხი თვალები ურცხვი ღიმილით უწმაწურად მიწვრილებია... თავთავებითვე გაბანჯგვლულ მუხლებს იდაყვებით ჩამოყრდნობია და ხორბლისფრჩხილებიანი გრძელი თითებით თავთავისავე წვერ-ულვაშს ვითომც ფოცხი იყოს, ისე ივარცხნის და თვალების უწმინდური კვესით საბძლისაკენ ჩუმად იტყუებს“.

პერსონადქცეული ოროველის სიახლოვეს, იქვე, კალოზე სასიყვარულო თავდავიწყებას ეძლევა ცოლ-ქმარი. ამ სიმბოლური აქტით სიუხვე და ბარაქა ემატება მოსავალს (გავიხსენოთ „ბოსლობა“, „მელია ტულეფიაჲ“, „საქმისაჲ“ და სხვა წარმართული რიტუალები, სადაც მაგიური ქმედება სწორედ მოსავლის ზრდასთან, ნაყოფიერებასთან, პირუტყვთა და კაცთა სიმრავლე-მატებასთან იყო დაკავშირებული).

ამ ნოველაში აზრობრივი დატვირთვა მთლიანად ფოლკლორულ მასალაზეა გადატანილი. დ. შენგელაიას აზრით, „ოროველი სიცხისა და მზის სადიდებელი გალობაა“, ოროველი შრომასა და ბარაქას ახასიერებს სიმბოლურად და მწერალიც დოვლათის მომნიჭებელი შრომის მეხოტბეა.

დ. შენგელაია არამარტო ქართულ, არამედ სხვა ხალხთა ფოლკლორსაც იყენებს. ამის მაგალითია ნოველა „ჩრდილოეთის ჰანგები“.

ეს ნოველა დ. შენგელაიას 1930 წელს გამოცემულ კრებულში — „ცხრა თვალი“ — გამოქვეყნდა „სამოედური ზღაპრების“ სახელწოდებით. მწერალი ბოლოსიტყვაობაში მიუთითებს: „ზღაპრები თარგმნილია და ჩემ მიერ შეკეთებული, ასე რომ, არ წარმოადგენს წმინდა ფოლკლორს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩრდილოეთის ჰანგები“, შეიძლება ითქვას, მინიატურათა კრებული უფროა, ვიდრე ნოველა. რამდენიმე მოტივია ერთ სათაურში გაერთიანებული და თვითეულს ფანტასტიკური ელფერი ადევს.

„ყინულებს იქით თავბრუდამხვევ ქართა დირეს რომ გადალახავ — ხალხია. მათ არ იციან რაა შური და მტრობა, იციან მხოლოდ სიყვარული.

ისინი ცალფეხანი არიან და მარტო ამიტომ ვერ დადიან. სიყვარულით გული მათ ისე ავსებიათ, რომ მუდამ ჩახვეულნი არიან და ერთარსებადქცეულებს მაშინ, მხოლოდ მაშინ შეუძლიათ სიარული. სიყვარული რომ გათავდება, სწყდებიან ერთმანეთს და იხოცებიან, ამ სიყვარულით სჩადიან ისინი სასწაულებს“.

სამოედები ძველი რუსული სახელწოდებაა ნენცები, ენცები, საერთოდ, საამთა ჩრდილო ტომებისა.

ჩრდილოური ზღაპრების არც ერთ კრებულში ამ მოტივის უშუალო წყარო არ ჩანს. მეტ სიახლოვეს ეს პასაჟი პლატონის ანდროგინონთან იჩენს. „ეს საოცარი არსებანი, რომელთაც ოთხი ფეხი და ოთხი ხელი ჰქონდათ, — ვკითხულობთ „ნადიმში“, — ზევსმა გაკვეთა ორად. და როცა შუა გაკვეთილი აღმოჩნდა კაცის სხეული, თვითეულმა ნახევარმა, მეორის წყურვილით გახელებულმა, ძებნა დაუწყო თავის ტყუპისცალს. შეხვედრისას ერთმანეთს გადაეტმასნებოდნენ ისინი და აგრე ჩახვეულნი, კვლავ ერთარსად ქცევის მსურველნი, იხოცებოდნენ შიმშილით და უმოქმედობით, რადგან არაფრის გაკეთება არ უნდოდათ უერთმანეთოდ.“

დ. შენგელაიას ნოველაში ამ ფანტასტიკური გარეგნობის ხალხის ცხოვრებაც ირეალურია; მაგიური ციკლის ფოლკლორული პასაჟია მოტანილი ამის საჩვენებლად: „თუ ნადირის შეპყრობა უნდათ, ანდა მავნე აედევნებათ, ირმებგაბმულ მარხილს ხატავენ თოვლზე. სხდებიან შიგ და მიჰქრიან“, ...ფრეზერის მიხედვით, ღადებითი მაგიის ფორმულა სწორედ ამას გულისხმობს: თუ გააკეთებ ამასა და ამას, მოხდება ესა და ეს.

„ჩრდილოეთის ჰანგების“ მეორე მინიატურა მთლიანად ზღაპრულია. „კაცმა ტყეში ბოძებზე შემოდგმული კუბო ნახა. კუბოში გასათხოვარი ქალია, რომელიც თურმე მთელი სიცოცხლე ხილვა იყო მხოლოდ. კაცმა გატეხა სამარე, თავისი სულის ნახევარი უწილადა ქალს და ცოლად მოიყვანა“.

ანდრეევის „ზღაპრების სიუჟეტთა საძიებელში“ 307 ნომრად არის შეტანილი „კუბოდან წამომდგარი ქალიშვილი“... ეს მოტივიც მწერლის მიერ არის გადამუშავებული, რადგან მის მიზანს წარმოადგენს მძლეთამძლე სიყვა-

როულის ჩვენება, რომლის გარეშე ყოველივე ხილვაა მხოლოდ. ასეთი სიყვარული სულს სწირავს, სულის თანაზიარობაზეა აგებული და სასწაულის ქმედების ძალით ავსებს ადამიანებს. ფოლკლორული მასალის ფონზე იძენს ამ ნოველის აზრი თვალსაჩინოებას.

არც „ჩრდილოეთის ჰანგების“ ბოლო მინიატურას ეძებნება უშუალო წყარო. მებადური ზაფხულის ღამეს ზღვის პირად იჯდა. „მზე ჯერ კიდევ წყლის იქით იდგა და მისი შუქი ბალახებსა და წვრილ ყვავილებში ძლივძლივობით ატანდა. მზე მძიმედ ამოდიოდა და, საცაა, დღეც მობრძანდებოდა. მებადური მღეროდა იმას, რასაც ფიქრობდა:

მე გორაკზე ვზი
და გავცქერი მზეს და ზღვას.
მზეც გვიცქერის მე და ზღვას.
და კარგად ვართ ჩვენ, სამნი:
მზე, ზღვა და მე“.

ამგვარი აღწერა ესკიზის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუ დეტალებს ზღაპრულ რეალიებად გავიაზრებთ, სამყაროს ჰარმონიის კოსმოგონიურ სურათს მივიღებთ: მზე — ასტრალური ღვთაებაა და ზესკნელის სიმბოლო, „ზღვა, საერთოდ, ქვესკნელის სტიქიად იყო მიჩნეული“, ხოლო მებადური შუასკნელია და ზეცისა და მიწისქვეშეთის საყრდენი.

* * *

„თქვენ რომ მკითხოთ, რა არის ყველაზე დამახასიათებელი დემნა შენგელაიასათვის როგორც მწერლისა და ადამიანისათვის, მე გიპასუხებდით: ვნებიანი სიყვარული ქართული ენისადმი-მეთქი. ის ძალიან ბევრს მუშაობს ენის კულტურაზე, ძალიან კარგად იცნობს როგორც მწიგნობრულ, ისე ხალხურ ენას. ამას გარდა, კარგად იცნობს ფოლკლორს და ეთნოგრაფიულ ლიტერატურას“. — წერდა გ. ქიქოძე.

სწორედ ეს ქმნის დემნა შენგელაიას სტილის ორიგინალობას, მწერალი თვითეულ სიტყვას სიფრთხილითა და რუდუნებით არჩევს. ამგვარი სიტყვებით შექმნილი ფრაზები კი საოცარ კოლორიტულობას იძენენ.

„შატობრიანის გამოთქმით, — წერს ბ. ტომაშევსკი, — სტილი, განყენებული აზრისაგან განსხვავებით, არ არის კოსმოპოლიტური რამ: მას აქვს თავისი სამშობლო, თავისი ზეცა, თავისი საკუთარი მზე“.

ყური მივუგდოთ დემნა შენგელაიას ქართულს და მართლაც ვიხილავთ იქ ჩვენს ქვეყანას. ამ აზრს ფოლკლორული მასალა აძლევს თვალსაჩინოებას. ამჯერად მაგალითებს ნოველებიდან მოვიტანთ: „მეხდაცემულ ქადარს ცეცხლი ერთბაშად წაეკიდა და ავარდნილ ალში თეთრი ცხენოსანი გამოჩნდა, წმინდა გიორგის თეთრი რაში ხეთა წვერებზე აჭიხვინდა“... „ტყე აიქოჩრა, ყალყზე დადგა, ტოტები მდევარს მოუქნია. მაგრამ თეთრმა ცხენოსანმა ელვა მრისხანედ დააჭახა და ტყე ალმუვდა, ცეცხლი ავარდა“.

გავიხსენოთ, რა დიდი მნიშვნელობის ღვთაებაა წმ. გიორგი. მარტო ის დეტალიც კმარა, რომ ქართველთა სახელმწიფო დროშაზე თეთრ ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი იყო გამოსახული; ეს სახე აძლევს აზრს ამ თითქმის პოეტურობამდე ამაღლებულ მწერლისეულ ხილვას.

სხვა მაგალითში ცნობილი ლეგენდის ემანაციის საფუძველზე იხატება თბილისის კოლორიტული სახე; „შენ დედალი ხოხობივით კრიახობდი საუკუნეებში. თეთრი მეფე ვახტანგ გორგასლანი მოაგდო აქ მიწის ჟინმა, აქ იყო შენი კერა და კერიდან ამოდიოდა გოგირდის ცხელი წყალი. დაემხო ვახტანგ და საფუძველი ოდენ დასდო“.

ქართული ზღაპრის პასაჟით ხასიათდება ნოველის პერსონაჟის იდუმალებით მოსილი სახე: ლაფშა „მიჰქროდა ქარივით და კოჩა იჯდა ზედ დამკვდარი მავნესავით. და ასე, — მიწაზე გაკრული ლაფშა მოედებოდა ხესა და მიწას, ცასა და ბარს და თვალსა და თვალს შუა გაქრებოდა“.

გარდა ამისა, მწერალი ხშირად მიმართავს ანდაზებსა და ანდაზურ მეტყველებას, როგორც აზრის ზუსტად ფორმულირების საშუალებას: „ქვა აღმართში ერთხელ იმასაც წამოეწია“ (გავიხსენოთ ცნობილი ანდაზა: უბედურს ქვა აღმართში მოეწიაო). „მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო, მისი საქმეც ასე იყო“. „მოგება და წაგება ძმებიაო“. „როცა ბედი ზურგს შემოგაქცევს, უნდა მოეშვა და არ აწვალო“.

სხვათა შორის, საკითხი ანდაზების გამოყენებისა საგანგებო შესწავლას მოითხოვს, რადგანაც, ი. ანიჩკოვის აზრით, „იდიომები, ანდაზები და გამოცანები — სტილის არსია, სტილისტიკის შესწავლის საგანია, მეცნიერებისა, რომელიც შეისწავლის ენაში ინდივიდუალურს და სუბიექტურს“.

მ. გვეტაძე ნაშრომში — „ნოველა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“ საგანგებოდ არ ჩერდება დემნა შენგელაიას ნოველებზე. მხოლოდ გაკვრით აღნიშნავს, რომ „ქართველი ნოველისტების შემოქმედების განხილვაში ვერ მოხვდნენ რიგი ქართველი მწერლებისა, რომელნიც უთუოდ საინტერესო ნოველისტები არიან: დემნა შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე“...

ამ ნაშრომში ავტორის ყურადღებას არ იმსახურებს აგრეთვე ის, რომ თანამედროვე ქართული ნოველა უხვად საზრდოობს ქართული ფოლკლორით, თუმცა, ამ ფაქტის აღნიშვნა უსათუოდ მომგებიანი იქნებოდა იმ დებულების საილუსტრაციოდ, რომ „ქართულ ნოველაში სათანადოდ აღიბეჭდა ქართული სული და ტემპერამენტი“.

ფოლკლორთან სიახლოვეზე საგანგებოდ შეჩერებას მოითხოვს ნოველის ჟანრის კ. გამსახურდიასეული განსაზღვრა: „ნოველაში უსათუოდ უნდა იყოს ერთი უეცარი, შესაძლებელი. პოზიტიურად დაუჯერებელი ეპიზოდი — აი სწორედ ეს გახლავთ ნოველის ქიპი. სწორედ ეს მომენტი გულისხმობს ნოველის კავშირს მითოსთან". რა თქმა უნდა, ეს განსაზღვრა ესადაგება მხოლოდ ამ ჟანრის გარკვეულ სახეობას.

„ნოველათა უმრავლესობაში მართლაც უცნაურ ამბავთან გვაქვს საქმე", როგორც მ. გვეტაძე წერს. ეს ნოველის ერთი სპეციფიკური თვისებათაგანია. ამბის უცნაურობას დემნა შენგელაიასთან ხშირად ფოლკლორული საფანელი უდევს (რასაკვირველია, არა მხოლოდ ამ მწერალთან). მაგალითისთვის ავიღოთ ნოველა „მორდუ", რომელიც იდუმალებით მოცულ ამბავს მოგვითხრობს: ტოჩი კონჯარიამ წყეულს მიჰყიდა სული, — ამბობდნენ სოფელში. ტოჩი თაყვანს სცემს უჟმურთა უჟმურს, თხის ჭურს, გველთა ბატონსა და რაღაც უცხო ღვთაებას, რომელსაც მისნი წინაპარნი ოდესღაც კერაზე ზვარაკად ბავშვებს უკლავდნენ.

ტოჩი მაცდურია და მზაკვარი; მაგრამ, ამავე დროს, მაგიური ძალის მქონეა: „გველნაკბენს ის მოარჩენდა, წელკავს ის აუშვებდა, გათვალულს ის გამოულოცავდა".

ბატონის სახლობას რომ შობა გაუძნელდა, ტოჩის მოუხმეს: „ტოჩიმ მშობიარე ოდიდან გამოაყვანინა, სამზად სახლში კერიასთან მიწაზე დააწვინა და ლოცვად დადგა, თან ამთქნარებდა და თან ნახშირს მუცელზე ჯვარიანი დანით ათლიდა.

— მეფეო, დედაო, დედაო, ღვთო, — უჟმური, ან-ბან, დადგომილი დადგა. — მომავალი მოვა! ჰეიზე, ჰოიზე, ებეჭე, სებეჭე, გაახილე კიდობანი, — ქალი და შვილი დადგა!"

ახალშობილი ტოჩიმ გაზარდა და კერას ზვარაკად კინაღამ შესწირა; ა. ბაქრაძის თქმით ეს სიმბოლური აქტია: ტოჩი კონჯარიამ „სიმბოლურად გურამ ბარამანდია მამულს, მშობლიურ მიწას შესწირა".

მაშასადამე, „მორდუ" ნოველის ისეთი სახეობაა, რომლის რეალიზმის საფანელი ფოლკლორული მასალაა... და ამბის უცნაურობაც აქედან მომდინარეობს. ამ რიგის ნოველათა მაგალითებს წარმოადგენენ აგრეთვე ლ. ქიაჩელის „სტეფანე" და „ჯადოსანი", კ. გამსახურდიას „ტაბუ", „ხოგაის მინდია", „მშვენიერება", დემნა შენგელაიას „ჩრდილოეთის ჭანგები", ნირვანა", „ყვავი რიფსიმე", „ქილილა და დამანა" და სხვა... ეს ნოველები გარეგნულად ირეალური ელფერისაა და მათი აზრობრივი პლანი ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით იხსნება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


თ. სახოკია, „ეთნოგრაფიული ნაწერები", თბ. 1956, გვ. 19-20.

ს. მაკალათია, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941, გვ. 203, 311.

ა. იოსელიანი, „ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ. 1973, გვ. 221.

თ. ოქროშიძე „ქართული ხალხური შრომის პოეზია", თბ. 1963, გვ. 95.

მ. ჩიქოვანი, „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია". თბ. 1956, გვ. 238.

პლატონი „ნადიმი", თბ. 1964, გვ. 36.

Мелетинский Е. М. «Происхождение героического эпоса», М., 1963, გვ. 32.

ალ. ღლონტი, „ქართული ხალხური ნოველა", თბ. 1956.

ა. ბაქრაძე, „მითოლოგიური ენგადი", თბ. 1969, გვ. 159.

დ. შენგელაია, ტ. III, თბ. 1970, ტ. IV, თბ. 1972.

## წერილი რედაქციას

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი უმართებულო რეცენზიის გამო

„მნათობის“ № 11-ში დაიბეჭდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ჯ. ვათეიშვილის რეცენზია: „ნარკვევი ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიიდან“, რომელიც „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1973 წ. გამოცემულ ჩემს ნაშრომს — „ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნს“ შეეხება. ეს წერილი მისი პასუხია. მე მას არც გამოვაქვეყნებდი, რეცენზენტი მარტო ჩემი ნაშრომის ტენდენციურ შეფასებას რომ იძლეოდეს და ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებულ ბევრ საყურადღებო ფაქტს განზრახ თუ უნებლიეთ არ აბუნდოვანებდეს. მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, უპირველეს ყოვლისა, მაინც მინდა მადლობა გადავუხადო რეცენზენტს იმ დადებითი შეფასებისათვის, რომელსაც იგი საბოლოო ჯამში ნაშრომს აძლევს და ამასთანავე ჩემი მოსაზრებაც გავაცნო მკითხველს რეცენზიაში გამოთქმულ შენიშვნებზე.

1. რეცენზენტი წერს: „თუმცა თანამედროვე მკვლევართათვის კარგადაა ცნობილი, რომ პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების რომში გამოქვეყნება არ ნიშნავს იტალიის ღედაქალაქში დამოუკიდებელი ქართული სტამბის არსებობას, რომ ეს წიგნები რომის სასულიერო საზოგადოების სტამბაში დაიბეჭდა, ი. კასრაძე საკმაოდ ვრცლად საუბრობს ამ ცნობილი ფაქტის შესახებ“ (გვ. 184).

რეცენზენტი აშკარად აუფასურებს აღნიშნული საკითხის სიცხადეში ჩემს მიერ შეტანილ ერთგვარ წვლილს. ამის ნათელსაყოფად მოვიშველიოთ სამეცნიერო ლიტერატურა. აი რას წერს თავის ცნობილ გამოკვლევაში „ნიკიფორე ირბახი — ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში“ აკად. კ. კეკელიძე: „1629 წელს ქ. რომში, ახალგახსნილს ქართულ სტამბაში, დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი, — ქართულ-იტალიური ლექსიკონი, შედგენილი სტეფანე პაოლინის მიერ ვინმე ნიკიფორე ირბახის დახმარებით. იდეა ქართული სტამბის დაარსებისა ეკუთვნის ვატიკანს, რომელსაც მიზნად ჰქონდა გაევრცელებინა ქართველთა შორის კათოლიკობის საქადაგებლად და მის შესაფასებლად გამოსადეგი წიგნები“.[1]

ახლა ვნახოთ რას ამბობს აკად. პ. გუგუშვილი: „ნ. ირბახის რომში ჩასვლის წყალობით, — განმარტავს იგი, — ცხადია, ქართული სტამბის დაარსების საკითხი უფრო რეალური გახდებოდა, ვიდრე ოდესმე. ირბახმა რომში ყოფნის დროს, რაც ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, საკმაოდ შეისწავლა იტალიური ენა, ასწავლა აგრეთვე ქართული სტეფანე პაოლინს, შემდეგში ქართულ-იტალიური ლექსიკონის ავტორს, და მონაწილეობა მიიღო იქ ქართული სტამბის დაარსების საქმეშიც“.[2]

აკადემიკოსების კ. კეკელიძისა და პ. გუგუშვილის აზრს იცავს აგრეთვე დოც. ა. აბრამიშვილი. აი რას ამბობს იგი:

«Для своего времени Никифор был человеком весьма образованным, знал многие языки, умел вникать в тонкости государственных дел и общественных вопросов. Понимая критическое положение своей родины, Никифор стремился помочь ей чем мог. Он ознакомился с деятельностью римской типографии, завязал связи с некоторыми духовными лицами, способствовавшими печатному делу, и открыл в Риме грузинскую типографию»[3].

იტალიაში ქართული სტამბის არსებობას წინააღმდეგ 1961 წელს პირველად მკვლევარმა ბ. გორდეზიანმა გაილაშქრა,[3] მაგრამ იმის გამო, რომ მისი მოსაზრება სათანადოდ გამაგრებული არ იყო ფაქტობრივი მასალით, მან სამეცნიერო ლიტერატურაში მტკიცედ ვერ მოი-

---

1. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945, გვ. 292.

2 პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 29.

3 Книга, Исследования и материалы. Сборник III, Москва, 1960, стр. 257, 258.

4 ბ. გორდეზიანი, ქართული შრიფტები, 1961, გვ. 56, 57.

კიდა ფეხი. ამით უნდა აიხსნას ის, რომ რომში ქართული სტამბის არსებობის საკითხი 1962 წელს კვლავ წინ წამოსწია დოც. ე. ლორთქიფანიძემ. „დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად, — წერს იგი, —ვატიკანში ცხადი გახდა ის სარგებლობა, რომლის მოტანა შეეძლო საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში პაპი არ გაიღებდა ზედმეტ ხარჯებს, რომელიც ჯერ ქართული სტამბის, ხოლო უფრო მოგვიანებით ქართული კათედრის დაარსებისათვის იყო საჭირო“[1].

1967 წ. ამავე ვერსიის დასაბუთება სცადა მკვლევარმა ვ. იანვარაშვილმა. იგი განმარტავდა: «После того, как в 1327 г. в Тбилиси была основана кафедра католического епископа, между Римом и Грузией устанавливаются более тесные связи, и число католиков-миссионеров значительно увеличивается. Однако из-за неимения грузинско-итальянского словаря и другой необходимой литературы, им было трудно выполнять свою миссию, поэтому они неоднократно обращались к папе с просьбой открыть грузинскую типографию в Грузии или в Риме. И так как в Грузии для создания типографии не было условий, папская конгрегация «Пропаганда фиде» решила открыть ее в Риме». ცოტა ქვევით ვ. იანვარაშვილი დასძენს: «В то время из Грузии в Рим были отозваны миссионеры Стефан Паулин и Мариос Мадж, и они вместе с Никифором Ирбахом открыли в 1627 г. в Риме первую грузинскую типографию»[2].

ზუსტად იგივე გაიმეორა ვ. იანვარაშვილმა 1970 წ.[3] ამავე აზრს იცავს დოც. მ. მგალობლიშვილიც. 1975 წ. გამოცემულ „შარდენის მოგზაურობის“ კომენტარებში იგი წერს: „ნ. ირბახი... 1626-1629 წლებში ელჩად იყო ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში. 1627 წ. რომში მიიღო კათოლიკობა. აქვე დააარსა პირველი ქართული სტამბა და 1629 წ. სტეფანე პაოლინთან ერთად გამოსცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი“[4].

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობ, კომენტარს არ საჭიროებს რაოდენ სარწმუნოდ შეიძლება ჩაითვალოს რეცენზენტის მიერ იტალიაში ქართული სტამბის არ არსებობის საკითხის „ცნობილ ფაქტად“ მიჩნევა (და აქედან გამომდინარე—ღირდა თუ არა ჩემს ნაშრომში მასზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება. მაგრამ, მაინც უნდა ვთქვა, რომ არამცთუ ღირდა, მოვალეც ვიყავი, რადგანაც იგი სპეციალურად ფეოდალური ხანის ქართული სტამბებისა და წიგნების ბეჭდვის ისტორიას შეეხება. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, რეცენზენტი ალბათ მაშინ ამას მიკიჟინებდა, რაშიც იგი უდაოდ მართალი იქნებოდა.

2. რეცენზენტი წერს: „რაც შეეხება ავტორის მტკიცებას, რომ არჩილს მოსკოვში დამოუკიდებელი ქართული სტამბა არ დაუარსებია, ეს დებულება არავითარ ეჭვს არ იწვევს. უდაოა ის ფაქტიც, რომ ქართული წიგნის ბეჭდვის საქმის გამიჯვნას სახაზინო სტამბიდან და მოსკოვში დამოუკიდებელი ქართული სტამბის შექმნას ადგილი ჰქონდა შედარებით გვიან, არჩილის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ქართული წიგნთმბეჭდაობის მოთავეობა იკისრეს ჯერ ვახტანგის კოლონიის წარმომადგენლებმა, ხოლო შემდგომ ერეკლე II წარგზავნილებმა“ (გვ. 185).

რეცენზენტი ცდილობს პირველი შენიშვნის მსგავსად ახლა არჩილ II-ს მიერ რუსეთში ქართული სტამბის დაარსების საკითხის ირგვლივ გამოთქმული ჩემი მოსაზრება და არგუმენტაცია გააუფასუროს. ამჯერად იგი უკვე არჩილ II-ს სტამბის მოსკოვში არარსებობას თვლის „იეჭვმიუტანლად“ ანუ „ცნობილ ფაქტად“. გავარკვიოთ რამდენად სწორია რეცენზენტის ეს შენიშვნა.

მოსკოვში არჩილისეული ქართული სტამბის არსებობის საკითხს ერთ-ერთი პირველთაგანი დ. კარიჭაშვილი შეეხო. 1929 წ. იგი წერდა: „არჩილის ხელნაწერები, შრიფტი და სტამბის იარაღი დარჩა მის ქალს დარეჯანს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა. მეოცდაათე წლებამდე არჩილის დატოვებული სტამბის მოწყობილობა ხელუხლებელი დარჩა, ვიდრე არ გაჩნდნენ მოსკოვში საქართველოდან გადმოხვეწილი სტამბის მცოდნე პირები, როგორც მაგალითად, მღვდელ მონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი და არქიმანდრიტი გერმანე. ესენი დაუახლოვდნენ დარეჯანს და ჩააგონეს, რომ მის მამის დანატოვარს სტამბაში წიგნები დაებეჭდვინებინა“[1].

დამოწმებული ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ დ. კარიჭაშვილი იზიარებდა არჩილის მიერ მოსკოვში დამოუკიდებელი სტამბის დაარსების ვერსიას, რომელმაც მტკიცე და შეურყეველი ავტორიტეტი მოიპოვა შემდგომი თაობ

---

[1] ე. ლორთქიფანიძე, ვახტანგ VI და ქართული სტამბის მოღვაწენი, 1962, გვ. 57.

[2] გაზეთი «Вечерний Тбилиси», 1967, № 173.

[3] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს შრომათა კრებული, 1970, № 1-2, გვ. 232.

[4] შარდენის მოგზაურობა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები მ. მგალობლიშვილისა, 1975, გვ. 378.

[1] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 48.

მკვლევართა შორის. 1956 წ. პროფ. ს. ყუბანეიშვილი ამტკიცებდა: „ქართველები მოითხოვდნენ, რომ ქართული წიგნები დაბეჭდილიყო პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, მაგრამ 1727 წ. 4 ოქტომბრის ბრძანებულებით საეკლესიო წიგნების ბეჭდვა შეიძლებოდა მხოლოდ მოსკოვში, სინოდის მეთვალყურეობით. მოსკოვში კი ქართველებმა მიზანშეწონილად ცნეს აღედგინათ არჩილის სასახლეში არსებული ქართული სტამბა და იქ განეახლებინათ წიგნების ბეჭდვა. ასეც მოიქცნენ. არჩილის სტამბა განაახლა და საკუთარი ხარჯით ახალი მასალებით შეავსო იოსებ სამებელმა"[1].

დ. კარიჭაშვილისა და ს. ყუბანეიშვილის მოსაზრება გაიმეორა 1960 წელს დოც. ა. აბრამიშვილმა. იგი განმარტავს:

Основателем первой грузинской типографии в Москве, был грузинский царь Арчил». იქვე იგი აცხადებს: «Арчиловская типография была открыта в Москве не в 1705, а в 1703—1704 гг». ბოლოს კი ასკვნის: «Царевич Бакар, сын Вахтанга VI, совместно с архиепископом Иосифон Самебели в 1737 г. открыл, вернее возобновил, в Москве грузинскую типографию, которая действовала до 1774 г.»[2].

ამავე აზრს იცავს პროფ. გ. პაიჭაძეც. იგი ამბობს:

«Петр I предоставил в распоряжение Арчила Донский Монастырь, куда Арчил привлек образованных грузинских иеромонахов. Здесь в 1703 г. он основал грузинскую типографию»[3].

მოსკოვში არჩილისეული სტამბის არსებობას მხარს უჭერს აკად. ალ. ბარამიძეც. 1971 წ. გამოცემულ მის ნაშრომში „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" ნათქვამია: „მოსკოვში დამკვიდრებულმა არჩილმა იქ გახსნა ქართული სტამბა 1703 წელს. ამ სტამბიდან 1705 წელს (და არა 1701 წელს) გამოვიდა „დავითნი"[4].

ზემოაღნიშნულ მკვლევართაგან განსხვავებულ პოზიციაზე არც ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ო. გვინჩიძე დგას. 1973 წ. იგი წერდა: „სამშობლოს გარეთაც ფიქრობდა არჩილ მეფე ქართულ სტამბაზე და, როგორც ვიცით, მან მიუხედავად დიდი სიძნელეებისა. მოსკოვში გამართა კიდეც ქართული სტამბა"[1]. იქვე იგი დასძენს: „მოსკოვში ხელმეორედ დაბრუნების შემდეგ არჩილ მეფე 1703 წელს გოლოვინისაგან ითხოვს მის მიერ მოწყობილ სტამბაში წიგნების ბეჭდვის ნებართვას და 1705 წელს ბეჭდავს კიდეც „დავითნს"[2]. ბოლოს კი განმარტავს: „თუ ანთიმ ივერიელს არ დაუბეჭდავს ქართული წიგნი ვლახეთში, ვინ იცის, იქნებ მან სნაგოვის მონასტერში მხოლოდ დაამზადა ქართული შრიფტი და სწორედ ეს შრიფტი იქნა გამოყენებული არა „კონდაკის" დასაბეჭდად, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი, არამედ არჩილ მეფის მიერ მოსკოვში დაარსებულ სტამბისათვის „დავითნის" გამოსაცემად"[3].

ახლა ჩავიხედოთ 1975 წ. გამოცემულ საშუალო სკოლების „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში". მასში ვკითხულობთ: „XVII საუკუნის მიწურულს, მოსკოვში გადახვეწილ არჩილ მეფის თაოსნობით, დაიწყეს ზრუნვა ქართული სტამბის მოწყობისათვის. 1705 წელს მოსკოვის ქართულ სტამბაში დაიბეჭდა „დავითნი"[4]. ასე წერია 1972, 1973, 1974 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებშიც.

ამის შემდეგ განა შეიძლება XVIII ს. დასაწყისში მოსკოვში ქართული სტამბის არ არსებობა „ეჭვმიუტანლად" და „ცნობილ ფაქტად" ჩაითვალოს, როგორც ამას რეცენზენტი ფიქრობს? ცხადია, არა. მაშ რათ ვასწავლით მოზარდ თაობას სიყალბეს, რაში გვჭირდება ხელოვნურად შელამაზებული ისტორია, განა ამის გარეშეც ნაკლებ საამაყო წარსული გვაქვს? და ბოლოს, ის არ სჯობია, კი არ მივჩქმალოთ, არამედ ვაღიაროთ და ჩვენვე გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომა, ვიდრე სხვა მიგვითითებდეს? აი ამიტომ გავხადე ჩემს ნაშრომში მოსკოვში არჩილისეული ქართული სტამბის არსებობა-არარსებობის ე. წ. „ეჭვმიუტანელი" და „ცნობილი ფაქტი" სპეციალური მსჯელობის საგნად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: 1705 წ. „დავითნის" გამოცემის თაობაზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გავრცელებულია კიდევ უფრო მცდარი ვერსია. მკვლევართა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ აღნიშნული წიგნი დაიბეჭდა არა არჩილ II-ს სტამბაში, არამედ სინოდალურში. ეს მოსაზრება პირველად პროფ. ალ. ხახანაშვილმა წამოაყენა[5]. შემდეგ მას მხარი დაუჭირეს 1941 წ.

---

[1] ლიტერატურული ძიებანი, X, 1956, გვ. 221, 222.

[2] Книга, Исследования и материалы, Сборник III, 1960, стр. 268, 274, 275.

[3] Г. Паичадзе, Русско-грузинские отношения в 1725—1735 гг., 1965, стр. 24.

[4] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1971, გვ. 355.

---

[1] ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, 1973, გვ. 161.

[2] იქვე, გვ. 86.

[3] იქვე, გვ. 89.

[4] საქართველოს ისტორია, VII-X კლასების სახელმძღვანელო, 1975, გვ. 139.

[5] ჟურნალი „მოამბე", 1900, № 3.

გამოცემული „ქართული წიგნის" შემდგენლებმა[1]. იგივე გაიმეორა 1955 წ. ქრ. შარაშიძემ[2], და ამასვე იცავს თვად რეცენზენტიც. 1973 წ. გამოცემულ წიგნში

«Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX в.» წერს: «В качестве первоочередной задачи Арчил определил основать грузинскую типографию в Москве. На его прошение о содействии последовал положительный ответ Петра I, разрешивший учреждение при Московской синодальной типографии специализированной книгопечатни для издания грузинских церковных книг»[3]. ამავე წიგნში მეორე ადგილას იგი ამბობს: «Стремление Арчила создать очаг грузинской культуры за рубежом своей страны, каким в действительности стала грузинская книгопечатания при Московской синодальной типографии, не было исключением для того времени»[4] იქვე მესამე ადგილას დასძენს: «Петра I было выделено 200 руб. на изготовление в Синодальной типографии нового печатного станка для издания грузинских церковных книг»[5].

რეცენზენტს ზემოდამოწმებულ ციტატებში უნებლიე შეცდომა კი არა აქვს დაშვებული, არამედ ნამდვილად სჯერა, რომ 1705 წელს „დავითნი" მართლა სინოდალურ სტამბაში დაიბეჭდა. ამას მოწმობს „მნათობში" გამოქვეყნებული რეცენზია, სადაც იგი წერს: „მაგალითად ავტორი იკვლევს უკვე საკმაოდ კარგად გარკვეულ საკითხს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა არჩილისეული „დავითნის" მოსკოვის სინოდალურ სტამბაში დაბეჭდვა განვიხილოთ როგორც არჩილის მიერ რუსეთში დამოუკიდებელი ქართული სტამბის დაარსების ფაქტი" (გვ. 186). არ არის სწორი. ჩემს ნაშრომში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი 1705 წლის „დავითნის" სინოდალურ სტამბაში დაბეჭდვაზე. სინოდი 1721 წ. პეტრე I-ის ცნობილი რეფორმების განხორციელების შედეგად შეიქმნა და იმ დროს, როცა „დავითნი" გამოიცა — 1705 წელს, არ არსებობდა. ცხადია, მით უფრო არ იარსებებდა სინოდალური სტამბა. განა შეიძლება ამის შემდეგ რეცენზენტის სიტყვას ვერწმუნოთ, თითქოს მე მოსკოვში არჩილისეული სტამბის არსებობა-არარსებობის განხილვით „უკვე საკმაოდ კარგად გარკვეულ საკითხს ვიკვლევდე?".

3. რეცენზენტი წერს: „ო. კასრაძის წიგნში მოცემულია ცდა ვახტანგ VI მიერ თბილისის სტამბის დაფუძნებაში ანთიმოზ ივერიელის როლის ახლებურად გაგებისა და ამასთან დაკავშირებით გ. ლეონიძის, ქრ. შარაშიძისა და შ. კურდღელაშვილის ზოგიერთ მოსაზრებათა კრიტიკულად შეფასებისა. ერთადერთი წყარო, რომელსაც ამ შემთხვევაში ო. კასრაძე ემყარება, არის უნგროვლახეთის მთავრის კ. ბრინკოვიანუსა და იერუსალიმის პატრიარქ ქრისანთეს სამადლობელოდ ქართულ ენაზე შეთხზული ქების ლექსი... ო. კასრაძე ცდილობს ყოველივე რაც კი ვახტანგისეული სტამბის ისტორიას უკავშირდება, ლექსის შინაარსით განმარტოს და წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებით, ნაკლებმნიშვნელოვნად წარმოაჩინოს ანთიმოსის ღვაწლი ამ საქმეში, მ. იშტვანოვიჩის პიროვნება, პირიქით წინ წამოსწიოს. აღნიშნულ საკითხში ო. კასრაძის ძირეულად განსხვავებული პოზიცია, ჩვენი აზრით, მეცნიერულად სათანადოდ არ არის დასაბუთებული" (გვ. 185).

რეცენზენტი მცდარ ინფორმაციას აწვდის მკითხველს. მე კი არ ვცდილობ „ქების ლექსის" მიხედვით ავხსნა ანთიმოს ივერიელის ღვაწლი ვახტანგ VI-ს სტამბის წინაშე, არამედ აკად. გ. ლეონიძე, და სწორედ ამიტომაც ვეკამათები მას. რეცენზენტი კი აქეთ მდებს ბრალს. აი რას ვწერ მე: „ვინ არის ამ ლექსის (იგულისხმება „ქების ლექსი" — ო. კ.) ავტორი, როდის ან სად არის იგი დაწერილი, რა სახით მოაღწია მან ჩვენამდე, გ. ლეონიძე ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ იმისათვის, რომ წინ წამოსწიოს ანთიმოს ივერიელის ღვაწლი ვახტანგ VI-ის სტამბის მოწყობა-გამართვის საქმეში, დასძენს: „ამ პოემიდან მშვენივრად ირკვევა ანთიმის როლი. ვახტანგი სთხოვს სტამბის ხელოვან კაცს სწორედ ანთიმის აღმზრდელს. თავის მხრივ პატრიარქი სწორედ ვლახეთში აგზავნის კაცს, რადგან იქ თავისი აღზრდილი ანთიმი ეგულება, ხოლო საქართველოში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გაიგზავნება თვით ანთიმის მოწაფე მიხაელი.

გ. ლეონიძე აშკარა მიკერძოებას იჩენს ანთიმოს ივერიელისადმი. იგი თითქოს ერთგვარად ამცირებს მ. იშტვანოვიჩის როლს თბილისის სტამბის განახლების საქმეში, რადგანაც, ყოველივე იმას, რაც მისი ხელით გაკეთდა, ანთიმოს ივერიელს მიაწერს... მაგრამ საქმე ის არის, რომ ლექსში ანთიმოსის შესახებ არამცთუ ხაზგასმით, არამედ მინიშნებითაც კი არაფერია ნათქვამი, მისი სახელიც კი არ არის მოხსენიებული. ამიტომ გ. ლეონიძის ზემოგამოთქმული მოსაზრება ანთიმოს ივერიელის შესახებ ლექსის შინაარსიდან კი არ გამომდი-

---

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. VIII.

[2] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 80.

[3] Д. Л. Ватеишвили, Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века, М., 1973, стр. 22.

[4] იქვე, გვ. 24, 25.

[5] იქვე, გვ. 24.

ნარეობს, არამედ მკვლევარის აბსტრაქტულ-სუბიექტური განჭვრეტის ნაყოფია“. იქვე განვმარტავ: „ლექსიდან ნამდვილად არ ჩანს, თუ რა როლი შეასრულა ანთიმოს ივერიელმა ვახტანგ VI-ის სტამბის მოწყობაში. მ. იშტვანოვიჩის თბილისში გამოგზავნაც კი მის გარეშე მომხდარა“ (გვ. 31).

ამრიგად, ვინ ცდილობს ვახტანგ VI-ის სტამბის წინაშე ანთიმოს ივერიელის ღვაწლის „ქების ლექსის“ მიხედვით ახსნას, მე თუ აკად. გ. ლეონიძე? ვფიქრობ, ამ შემთხვევაში რეცენზენტი უმართებულოდ მდებს ბრალს.

ახლა გავარკვიოთ მართლა ხომ არ ვცდილობ ანთიმოს ივერიელის ღვაწლის „ნაკლებმნიშვნელოვნად წარმოჩენას“ ვახტანგ VI-ის სტამბის მოწყობის საქმეში? რადგანაც აღნიშნულ საკითხზე ჯერჯერობით რაიმე ოფიციალური სარწმუნო წერილობითი წყარო არ გაგვაჩნია, შემდეგნაირ ჰიპოთეზას გამოვთქვამ: „როგორც ცნობილია, XVII-XVIII საუკუნეებში თურქეთ-ირანის ექსპანსიისაგან ქრისტიანული ერების შევიწროების შედეგად ახლო ურთიერთობა მყარდება ქართველ მეფეებსა და იერუსალიმის საპატრიარქოს მღვდელმთავრებს შორის. გამორიცხული არ არის, რომ ასეთი კავშირი ჰქონდათ ვახტანგ VI-სა და იერუსალიმის საპატრიარქოს წინამძღვარ ხრისანთეს. მათ შორის საერთო ენის გამონახვაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ბერძნული და ქართული ენების მცოდნე ანთიმოს ივერიელს. სწორედ ამ ახლო ურთიერთობამ გაამბედვინა ალბათ ვახტანგ VI-ს შემწეობა ეთხოვა ხრისანთესათვის თბილისში სტამბის გასამართავად“ (გვ. 32).

აქვე ყურადღებას ვამახვილებ გ. ლეონიძის მიერ რუმინეთში მიკვლეულ ზემოდასახელებული ლექსის მე-6 სტროფის ორ სტრიქონზე: „ვახტანგს უხმია მესტამბე, მეფეა ქართლის მპყრობელი, ქრისტეს ქადაგი, მორწმუნე, მტერთაგან შეუპყრობელი“ და ვასკვნი: „აქ იერუსალიმის პატრიარქი ხრისანთე ვლახეთის მთავარს ბრანკოვიანუს ვახტანგ VI-ს უხასიათებს, ერთი მხრივ, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულ დამცველს, ლექსის ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქრისტეს ქადაგს, მორწმუნეს“, ხოლო, მეორე შემთხვევაში — როგორც ქართველი ერის დიდ წინამძღოლს „მტერთაგან შეუპყრობელს“, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ, დაუმორჩილებელ სარდალს. ადვილი შესაძლებელია ეს ცნობები ვახტანგის პიროვნების შესახებ ანთიმოს ივერიელს მიეწოდებინოს ხრისანთესათვის. სავარაუდოა აგრეთვე, რომ თბილისში სტამბის მოწყობის თაობაზე ვახტანგ VI-ის თხოვნის წერილი იერუსალიმის პატრიარქმა უნგროვლახეთის მთავარ ბრანკოვიანუსთან გაგზავნამდე გააცნო ანთიმოს ივერიელს, როგორც გვარტომობით ქართველს. ვახტანგ VI-ის განზრახვით აღტაცებულმა [illegible] ქვეყნის დიდი პატრიოტი ანთიმოსი [illegible] მჭევრმეტყველობით დაუხასიათებდა მას ქართლის მეფის წადილს — თბილისში სტამბის გამართვის მნიშვნელობას ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების პოზიციებიდან. ერთი სიტყვით, თავის მხრივ ცდას არ დააკლებდა, რათა ხრისანთეს ეშუამდგომლა უნგროვლახეთის მთავრის ბრანკოვიანუს წინაშე ვახტანგის თხოვნის დასაკმაყოფილებლად. კიდევ ერთი გარემოება. მართალია, ლექსში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ არა გვგონია ისე წამოსულიყო მ. იშტვანოვიჩი თბილისში, რომ თავისი მასწავლებელი ანთიმოს ივერიელი არ მოენახულებინა და საჭირო რჩევა-დარიგება არ მიეღო მისგან“ (გვ. 33).

რეცენზენტი ანთიმოს ივერიელთან დაკავშირებით ბრალს მდებს მისთვის, როგორც ეროვნული მოღვაწისათვის, ჩრდილის მიყენებაში. მაგრამ განა ეს ასეა სინამდვილეში? აკად. გ ლეონიძესთან კამათის დასასრულს ვწერ: „ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ანთიმოს ივერიელის დიდქართველობის საკითხი, მაგრამ არც მისი ღვაწლის სუბიექტური დამფასებელი გვინდა ვიყოთ, რადგანაც ამას იგი არ საჭიროებს“ (გვ. 31).

იბადება კითხვა: საჭირო იყო თუ არა ჩემს წიგნში ჯეროვანი ყურადღება გამემახვილებინა უნგროვლახელი ოსტატის მ. იშტვანოვიჩის როლზე ვახტანგ VI-ის სტამბის მოწყობის საქმეში და დამსახურებისამებრ შემეფასებინა იგი? უდაოდ საჭირო იყო. ამას მოითხოვს დღეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობა რუმინელ, უნგრელ და საერთოდ სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, ამას გვავალებს ის ფასდაუდებელი დახმარება, რომელიც გაგვიწია მ. იშტვანოვიჩმა დიდ ეროვნულ საქმეში — პირველი ევროპულად მოწყობილი სტამბის დაარსებაში. აბა რა ხასიათზე დავდგებით, რომ რუმინელმა მკვლევარებმა ერთი წუთით ჩრდილი მიაყენონ ანთიმოს ივერიელის ღვაწლსა და დამსახურებას მათ ეროვნულ კულტურის განვითარებაში.

4. რეცენზენტი წერს: „წიგნში, წყაროზე მიუთითებლად „ბიბლიის“ ქართულ ენაზე მოსკოვში დაბეჭდვის ფაქტი შემდეგნაირადაა შეფასებული: „განა სინოდის ნებართვის გარეშე არ დაიბეჭდა „ბიბლია“, რამაც მძაფრი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია რუსეთის საეკლესიო მმართველობაში?“ ჩვენ ხელთ არის ო. კასრაძის ზემომოტანილი მტკიცების საპირისპირო შინაარსის ცნობა, სადაც ნათქვამია:

«В 1737 году, по просьбе царевича Бакара, святейший Синод разрешил напечатать в Москве на грузинском языке богослужеб-

ные книги и «Библию» по предварительном пересмотре рукописей». (გვ. 186).

რეცენზენტის მიერ დამოწმებული ცნობა ჩემს გასამტყუნებლად არ გამოდგება. ჩანს, მას ჯეროვნად ვერ გაუანალიზებია იგი. ეს ცნობა შეეხება ვსეხსვიატსკოეში დაარსებული ქართული სტამბის პირველ პერიოდს და მასში ნათქვამია, რომ ბაქარს მხოლოდ სალვთისმსახურო წიგნების, მათ შორის „ბიბლიის" დაბეჭდვის უფლება ეძლეოდა და არა სხვა სახის ლიტერატურისაც. ამიტომაცაა, რომ მთელი თავისი არსებობის მანძილზე ვსეხსვიატსკოეს სტამბაში საეკლესიოს გარდა არც ერთი საერო წიგნი არ გამოცემულა. ამავე ცნობაში იქვე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ბაქარს ევალებოდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაბეჭდვამდე, **წინასწარ წარედგინა სინოდში გამოსაცემად დაშვებული ყოველი წიგნის დედანი ანდა ხელნაწერი გასაკონტროლებლად.** ისე, რომ ამ საბუთით საქმე გვაქვს ეკლესიის მიერ დაწესებულ საცენზურო შეზღუდვასთან. მხოლოდ ამ გაკონტროლების შემდეგ მისცემდა სინოდი ბაქარს ამა თუ იმ წიგნის დაბეჭდვის ნებართვას. ასეთი ნებართვა კი 1743 წელს „ბიბლიაზე" გაცემული არ ყოფილა. პროფ. ს. ყუბანეიშვილი ნაშრომში „რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში" წერს: გამოირკვა, რომ ბიბლიის დაბეჭდვის შესახებ ნებართვა არ ყოფილა გამოთხოვილი სინოდისაგან და უკანასკნელს (იგულისხმება ი. სამებელი — ო. კ.) არავითარი ცნობა ამ საქმის შესახებ არ ჰქონია"[1].

1745 წ. 1 ოქტომბერს ი. სამებელს სინოდისათვის უცნობებია, რომ 1737 წ. მას მიღებული ჰქონია ოფიციალური ნებართვა დაებეჭდა საეკლესიო წიგნები და მათ შორის „ბიბლიაც" საქართველოში გასაგზავნად[2]. ისე, რომ ი. სამებელს, ისევე როგორც ჩემი „მტკიცების საპირისპიროდ" რეცენზენტის მიერ ზემოთ მოტანილ საბუთში ბაქარს, ხელთ ჰქონია წიგნების ბეჭდვის ნებართვაზე გაცემული სინოდის საბუთი, მაგრამ რაკი გამოცემამდე დედანი **წინასწარ არ ყოფილა შემოწმებულ-გაკონტროლებული**, 1743 წ. დაბეჭდილი „ბიბლიის" კონფისკაცია მოუხდენიათ. პროფ. ს. ყუბანეიშვილი განმარტავს: „ამ გარემოებამ გააჭიანურა საქმის მსვლელობა ისე, რომ ბაქარმა ვერ შეძლო აღნიშნული წიგნების (დაბეჭდილი „ბიბლიის" ცალების — ო. კ.) საქართველოში გაგზავნა. ლუკა ბარათაშვილი, დავით ივანიშვილი და ზურაბ თავყელიშვილი კი გაემგზავრნენ საქართველოში. ამ პირთა მოსკოვიდან გამგზავრების შემდეგ, საგარეო საქმეთა კოლეგიამ აცნობა ასტრახანის გუბერნატორს, გაეჩხრიკათ აღნიშნული პირები იმ მიზნით, რომ მათ არ გაეტანათ ახლად დაბეჭდილი ქართული ბიბლია. ასტრახანის გუბერნატორმა დააკავა ლუკა ბარათაშვილი, დავით ივანიშვილი და ზურაბ თავყელიშვილი, რომლებსაც აღმოაჩნდათ ორი ცალი ქართული ბიბლია და სხვადასხვა ნივთი"[1]. ბაქარის, მისი ვაჟის ალექსანდრესა და სხვა გავლენიან პირთა თხოვნა-შუამდგომლობის შედეგად 1743 წელს მოსკოვში დაბეჭდილმა „ბიბლიამ" საქართველოში მხოლოდ 1761 წ. ჩამოაღწია მცირე რაოდენობით[2].

ალბათ რეცენზენტი არ იცნობს პროფ. ს. ყუბანეიშვილის შრომასა და საერთოდ ბაქარისეული „ბიბლიის" დაბეჭდვის შესახებ არსებულ მეცნიერულ ლიტერატურას, თორემ ჩემი „მტკიცების საპირისპიროდ" მოტანილ ზემოაღნიშნულ ცნობას არ დაიმოწმებდა და „რბილად რომ ვთქვათ", თავს ესოდენ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდებდა.

5. ჩემი წიგნის 61-ე გვერდზე ვწერ: „მოსკოვის პირველი მუდმივი მკვიდრი ქართველები 1696 წელს გადასახლებული არჩილ II-ის ოჯახის და მისი ამალის წევრები იყვნენ". აქ დაშვებულია კორექტორული შეცდომა, უნდა იყოს 1686 წელი. რეცენზენტი სარგებლობს ამით და წერს: „ეს ცნობა არაა სწორი არა მხოლოდ არჩილის ოჯახის წევრების, კერძოდ მისი ვაჟიშვილების — ალექსანდრეს და მამუკას — მოსკოვს ჩასვლისა და იქ დასახლების თარიღად 1685 წლის ნაცვლად 1696 წელის მითითების გამო, არამედ იმიტომაც, რომ ჭეშმარიტად, „მოსკოვის პირველ მუდმივ მკვიდრ ქართველებად" მართებულია მივიჩნიოთ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან იქ დამკვიდრებული თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, რუსეთში ნიკოლოზად წოდებული, ერეკლე I დავითის ძე, დედამისი ელენე ლევანის ასული და მათი ამალის წარმომადგენელნი, რომელთა შორის საარქივო დოკუმენტებში შედარებით ხშირად დავითაშვილები იხსენიებიან" (გვ. 187).

ჯერ ერთი, არჩილის შვილები ალექსანდრე და მამუკა მოსკოვში ჩავიდნენ არა 1685 წელს, როგორც ამას რეცენზენტი მისწორებს, არამედ 1684 წ.,[3] ხოლო თავად არჩილი და მისი ოჯახის სხვა დანარჩენი წევრები — 1686 წლის დამდეგს.[4] რაც შეეხება რეცენზენტის შენიშვნას, რომ „ჭეშმარიტად მოსკოვის პირველ მუდმივ მკვიდრ ქართველებად" ერეკლე I, დე-

---

[1] ლიტერატურული ძიებანი, X, 1956, გვ. 224.

[2] ლიტერატურული ძიებანი, X, 1956, გვ. 225.

[1] იქვე, გვ. 224.

[2] იქვე, გვ. 226, 227.

[3] Материалы по истории русско-грузинских отношений (80—90 годы XVII века), 1974, стр. 264, 277, 308, 309, 365.

[4] არჩილი 1685 წ. ოქტომბერში ნიჟნი-ნოვგოროდშია (იქვე, გვ. 377).

დამისი ელენე და მათი ამალის წევრები უნდა ჩაითვალონ, უმართებულოა. წიგნში ყურადღება გამახვილებულია „მოსკოვის პირველ მუდმივ მკვიდრ“ ქართველებზე და არა დროებით ჩასულებზე. ერეკლე I, ელენე და მათი ამალის წევრები კი მოსკოვში დროებით ჩასულ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. ერეკლე, მაგალითად, 1654 წელს ჩავიდა მოსკოვს დედამისთან ერთად და 1662 წელს კვლავ საქართველოში დაბრუნდა,[1] ასევე ითქმის ელენესა და მათი ამალის სხვა წევრებზეც.

ამრიგად, მოსკოვის მუდმივი მკვიდრი ქართველები 1699 წელს საბოლოოდ რუსეთს დასახლებული არჩილ II-ის ოჯახი და მისი ამალის წევრები არიან და არა რეცენზენტის მიერ დასახელებული ერეკლე I და მისი ამალის წარმომადგენლები.

6. რეცენზენტი წერს: „დასანანია აგრეთვე, რომ „დავითნის“ 1705 წელს მოსკოვში გამოქვეყნების ფაქტთან დაკავშირებით ო. კასრაძე სათანადო ყურადღებას არ უთმობს ისეთ ბოლომდე გაუშიფრავ ამოცანას, როგორიცაა ამსტერდამიდან სტოკჰოლმს გადმოგზავნილი არჩილის მიერ დაკვეთილი შრიფტის შეუსაბამობა მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნის“ შრიფტთან“ (გვ. 185).

აშკარა ცილისწამებაა. მე-18 გვერდზე ვწერ: „ეჭვმიუტანლად ირკვევა, რომ 1705 წლის „დავითნი“ სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ანაბეჭდისეული შრიფტით აწყობილი არ არის. ეს აზრი უფრო ადრე პირადი დაკვირვების შედეგად ქრ. შარაშიძემ გამოთქვა. მისი მოსაზრების სისწორე ცხადყო ჩვენი თხოვნით იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ბ. ხარაზიშვილის მიერ სპეციალურად ჩატარებულმა კრიმინალურ-ლაბორატორიულმა გამოკვლევამ. აღსანიშნავია, რომ იგივე დაგვიდასტურა აკად. აკ. შანიძემ“.

აქვე მინდა მკითხველის ყურადღება რეცენზენტის ერთ ნიშანდობლივ მხარეზე გავამახვილო. ზემოაღნიშნული შენიშვნიდან ჩანს, რომ იგი ფიქრობს, თითქოს სტოკჰოლმში დღემდე დაცული ქართული შრიფტის ანაბეჭდი არჩილ II-ის შეკვეთით ამსტერდამში დამზადებული შრიფტის ნიმუშს წარმოადგენს. სინამდვილეში სტოკჰოლმში დღემდე დაცული ანაბეჭდი არის ამსტერდამში დამზადებულისაგან აბსოლუტურად განსხვავებული, ალექსანდრე არჩილის ძის შეკვეთით სტოკჰოლმშივე დამზადებული სრულიად ახალი ქართული შრიფტის ნიმუში. რეცენზენტს სარეცენზიო წიგნის მე-16—19 გვერდები გულისყურით რომ წაეკითხა, ამ შენიშვნას არ მომცემდა.

7. რეცენზენტი წერს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ „დავითნის“ 1705 წელს სახაზინო სტამბაში დაბეჭდვის ფაქტმა, უწინარეს ყოვლისა, და აგრეთვე, არჩილის მიერ შეძენილმა სასტამბო მოწყობილობამ (ქართული შრიფტი, ცალკეული ხელსაწყოები) საფუძველი დაუდო და განაპირობა ქართული წიგნთაბეჭდაობის შემდგომი განვითარება რუსეთში“ (გვ. 185). მერედა, განა მეც ამას არ ვამბობ? „შესაძლებელია „წიგნთსაბეჭდავის“ მოწყობის მიზნით არჩილ II-ს შრიფტთან ერთად შეუძენია სტამბის მოწყობილობაც, რომელიც, დ. კარიჭაშვილის თქმისა არ იყოს, შემდეგ დარეჯანს დარჩა. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამან განაპირობა სტამბის სწრაფად გამართვა (იგულისხმება ვსეხსვიატსკოეს სტამბა — ო. კ.) და „დავითნის “მოკლე დროში გამოცემა“ — ვწერ მე (გვ. 59).

8. რეცენზენტი წერს: „ეჭვს იწვევს ავტორის მიერ იოსებ სამებლის, როგორც რუსეთში პირველი ქართული დამოუკიდებელი სტამბის დამაარსებლის ერთპიროვნული აღიარება, ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ისტორიულ სინამდვილეს? დადგენილად ითვლება, რომ თანხა ვსეხსვიატსკოეს სტამბის შესაძენად და მოსაწყობად ნამდვილად ი. სამებელმა გაიღო, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ინიციატივა ამ საქმეში ბატონიშვილ ბაქარიდან მომდინარეობდა და ქართული წიგნების ბეჭდვაზე სინოდისაგან დასტურის მიღება მისი უცილობელი დამსახურებაა“ (გვ. 185, 186). საოცარია რეცენზენტის პოზიცია, განა მე სხვა რამეს ვამბობ? აი რას ვწერ: „არჩილ II-სა და ვახტანგ VI-ის შემდეგ მოსკოვში ქართული წიგნების გამოცემის საქმეს ხელს ჰკიდებს ბაქარი. იგი ხდება აგრეთვე ინიციატორი რუსეთში პირველი ქართული დამოუკიდებელი სტამბის დაარსებისა... რაკი მოსკოვის სახაზინო სტამბაში ტექნიკურად მოუხერხებელი აღმოჩნდა ქართული წიგნების ბეჭდვა, ამიტომ ბაქარს თხოვნით მიუმართავს სინოდისათვის ეკონომიური ხელმოკლეობის გამო უსასყიდლოდ დაებეჭდათ ქართული საეკლესიო წიგნები მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში... მას ქართული წიგნების, სახელდობრ. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდვაზე უარი განუცხადეს. ასევე უარი ეთქვა ბაქარს წიგნების უსასყიდლოდ გამოცემაზე. ამის შემდეგ ქართველობა თავიანთი საკუთარი სტამბის დაარსებისათვის ზრუნვას შეუდგა“ (გვ. 49-51). აქვე მომაქვს დ. კარიჭაშვილის ცნობა ვსეხსვიატსკოეს სტამბის დაარსებისათვის ი. სამებლის მიერ გაღებულ ხარჯებზე (გვ. 51, 52).

9. რეცენზენტი წერს: „ავტორს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია აგრეთვე XVIII საუკუნის მანძილზე რუსეთში მცხოვრებ სხვა ქართველ ემიგრანტთა მოღვაწეობისათვისაც, კერძოდ, მათი საქმიანობის ისეთი მნიშვნელო-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 1973, გვ. 347.

ვანი უბნისათვის, როგორიც იმჟამად რუსული წიგნების ქართულად თარგმნა იყო“ (გვ. 187).

რეცენზენტი არც ამჯერადაა მართალი. მე ვწერ: „XVIII საუკუნის 20-იანი წლებისათვის ქართლის რთული საშინაო პოლიტიკური ვითარების გამო სამშობლოდან გადახვეწილი ვახტანგ VI-ის ამალის წევრებისა და ჯერ კიდევ XVII საუკუნის მიწურულს არჩილ II-სთან ერთად გადასახლებული ემიგრანტებისაგან მოსკოვში ქართველთა საკმაოდ ძლიერი კოლონია შეიქმნა. იგი ძირითადად იმდროინდელი ქართული მეცნიერული აზრისა და მწერლობის რჩეული წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ერთმორწმუნე რუსეთის დახმარების შემდეგ სამშობლოში დაბრუნების იმედით აღსავსე უცხო გარემო პირობებში მოხვედრილი ემიგრირებული ქართველები საკუთარი სახლ-კარისა და თვისტომთა დაშორებით გამოწვეულ დარდსა და ნაღველს ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობით იქარვებდნენ: თხზავდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს, ფილოსოფიური თუ ისტორიული ხასიათის ტრაქტატებს, თარგმნიდნენ თეოლოგიურ საეკლესიო-საღვთისმსახურო თუ დიდაქტიკურ-დამრიგებლური შინაარსის წიგნებს, ახდენდნენ ძველი ტექსტების რუსულთან შედარება-შეჯერებას, რედაქტირებას, **აწყობდნენ მეცნიერულ-ლიტერატურულ განხილვებს და სხვ.**“ (გვ. 46, 47).

10. რეცენზენტი წერს: „სადღეისოდ როდესაც არსებობს გაიოზ-რექტორის სტამბაში მოღვაწეობის ამსახველი არა მხოლოდ სათანადო დოკუმენტური მასალა, არამედ მონოგრაფიული გამოკვლევაც, მოზდოკის ქართული სტამბის არსებობის თაობაზე პაექრობა დ. კარიჭაშვილთან, სხვა არა იყოს რა ერთგვარ ანაქრონიზმად გვეჩვენება. იგივე ითქმის თ. ჟორდანიასთან, ალ. ცაგარელთან და ზ. ჭიჭინაძესთან ო. კასრაძის პაექრობაზე კრემენჩუგში ქართული სტამბის არარსებობის თაობაზე“ (გვ. 184).

რეცენზენტი გაიოზის „სასტამბო მოღვაწეობის ამსახველ“ მონოგრაფიად თვლის 1972 წ. გამოცემულ ლოც. მ. დარჩიას წიგნს „გაიოზ რექტორი (ცხოვრება და მოღვაწეობა)“. სინამდვილეში კი ამ წიგნში გაიოზის სასტამბო მოღვაწეობას მხოლოდ ერთი გვერდი აქვს დათმობილი (87). მ. დარჩია სრულიად სამართლიანად აცხადებს — გაიოზი და მისი სასტამბო მოღვაწეობა ცალკე კვლევას საჭიროებსო (გვ. 87).

რას ხედავს რეცენზენტი ანაქრონიზმის მავარს მოზდოკსა და კრემენჩუგში ქართული სტამბის არსებობა-არარსებობის თაობაზე ჩემს მიერ დ. კარიჭაშვილის, თ. ჟორდანიას, ალ. ცაგარელისა და ზ. ჭიჭინაძის კრიტიკაში? მას ავიწყდება, რომ სარეცენზიო წიგნი ეხება ფეოდალურ ხანაში ქართული წიგნის ბეჭდვას და ვალდებული ვიყავი დამეწერა მეტ-ნაკლებად სრული ისტორია.

11. რეცენზენტი წერს: „ო. კასრაძის დასკვნები ზოგ შემთხვევაში ორიგინალური ხასიათისაა, უფრო ხშირად კი რომელიმე მკვლევარის მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრების მოდერნიზაციას წარმოადგენს, მოსაზრებისა, რომელმაც გარკვეული მიზეზის გამო ფეხი ვერ მოიკიდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ასეთად გვეჩვენება, მაგალითად, პ. კარბელაშვილის საგულისხმო, მაგრამ სათანადოდ დაუსაბუთებელი ვერსია იმის შესახებ, რომ თბილისში პირველი სტამბა ვახტანგ VI ძმამ, კათოლიკოსმა დომენტიმ დააარსა“ (გვ. 184).

სარეცენზიო წიგნში პ. კარბელაშვილის ვერსიის მოდერნიზაციას კი არ ვახდენ, როგორც ეს რეცენზენტს „ეჩვენება“, არამედ ვცდილობ ჩემ მიერ მიგნებული ახალი სავარაუდო არგუმენტაციით ვახტანგ VI-ზე უფრო ადრე დომენტი კათალიკოსის სტამბის არსებობის პ. კარბელაშვილისეული ვერსია განვამტკიცო და დავასაბუთო.

ამა თუ იმ ვერსიის, დებულება-მოსაზრების, გამონათქვამის მოდერნიზაცია სხვას ნიშნავს და მას მეორენაირად სხვა სახელიც ეწოდება. აი მისი ნათელი შესატყვისი მაგალითი. მე ვწერ: **„ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა. ცალკეული საკითხები მონოგრაფიულადაც არის გამოკვლეული, მაგრამ** ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურული ცხოვრების ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი **მაინც საჭიროებს შემდგომ კვლევა-ძიებას**“ (იხ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 3). რეცენზიაში ვკითხულობთ: „გვიანფეოდალური ხანის **ქართული წიგნთაბეჭდაობის ისტორიას არა ერთი საყურადღებო გამოკვლევა მიეძღვნა. ცალკეული საკითხები მონოგრაფიულადაა დამუშავებული. მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ საფუძვლიან მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს**“ (გვ. 183).

12. რეცენზენტი წერს: „ო. კასრაძე 1749 წ. განახლებულ სტამბას დ. კარიჭაშვილთან ერთად, „ერეკლეს სტამბას“ უწოდებს, მაშინ როდესაც მემატიანენი პირდაპირ მიუთითებენ თბილისის სტამბის აღდგენაში ანტონ I კათოლიკოსის განსაკუთრებულ ღვაწლსა და დამსახურებაზე. ამა თუ იმ ქართული სტამბისათვის სახელწოდების შერჩევისას, როგორც ჩანს, მეტი წინდახედულებაა საჭირო. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა მხოლოდ ქრონოლოგიური ჩარჩოების მითითება იყოს უფრო მიზანშეწონილი, ვიდრე სათანადო საფუძველს მოკლებული სხარტი სახელწოდება“ (გვ. 186).

ჩანს, რეცენზენტი კარგად არ იცნობს 1749 წელს აღდგენილი თბილისის სტამბის ისტორიაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სხვა სახის მასალებს. ყველაფერს რომ

თავი დავანებოთ, ამ სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნის „დავითნისა“ და სხვათა საგამომცემლო მონაცემებში ნათქვამია: „დაიბეჭდა წიგნი ესე ფსალმუნთა წარსაგებელითა საფასეთათა ბეჭდისა ამის განმაახლებლისა კახთა მეფისათა ერეკლე თეიმურაზის ძისასა“.[1] აქ პირდაპირაა აღნიშნული, რომ სტამბა (ბეჭედი) აღადგინა (განაახლა) ერეკლე II-მ თავისი ხარჯით (წარსაგებლითა საფასეთათა), მანვე გაიღო საკმაოდ დიდი სახსრები 1781-1782 წლებში ამ სტამბის რეკონსტრუქციისა და საშრიფტო მეურნეობის განახლებისათვის. ისე, რომ, იგი ერეკლეს საკუთრებას წარმოადგენდა. მაშ რაში ხედავს „მიზანშეუწონლობას“ და „უსაფუძვლობას“ რეცენზენტი, როცა აღნიშნულ სტამბას თავისი პატრონის სახელს ვუწოდებთ?

13. რეცენზენტი წერს: სარეცენზიო წიგნში „ზოგჯერ საინტერესო ცნობა წყაროს მიუთითებლად არის მოცემული, რაც შეეხება რუსული დოკუმენტების ციტირებას, ეს ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ავტორის მხრივ თავისი ნაშრომის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილი დამოკიდებულებისა. საილუსტრაციოდ დავასახელებთ ვახტანგ VI გ. გოლოვკინისადმი გაგზავნილ წერილს, რომელსაც წიგნში 24 ბწკარი უჭირავს და შიგ 10-მდე შეცდომაა დაშვებული და არა მხოლოდ კორექტურული“ (გვ. 187).

ამ შენიშვნაში ერთადერთი სიმართლე ის არის, რომ რეცენზენტს სწორად დაუთვლია ვახტანგის წერილის პწკარები. იმის გასარკვევად, თუ რას გვითვლის რეცენზენტი შეცდომად, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: ვახტანგ VI გ. გოლოვკინისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია:

«В прошлы годех», მე მიწერია: «В прошлых годах»; წერილში ნათქვამია: «а другие обвелчали о чем многократно и грузии у меня таких книг требуют». მე მიწერია: «а другие обвелчали о чем многократно из Грузии у меня таких книг требуют»: წერილში ნათქვამია: «Малое число», მე მიწერია: «Мало число»; წერილში ნათქვამია: «разсмотрением», მე მიწერია: «рассмотрением»; დედანში ნათქვამია: «сиательства», მე მიწერია: «сиятельства» და ა. შ. მოტანილი მაგალითები ნათლად მოწმობს, რომ მე კი არა მაქვს შეცდომები დაშვებული, არამედ წერილში შემჩნეულ მეტ-ნაკლებად აშკარა შეცდომებს ვასწორებ. რატომ ცდილობს რეცენზენტი კორექტურაზე ნიშნისმოგებით, შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი? რატომ პირდაპირ არ ამბობს წერილის ტექსტში ჩემ მიერ შეგნებულად შეტანილ მართებულ თუ უმართებულო სწორებებზე?

[1] ქართული წიგნი, 1941, გვ. 51.

14. რეცენზენტი წერს: „რადგან ნაშრომში ვერ მივაკვლიეთ ვერც ერთ შემთხვევას შვედი დიპლომატისა და მეცნიერის გ. სპარვენფელდის გვარის სწორად გადმოცემას,[1] უნდა ვიფიქროთ, რომ აქ კორექტურულ შეცდომასთან არა გვაქვს საქმე“ (გვ. 187). რეცენზენტი ამ შემთხვევაში შვედი დიპლომატის გვარის უცოდინარობას მიკიჟინებს, რადგანაც სპარვენფელდის ნაცვლად შპანვერფელდად ვიხსენიებ. სხვათა შორის თითქმის ასევე იხსენიებს მას რეცენზენტიც თავის ნაშრომში «Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века» (გვერდი 27). სახელდობრ მე ვწერ „შპანვერფელდს“, იგი — „შპარვენფელდს“, ვინ არის ჩვენს შორის მართალი, დაე ეს სპეციალისტებმა განსაჯონ, მე კი მინდა ამჯერად ყურადღება რეცენზენტის მხრივ ქართულის „ცოდნაზე“ შევაჩერო. აი მრავალთაგან ამის რამოდენიმე მაგალითი. რეცენზიაში ვკითხულობთ: „ბწკარი“, „კათოლიკოსი“, „დაარსა“, „წიგნთმბეჭდაობა“, და ა. შ. ვფიქრობ ქართული კულტურის, და ისიც წიგნის ისტორიაში მომუშავე მკვლევარისათვის იმის უცოდინარობა უფრო მიუტევებლად უნდა ჩაითვალოს „ბწკარი“ იწერება თუ „პწკარი“, „კათოლიკოსი“ თუ „კათალიკოსი“, „დაარსა“ თუ „დააარსა“, „ბაქარიდან მომდინარეობდა“ თუ „ბაქარისაგან მომდინარეობდა“, „რაზეც საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს“ თუ „რასაც საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს“, „რითი უნდა აიხსნას“, თუ „რით უნდა აიხსნას“, „წიგნთმბეჭდაობა“ თუ სხვა რაიმე მისი შესატყვისი, ვიდრე ზემოხსენებული შვედი დიპლომატის გვარში „რ“ და „ნ“ ასოების გადაადგილება.

15. რეცენზენტი წერს: „ავტორის ყურადღების მიღმაა დარჩენილი ძველად ნაბეჭდი ქართული წიგნების არა მხოლოდ პრობლემატიკა, არამედ მათი ზოგადი მიმოხილვაც კი“ (გვ. 183). „ო. კასრაძის ნაშრომში თვალნათლივ შეინიშნება, რომ ქართული წიგნთმბეჭდაობის ისტორია ერთგვარად მოწყვეტილად, განყენებულადაა განხილული იმ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისაგან, რომელთაც თითქმის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განაპირობეს ამა თუ იმ ქართული სტამბის დაარსება ან სასულიერო თუ საერო შინაარსის ქართული წიგნის დაბეჭდვა... მისი ყურადღების მიღმა რჩება (რეცენზენტს ძალიან უყვარს ეს გამოთქმა! — ო. კ.) არჩილისა და მისი ვაჟიშვილის — ალექსანდრეს პეტრე I-თან ურთიერთობა, რუსეთის იმდროინდელი პოლიტიკა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყ-

[1] უნდა იყოს ი. (იოჰან) სპარვენფელდი და არა გ. სპარვენფელდი.

ნებთან, რუსეთ-შვედეთის ომი, რომელმაც გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა არჩილის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე რუსეთში, არჩილის ურთიერთობა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან" (გვ. 186) „საჭირო იყო ქართული წიგნთმბეჭდაობის ისტორიის დასაბამიდან დღემდე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მისი გვიანფეოდალური ხანის ისტორიის მეცნიერული ქრონოლოგიის დადგენა და ძირითადი ეტაპების ჩამოყალიბება სათანადო არგუმენტირება-დასაბუთების საფუძველზე" (გვ. 187).

აქ მინდა წინასწარ ერთი გარემოება აღვნიშნო. სანამ სარეცენზიო წიგნი დაიბეჭდებოდა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს გადაუგზავნა საპრობაციოდ. იქ მისი რეცენზირება ჯ. ვათეიშვილს დაევალა. სამწუხაროდ იმ პირველ რეცენზიაში ზემოციტირებული შენიშვნებიდან „ძირითადი ეტაპების" გარდა თითქმის არც ერთი არ არის აღნიშნული.[1] რეცენზენტს რომ ყოველივე ამაზე დროულად და პრინციპულად მიეთითებინა, იქნებ დამხმარებოდა წიგნის იმ მოცულობით გამოცემაში, რამდენ თაბახთა რაოდენობასაც ვითხოვდი ჩემს განცხადებაში. აღნიშნულის გამო ნაშრომმა დაბეჭდვამდე საგრძნობი შემცირება განიცადა, რამაც განაპირობა კიდეც რეცენზენტის ზემოციტირებული შენიშვნა-სურვილების გაუთვალისწინებლობა. უმჯობესად ჩავთვალე ნაშრომში ძველ-ქართულ ნაბეჭდ წიგნებთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებს უფრო შევხებოდი, ვიდრე, მაგალითად, არჩილისა და ალექსანდრეს ურთიერთობას პეტრე I-თან, რუსეთის იმდროინდელ პოლიტიკას კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ა. შ.

დასასრულს რეცენზენტი დადებით შეფასებას აძლევს ნაშრომს და იქვე შენიშნავს: „მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სარეცენზიო ნაშრომი... ძირითადად ახალი ფაქტობრივი მასალის სიმცირის გამო, საფუძველს იძლევა ავტორის მისამართით ბევრი კეთილგანზრახული შენიშვნის გამოთქმისა" (გვ. 188).

რეცენზენტის გულწრფელ კეთილგანზრახვაში ეჭვი მეპარება. ზემოაღნიშნულ უმართებულო, ზოგჯერ აშკარად ტენდენციური შენიშვნების გარდა, ამას მოწმობს მისი მცდელობა, რაც შეიძლება დაამციროს ჩემი ნაშრომი. ამის უტყუარ დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც რეცენზიის სათაური: „ნარკვევი ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიიდან". როგორც თავად რეცენზენტიც აღნიშნავს, ჯერ მარტო პირველ თავში „მოცემულია კრიტიკული ხასიათის ნარკვევები ქართული სტამბის ისტორიიდან" (გვ. 183) და თუ ამას დავუმატებთ, რომ მისივე განმარტებით, „მეორე თავი ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების აღწერილობას შეეხება, ხოლო მესამე თავი მოგვითხრობს ცალკეულ მესტამბე-გამომცემლებზე" (გვ. 183), ვფიქრობ, რეცენზიის სათაური ნაშრომის შინაარსს არ შეესატყვისება და მასში გამოტანილი კეთილშობილი სიტყვა „ნარკვევი" ამჯერად კნინობით ხასიათს ატარებს.

რეცენზენტის „კეთილგანზრახვაზე" მიგვანიშნებს აგრეთვე მისი უგერგილო კომენტარი წიგნისათვის წამძღვარებულ „წინათქმაზე". იგი წერს: „ნაშრომს დართული აქვს მოკლე წინათქმა" (გვ. 183). სწორედ რომ მოკლედ, რვა გვერდზე მინდოდა მეთქვა მკითხველისათვის ის, რაც წინასწარ მქონდა სათქმელი. ასე რომ არ მდომებოდა, მაშინ „მოკლე წინათქმის" მაგივრად „ვრცელ შესავალს" ანდა „ვრცელსავე წინასიტყვაობას" წავუმძღვარებდი წიგნს. „თქმა", ცხადია, თავისი მნიშვნელობით აზრის მოკლედ გადმოცემაზე მიგვანიშნებს. მაშ რა აიძულებდა რეცენზენტს, როცა ყურადღებას ამ საკითხზე ამახვილებდა? კეთილი განზრახვა? არა მგონია.

აი რეცენზენტის ტენდენციურობის კიდევ უფრო ნათელი მაგალითები. იგი ჩემს მსჯელობას იტალიაში დაბეჭდილ „ქართულ-იტალიურ ლექსიკონზე" „თხრობას" უწოდებს (გვ. 183). ასევე „თხრობად" მიიჩნევს რეცენზენტი ჩემ მიერ XVIII საუკუნის გამოჩენილ მესტამბე-გამომცემელთა ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ფაქტების დადგენას, რაც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სპეციალურ კვლევას და სისტემატიზაციას საჭიროებდა" (გვ. 183). მტკიცებას იტალიაში ქართული სტამბის არარსებობაზე აფასებს როგორც უბრალო „საუბარს" და ა. შ.

ვფიქრობ, შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს ის სწორებებიც, რომლებიც ჯ. ვათეიშვილს წიგნის გამოცემამდე დაწერილ, პირველი რეცენზიისაგან განსხვავებით, „მნათობში" დაბეჭდილ მეორე რეცენზიაში შეუტანია. მაგალითად, პირველ რეცენზიაში იგი წერს: „ნაშრომის შინაარსი და კომპოზიცია მიგვანიშნებს იმ რთულ ამოცანაზე, რომელიც თ. კასრაძის წინაშე იდგა და რომელიც მან, როგორც მკვლევარმა, ძირითადად, დადებითად გადაჭრა" (გვ. 2). „მნათობში" ვკითხულობთ: „წიგნის შინაარსი და კომპოზიცია მიგვანიშნებს იმ რთულ ამოცანაზე, რომელიც თ. კასრაძის წინაშე იდგა და რომელიც მან, როგორც მკვლევარმა, თავისებურად გადაჭრა" (გვ. 183). პირველ რეცენზიაში წერს: „ნაშრომის ღირსებად მიგვაჩნია არა მარტო ის, რომ მასში მოცემულია ცდა წინამორბედ მკვლევართა

[1] რეცენზია ინახება გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" არქივში.

ღვაწლის კრიტიკულად განხილვა-შეფასებისა და ასეთი გზით ქართული წიგნთმბეჭდაობის **ისტორიის ზოგიერთ საკვანძო საკითხის გადახედვა-დაზუსტებისა,** არამედ ისიც, რომ აქ მოცემულია **ქართული ნაბეჭდი წიგნების ზედმიწევნით ზუსტი აღწერილობა** იმ ხარვეზების აღნიშვნა-გათვალისწინებით, რომელთაც ადგილი აქვთ თემაზე არსებულ ლიტერატურაში. **ანგარიშგასაწევია** აგრეთვე **ო.** კასრაძის მიერ **ქართველი** მესტამბე-გამომცემელთა ბიოგრაფიული მონაცემების დადგენა, **რაც უდაოდ საჭიროებდა** სპეციალურ კვლევა-ძიებას **ამ მონაცემების სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრეფისა და** სისტემატიზაციის მიზნით" (გვ. 2). „მნათობში" ვკითხულობთ: **„ნაშრომის** ღირსებად მიგვაჩნია არა მხოლოდ ის, რომ მოცემულია ცდა წინამორბედ მკვლევართა ღვაწლის კრიტიკულად განხილვა-შეფასებისა, არამედ ისიც, რომ იგი შეიცავს ძველად დასტამბული **რიგი ქართული წიგნების აღწერილობას,** იმ ხარვეზების აღნიშვნა-გათვალისწინებით, რომლებსაც ადგილი აქვს ამ თემაზე არსებულ ლიტერატურაში. ალსანიშნავია აგრეთვე ო. კასრაძის მიერ ქართველ მესტამბე-გამომცემელთა ბიოგრაფიული მონაცემების დადგენა, **რაც სპეციალურ კვლევას და სისტემატიზაციას საჭიროებდა**" (გვ. 183). პირველ რეცენზიაში წერია: „მიუხედავად ჩვენს რეცენზიაში აღნიშნული ხარვეზებისა, ო. კასრაძის ნაშრომი შეიცავს **საკმაოდ დასაბუთებულ საყურადღებო დაკვირვებებსა და შენიშვნებს, რაც ქართული წიგნთმბეჭდაობის ისტორიის შესწავლის დახვეწისა და წინსვლის საქმეს უდაოდ შეუწყობს ხელს**" (გვ. 15). „მნათობში" ვკითხულობთ: „ავტორს თავისი წვლილი შეაქვს **ქართულ ნაბეჭდ წიგნთა აღწერილობის საქმეში** და ქართველ მესტამბე-გამომცემელთა ცხოვრება-საქმიანობის **ზოგად დახასიათებასა და შეფასებაში**" (გვ. 188). მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, დამოწმებული ადგილებითაც შეიძლება ლოგიკური დასკვნის გამოტანა, თუ რას ისახავდა მიზნად რეცენზენტი „მნათობში" დაბეჭდილ წერილში შეტანილი „კორექტივებით".

განა ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ვერწმუნოთ რეცენზენტს თავისი შენიშვნების კეთილგანზრახვაში? ამის განსჯა მკითხველისათვის მიმინდვია.

ოთარ კასრაძე

# ელენე ახვლედიანის ხსოვნას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

## დიდი გამოფენა გრძელდება...

სწორედ მოულოდნელად, სწორედ უეცრად წავიდა ჩვენგან... ეს ის შემთხვევაა, როცა ასაკი თითქოსდა მართლაც არაფერ შუაშია. ისეთივე დაუდეგარი, ისეთივე ჯანმრთელი, ისევე შემოქმედებითი ენერგიით სავსე, როგორც ოდესღაც, ორმოცი, ორმოცდახუთი წლის წინ, თბილისსა და ქუთაისში, კოტე მარჯანიშვილის, უშანგი ჩხეიძის გაელვების დროს. რა დიდი გზა განვლო მან იქიდან დღემდე! მაგრამ ელენე ახვლედიანი ჩემთვის მაინც იქ ტრიალებს, იმ შორეულ, ბინდისფერ დღეებში, სადაც ის პირველად მინახავს და გამიცვნია, იმ ადამიანებთან, რომელთა აჩრდილებიც არა მარტო დგანან ჩვენს თვალწინ, არამედ, როცა კარგად მივუყურადებთ, მათი ფუსფუსიც გვესმის. ელენე ახვლედიანთან ერთად ისინი ერთხელ კიდევ წავიდნენ ჩვენგან, ერთხელ კიდევ გამოგვემშვიდობენ.

ჯერ გაუგონრად და შემდეგ განუმეორებლად გაერთიანდა მაშინ როგორღაც მწერლობა და ხელოვნება, რეჟისორი და მწერალი, მსახიობი და მხატვარი, კომპოზიტორი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მაყურებელიც. დიაღ, მაყურებელიც! იგიც ისეთივე აქტიური კომპონენტი იყო ამ დიდებული გაერთიანებისა. მთელ საქართველოში, პირველ რიგში, თბილისსა და ქუთაისის დარბაზებსა და ქუჩებში, ყველგან, თითქოს მთელს ჩვენს ბუნებაში ისმოდა გაცხარებული სჯა-ბაასი და კამათი ლიტერატურისა და ხელოვნების რთულ პრობლემებზე, ახალ მოვლენებზე თეატრსა და მწერლობაში.

ქვეყანა თითქოს მარტო პოეზიით და ხელოვნებით სუნთქავდა.

„არის დრო ქვეყნად, როცა მღერის საგანი ყველა, ყვავილი მღერის, ცრემლი მღერის, ბილიკი მღერის“...

იმ დღეებიდან ცოტაღა ვინმე შემოგვრჩა. ელენე ახვლედიანი ერთი უნიჭიერესი, ერთი ულამაზესი შთაგონების მხატვარი იყო იმ თაობისა. დიდი შემოქმედი, დიდი, მაღალი სულის ადამიანი. მიხარია და ვამაყობ, რომ ათეული წლების მანძილზე მისი მეგობარი მეც ვიყავი.

დღეს იგიც წავიდა ჩვენგან.

ცოდვად ნუ ჩამეთვლება და, ასეთ სიკვდილს ბევრი ჩვენგანი ინატრებდა. იგი მოკვდა, როგორც იტყვიან, სწორედ თავის პოსტზე. ასეთი სიკვდილი ბევრ შემოქმედს უძებნია.

ფინანსთა სამინისტროს საქტო დარბაზში, სურათების დიდ გამოფენაზე, ჩვენ თვალწინ, მისი ახლო მეგობრების თვალწინ, იგი ამბობდა თავის საბოლოო სიტყვას ამ დიდი გამოფენის დახურვისას. საბოლოო სიტყვას!.. მხოლოდ ორიოდე ფრაზის წარმოთქმაღა მოასწრო და ჩვენ, მისმა მეგობრებმა, ვეღარ მოვასწარით შევშველებოდით მას.

ელენე ახვლედიანი დაეცა მისი მეგობრების თვალწინ —

დიდი გამოფენა დაიხურა...

დიდი გამოფენა გრძელდება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ბერიძე

# გამოსათხოვარი

თუ სიკვდილი შეიძლება ბედნიერი იყოს, ელენე ახვლედიანი ბედნიერად მოკვდა: მისივე თაოსნობით მოწყობილ გამოფენაზე, თავის მეგობრების სურათებითა და თვით მეგობრებით გარშემორტყმული, როდესაც გულითადი მადლობისა და სიხარულის სიტყვებით მიმართავდა საზეიმოდ შეკრებილ საზოგადოებას. ლოგინად არ ჩავარდნილა, არ დავრდომილა, არც დაბერებულა (თუმცა ოთხმოცს უახლოვდებოდა!), უტეხი სულისა იყო და ასევე დაგვშორდა... მაგრამ ჩვენთვის მისი წასვლა თავზარდამცემი იყო. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იგი მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან — უფრო იმიტომ, რომ, წლოვანების მიუხედავად, ელენე ახვლედიანი ჩვენი ქვეყნის მხატვრული ცხოვრების ერთი უმთავრესი მამოძრავებელთაგანი იყო. მხატვარი სხვაც ბევრი წასულა, მაგრამ ისეთი მძლავრი ინდივიდუალობის მქონე პიროვნება, როგორიც ელენე იყო, პიროვნება, რომელსაც ყოველდღიურად ამდენი სიკეთე მოჰქონდა საერო საქმისათვის — იშვიათად თუ მოიძებნება. და აღარც ვიცი, ვის უფრო ვგლოვობთ ახლა — დიდ მხატვარს, თუ ამ საკვირველ ადამიანს, რომლის ყოფნაც ასე აჩნდა ჩვენს ცხოვრებას და რომლის არყოფნაც ასევე დიდად დაგვაჩნდება.

ალბათ, ელენე ახვლედიანისთვის ყველაზე მეტად უცხო და საძულველი სიმშვიდე და გულგრილობა იყო. თვითონ ხომ დაუცხრომლად შრომობდა, თავისი შემოქმედებით ხომ მთელი ეპოქა შექმნა ჩვენს ეროვნულ ხელოვნებაში, მაგრამ მაინც ასწრებდა საზოგადო საქმისთვის ზრუნვას. თვითონაც მოუსვენარი და მგზნებარე იყო და არც სხვას ასვენებდა — ახალგაზრდებს სამუშაოდ აქეზებდა და ახალისებდა, თავის გარშემო თავს უყრიდა სხვა მხატვრებს, მათთან ერთად მოგზაურობდა საქართველოს მთასა და ბარში, აწყობდა გამოფენებს თავის სახელოსნოში — მარტო საკუთარი ნამუშევრებისას კი არა, უფრო მეტად სხვებისას: გარდაცვლილი ახალგაზრდა კოლეგისას, ბავშვებისას, მხატვართა ჯგუფებისას... თავს უყრიდა მუსიკოსებს, მწერალთ, მეცნიერთ... მის მშვენიერ სახელოსნოში ყველას მიუხაროდა. მხატვრისთვის ელენესთან თავისი სურათების გამოფენა თავისებური გამოცდა იყო: მომღერლები და მუსიკოსები ალბათ არსად არ გამოდიოდნენ მსმენელთა წინაშე ისეთი მღელვარებითა და შთაგონებით, როგორც ელენეს სახელოსნოში — იქ ყველაფერი ხელოვნებით სუნთქავდა, ყველაფერი ხელოვნებისათვის იყო, იქ მისულ ადამიანს ყოველდღიურ წვრილმანსა და პროზაზე ფიქრი აღარ უნდოდა.

ელენე ახვლედიანმა ღრმა კვალი გაავლო ჩვენი დროის ქართული ხელოვნების ისტორიაში — როგორც ქართული პეიზაჟის ერთერთმა ფუძემდებელმა და დიდად თავისებურმა, საკუთარი ხედვის მქონე ოსტატმა; როგორც წიგნის გრაფიკოსმა, რომელმაც კლასიკოსთა ქართული გამოცემები სრულიად ორიგინალური ნახატებით გაამდიდრა; როგორც ქართული სათეატრო-დეკორაციული მხატვრობის ერთერთმა პიონერმა, რომელიც კოტე მარჯანიშვილს ედგა მხარში; მან შთაგონებულად უმღერა ძველ თბილისს, რომელსაც ბევრი არ ჰყოლია მისთანა გულშემატკივარი, ძველ თე-

ლავს, ძველ სიღნაღს... მან საგანგებოდ შემოიარა საქართველოს მრავალი ახალშენებლობა, ხატავდა თბილისის ახალ უბნებს, იმიტომ, რომ სიცოცხლის, წინსვლის, ქვეყნის დღევანდელი დღისა და მომავლის მოიმედე იყო... მისი სურათები, ისინიც, რომლებშიაც ადამიანები არ მოქმედებენ, ყოველთვის ადამიანური მღელვარებით, სიყვარულითა და სიხალისითაა გამსჭვალული — მისი ხელოვნება სხვაგვარი ვერ იქნებოდა.

ელენე ახვლედიანი სულ სხვანაირი იყო, მკვეთრად თავისებური და განუმეორებელი როგორც მხატვარიც და როგორც ადამიანიც.

მისი სახელი ქართული ეროვნული კულტურის დამამშვენებელი იქნება მუდამ.

## შალვა ალხაზიშვილი

# ქართული ეროვნული პეიზაჟის დიდოსტატი

რომენ როლანი ამბობდა: „სეზანის პეიზაჟების ნახვის შემდეგ, არაფრის ნახვის სურვილი აღარა მაქვსო", დაახლოებით ასეთივე შეგრძნება მეუფლება, როდესაც ელენე ახვლედიანის პეიზაჟებს ვუყურებ, რა თქმა უნდა, ქართული მასშტაბების გათვალისწინებით.

მახსოვს, ჯერ კიდევ 1919 წლის მაისში, როდესაც ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა გაიხსნა, ჩემი ყურადღება მიიქცია ელენე ახვლედიანის ორმა პეიზაჟმა (სულ მას ჰქონდა 18 სურათამდე ექსპონირებული) — „თელავი" და „თელავში"... მაშინ ელენე 21 წლისა იქნებოდა და, წარმოიდგინეთ, რა მტკიცე და ურყევი მხატვრული სიმპათიები უნდა ჰქონოდა, რომ მთელ მის სიცოცხლეს გაჰყვა „თელავის თემა" მის მხატვრულ შემოქმედებას.

ელენე ახვლედიანი გამაცნო მხატვარმა ირაკლი გამრეკელმა 1927 წელს, როდესაც ელენე საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა და სასტუმრო „ორიანტის" გვერდით, რუსთაველის პროსპექტზე, პირველი მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო. ჩვენ მაშინ „მემარცხენე ფრონტს" ვეკუთვნოდით და ირაკლი გამრეკელი, სიმონ ჩიქოვანი და მე ერთად წავედით გამოფენაზე, გვეგონა, რომ პარიზიდან ჩამოსული ქართველი მხატვარი უთუოდ პიკასოსებურ კუბისტურ სურათებს ჩამოიტანდა (მაშინ ჩვენ გატაცებული ვიყავით კუბიზმით!) და ჩვენი იმედები რომ გაქარწყლდა, გადავწყვიტეთ ობსტრუქციის მოწყობა, მაგრამ ელენე ახვლედიანის სურათების თვალმომჭრელმა სილამაზემ, უდიდესმა ფერადულობამ და მხატვრული ტექნიკის საოცრად მაღალმა დონემ ისე დაგვატყვევა, რომ ელენე ახვლედიანის უაღრესად დიდი თაყვანისმცემლები გავხდით...

ყოველთვის პრინციპული, უკომპრომისო ელენე, გარეგნულად თითქოს მიუკარებელი ჩანდა, მაგრამ როდესაც დაელაპარაკებოდით, საოცარ სითბოს და თანაგრძნობას შეამჩნევდით მის თვალებში. ამიტომ გვიყვარდა ჩვენ, მის მეგობრებს, ელენე. და ეს დიდი სიყვარული ელენეს შემოქმედებისადმი, თვითონ ელენესადმი, როგორც შესანიშნავ ადამიანისადმი, აი

უკვე თითქმის 50 წელია, რაც ღვივის ჩემს გულში.

იმ დროს ელენე ახვლედიანი ელისა-ბეკის ქ. № 77 (ახლანდელი კლ. ცეტკი-ნის ქ.) ცხოვრობდა. ჩვენ ხშირად დავია-რებოდით მასთან, აუარებელი მხატვრული ალბომები და წიგნები ჰქონდა პარიზიდან ჩამოტანილი (ერთი მათგანი, „ჯოტო“, მაჩუქა კიდევაც, ახლაც მაქვს შენახული, როგორც ძვირფასი რელიქვია).

ერთხელ ელენეს შევეკითხე, პარიზში ყველაზე მეტად რომელი მხატვარი მოგე-წონა-მეთქი და, როდესაც უყოყმანოდ და-მისახელა „მორის უტრილო“, ჩემთვის ეს არ იყო მოულოდნელი. მართლაც, უტრი-ლო მონმარტრის ძველი ქუჩების და სახ-ლების მომღერალი იყო, ისევე როგორც ჩვენი ელენე ძველი თბილისის ქუჩებისა და სახლების (გავიხსენოთ თუნდაც მისი ისეთი საყოველთაოდ ცნობილი სურათები, როგორც „მაიდანი“ 1927 წ., „ღვინის აღმართი თბილისში“ 1928 წ. და სხვ.)...

დიახ, დიდი მხატვარია იგი, მხატვარი ევროპული მასშტაბისა, ქართული ეროვ-ნული პეიზაჟის დიდოსტატი...

6 / 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС 76128

„МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ